ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

6

1986

ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 62-Ე | № 6 | ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1986 Წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲛᲘᲜᲐᲪᲐᲠᲡᲘ

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲮᲣᲢᲐ ᲒᲐᲒᲣᲐ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ . . . 3
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲐᲚᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔ — ᲡᲝᲚᲝ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ. ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ . . . 7
ᲒᲔᲚᲐ ᲨᲐᲚᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ . . . 58
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ . . . 61
ᲒᲘᲒᲘ ᲡᲣᲚᲐᲙᲐᲣᲠᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ . . . 64
ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜ ᲠᲐᲡᲐᲞᲣᲢᲘᲜᲘ — ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡᲐ. ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ. ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲗᲘᲗᲛᲔᲠᲘᲐᲛ . . . 67
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ . . . 83
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲒᲘᲐᲜᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ . . . 85
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ . . . 87
ᲕᲐᲟᲐ ᲝᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ . . . 89
ᲒᲘᲕᲘ ᲛᲐᲚᲣᲚᲐᲠᲘᲐ — ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲔᲬᲝᲓᲐ ᲖᲐᲠᲬᲛᲐ. ᲠᲝᲛᲐᲜᲘ. ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ . . . 91

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲚᲐᲓᲝ ᲡᲣᲚᲐᲒᲔᲠᲘᲫᲔ — ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲒᲝᲜᲐᲠᲘ . . . 115
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲠᲝᲒᲐᲫᲘᲫᲔ — ᲐᲠᲐᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ „ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲐ“ . . . 120
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲪᲓᲔᲑᲘ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 70-90-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ . . . 124
ᲔᲛᲖᲐᲠ ᲙᲕᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲔᲞᲘᲗᲔᲢᲘ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ. ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ . . . 133

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲡᲘᲠᲐᲫᲔ — „ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ, ᲖᲔᲪᲘᲗ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ“ . . . 144
ᲕᲐᲟᲐ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ — ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲗᲐ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ . . . 155

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲡᲘᲑᲘᲚᲐ ᲒᲔᲚᲐᲫᲔ — ᲐᲚᲑᲔᲠ ᲙᲐᲛᲘᲣᲡ „ᲙᲐᲚᲘᲒᲣᲚᲐ“ . . . 163

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲐᲠᲒᲘᲡ ᲪᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ . . . 168
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ — ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ . . . 171
ᲜᲝᲛᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐ — ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ . . . 145

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Державна
Республіканська
БІБЛІОТЕКА УРСР
ім. КІРС

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
მიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე,
ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩა-
რკვიანი, ნ. ფულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი)
რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

პროზა, პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუტა გაგუა

პოეტ ხუტა გაგუას დაბადების 50 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

* * *

ნოდარ დუმბაძის ხსოვნას

არ შეჰხებია ერთხელაც ხელით
მესაფლავეთა მძიმე ძალაყინს...
მკერდში უცემდა გულივით ცხელი
მამა-პაპათა ძვალშესალაგი.

ცამდე აწვდილი მძლავრი ტოტები —
ხალასი სიტყვის მადლი და ძალა
მუხის ფესვების თავგამოდებით
ძირს უმაგრებდა საყვარელ ქალაქს.

როგორც იმედი დღეის და ხვალის,
მზე უცინოდა ყველა წყაროდან;
მწყურვალეთათვის მზეცა და წყალიც
მიჰქონდა პეშვით და უხაროდა.

დანარჩენს სჯობდა ერთი სახლი და
ათას დანარჩენს — მაგიდა ერთი:
იმ მაგიდიდან, იმ სიმაღლიდან
სამყაროც ახლოს იყო და ღმერთიც.

არავინ უწყის, რა მწვერვალები
ელანდებოდა, როდესაც უკან
ჩაბრუნებული მისი თვალები
ენთო, დროდადრო, დაისის შუქად.

ხმებს მოუხმობდა, იქნებ, ზეციდან,
ღვთისმშობელივით, ნეტარი აკვნის
დამრწევი გულთან რომ მიეზიდა,
როგორც მაგნიტი იზიდავს მაგნიტს...

ძილში ესმოდა სიმღერა გედის,
შრიალი უკვე გამდნარი თოვლის,
და უღიმოდა როდესაც კეთილს,
ღმერთს უღიმოდა პირველად ყოვლის.

და ხედავს ღმერთი: გადიან წლები
და თბილის-ქალაქს გულივით უცემს
მძლავრი ფესვებით და შვილთა
ძვლებით
გამაგრებული ძირი და ფუძე.

ჩემი ხელობა

ჩემი ხელობით მე ვარ მდიდარი,
ყველა ბუნების შვილი ვით არი,
ხოლო ხელობა ვირწმუნე იმ დროს,
როცა მამულის აის-დაისი
ფარშავანგებად მხრებზე დავისვი
და მივუტევე, ვინც ბევრჯერ მიმტრო.

ეჭვით მიყურებს დღესაც მრავალი —
აქ მომავალი, იქ მიმავალი,
როცა ვღიღინებ საფარშავანგოს,
არ სჯერათ, მაგრამ შურთ უბედურად,
ურცხვად სცრუობსო, ოღონდ მე თუ რაც
მწადია — მხოლოდ ხმალი ჩავაგოთ...

სასაცილოა! — იფხანენ კისერს,
რა საჭიროა! — მალავენ ქისებს, —
და ეჭიმებათ ძარღვი-ბაგირი,
რისი ხელობა! რა ფარშავანგი!...
არა, ჭამა კი უნდა ჯამაგირს,
მაგრამ — საიდან ეს ჯამაგირი?!

როგორ — საიდან? ეს-დაინა
ფარშავანგებად მხრებზე დავისვა;
არც ბრძენი ვარ და არც უმეცარი,
მე მხოლოდ სულის დასაპურებლად
მთელი არსებით ვერწყმი ბუნებას
და ფუფუნება ჩემი ეს არი.

გალობდა ჩიტი

ჩვეულებრივი დღე იყო, მშვიდი,
მე ლექსებს ვწერდი, გალობდა ჩიტი.

გულს ვერ ვუდებდი ანდერსენ ნექსეს.
გალობდა ჩიტი, მე ვწერდი ლექსებს.

ჯერ არსმენილი ეს იყო ჟამი —
გალობდა ჩიტი დღისით და ღამით —

დღისით და ღამით მე ვწერდი ლექსებს,
ვწერდი პოეტზე, მუშაზე, გლეხზე,

იმ სახელგანთქმულ დაღესტნელ ლეკზე
არანაკლებად — შევნიშნოთ ესეც! —

დარდს სამუდამოდ გამოვესალმე.
და როცა დადგა კვირა მესამე, —

ვიფიქრე: გავალ, შევხედავ — ვნახავ,
ის, ნეტარქმნილი, არ ცხრება რაბან.

შემოვუარე — არსიდან ჩანდა —
ესხა იმდენი ფოთოლი ჭადარს.

სჯობს, წავალ-მეთქი, ხელს არ
შევუშლი:
გალობდა, როგორც გული სხეულში...

მე ვწერდი, ჩიტი გალობდა ისევ —
ჰკვირობდა ბახი, ტიროდა ბიზე.

სმენას ძაბავდა მთა, დიდებული,
ზეცის კალთაზე თავმიდებული.

აშოშმინებდა ნუკრი ავაზას,
ეწმინდებოდა თვალი ავაზაკს...

შვლის გვერდით იწვა ლომი ბებერი.—
ასე ჩათავდა თვე, სექტემბერი.

ბოლოს, დავხედე როცა კალენდარს —
უკვე ხელები მიკანკალებდა —

მე დავინახე დეკემბრის შვიდი
და შევკრთი — აღარ გალობდა ჩიტი!

ისმოდა მხოლოდ ზუზუნი ქარის.
ძლივს წამოვდექი, გავაღე კარი:

შემოძარცვოდა ფოთლები ჭადარს.
შევხედე — ჩიტი აღარსად ჩანდა.

ეზოპე

ძაღლს ვინ უწოდა პირველად ძაღლი?
ვინც მიხვდა — ნიჭი აქვს ათვისების,
ვინც ააყეფა და ანდო სახლი,
აღჭურვა თვისი ავი თვისებით.

ნდობა პატივად ჩათვალა ძაღლმა,
იყეფ-იყმუვლა, რა ექნა მეტი!
და რომ ეგონა, ბრუნავსო წაღმა,
უკუ შებრუნდა ბორბალი ბედის.

დათვს შეაჭიდეს როცა, ვეებას,
როცა პირიდან ადინეს სისხლი —
უკვე ჩრდილებიც ბაყბაყდევებად
ელანდებოდა — დახედეს ზიზღით.

ვერ აიტანა — გაოცდა ძაღლი,
ჯერ პატრონს ეცა, მერე მეზობელს...
ეცინებოდა ფიქრებით დაღლილს —
ცრემლმორეული იდგა ეზოპე.

ტყვია მაგასო! — ანთხიეს ცოფი.
ეზოპემ უტყვად ჩაქინდრა თავი,
როს განიგმირა პატრონის ტოფით
ადამიანის თვისება ავი.

მამები და შვილები

მურმან ლებანიძეს

კაცი გამოვცდი სამოცს —
ვიცვლი მანტია-სამოსს —
ვარ ხასიათზე მე სმის:
აღარაფერი მესმის.
ყოველი მესამე ძმის!
ამის და სხვათა გამოც
ვიცვლი მანტია-სამოსს,
მსურს ვევნო და ვეწამო.
ა იმ კლდისხელა კურტანს
ავიკიდებდი ახლა! —
ძილი: დახშობა ყურთა,
თვალთა დავსება — დაღლა...

ვინც რომ მამები ჰკიცხეს,
ვინც რომ მამები თათხეს,
მათგან ყველაზე ფიცხელს,
მათგან ყველაზე მაგარს,
მივმართავ — პავლეს, მაკარს,
ან, სულერთია... — ადგეს —
სიგრძე-სიგანით მთელით —
ღმერთის წინაშე დადგეს,
გულზე დაიდოს ხელი
და, უკეთ რაფრად მწვანობს
მათი ბაღნარი, ბრძანოს!
ბრძანებს: „რაცა ვართ, ვართ ეს —
ვალი ნამდვილად გვმართებს —
ჩვენი დარდის და განცდის
ხელოვნურ მიხაკ-ვარდებს,
არც ისე მცირეს, არც დიდს,
მოსახლეობას ვაწვდით...“

ის კი, დანო და ძმანო,
ვისი ბაღნარიც მწვანობს,
ვისი ჩანგიც და სტვირიც
მამათ არყოფნას სტირის,
ღმერთს ევედრება — მოეც
ყველას, მით უფრო, პოეტს:
არგატაცება მეთი,
სულმოთნეობა მეტი,
მეტი ღირსების ნიჭი —
რაც ასე ძლიერ გვიჭირს!...

ჰოდა, — ხომ ჰკიცხეს, თათხეს, —
თუა მაგარი ბიჭი,
ადგეს!

სოფელზე გულგატეხილი

როცა დადგება ჯერი
და, ჩემი ცოდვით სავსე,
ცის დამეხილი ჭერი
ჩამომემხობა თავზე,

ნუ გაგიჟდებით უცებ —
ნუ გაამრავლებთ ფოტოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ დაიკერებთ გულზე,
ვით შემოდგომის ფოთოლს —

ჩემი საწყალი დების,
ჩემი საბრალო ძმების
გულებში, გეფიცებით,
ისედაც ვიხედები.

ის კი — მოვიდეს, შავად
ჩაცმული, რომ ჰგავს ჩინელს...
მოვა, დაჯდება, წავა.
იტირებს — გაიცინებს...

შვილები არ გამიჩინა,
მიმატოვა და — მახლას! —
ჩემი ჭრილობის ჭრიჭინა
სხვასთან ჭრიჭინებს ახლა.

ეჰეი! ზარმა დარეკა,
მეც უკვე ავიბარგე —
მოვდივარ, ბერბათარეკავ,
სოფელს ვერაფრით ვარგე...

შენ კი ამას გთხოვ ძმურად,
მამაო, უფალ-ბატონო:
ჩემს გადიდებულ სურათს
ნუ დაანახვებთ მურას —
მოკვდება ის უპატრონო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მაღლაფერიძე

> თეიმურაზ მაღლაფერიძეს დაბადების 50 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი, მისი საredაქციო კოლეგია ულოცავს მწერალს ამ ღირსშესანიშ-ნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

სოლო სიმღერა შემოდგომაზე

მოთხრობა

პრელუდია

ერთხელ, ჩემმა ჭკვიანმა მტერმა, რომელსაც მხოლოდ ნესტიანი კედლების მოხატვა ემარჯვებოდა უეძური, მღვრიე-მომწვანო ფერებით, თუ გიხდა შენს სამყაროს დაგიხატავო, შემომთავაზა.

იდგა წელში მოხრილი და ცინიკურად ხითხითებდა. მეც სიცილით დავეთანხმე, ცნობისწადილს აყოლილი. დიდხანს მუშაობდა, კედლების მოხატვა ხელ მიავიწყდა, ისე გაიტაცა ამ ახალმა საქმემ. დგებოდა, ჯდებოდა, მაკვირდებოდა. ბოლთას სცემდა, სიგარეტს ეწაჩებოდა... ბოლოს, დაძაბული მუშაობის შემდეგ, გულწრფელი უშუალობით მაჩვენა არც თუ დიდი ტილო.

წრე დაეხატა და უცნაური ადამიანებით აევსო: შუაში გუმბათმორღვეული ეკლესია იდგა, მის გვერდით გულაღმა იწვა კაცი, მკლავები გაშლილი ჰქონდა და ჰგავდა ჯვარცმას. დაღვრემილი დედაბერი ჩამქრალი თვალებით იმზირებოდა. ნაგვემი, ჯიუტად ტუჩებმოკუმული ქალი ელოდა სასწაულს. ათლეტური აღნაგობის ბიჭი თვითკმაყოფილი დარბოდა ერთ ადგილზე. ქალიშვილი ალერსით იღიმებოდა, მაგრამ ვერავის ხედავდა საკუთარი თავის მეტს. ვიღაც შავწვერა და შავსათვალიანი ბირდაბირით უკრავდა ვიოლინოზე, ხოლო იქვე წვირიანი, თეთრი ცინდალი დაყუნცულიყო. გამხდარ, გაცრეცილ გოგონას ანკესი ეჭირა, თოკს ბოლოში ეკიდა მრგვალი საათი, რომელსაც ისრები არ ჰქონდა. ძალზე მხიარულ და ლაღ ჯეელს ოთახის კედელი აევლო (შავი ნაფეხურები ეტყობოდა კედელს), ჭერზე თავდაყირა გაჩერებულიყო და ასე უკულმა მდგარი იცინოდა, იცინოდა, კვდებოდა სიცილით.

ჰო, კიდევ იყო შიშველ ტოტებში გახლართული უფორმო მასა, გაუძლისი ნაღველი, რომელიც წარუხოცელ, მოუშორებელ კვალს უტოვებდა ყველას, თუ ვინმე ხელის მიკარებას მოუნდომებდა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

ჩემს სამყაროში შემოდიოდნენ ადამიანები, ზოგი მათგანი ახლობელიც კი ხდებოდა. მე წამსვე მახსენდებოდა ჭკვიანი მტრის ნახატი, დავათვალიერებდი წრეს, გულმოდგინედ მოვძებნიდი და ბოლოს უთუოდ ვიპოვნიდი ამ ადამიანს. მაგრამ ერთ შშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ჩემს სამყაროს ირიბი, ფრთხილი ნაბიჯებით მოეახლა ვიღაც უცნობი არსება. მე მაშინვე ნახატში დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერ აღმოვაჩი-

ნე. კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ მის მაგივრად ჩემს ჭკვიან, ცინიკურ მტერს მძლავრად მოესვა ფუნჯი წრეში და დაეღვენთა ვარვარა, მზისფერი ლაქა.

. . . . . .

ამიხსენით, ღვთის გულისათვის ამიხსენით, როგორ ვიპოვო სიტყვები, რომლებიც გახსნიან ჩემს სულს. მითხარით, როგორ მიგახვედროთ, რომ დადის ამ ქვეყნად ერთი საოცარი ბიჭი — პატარა უფლისწული და ითხოვს:

— გეთაყვა, დამიხატეთ ბატკანი.

მასწავლეთ, თქვენ მაინც მასწავლეთ — რა არის ველური შიში, აცახცახებულ, შიშველ ნერვებს რომ ასკდება. მითხარით, რას ნიშნავს, როცა უფერული, გამხდარი ბავშვები დგანან ჩამოძენძილ ტირიფქვეშ, ყვითელ, ჭაობიან მინდორზე და ვედრებით შეჰოგლნავიან:

— გვიშველე, ძია...

გავარვარებულ ქალაქში კი დადის პატარა, საოცარი ბიჭი და მოითხოვს დაჟინებით:

— დამიხატეთ ბატკანი!

ხოლო მატარებელი საცაა გავა. და სანამ კიდევ არის დრო, მინდა გიამბოთ ზღაპარი ერთ ბებერ, კანდაშაშრულ ხეზე, რომელიც დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე იდგა ტრიალ მინდორში მარტოდმარტო, იდგა, იდგა და ელოდა.

I

ანის დაბადების დღე

ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად,
ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად...

გალაკტიონი

საღამოობით, ჩვეულებრივ, თუ ლექციებით არა ვარ დაკავებული, ან გადაუდებელი საქმე არაფერი მაქვს, უნივერსიტეტის მეცნიერმუშაკთა სამკითხველო დარბაზში ვზივარ ხოლმე და ვმუშაობ, ძველ პერიოდიკას ვათვალიერებ, მასალებს ვაგროვებ წიგნისათვის — „ორი მკვლელობა“. ვჩქარობ აქვე გაცნობოთ: წიგნი, რომლის დაწერასაც სამომავლოდ ვაპირებ, არავითარ სათავგადასავლო — დეტექტიურ ელემენტებს არ შეიცავს. მასში ლაპარაკი იქნება ორი დიდი მამულიშვილის — დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის გარეწრულ მკვლელობათა შორის მდებარე ოცწლეულზე (1887-1907) და ამ ოცწლეულში გამომჟღავნებულ ეროვნულ-საზოგადოებრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ ტენდენციებზე საქართველოში. იმ დღესაც, ანის დაბადების დღეს, როცა იგი 30 წლისა შესრულდა, ჩვეულებისამებრ ვიჯექი სამკითხველოში, ვათვალიერებდი „ცნობის ფურცლის“ 1904 წლის გაცრეცილ-ჩაყვითლებულ ნომრებს და ველოდი ანის გამოჩენას.

ჩემი მაგიდა სულ ბოლოში დგას, ფანჯარასთან, აქედან მთელი დარბაზი ხელისგულივით მოჩანს. კედლის გამწვდენი მაღალი კარადები გამოტენილია ფრანგული „ლარუსის“, ბროკჰაუზ-ეფრონის, ბრიტანული და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიების ტომებით. ვხედავ ყომრალი ლრუბლებით წაგრაგნილ ცას, ქარისაგან ზანტად დარწეულ კვიპაროსების მუქლურჯ სილუეტებს, მაგიდაზე წახრილ მკითხველთა ზურგებს და მუხის მძიმე, მაღალ კარს, რომე-

ლიც ხშირად იღება და მე ყოველ გაღებაზე სულ მგონია, რომ აი, ახლა შემოვა ანი, ოდნავ შეყოვნდება, დარბაზს მოათვალიერებს, ჩემი მაგიდისკენ გამოიხედავს, იცის, სადაც ვზივარ ხოლმე, დამინახავს, მკრთალად გამიღიმებს და წამოვა მაგიდებშუა, ფრთხილი, ოდნავ გვერდული, იაპონელი ქალის მოკლე ნაბიჯებით. მგონია, თან ვგრძნობ: ამაოა ეს მოლოდინი.

უცებ, ოი, ღმერთო, კვლავ მოისმის ძაღლის განწირული ყეფა და ყმუილი. ყეფს, ყეფს, მერმე წამით იყუჩებს და გაწელავს სულის შემძვრელად: ვუუ... ვუუ... ვუუ... აქ, დერეფნის ბოლოში, ფიზიოლოგიის კათედრის ლაბორატორიაა, უპატრონო ძაღლები ექსპერიმენტებისათვის ჰყავთ დამწყვდეული, როცა დასჭირდებათ, გამოიყვანენ საწყალ ცუგას გალიიდან, გაკვეთენ, აკვირდებიან მის ნერვიულ სისტემას და, უნდა ვიფიქროთ, კაცობრიობას ამდიდრებენ ახალი ფიზიოლოგიური ცოდნით. რა ფერისაა ნეტა საბრალო ცუგა. ძუკნაა, თუ ხვადი? ვის დაეკარგა? პატრონი ხომ არ ენატრება, მისი თბილი ხელის თავზე გადასმა? ან იქნებ გრძნობს მოახლოებულ სიკვდილს და სხეული შიშისაგან უცახცახებს?

ჰო, აი, რა მინდა ვთქვა: ამ ბოლო დროს, უჩვეულო, მანამდე განუცდელი ჭირსახდელი დამემართა: არა, ავად არა ვარ, მაგრამ იქნებ ჯობდეს ავად ვიყო და ის, რაც მაწუხებს, არ მაწუხებდეს? წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ირგვლივ უკიდეგანო, უდასაწყისო და უდასასრულო, ამოუხსავი და ამოუწურავი სიცარიელე სუფევს, დადიხართ ამ თეთრ სიცარიელეში ზუსტად ისე, როგორც ზოგიერთი ფილმის შენელებულ კადრებში დადიან, ხოლო ამაზრზენი სიცარიელე თან დაგყვებათ ყველგან, ყოველთვის და გეტმასნებათ ტანზე, გეკრობათ ტუჩებზე და თვალებზე, რაც ყველაზე აუტანელია, გიძვრებათ სულში, დაეინებით გიძვრებათ სულში და თიმთიმებს დაუსაბამო, ბინძურ სითეთრედ. აი, ასეთი სიცარიელე დამდევს თან ამ ბოლო დროს. რა ჰქვია ამას, რა სახელი უნდა ეწოდოს? როგორ შეიძლება მისი შემოგარსვა, სიტყვიერ ნაჭუჭში მოქცევა? ბევრს ვფიქრობ ამაზე, ვფიქრობ დღეც, ღამეც, მეტროშიც, ტროლეიბუსშიც, კათედრის სხდომაზე, თუ ბიბლიოთეკაში, ასე გასინჯეთ, ლექციის კითხვის დროსაც გამკრავს ხოლმე ქვეცნობიერად, მაგრამ რაიმე დასკვნამდე ვერასოდეს მივსულვარ. აი, ახლაც ძაღლის განწირულმა ყმუილმა კვლავ გამახსენა ჩემი ძველისძველი მოყვარე და უცებ მთელი არსებით ვიგრძენი, რაც ერქვა ამ ბინძურ, თეთრ სიცარიელეს: გარდაუვლად მოახლოებული სიკვდილის შიში, აი, რა ერქვა! დადიხარ და იცი, რომ მალე უნდა მოკვდე. კითხულობ და იცი, რომ მალე უნდა მოკვდე. საუბრობ სახლში, თუ უნივერსიტეტში და იცი, რომ მალე უნდა მოკვდე. იცინი, ხარხარებ და შიგნით კი იცი, რომ მალე უნდა მოკვდე, გაქრე, დაიკარგო სამუდამოდ... არაა მთლად ადვილი ამის გაძლება, მით უმეტეს, თუ უკვე შეგისრულდა ორმოცდაათი წელი.

დარბაზში შუქი აანთეს. მაგიდები, წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით გამოტენილი კარადები ყვითლად ალაპლაპდა, თალფაქიან ნათურებსაც ყვითელი ნიმბი მოევლოთ გარეშემო და მე გამახსენდა ვან გოგის უსასოო მარტოობით გაჟღენთილი სურათი — „ღამის კაფე“, სადაც ბილიარდის მაგიდა ჩემში კუბოს ასოციაციას იწვევდა ყოველთვის.

მუხის მძიმე კარი ხშირ-ხშირად იღება და იხურება, მკითხველები შემოდიან, გადიან, ანი კი არა ჩანს. საკუთარ მიუხვედრელობაზე ვბრაზდები: სადაცაა ათი დაიწყება, რაღა დროს სამკითხველოში მოსვლაა, თანაც თუ დღეობა აქვს ადამიანს? ახლა ალბათ კარგა ხანია სუფრას უსხედან მისი სტუმრები და ილხენენ. ალბათ კი არა, უთუოდ. არის შამპანურების ბათქაბუთქი, გნიასი. მაშ, რაღა საჭიროა ნერვების ტყუილუბრალოდ ფლეთა? დროა

ავდგე და შინ წავიდე. ვფიქრობ ასე, თან მაინც ბუუტავს იმედის ულიმღამო ნაპერწკალი: იქნებ? იქნებ?

ნეტა ამ წუთას რას აკეთებს? სად ზის, ვის გვერდით, რა აცვია? რატომღაც მწვანე, დაფოთლილ კაბაში წარმოვიდგინე, გული რომ ფართოდ აქვს მოღებული. გაცნობითაც, კარგად მახსოვს, მწვანე კაბაში გამოწყობილი გავიცანი ამ წლინახევრის უკან. მოვიდა ჩვენი კათედრის სხდომაზე სიმორცხვით დაბნეული, ალანძული, უმწეო, მომავალი საკანდიდატო ნაშრომის გაფართოებული გეგმა წარმოადგინა, მინიმუმის ჩაბარებისა და თემაზე მუშაობის განგრძობის ნებართვა ითხოვა. მკერდისმიერი მოლაციცე ხმა ჰქონდა, ჩვეულებრივი საუბრის დროსაც გეგონებოდა — მოფერებას მიპირებსო. კილოიან, ჩამუქებულ თვალებში რაღაც იდუმალი, უპასუხო კითხვები ულივლივებდა. სქელი, შავი თმა ხალვათ მორგვად დაემაგრებინა კეფაზე ვერცხლის დიდი სარჭით, გეგონებოდათ — საკმარისია გამოიძროს, თმის ჩქერალი ჩანჩქერივით ჩაეშლება კოჭამდეო.

და მე გამახსენდა შარშანდელი სექტემბერი, მისი დაბადების დღე. აი, აქ, ამ სამკითხველო დარბაზში გვიანობამდე ვისხედით ერთად, ქუჩაში რომ გავედით, ორივე ცახცახმა აგვიტანა, წლევანდელივით ცივი, ბურუსიანი შემოდგომა იყო, მაგრამ ანიმ შინ წასვლა მაინც არ ისურვა და ჩვენ უკაცრიელ კიროვის ბაღში შევყიალდით, ჭადრაკის სასახლის ჩაბნელებულ აივანს მივაშურეთ, ბეტონის ლავგარდანზე ჩამოვსხედით. მოჩანდა „ლურჯი მონასტრის“ ქუფრი სილუეტი, ხახვისგუმბათიანი რუსული ეკლესია და მტკვარგაღმა ქალაქი; რამდენი ყვითელი წერტილი ციმციმებდა თბილად და მიმზიდველად, ჩვენთვის კი არსად, სრულიად არსად იყო თავშესაფარი, სადაც კეთილ, ალერსიან ღიმილს მოგვაშუქებდნენ და ცხელი ჩაით გაგვათბობდნენ. მე ანის ხელები მეჭირა, მას სახე ჩემს გულისპირში ჰქონდა ჩამალული, მაგრამ მაინც ცახცახებდა. მაშინ მე საწვიმარი გავიხადე, მჭიდრად შემოვეფარეთ ერთნი მუხლებზე. ვისხედით ასე დიდხანს, მიუსაფარნი, თუმც კი სულით ხორცამდე ერთნი და ამით ბედნიერნი. მერმე მან მკლავები აიკრიბა, მორგვიდან ვერცხლის სარჭი გამოიძრო, ჩამოშლილ თმებში გამხვია, თვითონაც ჩამეხვია და გამათბო.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი ღამე გაგვიტარებია ამ წლინახევრის მანძილზე, რამდენი სიტკბო და სიმწრით გალიცლიცებული საათი, აი, დღეს კი, კვლავ ანის დაბადების დღეა. თითქმის არაფერი შეცვლილა — არც სამკითხველოს დარბაზი, არც სექტემბრის ტაროსი, ყველაფერი ძველებურადაა, მხოლოდ ანი არ არის ჩემთან. არ მოვიდა. იცის, რა თქმა უნდა იცის, რომ აქ ვეღოდები, მაგრამ მაინც არ მოვიდა და სწორედ ესაა რომ მაფორიაქებს.

ჩვენი ურთიერთობა ასე დაიწყო:

ახლაც არ ვიცი, ბედად და საუბედუროდ, კათედრის გამგემ ანის ნაშრომი, დისერტაციის გაფართოებული გეგმა, მე გადმომცა რეცენზიისათვის და მისი ოფიციალური ხელმძღვანელობაც დამავალა კათედრის სხდომაზე. ნაშრომის სათაურმა დამაინტერესა: „შიო არაგვისპირელისა და ჭოლა ლომთათიძის მხატვრული ოსტატობის საკითხები“. ჩვენში, მოგეხსენებათ, მაინცდამაინც დიდი ტრადიციები არა აქვს მსგავსი პრობლემების კვლევას, მით უმეტეს, იშვიათია ამ თვალსაზრისით ორი მწერლის შეპირისპირებითი, კომპლექსური შესწავლა, ასე რომ, მაძიებელი, გარკვეული თვალსაზრისით, ორიგინალური იყო და როგორც რეფერატის წაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, საკმაოდ ერუდირებულიც.

და აი, ჩვენ, მე და ანი, საპროფესოროში ვსხედვართ. უკვე იცის, რომ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ვარ, თავჩაღუნულია, დარცხვენილი და უმწეო, მაგრამ დროდადრო ისეთი მადლიერებით სავსე მზერას შემომანათებს, ლამის დამაბნიოს და სიტყვა გა-

მიწყვიტოს. რამდენიმე წინადადების შემდეგ მივხვდი: ჩემს წინ ნამდვილი ლიტერატორი იჯდა და მხოლოდ ერთგვარი ბიძგი, გეზის მიცემა სჭირდებოდა, რათა თავისი საქმე რიგიანად ეკეთებინა. მე ვიცი კარგი მსმენელის ფასი. რაკიღა დავრწმუნდი, რომ მართლაც სერიოზული მუშაობა ეწადა, სამომავლოდ ასეთი გეგმა შევთავაზე: კვირაში ერთხელ უნდა მოსულიყო სამეცნიერო დარბაზში (სადაც ახლა ვზივარ და ველოდები!) და დავალება წერილობით, ან ზეპირ ჩაებარებინა. მე აზრს გამოვთქვამდი, მის ნაფიქრალს გავითვალისწინებდი და ახალ დავალებას მივცემდი შემდეგი კვირისათვის. ასე გაგრძელდებოდა, ვიდრე ნაშრომი მეტ-ნაკლებად დასრულებულ სახეს მიიღებდა. რაც შეეხება მინიმუმის ჩაბარებას, ეს საქმე თვითონვე, დამოუკიდებლად უნდა მოეგვარებინა.

ანი სიამოვნებით დამეთანხმა, დღეც შევარჩიეთ — ხუთშაბათი. ეს იყო ზუსტად წლინახევრის უკან. ვისხედით საპროფესოროს შინდისფერ სავარძლებში. მოპირდაპირე კედელზე ეკიდა ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი, ხოლო კუთხეში იდგა დიდი სარკე, რომელშიც ჩანდა მწვანეკაბიანი ანის ოდნავ წამოხრილი ბეჭები და კეფაზე ვერცხლის სარჭით ხალვათად დამაგრებული შავი თმის მსხვილი მორგვი. ვხედავდი საკუთარ თავსაც: შუბლზე ჩამოვარცხნილ თხელ, თეთრ თმას, შეჭაღარავებულ წარბებს, შესიებულ უპეებს, მოღლილ თვალებს და ოდესღაც ვნებიან, აწ ჩათეთქვილ ტუჩებს... თქმა არ უნდა, ბებერი ვიყავი!

. ნელა გავშინაურდით. ანის არასოდეს ავიწყდებოდა, ან განგებ არ ივიწყებდა, რომ შეგირდი იყო და მეტი არაფერი. უსაშველო რიდით მეპყრობოდა, ყურადღებადქცეული მიმზერდა ჩაბინდული, მადლიერი თვალებით, რომლებშიც მუდამ რაღაც იდუმალი კითხვები ულივლივებდა, მაგრამ მეტწილად დუმდა, ძლივს ვაღებინებდი ხმას. კარგა დრომ გაიარა, ვიდრე ქალურ ხიბლს ძალზე ფრთხილად, დახვეწილად გამოაჩენდა, გამოხედვაში მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილ სითბოს ჩაიყენებდა, მკრთალი ღიმილიც საჩემო იქნებოდა და ხმის მოალერსე ინტონაციაც. ახლა ძნელია თქმა, როგორ მოხდა, რომ მერმე და მერმე, ჩვენ კვირაში ერთხელ კი არა, ორჯერ, სამჯერ და ზოგჯერ ყოველდღეც ვხვდებოდით ერთმანეთს. იქნებ სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი? არ ვიცი, ვერ ვიხსენებ.

ანი ხარბად ნთქავდა ლიტერატურას, რასაც მე ვუსახელებდი, თან სულ წუწუნებდა: „ღმერთო ჩემო, სად ვიყავი აქამდე? რამდენი დრო დამიკარგავს უქმად“. ჩვენი საუბრის თემა, უმთავრესად XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული პროცესები გახლდათ (სხვათა შორის, სწორედ ამ საუბრის დროს გამიჩნდა იდეა წიგნისა — „ორი მკვლელობა“.). ვცდილობდი, ანი ბოლოძდე ჩაწვდომოდა სიღრმეს იმ აზრისას, რომ XIX საუკუნის ლიტერატურა იყო კლასიკურად დასრულებული გამოხატვა ადამიანისა და საზოგადოების კონფლიქტისა, XX საუკუნემ კი დიდი ძალითა და დაჟინებით წამოაყენა კიდევ ერთი და ალბათ უმთავრესი კონფლიქტი: ადამიანისა საკუთარ თავთან.

ამ საუბრებმა და თითქმის ყოველდღიურმა ურთიერთობამ ისე დაგვაახლოვა და გადაგვაჯაჭვა, რომ კოშმარულ სიცარიელედ მიგვაჩნდა დრო, როცა ერთმანეთს ვერ ვნახულობდით.

ასე გაიარა ტანჯვითა თუ სიხარულით აღსავსე წელიწადნახევარმა, აი, დღეს კი, ანის დაბადების დღე იყო. მე, ჩვეულებისამებრ, ვიჯექი უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში, ველოდი მის მოსვლას, ცხრა საათი ხდებოდა, ხოლო იგი არ ჩანდა და არა! იმედი საბოლოოდ გადამიწყდა, უგულისყუროდ ვათვალიერებდი „ცნობის ფურცელს“, მივხვდი, რომ ცდას აზრი აღარ ჰქონდა. მაგიდა მოვაწესრიგე, გაზეთიდან ამონაწერები უჯრაში შევინახე, ბიბლი-

ოთეკარს ვთხოვე — კომპლექტი ჯერ არ ჩააბაროთ საცავს. ერთხანს კიდევ დამჭირდება-მეთქი, დავემშვიდობე და გამოვედი.

მიყვარს ბიბლიოთეკის ის მოკლე დერეფანი, რომლითაც უნივერსიტეტის ვესტიბიულში გავდივართ. ერთმანეთზე დაწყობილი კატალოგების ყვითელი ყუთები რაღაც განსაკუთრებულ ინტიმს და სიმყუდროვეს ქმნიან, თითქო სპეციფიურ სუნსაც გამოსცემენ საღამოობით, როცა ხალხი ცოტაა. ყუთებშუა პატარა მაგიდები და სკამები დგას, აქ შეგიძლია დაჯდე და ფურცლო კატალოგის ბარათები, ანდა ახალგამოცემული წიგნების სტენდი ათვალიერო, ხელს არავინ შეგიშლის. ზოგჯერ მე და ანი სწორედ აქა ვსხდებით ხოლმე და ხმადაბლა ვსაუბრობთ, თან საჭირო წიგნების, ან პერიოდიკის ინდექსებს ვიწერთ საცავის ბლანკებზე, მაგრამ დღეს ანი არ მოვიდა.

შადრევანზე, ფანჯარასთან, წყალი დავლიე და ის იყო ეზოში უნდა გავსულიყავი, რომ კედელზე, განცხადებებთან, ტელეფონ-ავტომატი მომხვდა თვალში. მაშინვე გამიელვა აზრმა, რომლის ალაგმვა ვერ შევძელი. სწრაფად ავიღე ყურმილი, ორკაპიკიანი ჩავდე და ანის ნომერი ავკრიფე. არ ვიცოდი რას ვეტყოდი, ან ის რას მიპასუხებდა, ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა, მისი ხმის გაგონება მინდოდა მხოლოდ. დაკავება მომცა. ისევ ავკრიფე. დაკავება. ერთხელაც ვცადე, ახლაც არაფერი გამომივიდა. ვინ ლაპარაკობს ამდენს, რას ლაპარაკობს? დღეობა ალბათ ეშხშია შესული, სადღეგრძელოები, სიმღერები, ჩართულია მაგნიტოფონი, ვისღა სცალია ტელეფონზე ამდენ ხანს სალაპარაკოდ? კვლავ ვცადე. ამაოდ. გულგასივებულმა ჩამოვკიდე ყურმილი და ქუჩას მივაშურე.

გაწვიმებულიყო. ვიდექი უნივერსიტეტის წინ, ბებერი ჭადრის ქვეშ, გაჩერებაზე და უნიათოდ ვფიქრობდი რა გამეკეთებინა, საით წავსულიყავი. დაცლილი, გამოფიტული ვიყავი, მაწვიმდა, მციოდა კიდეც, ახლა ცხელი აბაზანის მიღებას, ლოგინში ჩაწოლას, გარინდებას და ფიქრს არაფერი ჯობდა და მეც გულმა შინისაკენ გამიწია, მაგრამ როგორც კი წარმოვიდგინე სასტუმრო ოთახში მთელი ხმით აღრიალებული ტელევიზორი, სახლში წასვლის სურვილი უგზოუკვლოდ გამიქრა.

მიწისქვეშა გადასასვლელით ქუჩის მეორე მხარეს გადავედი და ჩემი სახლის საწინააღმდეგო მიმართულებით, რუსთაველის პროსპექტისაკენ წავყიალდი. გულწრფელი თუ ვიქნები, უნდა ვთქვა, მხოლოდ ტელევიზორი არ ყოფილა სახლში წაუსვლელობის მიზეზი. ქვევით, პროსპექტის ბოლოში, მეტროსთან, სულხან-საბას ქუჩაზე ანი ცხოვრობს და რაღაც ქვეცნობიერი ინსტინქტი მეწეოდა იქით.

ნელი წვიმა მუდამ ნაღვლიან გუნებაზე მაყენებს, ძველი თუ ახალი მოგონებანი ერთმანეთში ამერევა ხოლმე, ათასი გახუნებული სურათი იძენს ოდინდელ ფეროვნებას და მკაფიოდ მიდგება თვალწინ. ჩემმა ბავშვობამ აქ გაიარა, ვაკეში, ყოფილ ვეტერინარულ ინსტიტუტთან პაწია ქუჩაა ერთი, ატენის ქუჩა, იქ დავიბადე და გავიზარდე დაბალ, ხეებით ჩაბურულ მწვანე სახლში. მაშინ ჭავჭავაძის პროსპექტს მარის ქუჩა ერქვა, ერთმანეთს გრძლად მიჰყვებოდა წითელი აგურის კოპწია სახლების რიგი, ხოლო ეზოებში იდგა ალუბლის, ბროწეულისა და ლეღვის ხეები, ვაზის ტალავრები მუქად ჩრდილავდა ტროტუარებს. დიდი, დიდი ხნის წინათ იყო ეს, ახლა აღარც სადმე ჩემი სახლია, აღარც ბაღჩა-ბაღიანი ეზოები, ხოლო ჭავჭავაძის პროსპექტი ქვის პირქუშ, მაღალ სახლებშუაა მოძწყვდეული. გაქრა, განქარდა გარდასულ დღეთა სურნელება, ახლა მე ორმოცდაათი წლისა ვარ, თმაზე კარგა ხანია დამათოვა, ვიცხოვრე, ვივაგლახე, მუდამ რაღაცას ვაკეთებდი, ან, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი მეკეთებინა, მაგრამ როცა ორმოცდაათისა მოვიყარე, აღმოჩნდა, რომ ცხოვრება თი-

თებშუა ჩაბნეულ ქვიშასავით გამპარვია, გაკეთებითაც, ვაგლახ, არაფერი გამიკეთებია, ხოლო ამის საფასედ, როგორც მოსალოდნელი იყო, უქმად ჩავლილი ცხოვრების მტანჯველი შეგრძნება და მარტოობისა და მიუსაფარობის მსახვრალი განცდა მომიმკია მხოლოდ.

მივლასლასებდი წვიმაში, ასფალტი შავად ლაპლაპებდა, პაწია გუბურებში ირეკლებოდა წითელ-მწვანე რეკლამების შუქი, გამვლელი ცოტა იყო, მანქანები დაქროდნენ ბორბლების შხრიალით. სასტუმრო „საქართველოს“ პირველ სართულზე, დიდი, ოვალური ფანჯრების მიღმა, განათებული, ხალხით სავსე რესტორანი ჩანდა, ისმოდა მუსიკის ხმა, ყრუ ბუბუნი. უცებ მომინდა შესვლა, სადმე კუთხეში დაჯდომა მარტო და ღვინის დალევა, ისე, რომ აღარ მეგრძნო უქმად, ამაოდ ჩავლილი ცხოვრების სიმწარე, არც თეთრი სიცარიელე მეგრძნო, საერთოდ აღარ მეგრძნო არაფერი, თავი მკლავებზე დამედო და დამეძინა მაგრად, სამუდამოდ... ძალიან მომინდა ამის გაკეთება, მაგრამ არ ავყევი ცდუნებას, გზა გავაგრძელე. ასე ჩავედი „ზემელამდე“. სულ ახლახან აქ დიდი რეკონსტრუქცია ჩატარდა, ძვირფასი, ბავშვობიდან ნაჩვევი დალმართი, თავისი მყუდრო აფთიაქითა და ბაღით, უკვალოდ გაქრა, ხოლო მის მაგივრად ხახაშკმული, ბნელი გვირაბი გაჩნდა, მელიქ-აზარიანცის სახლის უკან კი — დიდი მოედანი. ჩემი ბავშვობის თბილისს კიდევ ერთი ბზარი გაუჩნდა, თითქოს მოხუცი სახლიდან ამ სახლივით მოხუცი, კეთილშობილი როიალი გაიტანეს და მის მაგივრად ახალი, ჭყეტელა, თვალის უსიამოვნოდ მომჭრელი ნივთი დადგესო.

წვიმს, ვდგავარ რუსთაველის ძეგლის წინ სველი, შეციებული, გავცქერი თითქმის ცარიელ პროსპექტს, რა ვქნა ახლა, საით წავიდე? ანი ერთადერთი ადამიანია, ვისი ნახვაც შემიძლია და მინდა, მაგრამ როგორ, რანაირად? წინ ვიღაც ხელჯოხიანმა გამიარა ტაატით, პატარა მოედანი გადაჭრა და კინოს სახლის უკან, გაბაშვილის ქუჩაზე გაუჩინარდა. თვალი გავაყოლე, მეხსიერებაში ცხადად აღმიდგა ერთი, დიდი ხნის წინანდელი სურათი: მე და ჩემი მეგობარი უნივერსიტეტიდან მოვდიოდით. სწორედ აი აქ, ამ ადგილას, სადაც ახლა ვდგავარ, გამაჩერა და კოჭლობით მიმავალ, ზონზროხა კაცზე მიმანიშნა, რომელსაც ხელში იორდასალამების თაიგული ეჭირა: ნიკო სამადაშვილიაო! მე მაშინ არაფერს მეუბნებოდა ეს სახელი და გვარი, არ ვიცოდი, რომ ნიკო სამადაშვილი, ბუღალტერი, გაწამებული ღამეების პირისპირ ეულადშთენილი, დიდებულ ლექსებს წერდა. ეს მერმე გავიგე, გვიან, როცა თავზარდამცემი სტრიქონები წავიკითხე: „შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი“... მაშინ კი მეგობრის ნაამბობმა გამაოგნა: როცა მათს გაპარტახებულ ოჯახთან, მიზეზისა გამო სხვათა და სხვათა, ხალხი უბრალო საუბარსაც კი გაურბოდა, შებინდებულში მიადგებოდა თურმე მანქანით მათ სადარბაზოს ნიკო სამადაშვილი, გადმოსცლიდა სურსათ-სანოვაგეს, ფულსაც დაუტოვებდა ჩემი მეგობრის უფროს დას და მოჩვენებასავით მოსული, გაქრებოდა მოჩვენებასავით. ასე გრძელდებოდაო წლების მანძილზე, — დაასრულა მეგობარმა და ასე ვნახე პირველად და უკანასკნელად ჭეშმარიტად დიდი პოეტი, რომელსაც თავისი ერთი სტრიქონიც არ უნახავს დასტამბული. „შენ კი იდექი მანდ გლახასავით, უცქირე ხალხის ბედნიერებას და უკაკუნე კოდალასავით ვრცელ და ფუტურო ქვეყნიერებას“... აუჰ, როგორ მომინდა, რომ ახლა, ამ წვიმაში, ნიკო სამადაშვილი ყოფილიყო ჩემს გვერდით, მკლავგამოდებული ჩავყოლოდით პროსპექტს, გვეკითხა ლექსები და ასე გათენებულიყო ცივი, წვიმიანი ღამე, იქნებ გათენებულში მაინც გამოჩენილიყო რაიმე საშველი. ნიკო სამადაშვილი, ანი და მე... რა იქნებოდა, ერთად რომ ვიყოთ ახლა? ალბათ ნიკო დაიჩემებდა — ჩავიდეთ სადმე, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ,

ანის დაბადების დღე მივულოცოთო. ამასობაში, ლაღიძის წყლების პირდაპირ რესტორანი „დარიალი“ გამოჩნდა და მე ბევრი აღარ მიფიქრია, გულდაგულ ჩავყევი სარდაფის კიბეს.

რესტორნების არც სიყვარულით გამოვირჩევი და არც ცოდნით. მე, ჩემდა საუბედუროდ, მარტოკაცი ვარ, ხოლო მარტოსულმა ადამიანმა წადი და იარე რესტორან-რესტორან, ისიც საქართველოში, ისიც თბილისში. „დარიალი“ შორეული სტუდენტობის მერმე აღარ მენახა, განცვიფრებისაგან კინაღამ ენა ჩამივარდა, როცა კიბეები ჩავამთავრე, დარბაზში შევედი და უცებ ფიროსმანის სამყაროში აღმოვჩნდი. კედლიდან მიმზერდნენ ალალი, ნაღველჩატბორილი თვალები ორთაჭალის ტურფისა — მტრედი რომ აზის მხარზე, წითელპერანგა მეთევზისა, დათვისა — მთვარიან ღამეში, წყაროზე მიმავალი ბალღებიანი ქალისა, სამი მოქეიფე თავადისა, აქტრისა მარგარიტასი, დაცქვეტილი ირმისა, მეეზოვისა... და თუმცა ღვინოს არ ვეტანები და, როგორც გითხარით, არც რესტორნებში დავდივარ, საოცრად მშობლიურ გარემოში ვიგრძენი თავი. თითქო ნიკო სამადაშვილიც აქ მეგულებოდა, ჩემს გვერდით, წინგამოწვდილ ხელში იორდასალმები ეჭირა და იღიმებოდა ოდნავ შეჭმუხნილი.

ნება-ნება ვსვამ ფუცხუნა, მომჟავო შამპანურს. რამდენიმე ჭიქის შემდეგ რაღაც გამილღვა შიგანში, უჩვეულო სიმსუბუქე და სიხალვათე ვიგრძენი. კი, ნამდვილად, მე ვიყავი ეს, ოთარ ნეიძე, თეთრი, შუბლზე ჩამოვარცხნილი თმითა და ჭაღარა, სქელი წარბებით, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მონოგრაფიებისა და სტატიების ავტორი XIX-XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი. მის სიტყვას ენდობიან და ანგარიშს უწევენ კომპეტენტურ წრეებში, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სტუდენტების პატივისცემაც არ აკლია, ლექციების მერმე აჩერებენ ხოლმე მოკრძალებით, თავიანთ, ჯერ კიდევ მოუმწიფებელ მეცნიერულ ჰიპოთეზებს უზიარებენ, ანდა საკუთარ ლექსებსა და მოთხრობებს აძლევენ წასაკითხად და გულის ფანცქალით ელიან პასუხს, ვითარცა განაჩენს. გარდა ამისა, სხვა, წმინდა წყლის ცხოვრებისეულ საკითხებზეც სთხოვენ ხოლმე რჩევა-დარიგებას. დიახ, ეს ოთარ ნეიძეა, საკმაოდ ცნობილი მეცნიერი, რომელიც თურმე სავსეა ხალისითა და შრომის უნარით, ნაირნაირი ლიტერატურული გეგმებითა და მიზნებით. ასე იცნობენ მას, სინამდვილეში კი ერთი უკიდურესად აწეწილ-აფორიაქებული, მარტოობის ჯვარზე მილურსმული ორმოცდაათი წლის მამაკაცია, რომელიც ახლა, ანის დაბადების დღეს, რესტორან „დარიალში“ ეულად ზის და შამპანურს შეექცევა მის სადღეგრძელოდ.

რატომღაც ედგარ პო გამახსენდა, მისი „ლიგეა“ და მისი ვირჯინია. ...ვირჯინია, ერთადერთი უსაყვარლესი ადამიანი ამ ქვეყნად, ჭლექით მოუკვდა ედგარ პოს მივარდნილი სოფლის გამოცარიელებულ სახლში. მაშინ უკვე ყველაფერი გაყიდული ჰქონდათ. ქალი იატაკზე გაფენილ თივაზე იწვა, ქვეშ ქათქათა, თეთრი ზეწარი ეგო და ძველი, დახეული პალტო ეფარა. ვირჯინიას მერმე ედგარ პომ მხოლოდ ორი წელი იცოცხლა, საშინლად იტანჯებოდა, ლოთობდა, უგზოუკვლოდ დაეხეტებოდა, სხვა ქალებთან ურთიერთობაც სცადა, მაგრამ ვირჯინია ერთადერთი იყო და შეუცვლელი, ყველა ქალში მას მხოლოდ ვირჯინია ელანდებოდა და სწორედ მაშინ დაწერა უმშვენიერესი „ლიგეა“ — მისტიციზმითა და მოურჩენელი ნაღველით სავსე ნოველა. ორი წლის შემდეგ ედგარ პოს უცხო, მტრულად განწყობილი ადამიანები ასაფლავებდნენ. მათ მძიმე, უხეშად გაჩორკნილი ქვა დაადგეს გულზე პოეტს, ქვამ საკუთარ სიმძიმეს ვერ გაუძლო, შუაზე გადასკდა, ხოლო გაზაფხულზე ამ ნასკდომში მინდვრის ყვავილებმა

ამოჰყვეს თავი. მალე საფლავი მაღალი, ხასხასა ბალახით დაიფარა...

„ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი, როცა საუბარი ედგარ პოეზეა“, — ვჩურჩულებ, ჭიქა ბაგესთან მიმაქვს და თითქო ვხედავ კიდეც — როგორ ვიღიმები ირიბად, ირონიულად. კედელთან ვზიავარ. თეთრი ცხვრის ფარა სადღაც ბნელი შორეთისაკენ მიემართება. ხელი ავწიე და ერთ განაპირა ცხვარს შევეხე. „ეს მე ვარ, ბატონებო“, — ვამბობ გულში, მიგვერეკება ვიღაც უხილავი მწყემსი მღვრიე, უდასასრულო შორეთისაკენ და ჩვენც მივდივართ, მივჩაქჩაქებთ მორჩილად, უდრტვინველად. მაინც, რა უცნაური კაცი იყო ეს ფიროსმანი! ყველა მის პერსონაჟს, სულერთია, მოქეიფეები იქნებიან თუ მეეზოვე, ცხოველები, თუ ორთაჭალის ტურფა, ყველას ისეთი უსასოო ნაღველი აქვს თვალებში, მათ შემხედვარეს სული შეგეხუთება, სიყვარულის, სინაზისა და სიბრალულის ხაოიანი ბურთი მოგაწვება ყელში.

ჩემ გვერდით მაგიდასთან ვიღაც ახალგაზრდები ისხდნენ, შერეულად, რუსულ-ქართულად ლაპარაკობდნენ, ერთ მათგანს, წვეროსანს, სათვალიანსა და ძალზე გამხდარს, გვერდით გიტარა ედო, ალბათ მსახიობი იყო ესტრადისა, რადგან უჩვეულო, წითელი ფრაკი ეცვა. ცოტა ხანში მან გიტარა მოიმარჯვა და სიმღერა დაიწყო. ვლადიმირ ვისოცკის სიმღერას მღეროდა, ხმაც მასავით ზრინწიანი ჰქონდა, დაბეჟილი, გადამეტებით ბაძავდა კიდეც, მაგრამ ძლიერი შინაგანი განცდითა და ზუსტი ინტონაციით კი მღეროდა. სიმღერაში ყვითელ ქარზე, თბილ წვიმებზე, გაწუწულ იასამანზე იყო ლაპარაკი, რასაც სასოწარკვეთილი ამოძახილი მოჰყვა:

«Живешь заколдованном, в диком лесу, откуда уйти невозможно»

„...რაღაც მდუღარე გადამევლო გულზე,ამაწრიალა . ეს იყო გაბმული კვნესა კაცისა, რომელიც მოჯადოებულ წრეში მოქცეულა, იქით-აქეთ ეხეთქება, დაჟინებით ეძიებს გამოსავალს — ვერ პოულობს, მაგრამ მაინც ყვირის «Соглашайся хотя-бы на рай в шалаше, если терем с балконом кто-то занял».

სიმღერა შეწყდა. მაგიდებზე აქა-იქ ტაში დაუკრეს, მაგრამ წითელფრაკიანს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, მე კი ვხედავდი ჩემ თავს: ისეთი გამომეტყველებით ვიჯექი, თითქოს ვიღაცას მოულოდნელი ალიყური ეჭმიოს. მართლაც ამეწვა მარჯვენა ლოყა. რა იყო ეს — სირცხვილი? რა იყო ეს — ტკივილი? რა იყო ეს — უილაჯობა, თუ სამივე ერთად? მწარედ გამეღიმა. რა გინდა, რომ ჰქნა კაცმა? მე ხომ ვიცოდი, კარგად ვიცოდი, ანი სიხარულით იკმარებდა პაწია ქოხის სამოთხეს, მაგრამ მე? მე თუ შემიძლია მისთვის ამ პაწია ქოხის აშენება? ა, რთარ, როგორ გგონია, შეგიძლია? არა, არ შეგიძლია და ამიტომაც არა გაქვს უფლება ანის სიყვარულისა, გასაგებია, ბატონო ჩემო?

ერთხანს მილულული ვიჯექი, ცხადად ვხედავდი ანის ცრემლებჩამდგარ თვალებს, უსიტყვო, საყვედურიან გამოხედვას და ისე მომინდა მისი ხმის გაგონება, ლამის ერთიან გავიყინე აღელვებისაგან. მეგარდერობეს მუჭში ჩავუყარე ხურდა და კიბეზე კი არ ავედი, ავირბინე. უკვე გვიან იყო, თორმეტი სრულდებოდა, ისევ წვიმდა — გამაბეზრებლად, ცივად, პროსპექტზე აღარავინ ჩანდა, ახლა ერთ სურვილს ვყავდი აყვანილი და გაჩქარებით მივაბიჯებდი ქვევით, მეტროსკენ. ჩავუარე ოფიცერთა სახლს, ჟვანიას ფოტოგრაფიას, რომლის ვიტრინაში ნაბადმოსხმული გალაკტიონის სურათია გამოკრული, კავშირგაბმულობის სახლს, პირველ სკოლას, მთავრობის სასახლეს და მეტროც იქვე იყო. გუშინ მე და ანი სწორედ აქ დავცილდით ერთმანეთს. ჩამოვედით ფასანაურიდან, სადგურ „დიდუბეში“ ჩავსხედით მეტროში, მთელი გზა უსიტყვოდ ვიარეთ და აქ ამოვყევით ესკალატორს. აი, აქ შევჩერდით, სადაც ამ წუთს ვდგავარ, ვგრძნო-

ბდი, აუცილებელი იყო რაღაცის თქმა და ეს რაღაცა მე უნდა მეთქვა უთუოდ, მაგრამ ისე ვიყავი დაძაბრებული, დანა კრიჭას ვერ გამიხსნიდა და ვდუმდი, ვდუმდი ჯიუტად. მერმე ანი წავიდა. ერთხანს მიყურა მომლოდინე მზერით, მერმე მოლოდინი საყვედურმა შეცვალა, უსიტყვო საყვედურმა, და წავიდა ისე, რომ ვერაფრის თქმას ვერ ეღირსა. ასე დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა იმ დასაწვავ ფასანაურში გუშინ, ხოლო დღეს, თავის დაბადების დღეზე, არ მოვიდა და არ მნახა. რა ვქნა ახლა, რა ვიღონო? კიბეებთან ტელეფონ-ავტომატების მთელი მწკრივი იყო. ჯიხურში შევედი, აპარატში მონეტა ჩავდე და სწრაფად ავკრიფე ნომერი. კარგად დაყენებული, მშვიდი, თვითდაჯერებული ბარიტონი ჩამესმა:

— ალო, გისმენთ!

ვდუმვარ.

— ხმა ამოიღე, ვიღაცა ხარ! — ბარიტონს გაღიზიანება დაეტყო.

ჯიხურიდან გამოვედი და მივიხედ-მოვიხედე. მეტრო თავისი სტომაქიდან დროდადრო ანთხევს ადამიანებს, მერმე კვლავ სულისშემხუთველი, წვიმით დაქსელილი სიცარიელე ისადგურებს. რა ვქნა, კიდევ დავრეკო? არა, არ შეიძლება. ალბათ ვერ ახერხებს ანი ტელეფონთან მოსვლას. ის რეგვენი ბარიტონი ვინ იყო, ნეტა? არ ჰგავდა მამის ხმას. ეჭვიანობის ბირდაბირი წაღმა-უკუღმა მხერხავს, არ მინდა ამაზე დაფიქრება, მაგრამ მაინც მებურღება ტვინი. სტუმრად ხომ არ წავსულიყავი სადმე? მაგრამ არის კი ამ უზარმაზარ ქალაქში თუნდაც ერთი სახლი, სადაც ჩემი მისვლა მართლა გაეხარდებათ? ვიგონე, ვიგონე და ვერავინ მოვიგონე. წყეულიმც იყოს ის დღე, როცა ჩვენ ფასანაურში წასვლა გადავწყვიტეთ. ფასანაური რომ არა, დღეს ყველაფერი ძველებურად იქნებოდა და ანისაც უსათუოდ ვნახავდი. ფასანაურში წასვლამ და იქაურმა სასტუმრომ არივდარია ყველაფერი. კიბეებზე ავდივარ. მარჯვენა მხარეს პიონერთა სასახლის ბაღია, ხოლო ბაღის შემდეგ, იქვე, ხელმარცხნივ, სულხან-საბას პატარა ქუჩაა. სახლი, რომლის სადარბაზოს შესასვლელში ამოტვიფრულია Salve ხოლო შესასვლელს აქეთ-იქიდან სვეტებად უდგანან მარმარილოს ქალი — კარიატიდები. აი აქ, მეორე სართულზე ცხოვრობს ანი. მაღალ, თაღოვან ფანჯრებში, მძიმე პორტრეტების ღრეჩოებიდან შუქი გამოკრთის, ესე იგი, არ ძინავთ ჯერ, გრძელდება დღეობა. იქნებ მომეცადა? სტუმრები რომ დაიშლებიან, ანი უთუოდ ჩამოაცილებს მათ და შორიდან მაინც შევავლებ თვალს, წამით. იქნებ სულაც ავსულიყავი მეორე სართულზე, დამერეკა ზარი გამოგებებულ ანისათვის მიმელოცა დაბადების დღე და გამოვბრუნებულიყავი მაშინვე. იქნებ შევსულიყავი კიდეც? სტუმარი აკი ღვთისაა, ვის არ მიუღია, ვის გამოუგდია სტუმარი? მით უმეტეს, რომ დამხვდურთა უმეტესობა, დარწმუნებული ვარ, მშვენივრად მიცნობს. ა? რას იტყვი, ოთარ ნეიძევ? არა, ასე ვერ გავიმეტებდი ანის. შუბლი მარმარილოს კარიატიდის შიშველ, ცივ წვივს მივადე. იდგა იგი ამაყი, მშვიდი, მკვრივი ძუძუები და ხორციანი მკლავები ჰქონდა, დამცქეროდა მის წვივზე მიხუტებულს და თითქოს მეუბნებოდა: „წადი შენს გზაზე, ოთარ ნეიძევ, ტუტუცო ბებერო, დაანებე თავი, გზას ნუ უბნევ ანის, რაღა დროს შენი სიყვარულია, სამარეში გიდგას ცალი ფეხი. წადი, ოთარ ნეიძევ, წადი!“

. . . . . .

აი, 16 სართულიანი თეთრი ხუხულა, რომელიც ჩემი ძველი სახლის მაგივრად დადგეს ატენის ქუჩაზე. ლიფტში შევდივარ და მეთექვსმეტე სართულის ღილაკს ვაწვები. დაქანცული და გვემული ვარ, ერთადერთი ნატვრა მაქვს: ოჯახის წევრები დაძინებული დამხვდნენ, რომ განმარტოება მოვახერხო, იქნებ რისამე წაკითხვაც შევიძლო, თუ გონება მოვიკრიფე და გული დავუდე; ჭრილში ფრთხილად ვაცურებ გასა-

ღებს. შუქი ყველგან ჩამქრალია, რა-ლაცნაირი, ჩახუთული, თბილი, მძიმე სუნი მეგებება. ფეხაკრეფით მივემარ-თები ჩემი სამუშაო ოთახისაკენ, სადაც მძინავს კიდეც, მაგრამ დედაჩემის ხრი-ნწიანი ძახილი ადგილზე მაქვავებს:

— ოთარ! ოთარ, შვილო!

მის ოთახში შევდივარ, სინათლეს ვანთებ. ძვალტყავა, ჩონჩხადქცეული დედა ბალიშზე მისვენებულა, გაწეწი-ლი მორუხო თმა მოჩვენებას ამსგავ-სებს, ცივი, უაზრო თვალებით შეჰყუ-რებს ჭერს, დუმს.

— რა იყო, დედიკო?

გახევებული გამომეტყველება ოდნა-ვადაც არ შეცვლია.

— არაფერი.

— აბა რატომ მეძახდი?

პაუზა.

— არ ვიცი. .

— კარგი, დედიკო, მაშინ დაიძინე, — ვუთხარი ალერსით.

— არ მეძინება, არა! — გაანჩხლდა უცებ.

— რა ვქნათ, აბა?

— არ ვიცი!

მასთან ლაპარაკი, საუბედუროდ, უნაყოფოა. მესამე წელი სრულდება, რაც ღრმა სკლეროზი სჭირს, ლოგინი-დანაც აღარ დგება. მივედი, შუბლზე ვაკოცე. გაჩეჩილი თმა გავუსწორე, მძაფრად შევიგრძენი მისი ბებრული, ძვირფასი, მშობლიური სუნი. რა მეთ-ქვა? შუქი ჩავაქრე და კარი გამოვიხუ-რე.

— ოთარ, ავდგები, ჩაის გაგიცხელებ, — გამომძახა თავისი ოთახიდან ბელამ ნამძინარევი ხმით.

— არ მინდა, რა დროს ჩაია.

— რატომ დაგაგვიანდა?

გავლიზიანდი.

— ცოტა გავიარე. რაო, არ შეიძლე-ბა?

— ვინ გითხრა არ შეიძლებაო? — ბელამ დაამთქნარა და ლაპარაკიც ამით დამთავრდა.

საწერ მაგიდაზე საღამურ ნათურას ვანთებ და საკარძელში ვესვენები. სა-ფეთქლები მიშხუის, თვალები მეწვის, აშკარად ვერა ვარ კარგად, ალბათ შამ-პანურმაც იმოქმედა. ახლა დაწოლას და ძილს არაფერი მიჯობს, მაგრამ ეს ბუნებრივი პროცესი ჩემთვის ჯოჯოხე-თად არის გადაქცეული, რადგან, აღარც მახსოვს მერამდენე წელია, საშინელი უძილობა მტანჯავს, ხოლო თუ მოხდა სასწაული და ჩამეძინა, ბოსხი, გოიას „კაპრიჩოები“ და სალვადორ დალის სიურეალიზმი მოგონილია, ისეთ კოშ-მარებს ვხედავ სიზმარში. მერმე გახ-ვითქულსა და ერთიან გასავათებულს მეღვიძება და მშვიდობით ძილო, დი-ლამდე ვარ ბუსავით თვალებდაჭყეტი-ლი. მგონი ინოკენტი ანენსკისა აქვს:

«Сила господняя с нами, с нами измучен я с нами».

ვიგრძენი, რომ დიტო ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ლოჯიაში, სადაც მისი სა-წოლი დგას, ლოგინი მართლაც ხელუხ-ლებელი დამხვდა. ამან სულ მომიღო ბოლო, კვლავ საკარძელს დავუბრუნდი ჩემს ოთახში. საკვირველია, როგორ შე-ეძლო ბელას დამშვიდებული ძილი, როცა დიტო, ეშმაკმა უწყის, სად დაწა-ნწალებდა. მაგრამ ეს ხომ პირველად არ ხდება, ასე მეორდება ვინ იცის, რა-მდენი ხანია და ბელაც შეეჩვია ძალა-უნებურად, სხვა რა გზა ჰქონდა. და მაინც, რატომ იგვიანებს ასე ხშირად დიტო? სად დადის, რას აკეთებს, რას ფიქრობს, ან ლაპარაკობს? ვისთან აქვს ურთიერთობა? საერთოდ, როგორი კა-ცია? ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა გა-მოვტყდე, არ ვიცი. რაც უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და სამსახუ-რში ჩადგა (მეოთხე წელია მშენებელი-ინჟინერი გახლავთ), სულ გაგარეულდა და ის ძაფებიც დაუნდობლად დაწყვი-ტა, რაც მანამდე სუსტად, მაგრამ მა-ინც გვაკავშირებდა ერთმანეთთან. და განა მარტო დიტო? ხშირად ვფიქრობ და მგონი არც უსაფუძვლოდ, რომ ინ-გაც მხოლოდ საკუთარი ინტერესები-თა და მიდრეკილებით ცხოვრობს, საე-რთო ჭერი და კედლები გვაერთიანებს,

მეტი არაფერი. როდის დაიწყო ეს? ვინაა დამნაშავე? იქნებ დამნაშავეც არაკინაა, უბრალოდ, ასე იყო, ასე არის და ასე იქნება.

საწერ მაგიდაზე გატენილ საქაღალდეებს ვათვალიერებ. უამრავი მასალაა ჩემი სადოქტორო დისერტაციისათვის, „ორი მკვლელობისათვის“, ჩანაწერები, ამონაწერები, კონსპექტები, გეგმები, ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან. იქნებ მემუშავა, ოდნავ მაინც წამეწია საქმე წინ, დიტოს მოლოდინში? არ შემიძლია, ჩემს ძალ-ღონეს აღემატება ახლა დაუნჯებული, ჩაღრმავებული ფიქრი, წერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საბედნიეროდ ლიფტის ხრიალი ისმის და გულის კანკალით ველოდები, ჩვენს სართულზე გაჩერდება თუ არა. გაჩერდა. სწრაფად გავდივარ დერეფანში და სანამ დარეკავდეს, ვაღებ. დიტოა, მთვრალი. დგას, ირწევა და იღიმება ჩლუნგი, თვითკმაყოფილი ღიმილით. მკერდზე თეთრი, წვირიანი ცინდალი აუხუტებია, რომელიც შეშინებული აცეცებს უჩვეულოდ მბრწყინავ, მწვანე ღილებივით თვალებს და ჩხავის.

—ო, დიმიტრიჩ,—ბრიყვული გაკვირვებით მეუბნება დიტო,—არ გძინავს?

— მძინავს, თანაც ღრმად, ვერ ხედავ?

საშინლად მაღიზიანებს ეს უცხო „დიმიტრიჩ“. დიტო, ცხადია, ვერა გრძნობს ჩემს სუსხიან ტონს, ბანცალით შემოდის, კნუტს მეტისმეტი სიფრთხილით აჯენს კუთხეში და ბლუკუნებს:

— რძე უნდა ამას.

— ენდომება, კი.

— დედას ძინავს?

— თქვენის ნებართვით.

— ინგას?

— ინგასაც.

— რა ვქნათ, აბა? შია, საწყალს. საწვიმარ მილში იყო გაკვეხებული და კნაოდა. შიმშილით ხომ ვერ მოვკლავთ ცოცხალ არსებას, ა? დიმიტრიჩ?

— დაწექი, მთვრალი ხარ.

— მეე, მთვრალი? როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო?

— დიტო, დაწექი-მეთქი!

ეს უკვე ბრძანებაა, დიტო უაზროდ მიყურებს, ბრიყვულად იღიმება. აქერცლილ ტუჩებს ილოკავს და ბოლოს მემორჩილება, ლოჯიაში გადის, მესმის, როგორ იხდის ხვნეშითა და ქშეტინით, ხოლო ცინდალი რაღაც უცნაური გაფთრებით ჩხავის. ეს მინდოდა აბაღამ? ბედად, მაცივარში რძე აღმოვაჩინე, ლამბაქზე დავუსხი, დავუდგი. კნუტმა ხარბად დაუწყო სვლეპა. ახლა უკვე დროა დავწვე, იქნებ დამეძინოს, მაგრამ ქვეცნობიერად ვიცი, ვერ დავწვები, სანამ... ერთხანს უმიზნოდ ვწრიალებ, ჭერამდე ამართულ თაროებზე წიგნების რიგებს ვათვალიერებ, მერმე დერეფნიდან ტელეფონი შემომაქვს, ფრთხილად, რაც შეიძლება უხმაუროდ ვკრეფ ნომერს და გულგაყინული ველოდები. ჯანდაბას, დაე, კიდევ გავიგონო კარგად დაყენებული ბარიტონი, ოღონდ ვიცოდე, რომ ეს ხმა ანის ბინიდან მესმის, იმ ბინიდან, სადაც ანი დადის და სუნთქავს. როგორც იქნა, ყურმილი აიღეს.

— ბატონო! — მესმის ანის დედის ხმა და ამავე დროს, ვხედავ მარმარილოს კარიატიდას, მკვრივი ძუძუები და ხორცსავსე მკლავები რომ აქვს: „რაღა დროს შენი სიყვარულია, სამარეში გიდგას ცალი ფეხი“...

— ბატონო, გისმენთ!

ვდუმვარ.

— ოი, ღმერთო ჩემო, — ამბობს დედა ჩუმი ოხვრით, ოდნავ ყოვნდება და კიდებს.

ესე იგი, ანის უკვე ძინავს. ახლა მზად ვარ მთელი ღამე თეთრად გავათენო. ვწვები. თვალს ვავლებ წყვდიადში ჩაფლულ ჩემს ოთახს და შიშით თმები მებურძგნება: ვხედავ, აშკარად ვხედავ წიგნის თაროებს ღოჯები გადმოუყრიათ და ხითხითებენ, ხითხითებენ გაუთავებლად, ხოლო იქვე დგას ნიკო სამადაშვილის შემცივნებული ლანდი — იორდასალმებით ხელში და თავი ნაღვლიანად აქვს ჩაქინდრული.

ინტერლუდია

მეორედ დაბადება... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მეორედ დაბადება გამოვცადე. მთელი ერთი თვე გაუნძრევლად ვიწექი, როგორც იქნა დავუძვერი ინფარქტს, უკან დარჩა რეანიმაცია, ძვილსე სითეთრე, უცნაური აპარატურა, შუშის მილები, კოლბები და მენზურები, უკან დარჩა საზიზღარი „იხვის“ ქვეშაგებში შედგმის დამამცირებელი პროცედურები... ახლა მე ცალკე პალატაში ვიყავი და ექიმმა პირველად მომცა წამოდგომის, ოთახში გავლის უფლება.

ეს მართლაც სასწაული იყო!

ბელას დახმარებით ჩამოვედი ლოგინიდან, ისე, რომ ხელი არ გამიშვია, ტაატით მივუახლოვდი სარკმელს, შეორთქლილი მინა სახელოთი გავწმინდე, გამოჩნდა მომიჯნავე, აწოწილი შენობა, წვერწამახული კვიპაროზები, ხმელფოთლებშემორჩენილი, თოვლის მომლოდინე ჭადრები. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ჩვილი ბავშვი ვყოფილიყავი, რომელიც ახლა იწყებდა სიარულს, ლაპარაკს, აზროვნებას, აღქმას, მაგრამ ამავე დროს, ამქვეყნად ყოფნის სიტკბო-სიმწარეც გამოცდილი ჰქონდა უკვე და თავისი წილი შხამით სავსე ფიალაც კარგა ხნის შესმული.

გადავრჩი!

კვლავ ცოცხალი ვიყავი და ნიშნად ჩუმი სიხარულისა, მინაზე თითით სხივებშემოვლებული მზე დავხატე. ბელას მოალერსე ხელები ვიგრძენი, სახით მომეხუტა ზურგზე, უხმოდ ატირდა ბედნიერების ცრემლებით. უსაზღვრო მადლიერებამ ამივსო გული, მთელი ეს ხანი ბელა გვერდიდან არ მომშორებია, ტანთ არ გაუხდია, თვალი არ მოუხუჭავს, სკამზე ითენებდა ყოფნა-არყოფნის ელდით სავსე ღამეებს. მთლად გაჭაღარავებულ თავზე ხელები შემოვხვიე, ცრემლჩამდგარ თვალებში ვაკოცე.

— გადავრჩით, ბელა! გადავრჩით! — ვუჩურჩულე ყურში, — გესმის?

—მესმის, ოთარ! მხოლოდ, ნუ გათამამდები, გენაცვალე, დაწექი ახლა!

მაგრამ ასე ადვილად რაღა დამაწვენდა, პირი დავიბანე (ჩემით!), გავიპარსე (ჩემით!) და საუზმეც საკუთარი ხელით გეახელით! განა არ იყო საოცრება? ხარბი და გაუმაძღარია ადამიანი, ბატონებო! როგორც კი სიცოცხლის ჩიშატი ვიგრძენი და თავი, ასე თუ ისე, გადარჩენილად დავიგულე, მაშინვე სურვილთა ჯარი შემომესია და სამომავლო გეგმების დაწყობასაც მივყავი ხელი. ფანჯრის მიღმა ქალაქი იყო, ჩემი ქალაქი, ძვირფასი, ახლობელი, სადაც დავიბადე, გავიზარდე და, მე ყოვლად ძლიერი წყურვილი მომეძალა ქალაქში ყიალისა, ისე, უმიზეზოდ, უმიზნოდ; ჩავიწყობდი ჯიბეებში ხელს და ნელი ნაბიჯით ვივლიდი, თვალით მოვეფერებოდი ყველა სახლსა და ქუჩას, ეკლესიას და ხეს, მოფუთფუთე, ჩქარი ნაბიჯით მიმავალ, საყვარელ ადამიანებს, ჩემს სკოლას ვინახულებდი აუცილებლად, ჩავიდოდი მეტროში, მერმე მთაწმინდის ტრამვაის ავყვებოდი და გალაკტიონის საფლავთან ჩამოვჯდებოდი, სულს მოვითქვამდი მცირე ხნით...

თუ როდისმე საავადმყოფოდან გასვლა მეღირსა, პირველად სწორედ ამას გავაკეთებ, გულს მოვიოხებ და მერე ჯანდაბას, ერთი პოეტისა არ იყოს, „წამოვალ საცა გინდა“, მაგრამ აქედან გასვლა ჯერ ძალზე ნაადრევი გახლდათ და მე, პაწაწკინტელა პალატაში თავგვივით გამომწყვდეულს, ერთიდაიგივე მტანჯველი ფიქრი მიღრღნიდა გონებას: რა გავაკეთე? რისთვის ვიცხოვრე ამქვეყნად? სინანული, ღრმა, მტკივნეული სინანული ერთი წამითაც არ მეშვებოდა, სინანული უქმად ჩამოლეული, გახარჯული დროის გამო. ხანაც, შიში მეუფლებოდა: კარგი და „წამეღო წერილი“, გავმქრალიყავი, რა პირით წარვდგებოდი საიქიოს? იმის ნახევარი მაინც გავაკეთე, რაც შემეძლო? ერთი ხე მაინც დავრგე, ან ჩრდილად რომ გამოდგომოდა ვინმეს, ან ნაყოფად?

აი, სწორედ მაშინ ამეკვიატა ფიქრი, რომელიც დღითიდღე მიღრმავდებოდა, მიძვალრბილდებოდა და ბოლოს, სულ

დამიპყრო, დამიმორჩილა, ლამის ძილი და მოსვენება გამიკრთო: უსაშველოდ მომინდა, რაღაც დამეწერა ჩემი ცხოვრებიდან, აღსარების მსგავსი, თავისებური „დე პროფუნდის“ და ამით ერთგვარი ვალი მომეხადა, ანგარიში გამესწორებინა ჩემ წარსულთან, თუ გნებავთ, გამოვთხოვებოდი მას, რამეთუ, აქედან გასვლის შემდეგ, ეს მკაფიოდ ვიცოდი, ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო, ცხოვრება 50 წლის დაუნჯებული მამაკაცისა. ცხადად ვხედავდი ჩემს სათქმელს, მხოლოდ დაჯდომა და წერაღა იყო საჭირო, მუშაობის პირობებიც, ჯანის შესაფერისად, მქონდა, მით უმეტეს, რომ ბელა, დღიან-ღამიანა აღარ რჩებოდა ჩემთან, არ იყო აუცილებელი, მხოლოდ სადილობისთვის მაკითხავდა ხოლმე. ასე რომ, თავისუფლად შემეძლო ჩამყუდროვება, ხელს არავინ მიშლიდა. ჰოდა, დავწერე კიდეც პირველი თავი პატარა წიგნისა, რომელსაც „სოლო სიმღერა შემოდგომაზე“ დავარქვი, რადგან იგი მართლაც ნაღვლიანი სიმღერაა, ჩემი ცხოვრების შემოდგომის ჟამს ნათქვამი. იმედია, მომდევნო თავების დაწერასაც შევძლებ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა.

ერთ დღეს კი, როცა წერად ვიჯექი, უეცრად ანი დავინახე, ფანჯრის მიღმა, ეზოში. ლურჯი, თეთრსაყელომოვლებული პალტო ეცვა, თეთრივე, ნაქსოვი ქუდი ეხურა, ძალიან შვენოდა, ხელში წითელი მიხაკები ეჭირა და საყვარლად თავაწეული ათვალიერებდა მაღალი კორპუსის უამრავ, ერთმანეთის მსგავს ფანჯრებს, ალბათ ჩემი დანახვა უნდოდა. გულაჩქარებულმა ძლივს მივაღწიე ფანჯარასთან, გადავიხედე, მაგრამ ეზოში, რაღა თქმა უნდა, არავინ იყო, თოვლის მომლოდინე ხეების გარდა და მე ლაჟლასით დავუბრუნდი მაგიდას.

II

ერთი დღე სრული ოჯახური ბედნიერებისა

(დასაწყისი)

ტრანზისტორი ყოველთვის სასთუმალთან მიდგას, ხელი მოვაფათურე, ჩავრთე. ფანჯრიდან მღვრიე ალიონი იმზირება, იწყება ახალი დღე და საინტერესოა, რა ხდება მსოფლიოში, რას გვიპირებენ ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ტრანზისტორი შიშინებს, ტკაცუნობს, ღმუის, ისმის მუსიკის ნაწყვეტები და საუბარი ნაირნაირ ენაზე, ბაბილონის გოდოლია სწორედ.

უცებ სულს მკურნალ სალბუნად დაეფინა ქართული ხალხური სიმღერა — ლაღი და ალალი „შემოძახილი“, ძირძველი, კეთილშობილი ჯიშის მცხუნვარე გამოსხივება. თვითეული ხმა — მეორეც, პირველიცა და ბანიც რაღაც განსაკუთრებული, ფილოსოფიური გონიერებითა და რაინდული სიდარბაისლით გამოირჩევა, ხოლო ამ ხმებით შექმნილი ღვთაებრივი ჰარმონია ნამდვილ კაცთმოყვარეობას ბღუჯა-ბღუჯა, უშურველი გულუხვობით აფრქვევს ირგვლივ. ვისთან რა უნდა ჰქონოდა სადავო ასეთი სიმღერის შემქმნელ ერს? ვისი სურდა და ვისი შურდა? ვის რას ართმევდა, ან უშავებდა? ერთადერთი, რაც მუდამ დაუოკებლად უნდოდა ამ სვეგამწარებულ, ერთ მუჭა ქვეყანას, მოესვენებინათ და თავისთავის ამარა დაეტოვებინათ — თავისი მიწა-წყლისა და თავისი ნიჭის ამარა, რათა ეცხოვრა და შეექმნა, ოფლი ეღვარა და ელხინა. ტრანზისტორიდან კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილვრება: „ჭირს მოგჭამ, ნუ შეგძულ-დები, ერთი ქართული მითხარო, ან მომე ბარი-ნიჩაბი, სამარე ამოვითხარო“...

დერეფნიდან ხველება მოისმა, მერმე კლოზეტში ჩაშვებული წყლის ჩხრიალიც გავიგონე. ეს ბელაა, იგი ყველაზე ადრე დგება და დილაც, კაცმა რომ თქვას, მისი ადგომით იწყება ოჯახში. მე, ცხადია, მისხალ-მისხალ ვიცი, რას მოიმოქმედებს იგი შემდეგ: პირს დაიბანს, გაზქურას აანთებს, ჩაიდანს შემოდგამს, მაცივრიდან საუზმეულს გამოალაგებს (თუკი აქვს რამე) და მერმე — ესაა ყველაზე რთული დილის პროცედურა! — დიტოს გასაღვიძებლად გავა ლოჯიაში. იწყება გაუთავებელი ხვეწნა-მუდარა, ადგომის დროა, თორემ სამსახურში დაგაგვიანდებაო. „დამანებე თავი!“ — ყვირის დიტო, მაგრამ დედა მაინც არ ეშვება, რაღაცნაირი მონური მოთმინებით განაგრძობს ღვიძებას და დიტოც, ბოლოს და ბოლოს, იძულებულია დაემორჩილოს მის ნებას. ასე მეორდება ყოველ დღეცისმარე და თითქოს უკვე იმუნიტეტი უნდა მქონდეს გამომუშავებული ამის მიმართ, მაგრამ რა ვქნა ვერ შევგუებივარ უაზრო წაჯექ-უკუჯექობას და ჩემი დღეც, რაღა თქმა უნდა, ნერვების მოშლით იწყება. ახლა ეს ცინდალიც რომ გამოტყვრა?! დადის ოთახიდან ოთახში პაწია, გაბურძგნული, საცოდავი, დადის და ამაზრზენი გააფთრებით ჩხავის.

ბელა: როგორც მოიყვანე, ისე მოაშორე ეგ წვირიანი, გესმის, დიტო?

დიტო: (სერიოზულად) მაგისთვის რომ ვინმეს ხელი უხლია, მოვკლავ, იცოდე!

ბელა: კაი, ბატონო, ბოდიში. რომ დავბანო, ეს მაინც თუ შეიძლება?

დიტო. (სიცილი) დაბანა და მოვლა შეიძლება, კი.

ცოტა ხანს სიჩუმეა და მერმე ისევ მესმის კლოზეტში ჩაშვებული წყლის გულისამრევი ჩხრიალი. რა ვქნა, სად წავიდე, სად გადავიკარგო? ნაჩქარევი საუზმის შემდეგ დიტო იცვამს, ბელა პაწია ცოცხით ასუფთავებს და თან რბილად ესაუბრება:

— წუხელისაც მთვრალი მობრძანდი, ხომ? გალოთდი ბარემ და ისაა.

— თქვენს ხელში გავლოთდები, აბა რა იქნება? — წაიღრინა დიტომ.

— სუ, ბიჭო, უკეთესართს ნუ იტყვი ამ დილა-ადრიანად, ვინ რა დაგიშავა, ნეტა ვიცოდე?

— ვინ რა გამიკეთა?

— დღეს ხუთ საათზე რომ შინ უნდა იყო, ხომ არ დაგავიწყდა? მამამაც გთხოვა, აუცილებლად მოვიდესო, სტუმარი გვეყოლება.

„როდის ვთხოვე?“...

— ვინ სტუმარია?

— არავინ ისეთი, მოხვალ და ნახავ.

— ჰო, კარგი.

დიტო მიდის. მართლაც და ვინ სტუმარია ნეტა? წარმოდგენა არა მაქვს, ჩემი ფიქრი ახლა დიტოს მიჰყვება. როდის, კერძოდ როდის, ან რატომ გადაიქცა დიტო გამოცანად? რატომ ავცდით და აღარაფერი გაგვეგება ერთმანეთისა? განა აგერ ახლა არ იყო, ნუკრივით რომ დამდევდა უკან და თვითეულ ჩემს სიტყვას ეწაფებოდა? „უნდა ველაპარაკო საფუძვლიანად, ძირფესვიანად, ჩემი ვუთხრა და მისი მოვისმინო. ნუთუ ვერა გრძნობს, როგორ მარტო ვარ და როგორ მწყურია მასთან ნამდვილი, ადამიანური ურთიერთობა?“ ვფიქრობ და შეუმჩნევლად ისევ მეპარება რული. ბელას და ინგას საუბარმა გამომაფხიზლა, ინგა კონსერვატორიაში წასასვლელად ემზადებოდა. გაცხარებით ლაპარაკობდნენ, მაგრამ რაზე — არ მესმოდა, ამას კი მოვკარი ყური:

ბელა: შედი და თვითონვე უთხარი, უკეთესია, დამიჯერე.

ინგა: ვერ ვეტყვი, შენ უთხარი.

კიდევ ილაპარაკეს, მაგრამ აღარაფერი გამიგონია, ცინდალის გაუთავებელი ჩხავილი აყრუებდა იქაურობას. რის თქმა უნდოდა ნეტავ ინგას? ან რატომ ვერ მეუბნებოდა? ბუნდოვნად თითქო ვხვდებოდი, რომ ბელას და

ინგას ამ ჩურჩულს რაღაც კავშირი ჰქონდა დიტოს და ბელას წეღანდელ ლაპარაკთან — ხუთი საათისათვის აუცილებლად იყავი შინო რომ ეხვეწებოდა, მაგრამ რა კავშირი? საერთოდაც, რა ხდება ჩემს სახლში? შეთქმულებაა?

— ინგა!

დუმილი.

— ინგა, არ გესმის?

„შედი, გოგო, შედი!“ — ეჩურჩულება ბელა.

ინგა გაუბედავად შემოდის, ჩემს მზერას აწყდება და იქვე ჩერდება.

— რა იყო, შვილო? რა გაგჭირვებია? — ვკითხე დაყვავებით.

დუმს.

ვუყურებ და ახალგაზრდა ბელა მიდგება თვალწინ — ჯანსაღი, მკვრივი, მოხდენილი, მიმზიდველი — ინგა სწორედ იმ ასაკისაა, ბელა რომ იყო ჩვენი შეუღლებისას. გამოხედვა, მორცხვად თავის ჩაღუნვა და ხმის ტემბრიც კი მისებური აქვს. ინგას პატარაობაც მახსენდება, მუთაქასავით მრგვალი და გატიკნილი იყო. თუ დამჯდარს დამინახავდა, თავს მოიკლავდა, ვიდრე მუხლებზე ამომახოხდებოდა და კისერზე გადამაჯდებოდა. მერმე ჭყიოდა სიხარულით: „აჩუ! აჩუ!“ ახლა კი ჩემს წინ კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი იდგა — შეღერებული, დაქალებული, თუმც ნირწამხდარი.

— არ იტყვი, რა მოგივიდა? — მართლა შევშფოთდი.

შემომხედა აწყლიანებული, მუდარაჩამდგარი თვალებით, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო თუ გამბედაობა, ხმა ვერ ამოიღო. მერმე უცებ ჩაილაპარაკა:

— დედა გეტყვის, მე არ შემიძლია.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ინგამაც გაიხურა სახლის კარი, ბელა მეწვია. პენუარი ეცვა, ვარდისფერი. დაუვარცხნელი, მოუწესრიგებელი იყო, ხნიერი, მასაც თვალებში თხოვნა და შიში შევნიშნე და სულ ამებნა თავგზა. მივხვდი: რაღაც სერიოზული ხდებოდა, თუ უკვე მომხდარიყო. საწოლზე ჩამომიჯდა, პენუარის კალთები გადაეხსნა, შიშველი, მსუქანი მუხლები გამოუჩნდა. მიყურებდა და დუმდა, ვუყურებდი და ვცდილობდი გამომეცნო — რა ამბავი ტრიალებდა ჩემს თავს, წამში ათასგვარი ვარიანტი მოვიფიქრე, გადავიფიქრე და მაინც ყველაზე რეალური ის მეჩვენა, რომ ინგას კონსერვატორიიდან უპირებდნენ გარიცხვას. მაგრამ მაშინ 5 საათზე სადილი და სტუმარი რაღა შუაში იყო?

— ქალო, რა ხდება? — შევუძახე მოუთმენლად.

პასუხად ბელა გადმოიხარა, მომეხუტა, მომელამუნა და მიჩურჩულა:

— მომილოცავს ოთარ, ინგა თხოვდება.

— ა?!

— ხო! ხო!

სულის მოთქმა აღარ მაცალა, მომაყარა:

— დღეს მოვა სასიძო და გაგვეცნობა. პატარა, ოჯახურ სადილს გავაკეთებ, შეხვდით შენ და დიტო, გაეცანით, დაელაპარაკეთ... ქორწილს და ჰაიჰუის არ აპირებს, მოაწერენ ხელს და ლენინგრადში წავლენ, იქ მშობლები ყოლია ბიჭს.

— ა?

აშკარად ნირწამხდარი იყო, სხაპასხუპით ლაპარაკობდა:

— რით ვერ გაიგე? ინგა თხოვდებამეთქი. ისე, დროც კია, კაცმა რომ თქვას, არა? მე სწორედ ოცდაორი წლისა გამოგყევი, ხომ გახსოვს?

ბელას სიტყვები წყალზე აცურებულ ქვასავით სხლტებოდა ჩემს გონებაზე, ვერაფრით ჩავწვდი ნათქვამის აზრს ბოლომდე. გულში მწვავე ტკივილი ვიგრძენი, ჰაერის უკმარისობა მომეძალა, თვალები დავხუჭე და გავირინდე. ბელა განაგრძობდა:

— მუსიკოსიაო, ნიჭიერიაო...

— მუსიკოსი...

— კი. კი. ხო.

— ინგამ რაო?

— თუ არ გამაყოლებთ, თავს მოვიკლავ.

„ესეც ასე, ყველაფერი გადაუწყვეტიათ“.

— რაღაცას მიმალავ, ბელა.

თვალი მომარიდა.

— მაინც, რას უნდა გიმალავდე?

— რატომ იკლავს თავს? გაყვეს, ბატონო.

ბელა არ მოელოდა საქმის ასე შეტრიალებას, გამომცდელად მომაჩერდა — ხომ არ მასხრობსო, მაგრამ საამისო ვერაფერი შემატყო, გულის ტკივილით ვიყავი გათანგული. ეს კია, ქვეცნობიერად ვგრძნობდი, მეტიც, დარწმუნებული გახლდით, ამ საქმის მიღმა რაღაც შემაწუხებელი საიდუმლო იყო მიჩქმალული. ეს ეჭვი კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა ბელამ, შეცბუნებულმა, შემპარავი მობოდიშებით გამომთხოვა ნებართვა:

— მაშ, გავაკეთო სადილი? ა, ოთარ?

— კაია კაი სადილი, — ვთქვი ვითომდა გულგრილად.

„რა ხდება, რა? ნუთუ გამოუსწორებელი?“

— ცოტა ფული უნდა მომცე, ოთარ, — ჩამესმა ბელას ხმა.

— რა ფული, სადა მაქვს ფული, — ვიფეთქე.

— ხელფასი რომ არ მოგიტანია, გენაცვალე? — მახსენებს ბელა მოკრძალებით და მეც მახსენდება, ხელფასი მართლაც არ ამიღია, ეს ორი დღეა არ ვყოფილვარ უნივერსიტეტში, მაგრამ ისიც გამახსენდა, რომ ფასანაურში წასვლის წინ, ჩვენს მოლარეს შვიდი თუმანი სესხად გამოვართვი, ხოლო მისი ნარჩენები რესტორან „დარიალში“ დავხარჯე, მარტო რომ ვიჯექი, მაშინ. სიმწრით მოვხუჭე თვალები, რით ვაპირებდი იმ ვალის გადახდას ნეტავ? თუ გადავიხდიდი, სახლში რაღას მოვიტანდი, ან რას ვეტყოდი ბელას? უცებ გონება გამინათდა:

— მიდი უკლებასთან!

უკლებას, ჩვენი კარის მეზობელს, ეშმაკმა უწყის რა გზით, ფული უთვლელად ჰქონდა, ხოლო [illegible] ძეებისათვის, გაჭირვების [illegible] ხლდათ, ხელის გამართვაზე არასოდეს გვზარდებოდა.

— ამასაც თუ ცხოვრება ჰქვია! — ამოიკვნესა ბელამ, — კაცმა რომ გკითხოს, დოცენტიცა ხარ, კრიტიკოსიც და რა ვიცი, კიდევ. ერთი სადილის ფული არ უნდა გქონდეს ოჯახში?

— დოცენტი რომ ვარ, იმიტომაც არა მაქვს, — ჩამეცინა მე, — მოშაწოდე ნიტროგლიცერინი.

არც უკითხავს წამალი რად მინდოდა, სხვაგან ფრენდა მისი გონება. ამან კიდევ უფრო დამაეჭვა: სახეიროდ არ გვქონდა საქმე, ვხედავდი. წამალი ენის ქვეშ ამოვიდე. „დავიღალე, დამასვენეთ, თქვე უღმერთოებო“, — აი, რა ფიქრი მიტრიალებდა თავში. ბოლოს, როგორც იქნა, გავიდა ბელა და მე შემებრალა ოჯახის დედა, ორმოცდაათი წლის ქალი, რომელიც იძულებული იყო, რამდენიმე თუმნისთვის მეზობლებში ეწანწალა. შემებრალა ინგა, ასეთ პირობებში რომ უწევდა გათხოვება, შემებრალა საკუთარი თავი. რაც მახსოვს, მუდამ ხელმოკლედ ვაცხოვრებდი ოჯახს, ხოლო ოჯახის წევრები ითმენდნენ, ეგუებოდნენ, მიგებდნენ, — იცოდნენ, არ შემეძლო სხვანაირად მე, მაგრამ როდემდე? გავიდა ცხოვრება, გაქრა... რეპეტიტორობა რომ რეპეტიტორობაა, სასარგებლო, აუცილებელი საქმიანობა, იმასაც ვერ ვკისრულობდი, არ ვიცი იმის გამო, რომ ზარმაცი ვიყავი ბუნებით და ზედმეტი შრომა მეზარებოდა, არ ვიცი იმიტომ, რომ ყველა ჭკუამჩატე, ჰონორარის გაკეთებაზე თვალგამოჭყეტილი ჟურნალისტი რეპეტიტორობას უშვერად ლანძღავდა გაზეთებში. ალბათ ამისი თუ მეშინოდა ქვეცნობიერად. არადა, ჩემი კოლეგები, ამხანაგები, სწორედ რეპეტიტორობით ითქვამდნენ სულს, ეს მძიმე, უმადური შრომა იყო მათი ერთადერთი თავშესაფარი და იმედის კუნძული. კი, არც მე ვიყავი მთლად წყალწაღებული, წელიწადში რამდენჯერმე ვბეჭდავდი

ბოლმე სტატიებსა თუ რეცენზიებს ჟურნალ-გაზეთებში, აი, ახლაც იდო ერთ რედაქციაში ჩემი სამთაბახიანი ნაშრომი „რეალიზმი და მხატვრული პირობითობა თანამედროვე ქართულ მხატვრულ პროზაში“, მაგრამ ვინ იცის, როდის დაბეჭდავდნენ, თუმცა სწრაფადაც რომ დაებეჭდათ, განა მისი ჰონორარი შექმნიდა ჩემი ოჯახისათვის ამინდს?

ბელას ძახილმა გამომთიშა უსიამოვნო ფიქრისაგან:

— ოთარ, ჩაი მზად არის.

ხალათი შემოვიცვი და სამზარეულოში გავედი.

დედას ეძინა, ამიტომ ჩაიმ წყნარ, მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა. ინგას ამბავი მიღრღნიდა შიგანს. გარეგნულად თავი აუღელვებლად მეჭირა, ბოლოს და ბოლოს, არაფერი უჩვეულო და წარმოუდგენელი არ ხდებოდა, ბუნების კანონს ვინ გადადგომია წინ, მაგრამ ეჭვები, ეჭვები...

— რა გვარია? — ვკითხე და თვითონვე გამიკვირდა, აქამდე რომ არ დავინტერესდი ამით.

— ვინა? — არ მიიხვედრა ბელამ.

— „შენი „ტრალალა“ სიძე, — გავუკრიჭე.

— ერისთავი.

„გვარი კარგი ჰქონია, მადლობა ღმერთს!“

— ო! ვისია ნეტავი?

— არ ვიცი.

— მშობლებს ლენინგრადში რა უნდათ?

— იქ მოღვაწეობენო, მუსიკოსები ყოფილან ისინიც.

— რაღა გვიჭირს, ვუკრათ და ვიყოთ, — ჩამეცინა, — არ გვაქვს საქმე სამუსიკოდ თუ?

მოულოდნელად, ბელა გაანჩხლდა, სახეზე ალმური აჰკრა, გატანჯულ-გაბოროტებული იერი დაედო, ხმაში მრისხანება და მუქარა ჩაუდგა:

— ოთარ! ძალიან გთხოვ!.. ისედაც გამოსული ვარ წონასწორობიდან, სული კბილით მიჭირავს, ყელში ამომივიდა ეს ძაღლუმადური სიცოცხლე... ზეც მაქვს ნერვები, იცოდეო ძალიან გთხოვ, ოთარ!...

— ჰო, კარგი, რა ვთქვი ამისთანა, შე ქალო, — წავიბუტბუტე შეცბუნებულმა და მოტეხილმა.

მერე ბელა, უკლებასაგან დაფინანსებული, ბაზარში წავიდა და სახლში სიჩუმე ჩადგა. დედა, ჩვეულებრივ, გვიანობამდე არ იღვიძებდა. დაბანილი, გამაძღარი კნუტი საბაზანოში იყო. ჩემს ოთახში გავედი, ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირი“ დავდე. ეს მუსიკა საოცრად მიმშვიდებს ნერვებს, თითქო უფრო გონიერი ვხდები და თვითჩაღრმავებაც იოლად გამომდის, მაგრამ ახლა მუშაობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

ჩემი ოთახი პატარაა, ცალფანჯრიანი, ერთი კედელი, ჭერამდე, წიგნის თაროებს უჭირავს, მეორეზე — ძველებური, მუხის, მამისეული საწერი მაგიდაა მიდგმული და თურქული ტახტი, რომელსაც საძინებლად ვხმარობ. სასთუმალთან უტამაროს ცნობილი გრავიურის „შეყვარებულთა წყნარი საუბრის“ კარგი ასლი მიკიდია. ეს გრავიურა, ჩარჩოში ჩასმული, ანიმ მისახსოვრა მოკლე წარწერით: „გახსოვდეს!“ საწერ მაგიდაზე შლიაპიანი გალაკტიონისა და წვერმოშვებული პავლე ინგოროყვას პორტრეტები მიდევს, იქვეა სადოქტორო დისერტაცია და „ორი მკვლელობის“ გატენილი საქაღალდეები. უგულოდ დავიწყე მათი ფურცვლა, თავში არცერთი ცოცხალი აზრი არ მიჭაჭანებდა, ქვეცნობიერად სულ იმაზე ვფიქრობდი, ანისთან დამერეკა თუ არა. ფასანაურის შემდეგ, აგერ უკვე მეხუთე დღე იყო, თვალი არ მომიკრავს და არც ხმა გამიგია მისი. არ რეკავს, მემდურის, რაღა თქმა უნდა. ჯანდაბას, იქნებ უკეთესიც იყოს ასე, ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე დავცილდებით ერთმანეთს და ამით გათავდება ყველაფერი. ჰოდა, კარგი ძალიან... ავფორიაქდი, საბედნიეროდ, გამახსენდა, რომ სტუდენტთა ნამუშევრები მქონდა წასაკითხი და ჩანთა მო-

ვძებნე. კარგა მოზრდილი დასტა აღმოჩნდა, მაგრამ ახლა ეს უკეთესიც იყო, გულს გადავაყოლებდი, დრო გავიდოდა.

ამ რამდენიმე დღის წინ პირველი შეხვედრა მქონდა IV კურსელ ფილოლოგებთან, რომელთათვისაც XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კურსი უნდა წამეკითხა ორი სემესტრის მანძილზე (სექტემბრის თვეში პედაგოგიურ პრაქტიკაზე იყვნენ ქალაქის სხვადასხვა სკოლაში). ჩვეულებრივ, პირველ შეხვედრას შესასწავლი კურსის ირგვლივ ზოგად საუბარს ვანდომებ ხოლმე, მაგრამ იმ დღეს წერითი სამუშაოს ჩატარება მომწადდა, საინტერესო იყო — რას ფიქრობდნენ, როგორ აზროვნებდნენ, როგორ წერდნენ ეს მშვენიერი ახალგაზრდები, რათა შემდგომში ჩემი ლექციების მეცნიერული დონე დაახლოებით ამის მიხედვით განმესაზღვრა. რამდენიმე თავისუფალი თემა დავწერე დაფაზე, არჩევანი, რაღა თქმა უნდა, სტუდენტების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. თემები ასეთი გახლდათ: „პედპრაქტიკიდან მიღებული შთაბეჭდილება“, „მაქვს თუ არა სურვილი — მასწავლებელი გავხდე“, „ჩემი ზაფხულის ერთი დღე“, „ახლად წაკითხული წიგნი“, და „სიზმარი, რომელიც დღემდე მახსოვს“.

შედეგები გულდასაწყვეტად ორდინარული აღმოჩნდა. სტუდენტების უმეტესობამ, როგორც ჩანს, მოულოდნელი წერითი სამუშაო პედაგოგის ახირებად ჩათვალა და ისე მიუდგა, როგორც თავიდან მალე მოსაშორებელ რასმე, გულგრილად. პასუხები, მეტწილად, მოკლე იყო, ტრაფარეტული: პედპრაქტიკაზე არავითარი განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მიუღიათ, მასწავლებლობა არავის უნდოდა, ზაფხულში ყველა დღე ერთმანეთს ჰგავდა და აქაც ისეთი არაფერი მომხდარა, რომ აღწერად ღირდეს, საინტერესო წიგნი? ჰე-ჰე, განა ასე იოლია მისი შოვნა? (და მაინც, ერთმა, მშვენიერი შთაბეჭდილებები დამიწერა ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელზე“). სიზმარი... მხოლოდ ერთ სტუდენტს მოესურვებინა ამ თემის დაწერა და სწორედ მან, სწორედ მან შემძრა მეხის მოულოდნელ გავარდნასავით. ეს ორფურცლიანი, ზუსტი, მრგლოვანი კალიგრაფიით შესრულებული ნაშრომი (არ ვიცი სხვა რა სახელი დავარქვა) და მისი ავტორი ამ ჩანაწერებში კიდევ გამოჩნდება და ამიტომ თავს ვერ ვიკავებ, მთლიანად მომყავს აქ:

„ვიღაცა იჯდა ჭასთან. ვიღაცა — ძალიან ნაცნობი და თან ძალიან უცხო, მიუწვდომელი. ვიღაცა მთელი სიცოცხლე იჯდა ჭასთან. ხელში ანკესი ეჭირა და ჭაში იცქირებოდა. მთელი სიცოცხლე იქ უნდა მჯდარიყო და ეს იყო ყველაფერი. არავის დაუსჯია, არავის აუძულებია, არც მისი ახირება იყო ჭასთან ჯდომა და მაინც იჯდა.

...მთელი ჩემი ბავშვობა ამ სიზმრის ირგვლივ ტრიალებდა. გამოღვიძებული დიდხანს ვტიროდი და არ მეგონა, თუ სხვაგვარი ცხოვრებაც არსებობდა ამქვეყნად. მერე მივხვდი: ის უცნობი, ჭასთან რომ იჯდა, მე ვიყავი თვითონ. მძულდა ღამე, მძულდნენ ადამიანები, რომლებიც ირგვლივ მეხვევნენ და არ ესმოდათ — რა აუტანელი ტანჯვა იყო ჩემთვის იმის წარმოდგენა, რომ მთელი სიცოცხლე ერთ ადგილას უნდა ვმჯდარიყავი და არაფერი მეგრძნო იმის გარდა, რომ ჭასთან ვზივარ და ხელში ანკესი მიჭირავს. მერე თითქოს ყველაფერმა განვლო, ნელ-ნელა მიმავიწყდა ის სიზმარიცა და საშინელი განცდებიც, ღამ-ღამობით რომ მეუფლებოდა. და მიკვირდა: — რისი მეშინოდა? მართლა ხომ არ ვიჯექი იქ, იმ ადგილას და ხომ შეუძლებელი იყო ცოცხალი ადამიანი სულ ერთ ადგილას მჯდარიყო გაუნძრევლად.

მაგრამ ერთხელ, მაშინაც ბავშვობაში, კვლავ დამესიზმრა რაღაც საშინელი, დამაფიქრებელი. და თუმცა იგი არ უკავშირდებოდა წინანდელ ჩვენებებს, მაინც მივხვდი, იმ სიზმრის გაგრძელე-

ბა იყო ესეც, ჩემი ტანჯვის გაგრძელება.

...რაღაც რკინის გირებისმაგვარი საგნები მეჭირა ორივე ხელში, ძალიან მძიმე და თან ძალიან მსუბუქი. და ეს სიმძიმე თუ სიმსუბუქე, და თვით რკინაც, მთელ სხეულში მივლიდა, გულს აწვებოდა და ისეთი უცნაური გრძნობა მეუფლებოდა, მხოლოდ სიზმარში რომ შეიძლება დაეუფლოს ადამიანს. ეს გირების მაგვარი საგნები მთელი სიცოცხლე მეჭირა, სულ მეჭირა ისე, როგორც ჭასთან ვიჯექი ერთ დროს — მთელი სიცოცხლე

ყოველი დაღამება სასჯელად იქცა ჩემთვის, რისთვის ვისჯებოდი ვერ გამეგო. მერე ის სიზმრები სულ მიმავიწყდა და მხოლოდ ერთხელ გამახსენდა — დღისით, მზისითი.

...ძალიან გაჭედილ ავტობუსში, ჩემ წინ, ვიღაც კაცს პატარა, ოთხი-ხუთი წლის ბავშვი ესვა მუხლებზე. ბავშვი დიდხანს დუმდა, მერე უეცრად იკითხა: „სულ აქ უნდა ვიდგეთ?“

გამაკვირვა. წარმოვიდგინე, რომ ის პატარა ბავშვი მე ვიყავი და გაჩერებულ ავტობუსში ჯდომა მქონდა მოსჯილი მთელი სიცოცხლე.

იმ ღამეს არ მძინებია. მეშინოდა, ისევ არ დამესიზმროს-მეთქი რაღაც საშინელი, მაგრამ არც მაშინ, არც შემდეგ, არაფერი დამსიზმრებია, მსგავსი. ის პატარა ბიჭი კი ხშირად მახსენდებოდა: უსიცოცხლო თვალები, უიმედობა, „სულ აქ უნდა ვიდგეთ?“ მაინც რა იყო ეს შეკითხვა? ან ის სიზმრები რა იყო? რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო გაურკვეველი ხდებოდა ყველაფერი. და შემეშინდა არსებობის, ყოფნის შემეშინდა.

მაგრამ ცხოვრებას თავისი გაჰქონდა, ერთ ფიქრს მეორე ენაცვლებოდა და ის წამზარავი მოგონებებიც სადღაც იკარგებოდა. მერე კი ისევ მესიზმრა რაღაც იმდაგვარი. არა, იმდაგვარი არ იყო, მაგრამ დასასრულზე მიმანიშნებდა თითქოს.

...ადამიანებს ერთ ადგილას მოეყარათ თავი. ვიღაცას მიათრევდნენ ბრბოში შესარევად. „არ მინდა [illegible] ვა“ — ყვიროდა იგი.

მაინც შეერია.

მერე მივხვდი, რომ ის ვიღაც მე ვიყავი.

...თეთრთმიანი კაცი სხვებზე მაღლა იდგა, ხელში გრძნეული ჯოხი ეჭირა, იმ ჯოხს რომ დაიქნევდა, ყველაფერი უნდა გათავებულიყო. უეცრად, საზარელი, ბოხი ხმით გამოაცხადა:

28 საათზე ჩემთან იქნებით!“

ეს იყო მამფა. მერე მამფა გაქრა. გაქრა მისი გრძნეული ჯოხიც, ყველაფერი გაქრა ამ ქვეყნად. არც მე დავრჩენილვარ, რადგან ჯოხის დაქნევის შემდეგ ვეღარაფერი გავიგე. და თეთრი სიცარიელე გამეფდა ირგვლივ, მაგრამ ნუთუ ეს იყო დასასრული?“

. . . . . .

ნაწერი მხოლოდ ინიციალებით იყო აღნიშნული: თ. რ. მეტი არაფერი. როგორ ვიმტვრიე თავი, როგორ დავძაბე მახსოვრობა, მაგრამ სტუდენტისა ვერც გვარი გავიხსენე, ვერც გარეგნობა. ასე გასინჯეთ, ვერც იმას მივხვდი — ბიჭი იყო, თუ გოგო. ჭასთან ანკესით ჯდომამ და საერთოდ, გაჩერებულმა დრომ, გადამრია. ადამიანური ყოფის არარაობის უფრო ტევადი სიმბოლოს მიგნება შეუძლებელი იყო ალბათ. და რა შემიძლია ვუთხრა მე ამის დამწერს, რით დავუამო მტკივანი სული? დავფიქრდი, დავფიქრდი და ცხადად ვიგრძენი, რომ არავითარი დაამება მე არ შემეძლო, რამეთუ თვითონვე ვიყავი სულმტკივანი. ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა და არც სინდისი მომცემდა უფლებას, რომ ყოვლისმცოდნე დამრიგებლის ცრუ პოზა მიმეღო და გაცვეთილ-გამოღეჭილი ფრაზების კორიანტელი დამეყენებინა. ერთადერთი, რასაც ნამდვილად გავაკეთებდი, ის იყო, რომ თავზე ხელს გადავუსვამდი იმ ყმაწვილს თუ ქალიშვილს, თვალებში ჩავხედავდი და ვეტყოდი რბილად, ძალიან რბილად, სიყვარულით: „მადლობელი ვარ, ჩემო

კარგო, რომ ღირსმყავი და სული გამიხსენი. მე ძმა ვარ შენი!“

მაშ ასე: გაღიზიანებულმა დიტომ თქვა — „თქვენს ხელში გავლოთდები, აბა რა იქნებაო“. ინგა ისე თხოვდება, რომ ჩემთვის არაფერი უთქვამს და სასიძოს ნახვის ბედნიერება მხოლოდ დღეს მექნება, ხუთ საათზე. დედას ძინავს, კიდევ კარგი. ბელამ ფული ისესხა უკლებასაგან და ახლა მაღაზიებში თუ ბაზარში დაწანწალებს. ჩემი სტუდენტი ჭაში ჩაკიდული ანკესით ხელში ზის (ღმერთო ჩემო: მამფა!), ხოლო ანი არ რეკავს და არა. რომ დაერეკა და რბილად ეთქვა ორიოდე სიტყვა, როგორც სჩვევია ხოლმე, იქნებ დავმშვიდებულიყავი და მუშაობაც მომეხერხებინა, ახლა კი ვაწყდები პატარა ოთახის კედლებს და არ ვიცი — რა მოვიმოქმედო. თაროებიდან წიგნები დამცქერიან, რაც კაცობრიულ შემოქმედ სულს საუკეთესო შეუქმნია, თითქმის ყველაფერია აქ თავმოყრილი, მხოლოდ ჩამოთვლაც შეაშინებს ადამიანს. ვინ უწყის, რამდენნაირად უჩხრეკიათ და უკვლევიათ ქალისა და კაცის ურთიერთობა ამ წიგნთა ავტორებს, რა ფსიქოლოგიურ სიღრმეებს ჩასწვდომიან და უფაქიზესი ნიუანსები წარმოუჩენიათ, მაგრამ მე, ოთარ ნეიძეს, ამ წიგნების წამკითხველ ლიტერატორ კაცს, მაინც მგონია: რასაც ახლა განვიცდი, არცერთ მწერალს არ გამოუხატავს ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებლად (მესმის, რომ აბსურდია ამის თქმა, მაგრამ მაინც ასე მჯერა და ალბათ სწორედ ამიტომაც იყო, წუხელ, დაწოლის წინ რომ შეჩვენა: თაროებს თეთრი ღოჯები გადმოეყარათ და დამხითხითებდნენ ნიშნის მოგებით).

საწერი მაგიდის უჯრა გამოვაღე, ანის ბარათები მოვძებნე — ქაღალდის ნაკუწებზე ნაჩქარევად დაწერილი. სამკითხველოში ჯდომისას, როცა ურთიერთგადალაპარაკება უხერხული, ანდა სულაც შეუძლებელი იყო ხოლმე, ჩვენ ბარათებით ვეხმიანებოდით ერთმანეთს.

„ბ-ნო ოთარ! ყოფილხართ ხოლმე წარმოდგენით იტალიაში? მე ვყოფილვარ. ბევრჯერ. ყველაზე დიდ სიხარულს ახლა თქვენთან ერთად მოგზაურობა მომიტანდა. ხშირად ვოცნებობ, რომ ერთად ვართ და შევცქერით იტალიის ცას, ტაიტის კუნძულებს, შვეიცარიას, ესპანეთის საოცნებო, თეთრ სოფლებს, კორიდასაც! — და ასე უშნოდ და უაზროდ მყოფს, ეს ოცნება სიხარულს, იმედს, აზრს მანიჭებს. განა ეს ცოტაა?“

„იქნებ არ უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ მაინც მინდა იცოდეთ: მთელი არსებით თქვენთან ვარ! იმდენად, რომ ხშირად მემჩნევა კიდეც და გარეშენიც აშკარად მატყობენ“.

„არის ერთი რუსული რომანსი:

«Когда речей твоих не слышу,
мне кажется что не живу»...

არ ვიცი სასაცილოა თუ სატირალი, რომანსის სიტყვები რომ აგიხდება ადამიანს“.

ეს ღია ბარათი, რომელზედაც მეჩვიდმეტე საუკუნის ლიტვური სამრეკლო და ორი, ერთმანეთს მიტყუპებული ცაცხვის ხეა გამოსახული, ვილნიუსიდან გამომიგზავნა, სადაც რამდენიმე დღით იყო წასული შარშან.

„ოთარ... არ შემიძლია არ გითხრა, თუ როგორ საშინლად, აუტანლად, ძალიან, ძალიან,... ამ საოცარ ვიწრო ქუჩებს, ამ ქალაქს — თავიდან ბოლომდე, ტბებს, რომლებიც დღეს ვნახე შუა საუკუნეების კოშკის სარკმლიდან, აკლიხარ შენ! და ვერ გამიგია, რა მინდა მე აქ უშენოდ?

დღეს ცოტა წითელი ღვინო დავლიე, თავი ოდნავ დამიმძიმდა, მაგრამ სამაგიეროდ, ერთხელ და სამუდამოდ მივხვდი, რომ ვერავითარ სილამაზეს, საერთოდ ვერაფერს მივიღებ ბოლომდე, თუ შენს გვერდით არ ვიქნები. როცა გნახავ, მოგიყვები, რომ ვცხოვრობ ძველი ქალაქის ქუჩაზე და ყოველ საღამოს, შინ დაბრუნებისას, ვხედავ რუხი ეკლესიის საოცარ სილუეტს წარწერით: „Salve“.

კიდევ იყო სხვა ბარათებიც, მაგრამ

მეტის წაკითხვა ვერ შევძელი, გულზე უხილავმა ჭახრაკმა მომიჭირა; მაინც, როგორ მოხდა, რომ ამ ბარათების დამწერი სამკითხველოში არ მოვიდა? აღარც მირეკავს? მეხუთე დღე გადიოდა, ამ ხნის მანძილზე არაერთხელ მოვიწადინე ძირამდე ჩავყოლოდი საქმის ვითარებას და ანალიზი გამეკეთებინა, საბოლოოდ გავრკვეულიყავი მომხდარის არსში, მაგრამ ვერ შევძელი. არა, სწორს არ ვამბობ! ვერ შევძელი კი არა, ქვეცნობიერად თავს ვარიდებდი ჩალრმავებულ ფიქრს და ნება-უნებლიედ ვცდილობდი საერთოდაც განმედევნა გონებიდან: თითქოსდა ფასანაურში არც კი ვყოფილვართ. ვცდილობდი, მაგრამ რაღა თქმა უნდა, არ გამოდიოდა. ყოველწამიერად თვალწინ მედგა ესა თუ ის ეპიზოდი ჩვენი სევდიანი მოგზაურობისა, ვხედავდი ანის გამომეტყველებას, მესმოდა მისი ხმის ნაირ-ნაირი მოდულაციები და საკუთარ თავსაც „გარედან“, უცხო თვალით ვუყურებდი. აი, ახლაც, ნელ-ნელა დატრიალდა მეხსიერების კინოფირი. გასაოცარი სიცხადით დავინახე ურცხვი, ლირწი სახე სასტუმროს ადმინისტრატორი ქალისა, რომელსაც ნომერი უნდა მოეცა ჩვენთვის. რატომღაც სულ იცინოდა უმიზეზოდ და პირის ორმოში ორი შავი ღოჯი მოუჩანდა. „რაღაც არა გევხართ ცოლ-ქმარსა, არა გევხართ და როგორ შეგიშვათ, ჰა? რო რამე მოხდეს, ვინ აგებს პასუხსა?“ მაშინ მე პასპორტში თუმნიანი ჩავდე და ისე მივაწოდე. „ჰო, კარგი, შენ მიგიღებ, იმას — ვერა“, — კვლავ ხითხითებდა ქალი. რაღას ვიზამდი, ახლა ანის პასპორტშიც ჩავდე თუმნიანი. დამცირებისა და შეურაცხყოფისაგან ლამის გული გამხეთქოდა, ხოლო ანი იდგა ფერმიხდილი, სირცხვილშეპული და გაქირდული.

ნომერი პატარა იყო, უშნოდ გაჩორკნილი საწოლები და გარდერობი იდგა, ჭერზე შიშველი ნათურა კონწიალობდა. გასაღები ორჯერ გადავატრიალე, შვებით ამოვისუნთქე, რაკიღა თავი მარტო დავიგულე ანისთან, მაგრამ აქ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: წარმოუდგენელმა, გამთანგავმა შიშმა ამიტანა, გული ყელში მომეჯინა, მუხლები ციებიანივით ამიცახცახდა. არა, არაფერს ვაჭარბებ, ნამდვილად ასე იყო: ველური, წამლეკავი შიში დამეუფლა.

ანი იჯდა საწოლის კიდეზე ასაფრენად გამზადებული მტრედივით, დამუნჯებული მიმზერდა. მთელი ამ წლინახევრის მანძილზე ჩვენ არაერთხელ მოვფერებივართ ერთმანეთს, მაგრამ ყოველთვის ნაჩქარევად და მალულად — სადღაც მიყრუებულ ბაღში, უკაცრიელ ქუჩაში, ვერის გაუქმებულ სასაფლაოზე, ან ჭადრაკის სასახლის ჩაბნელებულ აივანზე, ახლა კი პირისპირ ვიდექით საგულდაგულოდ ჩარაზულ ოთახში, უცხო თვალთაგან საიმედოდ განრიდებულნი, ვუმზერდით ერთმანეთს და უმაღლესი ბედნიერების ნაცვლად, თითქოს რომ უნდა მეგრძნო, მუხლები მიკანკალებდა, ვინ მოვატყუო, საკუთარი თავი? როგორ, რანაირად? ვიტყვი პირდაპირ: კაცი კი არ იდგა იმ დროს ანის წინაშე, არამედ კაცის ჩენჩო, გამოწურული, გამოშიგნული, დაწრეტილი, რომელსაც არაფერი უნდოდა ახლა იმის გარდა, რომ გავარდნილიყო ამ კუბო-ოთახიდან და თავქუდმოგლეჯილი, უგზოუკვლოდ გაქცეულიყო — ეშმაკმა უწყის საით, ოღონდ კი გაქცეულიყო და თავი დაეღწია ქალის გავარვარებული, შემკრთალი, მომლოდინე მზერისათვის. აწყვეტილი, ვნებიანი ოცნება ანისთან სარეცელის განაწილებისა, ვაგლახმა, ძაბუნმა შიშმა შთანთქა.

ანი, ეტყობა, ნაწილობრივ მაინც მიხვდა ჩემს გასაჭირს, წამოდგა, მომიახლოვდა, თითები ნაზად შემახო შუბლზე, თვალებზე, ღაწვებზე, ჩურჩულით მითხრა:

— რა მოგდით, ბატონო ოთარ?

ამ „ბატონომ“ მთლად მომიღო ბოლო.

— არაფერი, ანი... ისე...

ანიმ ჩემი ხელები მკვრივ, თან რბილ ძუძუებზე მიიჭდო, სახე ყელზე მომახუტა.

— ნუ გეშინია, ოთარ... ნურაფერზე ფიქრობ, ჯანდაბას ყველაფერი, მოდი ჩემთან! — თვალები ტანჯვით მოხუჭა, სამხრეები გადაიძრო, ღილები სწრაფად ჩაიხსნა და ჯინსის კაბა იატაკზე ჩაცურდა.

— მიყვარხარ ოთარ... მოდი ჩემთან.

ამის შემდეგ ჩვენი თანაყოფა ისეთივე ბუნებრივი იქნებოდა, როგორც ბუნებრივია ჰაერი, წყალი, პური და მზე, როგორც ნაკადულისათვის ლიკლიკია ბუნებრივი, ხოლო ჩიტისათვის გალობა. ძებნეს დაკარგულმა ნახევრებმა, ძებნეს და ბოლოს, აი, იპოვნეს კიდეც ერთმანეთი ფასანაურის ამ ულიმღამო სასტუმროში. ეს რაღაც სრულიად სხვა, უჩვეულო, თავზარდამცემად უჩვეულო იყო და კიდეც უნდა შეერთებულიყვნენ დაკარგული ნახევრები, გადაჯაჭვულიყვნენ, სამუდამოდ შედუღაბებულიყვნენ, მაგრამ რა მექნა, რომ სრულიად უძლური ვიყავი?! და აი, აქ ჩემდა უნებლიედ იმძლავრა ცივმა გონებამ და დამაწყებინა უთავბოლო ღმუთუნი იმის თაობაზე, რომ ეს წვირიანი სასტუმრო არ იყო ღირსი ანის უმანკოების შეწირვისა, რომ ამას სხვა ვითარება და ადგილი სჭირდება— უფრო სპეტაკი და ამაღლებული. ვბუტბუტებდი ამ ლაჩრულ სისულელეს — უნიათობით გამოწვეულს და ვგრძნობდი, ვხედავდი, როგორ თვალდახელშუა ქრებოდა, იფერფლებოდა ანის ვნება. დამაცქერდა, დამაცქერდა ჩამუქებული, შემსწავლელი, უბოროტო მზერით, მერმე სწრაფად ჩაიცვა ჯინსის კაბა და ისევ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა ასაფრენად გამზადებული მტრედივით.

— კარგი ოთარ, როგორც შენ გინდა, ოღონდაც ნუ ინერვიულებ, — მითხრა ალერსით.

ამ დროს, კარებზე უხეშად მოაბრახუნეს. გული გადამიქანდა. ღოჯებიანი ადმინისტრატორი იყო. სასტუმროში კანონიერი კლიენტები (ზუსტად ასე თქვა: „კანონიერი") მომივიდნენ და თუ შეიძლებოდეს, ნომერი დამიცალეთო. თავზარდაცემული მივაჩერდი ანის, იგი იჯდა უტყვი, გაქვავებული, დუმდა ჯიუტად, თითქო სულაც არ ვხებოდა, რაც იქ ხდებოდა. ადმინისტრატორი აბეზარ კაკუნს განაგრძობდა. ბოლოს, როგორც იქნა მოვისაზრე, რომ ეს წვრილმანი შანტაჟი იყო მხოლოდ, მეტი არაფერი. კარი ოდნავ გამოვაღე და ღრეჩოში შემოყოფილ, მოხარშულ კიბოსავით წითელ, დაკვარჩხულ ხელს წითელი თუმნიანი ჩავჩარე. ხელი გაქრა, წამში ისევ შემოძვრა და გავიგონე: „ამ საქმესა, ამხანაგო, კიდევ ერთი თუმნიანი სჭირდება, მაშ!". რაღა ძალა იყო, „ამხანაგს" მივეცი თუმანიც, დავკეტე კარი, სიჩუმე ჩამოვარდა. ეს სიჩუმე კიდევ უფრო მტანჯველი აღმოჩნდა, ვიდრე დედაკაცის წრიპინა ხმა. პირველი შემთხვევა იყო, რომ ანისთან სალაპარაკო ვერ მომეძებნა. ამის შეგნებამ საბოლოოდ მომიღო ბოლო, ილაჯი მთლად გამომეცალა, საწოლზე დავხვავდი, მოვიბღუნძე და პირი კედლისკენ ვქენი. შერცხვენილი, განადგურებული, დალაჩრებული ვიყავი, ხმის ამოღებას სიკვდილი მერჩია, ანდა, რა მქონდა სათქმელი? უცებ ვიგრძენი, რომ ზურგსუკან ანი მომიწვა, მომეხუტა და მკლავები შემომხვია. კისერზე მისი ცხელი სუნთქვა მელამუნებოდა, ბეჭებს კი ძუძუთა სიმკვრივე მიწვავდა. საოცარია: ადრე, თუნდაც ფასანაურისკენ მგზავრობის დროს, ანის უბრალო შეხებაც კმაროდა, რომ ვნება წამოფაფრულიყო, ახლა კი იგი ჩემს გვერდით იწვა და მე უგრძნობელი ვიყავი, ვითარცა გამხმარი ჯირკი, არც სურვილი მქონდა და, რაც უარესია, არც უნარი მისი დაუფლებისა. ავტირდი. სიმწრის, უარაქათობის კურცხლებით ავტირდი. კედლისაკენ ვიყავი გადაბრუნებული, ანი ვერ ხედავდა ჩემს სახეს, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ვტიროდი, ხელი გადმოყო, ცრემლი მომწმინდა, მაკოცა ყურის ძირში ზედიზედ. ეს კოცნა მალამოდ და სალბუნად დაეფინა მტკივან სულს. ანი? ანი რას გრძნობდა ნეტავ? მე საერთოდ ვერ ვერკვევი ქალთა ფსიქოლოგიაში, არ ვიცი რას ფიქრობენ, ან რა შეიძლება იფიქრონ

ამა თუ იმ ვითარებაში. სრულიად არ მესმის, რატომ იქცევიან ასე და არა სხვაგვარად, მაგრამ ახლა ვგრძნობდი: არ იქნებოდა გასაკვირი, თუ ანის ჩემს მიმართ გაღიზიანება, ან უფრო მეტი, ზიზღი გაუჩნდებოდა: მოულოდნელად კი აი, რა მითხრა:

—მე განა ვერ ვხვდები, ოთარ, რატომ მერიდები?

ცივმა ოფლმა დამასხა.

— ანი, შენი ჭირიმე...

— მოიცა, ნუ მაწყვეტინებ. ჩვენ ხომ საქართველოში ვართ, სადაც ეგრეთწოდებულ ქალწულობას გასათხოვარი ქალისათვის უპირველესი ფასი და მნიშვნელობა აქვს. იცხოვროს ქალიშვილმა როგორც უნდა, აკეთოს რაც უნდა, ეს არავის აინტერესებს, არც ვინმეს საქმეა, ოღონდ კი ხანთიობოში ქალწული შევიდეს. აი, რა არის საქართველოში ყოვლად აუცილებელი პირობა ქალის უმწიკვლოდ შერაცხვისათვის. იყავი ხასა, იმრუშე, იყავი მეძავი, ხარჭა, ოღონდ კი ქალიშვილი დარჩი და ასე ჩაბარდი საქმროს. ვინც ამ დაუწერელი კანონის წინააღმდეგ წავა, არ აცდება ანათემა, შეჩვენება საყოველთაო. ჰოდა, აი შენ, ოთარ ნეიძე, ძალაუნებურად ანგარიშს უწევ ამ დაუწერელ კანონს...

— ანი, არ იცი შენ...

— მაცალე, ოთარ, დამამთავრებინე! იცოდეს ყველამ: გავლილმა წელიწადნახევარმა სამუდამოდ დამარწმუნა, რომ მე შენი ქალი ვარ, შენი გოგო, შენი საყვარელი — თუ გნებავს, შენ კი ჩემი სამყარო ხარ, ჰაერი და პური...

ერთიან მაძაგძაგებდა ოფლში გახვითქულს, რა დამემართა, მაინც რამ გამხადა ასეთი უგრძნობელი, რა ეშმაკი ჩამისახლდა გულ-გვამში, რამ დამშხამა? ვერაფრით ვერ გადმოვბრუნდი ანისკენ.

— რაკი აგრეა, გეტყვი პირდაპირ...

— რას მეტყვი? რომ ცოლიანი ხარ? რომ ჩემი შერთვა არ შეგიძლია? ეგ ხომ უთქმელადაც ვიცი. მე განა რაშე გთხოვე? დაგავალე? მაგრამ იმას კი ვერ მოვითმენ, რომ შენი წაწალი ვიყო, მერე ერთ მშვენიერ დღეს გავთხოვდე, ვიღაცასთან სარეცელი გავინაწილო და ისიც მოტყუებული დავტოვო. გესმის, ამას ვერ შევურიგდები, ჩემს სიყვარულს ასე ვერ ამოვსვრი ლაფში, ვერ ვაკადრებ ამას, გამიგე?

— მე არ მივიღებ ასეთ მსხვერპლს, ანი!

„რა მსხვერპლის მიღება შეგიძლია, შე გამხმარო ჯირკო!“ — ბოროტად ჩამძახა შინაგანმა ხმამ.

—მაშინ არ გყვარებივარ!

— ეს არათანაბარი თამაშია, ანი.

— სულაც არა, მე არაფერს ვთხოულობ.

— სწორედ მაგიტომაა არათანაბარი.

— უშენობას ყველაფერი მირჩევნია!

ეს იყო მისი ბოლო ფრაზა. ნიბლიასავით მომეკუნჭა ზურგზე. ვიწექით ასე ორი დაკარგული, ტანჯული ადამიანი ფასანაურის წვირიან სასტუმროში, უსასრულოდ ახლობელნი და მაინც დაშორებულნი ბედისა და საკუთარი უნიათობისა გამო. წარსული ჩავლილი იყო, დღეისდღე უსიხარულო, მომავალი — უიმედობით დაბინდული. ახლაც არ ვიცი როდის ჩამეძინა, ანდა რამ ჩამაძინა ასეთ ვითარებაში. ის კი მახსოვს, უცნაური სიზმრების ქაოსმა ლამის სული ამომართვა: ხან დედაჩემი მეზმანებოდა, გაწეწილ-გაჩეჩილი და საბრალობელი, გულამოხვინჩვით ვქვითინებდი მისი შემყურე. ხან ბუღაზე ვიყავი ამხედრებული და მივქროდი, ხანაც ანის ვკოცნიდი და ანი კისკისებდა სიამოვნებით ატაცებული, მერმე როგორღაც მოახერხა, გულში შემიძვრა და გაუჩინარდა, გაქრა; აი, ამ ყოფაში ვიყავი — ოფლად გაღვარული და გვემული.

ძლიერმა ბრახუნმა ფეთიანივით წამომაგდო. ანი საწყალობლად მოკუნტულიყო, წამოხტა ისიც, კბილს კბილზე აცემინებდა. კვლავ ადმინისტრატორი ბრძანდებოდა — ნომერი გაანთავისუფლეთ, თორემ თქვენი გულისათვის სამსახურიდან მომხსნიანო.

— ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ამ ქალს? — დაიკვნესა ანიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მეპასუხნა, როგორ ამეხსნა, რომ ჩვენს ქვეყანაში, ქალსა და კაცს, თუ ისინი მაინცდამაინც ცოლ-ქმარი არ იყვნენ, სასტუმროში გაჩერების უფლება ოფიციალურად არ ჰქონდათ. წადი და გაიგე, რატომ! სამაგიეროდ, ადმინისტრატორის მსგავსი ნაძირალები გვარიანად მოითბობდნენ ხელს და სიცოცხლეს გაუმწარებდნენ ადამიანებს.

— წავიდეთ აქედან! ჩქარა წავიდეთ! — ანი ცახცახებდა.

ცოცხალ-მკვდრები გამოვედით სასტუმროდან, თან წამოგვყვა ღოჯებიანი დედაკაცის ხითხითი და მთლად მოგვიშხამა სიცოცხლე.

ღამე იყო ცივი, ნისლიანი, თქორავდა. მაღაზიები უკვე დაეკეტათ, სახინკლეც, მშივრები ვიყავით, მაგრამ სარესტორანე ფული აღარა მქონდა. დრო იყო თბილისში დაბრუნებაზე გვეფიქრა. რამდენჯერმე საუბრის წამოწყება ვცადე, მაგრამ ანი ჯიუტად დუმდა და კიდევ კარგი, რომ დუმდა, თორემ მე ვეღარ ავუბამდი მხარს, ისე ვიყავი გასავათებული. ბედად, სამარშრუტო ტაქსს წავაწყდით ცენტრში, სწორედ ორი მგზავრი აკლდათ, ჩავსხედით და მაშინვე დაიძრა კიდეც.

ასე დამთავრდა ჩვენი სვებედნიერი მოგზაურობა ფასანაურში.

გვერდიგვერდ ვისხედით, ერთმანეთზე მჭიდროდ მიხუტებულები, მკლავი მქონდა მოხვეული. მიჰქროდა მანქანა, ზოგჯერ ბორცვს გადაივლიდა, ზოგჯერ ორმოში ჩაჰკრავდა, ხანაც გზა იყო ოღროჩოღრო და ეს რყევა-ჯანჯღარი, უნებლიედ, კიდევ უფრო გვახლიდა და გვახუტებდა ერთმანეთს. და რაც საოცარია, ანის მკვრივი, დრეკადი სხეულის ყოველი შეხებისას მე კვლავ თხემით ტერფამდე მივლიდა ნაცნობი, ეგზომ სანატრელი, ვნებიანი ჟრუანტელი. ხოლო ანი დუმდა. დუმდა რაღაც კერპი სიჯიუტით. ისე ჩავუქროლეთ მცხეთას, ისე შემოვედით თბილისში, კრინტი არ დაუძრავს. დუმილი იმდენად შეუვალი და შეჯავშნული იყო, უნებლიედ მეც მეკრძალებოდა ხმის ამოღება. გვიან მივხვდი, რომ ეს დუმილი მოლოდინის დუმილი იყო.

უსიტყვოდ ჩავსხედით „მეტრო „დიდუბეში“ და „ლენინის მოედანზე“ ამოვყვინთეთ. კიბეებთან შევჩერდით. ამ კიბეების შემდეგ სულხან-საბას პატარა, მყუდრო ქუჩა იწყებოდა და ანის სახლიც იქვე იყო; წვრილად, უსიამოვნოდ წვიმდა. ანი შეციებული ჩანდა აშკარად, მობუზული, წამწამებზე წვიმის წინწკლები ასხდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ახლა მისწორა მზერა, დამაკვირდა, დამაკვირდა ჩაბინდული, ნაღვლიანი თვალებით და მე აშკარად ვიგრძენი, რომ ამ წამში რაღაც ისეთი უნდა მეთქვა, რასაც მისთვის ნამდვილი ფასი და მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ვერაფერი ვთქვი ასეთი, საერთოდ ვერაფერი ვთქვი და ანი წავიდა, აუყვა კიბეებს. როცა აამთავრა, ერთხელ კიდევ მოიხედა, თითქო დაუძახესო, მაგრამ რაკიღა ჩემგან მაინც ვერაფერი გაიგონა, მიეფარა თვალს.

აი, ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რაც მე და ანის გადაგვხდა იმ დალოცვილ ფასანაურში, ხოლო მეორე დღეს რაც მოხდა, უკვე გიამბეთ. ასეთი გახლდათ საქმის ვითარება. რა უნდა მექნა ახლა? როგორ მოვქცეულიყავი?

რამდენჯერმე დავრეკე, ყურმილი დედამ აიღო, მე ხმას არ ვცემდი, ვკიდებდი. თვითონ ანი ჯიუტად არ მოდიოდა ტელეფონთან, არც აქეთ რეკავდა, აპარატს არ მოვცილებივარ ერთგულ ფინიასავით. რას ნიშნავდა ყოველივე ეს? ნუთუ ჩემი იმდღევანდელი დუმილი და უილაჯობა გაგულგრილებად ჩამითვალა, ამიტომაც დამასწრო და გამეცალა სამუდამოდ? ნუთუ ასე იყო?

ერთი რამე იმთავითვე ცხადად ვიცოდი და ფასანაურის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი შეიქნა: მე მიყვარდა ანი, მიყვარდა 50 წლის მამაკაცის დაღვინებული სიყვარულით, მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, ისიც კარგად ვიცოდი, რომ ძალიან გვიან იყო ახალი ცხოვრების დაწყება, ვერა, ვერ შივა-

ტოვებდი ჩემს უძლურ დედას, ცოლს, ვერ მივატოვებდი ჩემი სისხლისა და ხორცის ორ ნაფლეთს — ინგასა და დიტოს, მათს უბედურებაზე ვერ დავაფუძნებდი ჩემს ცოდვილ ბედნიერებას. მეორეს მხრივ, ვერც ანის მიერ ასე უშურველად, ასე პატიოსნად შემოთავაზებულ მსხვერპლს მივიღებდი, არ მქონდა მე ამის ზნეობრივი უფლება, არ მქონდა და, იქნებ კარგიც იყო, ფასანაურში გამხმარ ჯირკად რომ გადავიქეცი უცებ. ერთი სიტყვით, როგორც ვხედავდი, არაფრის უფლება არ მქონდა მე, ცოცხალ, მოაზროვნე არსებას, ოთარ ნეიძეს, ლიტერატორს, არაფრის, სრულიად არაფრის უფლება არ მქონდა. მე ვიყავი ხაფანგში გამომწყვდეული თაგვი, პატარა, საბრალო წრუწუნა, სხვა არაფერი! ჰოდა, რა ქნას ახლა საბრალო წრუწუნამ?

ამ დროს, დედაჩემის ხრინწიანი ძახილი მოისმა, გაჰღვიძებოდა:

— ბელა! ბელა სადა ხარ, ბელა!

შევედი. ფასანაურის სიზმარი გამახსენდა: ძვალტყავა სახე, გაჩეჩილი, მორუხო თმა, ჩამქრალი, ტანჯული თვალები... გამაჟრჟოლა.

— რა იყო, დედიკო? გაიღვიძე?

— ბელა...

— ბელა ბაზარში წავიდა, მალე მოვა. მე მითხარი, დედიკო, თუ რამე გინდა.

— არა, შვილო, შენ არა.

მივხვდი, „იხვი“ საწოლის ქვეშიდან გამოვათრიე და შედგმა დავუპირე, მაგრამ საშინელი წიოკობა ასტეხა.

— არა... შენ არა... შვილო, ოთარ... შენ არა...

არ ვემეტებოდი ასეთი საქმისათვის, თან რცხვენოდა, ერიდებოდა. მაინც ვიძალე და როცა მოითავა, ისეთი მადლიერი მზერით შემომხედა, რომ ქვითინი ძლივს დავიოკე. გამოვედი, სავარძელში კი არ ჩავჯექი, ჩავეგდე და უცებ ისე გულწრფელად და იოლად ვინატრე — ნეტავ ცოცხალი არ ვიყომეთქი, რომ თვითონვე გამიკვირდა. ის ნოტიო, თეთრი შიში სიკვდილისა, აგრერიგად რომ მაწამებდა დროდადრო, სადღაც გაქრა და მისი ადგილი სიკვდილის გულწრფელმა ნატვრამ დაიჭირა. დაიძინო სამუდამოდ, ღრმად, მტანჯველ სიზმრებს გარეშე, აღარაფერი გაიგო, აღარაფერი იგრძნო, რა უნდა სჯობდეს ამას? რა უნდა სჯობდეს, მითხარით ერთი? და სწორედ ამ დროს, ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— ალო? — ჩავძახე.

— მე ვარ, ბატონო ოთარ, — მოესმა ძვირფასი, მოღუღუნე, ამდენ ხანს ნალოდინევი ხმა. ერთიან გავცივდი, გავიყინე.

— ანი...

პაუზა.

— სად დაიკარგეთ, ბატონო ოთარ? იქნებ მოვკვდი, არ უნდა მომიკითხოთ?

ხმა ფარული ალერსით ჰქონდა გალიცლიცებული.

— მე დავიკარგე? დაგავიწყდა, ბიბლიოთეკაში რომ უნდა მოსულიყავი?

— ავად გავხდი, ბატონო ოთარ, დაბადების დღეს ლოგინში შევხვდი. ახლაც ვწევარ, 38 მაქვს, მაგრამ როგორც იქნა დედა გავიგულე და იმ წუთას ტელეფონს ვეცი.

— ავად?

— ჰო, გავცივდი ფასანაურში.

— ანი...

— ცხრა ოქტომბერს რომ ჩემი წინასწარი დაცვაა კათედრაზე, ხომ არ დაგავიწყდათ, პატივცემულო პედაგოგო?

მეკეკლუცებოდა.

— არა, ანი.

— მოხვალთ?

— ანი!

— მანამდე ავდგები, აბა რა იქნება. ოთარ, მითხარი, გახსოვდი? მომატყუე, ოღონდ მითხარი. (და უცებ:) დედა მოდის, წავედი!

დაკიდა.

თვალები მაგრად დავხუჭე, ხელები საფეთქლებზე მივიჭირე, ასე ვიყავი დიდხანს, არც ვფიქრობდი, არც ვგრძნობდი რასმე, თავი და თვალები მტკიოდა მხოლოდ. მერმე საიდანღაც ამოცურდა ცხადი ხილვა: კაცი იჯდა ჭასთან და შიგ ანკესი ჰქონდა ჩაკიდული, ან-

კესს ბოლოში, გაჩერებული, მრგვალი საათი ეკიდა. იჯდა და ელოდა მოთმინებით. რას? რას ელოდა ნეტა? ვინ იცის... და ოი, საკვირველებავ: ეს კაცი მე ვიყავი, ბატონებო, მე, ოთარ ნეიძე, დოცენტი.

ინტერლუდია

არა, ეს სიზმარი არ იყო, არც მოლანდება — პალატის კარი ფრთხილად შემოაღო სტუდენტმა თ. რ-მ და ნირწამხდარი, დაბნეული, იქვე გაჩერდა. უკანასკნელად მე იგი 9 ოქტომბერს ვნახე, იმ საბედისწერო დღეს, ინფარქტმა რომ დამარტყა. (ამაზე ქვემოთ დაწვრილებით მექნება საუბარი). არ შეცვლილიყო: რბილი, ქერა თმა კეფაზე „ცხენის კუდად“ ჰქონდა გამოსკვნილი, ცოტათი აპრეხილ ცხვირზე ჭორფლი ეყარა, ხოლო თხელი ტუჩები ოდნავ ცბიერად უღიმოდა. ძველებურადვე ეცვა — ჯინსის გახეხილი შარვალი, ბოტასები და მონაცრისფერო, სქლადნაქსოვი ჯემპრი. აი, სწორედ ის კნაჟა გოგო გახლდათ ავტორი იმ უცნაური „სიზმრისა“, რომელიც წინა თავში წაიკითხეთ და რომელმაც მაშინ ასე ამიფორიაქა სული. თავის ალაგას გიამბობთ, თუ როგორ მოხდა ჩვენი შეხვედრა, როგორ აღვუთქვით ერთმანეთს მეგობრობა და სხვა წვრილმანებს, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდება, ახლა კი სტუდენტი თ. რ, თეთრი ქრიზანტემებით ხელში, შემცბარი მიყურებდა, კართან ატუზული. არ მოველოდი ამ ვიზიტს. მისალმებისა და მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ, მაღალ ქილაში წყალი ჩავასხით და ქრიზანტემები ჩავაწყეთ. უხერხულობამ ცოტა გაიარა, პირისპირ ვისხედით პაწია მაგიდასთან, თ. რ. შემსწავლელ მზერას არ მაშორებდა, ხოლო თვალებიდან ისეთ თანალმობას აშუქებდა, რომ წავხდი კაცი, მღელვარებისაგან მგონი ოდნავ გავწითლდი კიდეც. არაფრისმთქმელი ფრაზებით დავინტერესდი — რა ხდება-მეთქი უნივერსიტეტში, ახალი ხომ არაფერია-მეთქი, მერმე კიდევ ვკითხე რაღაც უმნიშვნელო, თ. რ-ც მოკლედ მესიტყვებოდა, უხალისოდ, ცხადი იყო, არ აინტერესებდა ეს კითხვა-პასუხი, რაღაც უფრო მნიშვნელოვანში ეწადა ჩახვდომა, ანაკვერცხლებული თვალები მისწორა და ჯიქურ მატაკა:

— გაგიჭირდათ, ბატონო ოთარ?

საწყლად გამეღიმა.

— კი... დიახ.

— ძლიერი ტკივილები გქონდათ?

— მქონდა.

— მაინც როგორია ეს ინფარქტი? მიამბეთ რა, თუ შეიძლება?

უსიამოვნოდ გამახსენდა, მაშინ, 9 ოქტომბერს, როგორ დამეძგერა ველური, აუტანელი ტკივილი გულში, ყელთან, თვალის გუგები უკიდურესად გამიფართოვდა, როგორ იფეთქა ჭუჭყიანმა, ლურჯ-ყვითელმა შუქმა, ალდა, იკაშკაშა, იკაშკაშა და ნელა იწყო ქრობა, რის შემდეგაც ყველაფერი ბნელში ჩაიძირა. ამის გახსენება იმდენად მძიმე იყო, რომ თ. რ-ს სიტყვა ბანზე ავუგდე.

— არ ვიცი, არ მახსოვს. და საერთოდ...

მაგრამ თ. რ. ჯიუტად არ მომეშვა:

— შეგეშინდათ სიკვდილისა?

ასეთ კითხვებს მხოლოდ ისინი იძლევიან, რომელთაც არ უგრძვნიათ სიკვდილის ცივი სუნთქვა. რაღა თქმა უნდა, თ. რ. სხვანაირი ვერ იქნებოდა. სწორედ ამიტომ, ალბათ არაორდინარული პასუხის მოსმენა უნდოდა, უჩვეულოსი, შემძვრელის. მშვიდად, გულწრფელად ვუთხარი:

— კი, თ. რ. შემეშინდა, ახლაც მეშინია.

ჩემდა გასაოცრად, ტაში შემოჰკრა ალტაცებით.

— როგორ მიყვარხართ! ახლა რომ დაგეწყოთ — არ შემეშინდაო, ისეო, ასეო... სიცრუე იქნებოდა, არ დაგიჯერებდით.

უცებ, მოიწყინა, ქრიზანტემას მისწვდა, ფურცლებს ძენძვა დაუწყო.

— მეც მეშინია სიკვდილისა. ძალიან...

ღონე არ მეყოფოდა, თორემ ავიყ-

ვანდი და გულში მხურვალედ ჩავიხუტებდი ამ კნაჭა, უსაზღვროდ საყვარელ გოგოს.

— რა დროს შენი სიკვდილის შიშია, თ. რ?

— ეჰ, არ იცით თქვენ...

გული მომეწურა.

— განა მეგობრები არა ვართ, თ. რ?

— დიახ, — თქვა ჩუმად, — დიახ.

— ჰოდა, მიამბე, მიამბე, ყველაფერი მაინტერესებს შენი.

თავი ჯიუტად გადაიქნია.

— არ შემიძლია. განა იმიტომ, რომ რაიმეს გიმალავთ, ბატონო ოთარ, — მზერა მომაპყრო, წყლიან თვალებში სიალალმართლე ულივლივებდა, — უბრალოდ, არ შემიძლია ამ თემაზე ლაპარაკი.

ჩაეცინა.

— ისე, კაცმა რომ თქვას, არც რამეა საამბობელი. მეშინია და მორჩა!

ცოტა ხანს იყუჩა, აღარც მე ვიცოდი რა მეთქვა.

— აქედან როდის გამოხვალთ, ბატონო ოთარ?

— არ ვიცი, თ. რ. იქნებ მალე, იქნებ კარგა ხნის მერე. სამწუხაროდ, ეგ ჩემზე არ არის დამოკიდებული.

— გაზაფხულისთვის?

— ალბათ.

— სიარული შეგეძლებათ? — თვითონვე დაასკვნა: — ცხადია, შეგეძლებათ!

თვალები აუციმციმდა, სახეზე სიხარულის ალმურმა აჰკრა, ეტყობა, რაც გაიფიქრა, მკაფიოდ დაუდგა თვალწინ.

— იცით, რა ვქნათ გაზაფხულზე? ბეთანიაში წავიდეთ. ყოფილხართ ბეთანიაში? არაა შორს. გადასახვევამდე მანქანით მივალთ, იქიდან ტყე-ტყე მიდის გზა, ისეთი ლამაზია, ისეთი ლამაზი... მიდამო სულ იებითაა გადაბურბურებული, ჰაერშიც იების სურნელი დგას. ორჯერ ვარ ნამყოფი. ნელ-ნელა ვივლით, არ დაიღლებით, საგზალსაც წავიღებთ...

მისი აღტაცება მეც გადმომედო. ცხადად დავინახე, როგორ მივაბიჯებდით ბილიკზე ახლადგაფოთლილ ხეებშუა, ვკრეფდით იებს; თ. რ-მ გვირგვინიც კი მოიწნა, დაიხურა და ტყის პაწია ფერიას დაემგვანა... ხილვა იმდენად აშკარა იყო, რომ ლამის იის სურნელიც შევიგრძენი და კვლავ გამიჩნდა ის სურვილი, რაიც თ. რ-ს „სიზმრის“ წაკითხვისას. მაშინ არ ვიცნობდი, ახლა კი აი, აგერ, პირისპირ მეჯდა. თმაზე ხელი გადავუსვი, თვალებში ჩავხედე და რბილად, სიყვარულით ვუთხარი:

— მადლობელი ვარ, თ. რ., რომ ღირსმყავი და სული გამიხსენი. მე ძმა ვარ შენი!

მერე თ. რ. წავიდა, წასვლისას ფრთხილად მაკოცა ლოყაზე და დამპირდა — ისევ მოვალო.

არა, ეს სიზმარი არ იყო, არც მოლანდება, პალატის კარი გაიხურა პატარა გოგომ, სტუდენტმა, გულში სიხარული და სინანულ, ხოლო მაგიდაზე თეთრი ქრიზანტემების დიდი თაიგული დამიტოვა.

III

ერთი დღე სრული ოჯახური ბედნიერებისა

(დასასრული)

ჩასუქებული, შავსათვალიანი, ლოყებზე ჯაგარმოდებული კაცი რბილ, ოფლიან ხელს დუნედ მართმევს და რუსულ ენაზე მეუბნება:

— არტურ ნაუმოვიჩ ერისთავი.

ტყავის კურტაკი დერეფანში გავახდევინე, სასტუმრო ოთახში შევუძეხი, სადაც ბელა სუფრას დასტრიალებდა.

მოსული ჯერ მას წარუდგა (ხელზე აკოცა) და მერმე დიტოს მიეახლა, მაგრამ დიტო შეიჭმუხნა, უგანა, ზურგი შეაქცია, თავი ისე დაიჭირა, ვითომ მისი მოსვლა არც შეემჩნიოს. სტუმარი შეცბა, გაწვდილი ხელი სასწრაფოდ ჯიბეში ჩაიჩურთა, გვერდულად, ნიკაპის ღრეცით გაიღიმა. ეს მოულოდნელი სცენა ყველამ შევამჩნიეთ და სიტუაცია ერთბაშად დაიძაბა. პიანინოსთან გაფითრებული, მთლად ჩანავლული ინგა ატუზულიყო, არტურ ერისთავი თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა, მეტი არ ჩათვალა საჭიროდ ალბათ იმიტომ, რომ დღეს უკვე ჰყავდა ნანახი.

უცნაური იყო: როგორ არ ვეცადე, ინგა სალაპარაკოდ დამეჭირა სტუმრის მოსვლამდე, ვერ მოვიხელთე. ხან აბაზანაში შეიკეტა, ხან საპირფარეშოდან არ გამოვიდა, ხანაც მეზობელთან გავარდა რაღაც უმიზეზო მიზეზით. ცხადია, თავს მარიდებდა და ხუთი საათიც ისე მოვიდა, სასიძოსი თითქმის არაფერი ვიცოდი. და უცებ, აჰა: არტურ ნაუმოვიჩ ერისთავი. კი, ნამდვილად, რაღა ფიცი და მტკიცი უნდა, ეს შავსათვალიანი, გაუპარსავი, ლოხი კაცი, იერით მეწვრილმანე ვაჭარს რომ ჰგავდა, ერთადერთი, ნასათუთარი ქალიშვილის წაგვრას მიპირებდა. ყველანი დაბნეულები და ნირწამხდარი ვიყავით, სტუმარიცა და მასპინძლებიც, არ ვიცოდით რაზე გველაპარაკა, გაბუტულებივით თვალს ვარიდებდით ერთმანეთს, მოუთმენლად ველოდით, როდის მიგვიწვევდა მაგიდასთან ბელა. იგი ხელსაწმენდებს ულაგებდა თეფშებს და ისე ღელავდა, რომ ბროლის მაღალი ჭიქა წააქცია, გატეხა.

— პარდონ, პარდონ, — თქვა ყალბი სიცილით, — ბედნიერების ნიშანია.

— ო, რა თქმა უნდა, — ჩაიქირქილა დიტომ. იგი სავარძელში იყო მოკალათებული, ფეხი ფეხზე გადაედო და დაუფარავი, ზიზღიანი დაცინვით მისჩერებოდა სტუმარს, თითქოს უნდა ეთქვა: „ბატონო ჩემო, სადილის წინ ოყნის გაკეთება ხომ ინებეთ?“

ბელას გაუთავებლად, უსაშველოდ შემოჰქონდა და გაჰქონდა თეფშები. არტურ ნაუმოვიჩ ერისთავმა, ყველა ნიშნის მიხედვით სიძობის პრეტენდენტმა, ინტერესით, საქმის ცოდნით შეათვალიერა პიანინოს ფირმა. ეს იყო ძველთუძველესი „რატკე“, ვენაში გაკეთებული, ბებიაჩემის ნამზითვი და ჩემს ოჯახში ძვირფას რელიქვიად დარჩენილი.

— ო, დიდებული ინსტრუმენტი გქონიათ, — თქვა და მის ჩაბეუტულ თვალებში ჩემთვის მოულოდნელმა. პროფესიულმა ცეცხლმა იფეთქა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა; ვინ იყო ეს კაცი? რა უნდოდა? მართლა უყვარდა ინგა? თუ არ უყვარდა, მაშინ რა მიზანი ამოძრავებდა? სიერთოდ, ძნელი წარმოსადგენი იყო უფრო შეუფერებელი წყვილი, ვიდრე ინგა და არტურ ერისთავი იყვნენ. მაშ, რა ხდება, სადაა ძაღლის თავი დამარხული? რატომ არ მიესალმა დიტო ასე დემონსტრატიულად? აშკარად ვიგრძენი, ძალიან უჭირდა ინგას, ახლა ალბათ მთელ სიცოცხლედ უღირდა თბილი, გამამხნევებელი, მშობლიური სიტყვა. სიბრალულისაგან სული კინაღამ შემეხუთა, არ ვიცი რამ მიბიძგა, მივედი, ცხვირი თმებში ჩავუყავი, ვაკოცე, ვუჩურჩულე:

— მითხარი შვილო, ეს კაცი მართლა ძვირფასია შენთვის?

მუდარით ამომხედა, უხმოდ დამიდასტურა, ნერვიულად მომიჭირა გაყინული თითები. რაღაც გადამიტრიალდა შიგნით, მაგრამ არ შევიმჩნიე, გაღიმება ვცადე, თვალის ჩაკვრაც, ვანიშნე, — მაგრად იყავი, შენთანა ვარ-მეთქი და აი, მაშინ, სწორედ მაშინ დავფიქრდი პირველად: რატომ უყვარს ინგას ეს კაცი? გარეგნობის გამო ვერ შეიყვარებდა, ცხადია. მაშ, რა ხიბლი აქვს ისეთი, რის გამოც ინგა თავდავიწყებამდე მივიდა და მისი ცოლობა მოიწადინა?

ბელამ, როგორც იქნა, გვიხმო:

— ოთარ, დიტო, სთხოვეთ სტუმარს

სუფრასთან, მხოლოდ მცირედზე ნუ დაგვემდურება, მეტი ვერაფერი მოვასწარი.

მაგიდას თვალი გადავავლე თუ არა, მივხვდი, რომ ამჯერად უკლებას გულუხვად არ გაუცია სამეზობლო სესხი. ან იქნებ ბელამ არ გამოიდო თავი და ამდენ ხანსაც ტყუილად ფართიფურთობდა დროის გასაყვანად. ფხალეული, შემწვარი და ბაქეში ჩაწყობილი ბულგარული ქათმები — ჭირის დღესავით რომ მეზარება, კიდევ რაღაც მჟავემჟუვე, შვეიცარული ყველი და... ეგ იყო სულ. სამაგიეროდ, ღვინო მართლაც რომ საუცხოო ეყიდა: წითელი „ნაფარეული“. ჭიქები შევავსე, გაგვიმარჯოს, კარგად ვიყოთ, თქვენს ფეხს გაუმარჯოს ამ ოჯახში-მეთქი, ვუთხარი სტუმარს და მოვსვი. მან პატივისცემით დამიქნია თავი, ჭიქა ბოლომდე გამოსცალა და მშვენიერიაო — განაცხადა. გამოსცალა დიტომაც. ისევ დაძაბული, მოლოდინით აღსავსე სიჩუმე ჩამოწვა; საჭმელს არავინ ეკარებოდა. არტურ ერისთავი იჯდა თავისთვის, მშვიდი, შეუვალი, უტყვი სახით, შავსათვალეაფარებული მზერა ერთი წერტილისათვის მიეშტერებინა. მეტი თუ არა, თხუთმეტი წლით უფროსი მაინც იქნებოდა ინგაზე. ვუყურებდი და ვფიქრობდი — არ უნდა ყოფილიყო მარტივი კაცი, პირიქით, ნაწვალევი და ნავაგლახარი ჩანდა. ეს რომ გავიფიქრე, რაღაც სიმპატიის მსგავსიც აღმეძრა მის მიმართ. მით უმეტეს, რომ ინგა ერთგული ლეკვივით შესციცინებდა, ეტიტინებოდა და არტურ ერისთავის სახეც ამ დროს, ალერსსა და სითბოს ასხივებდა. აი, ბელა კი ნამდვილად მაღიზიანებდა: თითქო სულ სხვა ქალად გარდაიქმნა, სასიძოს ლაქუცით, ლიქნით უღიმოდა, თავისი ხელით უწყობდა ქათმის ნაჭრებს, მიირთვითო, ემუდარებოდა.

— დედა, მორჩი! — შეუღრინა დიტომ.

— გაჩუმდი შენ! — ღრენითვე უპასუხა ბელამ.

— ბელა! ბელა! — გაისმა ამ დროს დედაჩემის ხავილი მეორე ოთახიდან. შეშფოთებული ბელა სწრაფად გავიდა, ხოლო სასიძომ ინგას გადახედა კითხვით.

— დედაჩემია, — ვთქვი მე, — ავად არის.

— სამწუხაროა, — თქვა სადად, გულწრფელად და მე შთაბეჭდილება შემექმნა, რომ არტურ ერისთავმა იცოდა რაღაც ისეთი ცხოვრებისეული სიბრძნე თუ საიდუმლო, რაც არცერთმა ჩვენთაგანმა არ ვიცოდით, ვერც ვერასოდეს გავიგებდით და მისი ხიბლის თავწყაროც ალბათ აქ იყო საგულვებელი. ქართულად ვესაუბრებოდი, ის კი რუსულად მეპასუხებოდა.

— როგორც ჩანს, გესმით ქართული?

— დიახ, ცოტ-ცოტა, — თქვა რუსულად.

— რატომ ცოტ-ცოტა?—ჩავაცივდი.

— იცით, ბავშვობიდანვე ისეთ წრეში მიხდებოდა ტრიალი, — ქართული არ დამჭირებია.

— ქართული განა ფეხსაცმელია, დაგჭირდეს, ან არ დაგჭირდეს? — ღვარძლიანად ჩაგვერია დიტო.

არტურ ერისთავმა კვლავ ნიკაპის ღრეცით გაიღიმა, ინტერესით შეათვალიერა მომავალი ცოლისძმა, შაქარყინულივით ტკბილი დიმიტრი ოტაროვიჩი, და მოღლილი ხმით უთხრა:

— მე მუსიკოსი ვარ, გეთაყვა და ფეხსაცმელებში ცუდად ვერკვევი, მითუმეტეს, რომ ძალზე იშვიათად მაცვია ახალი ფეხსაცმელი, ასე რომ ეგ საქმე თქვენთვის მომინდვია. საერთოდ კი, ნება მიბოძეთ იმ ენით ვისარგებლო, რომელიც უფრო მემარჯვება, მგონი მაქვს ამის უფლება, არა?

— ისარგებლეთ, ისარგებლეთ, — ბოროტად ჩაიღრინა დიტომ.

— ეტყობა, თქვენი ვაჟიშვილი გუნებაზე ვერა ბრძანდება, არა? — თქვა ერისთავმა, რაც დაახლოებით ამას ნიშნავდა „ძვირფას მომავალ ცოლისძმასთან მეტი ლაპარაკი აღარ მსურს!“

დედაჩემის ოთახიდან დაბრუნებულმა ბელამ წამსვე იგრძნო, რომ ფარსაგი

მოხდა, ფეხი ფეხზე დამაჭირა, მანიშნა, — რაღაც მოიმოქმედე, თქვი რამეო, მაგრამ რა მექნა, მე ხომ ვერ დავიწყებდი ლაპარაკს — თუ ჩემი ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მობრძანებულხართ, ინებეთ-მეთქი? ინგას თავი ჩაექინდრა, სუფთა თეფშს დასცქეროდა უაზროდ. ისეთი პაწია, მიუსაფარი, საბრალობელი მეჩვენა, რომ შეკავებული ბოღმისაგან თვალებზე ბინდი გადამეკრა, სმენა დამეხშო, თითქო სკამიდან ავცურდი და ჰაერში გამოვეკიდე.

— მუსიკოსი ვარო, ბრძანეთ?

— დიახ, — დამიდასტურა ერისთავმა და კეთილად გამიღიმა, — მხოლოდ, არ ვიცი როგორი.

— იქნებ დაგეკრათ რამე?

პაუზა.

ვიგრძენი, ამწონდამწონა შავი სათვალის მიღმიდან.

— მართლა გინდათ? — მკითხა ეჭვით.

— რაღა თქმა უნდა! — სწორს ვეუბნებოდი.

— მაშინ, სიამოვნებით.

პიანინოსთან მრგვალ სკამზე გადაჯდა, მოკლე თითებით ელეგანტურად გადაირბინა ჩაყვითლებულ კლავიშებზე. ნაწყვეტ-ნაწყვეტი აკორდები აიღო, მერმე თანდათან გამოიკვეთა შოპენის ცნობილი ნოქტიურნი, ძვირფასი და მახლობელი. ვინ მოსთვლის რამდენჯერ მ[illegible]ისმენია ეს ნოქტიურნი დიდი პიანისტების შესრულებით, მაგრამ რასაც არტურ ერისთავი ამ წუთს აკეთებდა, მაინც სულ სხვა იყო: უსაზღვრო სინაზის, სისპეტაკისა და ინტიმის გამჭვირვალე ქსელი შემოგვაბლარდნა თითქოს და მათრობელა ბანგით სასიამოვნოდ გაგვაბრუა. მის დაკვრაში ისეთი შინაგანი თავგანწირვა, სწორედ თავგანწირვა იგრძნობოდა, რომ უნებლიედ გაიფიქრებდი: აი, დაამთავრებს და თვითონაც გათავდებაო. ამ მსუქანმა, ლოხმა კაცმა თითქოს წონა დაკარგა, მეწვრილმანე ვაჭრის გარეგნობაც სადღაც გაქრა და მუსიკის ლურჯმა ტალღებმა წალეკა ყველაფერი. შოპენს სკრიაბინი მოჰყვა, სკრიაბინს, ცოტა უცნაური კი იყო, გერშვინის „ამერიკელი პარიზში“ და ბოლოს, გახმაურებული „სუპერსტარიდან“ რამდენიმე ნაწყვეტი — მათ შორის, ქრისტეს დატირება ღვთისმშობლის მიერ. შთაბეჭდილება მართლაც რომ გამაოგნებელი აღმოჩნდა. აი, ახლა მივხვდი, რატომ უყვარდა ინგას ეს ულამაზო კაცი, რატომ შესციცინებდა ერთგულ, მორჩილ ფინიასავით. მივხვდი, მაგრამ გული მაინც მტკიოდა, არ იყვნენ ისინი შესაფერები და მომკალით.

როცა ინგას თვალებში უსაზღვრო, უნაპირო აღტაცება დავინახე, ვიგრძენი: არტურ ნაუმოვიჩ ერისთავს ბრძოლა მოგებული ჰქონდა, გამარჯვება სრული იყო. ეს, რაღა თქმა უნდა, სასიძომ ყველაზე უკეთესად იცოდა და როგორც კი თავის ადგილს დაუბრუნდა მაგიდასთან, მოკრძალებით ითხოვა სიტყვა. ყრუ, ოდნავ ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა, მიეთმოეთის მოყვარული არ ჩანდა, ზუსტ სიტყვებს აგურებივით ალაგებდა ერთმანეთზე და ისე აჰყავდა კედელი, რომელიც ინგასა და ჩემს ოჯახს, ნებსით თუ უნებლიედ, ერთმანეთისაგან სამუდამოდ მიჯნავდა. მკვდარივით გაფითრებული ინგა უსიტყვოდ უქნევდა თავს. სიმწრით შიგანი ამემღვრა, გავცივდი, გავიყინე. „დამიღუპავს ნასათუთარ გოგოს ეს დემონი, წრუწუნასავით ჰყავს დაჭერილი“, — ამას ვფიქრობ, თან ვხედავ:

...არტურ ნაუმოვიჩ ერისთავი სცენაზე ზის, შავი ფრაკი აცვია, შავი, მბზინავი ცილინდრი ჰხურავს და შავსათვალიანი, თმაწვერგაჩეჩილი, ბირდაბირით უკრავს უზარმაზარ ჩელოს. ისმის საზიზღარი ხრიალი, ღრჭიალი, ლამის გასკდეს ყურის აფსკი...

— ნებას მომცემთ, დღეიდან დედა დაგიძახოთ?

— ძალიან მოხარული ვიქნები, — წრიპინებს ბელა.

„რა დაემართა?“ ვფიქრობ, — „რა დაემართა ბელას?“

ვხედავ ინგას გაფართოებულ, მომუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარე თვალებს და მესმის დიტოს ხმა (სასიძოს მიმართავს):

...მარტო რომ მოპეტელდით ქალის ხელის სათხოვნელად, რატომ მშობლები არ მოიყვანეთ, და-ძმა, ან მეგობარი მაინც, ასე ამოწყვეტილი როგორ ხართო.

„სწორია, მართალს ამბობს!"

— მშობლები ლენინგრადში არიან, გარდა ამისა, მე არ ჩავთვალე საჭიროდ...

— თქვენ რა ჩათვალეთ საჭიროდ და რა არა, არავის აინტერესებს, ამ საქმეს თავისი წესი და ტრადიცია აქვს და მისი დაცვა გევალებოდათ. — მოუჭრა დიტომ.

— გეთაყვა, ხომ არ დამაცლიდით მშობლებთან ლაპარაკს? — დაღლილი ხმით ეუბნება სასიძო დიტოს, მის ხმაში აშკარა ზიზღი გამოკრთა, გამარჯვებულისა დამარცხებულის მიმართ, მაგრამ, როგორც ჩანს, ზეიმი ნაადრევი იყო.

უცებ ყოველივე თავდაყირა დადგა.

— აჰ, მშობლებთან გინდა ლაპარაკი? აბა, ახლავე ალაგდი აქედან და მოუსვი, შე ნაბიჭვარო, თორემ გაგხიე შუაზე! — წაუსისინა დიტომ ერისთავს, წამოდგა.

— ა?

— მალე! — კვლავ წაისისინა დიტომ.

— გეთაყვა...

— მალე-მეთქი! — მოუთმენლად იმეორებდა დიტო, ყბა მოენგრა, თვალები გადმოუცვივდა, ცოფიანის შესახედაობა ჰქონდა.

— მამა! — ეს ინგაა.

— დიტო! რას სჩადიხარ, დიტო! — ყვირის ბელა.

სასიძო, არტურ ნაუმოვიჩ ერისთავი, საბედნიეროდ მიხვდა, რომ აქ გაცლა ჯობდა, გვერდულად, ნიკაპის ღრეცით ჩაიღიმილა, ადგა, სკამი შესწია, თავი დამშვიდობების ნიშნად ზრდილობიანად დახარა და დერეფნისაკენ გაემართა. ბელა მიჰყვებოდა ნირწამხდარი, ცდილობს ტყავის კურტაკი დაუჭიროს და ჩააცვას, მაგრამ სასიძო გამოართმევს, საკეტს დაეჯაჯგურება, არ იცის, როგორ გააღოს, ბელა ულებს.

— არტურ! არტურ! — იძახის ინგა, მაგრამ პასუხად კარის ჯახანი ისმის.

მერმე — სიჩუმე.

...დიტო სავარძელში ჩამჯდარა, ფეხი ფეხზე შემოუდვია, სავსე ჭიქა უჭირავს, ნელ-ნელა სვამს, თან ინგას გამომწვევად უყურებს, მქირდავად. მაგიდაზე ნიდაყვებით დაბჯენილ ბელას სახე ხელისგულებში ჩაურგავს. მაინც რა მოხდა, რა ღვთის რისხვა დატრიალდა? რა ეშველება ახლა ინგას, პიანინოს რომ აჰკვრია და მხრების ცახცახით, ჩუმად ქვითინებს? გულის სიღრმეში იქნებ მიხარია კიდეც სასიძოს გაგდება, მაგრამ ინგაც მებრალება, თან ისიც ვიცი: ეს ამბავი უმტკივნეულოდ, იოლად არ ჩამთავრდება, გართულება მოჰყვება უსათუოდ და მერმე გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

— რა ქენი, ბიჭო, ეს, რა ჩაიდინე, თუ გესმის ნეტა მაინც? — აღმოხდა ბელას.

— კარგი ერთი, — დიტომ ხელი აიქნია.

— როგორ თუ, კარგი ერთი? — გაცხარდა ბელა.

— როგორ და ასე: გულის სიღრმეში შენც და მამასაც გიხარიათ ამ ნაბიჭვრის გაგდება, მაგრამ არ გინდათ ხმამაღლა თქვათ.

— ოჰ, შვილო, — ბელას ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები, — ასე გამეტება შეიძლება საკუთარი დის? გეკითხები, შეიძლება?

— მე კი არა, თქვენ იმეტებთ! იცით, ვინ არის ეგ კაცი?

„მართლაც, ვინ არის?" — ამას მე ვფიქრობ.

— მაინცდამაინც ყველა შენსავით ლოთი და ოხერი უნდა იყოს? — აქამდე ჩუმად მტირალმა ინგამ უცებ იფეთქა და გადმოანთხია უკადრისი სიტყვების ნიაღვარი, რაღა თქმა უნდა, დიტომ ტოლი არ დაუდო, რამაც აშკარად დამარწმუნა, რომ და-ძმას არც სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთისა, არც პა-

ტივისცემა. ეს იყო ორი უკიდურესად განერვიულებული, ზღვარამდე მისული ახალგაზრდის შეხლა-შემოხლა, როცა გარღვეულია ზნეობის ყველა ჯებირი, გათელილია ადამიანობა. ნუთუ ესენი ერთი მუცლიდან იყვნენ ნაშობნი და ერთი ძუძუთი გაიზარდნენ? თურმე როგორ ვერ იტანდნენ ერთმანეთს! მეც და ბელაც თითქო ნორმალური მშობლები ვიყავით, ბავშვებიც აკი სიყვარულისა და ფაქიზი ურთიერთდამოკიდებულების მაგალითზე გავზარდეთ, დავაფრთიანეთ, . რამდენი რამ მოვიკელით ცხოვრებაში, რომ მათ არაფერი მოკლებოდათ არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ სულიერადაც, თითქო კულტურულ, ინტელიგენტ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ კიდეც, მაგრამ მაშინ ეს უშვერი ლანძღვა-თრევა რაღაა? ამას რას ისმენს ჩემი ყურები? ნეტავ ცოცხალი არ ვიყო, გავქრე, აღვიგავო პირისაგან მიწისა, ოღონდ ღვიძლი დამის ასეთ გააფთრებულ მძულვარებას არ ვხედავდე.

— [illegible]ცო, რას გაჩუმებულხარ, ხომ ხედავ — დაჭამეს ერთმანეთი, ვერ ამოიღებ ხ[illegible]ას? — ბელა მიყვირის.

— რა ვთქვა? — ვამბობ თავჩაქინდრული.

— რა ვთქვა, რა ვთქვა, — კაპასად გამომაჯავრა ბელამ, — საქმეც ეგაა, რომ არაფერი გაქვს სათქმელი. მთელი ცხოვრება მხოლოდ შენს თავზე ფიქრობდი, მხოლოდ შენი პირადი სატკივარი გაწუხებდა, ოჯახს არაფრად აგდებდი და შედეგიც აგერ გაქვს, თვალწინ. ა, ბატონო, უყურე და დატკბი.

— თუ ოჯახს არაფრად ვაგდებდი, მაშინ რატომ ვარ თქვენთან? — ძალზე გულწრფელად გამიკვირდა მე.

— მხდალი ხარ და იმიტომ! წამსვლელს ძალა სჭირდება, რომელიც შენ არ გაგაჩნია, — არ დამინდო ცოლმა.

„მართალს ამბობს, მგონი“, — ეს გავიფიქრე, და ანის ნაღვლიანმა სახემ გამიელვა, ხმამაღლა კი ვთქვი:

— ბელა, რა გინდა ჩემგან?

— არაფერი არ მინდა. პირიქით, ყველას თქვენ გინდათ ჩემგან: დავრდომილ დედაშენსაც მე უნდა მოვუარო, ოჯახის ტვირთიც მე უნდა ვწიკო, შვილებსაც სირცხვილ-ნამუსი მე მოვწმინდო, შენ კი... შენ ხომ პრინცი ბრძანდები, ბატონო, შენს წინაშე თითის წვერებზე უნდა ვიარო, თორემ ვაი, ჩემი ბრალი.

„მართალია, სწორია სავსებით“, — ვფიქრობ და მინდა ეს ხმამაღლაც ვთქვა: — ბელა, მე განა არ ვიცი...

მაგრამ ცოლი მაწყვეტინებს:

— არაფერიც არ იცი! უნიათო იყავი მუდამ. ხომ ხედავ, სადამდე მივედით? ცოტა მოიცადე, უარესს ნახავ — წლობით ნაშენების ნანგრევები შეგრჩება ხელში. მაშინ გაიხარებთ ყველა. რა მეთქვა? რა მეპასუხნა? ბელას ყოველი სიტყვა ჭინჭარივით მსუსხავდა, მაწამებდა, თითქო ჰაერი აღარ ჩამდიოდა ფილტვებში, აგერ-აგერ უნდა გავგუდულიყავი. ინგა ოთახიდან გავარდა, გაჰყვა დედამისიც, ხოლო დიტო, ისევ სავარძელში ჩაფლული, ფეხი ფეხზე გადადებული, ღვინოს წრუპავდა და ცინიკურად იღიმებოდა. მისი იერი მეუცხოვა; ნუთუ ეს ჩემი შვილი იყო, ჩემი სისხლისა და ხორცის ნაწილი? ასეთი ულმობლობა საიდან დაჰყვა? რა გვქონდა ჩვენ საერთო? მხოლოდ ის, რომ ჩემეული სისხლი დაუდიოდა ძარღვებში, გაჭრილი ვაშლივით მგავდა გარეგნულად და ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით? კმაროდა ვითომ ეს? იმის თავიც არ მქონდა, რომ მეფიქრა, ანალიზი გამეკეთებინა და რაღაც დასკვნამდე მივსულიყავი. გული აუტანლად მჩხვლეტდა, ნიტროგლიცერინი მოვძებნე. ეს წამალი საშინლად მატკიებს თავს, მაგრამ რა მექნა, შეტევას სხვაგვარად ვერ მოვიხსნიდი. ჰაერი მეცოტავებოდა, ძლივსღა ვსუნთქავდი, ვიფიქრე, — გავივლი-მეთქი ქუჩაში, მაგრამ საამისოდ ძალა არა მქონდა, ისევ სახლის სახურავზე ასვლა ჯობდა, იქ, ჩვეულებრივ, კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მით უმეტეს ამ დროს, და სიწყნარეში იქნებ ცოტა მოვსულიერებული-

ყავი. მეთექვსმეტე სართულზე ვცხოვრობ, სულ ოციოდე კიბეა ასავლელი და პირდაპირ ტელევიზორის ანტენებით დაქსელილ სახურავზე აღმოვჩნდები. უკვე ბნელა, იქნება ასე რვა საათი, ცა ჩაქუფრულია, უვარსკვლავო, ხოლო ქალაქი მირიადი ყვითელი წერტილებით ციმციმებს. სახურავს მოვლებული აქვს რკინის მოაჯირი, რომელიც მუხლამდე მწვდება, ქვემოთ, უსაშველოდ ქვემოთ, დიდ სახლებშუა მოქცეული ქუჩის ჭრილში შუქფარებით განათებული მანქანები სათამაშოებივით დაღოღავენ. მოჩანს, აგრეთვე, მოპირდაპირე, აწოწილი სახლების განათებული ფანჯრები, დანარჩენი მიდამო ბნელშია დანთქმული. მოაჯირის ცივ რკინას ხელი შევახე, ზომაზე მეტად გადავიხარე და წარმოვიდგინე — როგორ მივფრინავდი ტრიალ-ტრიალით, ჰადრის ხმელი ფოთოლივით. ნეტა მოვასწრებ რამის გაფიქრებას, თუ ეგრევე დავეთხლიშები ასფალტს და წამში გავანთხევ სულს? გამაზრიალა, შიშით ბალანი უკუღმა წამივიდა, მთელი არსებით შეძრული მოვშორდი მოაჯირს. არა, ამის გამკეთებელი არა ვარ მე, ძალა არ მეყოფა აშკარად. ჯობდა სისულელეზე ფიქრისათვის თავი დამენებებინა და იმაზე მეფიქრა, თუ როგორ მომეგვარებინა ოჯახის თავბოლოჩახლართული საქმეები. საოცარია, ცხოვრებაში ყველაფერი მოუგვარებელი მქონდა, არ გამაჩნდა ადგილი, სადაც მივიდოდი, თავს მოვიდრეკდი და თავისუფლად ამოვისუნთქავდი, არ მყავდა ადამიანი, ვისგანაც გამამხნევებელ სიტყვას მოვისმენდი.

...დედა უიმედო ავადმყოფია, შვილებმა ლამის ერთმანეთი დაჭამონ, მე კი მათთან საერთო ვერ მომიძებნია. ცოლი უნიათოს მეძახის და იქნებ მართალიც არის. მტანჯავს გამუდმებული უსახსრობა, ვიღაც გაქსუებულ ვილი უკლებასკენ ვიშვერ ხელს მათხოვარივით. სადოქტორო დისერტაცია ვერა და ვერ დამიმთავრებია, ხან რა გამომიტყვრება, ხან რა, საშუალება არა მაქვს, ერთი წელი მაინც მთლიანად, მთელი გულით მივეცე საქმეს... ანი... ბათ ანისაც დავკარგავ მალე!...

...ა? როგორია? განა არ კმარა, რომ კაცმა ბედნიერად ჩათვალოს თავი? ანდა, რა გასაკვირი იქნება, ამ სახურავიდან ხმელი ფოთოლივით მოინდომოს გადაფარფატება, ტრიალ-ტრიალით, ლამაზად? მახსენდება ფედერიკო ფელინის „რვანახევარი". თავის დროზე, შემძრა მისმა პროლოგმა: ქუჩა მანქანებითაა გადატენილი, ნემსი არ ჩავარდება, სულის მოთქმა ჭირს, თაკარა მზეც აცხუნებს. და აი, ერთი მანქანის ფანჯრიდან რის ვაივაგლახით კაცი გამოძვრა, გაშალა ხელები და გაფრინდა ცისკენ, ასცილდა ქუჩებს, მანქანებს, სახლებს, ქალაქის დამთრგუნველ ორომტრიალს, ლაღად შეინავარდა ლურჯ, მოლივლივე სივრცეში, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცალ ფეხზე თურმე თოკი აქვს გამობმული და მიწაზე დარჩენილი, ამ თოკს ჩაფრენილი ადამიანები ყიყინითა და კბილთაღრჭენით ცდილობენ მის ქვემოთ ჩამოთრევას, ჩამოათრევენ კიდეც და საბრალო კაცი მოკლული ქედანივით ენარცხება მიწას... ეხე-ხე, ბატონებო, აბა რა გგონიათ თქვენ?

ნაბიჯების ხმა მომესმა. დიტო იყო, მკერდზე თავისი ცინდალი აეხუტებინა. სულში სითბოს ნაკადი ჩამეღვარა, ცხადი იყო — იმიტომ მოვიდა, გულიანად გვესაუბრა, ოჯახის საჭირბოროტო საკითხები აგვეწონ-დაგვეწონა და ერთობლივი დასკვნები გამოგვეტანა. ოი, როგორ მჭირდებოდა მე ახლა მოსწრებული ვაჟიშვილის თბილი, გამამხნევებელი სიტყვა. სწორედ მისი და მეტი არავისი.

ბოლთას ვცემთ, ახლა რაღაც კარგის, ნამდვილის თქმაა საჭირო, რაიმე ისეთისა, ორივეს რომ დაგვიამებს აფორიაქებულ სულს, მაგრამ წეღანდელი უცნაური ვითარებით მოგვრილი შთაბეჭდილება იმდენად ყოვლისმომცველია, რომ სხვას ვერაფერს ვახერხებ, ამასღა ვეუბნები:

— მე არ ვიცი, შვილო, ის კაცი ვინ

არის და რას წარმოადგენს, მაგრამ მაინც არ უნდა მოქცეულიყავი ასე. ცოდოა ინგა, ძალიან ცოდოა. ნუთუ ვერ გრძნობ, როგორ ატკინე გული?

დიტო მკვეთრად შედგა, დაიძაბა, შეავატყე.

— მაინცდამაინც ყველაფერი უნდა მათქმევინოთ, არა?

— რის თქმა გინდა, შვილო, თქვი, რატომ არ ამბობ? — ვუთხარი გულწრფელად, რბილად.

— ეგ ნაბიჭვარი ცნობილი ნარკომანია, იცით ეს თქვენ?

— ა? რაო?

თვალთ დამიბნელდა, მხარზე წავეპოტინე დიტოს.

— დიახ, ნარკომანი, — ულმობლად განაგრძობდა დიტო, — მე კი, სიკეთის საზღაურად, ჩემი ჭკუის კოლოფი დის ლანძღვა-თრევა მივიღე.

— იქნებ ცდები, დიტო, ა? იქნებ ცდები, ბიჭო? — ხავსს ვეკიდებოდი წყალწაღებული.

— ასეთ რამეებში შეცდომა გამორიცხულია! — დინჯად, უფროსივით დამარიგა შვილმა, — გადი რუსთაველზე და იკითხე „სერიკა“, ყველა გეტყვის მაგის ასავალ-დასავალს. ერთ დროს კი სწავლობდა კონსერვატორიაში, მაგრამ მერე გამოაგდეს და ახლა მაწანწალაა ჩვეულებრივი;

— ვაიმე, შვილო... რა ვუშველოთ ინგას?

— მეშინია, გვიან არ იყოს.

— რას ამბობ? როგორ თუ გვიან? რას ამბობ?

ეტყობა, ნამეტანი ავფორიაქდი, დიტომაც იგრძნო, იოლად არ მოვეშვებოდი და საუბარი ისეთ თემაზე გადაიტანა, ალბათ განგებ, რომ ახლა სხვა რიგის ფორიაქმა ამამღვრია და ამიბნია თავგზა.

— ყველას უკუღმა გესმით ჩემი ლაპარაკი, სიკეთე სიავად გეჩვენებათ, ესაა რომ მაგიჟებს.

და უცებ მოჭრა:

— წავიდე უნდა ამ სახლიდან, არ არის აქ ჩემი ადგილი.

„აი, საქმე!..“ — ამას მე ვფიქრობ.

— რას ამბობ, ბიჭო?

— არაფერს. უნდა წავიდე.

ხმაში გაკერპებული სიჯიუტე ჩასდგომოდა, რამაც უნებლიედ, ჩემს ხმას მიანიჭა სილბო და ალერსი.

— სად უნდა წახვიდე, შვილო, იმის მაგივრად, რომ დაოჯახებაზე იფიქრო, გვარის გაგრძელებაზე, შვილიშვილს მოგვასწრო...

— გვარი, თორემ მეც მუხრან-ბატონის გვარი არ გავამრავლო ერთბაშად, — ჩაიქირქილა და ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

რა მეთქვა, რა მეპასუხნა?

— საით აპირებ, მაინც?

— გამოჩნდება გზა, ბალტიისპირეთში მინდა, ალბათ ესტონეთში, შორს, ძალიან შორს საქართველოდან.

— საქართველომ რაღა დაგიშავა? — ამოვიკნავლე.

— დამიშავა! — მტკიცედ თქვა დიტომ, — დამიშავა და კიდევ მეტი!

არც ისე რეგვენი იყო მამაძაღლი, თანაც გაცილებით უფრო შეუპოვარი, ვიდრე მე ვარ, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რომ მის შეუპოვრობაში ასაკს, ახალგაზრდობას, ლომის არჩევი ედო. „იყავ შენ დროთაო, მოხვალ ჩემ დროთაო“, — ბებიაჩემმა იცოდა ხოლმე თქმა, ცხონებულმა. შეუპოვრობას მხოლოდ ბოლომდე მიტანილსა აქვს ფასი, დიახ! თანაც, შეუპოვრობაზე, თუ ერის რაობაზე კამათის დრო არ იყო ამჟამად, სხვა რამ უფრო მაფიქრებდა:

— კი, მაგრამ ჩვენ რაღას გვიპირებ,

შვილო? დედაშენს, ბებიაშენს, ინგას? მეც, ხომ ხედავ, თითქმის დავბერდი, ძალა აღარ მეყოფა ახალი ცხოვრების დასაწყებად...

ვთქვი ეს და ანის ნაღვლიანი სახე დავინახე, ოდნავ გაღიმებული. რას ნიშნავდა ეს ღიმილი: სიბრალულს? გაქირდვას? ნიშნისმოგებას? იქნებ ყველაფერს ერთად? თუმცა რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი ის იყო, რომ მე ძალა არ მეყოფოდა ახალი ცხოვრების დასაწყებად.

დიტოს პასუხი ასეთი გახლდათ:

— მე კი ახალი ცხოვრება მინდა სწორედ! თქვენ გაიტანთ თავს უჩემოდ როგორმე.

„საიდან ასეთი ულმობლობა და ცინიზმი?“ ბოლმა მომაწვა. „თავს წავიდა ლაწირაკი“.

— რაკიღა არ დაგიშლია, დიმიტრი ოტაროვიჩ, მაშინ ეგ ცინდალი არ დაივიწყო, თან წაიყვანე, როგორც სიმბოლო შენი გულმოწყალებისა.

— დამცინი?

— არა, რატომ. გახსენებ, არ დაგავიწყდეს-მეთქი.

— ნუ სწუხდებით, მამა-ბატონო, არ დამავიწყდება! — მთლად შემჯდა ეს ძაღლიშვილი.

— კარგია, ყველაფერი მოფიქრებულ-მოგვარებული გქონია. ისღა დაგრჩენია, რომ ჩავიდეთ ახლა ქვევით და შენი შორეული მოგზაურობის სადღეგრძელო დავლიოთ, ა, რას მიბრძანებთ ამაზე, ბატონო დიმიტრი ოტაროვიჩ?

დიტომ ზიზღით ჩაიქსიტინა. ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. თუ რა მოხდა შემდგომ, ახლავე გიამბობთ:

ბელას სუფრა აელაგებინა. დედაშვილი თავიანთ ოთახში შეყუჟულიყვნენ. სიჩუმე იყო. ცოფიანი ძაღლის გუნებაზე ვიყავი, რომ შემძლებოდა, საკუთარ თავსაც შევხრავდი და სხვასაც. დიტომ ცოტა ხანს იბორიალა, გარეშემო მიტრიალა, ეტყობა კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ სავარძელში ჩასვენებული ვდუმდი. ლოჯიაში გავიდა და მიჩუმდა. ეტყობა წამოწვა: ცოტა არ იყოს, გულზე მომეშვა, ამ ვითარებაში ნამდვილად ჯობდა მისი გარიდება, თორემ ჩვენი საუბარი, შეიძლება მწარე შეხლა-შემოხლაში გადაზრდილიყო. დავაპირე, ბელას დავუიახებ-მეთქი, მაგრამ ცხადად ვიგრძენი — აღემატებოდა ჩემს ძალღონეს. არც სათქმელი მქონდა ბოლო, არც მოსასმენი, ყველაფერი გარკვეული იყო, ცხადი. ანისთან ხომ არ დამერეკა? მაგრამ უცებ აღმოვაჩინე, არც მასთან მქონდა სალაპარაკო. როგორც კი ეს გავაცნობიერე, ამაზრზენი, თეთრი სიცარიელე დამეუფლა. ასე რომ გაგრძელებულიყო, თავს რაღაცას ავუტეხდი. ამ დროს, ზარის ცივი ხმა გაისმა. ნუთუ სასიბო არტურ ერისთავი მობრუნდა? წავლასლასდი, გავაღე. ჩემ წინ ვილი უკლება იდგა, მეზობელი. და რადგანაც იმ საღამოს ჩვენს შორის ძალზე საგულისხმო საუბარი გაიმართა, რაც, სხვათა შორის, არანაკლებ საგულისხმო ფინალით დასრულდა, თავს ნებას მივცემ ცოტა უფრო ვრცლად აღვწერო ეს მოულოდნელი ვიზიტი.

უკლება ახალგაზრდა კაცი იყო, ასე 35-37 წლისა, მაღალი, ბეჭებში გაშლილი, თმადავარცხნილი, სუფთა, თითქო საგულდაგულოდ გაპრიალებული. ლურჯი „ადიდასის“ პიჟამა ეცვა. „ადიდასივე“ თეთრი ბოტასები. იგი ამ ორი წლის წინ უკან გადმოსახლდა აქ, ატენის ქუჩაზე, ჩემს მოპირდაპირე, ოროთახიან ბინაში. გადმოსვლისთანავე ძვირფასი რემონტი გააკეთა, ძვირფასი ჭაღები ჩამოკიდა, ხოლო მუხის კარს სამნაირი ფინური საკეტი, სიგნალიზაცია და სპეციალური საჭვრიტინო დაუყენა. კარგი რამ გახლავთ ეს საჭვრიტინო, ღმერთმანი, საშუალებას გაძლევს მოსულ სტუმარს, შეხედულებისამებრ, ან გაუღო კარი, ან არა.

მშვენიერი ბავშვები ჰყავდა, ქალვაჟი, და ძალზე სიმპათიური ცოლი. კარგი სამეზობლო ოჯახი აღმოჩნდა, ცოლი — უკლება წარამარა შემოდიოდა ჩვენთან ტელეფონზე დასარეკად.

ღვთის მადლით, ბავშვებსაც უყვარდათ გაუთავებელი რეკვა და სახვალიო გაკვეთილების ამ გზით დაზუსტება. ზოგჯერ ვილი უკლებაც გვეწვეოდა ხოლმე — სიტყვაძვირი და უაღრესად რესპექტაბელური, მისი სატელეფონო საუბარი მუდამ საქმიანი, მოკლე, ზუსტი და მბრძანებლური იყო, იგრძნობოდა, ვიღაცის თუ რაღაცის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი თხრობისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ერთი სიტყვით, მეზობლურ-ოჯახური ურთიერთობანი ფრიად ტკბილსასიამოვნო გახლდათ, მაგრამ ახლა, ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს, ვილი უკლებას მოულოდნელმა სტუმრობამ ცხოვრებაში პირველად მაფიქრებინა, რომ იქნებ კარში დატანებულ საჭვრიტინოსაც ჰქონდეს გამართლება, ათასში ერთხელ მაინც.

(აქვე მინდა ვთქვა: განსაკუთრებულად სტუმრიანი არ ეთქმოდა უკლებათა ოჯახს, მაგრამ დროდადრო მართავდნენ ხოლმე სუფრას — ამა თუ იმ საბაბით. ერთხელ, ბავშვის დაბადების დღეზე, მე და ბელაც მიგვიპატიჟეს. იმ საღამოდან, განსაკუთრებით, აი, რა დამამახსოვრდა: ვილი უგრძნობლად დათვრა, რატომღაც გაბოროტდა, სერვანტიდან ანტიკვარული ლარნაკები წამოკრიფა და პარკეტზე ლაწალუწი აუტეხა, თან, ქაღალდივით გათეთრებული ხარხარებდა, ხარხარებდა გაუთავებლად...)

აი, ეს კაცი იჯდა ახლა ჩემ წინ, მე კი ვერაფრით ვხვდებოდი, რა შეიძლება სდომებოდა, ნუთუ იმ 50 მანეთის სათხოვნელად მოვიდა, დღეს რომ გამოართვა ბელამ მის ცოლს სესხად?

უკლებამ, რატომღაც, ოთახის კედლები, ჭერი და, ბოლოს, იატაკიც მოათვალიერა, დიდი ხნის ნახმარ, გაქუცულ ავეჯეულობასაც ჰკიდა მზერა და სრულიად მოულოდნელად კითხვა დამისვა:

— თქვენი ბინა რამდენი ოთახისგან შედგება, ბატონო ოთარ?

მხრები ავიწურე:

— განა არ იცით? ოთახისგან.

— ვიცი, მარა მაინც... ლოჯიაც არის, ხომ?

— არის, კი.

— ესე იგი, ფაქტიურად ხუთი ოთახი გამოდის.

— დიახ, ფაქტიურად, — დავეთანხმე ნირწამხდარი და შევამჩნიე, რომ უკლებას წვერი მხოლოდ ნიკაპზე ეზრდებოდა და ისიც მეჩხერად, ქოსა იყო;

— საპირფარეშო და აბაზანა ერთადაა, თუ ცალ-ცალკე?

— ცალ-ცალკე, ბატონო.

— კარგია.

— რა? — დავინტერესდი მე.

— ცალ-ცალკე ჯობია, — დამარწმუნებლად განმარტა უკლებამ.

ბედნიერმა აზრმა გამიელვა: ალბათ ჩემი კეთილი მეზობელი, უკლება, სარემონტო ტრესტის მმართველია, ან მოადგილე, და ახლა იმიტომ მოვიდა, რომ ბინის შეღავათიან, სახელმწიფო ფასებში გარემონტება შემომთავაზოს-მეთქი. აი, მეზობელიც ასეთი უნდა, ოცდაათი წელია ამ ბინაში ვცხოვრობ და მაინც ვერ მოვახერხე მისი რემონტი, ანდა რითი მომეხერხებინა, სარემონტო ფულს მე ჩემს სიცოცხლეში ვერ დავაგროვებდი. და აი, ახლა, უცებ...

თურმე სიურპრიზი აწი მელოდა:

— ბატონო ოთარ, ხომ გჯერათ, რომ თქვენთვის პირადად და თქვენი ოჯახისთვის კონკრეტულად, სიკეთის მეტი არაფერი მინდა?

„კი, რემონტისთვის არის მოსული, ნამდვილად“.

— მჯერა, ჩემო კარგო, როგორ არ მჯერა, მჯერა!

— მაშინ ყველაფერზე შევთანხმდებით ჩვენ! რა მინდა, იცით, გითხრათ? მე ვხედავ თქვენი ოჯახის, ნუ გეწყინებათ და, ასე ვთქვათ, ხელმოკლე მდგომარეობას... რას იზამ, თანამედროვე ცხოვრებაში... დოცენტი ბრძანდებით და რემონტიც ვერ გაგიკეთებიათ...

— რა კეთილი ხართ, ბატონო ვილი!

— შევყვირე აღტაცებით, — რა კეთილი!

პაუზა.

მერმე ვილი უკლება ალაპარაკდა:

— მე გლდანის მასივში მაქვს სამოთახიანი ბინა — ფინური შპალერითა და ჩეხური კაფელით გაწყობილი...

— სასიამოვნოა.

— მე თქვენ გაძლევთ იმ ბინას, ბატონო ოთარ!

შევცბი, დავიბენი.

— ა? მე? რატომ?

— იმიტომ, რომ გადახვიდეთ და იცხოვროთ ბედნიერად, — უკლება ზრდილობიანად იღიმებოდა.

— გლდანის მასივში? რა მინდა გლდანის მასივში?

— ბატონო ოთარ, ოთხოთახიანი და ლოჯიანი ბინა სამოთახიანზე რომ არ იცვლება და ისიც ვაკიდან გლდანის მასივში, მაგდენი კი ვიცით ჩვენ.

— დიახ, მაგრამ... მე რა შუაში ვარ? რა უნდოდა ამ კაცს? რატომ, რა მიზეზით, ანდა რა უფლებით მიშვებდა გლდანის მასივში? ღმერთი, რჯული, არ მინდოდა მე გლდანის მასივში ცხოვრება, ამას სიზმარშიც კი ვერ დავუშვებდი. სხვათა შორის, ქალაქის იმ უბანში არა ვყოფილვარ, ისიც არ ვიცი, სად არის.

— ეტყობა ვერ გაგაგებინეთ, ხომ, ბატონო ოთარ? — შეწუხდა უკლება, რაკიღა სახეზე აშკარა გამოლენჩება დამატყო.

— დიახ, იცით, ვერა.

— გეტყვით პირდაპირ.

— ბრძანეთ! ბრძანეთ! — გამიხარდა მე.

— ღმერთმა კარგად გამყოფოთ, ბატონო ოთარ და, გოგო ალბათ მალე გაგითხოვდებათ, ბიჭიც ცოლს შეირთავს და ცალკე მოისურვებს ცხოვრებას, ასეა ეს... დედათქვენი, მოგეხსენებათ... დიახ... დარჩებით ორი ადამიანი და სამი ოთახი გეყოფათ სავსებით. მე კი, აი, ამ კედელს გავჭრი, — თითი მიაშვრა ჩვენს საზიარო კედელს, — და ორის მაგივრად ექვსი ოთახი მექნება, თავის ლოჯიათი. ბავშვები შეზრდებიან, წესიერი, ადამიანური ცხოვრება უნდათ, აღზრდა სჭირდებათ... ასე არაა?

— კი, მაგრამ...

— მე თქვენ დაზარალებულს არ დაგტოვებთ, ბატონო ოთარ, თუ დამიჯერებთ, მოხუცებულობა უზრუნველყოფილი გექნებათ.

— მაინც როგორ? — დავინტერესდი.

კოლოსალური თანხა დამისახელა.

— ო!

— დიახ!

— რამდენია ეგ ძველ ფულზე? — ვერა და ვერ მივეჩვიე ფულის ახალი კურსით ანგარიშს.

— დიდი ფულია, ბატონო ოთარ, — გაყინული ღიმილით თქვა უკლებამ, — ძალიან დიდი!

— ო!

— დიახ!

— და ეგ დიდი ფული რომ მივიღო, რა უნდა ვქნა?

უკლება გამოცოცხლდა.

—სამოთახიან კეთილმოწყობილ ბინაში უნდა გადახვიდეთ, გლდანის მასივში. მალე იქ მეტროსაც გაიყვანენ.

— სულ ეგ არის?

— ბეს სახით, დღესვე შემიძლია მოგართვათ...

— რამდენი?

— რამდენსაც მეტყვით.

— ო!

— დიახ!

არა, არაფერი მომყურებია, ნამდვილად: აი, ეს სუბიექტი, უკლება-ქმარი, უზარმაზარ თანხას მთავაზობდა და სამაგიეროდ, გლდანის მასივში მისტუმრებდა, ხოლო თვითონ აქ, ატენის ქუჩაზე მოიკალათებდა ექვს ოთახში, რაკიღა ახალგაზრდა, მზარდი ოჯახის პატრონი იყო და თან, კარგი ცხოვრებაც უყვარდა, ხალვათი, ბლომი. მაინც, რამხელა ადგილს დაიჭერს ის ფული, ნეტავ? ვთქვათ, ამ ოთახის ერთ კუთხეს — ასმანეთიანებით გამოტენილს? ა? დილდილაობით ვდგებით ოჯახის წევ-

რები, სამსახურში წასვლამდე ვიღებთ რამდენიც მოგვეხასიათება, ვიდებთ ჯიბეში და ვხარჯავთ. მაინც რაში? მე გაჭირვებულმა, ისიც არ ვიცოდი, რაში უნდა დამეხარჯა, ან როგორ უნდა დამეხარჯა.

— საიდანა გაქვთ ამდენი ფული, უკლება? — დავინტერესდი სრულიად უადგილოდ.

სწრაფად შემომხედა გაყინული ღიმილით.

— ძვირფასი ბოდიში, მაგრამ თქვენ ეგ არ გეხებათ.

— ხელფასი? ხელფასი?

— არც ეგ გეხებათ თქვენ.

— აი, მე სამასოცი მანეთი მაქვს, დარწმუნებული ვარ, თქვენზე მეტი, მაშ, რატომ ვერ ვცხოვრობ იმის მესამედადაც კი, როგორც თქვენ ცხოვრობთ? ამიხსენით!

— ხელფასით ვერ იცხოვრებ, ბატონო ოთარ!

— მაშასადამე, აუცილებელია ქურდი იყო? დიიიდი, გრააანდიოზული ქურდი?

პაუზა.

— რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას, ბატონო ოთარ? დაგიშავეთ რამე? მოგტაცეთ რამე? მინდა, რომ მეც კარგად მოვეწყო და თქვენც, ერთხელ და სამუდამოდ ამოხვიდეთ გაჭირვებიდან. ორი წელია გიყურებთ, კოსტუმი ვერ გამოგიცვლიათ, ცოლისთვის ქურქი ვერ გიყიდიათ, რაო, იქნებ მითხრათ — არ სჭირდებაო? ხელფასით ამას თქვენ ვერასოდეს გააკეთებთ, ხოდა, მე გთავაზობთ დიდ ფულს, უმტკივნეულოდ, უწვალებლად აიღეთ და მოიხმარეთ, შეგარგოთ ღმერთმა.

— თქვენ არამზადა ბრძანდებით, ბატონო უკლება! — ვუთხარი მშვიდად, ხმის აუწევლად.

— ნუ აჩქარდებით დასკვნების გამოტანაში, ბატონო ოთარ, — ასევე მშვიდად მიპასუხა უკლებამ, მხოლოდ ეს კია, თვალებში კაკის ნატეხები ეწყო, — დღეს იქნება თუ ხვალ, დარწმუნებული ვარ, ჭკუაში დაგიჯდებათ ჩემი ნათქვამი და იმედი მაქვს, თვითონვე მომძებნით. მე არ გაჩქარებთ, იფიქრეთ...

კარისკენ წავიდა.

ეს თავზარდამცემი იყო, მაგრამ უფრო თავზარდამცემი ის აღმოჩნდა, რომ უკლებას გასვლისთანავე ჯერ ბელამ გამოყო თავი ოთახიდან, მერმე დიტომ ლოჯიიდან. ორივე დაძაბული მოლოდინით მომაჩერდა. ცხადი იყო, უკლებასთან საუბარი სიტყვასიტყვით ჰქონდათ მოსმენილი და ახლა ჩემს გადაწყვეტილებას ელოდნენ დაძაბულად.

— ეს რა ცის გახსნასავით მოგვევლინა? — ვეღარ მოითმინა, სიჩუმე ბელამ დაარღვია.

— რომ გადაიფიქროს? — ეჭვით ჩაილაპარაკა დიტომ, — ხომ გესმოდა, ფაქტიურად გააგდო კაცი, არამზადა უწოდა.

გულის მწვავე ტკივილმა თვალთ დამიბნელა, იღბლად, მალევე მოვსულიერდი და ჩემს ოთახში გავედი უსიტყვოდ.

ინტერლუდია

ოო, როგორ გავმწარდი!

რაც ავადა ვარ, დიტო რამდენჯერმე იყო სანახავად, კედელზე მიყრდნობილი, რატომღაც არ ჯდებოდა, მალე წასვლისკენ ეჭირა თვალი, ბელას და მე ეჭვიან მზერას გვადევნებდა, საუბარში, ჩვეულებრივ, არ გვერეოდა, მაგრამ თუ ჩაგვერეოდა, უთუოდ რაღაც შემაწუხებელი და წონასწორობის დამარღვეველი უნდა ეთქვა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, ბოლომდე არ სჯეროდა ჩემი ავადმყოფობა, ყოველ შემთხვევაში, მძიმე ავადმყოფად არ მთვლიდა, ფიქრობდა, რომ ვიგონებდი, ვაზვიადებდი და ბელას რბილი, დამყოლი ხასიათითაც ზომაზე მეტად ვსარგებლობდი. ღმერთო მაპატიე, მგონი საერთოდ იმიტომ მოდიოდა, რაღაცით გაეღიზიანებინე, მაინცდამაინც საწინააღმდეგო ეთქვა, მუდამ კრიტიკულად იყო განწყობილი, ჩემს ნათქვამსა თუ ნამოქმედარს ავყიურად აქილიკებდა,

ანდა, რაც უარესი იყო, ჩირადაც არ აგდებდა. ერთი სიტყვით, „თვალში ვეპატარევებოდი“ აშკარად. დავიჯერო, წინასწარ გააზრებულად, გამიზნულად მოქმედებდა? კი, მაგრამ რის მიღწევა სურდა? როგორც ჩანს ეს ყოველივე ფსიქიკის ქვეცნობიერ შრეებთან იყო დაკავშირებული, ფროიდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ე. ი. „ოიდიპოსის კომპლექსთან“, ყველა ხერხებით მამის დათრგუნვას რომ გულისხმობს, დედისადმი ეჭვიანობის ნიადაგზე. საერთოდ, რაც მეტად ვცდილობდი დიტოს ფსიქიკაში შეღწევას, მით უფრო ვიბნეოდი და არაფერი გამეგებოდა. ჩემთვის ძირფესვიანად უცხო იყო მისი უემოციო, ინდიფერენტული, რომანტიკისაგან დაცლილი არსებობა, ყველგან და ყველაფერში ცივი გონება რომ ჭარბობდა. ზოგჯერ თითქოს ვხედავდი კიდეც — როგორ უხსნიდა გოგოს სიყვარულს და თან მზესუმზირას აკნაწუნებდა. არა, ამას ვერ დავუკარგავ, ნამდვილად აინტერესებდა ადამიანთა და მოვლენათა გულისგული, შინაგანი არსი, მაგრამ რაც უკიდურესად მაკვირვებდა, ამ გულისგულში ცუდს, უარყოფითს, ბინძურს უფრო ხედავდა, ხოლო ჭეშმარიტებასთან ვითომდა მიახლოვების, ბოლომდე წვდომის საბაბით, წმიდა ხატების შერყვნა კაპიკადაც არ უღირდა. აი, ასეთ უნუგეშო ფიქრებს აღმიძრავდა ხოლმე დიტოს ყოველი მოსვლა საავადმყოფოში, გამოუვალ ჩიხში მამწყვდევდა და ღმერთმანი, არ ვაჭარბებ, სიკვდილს მასურვებდა, რადგან ვრწმუნდებოდი: ჩემი არსებობა, ალბათ გაუცნობიერებლად, „ნერვებს უშლიდა“ და ყოველივე სხვა, სწორედ აქედან იღებდა სათავეს.

მაგრამ რაც იმ დღეს მოხდა!

შემოვიდა თუ არა, წამსვე შევატყვე — ნასვამი იყო; ეგ არაფერი, ჩვენი მეზობელი ვილი უკლება შემოჰყვა, ძვირფასი ვილი უკლება, ისიც მთვრალი. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. დიტო კევს ღეჭავდა, გაწელილი, ბრიყვული ღიმილით მიმზერდა, ტუჩებს ილოკავდა, როგორც სიმთვრალეში სჩვევია.

— რავა ხარ, დიმიტრიჩ?

გაღიზიანების ჟრუანტელმა დამიარა, არ ვუპასუხე, გავჩუმდი.

— ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო ოთარ? — ზრდილობიანად მომიკითხა უკლებამაც.

— გმადლობთ.

— კარგად უნდა იყოთ, კარგად, აბა როგორ! ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ მალე გამოჯანმრთელდეთ, დიახ!

შინაგანად დავიძაბე. რას გულისხმობს? საერთოდ, როგორ გაბედა აქ მოსვლა?

— დაბრძანდით, ვილი, — სკამი შესთავაზა ბელამ.

— ნუ წუხდებით ასე მირჩევნია, — მოკრძალების ნიშნად გულზე ხელი მიიდო, თავი დახარა.

— დიმიტრიჩ, ჩვენში დარჩეს და, აღარ გეყოფა ნებივრობა? სხვა თუ არაფერი, წოლა დაგღლის, — ილრიჭება დიტო.

— დიტო, რასაა რომ ამბობ? — ეს ბელაა.

— კიდევ რით გამახარებ, შვილო? — ვთქვი ცივი სიმშვიდით.

— ეე, დიმიტრიჩ, გახარება, იცოცხლე, კარგი რამე იყოს, მაგრამ საიდან? ფაფუ, გახარება.

— დიტო! — ეს ბელაა.

ჩვეულებრივად, ძველებურად რომ ვყოფილიყავი, ვიზამდი იმას, რაც არასოდეს მიქნია: გავუშლიდი და ყურის ძირში ვლეწავდი. ეტყობა, სახე ამერია.

— ოთარ, რა მოგივიდა? — შეშფოთდა ბელა.

— ახლავე წადი სახლში, დიტო, გამოიძინე და მერე მოდი. ისე, თუ საერთოდ აღარ მოხვალ, კარგს იზამ!

— რა იყო, დიმიტრიჩ, რა გეწყინა? — გაიჭყანა დიტო.

— ახლავე წადი!

— ჰმ, ბატონი ხარ! — მხრები აიჩეჩა, — თუ ასე გესიკვდილება ჩემი და-

ნახვა... წავიდეთ, ვილი, ხომ ხედავ, ვერ გვიტანენ აქ.

მერე კი, აი, რა მოხდა:

ვილი უკლებამ ულრმესი ბოდიში მოიხადა, მთვრალმა რომ გავბედეო მოსვლა, ნუ შემრისხავთ, თქვენი დიდი პატივისმცემელი ვარ, ძველი წყენა დაივიწყეთ, მე და დიტოს ძმებივით გვიყვარს ერთმანეთიო და სხვა მისთანანი იბლუკუნა. ბოლოს, მოულოდნელად, დაიხარა, მაკოცა, თან სასთუმალქვეშ სწრაფად შემიცურა რაღაც და უკვე გასულ დიტოს მიჰყვა. გულმა ცუდი მიაზრა, ბალიში ავწიე, კონვერტი იყო, ხუთთუმნიანებით გატენილი. ცახცახმა ამიტანა.

— ბელა, დააბრუნე! — არ ვიცი ვიყვირე, თუ ჩურჩულით ვთქვი.

მეტი არაფერი მახსოვს.

IV

„ელვარე და ლომფერი, იყო ცხრა ოქტომბერი".

ეს დღე საბედისწერო აღმოჩნდა ჩემთვის, წყალგამყოფივით შემომეჭრა ცხოვრებაში და თითქო შუაზე გამიჩეხა იგი, ორად გამიყო: 9ოქტომბრამდე და 9 ოქტომბრის შემდეგ. აქამდე მომხდარი, შეძლებისდაგვარად უკვე გიამბეთ, 9 ოქტომბრის მერმე, კაცმა რომ თქვას, აღარც რამეა საამბობელი, ხოლო რაც ამ დღეს დატრიალდა ჩემს თავზე, თუ ძალა მეყო, ახლა გიამბობთ.

გალაკტიონის ცნობილი სტრიქონების მიხედვით, მზიანი, „ელვარე და ლომფერი" დღე უნდა გათენებულიყო, წვიმითა და ნისლით გაჟღენთილი კი გათენდა. სინოტივე, სიცივე და უსასოო ნაღველი მიწრიალებდა სულს, ავი წინათგრძნობა არ მასვენებდა, სახლიდან გასვლა მესიკვდილებოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი, რადგან, ჯერ ერთი, ლექცია მქონდა, მეორეც, ანის დისერტაციის წინასწარი დაცვა უნდა შემდგარიყო კათედრის სხდომაზე და ჩემი დასწრება, სხვას რომ თავი დავანებოთ, ვითარცა ოფიციალური ხელმძღვანელისა, აუცილებელი გახლდათ.

ლექცია 12 საათზე დამეწყო პირველი კორპუსის № 104 აუდიტორიაში, მესამე სართულზე, დერეფნის ბოლოს. ეს აუდიტორია მრავალადგილიანია და იმითაც გამოირჩევა, რომ ამფიტრიონის ყაიდაზეა განლაგებული, რაც ლექტორისათვისაც მარჯვეა და მსმენელთათვისაც. დაახლოებით სამოცდაათ სტუდენტამდე დამიხვდა, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამი ჯგუფი და ათნიც კავკასიურ ენათა შემსწავლელები. ეს ჩვენი მეორე შეხვედრა იყო. მთელი სექტემბრის თვე სტუდენტები ქალაქის სხვადასხვა სკოლებში პედაგოგიური პრაქტიკით გახლდნენ დაკავებულნი და მხოლოდ საოქტომბროდ დაუბრუნდნენ უნივერსიტეტს. პირველ შეხვედრაზე, მათი უკეთ გაცნობის მიზნით, წერა ჩავატარე, მაინტერესებდა ვინ რას ფიქრობდა, როგორ აზროვნებდა, რამდენად ფლობდა წერის კულტურას. ზემოთ ვთქვი კიდეც, შედეგი არასახარბიელო გამოდგა, ერთ-ორ ნაწერს თუ არ მივიღებთ მხედველობაში:

...ფეხზე ჩამომწყდარი, ლოდინით გასავათებული გოგონა ჭაში ჩაკიდული ანკესით.

ბუნებრივია, მაინტერესებდა ვინ აღმოჩნდებოდა მისი დამწერი — ბიჭი თუ გოგო, ვინ ეფარებოდა ინიციალებს თ. რ? როცა კათედრაზე შევდექი. და აუდიტორია გულდასმით მოვათვალიერე, თვითეული სახე ნათლად, გარკვევით დავინახე და შეძლებისდაგვარად დავიხსომე კიდეც, აღმოჩნდა, რომ წინა

შეხვედრაზე მიღებულ შთაბეჭდილებას არ მოვეტყუებინე, ამ კურსსაც ძალუმად მოსდებოდა ფილოლოგიის ფაკულტეტის ქრონიკული სატკივარი — უბიჭობა! აუდიტორიის აბსოლუტური უმრავლესობა ქალიშვილებისგან შედგებოდა და მხოლოდ სამადსამი ყვინჩილასავით თმაგაბურძგნული, უდღეური ვაჟი შევნიშნე, ეგ იყო და ეგ.

...ვკითხულობდი სიას და თან ვაკვირდებოდი ფეხზე წამომდგარ სტუდენტებს, რომლებიც მოკლე ამოძახილით — ვარ! — სხდებოდნენ. თ. რ. პირველ ჯგუფში არ აღმოჩნდა, არც მეორეში და აი, მესამეში, როცა ბგერა თ-სთან მივედი: უცებ, თ. რ. (რაკიღა თვითონ არ ისურვა სახელისა და გვარის გამჟღავნება, მეც ასე დავუძახებ: თ. რ.) ბოლო რიგში წამოდგა გამხდარი, სახის იერით მოზარდ ბიჭს მიმგვანებული გოგო, რომელიც წარბებქვეშ ღრმად შემალული თვალებით, არ შევცდები თუ ვიტყვი, მტრულად მიმზერდა. არა, არ მომჩვენებია, მტრულად და ეჭვით, გამომცდელად. არც ის მომჩვენებია, რომ ზომაზე მეტ ხანს იდგა და სანამ არ ვუთხარი — დაბრძანდი-მეთქი, არ დაჯდა. აი, თურმე ვინ ყოფილა თ. რ. — ფარატინა, მაღალშუბლა გოგო. რატომ მიყურებს ასე მტრულად, ნუთუ ვერ ხვდება, რამდენიმე დღეა განუწყვეტლად რომ ვუტრიალებ მას, ჩემდაუნებურად? ან იქნებ მშვენივრადაც ხვდება? მაგრამ ამაზე ფიქრის საშუალება არ მქონდა, ლექცია უნდა დამეწყო. სია ჩავიკითხე, ჟურნალებს ხელი მოვაწერე და სასაუბროდ მოვემზადე შინაგანად. ოც წელზე მეტია უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ვკითხულობ ლექციებს, გავბედავ და ვიტყვი, ჩემი საქმე გვარიანად ვიცი, გამოცდილებაც სოლიდური დამიგროვდა, მაგრამ კურსის დაწყება ყოველთვის ახალბედასავით მაღელვებს და მაფორიაქებს. ახლაც, სათქმელს ერთბაშად ვერ მოვუყარე თავი და დასაწყისი ფრაზები, შევატყვე, არ გამომივიდა რიგიანი, ხმამაც მიღალატა ოდნავ, მოუზომავად მაღალი ინტონაცია ავიღე და მომეჩვენა, რომ ვყვირიოდი, რაც ჩემთვის უჩვეულოც გახლდათ და უსიამოვნოც, მაგრამ სულ მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, თავისი გზით წავიდა.

მგონი ზემოთ უკვე ვთქვი: საგანი, რომელსაც ვკითხულობ, გახლავთ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია;

კურსის შესავალ ლექციებს ჩვეულებრივ, „ორი მკვლელობის" პრობლემას ვუთმობ. ალბათ გახსოვთ, ამ ჩანაწერების დასაწყისში ვთქვი, ხსენებული სათაურით წიგნის დაწერას ვაპირებ-მეთქი, მაგრამ დეტექტიური ჟანრის რომანი ნუ გეგონებათ, წმინდა წყლის მეცნიერული ხასიათის ნაშრომი გახლავთ და დიმიტრი ყიფიანის მკვლელობასა (1887 წ.) და ილია ჭავჭავაძის მკვლელობას (1907 წ.). შორის მდებარე ოცწლეულის ყოველმხრივი ანალიზის ცდა იქნება-მეთქი. ჩემის ღრმა რწმენით, ამ ოცწლეულში მომხდარმა ისტორიულმა პროცესებმა შეამზადა და ერთგვარად განსაზღვრა კიდეც XX საუკუნის ლიტერატურის პრობლემატიკა და, ამდენად, ხსენებული ოცწლეულის ფართო სურათის მიწოდება სტუდენტებისათვის ჩემი, როგორც ლექტორისა და მოქალაქის, პირდაპირ მოვალეობად მიმაჩნდა. ახლაც სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრებოდი აუდიტორიას და ვხედავდი მათ ცოცხალ, ინტერესით სავსე თვალებს, რაც, არ დავმალავ, მსიამოვნებდა.

მერმე ასე გავაგრძელე:

სამოცდაათი წლის სულმნათ ბერიკაცს — დიმიტრი ყიფიანს ვიღაც ნაცრისფერი ნაძირალა მიუგზავნეს და თავში რკინის ჩარტყმით სიცოცხლეს გამოასალმეს. აი, მაშინ მართლაც შეტოკდა საქართველო და ერის წიაღში ნელ-ნელა, მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ ჯიუტად იწყო გამოღვიძება მიძინებულმა სულმა, აქვე ლიბომკვიდრად ჩაეყარა საფუძველი მომავალ, XX საუკუნეს. დიმიტრი ყიფიანის და-

თხეულ სისხლზე ის სამრეკლო ამოიზარდა, საიდანაც დედო-ზარმა მძიმედ, მდორედ, ᲗᲔᲗᲔᲚᲘ ერის გასაგონად ჩამორეკა. მთელი ოცი წელი რეკდა ეს ზარი და ამ ხნის მანძილზე ეროვნულმა სულმა, ეროვნულმა ინტელიქტმა, კულტურამ, ლიტერატურამ ძიების უმტკივნეულესი პროცესი გაიარა ილია ჭავჭავაძის წინამავლობით და როცა ის იყო, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გამოჩნდა ერის მომავლის გზა, ის ნაპირი, რომელსაც ხომალდი უნდა მისდგომოდა სამერმისოდ, სწორედ ამ დროს ახალმა ნაძირალებმა „უკვდავი ბოროტება“ ჩაიდინეს და ერის მამასა და ბელადს შუბლი გაუხვრიტეს ბერდანკის ტყვიით. „ილიას მკვლელებს რომ შესძლებოდათ, საქართველოსაც მოჰკლავდნენო“, — თქვა მაშინ ვაჟამ. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი, ხოლო ჩვენი დროის დიდმა ორფეოსმა, გალაკტიონმა, XIX საუკუნის დასრულება და ახლის, XX-ის საბოლოო დადგომა ასე გვამცნო: „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი, ძველი სიმღერა და იდილია, ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი“. ეს სწორედ ის ხიდი იყო, ორი „ძლევამოსილი“ საუკუნე რომ უნდა შეეერთებინა. ისე შემიტყუა საუბარმა, ვიდრე პირველი მერხიდან მორიდებით არ შემახსენეს — მეორე საათის გამოსვლის ზარიც დაირეკაო, საერთოდ დაკარგული მქონდა დროის შეგრძნება. თურმე შესვენების წუთებიც გამომპარვია და ლექციის დასასრულისაც. მალე მომდევნო ლექცია უნდა დაწყებულიყო და აუდიტორიის დაცლა იყო საჭირო, მე კი ვაპირებდი სტუდენტთა წერით ნამუშევრებზეც მეთქვა ორიოდე სიტყვა. რაღას ვიზამდი, შემდეგისათვის გადავდოთ-მეთქი ვუთხარი ახალგაზრდებს, გულში ღრმა მადლიერების გრძნობა მიტრიალებდა, ორი საათი სულგანაბული რომ მიგდებდნენ ყურს. ამ დროს, კვლავ წავაწყდი თ. რ.-ს თვალებს და ველარ მოვითმინე, ვიხმე. თ. რ. არამარტო სახით ჰგავდა პატარა ბიჭს, ტანითაც. გახეხილი ჯინსის შარვალი ეცვა, ბოტასები და მონაცრისფერო ჯემპრი. ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘᲗᲘ მკერდი ჰქონდა, წვრილი მკლავები, ხოლო ცხვირზე ჭორფლი ეყარა საყვარლად. თხელი ტუჩები მჭიდროდ მოეკუმა, კვლავაც წყრომით, უნდობლად თუ მოლოდინით მიმზერდა. მხარზე მსუბუქად შევეხე და ალერსიანად ვუთხარი:

— გამარჯობათ თ. რ.

სწრაფად შემომხედა, ეჭვით, არ მიპასუხა.

— წავიკითხე თქვენი ნაწერი.

არც ახლა მიპასუხა, გვერდულად ამომხედა ქვემოდან.

— შეგიძლიათ ჩემი ნდობა?

ჩუმად თქვა:

— არ ვიცი.

— მე მინდა, მეგობრები ვიყოთ, თ. რ.

ინტერესით შომაცქერდა.

— მაინც, როგორ?

— მაგის რეცეპტი განა არსებობს? ვიყოთ და ეგ იქნება.

ღიმილმა გაჰკრა თხელ ტუჩებზე, ცბიერმა.

— კარგი.

— აი, ჩემი ხელი, — ვუთხარი მე.

მან ოდნავი შეყოვნებით ცივი, წვრილთითებიანი მარჯვენა გამომიწოდა. სწორედ მაშინ, მთელი არსებით ვიგრძენი, რომ ეს ბავშვი მარტოსული, მიუსაფარი იყო ჩემსავით და მასთან ურთიერთობა გულწრფელად მეწადა. უნებლიედ, ხელი გადავუსვი რბილ, ქერა თმაზე, რომელიც კეფაზე „ცხენის კუდად“ ჰქონდა გამოსკვნილი. ამ შეხებამ ჩემი ინგა მომაგონა, და რაღაც ჩამწყდა, მეტკინა შიგნით, ხოლო ეს გოგონა მართლაც ძვირფასი გახდა ამიერიდან. კინაღამ ცრემლი წამომივიდა, ამიტომაც ავჩქარდი და საუბარი უადგილოდ მოვკვეთე:

— შევხვდებით კიდევ, ახლა ნახვამდის თ. რ., კათედრის სხდომაზე მეჩქარება.

— ნახვამდის, — მიპასუხა ძალიან სერიოზულად და ჭორფლიანი ცხვირი

საყვარლად აინაოჭა. ასე დავცილდით ერთმანეთს. მალე შეხვედრის იმედით, მაგრამ როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, მე ხომ მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, რა განსაცდელიც უნდა დამტყდომოდა თავს.

კათედრის სხდომა ორ საათზე დაიწყო. ანი, არ ვიცი განგებ, თუ უნებლიედ, ცოტა დაგვიანებით მოვიდა და მე საშუალება არ მომეცა დავლაპარაკებოდი, ორიოდე სიტყვით მაინც გამეგო, რა გეგმით აპირებდა საუბრის აგებას, რის თქმა უნდოდა. კათედრის წევრებს ყველას თავთავისი ადგილი გვქონდა დაკავებული. მე, როგორც ყოველთვის, უკან, ფანჯარასთან მიმჯდარი, ხაზგასმული გულგრილობით გავცქეროდი წვიმაში გასუდრულ, შეციებულ კვიპაროზს, მთლიანად რომ ფარავდა კაბინეტის სარკმელს, ვითომ სულ არ მაინტერესებდა რაც ოთახში ხდებოდა, მაგრამ როცა კათედრის გამგემ, პროფესორმა შ. გ-მ გამოაცხადა — ბოკერიას მოვუსმინოთო, ვეღარ მოვითმინე, ანის ვუსწორე მზერა.

ავადმყოფობას ოდნავ გაელახა, გამხდარი იყო, ფერმკრთალი, თეთრი, სპეტაკი კაბა ეცვა, ცისფერი სირმით ფაქიზად გაწყობილი, ხოლო გულზე, ვერცხლის მსხვილი ძეწკვით, უხეში, წახნაგოვანი, ყავისფერი ქვა ეკიდა, სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი, შუაში გახვრეტილი ქვა, რომელიც ისე მკაფიოდ გამოირჩეოდა თეთრად აბორცვილ მკერდის ფონზე, რომ მაშინვე იქცევდა ყურადღებას და გადაჭარბებულ ცნობისწადილსაც აღძრავდა.

...გზა მუქად ჩაბურულ ფიჭვნარში მიემართება, ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმის, არც სულდგმული ჭაჭანებს. ნაბიჯებს ფრთხილად ვადგამ, მეკრძალება ამ ზეიმური მყუდროების დარღვევა. კარგა ხანია მოვდივარ, მაგრამ გზას ჯერ არ უჩანს სამანი. ლენინგრადთან ახლოს, სოფელ კომაროვოში, სადაც ანა ახმატოვას უბრალო ფიცრის სახლი მაჩვენეს, იმ სასაფლაოს გზაც მიმასწავლეს, სადაც იგი განისვენებს და აი, მე მივაბიჯებ ფრთხილად, შერთული და შენივთებული ტაძარივით მაღალ, მოგუმბათებულ მდუმარებას, ხოლო გონებაში უნებლიედ მიხმიანდება სწორედ აქ, კომაროვოში დაწერილი სტრიქონები „წინასაგაზაფხულო ელეგიისა“...

ბოლოს, სასაფლაოც გამოჩნდა — უზარმაზარი ფიჭვებით გარშემორტყმული, ჩამყუდროვებული, სადა, ფაქიზად მოვლილი სასაფლაო, გაყღენთილი წიწვებისა და გირჩების სურნელით, დუმილითა და უკაცრიელობით. ბილიკმა პირდაპირ მიმაყენა ახმატოვას საფლავს. მოვარდისფერო გრანიტის კედელზე მისი ბარელიეფია, სახელი და გვარი, დაბადებისა და აღსრულების წლები, ხოლო უბრალოდ შემორაგვული საფლავი ყავისფერი კენჭებითაა მოხვინჭული — ესაა და ეს. დიდხანს ვიდექი მოკრძალებით. ახმატოვას ღვთაებრივ სტრიქონებს ვიხსენებდი, მერმე იქვე, დაკბილული, შუაში გახვრეტილი, მოყავისფრო კენჭი შევნიშნე და სახსოვრად თან წამოვიღე. რამდენიმე წელი იდო იგი ჩემს საწერ მაგიდაზე, როგორც ძვირფასი რელიკვია, ახმატოვას „დროის სრბოლასთან“ ერთად, შარშან კი ანის ვუსახსოვრე, ხოლო ახლა მის მკერდზე ვხედავდი ოდნავ მოქანავეს, გახშირებულ სუნთქვას აყოლილს.

რა იყო ეს, რის ნიშანი იყო? იქნებ იმის თქმა უნდოდა, პოეზიით და შენით ვარ სავსეო? ან იქნებ ახმატოვას საფლავიდან აღებული კენჭი საიმედო, მხსნელ თილისმად შეეგულებინა? არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ეს კია, სიტყვებს რაღაც უცნაური ვიბრაციით გამოთქვამდა, ღელავდა აშკარად და ეს მღელვარება მეც გადმომედო, ნალაპარაკევიდან აზრი ვერ გამომქონდა, ხმა ჩამესმოდა მხოლოდ. გულისყური მოვიკრიბე, გონს მოვეგე, საუბარი გავიცნობიერე. კარგად ლაპარაკობდა, ზუსტი სიტყვებით, თანაც სწორედ იმას, რაც ჩვენ მიერ, ერთობლივად, ათასჯერ იყო მოფიქრებული და აწონილი. მაშ, რაღა ჰქონდა საღელვებელი? მუშტი

ავაღირე და როცა მისი მზერა დავიჭირე, ცერი გავშალე, დავანახე. ეს სარისკო იყო, ვინმეს რომ შეემჩნია, უხერხული ვითარება შეიქმნებოდა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის თავი არა მქონდა, მთავარი იყო — ანის ცოტა შვება მაინც ეგრძნო. პასუხად ტუჩებზე ოდნავი ღიმილი გაუკრთა და მართლაც, სულ მალე, ხმამ ჩვეული სილბო და სიღრმე დაიბრუნა.

კარგა ხანს ლაპარაკობდა, ალბათ ერთი საათი მაინც. ნათლად გამოკვეთა არაგვისპირელისა და ლომთათიძის მხატვრული ოსტატობის მრავალი ისეთი საკითხი, რასაც, თამამად ვიტყვი, ჩვენს ლიტერატურაში ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული, მაგალითად, დამაჯერებლად იქნა უარყოფილი ძალზე ფეხმოდგმული აზრი, თითქო ჭ. ლომთათიძე ე. წ. ლირიკული პროზის წარმომადგენელი იყოს. ლირიკა იმთავითვე გამორიცხავს ადამიანური ხასიათების ხატვის შესაძლებლობას, ხოლო ჭოლას პროზა სწორედ ხასიათებითაა სავსე, რადგანაც იგი პოეტურია და არა ლირიკული. ანიმ კარგად შეძლო ამ აზრის საფუძვლიანი არგუმენტირება. სხვა საკითხების დასახელებაც მრავლად შეიძლება, დისერტაციაში ახლებურად რომ იყო გაშუქებული, მაგრამ შორს ნუღარ წავალთ. კამათის დროს მშვენივრად ეჭირა თავი, დამაჯერებელ პასუხებს იძლეოდა, აშკარა იყო და დამნახველს უნდა დაენახა, რომ ლაპარაკობდა სოლიდური ცოდნით აღჭურვილი, საქმეში ჩახედული ლიტერატორი.

კათედრის გამგე, პროფ. შ. გ., საერთოდ ძალზე ძუნწი ვისიმე ქებაზე, უხვად გაისარჯა ანის მიმართ და სხვათა შორის, მეც გადამიხადა მადლობა, ვითარცა ოფიციალურ ხელმძღვანელს. საბოლოოდ, კათედრის ყველა წევრის აზრი ასეთი გახლდათ: თუმცა ანი ბოკერიას სადისერტაციო ნაშრომის ზოგიერთი დებულება სადავოა, იქნებ მცდარიც, მაგრამ მთლიანობაში ნაშრომი იმდენად საინტერესოა, რომ შეიძლება ერთგვარ სიახლედ ჩაითვალოს მწერალთა მხატვრული ოსტატობის კვლევის საქმეში, სწორედ ამიტომ, უსათუოდ იმსახურებს შემდეგ მსვლელობასო — დაასკვნეს და იქვე გამოუყვეს კიდეც ოპონენტები.

ამით დამთავრდა კათედრის სხდომა.

დამთავრდა ჩემი და ანის ერთობლივი მუშაობაც.

როცა კაბინეტიდან გამოვედი, დავინახე, როგორ მიდიოდა დერეფანში. გვერდული სიარული იცოდა, მოკლე ნაბიჯებით, იაპონელი ქალივით. უნებლიედ წარმოვიდგინე, რომ ჭრელხატული კიმონო ეცვა, დიდი მარაო ეჭირა, დაგოგმანებდა ხალიჩაზე, რომელზედაც მე ფეხმორთხმით ვიჯექი და სურნელოვან ჩაის მისხამდა ძვირფას პორცელანში, მაცდური, გამომწვევი ღიმილით. ზურგსუკან მივყვებოდი ფეხდაფეხ, ვტკბებოდი მისი ცქერით და არ ვჩქარობდი მიწევნას. ბოლოს, მაინც ვერ მოვითმინე, მხარზე ფრთხილად შევახე ხელი. არ შემკრთალა, იგრძნო, მე რომ ვიყავი, ნელა მობრუნდა, მომლოდინე, ღრმა, ალერსიანი მზერა მომაპყრო. „მითხარი რამე კარგი, ჩქარა მითხარი“,— მეუბნებოდა იდუმალ.

— მომილოცავს ანი, მშვენივრად დაიცავი.

— გმადლობთ, მაგრამ მილოცვა თქვენ უფრო გეკუთვნით, უთქვენოდ მე აბა რას გავაკეთებდი?

კიბის თავში ვიდექით, მარმარილოს სვეტთან, ირგვლივ ხალხი ირეოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გვითვალთვალებდნენ, მაგრამ ანის გარდა არაფერი მაინტერესებდა, არცთუ მნიშვნელობა ჰქონდა რაიმეს.

— გამოცვლილხარ, ანი, დაგტყობია ავადმყოფობა.

— დავუშნოვდი? — ჩრდილმა გადაუარა.

— არა, პირიქით, მინაზებულხარ.

— მთელი ათი დღე მაღალი სიცხეები მქონდა, — წამიდან წამზე ეცვლებოდა სახის გამომეტყველება, ახლა ეშმაკურად იღიმებოდა, — ბატონო ოთარ, გინდათ, საიდუმლო გაგანდოთ?

— მინდა!

თვალი მისწორა ჩაციებით, ღრმად, ელდისმომგვრელად.

— ძალიან მომენატრეთ.

რა მეპასუხნა?

— მეც, ანი, — ვთქვი ჩუმად.

—ბატონო ოთარ, ხომ წამოხვალთ, ამ საღამოს თეატრში? — მითხრა მოულოდნელად, — „გუშინდელნი“ გადის.

— მაგას კითხვა უნდა, ანი?

ჩანთიდან ორი შეტყუპებული ბილეთი ამოიღო, დააცალკევა და ერთი გამომიწოდა.

— თეატრში შევხვდეთ. ახლა გავიქეცი, მეჩქარება.

— ანი!

— ბატონო.

— მითხარი, რატომ დაიკიდე ეს ქვა? — მკერდზე ვანიშნე.

თვალებში ნაღველი ჩაუდგა, რაღაცნაირი, რბილი.

— ეეჰ, ბატონო ოთარ, არაფერი გესმით თქვენ, ჭკვიანი კაცი კი ბრძანდებით.

კიბეებს ჩაუყვა, დამტოვა აზრიალებულ დერეფანში. ჯერ ოთხი საათიც არ იყო, თეატრამდე უამრავი დრო მრჩებოდა, რა მეკეთებინა, სად წავსულიყავი? სამკითხველო დარბაზში ჯდომა ახლა ჩემს ძალღონეს აღემატებოდა, გული რაღაც ავი წინათგრძნობითა და ფორიაქით მქონდა სავსე, მოუსვენრობის მატლი მხრავდა, ილაჯს მართმევდა, იმის მკაფიო შეგრძნება, რომ აუცილებლად რაღაც მძიმე და გამოუსწორებელი უნდა მომხდარიყო, ვერაფრით მოვიშორე. ერთ ხანს უმიზნოდ დავყიალობდი უნივერსიტეტის დერეფანში, კაბინეტებშიც შევიხედე, დეკანატშიც, მაგრამ ისეთი ვერავინ ვნახე, ვისთანაც გაჩერება და საუბარი მომინდებოდა, ნაცნობი ბევრი იყო, ახლობელი — არავინ, გარდა ამისა, ყველას თავისთავი გასჭირებოდა და ჩემი ამღვრეული გუნება აბა ვის რაში ეპიტნავებოდა. შემეშინდა, ვინმე აბეზარს არ გადავყროდი, რომელიც ე. წ. „მეცნიერულ თემებზე“ უსაშველო ყბედობით გულს გამიწვრილებდა და ქუჩას მივაშურე, ოქტომბრისათვის უჩვეულო, სქელ ნისლს რომ დაენთქა. თქორავდა წვრილად, უსიამოვნოდ. ვიფიქრე — რუსთაველზე ჩავივლი, „მერანში“, ან სამხატვრო გალერეაში რაიმე გამოფენა იქნება და დროს მოვკლავ-მეთქი, მაგრამ გულმა არ დამანება, წუხანდელი სიზმარი საპირისპირო მიმართულებით მექაჩებოდა, ვაკის სასაფლაოსკენ წასვლას მაიძულებდა. დიდხანს აღარ მიყოყმანია, უნივერსიტეტის წინ ტროლეიბუსში ჩავჯექი და ბაგებისაკენ გავსწიე.

უცნაური სიზმარი ვნახე: ვითომ მამაჩემი, დიმიტრი ნეიძე, უფანჯრო, კედლებჩამოქცეულ, ჭერიატაკაყრილ ოთახში იწვა და უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი, ხელახლა კვდებოდა. მე ვნერვიულობდი, ასეთი ფარღალალა სახლიდან როგორ გავასვენო — ხალხი რას იტყვის, იქნებ კედლების გალესვა მაინც მოვასწრო-მეთქი, მაგრამ საამისო არც დრო მქონდა, არც სახსარი, ის კი არა, ვითომ კუბოს საყიდელი ფულიც არ გამაჩნდა და უღონოქმნილი ვაწყდებოდი მომსვლელ-წამსვლელებს, რომლებიც ხელს არ მართმევდნენ, არც მისამძიმრებდნენ, უბრად შუბლშეკრულნი მშორდებოდნენ ჩუმი, უკმაყოფილო ბუზღუნით და სასოწარკვეთილს მტოვებდნენ. თუ სიზმარი, ფროიდის საწინააღმდეგოდ, დღიურ შთაბეჭდილებათა ერთგვარი ტრანსფორმაციაა მხოლოდ, მაშინ ეს ჩემი ზმანება, ეჭვი არაა, ვილი უკლებასთან ილებდა სათავეს. აღარ მახსოვს, უკვე ვთქვი თუ არა, თექვსმეტსართულიანი ხუხულა ატენის ქუჩაზე, სადაც ამჟამად ჩემი ოჯახით ვცხოვრობ, იმ სახლის ადგილზეა წამოჭიმული, სადაც დავიბადე, ბავშვობა და ყრმობა გავატარე. ეს გახლდათ პატარა, აივნიანი და ეზოიანი ერთსართულიანი მწვანე სახლი — ალუბლის, თუთისა და ალუჩის ხეებით დაბურული. ბოსტანში მამაჩემისაგან სათუთად მოვლილი წიწმატი, ოხრახუში, ქინძი და სტაფილო ხარობდა, ხოლო აივნის სვე-

ტებზე მაჯისსიმსხო ვაზი იყო მიშვებული, თითა ყურძნისა. მტევნები მწიფობაში რომ შევიდოდა და ჯიქნებივით გაიტიკნებოდა, ერთ რამედ ღირდა ნახვა. სიძველისა და სიხალვათის ტკბილსურნელი ასდიოდა მთელ სახლსაც და ავეჯსაც — ხალიჩას, ტახტს, კამოდს, ლომისთავებიან საწერ მაგიდას (რომელიც ბავშვობაში მაშინებდა, მერმე კი — მიყვარდა), სქელ მუყაოზე დაბეჭდილ, მოყავისფრო სურათებს, საიდანაც ჩოხოსანი და ფრაკიანი წინაპრები იმზირებოდნენ, ბურთულებიან რკინის საწოლებს, დიდ, დიდ სასადილო მაგიდას, ლამაზად მოჩუქურთმებულ ბუფეტს, ზღაპრული ფასკუნჯებით მოჭიქულ ბუხარს და „რატკეს“ ფირმის პიანინოს... ეს ჩემი სამყარო იყო, ბავშვობისა და ყრმობის დაუნაწევრებელი, შეუმღვრეველი, ძვირფასი სამყარო — სავსე მინდობილი სიყვარულით, მაგრამ მერმე მოვიდნენ ვიღაც მაღალი, ტყავის პალტოიანი, ჩემოდნებივით პრიალა კაცები და მამასთან ხანგრძლივი საუბარი გამართეს. ამ საუბრის შემდეგ მამა საშინლად განერვიულებული ჩანდა, პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, იღრინებოდა, გაუთავებლად ბოლთას სცემდა ეზოში და უსიტყვოდ იქნევდა ხელებს, ალბათ თავის-თავს ელაპარაკებოდა. ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ეზოს კბილებდახრჭენილი, უშნოდ აწოწილი ბულდოზერი მოადგა.

(მიჭირს ამ ამბების გახსენება, არ მინდა, არ შემიძლია, თითქო ხრჭიალით მხერხავდეს ბირდაბირი, მაგრამ მაინც მკაფიოდ მიდგას თვალწინ ჩამონგრეული ჭერი, გატყავებული კედლები — გამოხუნებულ შპალერზე სურათების ნაკვალევი, აყრილი იატაკი, გამოდღლეზილი კარ-ფანჯრები, დასტებად შეკრული, ტალახიან მიწაზე დაყრილი წიგნები...)

ნასახლარზე სამ წელიწადში თექვსმეტსართულიანი გიგანტი წამოიმართა და ჩვენც მეთექვსმეტე სართულზე მოგვიჩინეს ბინა. ოო, როგორ არ გვიყვარდა ეს ფარღალალა, დაბალჭერიანი, კოლოფივით ოთახები — სძულდა მამას, სძულდა დედას, მძულდა მე, მთვარეულებივით დავბორიალობდით, სულის მოსათქმელი კუთხე ვერ გვეპოვნა და ვიტანჯებოდით უკმარობისა და უცხოობის გრძნობით, მაგრამ, როგორც ჩანს, მამა მაინც ჩვენზე მეტად განიცდიდა თავსდატეხილ, გაუთვალისწინებელ ჭირსახდელს და სულ ორი წელიც არ უცხოვრია ახალ ბინაში, მოულოდნელად გარდაიცვალა.

მას მერმე დიდი დრო გავიდა, მე ახლა ასაკით გადავაჭარბე კიდეც მამაჩემს. ათასი დიდი თუ მცირე სადარდელი მიღრღნიდა გულს, მაგრამ ჩემი ბავშვობის მწვანე სახილველი, კეთილსურნელოვანი პაწია სახლი — აივნიანი და ეზოიანი, ხელუხლებელ სპეტაკ ოცნებად ჩამრჩა სულში და სიზმრების განუყოფელ ნაწილად მექცა. ახლა კი, თბილისში ჩამოსულ ვიღაც უკლებას, რომელმაც, დარწმუნებული ვარ, ქალაქის უბნების სახელებიც არ იცის ხეირიანად, უნდა, რომ ფესვი გადამიჭრას, ცოცხლად გამახმოს, სადღაც გლდანის მასივში გადამკარგოს, რაც ჩემთვის, კაცმა რომ თქვას, სხვა ქალაქში გადასახლების ტოლფასია და ამის საზღაურად ბევრ, ბევრ ფულს მთავაზობს. ხოლო ბელა და დიტო კვერს უკრავენ, მაქეზებენ — ავიღო ეს ფული და ოჯახი ერთხელ და სამუდამოდ ამოვიყვანო გაჭირვების ჭაობიდან. მათი აზრით, მნიშვნელობა არა აქვს სად იცხოვრებს კაცი: გლდანში, თუ მამისეულ ნაფუძვარზე. ოღონდ უზრუნველყოფილად კი იცხოვროს.

ნაღვლიან, ირიბ ძეწნას ჯერაც არ დაეყარა ყვითელი ფოთლები; წვიმით დაწინწკლულ, შავი მარმარილოს დაფიდან მამაჩემი იმზირებოდა ოდნავ დამცინავი, მისთვის ესოდენ დამახასიათებელი ღიმილით, მე მგონი ვეცოდებოდი, ვეცოდებოდი, ასე ფუჭად ჩამოლეული ცხოვრების გამო. თვითონ მამა დიდად პრაქტიკოსი კაცი გახლდათ: თავის დროზე აგრონომიული განათლება ჰქონდა მიღებული და თუ საშუა-

ლებას მისცემდნენ, ხელისგულისოდენა მიწაც შეეძლო ბალნარად ექცია. სიტყვა მხოლოდ საქმიანი სწამდა, ჩემს ლიტერატორობას ამრეზილად, მეტიც, მტრულად უყურებდა, „მოლაყბეს“ მეძახდა დაცინვით. და მეც რა? მამაჩემის დანატოვარს წიგნებს მეტი ვერაფერი შევმატე, ცოლს ხეირიანი კაბა არ მიცვია, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, ლამის დედიშობილა დავდივარ, შვილები უკმაყოფილო მყავს, ერთი სული აქვთ, როდის გამექცევიან. არადა, ჩემს დღეში უპატიოსნო ნაბიჯი არ გადამიდგამს, არც მითქვამს, არც დამიწერია რამე ისეთი, რაც ღრმად არ მწამდა, შეძლებისდაგვარად სიკეთე მითესია მხოლოდ, თანამდებობა არ მიძებნია, ჩრდილში დგომა მერჩია ყოველთვის და აი, ცხოვრებამაც ასე ჩამიარა გვერდი, არც კი შემომხედა, ჩირადაც არ ჩამაგდო. კაცმა რომ თქვას, ასეც იყო მოსალოდნელი. მე ხომ საკუთარ თავს თვითონვე გამოვუტანე განაჩენი და ახლა სწორედ ისე ვცხოვრობ, როგორც მინდა და შემიძლია. დიახ, ეგ ეგრეა, მაგრამ თუ ეგრეა, მაშინ რადღა მხრავს ეჭვის ჭია და სულსაც რატომ აჭკვიატებია მტანჯველი ფიქრები?: რისთვის ვიცხოვრე? რა გავაკეთე?

არ ვიცი, სწორი მოგახსენოთ, არ ვიცი.

„სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა. ის აუცილებელია, რათა მოკვდავი დროგამოშვებით მასში თავის ცხოვრებას კითხულობდეს“, — წერს ერთგან ბარათაშვილი. აი, მეც ვიდექი მამის საფლავთან და „ვკითხულობდი“ ჩემს ცხოვრებას. ერთი ფიქრი არ მასვენებდა: დედაჩემი თუ ჩემზე ადრე წავიდოდა ამ ქვეყნიდან, ბუნებრივია, აქ, მამის გვერდზე მოუწევდა დასაფლავება, ხოლო მე სადღაც, გადაკარგულ მუხათგვერდში წამასვენებდნენ და ისეთ ადგილას ჩამფლავდნენ, მსურველს მიგნებაც გაუჭირდებოდა. ამიტომ უნდა მოვასწრო დედაჩემს, აუცილებლად უნდა მოვასწრო და ადგილი დავისაკუთრო მამაჩემის გვერდით, ვაკის ძველ, მყუდრო, ხეებით დაბურულ სასაფლაოზე... ვიდექი და ვცდილობდი განმეკვრიტა, გამომეცნო რა მოხდებოდა ხვალ, მაგრამ „ხვალეს“ ვინ ჩივის, თუ რმე იმის გამოცნობაც არ შემეძლო, რა მოხდებოდა ამაღამ, ხოლო რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი რომ უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც, ამაში მალე დარწმუნდებით.

რვის ნახევარზე თეატრის გარდერობში საწვიმარი ჩავაბარე და ბუფეტისაკენ წავედი, ვიფიქრე — იქ დაველოდები-მეთქი ანის. პატარა, თეთრ მაგიდასთან ჩამოვჯექი, ხაჭაპური და ლიმონათი დავიდგი, დილიდან არაფერი მეჭამა, მშიოდა. თაღოვან ჭერს მოვავლე თვალი და კედელზე რაღაც ფრესკის ნამუსრევიც შევამჩნიე — მომწვანო ფერებში შესრულებული უცნაური, ზღაპრული ფრინველი. მყისიერად მომაგონდა: ოდესღაც, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, აქ „ცისფერყანწელთა“ კაფე „ქიმერიონი“ იყო მოთავსებული. ამ აღმოჩენამ დღიური საფიქრალ-საზრუნავი დროებით მიმავიწყა.

...შესავალ კართან რომის კეისრის წამოსასხამში დგას პოეტი, მისი ორეული იხედება ალაყაფის კარის სარკმელში. იქვე ქალები არიან. მათში განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი — ნამდვილი პროტოტიპი ფრანსუა ვიიონის მიკიტანი მარგოსი. ესპანური ქუდით, წამოსასხამით და ყანწებით დახატულია პაოლო იაშვილი, თავს ახვევია მტრედები და სახე უბრწყინავს, როგორც ილია წინასწარმეტყველს. იქვეა სუდეიკინის ავტოპორტრეტი. ხელში უჭირავს სარკე, რომელშიაც იჭვრიტება ბადონა. ხეზე, რომელიც აღნიშნავს ხეს ცნობადისას, მიყრდნობილა ტიციან ტაბიძე პიეროს ტანსაცმელში, ქვევით ტრაგიკული ბალაგანია, არლანი და თუთიყუში — ფონი მეწამული ქალდეისა. შემდეგ, როგორც საიდუმლო სერობა — ნინა მაყაშვილი კოლომბინას კოსტუმში, ნილბით, და კიდევ ქართული სამება მხატვრებისა: ლადო გუდიაშვი-

ლი, იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე. ვის არ ნახავდით მაშინ აქ — პოეტებს, მხატვრებს, მსახიობებს, ქართველებსა თუ უცხოტომელებს — მსოფლიო ავანგარდიზმის ადეპტებად რომ მოჰქონდათ თავი. კითხულობდნენ ლექსებს, იმართებოდა კონცერტები, უკრავდა მშვენიერი სიმებიანი ორკესტრი. ერთ-ერთ ორკესტრანტს გრძელი, შავი წვერულვაში ჰქონდა, ტომით რუმინელი იყო, დიდი ოსტატობით ფლობდა ვიოლინოს და ხალისიანად ასრულებდა დამსწრეთა დაკვეთებს. ტიციანი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და მოფერებით ფარაონს ეძახდა თურმე. პოეტების გამოსვლებს, რაღა თქმა უნდა, პაოლო დირიჟორობდა და იღვრებოდა ექსპრომტებად;

ცოცხლად დამიდგა ეს ყოველივე თვალწინ. საოცრად მომეჩვენა, რომ მეც უშუალო მონაწილე ვყოფილიყავი იმ ძალდაუტანებელი, შუშხუნა ლიტერატურული ატმოსფეროსი, ოციანი წლების ტფილისში რომ სუფევდა. მეც, პაოლოსთან ერთად, ქუდით ხელში მემათხოვრა რუსთაველის პროსპექტზე, რათა მონაგარი ფული ერთიან მიმეცა მათხოვარ ლეონტი კაჩერგასათვის...

ანი იგვიანებდა. რა დავმალო, მგონი მინდოდა კიდეც, რომ დაეგვიანა, რადგან ჩემს აბურდულ ფიქრებში ჯერ ბოლომდე არ ვიყავი გარკვეული, მით უმეტეს, არც ის მჭონდა დაზუსტებული, რის თქმასაც ანისთვის ვაპირებდი, ყოყმანი არ მომეთავებინა. საქმე ის გახლდათ, რომ ბოლო დროს (ალბათ ფასანაურის შემდეგ), თანდათან მომიმწიფდა ერთი აზრი, რომელიც უფრო და უფრო მაძალებდა თავს და მკაფიო ფორმასაც მოითხოვდა. მე ვუფრთხოდი ამ აზრს, გავურბოდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა, შემაწუხებელი, არაქათისგამომცლელი კბილის ტკივილივით თან დამდევდა და განუწყვეტლივ მიღრღნიდა სულს. ბოლოს, უცებ, ნათელი გახდა: უნდა გავსულიყავი ოთამაშიდან, ეს გარდუვალი აუცილებლობა იყო, ჩემი ზნეობრივი, კაცური ვალი, ასე აჯობებდა, მომავალი ჩვენი ურთიერთობა, გაგრძელების შემთხვევაში, სახარბიელოს არაფერს მოუტანდა ანის, თავში საცემს, საწვალებელსა და სადარდებელს კი — უამრავს გაუჩენდა. არ მჭონდა მე ანის ასე გაწირვის უფლება, თუ მართლა მიყვარდა იგი, არ მჭონდა! ამიტომ, უნდა გავსულიყავი თამაშიდან. აი, დაკონკრეტდა აზრი, ფორმა შეიძინა, გამოიკვეთა, ამავე დროს, რაღაც ცივად გადამეცალა, თითქო უხილავმა არსებამ მუჭში მოიმწყვდია ჩემი გული, მოუჭირა, მოწურა, მოსრისა... გადავწყვიტე: ამაღამ, სწორედ ამაღამ ვეტყოდი ანის ყველაფერს! სიკვდილის ფასადაც რომ დამჯდომოდა, მაინც ვეტყოდი!

მესამე ზარი დაირეკა. ანიც გამოჩნდა, ძლივს. ახმატოვასეული ქვა ისევ მკერდზე ეკიდა, ესე იგი, აშკარად, ხმამაღლა, ყველას გასაგონად მიცხადებდა სიყვარულს, მაგრამ მე ახლა უკვე ვიცოდი, რა შეიძლებოდა და რა არა, ვიცოდი, როგორ მელაპარაკა მასთან, რა მეთქვა კონკრეტულად და არ ავღელვებულვარ, შინაგან სიმშვიდეს, წონასწორობას ვგრძნობდი.

მეცხრე რიგში დავსხედით, ჩვენი მხრისთავები ოდნავ ეხებოდა ერთმანეთს, 17 წლის ჭაბუკივით წამომანთო მისმა სიახლოვემ, განძრევისა მეშინოდა, ხმას ვერ ვიღებდი, ვიჯექი გაშეშებული, გატრუნული და უაზროდ მივჩერებოდი ჩაბნელებულ სცენას. ბოლოს, როგორც იქნა, ფარდა აიხადა და მალე ისეთი ფეიერვერკი დატრიალდა, ყველაფერი გადამავიწყდა, სპექტაკლს მივეჯაჭვე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ წამიკითხავს დადიანის „გუშინდელნი", სხვა რომ არა, ყოველწლიურად ბიხდება სტუდენტებისათვის მისი სწავლება, მაგრამ სცენაზე განსახიერებული, მაინც სხვა იყო, გამოგონებული ზემოქმედებისა აღმოჩნდა!

დაეშვა ფარდა, მერმე ისევ აიწია და

მოხდა საოცრება: მთელი დარბაზი ერთსულოვნად ფეხზე წამოდგა, გასწორდა, გაიჭიმა და გაქვავებული, დამეხილი მიაჩერდა სცენას, სადაც ასევე გაქვავებული, უღიმილო მსახიობები იდგნენ. არც მათ უფიქრიათ თავის დაკვრა და რევერანსები, არც ჩვენ დაგვიწყია ტაშის ცემა და „ბრავოს“ ძახილი. ვიდექით ასე კარგა ხანს, სამარისებური დუმილით შევცქეროდით ერთმანეთს და ალბათ ეს იყო ერთადერთი სწორი, ნამდვილი საქციელი ჩვენგანაც და მათგანაც, თავზარდაცემულები, გაოგნებულები, უთქმელად ვყლაპავდით და ვერც ვყლაპავდით ყელში მოცობილ ხაოიან ბურთს. მთელი ორი საათი თითქო ილია ჭავჭავაძე გველაპარაკებოდა ერის პირშეუკვრელ ჭრილობებზე. ბოლოს, ხალხი ნელნელა დაიშალა, ჩვენ კი ისევ ვიდექით და ვდუმდით, ან რაღა იყო სალაპარაკო? როდის, როდის, ძლივს მოვეგეთ გონს და გარდერობისაკენ გავემართეთ.

ისევ წვიმდა. ღმერთო ჩემო, სულ წვიმდა, წვიმდა, გაუთავებლად წვიმდა და მე აშკარად ვიცოდი, ვგრძნობდი, რომ უკანასკნელად ვხედავდი ანის, უკანასკნელად მესმოდა მისი ხმა, უკანასკნელად მივდიოდით ქუჩაში ერთად. ძალზე მკაფიო და მტანჯველი იყო ეს შეგრძნება, ველარ მოვითმინე, ანის გავუზიარე. ქაშუეთის ტაძართან ვიყავით, ნისლში მრუმედ ილანდებოდა მისი გუმბათი, ჩაციებით შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ძლიერი ტკივილი გახურებული შანთივით მეძგერა გულში, თავს ძალა დავატანე, არ შევიმჩნიე, მიწისქვეშა გადასასვლელით პროსპექტის მეორე მხარეს გადავედით, სულხან-საბას ქუჩისკენ ავიღეთ გეზი. ბუნდოვნად ვიხსენებ მაშინდელ ნალაპარაკევს:

...მე უკვე ხანში შესული, ავადმყოფი, ილაჯგაწყვეტილი კაცი ვარ — შებოჭილი ოჯახის არტახებითა და სხვა მრავალი პირობითობით, რომელთა დაწყვეტა ჩემს ძალღონეს აღემატება და რომ არც აღემატებოდეს, საჭიროა კი? გვიან ხომ არ არის ჩემი ასაკისათვის? ასე, რომ გზები უნდა გიყაროს... ახლა პედაგოგად და მეცნიერ-ხელმძღვანელადაც აღარა ვარ საჭირო, დამოუკიდებლადაც, ჩემი დახმარების გარეშეც გაიგნებს გზას, არ წაიქცევა. მე? მე რა საკითხავი ვარ, როგორმე გავიტან თავს. ეგეც არ იყოს, გაცვეთილი ხალიჩა გახლავართ და გაცვეთილი ხალიჩა, აბა ვის რაში სჭირდება? ამიტომ, უნდა ვიცოდეთ ღირსეულად განზე გადგომის ფასი...

აი, ამას თუ რაღაც ამდაგვარს ვლაყბობდი...

ანი დუმდა და მისმენდა.

— მე მიყვარხართ თქვენ, ბატონო ოთარ, — თქვა ბოლოს ჩუმად.

არ ვუპასუხე.

ავიარეთ მეტროს გვერდითა კიბეები, მივედით სულხან-საბას ქუჩასთან.

— რად გინდათ ეს ლაპარაკი? მე ხომ არაფერს ვთხოულობ, იყავით ისეთი, როგორიც ხართ, მეტი არაფერი მინდა.

კიდევ არაფერი ვუპასუხე.

— ნუ გამიშვებთ, ბატონო ოთარ, ნუ შემელევით, თორემ მეც დავიღუპები და თქვენც!

მაგრამ რაკიღა არც ახლა ვუპასუხე, მხრები აიწურა და წავიდა, გამშორდა, შეერია წვიმასა და ნისლს, გაუჩინარდა, ხოლო მე თავზარდამცემი სიცხადით დავინახე, რომ ბებერი, კანდაშაშრული ხე, რომელიც მარტოდმარტო იდგა მინდორში და ელოდა სასწაულს, უეცრად დაფერდდა, დაიხარა და ლიწინით დაენარცხა მიწას.

მეტი არაფერი.

ლასლასით დავბრუნდი რუსთაველის პროსპექტზე, აბსოლუტურად ცარიელი ვიყავი, განუჭვრეტ, თეთრ სიცარიელეში მივცურავდი თითქოს. სად ვიარე, როგორ ვიარე, არაფერი მახსოვს, ეს კი ვიცი, ავტობუსში ვიჯექი. ავტობუსი მიდიოდა, ჩერდებოდა, ისევ მიდიოდა, ვიღაცეები ჩადიოდნენ, ამოდიოდნენ, ხოლო მე ჭკუისშემშლელი ერთფეროვნებით მიმეორდებოდა დოლ-გარმონზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმიანებული სიმღერა „გუშინდელნიდან“ „გოგოვ, შენი თვალები, მაყვალს გიგავს თვალები, საიდანაც მოგიბერავს, იქით მოგეფარები“...

წაიქცა ბებერი, კანდაშაშრული ხე.

. . . . . .

კარი ბელამ გამიღო. უჩვეულო ფერი ედო, მოშავო, წამსვე ვიაზრე რაღაც საშინელი მომხდარიყო.

— ინგა წავიდა!

ხმა სადღაც შორიდან, უსაშველოდ შორიდან მომესმა. გულში კვლავ ვიგრძენი ველური ტკივილი, თითქო გავარვარებული შანთები გამიყარესო, წავბარბაცდი, ჭუჭყიანმა, ლურჯ-ყვითელმა შუქმა იფეთქა, წამით აალდა, იკაშკაშა, იკაშკაშა და ნელა იწყო ქრობა.

ეპილოგი

დავამთავრე, მეტი წერა აღარ მსურს, არც შემიძლია ფიზიკურად, რის თქმასაც ვაპირებდი, ავად თუ კარგად, ვთქვი. ამ ბოლო დროს, ექიმები მიმალავენ, მაგრამ ვიცი — მდგომარეობა გამიუარესდა, დღე კიდევ არა უშავს, წერას ან კითხვას ვაყოლებ გულს, ღამე კი ლამის გავგიჟდე, ცუდად მძინავს, ათასგვარი კოშმარი მელანდება, უმეტეს წილად დედაჩემსა და მამაჩემს ვხედავ, რატომღაც სულ მეჩხუბებიან, მიჯავრდებიან, მტუქსავენ, განსაკუთრებით — დედა.

რას უნდა ნიშნავდეს ეს, არ ვიცი.

დასაწყისში ვთქვი: მინდა გიამბოთ ზღაპარი ერთ ბებერ, კანდაშაშრულ ხეზე, რომელიც დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე დგას ტრიალ მინდორში მარტოდმარტო, დგას და ელოდება-მეთქი.

აჰა, გიამბეთ, ეგ იყო ჩემი საამბობელი.

— ნუ გამიშვებთ, ბატონო ოთარ, ნუ შემელევით, თორემ მეც დავიღუპები და თქვენც! — ეს ფრაზა ანის მიერ ნათქვამი ცხრა ოქტომბრის წვიმიან ღამეს, გამუდმებით ყურებში მიდგას, მიწვის, სულს მიმღვრევს, მოსვენებას არ მაძლევს, ვიცი, არც მომავსვენებს, მაგრამ მე მაინც მგონია, სწორად მოვიქეცი, სამუდამოდ რომ გამოვეთხოვე. ახლა ერთი ნატვრაღა მაქვს: თუ საავადმყოფოს მშვიდობით დავაღწიე თავი, იქნებ მოვახერხო და პატარა, საოცარ ბიჭს მართლაც დავუხატო ბატკანი, ხოლო გზაზე დავრგო ბროწეულის ხე, რომელიც წითელ ყვავილებად გამოვარვარდება ჯერ, თვალს გაახარებს, მერმე ტკბილ-მომჟავო, მაგარ ნაყოფს მოისხამს და უშურველად მიაწვდის გამვლელსა, თუ გამომვლელს...

სხვა არაფერი მინდა, ესაა და ეს.

ეპილოგი მეორე, რომლის წაკითხვა აუცილებელი არ არის

დეკემბრის ცივი, თეთრი დღე იყო, ოთარ ნეიძეს ასაფლავებდა ნათესავებისა და ნაცნობების ვიწრო წრე. საავადმყოფოში ხანგრძლივმა მკურნალობამ შედეგი ვერ მოიტანა: მწვავე ინფარქტმა გაუმეორა, რასაც მყისიერი სიკვდილი მოჰყვა.

გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა „ამხანაგების ჯგუფით“ ხელმოწერილი პატარა ნეკროლოგი სურათითურთ, სადაც აღნუსხული გახლდათ ოთარ ნეიძის მოკრძალებული წვლილი ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების განვითარების საქმეში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოთარ ნეიძეს აუსრულდა ნატვრა, დედამისს სიკვდილი დაასწრო და ვაკის სასაფლაოზე სამუდამო განსასვენებელი მოიპოვა მამის გვერდით.

ერთადერთი ნატვრა, რაც ცხოვრებაში აუსრულდა!

სხვა? სხვა რაღა?

შავი ბორცვი ოთარ ნეიძის საფლავზე სწრაფად გადაათეთრა ფიფქებმა, მაგრამ გამოცანა ის გახლდათ და მომხიბვლელი იდუმალებაც სწორედ ის იყო, რომ მხოლოდ საფლავის ბორცვს კი არ ეფინებოდა წყლიანი ფანტელები, არამედ „ერთიანად ათოვდა ცოცხლებსაც და მკვდრებსაც“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

მაინც წინ!

ვითა მზე შემოდგომისა
ნათობ და ვეღარც ნათობ...
ეინი მკლავს აუხდომლისა —
გულში დამძვრია ღადო.
ეს გზაც რა ვიწრო რამ არი,
თანაც... ეკლები ყრია...
არც ვინმე ნათამამარი,
პირიც არ უჩანს ნიავს,

მაინც წინ, ჩემო იარავ,
მაინც ნაბიჯით იარ!
სწორი ცხოვრება მგონია
ბრძოლა საკუთარ თავთან,
მართლა რა დიდი ღონეა,
დიდი ღონეა მართლა,
ჰოდა, წინ და წინ იარე,
შენს თავთან ბრძოლით იარ!

ამ ჩიტის მერე

ამ ჩიტის მერე, ჭკვიანი კაცი
არ გაირჯება მღერად;

არადა, არცა ჩონგური უჩანს,
არც, მითუმეტეს, ჩელა.

თანაც იმდენად ერთი ციდაა,
ჰანგს სად იტევსო, იტყვი...

ყველაზე დიდი საოცრებაა
ასე მღერალი ჩიტი.

ზის და... გუნება როგორც ეცვლება,
ჰანგიც ეცვლება ისე...

არადა, რატომ უნდა ეცვალოს
ჩიტებს გუნება მქისედ.

ან რა წუხილი უნდა იცოდეს,
ან სატკივარი ჩიტმა...

ღმერთო, ძლიერო, ამახსნევინე
ეს ძნელზე ძნელი კითხვა.

ნუ გამწირავ!

ღმერთო, რამ ჩაუქრო თვალები
მამაჩემს,
ღმერთო, რად ჩაუქრე, ღმერთო!
წინ ვინ ვადუდგება შენს მაღალ
განაჩენს,

მაგრამ ვიტანჯები ერთობ.
ბეუტავს მამაჩემის თვალები ძლივსღა,
როგორ კოცონივით ენთო...
აწ ნუ დაუწესებ ამ თვალებს ძილს და,
მეტად ნუ გამწირავ, ღმერთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვნია წესად

რამდენი ვინმე მიყვარდა ქვეყნად,
რამდენი რამე მიყვარდა ქვეყნად,
მათგან მინახავს თუმც მეხთა ტეხა,
ამ სიყვარულებს მივყვები ეხლაც.
არაფერია სიცოცხლე, ვატყობ,
სიყვარულისა და რწმენის გარდა;
გწამს და არასდროს არა ხარ მარტო,
ხარ და... კიდეც ხარ საკუთარ თავთან.
და სიყვარულიც რწმენაა თავად,
სიყვარულია თავადაც რწმენა,
და აქვს ორივეს თავი და თავი —
ალმაფრენა აქვთ საერთო ენა.
და რაც მიყვარდა, ის მიყვარს დღესაც,
და... ვინც მიყვარდა, ის მიყვარს
დღესაც,
დავალ ამქვეყნად ამ ძველი წესით,
ეს ძველი წესი დამირჩა წესად.

რომ არა...

ცას მიბჯენილი ათიოდ სახლი,
დაბლა არაგვი, ფერადი ნოხი...
ნისლით ნაქსოვი ცის მქრქალი თაღი,
ოცნებასავით მაღალი ჩოხი.
მერე კი... ზეცა გადმოდგა საცრით,
ცრიდა და ცრიდა ვილაცის ნებით,
ცხენს მიუძღოდა ვეება კაცი,
ბუზისოდენას აჩენდა მთები.
თითქოს მირონი ჟონავს ციდანო
წვიმა იმგვარის სინაზით დნება...
ალბათ, ჩათვლემდა არე-მიდამო,
რომ არა გიჟი არაგვის ყეფა.

აწ და მარადის

როგორ გავიდა სიცოცხლე ჩემი,
ვერცკი გავიგე ცხოვრების გემო,
ერთი კი არი — ტერფიან-თხემით
მიყვარდი... მძულდი... მიყვარხარ ჩემო!
ხან ჩემებურად; ხან სხვათა დარად
ვყვებოდი და არც ვყვებოდი ნებას,
მყვა ერთგულება — ეს ჩემი ძალა,
ჩემი სისუსტე და ჩემი ვნება.
და ერთადერთი, რისთვისაც მოველ,
რის გამოც ღირდა ამქვეყნად მოსვლა,
მაინც იგია, რაც შენით ვპოვე —
ტკბილ-მწარე, რითაც აქამდე მმოსავ.
ასე, ამგვარად წარვიდნენ დღენი,
ასე, ამგვარად მიდიან დღენი,
მე გარდასული მიცვნია შენით
და მომავალი მაცოცხლებს შენით.
და თუ ლოდინი ბოლომდე უნდა,
მაინცდამაინც კუბოს კარამდი,
გელი და არცროს დამცდება ურვა
უკუნისამდე, აწ და მარადის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვახუშტი კოტეტიშვილს

ახლა, როდესაც შორს დარჩა წლები,
სწავლა-დამოძღვრის ძვირფასი წლები,
აქამდე მე შენს მოწაფედ ვრჩები,
შენ აქამომდე მოძღვარად რჩები.
თუმცალა ვერცხლმაც გაგითბო თმები
და ჭიატობდნენ აქა-იქ მტრებიც,
ვერ დაგიმსხვრია ვერარამ ფრთები,
არწივის ბუდეს ატარებ მხრებით.
დიდი მამის და ბუნების წული
ზღვარს გადასული ხალასი გულით
დახვალ, თითქოსდა არცარა წყლული,
ან კიდევ გულზე არც გეგრძნოს ხნული.
დახვალ გულქართული წვიმაში, მზე'ში,
სავსე — რაინდის გზნებით და
კდეᲘთ...
შენია, კარგი რაც არის ჩემში
და ცუდი რაც მაქვს, ის არის ჩემი.

აქ არის...

ეს... ჩეოხვამე შეზრდია სუროს
და ჩეოხვამეს შეზრდია სურო,
ჩეოხვამეთი ეს სურო სულობს
და ჩეოხვამე სუროთი სრულობს.
გარშემო არე — მოლურჯო-მწვანე,
გადაშლილია წარსულის წიგნი,
დაუწერია ეს წიგნი მთვარეს,
მთვარის შუქითვე ბრდღვიალებს იგი.
და ჩეოხვამე ედება არეს
და... ჩეოხვამეს უპყრია არე,
აქ არის ჩემი წარსულიც, ხვალეც,
ეს არის ჩემი ტკბილიც და მწარეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჩარკვიანი

• • •

ამღვრეულ დღეებს,
                  რომლებიც გაჩუქე,
რომლებიც ქუჩებში ჯვარს ეცვნენ უხმოდ,
მერე იბობოქრეს და ისევ გაჩუმდნენ —
იმ დღეებს
                  ვუყვირი და ვუხმობ.
და შენი თმებივით აწეწილ ღამეებს,
რომლებმაც ვერცერთი სიზმარი ვერ ნახეს,
რომლებიც ჯაჭვით მინდოდა დამება,
იმათაც ხელს ვუქნევ
                  და ვეძახი.
და კამათლებივით გადაყრილ სიტყვებს —
ჩვენ ორის თამაშში ნაკლებად ნახმარს, —
რომლებიც მრავალ მნიშვნელობას იტევდნენ,
ვიბარებ,
                  რადგანაც მსურს მათი ნახვა.
და გიხმობ,
                  გეძახი,
                  გიყვირი —
                  მოდი!
ბავშვური სახით და სათუთი მკლავებით.
მე ჯერ გაღმერთებდი და მერე გგმობდი,
მაგრამ მიყვარდი.
                  მიყვარხარ კვლავაც.

ასაკი

საკუთარ თავთან პირისპირ ვრჩები
და პირფერობას ბოლო ეღება.
ტანჯვით ნაპოვნი აზრები ჩემი
ღამის მსვლელობას გადაეღობა.
მუქი ლანდები ზეცას ტოვებენ —
დანას იცემენ გულში ტარამდე.
ალბათ აუხსნა მათ მარტოობამ
მათი ლექსების სიპატარავე.
მათ უცებ იგრძნეს წლების სიმძიმე,
დაუნდობელი დროის ხარხარი.

უცებ მოვიდა აზრის სიმწიფე,
მაგრამ სრულიად არ გაახარათ.
დღედაღამ სდევდნენ ერთადერთ მიზანს,
სთმობდნენ სიყვარულს, სთმობდნენ
გართობას...
ახლა რას იტყვი ანდა რას იზამ,
როცა ცხოვრება ასე გართულდა.
...სიპატარავე — ოხერი სიტყვა,
ამდენი ტანჯვის თავი და ბოლო,
ვეებერთელა ოცნების სიტკბო
გაქრება,
როგორც ბოლი.

ომი

მზე იყო ირგვლივ. ჯარისკაცები
მიაბიჯებდნენ. სწყუროდათ წყალი.
ეზმანებოდათ ლუდის კასრები
და მოცეკვავე მცინარე ქალი.
გზა იყო შორი, როგორც სიმშვიდე,
ბავშვობა, სახლი, ალერსი მშობლის.
და იყო მძიმე, როგორც შიმშილი,
და გაჟღენთილი სისხლით და ოფლით.
და შორიახლო იდგა სიკვდილი
შავი ღიმილით, გაბასრულ ცელით...
ჯარისკაცები, როგორც სინდისი,
წინ მიდიოდნენ გადამწვარ ველით.
და თან მღეროდნენ ჯარისკაცები,
ტანით ზიდავდნენ უმძიმეს დაღლას
...ეზმანებოდათ ლუდის კასრები
და მეწამული მზე იყო მაღლა.

სიმაღლე

ჯვრის მონასტერი...
დიდრონი ქვები...
ტაძარი ძველი და სამუდამო.
დამრეცი კალთა და მცხეთა ქვევით,
ათას ლექსში აღწერილი მიდამო.
მერე უეცრად დაწვება ნისლი,
უკვე თითქმის ვერაფერს ხედავ...
გაჰყურებ სივრცეს ისევ და ისევ,
აქ იყო მცხეთა,
სად არის მცხეთა?!
გარშემო ნისლი.
დგახარ სულ მარტო.
და ყველაფერი თეთრია ახლა.
ვერაფერს არჩევ და მაინც ატყობ,
რომ დგახარ მაღლა.
ძალიან მაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა

ესაა ზღვა — ლამაზი და ასე საშიში.
ესაა მისი ლურჯი სიშიშვლე.
ესაა ზღვა, რომელიც შენი არ არის,
და რაც უნდა მოჩმახოს სხვამ,
იგი ეკუთვნის არავის.
იქნებ იმიტომ გიყვარს ზღვა,
რომ იგი არავის ეკუთვნის?

ქერა ზღაპარი

სულელ პოეტს ზღაპარი გაექცა —
ქერა და ძალიან ნორჩი.
პოეტი მისდევდა, მაგრამ წაიქცა,
ზღაპარიც ამით მორჩა.
მერე კი, როდესაც მთვარე მოვიდა —
მრგვალი და ობოლი მთვარე, —
უცნაური სევდა მოაწვა მოედანს
და რატომღაც აცივდა გარეთ.
ისევ ისეთი იყო თბილისი,
ჩუმად დიოდა მტკვარი...
და თეთრი, როგორც პოეტის სინდისი,
ცაში ქვითინებდა მთვარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგი სულაკაური

სანთელი

როცა ზოგჯერ
მოულოდნელად ჩაქრება შუქი,
როცა ღამეა,
ჩვენც ვიცვლებით რაღაცნაირად.
ვანთებთ სანთელს,
რომ შემოვუსხდეთ
და ყველა საქმე დავივიწყოთ
შუქის მოსვლამდე.
(თანაც სანთელი
ჩვენში ძველებს, —
სანთლის ხანის ადამიანებს
აღვიძებს ხოლმე...)
დღეს კი როდესაც
არც სანთელი მაქვს
და ამ წყვდიადს
უკვე თვალიც შევაჩვიე,
დავინახე, —
ღია ფანჯრიდან
ნათელი ბნელი
იღვრებოდა
ჩემს ძველ ოთახში.

ახსნა

მე ვერ აგიხსნი
ხეებისა და ქარების ურთიერთობას.
ზამთრის მუღამს
და ლოდინის უიმედობას.
მე ვერ აგიხსნი,
ბავშვები
რა გზით გვიბრუნებენ
განვლილ ცხოვრებას,
ხოლო კაცები
რისთვის აწყობენ
ტვინებს ღვინოში.
მე ვერ აგიხსნი,
რატომ უსტვენს (ანდა რას ამბობს)
ტყვია,
როდესაც ასცდება მიზანს.
და ვერც იმას,
როცა თავს ვიკლავთ,
ვის ბრალდება
ჩვენი სიკვდილი.
მე ვერ აგიხსნი,
როგორ მიხვიდე
თვითგვემიდან — კათარზისამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი შეკითხვა

განა ყოველთვის ხარ ასე —
როცა მთელი დღე
დალამებას ელოდები,
თანაც მეორე დღეა ზაფხულის?
ხმის გაუღებლად
ვის უნდა სთხოვო,
რომ მიგიღოს, შეგიყვაროს
და შეგინახოს?
ღამე ზედმეტად მაღალია
შენი თხოვნისთვის,
ვარსკვლავებს კი რა შეუძლიათ, —
ისინი მხოლოდ ფერმკრთალდებიან
და ჯადოსნურად ინაცვლებენ
ადგილებს ცაზე —
ჩიტებისა და ბავშვების მსგავსად...
განა შენი აივანი
არ არის შენი ღამის სადგური,
სადაც იხსნება
ნაზამთრალი ოცნებების გამოფენები?..
წადი, დაწექი,
მაგრამ, თუ გინდა, ნუ დაიძინებ.

საქმე

კაცი დაბოლმეს, გადარიეს...
ახლა უცდიან.
როდის იფეთქებს,
როდის დაიჭამს თითებს,
როდის გაუსკდება გული.
და მერე:
როგორ განიქარვებს ბოლმას,
როგორ მოსწევს პაპიროსს,
როგორ მოუვა ფერი, —
სამუდამოდ განიავებულს.

უსათაურო

კი არ მოვფრინავდით, —
ბაგირზე ჩამოკიდებულ,
რკინის ჟანგიან ყუთში ვისხედით, —
რომელიც კვნესით,
ჭრიალით და გაჭირვებით
ეშვებოდა მთიდან ქალაქში.
ის წვიმით სავსე და ბნელი სივრცე —
განათებულ სადგურამდე,
ხნულის მსგავსად გავიტანეთ,
კვალი დავატყვეთ...
აქედან ჩანდა: —
როგორ მოსდევდნენ ქალაქისაკენ
მანქანები და ქუჩის ფანრები
ზამთრის მდინარეს.
გადაღლილი, მომწვანო წყალი
აღუშფოთვებლად თმობდა რბოლას,
თითქოს კიდეც ჩერდებოდა,
ხოლო ხიდები მხრებს იჩეჩავდნენ...
რა ელოდა ბებერ მდინარეს
ამ ძველ ქალაქში
წვიმისა და სიცივის მეტი?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲐᲪ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲨᲘ ᲩᲐᲜᲡ

მე ჩავიხედე მდინარეში
და დავინახე ქალაქი,
მდინარეში რომ იხედებოდა.
კიდევ დავინახე ღრუბელი, —
იხედებოდა ქალაქში
და მდინარეში.
ზაფხულის
დაჟინებული მზე კი
იხედებოდა ღრუბელშიც,
ქალაქშიც და (რა თქმა უნდა)
მდინარეშიც...
ასე ვიხედებოდით ოთხივენი
მდინარეში
და რადგან წყალი გვირეკლავდა —
ვერ გავიგეთ
სად იხედებოდა თვითონ მდინარე,
ხოლო მე: —
ვინ იხედებოდა ჩემში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალენტინ რასპუტინი

ვასილი და ვასილისა

მოთხრობა

ვასილისა ადრე იღვიძებს. დილით მამლები აღვიძებენ, ზამთარში კი მათ არ ენდობა. სიცივის გამო შეიძლება ძილი გაუგრძელდეთ, ვასილისას კი ამის უფლება არა აქვს. ერთხანს ის კიდევ წევს ლოგინში და ფიქრობს, რომ დღეს ესა და ეს, ესა და ეს უნდა გააკეთოს — თითქოს მთელ დღეს სასწორზე წონისო, თითქოს ამთავითვე არკვევსო, მძიმე იქნებოდა იგი თუ არა. ამის შემდეგ ვასილისა ამოიოხრებს და ხის საწოლიდან შეღებილ იატაკზე ჩამოყრის ფეხებს — მის კვალზე საწოლიც ოხრავს და ორივენი მშვიდდებიან. ვასილისა იცვამს და თვალს ავლებს მის პირდაპირ კედელს, ფიქრობს, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, სულ გავწყვიტე ბაღლინჯოები, ერთიც არა ჩანსო.

ძილ-ღვიძილი დიდხანს არ გრძელდება. ქალი მას ვერც ამჩნევს, ეს მისთვის მუშაობამდე დარჩენილი ერთი, ერთადერთი ნაბიჯია. ვასილისა იცვამს, ადგილს წყდება და იწყებს სირბილს. რუსულ ღუმელს ახურებს, სარდაფში ჩადის კარტოფილისთვის, ნალიაში გარბის ფქვილისთვის, ღუმელში დგამს თუჯის ტაფა-ქვაბეულს, ამზადებს სალაფავს ხბოსთვის, საჭმელს უდგამს ძროხას, ღორს, ქათმებს, ძროხას წველის, რძეს მარლით წურავს და ნაირნაირ ქილებსა და შუშებში ასხამს — ათას საქმეს მოათავებს და სამოვარს დგამს.

მას უყვარს სამოვრის დადგმა. მუშაობის პირველი ტალღა უკუიქცა, სისხამი დილა გადავლილია და ვასილისას უკვე სწყურდება. დღე მისთვის საათებად კი არა, სამოვრებად იყოფა: პირველი სამოვარი, მეორე; მესამე... ხანდაზმულობაში ჩაის სმა მას ლამის ყველა დანარჩენ სიამოვნებას უცვლის.

იგი კიდევ დარბის, ტაფა-ქვაბეულს უტრიალებს, და თან სამოვარს თვალს არ აცილებს: აი, უკვე შიშინებს, აი, ქშენას იწყებს, ეგერ, აბუტბუტდა, ათუხთუხდა. ვასილისას სამოვარი მაგიდაზე გადააქვს, ახლოს უჯდება და ხვნეშის. იგი ყოველთვის ხვნეშის, მის ხვნეშას უამრავი ელფერი დაჰკრავს — სიხარულიდან და გაოცებიდან ტკივილამდე და ტანჯვამდე.

ვასილი ადრე არ დგება: ადრე ადგომა არ სჭირდება. მისი ნალიის ერთადერთ პატარა სარკმელში აბანოში რომაა, ისეთი სარკმელია, — ღამით ფარდაა ჩამოშვებული: ვასილს მთვარის შუქი არ უყვარს, ეჩვენება, რომ მთვარე ქვეყანას აცივებს. საწოლი სასთუმლით სარკმლისკენ უდგას.

ფერხთითა მხარეს პატარა მაგიდაა. კართან ლურსმნებზე ჰკიდია სანადირო

და სათევზაო მოწყობილობები, მათ ზემოთ — ჯუბაჩები და ბამბულები. გაიღვიძებს თუ არა, ვასილი სარკმლის ფარდას გადასწევს, შემოჭრილი სინათლისგან თვალებს ჭუტავს და, როცა შეეჩვევა, სარკმელს აღებს და თავს გარეთ ჰყოფს: რა ხდება მანდ, თოვლია, წვიმს თუ მზეა? იცვამს უხმაუროდ, მთლად უხმაუროდ — არც ქშინავს, არც ოხრავს, არც კვნესის.

როცა ვასილი ქოხში შედის, ვასილისა მისკენ არ ტრიალებდა. კაცი მაგიდის მეორე ბოლოში ჯდება და იცდის. ქალი ხმისამოუღებლად უსხამს ჩაის და ჭიქას მაგიდის შუაში უდგამს. კაცი ჭიქას თავისკენ იჩოჩებს და მოსვამს პირველ ყელის ჩამთუთქველ ყლუპს, რომელიც ერთბაშად დაუვლის მთელ სხეულს.

ვასილისა რაფინადი შაქრის კვნიტს ატანს ჩაის, ვასილი უშაქროდ სვამს, შაქარი არ უყვარს. მას მიაჩნია, რომ კაცმა ყველაფერი სუფთა, პირველქმნილი სახით უნდა მოიხმაროს: არაყს თუ სვამ, უმინარევო უნდა დალიო, ჩაი კიდევ — დაუშაქრავი. იგი სვამს თავის ჩაის და ჭიქას მაგიდის შუაში დგამს. ვასილისა იღებს ჭიქას, ჩაის ასხამს და ისევ მაგიდის შუაში დგამს.

დუმან. კედელს მიდგმულ საწოლზე ძინავს მოკაკვულ პეტრეს, ვასილისა და ვასილისას ნაბოლარა ვაჟს. მის შიშველ მუხლებს საბანი არ აფარია — არც ზამთარში იხურავს, არც ზაფხულში.

ვასილისა ამოიხვნეშებს და კიდევ ისხამს ჩაის. ვასილი თავის ჭიქას მაგიდის შუაში დგამს, დგება და გადის. როცა ის მიდის, ვასილისა მისკენ არც ტრიალდება.

— ეი, ძილის გუდავ, — ეუბნება ის პეტრეს, — ადე, თორე ნაწოლები გაგიჩნდება.

პეტრე უკმაყოფილოდ აჭყეტს თვალებს და მუხლებს საბანქვეშ მალავს.

— ადე, ძილისგუდავ, — უწყინრად უმეორებს ვასილისა. — ადე, ადე, ჩაი, დალიე და წადი, საქმეს მიხედე.

პეტრეს ცოლი ტანიაც, იღვიძებს, მაგრამ ის სამუშაოზე არ მიდის, — ბავშვს ელოდება.

— შენ იწექი, — ეუბნება ვასილისა, — შენ არსად გეჩქარება. ძილისგუდა უნდა ავაყენოთ.

ვასილისასთვის ყველა ზარმაცი სამ კატეგორიად იყოფა: უბრალოდ ზარმაცი — ანუ დამწყები ზარმაცი, უქნარა — გამოცდილების მქონე და სტაჟიანი ზარმაცი, და ძილისგუდა — გამოუსწორებელი ზარმაცი. „ძილის გუდა", რასაკვირველია, პეტრეს არ დაუმსახურებია, და ვასილისამ იცის, რომ უსამართლოა მის მიმართ, მაგრამ ბუზღუნის გუნებაზეა.

— ძილისგუდაა, აბა, რაა, — ბუტბუტებს დედა.

ის უკვე სამზარეულოშია, რაღაცას ადუღებს, რაღაცას ხრაკავს. დღე ესესაა დაიწყო. ვასილისა ხვნეშის — ჯერ მთელი დღეა წინ.

* * *

აგერ უკვე თითქმის ოცდაათი წელია ვასილი სამი ერთმანეთის გვერდით მდგარი ნაგებობიდან შუა ნაშენ ნალიაში ცხოვრობს. ნალია მომცროა და სუფთა, სათავსოებად დაქუცმაცებული, შიგ კოხტა იატაკი აგია, ისევე, როგორც ქოხში და ჭერიც კარგი აქვს. ზაფხულობით იქ ბალღები იწვნენ, მაგრამ ეს დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ იყო, როცა ვასილი ჯერ კიდევ ქოხში ცხოვრობდა.

ზამთრისთვის ის ნალიაში რკინის ღუმელს დგამს. ხუთი წლის წინ პეტრემ სინათლე გადაუყვანა, მაგრამ მას აქეთ მერცხლებმა რატომღაც შეწყვიტეს ნალიის კარის თავზე ბუდეების კეთება და სადღაც გადასახლდნენ. პირველ ხანებში ვასილს სწყინდა ეს, რადგან ძალიან უყვარდა მათთვის თვალის დევნება, მაგრამ შემდეგში უიმათობასაც შეეჩვია.

მხოლოდ დღეში ერთხელ, როცა ბავშვებს ჯერ ისევ ძინავთ, შედის ვასილი სახლში და ვასილისა მას ცხელ მაგარ ჩაის უსხამს. ქალი მაგიდის ერთ

ბოლოში ზის, კაცი — მეორეში. სხვედან და სდუმან — რამდენი წელია სიტყვაც კი არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, თითქოს ვერც ხედავენ ერთმანეთსო, და მხოლოდ მაგიდის შუაში ჭიქის დადგმა-აღებით გრძნობენ ორივენი, რომ იქ არიან. სდუმან და ეს ნაძალადევი დუმილი არაა. ეს თითქოს სულაც დუმილი კი არა, ისეთი ჩვეულებრივი ფიზიკური მდგომარეობაა, როცა სიტყვას არც არავინ ელოდება და არც არაა საჭირო.

ვასილი თავისთან, ნალიაში სადილობს და ვახშმობს. რაღაც-რაღაც ჭურჭელი კი აქვს და კარგახანია ისწავლა ზოგიერთი კერძის გაკეთება. მართალია, სულ უბრალო რამეებს თითხნის —, უფრო ხშირად ფაფასა და მაკარონს ხარშავს ან კონსერვებს ხსნის, მაგრამ, როცა ნადირობაში ხელი ემართება, ახალი ხორცეცა აქვს. ასეთ დღეებში პეტრეც მის კმაყოფაზე გადმოდის — ხან ტაფისთვის შერბის ქოხში, ხან მარილისთვის, ხანაც ერთი ჩანგლისთვის, ხან კიდევ ერთი ჭიქისთვის — გამოდის, რომ გადასაკრავიც გაუშანსავთ.

— შენ თუ მანდ ქეიფს გააბამ, შინ ნულარ მოხვალ! — მიაყვირებს ვასილისა. — შე ძილისგუდავ, შენა!

ძილისგუდას იგი წამღერებით, სიამოვნებით წარმოსთქვამს.

ნალიასთან ბალღები ირევიან: აქაა პეტრეს ვასკა, რომელსაც პაპის საპატივცემულოდ დაერქვა ეს სახელი, და ნასტიას სამივე ბალღიც აქაა.

ნასტია, ვასილისა და ვასილისას შუათანა გოგო, ამავე სახლში ცხოვრობს, მაგრამ მეორე ნახევარში — სახლი ორადაა გაყოფილი და უფრო პატარა ნაწილი ნასტიას ერგო. სამი სახლის იქით ცხოვრობს უფროსი ქალიშვილი ანაც, იგი მასწავლებელსა ჰყავს ცოლად.

ვასილი ძუნწი არაა. ნანადირევიდან თავისთვის ცოტას იტოვებს, ბევრი არც სჭირდება. ყველაზე დიდ ნაჭერს ნასტიას აძლევს — იმას სხვებზე უფრო უჭირს: სამი ბავშვი აზის კისერზე, ქმარი არა ჰყავს. პეტრე თავისთვის თვითონ მოიჭრის ნაწილს, და თვალში რომ არავის ეჩხირებოდეს, მაშინვე თავის ნალიაში შეაქვს. დარჩენილ ხორცს ვასილი შუაზე ჰყოფს და ბავშვებს უბრძანებს მისი წილი ანას მიუტანონ. ბავშვები ჯგროდ გარბიან. და ამ დროს გამოჩნდება ტაფა, რომელზეც ჯერ კიდევ ფეთქავს, იძვრის ნაღვერდალზე დაბრაწული ცინცხალი მწვადის დიდი ნაჭრები, რომლის ქონიც შხეფებს ჰყრის და ტკაცატკუცი გააქვს. კარს კეტავენ და ბოთლს ხსნიან.

ვასილი უტაიგოდ ვერ იცოცხლებს. ისე იცნობს ტაიგას, ისე უყვარს თითქოს თვითვე შეექმნას, თვით განეფინოს სივრცეში და აღევსოს ყველა სიმდიდრით, რაც კი ამ ტაიგის წიაღშია. სექტემბერში თხილის მოსაგროვებლად მიდის და, ვიდრე ჩამოთოვდეს, ამტვრევს და ამტვრევს გირჩებს. შემდეგ ერთბაშად ნადირობის დრო დგება — ვასილი ციყვსა და სიასამურზე ორჯერ ნადირობს: ახალ წლამდე და ახალი წლის შემდეგ; გაზაფხულზე ისევ თხილს აქუჩებს: ნათოვლარზე უამრავი ნაყარი გირჩა ყრია მიწაზე. მაისში ღანძილის მოკრეფა შეიძლება, ივნისში საცოდაობა იქნება ტაიგის წითელ-შავი კაპოტები არ დაიჭირო, ივლისში კენკრა მწიფს — და ასეა წლიდან წლამდე.

მასთან მოდიან, ეკითხებიან ხოლმე:

— როგორა ფიქრობ, ვასილ, წელს კაკალი თუ გვექნება?

— მეთხილია თუ არ შეჭამს, გვექნება, — ეშმაკურად მიუგებს.

— ეს მეც ვიცი, — ეჭვით შეჰყურებს შემკითხველი.

—ერთ კვირაში გავალ დასაზვერად, — ვერ ითმენს ვასილი, — აი, მაშინ ყველაფერს გეტყვი. ახლა კი, თვითონაც ხედავ, ნალიაში ვზივარ, აქედან არაფერი ჩანს.

ის არსად არ მუშაობს,ტაიგა აჭმევს და ტაიგა აცმევს. ბეწვეულს ყველაზე მეტს აბარებს, მოსავლიან წლებში ხუთ-ხუთ, რვა-რვა ტომარას ავსებს კაკლით. ზამთრიდანვე მოდის ლიტველ

ტყისმომწყობთა თუ მოსკოველ გეოლოგთა წერილები, ოლქიდანაც სთხოვენ, ზაფხულში ჩვენს ექსპედიციას წამოყევი მეგზურადო. როგორც წესი, ის უპირატესობას ლიტველ ტყისმომწყობებს ანიჭებს: სხვა ხალხში ტრიალი და მათი უცნაური სიტყვების დახსომება აინტერესებს. შესვენების შემდეგ რომ წამოდგება, კმაყოფილ და ეშმაკურ ღიმილს ვერ იკავებს, „აინამო“ ამბობს და ლიტველებიც სიცილ-სიცილით მიჰყვებიან კვალში. ტყისმომწყობნი ვასილს კიდევ იმიტომ მოსწონს, რომ მათ სპეციალურად ისწავლეს, თუ როგორ მოიყვანონ ტაიგა წესრიგში და ტყეში არასოდეს დაუშვებენ ხანძრის გაჩენას, გეოლოგები კი აქ თავს მდგმურებად გრძნობენ და ამიტომაც შეუძლიათ ათიოდე გირჩისთვის უშველებელი კედარი წამოაქციონ ან კოცონი არ დატკეპნონ.

ტაიგაში გასვლისას ვასილი ნალიას ბოქლომს ადებს და ვასილისა, აბას რომ ხედავს, ბუზღუნებს:

— უნდა ჩარაზოს, აბა როგორ, გაქურდავენ, მანდ ხომ ავლადიდებით გატენილი ზანდუკები უდგას. შარვალი მაინც ეყიდა იმოდენა ფულიდან. შიშველი უკანალით დაიარება, ხალხს აცინებს და ეგაა. არც არაფრისა რცხვენია და არც სინდისი ქენჯნის.

...ისინი ერთმანეთის პირისპირ სხედან — ვასილი საწოლზე, პეტრე დაბალ საბალღო ტაბურეტზე, რომელიც მისთვისვე შეკრეს ამ ოცდახუთი წლის წინათ, და ვასილი, რომელსაც სასმელი ჯერ არ მოჰკიდებია, წელს უჩივის:

— ტკივილი დამიწყო ამ ოხერშა. დაიხრება და ველარ იმართება.

— დროა გტკიოდეს, — ფრუტუნებს პეტრე. — რაო, ხომ არ გინდოდა სამოცდახუთი წლის კაცს ისევ ჯეელურად გერბინა. ღმერთს ნუ აწყენინებ, შენი ჯანი ნეტა სხვას მისცეს.

— მარტო ყურყუტი მეშინია, ამხანაგი უნდა მოვძებნო. — ვასილი ამას თითქმის სიამაყით ამბობს: აქაოდა, აი, ამხანაგი მხოლოდ ახლა დამჭირდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძაბული პეტრე ტაფას უჩხიკინებს ჩანგლით.

— იქნებ წამომყვე? — კი იცის, რომ არსად არ წაჰყვება, მაგრამ მაინც ეკითხება ვასილი.

— წამოგყვებოდი, მაგრამ რანაირად? კოლმეურნეობა არ გამიშვებს.

— კოლმეურნეობა არ გაგიშვებს, — კვერს უკრავს ვასილი.

— ეგრეა.

საკითხი გადაწყვეტილია და ვასილი ისევ აუსებს ჭიქებს.

...ვასილისას ეწვია მეგობარი, სამოცდაათი წლის ავდოტია.

— აქეთ ვიყავი და ვიფიქრე, მოდი, ერთი, ვასილისასთან შევივლი და დავხედავ-მეთქი! — მთელ ქოხში ისმის მისი ყვირილი.

ვასილისა წინსაფარს იხსნის — რაღაცეებს რეცხავდა და ვერ მოამთავრა — ავდოტიასთან მიდის და ხელს უწვდის.

— მაიტა ეგ ბებრული ხელი, ავდოტიას ჭირიმე.

ავდოტიას ჩვარივით ხელი აქვს.

— აქეთ ვიყავი და ვიფიქრე, მოდი, ერთი, ვასილისასთან შევივლი და დავხედავ-მეთქი! — ისევ ყვირის დედაბერი. — შენა კიდე ჩამოსაჯდომადაც არა გცალია.

— როგორღა ჩამოჯდები? — საბრძოლო განწყობილებით პასუხობს ვასილისა. — მთელი დღე ფეხზე ვდგავარ, ხან ესაო, ხან ისაო, საქმეს რა გამოლევს...

— ამას ათასი წელი ვერ გადაღლი! — ყვირის ავდოტია. — დაიხსომე, ვასილისა, ჩვენ წავალთ და საქმე მაინც დარჩება. ცხენით რომ ზიდო, მაინც დარჩება.

— დარჩება, დარჩება, — თავს უკანტურებს ვასილისა. — იმას ხვალისთვის თუ მოიტოვებ, მორჩა, ზურგზე გკიდია, უნდა ათრიო და ათრიო. თოფრიან ბოშასავით ქოჩადმავლობ, რაღა!

— და ვერსადაც ვერ გაექცევი.

— სად უნდა გაექცე?

— ვერა, ვერ გაექცევი.

დიდხანს და შეწყობილად უკრავენ კვერს ერთმანეთს. შემდეგ დედაბერი ავდოტია ეკითხება:

— შენი პეტრე სადაა, სამუშაოზეა?

— სამუშაოზე, არა, ერთი! — ფხუკუნებს ვასილისა. — ეგერაა, ე, ნალიაში ჩაიკეტნენ, ყლურწავენ, არ დაენახო, თორემ იქნებ ლანძღვა-გინებითაც აგიკლონ.

— ხო-ხო-ხო! — გახარებული ავდოტია ისევ ისე ყვირის. — ჩემი სიძეც ამ დღეშია. ერთი სიძე სასმელს არ ეკარება, მეორეს გაშრობა არ უნდა.

ვასილისა თავს უქნევს, — შესამის, მესამისო.

— შენა, რაო, იქ არ შედიხარ? — ავდოტია თავით ნალიისკენ ანიშნებს.

— შენა, დედაბერო, ხომ არ შეიშალე, — ეწყინა ვასილისას. იმას სათოფეზე არ ვეკარები. ისეთ სისულელეს წამოროშავ, რომ გადარევ ადამიანს.

—ხე-ხე-ხე-ხე, — იცინის დედაბერი, — დამაინტერესა და იმიტომ გკითხე. ვიფიქრე, იქნებ, ამ სიბერეში მორიგდნენ და მე კიდე არაფერი გამიგია-მეთქი.

— ნუ ყბედობ, ავდოტია.

...ვასილი აჭანჭყარებს არყის ნარჩენს და ჭიქებში წურავს. პეტრეს უჭირს ბავშვის ტაბურეტზე ჯდომა და საწოლზე გადადის.

— გული მწყდება, პეტრე, რომ შენ ტაიგას პატივს არ სცემ, — ეუბნება ვასილი, — ჩვენს გვარში ყველანი ტაიგელები იყვნენ, მე კი სადაცაა მოვკვდები და თოფიც გასაყიდი გექნება.

— ტაიგას მე პატივს ვცემ, — გაუბედავად შეეპასუხა პეტრე, — მაგრამ კოლმეურნეობიდან ვინ გამიშვებს?

— ამაში კი მართალი ხარ.

— არავინ გამიშვებს. ტრაქტორისტი რომ არ ვიყო, კიდევ სხვა საქმეა. ახლა კიდე, რამდენიც გინდა იხტუნავე, ვერაფერს გახდები.

— თოფი არ გაყიდო, — უცებ მკაცრად ამბობს ვასილი.

— კარგი ერთი, ნეტა, რატომ უნდა გავყიდო?

— არ გაყიდო. ცოტახნის სიცოცხლე დამრჩა, ჩემს სამახსოვროდ დარჩეს. იქნება, სადმე ნადირსაც გადაეყარო. კარგი თოფია.

— გეყოფა. გითხარი, არ გავყიდიმეთქი, ჰოდა, არ გავყიდი.

ჩუმდებიან. ბოლო ჭიქაში არაყი ჯერ ისევ დგას, იგი ოდნავ თრთის, ცახცახებს და ელექტრონის შუქზე ზემოდან ისე ჩანს, კაცს ეგონება თხელი აპკი გადაკვრიაო.

— პეტკა, მოდი, ვიმღეროთ, — ეუბნება ვასილი.

— მოდი.

— რომელი ვიმღეროთ?

— ჩემთვის სულერთია, დაიწყე.

ვასილი დიდხანს არ იწყებს. ჭიქას იღებს და ხელში უჭირავს. შემდეგ, მაგიდამდე თავდახრილი, ბოლოსდაბოლოს, გაბედავს და იწყებს.

Расцветали яблони и груши...

პეტრესკენ ტრიალდება და ისიც აჰყვება. მეტად ერთმანეთს აღარ უყურებენ.

Выходила на берег Катюша,
На высокий, на берег крутой.

ვასილისა თავს წამოწევს და ყურს უგდებს. დედაბერი ავდოტია წავიდა. ვასილისა ამოიხვნეშებს, მაგრამ მისთვისაც გაუგებარია, რა აზრი იდო ამ ამოხვნეშაში.

* * *

ეს ომამდე ორი წლით ადრე მოხდა. მაშინ ვასილმა უცებ აურია: ყოველდღე მთვრალი მოდიოდა და ერთხელ როგორღაც ვასილისას ცემაც დააპირა, მოიმწყვდია რუსულ ღუმელზე, საიდანაც უკვე ვერსაით დაუძვრებოდა და თვითონაც აჰყვა. უკანასკნელ წამს ვასილისას ხელში მოხვდა სატაცი, ჰოდა, ვასილს უღელსავით დაადგა კისერზე და მთელის ძალით დაუჯიკავა. ვასილი დაეცა, ვასილისა კი, სატაცის ხელიდან გაუშვებლად, გადმოხტა და მო-

ასწრო მისი კისრის იატაკზე მიჭერა. ვასილი თავწასაჭრელად შებორკილ მამალსავით ფართხალებდა, ხროტინებდა, ილანძღებოდა, მაგრამ სატაციდან თავის დაღწევა ვერ შესძლო. ვასილისამ ის მხოლოდ მაშინ აუშვა, როცა ვასილიმ აღუთქვა, ხელს არ გახლებო.

როცა ვასილს სიმთვრალეში ეს შემთხვევა ახსენდებოდა, სირცხვილისგან ცოფდებოდა და ვასილისასკენ მიიწევდა. ქალი აშოშმინებდა: მთვრალი ვასილის მორევა ძნელი საქმე არ იყო. მაგრამ ერთხელ როგორღაც, — ვასილისა იმ დროს ფეხმძიმედ იყო, — ვასილმა სკამქვეშ მიგდებული ნაჯახი აიღო და ვასილისას მოუქნია. ქალს შიშით გული გადაუტრიალდა, იკივლა და ქოხიდან გავარდა. იმ ღამეს მას მუცელი მოწყდა. ქოხში მიბრუნებულმა, ვასილს ხელი ჰკრა და ზღრუბლისკენ ანიშნა:

— გაეთრიე აქედან!

ძილმღვიძარე ვასილს არაფერი ესმოდა. ქალმა კიდევ უფრო გადაჭრით გაიმეორა:

— გაეთრიეო, გეუბნებიან!

ვასილისამ ვასილს ჩასაცმელ-დასახური გაუტანა პარმაღზე, კაცმა ცოტახნის წინათ თავისი ხელით დაგებული ტროტუარი გადაიარა და ის რამე-რუმეები ნალიაში გადაათრია. საღამოს კაცს სახლში შესვლა უნდოდა, მაგრამ ვასილისა ჯიქურ გადაუდგა:

— არ შემოგიშვებ!

მათ ოცი წელი იცხოვრეს მხარდამხარ და შვიდი შვილი ჰყავდათ. ორი უფროსი ბიჭი უკვე მუშაობდა, უმცროსი — პეტრე მეხუთე წელში იდგა. ომი რომ დაიწყო, სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ კაცი გაგზავნა ოჯახებში, რათა ეს ყველას გაეგო და ტაიგაში არავინ გასულიყო. ვასილისას ოჯახი მაშინ სუფრას უჯდა. ცინგლიანმა ბიჭმა, რომელსაც ომი უფროსების სეირი ეგონა, ფანჯარაზე დააბრახუნა და მხიარულად დაიყვირა:

— ე, ჰე-ჰეი! ომი დაიწყო! ომი!

ვასილი მაშინვე მოვიდა და ვასილისას ამჯერად არ გაუგდია — ამის დრო არ იყო. ვასილი კართან სკამზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიკრიფა და დუმდა — ეტყობა, ნალიაში მარტოკას დუმილი არ შეეძლო.

სამი დღის შემდეგ ის ისევ მოვიდა, უკვე გამზადებული, ჩანთიანი. ჩანთა კართან დატოვა, თვითონ ოთახში შემოვიდა. ყველა წამოდგა, ვასილისაც. ვასილი შეიჭმუხნა, და ბავშვებს უსასოოდ, უნიათოდ უთათუნა თუ ურტყა ხელები მხარზე. შემდეგ ვასილისასთან მივიდა, მის წინ გაჩერდა. ბავშვები მათ უყურებდნენ და გულისფანცქალით ელოდნენ რა მოხდებოდა.

— ვასილისა, — ხრინწიანი ხმით უთხრა ვასილიმ, — მთლად ნუ მკრავ ხელს, იქ ხომ შეიძლება მომკლან. შენ აქ ბავშვებს... ჰო...

ვასილისამ პირველმა გაუწოდა ხელი, ვასილმა მოუჭირა და სათქმელის დაუბოლოებლად წავიდა. წყნარად მიიხურა კარი და გაემართა სოფლსაბჭოსკენ, სადაც ფრონტელებს საზიდრები ელოდა.

შემდეგ საზიდრები პირდაპირ ეზოებიდან გადიოდა. ვასილისამ ომში ორი უფროსი ვაჟი და ქალიშვილი — ანა გააცილა. თითოეული მათგანი ჯერ კიდევ ეზოში ჯდებოდა მარხილში ან საზიდარში, ვასილისა თავად უღებდა მათ ჭიშკარს, წინსაფარს ტუჩებზე იფარებდა და პირჯვრის წერით უყურებდა, თუ როგორ გამოდიოდნენ ეზოებიდან საზიდრები და როგორ მძიმედ მიუყვებოდნენ სოფლის შარას, უსმენდა, როგორ მღეროდნენ მთვრალი მამაკაცები, როგორ ტიროდნენ მათ ჩაჭიდებული ქალები. ვასილისა სოფელში არ გადიოდა, ჭიშკართან იდგა ხოლმე, შემდეგ ამ ჭიშკარს ისე კეტავდა, თითქოს ახალი საზიდრების შემოშვება არ უნდაო.

ერთ-ერთი მისი ვაჟი არ დაბრუნებულა, მეორე კი დაბრუნდა, მაგრამ მაშინვე ქალაქში წავიდა და ახლა იქ ცხოვრობს. ვასილი ყველაზე გვიან ჩამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე შემოდგომა იდგა, სოფელ'ში კარტოფილს იღებდნენ. ვასილისამ ისის იყო, ზურგით ტომარა კარტოფილი მოიტანა და სარდაფში ჰყრიდა, როცა ნასტიამ მოირბინა:

— დედი, მამა ჩამოვიდა! ბოდის.

ვასილისა წელში გაიმართა.

— გამოდის, რომ ცოცხალი დარჩენილა, — თავისთვის, აუჩქარებლად განსაჯა ქალმა. — საშკა კი მოკლეს.

ტომარა თავმოუხსნელად ჩააგდო სარდაფში და შეკრთა, როცა იგი ისევ რაღაც მაგარს მოხვდა. ვასილისა სულ უფრო და უფრო ღიზიანდებოდა და ოთახში შევიდა. ტანსაცმლის გამოცვლა არ დაუწყია. რა საჭირო იყო. როცა პარმაღზე ფეხის ხმა მოისმა, ქალი მზად იყო ლანძღვა დაეწყო. ვასილისას ვერ გაეგო, დაიღალა თუ გული ერეოდა.

— მე ვარ, ვასილისა, — უთხრა ვასილმა ზღურბლიდანვე და ქალი ისევ შეკრთა, რადგან დიდი ხანია არ გაეგონა მისი ხმა. დუმილით კი დუმდა, მაგრამ პასუხის გასაცემად მზადმყოფი მისი სახე ამდენს ვერ უძლებდა და ამ მზადყოფობის, მორჩილების გამო, აღმოხდა:

— საშკა მოკლეს.

ვასილმა თავი დაუქნია.

ქალს მეტი არაფერი უთქვამს. მადლობა ღმერთს, ბავშვებმა მოირბინეს და ეზოში გასვლისა და თავისი საქმეების მიხედვის საშუალება მიეცა. შემდეგ მოვიდნენ სტუმრები, ასევე ომიდან დაბრუნებული კაცები, ვასილისა კი, ვიდრე არ დაიღალა, სამზარეულოში იჯდა. როცა ლამპა აანთო, სარდაფში ჩაძვრა და კარტოფილის გადარჩევას შეუდგა.

კაცები უცნობი, სადღაც იქ, ომში, „ურას“ და შველის თხოვნის ყვირილში დაყენებული ხმებით მღეროდნენ, — ვასილისას ეჩვენებოდა, რომ ისინი იმისთვის შეიყარნენ, რათა ბოლომდე ამოემღერათ, ამოეხაპათ თავიანთი სხეულიდან სხვისი ხმები, და საკუთარი ხმებით ამის შემდეგლა დაიწყებდნენ მღერას.

ეს ზარხოშიანთა სიმღერა იყო, მაგრამ ამ სიმღერას თავშეკავებულობა ეტყობოდა, აწყვეტილი ლოთიფოთური სილაღე აკლდა, — შეუწყობელი ხმებით მომღერალი ეს კაცები თითქოს სულ უკან იხედებოდნენო — ვაითუ, იქ, უკან რამე მოხდაო. თითქოს ყოველი მათგანი თავის თავს ლაგმავდა, რომ ფიქრში არ დაძირულიყო და მეხსიერება არ დაკარგვოდა. და მთვრალი კაცების ხმამაღალი ლაპარაკიც თავშეკავებული იყო, მას სწრაფად ენაცვლებოდა სიმღერები — ყველაფერი ეს ხან ერთგან, ხან მეორეგან შეგრძნებულ ყრუ ტკივილს ჰგავდა.

ვასილისა დაიღალა და სარდაფიდან ამოძვრა. უკვე აღარაფრის გაკეთება აღარ სურდა. ნასტიას დაუძახა და უთხრა:

— წადი, მამას ნალია მიულაგე.

— დედი! — ნასტიას ხმაში საყვედური ჩადგა.

— მიდი, — უთხრა ვასილისამ. — შენი საქმე არაა.

თითქმის მაშინვე შემოვიდა სამზარეულოში ვასილიც.

— როგორც ჩანს, არ გინდა მაპატიო, არა? — ჰკითხა ვასილისას პირისპირ მდგარმა. — არ გინდა. მე კი, ვასილისა, საჩუქარი მოგიტანე, მაგრამ ვერ მოვისაზრე, როგორ მომერთმია.

— ჩვენ ერთად ვერ ვიცხოვრებთ, — უთხრა ვასილისამ. — მე, ვასილ, ერთხელ როგორიც გავჩნდი ამქვეყნად, ისეთი, ვარ, ჩემი გადასხვაფერება არ იქნება.

— ომმა ყველა გადაგვასხვაფერა, — ხმადაბლა შეეკამათა ვასილი.

— ომი, ომი... — გაიმეორა ვასილისამ. — ომი მწუხარებაა და არა ბრძანებულება. მან ქალები ისედაც აქცია კაცებად. ახლა როდისღა დაიზრდებიან ახალი დედაკაცები? ჩქარა უნდა დასაფლავდეს ეგ შენი ომი, ჩქარა.

ქალმა ამოიხვნეშა. ვასილმა სცადა მოხვეოდა, მაგრამ მისი ხელები ჰაერ-

ში დაეკიდა, რადგან ქალი განერიდა.

როცა ვასილი წავიდა, ვასილისას შეეშინდა, არ ავტირდეო, მაგრამ ტირილი სულ არ უნდოდა და კმაყოფილი დარჩა. იმ ღამით ჩქარა ჩაეძინა და ბშვიდი ძილით ეძინა, დილით კი დაინახა, რომ სქელი, უკუნი ნისლი იწვა — ისევ საბანში შეფუთვნა და დაძინება მოუნდა.

ომის შემდეგ ვასილი შინ დიდხანს არ დაყოვნებულა, ზაფხულს დაელოდა და ლენაზე, ოქროს საბადოებზე გაეძგზავრა. გამოთხოვებისას თავისიანებს აგრძნობინა, რომ ჩქარა არ დაბრუნდებოდა, შესაძლოა, სულაც არ დაბრუნებულიყო. ვინ იცის, გამდიდრება ეწადა თუ თავისი ოჯახის გვერდით, თანაც, სულ გამოცალკევებით, თითქოს კეთროვანიაო, არ გაეძლებოდა. გაძგზავრების წინ ვასილმა პეტკას ჩააბარა თავისი ორდენები და მედლები, თვალისჩინივით გაუფრთხილდიო, უბრძანა, საღამოს გიმნასტურა გაწმინდა და სოფელში გაიარა ზოგ ვინმეებთან დასამშვიდობებლად. იმ დღეს ენაწყლიანი და მხიარული იყო, ყველას ფულის გამოგზავნას ჰპირდებოდა, დილით კი ხმას არ იღებდა, თითქო აქ არც არის და დროზე ადრე წავიდაო.

გემამდე ვასილი ნასტიამ და ანამ მიაცილეს, პეტკა სადღაც-სადღაც დაწრიალებდა და დააგვიანდა. როცა ტრაპი ჩამოუშვეს, ვასილი აღელდა. როგორღაც დაბნეულად ჩამოართვა ხელი გოგოებს და ტრაპს აუყვა. წუთიც და იგი გემბანზე დაინახეს, მაგრამ აქეთ უკვე აღარ იხედებოდა. გემმა სამჯერ დაიყვირა, ვასილი უწინდებურად ისევ გემბანზე იდგა და, ეტყობა, ისევ ისე არსაითაც არ იხედებოდა და ვერც ვერაფერს ხედავდა.

ნასტია უკვე მის აქ არყოფნაში გათხოვდა. იგი თავის ყველა და-ძმაში, რომლებიც ერთნაირად ზლაზნიები და წინდახედულნი იყვნენ, სიფიცხითა და გასაოცარი ენერგიით გამოირჩეოდა. „ეგ ადრეულა ხილივითაა“, — ამბობდა მასზე ვასილისა. თორმეტი წლისა ლამის ყველა იმსოფლიო მიჯნურის ნდობით აღჭურვილი პირი იყო, ძისი ხელით გადასცემდნენ ერთმანეთს ბარათებს, ოცი წლის გათხოვებაშეგვიანებული გოგოები თავიანთ საიდუმლოებებს თამამად ანდობდნენ. თოთხმეტი წლის ნასტია უკვე ფერმაში მუშაობდა, თექვსმეტისა გათხოვდა და წლის თავზე ტყუპი გააჩინა. მაშინაც კი ჩქარობდა, როცა საჩქარო არაფერი ჰქონდა და მისმა ქალურმა ბედნიერებამ, ეტყობა, ვერ გაუძლო ასეთ სიჩქარეს და დღემოკლეც აღმოჩნდა: ოთხი წლის შემდეგ ნასტიას ქმარი დაიღუპა — ხე-ტყის დამზადებაში მუშაობისას — და ცოლს სამი პატარა ბალღი დაუტოვა. ამის შემდეგ ცხოვრება შენელდა.

ვასილი მორიგ ზაფხულსვე მობრუნდა შინ. საბადოებზე ვერც ბედს ეწია, ვერც ფული იშოვნა და შინ გაძვალტყავებული და ტილებდასეული, გიმნასტურის ამარა დაბრუნდა — იმ გიმნასტურას, შემდეგ, ნასტია კარგახანს მდუღრავდა და აუთოებდა. ვასილს მთელი კვირა არ გაუდგამს ფეხი ნალიიდან, არც არავის დალაპარაკებია, შემდეგ, როცა ძილით გული იჯერა, აღიჭურვა და ტაიგაში წავიდა.

* * *

ივლისი, თვის მეორე ნახევარი. ზაფხულის დღეებმა იკლო, მაგრამ ცხელა, სუნთქვა ჭირს. გზებზე დამდგარი უსაშველო მტვერი სახურავებზე ილექება და სახლებს უმნიშვნელო, შარშანდელი ზვინების მსგავს ნაგებობებად ხდის. ანგარის თავზე კვამლი დგას: სადღაც ტყეები იწვის.

კოლმეურნეობა უკვე მორჩა თიბვას, მოსავლის აღება ჯერ ადრეა. კოლმეურნეები ამ პატარა შესვენებას თავიანთთვის იყენებენ შესაძლებლობისდაგვარად — ახლა საპირადო თიბვას იწყებენ. დილდილობით სოფელი კუნძულებს აშურებს ნავებით, ტაიგაში გადის, შინ კი ცოტანიღა რჩებიან და გულმოდგინედ, დღეში ორჯერ, დილა-საღამოს, ბოსტნებს რწყავენ. ბოსტნე-

ბის თავზე, პაპანაქების მიუხედავად, კიტრისუნას სუნი ტრიალებს.

პეტრესა და ნასტიას სათიბი ერთგანა აქვთ — სოფლიდან თხუთმეტიოდე კილომეტრზე. ყოველდღე იქით წასვლა და უკან მობრუნება ძნელია და ამიტომ მთელი კვირით იქ რჩებიან, რათა დილაუთენია ადგნენ და გვიანობამდე იმუშაონ. ორ ოჯახში ბავშვების მომხედად და მეურნეობის გამძღოლად ტანიაღა რჩება. ვასილსაც შეეძლო შინ დარჩენა, მაგრამ იგი უკვე შეეჩვია ასეთ გასვლებს და თავს მოვალედ თვლის, რომ შვილებს დაეხმაროს. წელს თიბვაზე პირველად გაიყოლეს ვასკა, პეტრეს ცხრა წლის ბიჭი.

თიბვისთვის მისწრება ამინდი დგას, პაპანაქებაში თივა სწრაფად ხმება, მაგრამ თიბვა ძნელია: დაუგვიანდათ, ბალახი გადახმა. ვასილის ლესური ფართოა, მაგრამ მოკლეა, ხშირად ჩერდება, აბოლებს და თან პერანგის სახელოთი შუბლიდან და კეფიდან ოფლს იწმენდს.

— ვასკა, — ყვირის ის. — კარდალა სადაა?

ვასკა წყალს მოარბენინებს და ვასილი ხარბად სვამს, შემდეგ თავს მაღლა სწევს და მზეზე თვალს ჭუტავს. ასე გგონია, მზე ბურთივით ჩაგორდა ორმოში და იქიდან ვერასგზით ვერ ამოგორდებაო, — ჰოდა, გაუთავებლად აცხუნებს.

— ერთი უხეირო პატარა ღრუბელი მაინც მოეფარებოდეს, — ბუზღუნებს ვასილი და ისევ იმარჯვებს ცელს.

პეტრე გვერდზე თიბავს, მაისური აცვია, თავზე ცხვირსახოცი აქვს წაკრული, ბალახს მოდებული მისი ცელი უკვე უძლურად ხრიალებს. პეტრე მას მაღლა სწევს, სალესავს წყალში ავლებს და სწრაფად იწყებს ცელის ლესვას. შემდეგ ვასილისას მიხედავს — ის უკვე დიდიხანია გაუნძრევლად ზის მორზე.

— დედი, უძახის პეტრე. — ქოხში შესულიყავი! ცოტა რომ აგრილდება, მერე გეთიბა.

ვასილისა დგება და პეტრესთან მიდის.

— აღარ შემიძლია, — ნაღვლიანად ეუბნება და ამოიოხრებს. — ქანცი გამეცალა. ვიფიქრე, დავეხმარები-მეთქი, მაგრამ მორჩა, ვერა ვარ, ვერა.

— შენ, რა, დედი, ცუდადა ხარ? — ეკითხება პეტრე.

— გადამივლის, ნუ გეშინია. აი, მივწვები და გადამივლის, ხვალე კიდე კარგად ვიქნები. უკვე მთელი წელია არ მითიბია და ამის ბრალია.

ის მოკაკული მიდის ქოხისკენ და სამივენი — ვასილი, ნასტია და პეტრე — თვალს აყოლებენ.

— მოდი, შევისვენოთ! — უყვირის ვასილი პეტრეს.

პეტრე მასთან მიდის, ორივე ხელით იჭერს კარდალას და დიდხანს იკლავს წყურვილს. შემდეგ ოფლის წვეთებს იწმენდს შუბლიდან და ჯდება.

— რა დაემართა დედას? — ეკითხება ვასილი.

— დაბერდა, — ჩვეულებრივი ხმით პასუხობს პეტრე. — ეგ რამდენი წლისაა?

— ჩემზე ორი წლით უმცროსი იყო.

— დაბერდა, — იმეორებს პეტრე.

გვიან საღამოს კოცონს უსხედან და ვახშმობის შემდეგ ჩაის სვამენ. კოცონის ენა ხან მაღლა მიიკლაკნება, და მაშინ ყოველ მათგანს ტანსაცმელივით თვალნათლივ ეტყობა დაღლა, ხან კი ისევ ნელდება. ქოხს იქით, სიბნელეში, ძაღლი ხმაურით ლოკავს ქილიდან კონსერვის ნარჩენს. ღამე ეფინება ხეებს, მოთიბულ ბალახს, და მხოლოდ კოცონთან მიკარება ვერ გაუბედავს — დაწვის ეშინია. კოცონი ამის გამო ფიცხობს, ხტის, ცმუკავს.

დიდხანს არ ეძინებათ: თიბვა დაწყებულია, პირველმა დღემ რიგიანად ჩაიარა, და ყველაფერი ეს მათში ცინცხალი, ჯერ კიდევ დაუმცხრალი გრძნობით ფორიაქობს.

— დაწოლის დროა, — ამბობს ბოლოს ვასილი. — ამ ერთ დღეში ცხრა ბულული დავდგით, ესეც საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არა, მეტი, — სწრაფად უსწორებს ნასტია, იგი ყოველთვის სწრაფად ლაპარაკობს. — მარტოკა მე ხუთი ბულული წამოვმართე.

— თუ მეტია, ამას რა სჯობია, — ეხმიანება პეტრე.

— ხვალ უნდა ვიჩქაროთ. — ვასილი დგება. — იავდრებს.

— როგორ თუ იავდრებსო? — ყურადაცქვეტით კითხულობს ვასილისა და პეტრეს შეჰყურებს.

— ძაღლი ბალახს ჭამდა, — ეუბნება ვასილი პეტრეს. — უტყუარი ნიშანია.

პეტრე დუმს.

* * *

ვასილი და პეტრე ერთ წელიწადს, ერთსა და იმავე თვეს დაქორწინდნენ. პეტრემ, რომელსაც იმ წელიწადს ისის იყო ოცი წელი შეუსრულდა, სოფლის ქვემო მხრიდან შინ მოიყვანა ტანია, მჭედლის ასული. ვასილმა ნალიაში მოიყვანა უცხო, არასოფლელი დედაკაცი, რომელიც შემთხვევით შემოეხეტა ამ სოფელში და დაყოვნდა, ქოხიდან ქოხში გადადიოდა და ქალებს სარაფნებსა და კაბებს უკერავდა. ხელმარჯვე ოსტატი იყო, გასამრჯელოსაც ძვირს არ იღებდა და უამრავ დაკვეთას იღებდა. ამბობდნენ, ეგა უკრაინიდან ჩამოვიდა, რათა ომში დაკარგული შვილი მოეძებნა, მაგრამ უკან დასაბრუნებლად ფული არ ეყო და ცოტა რამის შოვნა გადაწყვიტაო.

მან და ვასილმა სად და როგორ შეკრეს პირი, არავინ იცოდა. პეტრეს უკვე გადაუხადეს ქორწილი, რომელზეც ყველაზე მეტს ნასტია მღეროდა და ცეკვავდა. ოქტომბრის დღესასწაულებმა გადაიარა და იმ შემოდგომაზე შეგვიანებული თოვლიც მოვიდა. ვასილმა, რომელიც აქამდე საშოვარზე აპირებდა წასვლას, მზადება შეწყვიტა და პეტრე იხმო.

— შენ ის დედაკაცი თუ ნახე, მოსული? — ისე ჰკითხა შვილს, რომ მისთვის არ შეუხედავს.

— რომელი, რო კერავს?

— ჰო.

— ვნახე, ეგ ხო ქოხიდან ქოხში დაიარება.

— მინდა ჩემთან მოვიყვანო, — თქვა ვასილმა და პეტრესკენ მიტრიალდა.

— შენა, რა, მამი, ამას სერიოზულად ამბობ? — ვერ მოითმინა და გაოცება ვერ დამალა პეტრემ.

— მერე რა? მე, რა, ქალის მოყვანის უფლება არა მაქვს, თუ რა?

— უფლება რატომ არა გაქვს? — ჩაიდუდღუნა პეტრემ, რაკი არ იცოდა, რა ეთქვა, — გაქვს, რასაკვირველია. შენ ჯერ ბებერი არა ხარ, ვინ გეუბნება, უფლება არა გაქვსო?

— საქმე ის კი არაა, ბებერი ვარ თუ არა ვარ, — დაღვრემით გაუსწორა ვასილმა — მომწყინდა ამ ჩემი სარეცხების რეცხვა და ფაფის ხარშვა. პატიმარივით ვცხოვრობ. დიასახლისი მჭირდება — ამაშია საქმე.

გაჩუმდნენ.

— ხვალ საღამოსპირს შემოიარე, ჩვენ სამნი ერთ ბოთლ არაყს დავლევთ და ქორწილს გადავიხდით, აბა. ნასტიას დავავალებ, რომ რამე გაგვიმზადოს.

შინ ვასილისა ფაცაფუცობდა სამზარეულოში.

— დედი! — პეტრე ღელავდა და ყვიროდა. — მამა ცოლს ირთავს.

— ხოო? — გულგრილად შეეხმიანა ვასილისა.

— ზუსტად გეუბნები. ხვალ მოიყვანს.

— თუ უნდა, ათასჯერ დაქორწინდეს, მასთან არაფერი მესაქმება.

— იქნებ, გეტკინა გული, ჰა?

— რას როშავ, ერთი? — აენთო ვასილისა. — გული მეტკინა რომელია, სისხლისაგან დავიცალე, ვერა ხედავ! დამთხვეული, ჭკუამცდარი ყოფილა, რაკი ამაზე თხოვდება. ნორმალური არ წამოჰყვებოდა.

ვასილის ახალ ცოლს ალექსანდრა ერქვა და იგი ანაზე, ვასილის პირველ ქალიშვილზე, დიდად უფროსი არ იყო. ვასილისამ ის პირველად დილით ნახა

ფანჯრიდან, როცა ალექსანდრა ცალი ფეხის კოჭლობით საპირფარეშოსკენ მიდიოდა.

— ეგ ხო კოჭლი ყოფილა, — გაეხარდა ვასილისას. — ხო ვამბობდი, რომ ნორმალური არ წამოყვებოდა, ჰოდა, აგრეც ყოფილა. ახლა ეგენი იცხოვრებენ, ნუ იტყვი... ფერი ფერსაო, ამათზეა ნათქვამი.

პირველ ხანებში ალექსანდრა არსად ჩნდებოდა, ნალიიდან არც გამოდიოდა. ვასილი თვითონ იდუღებდა ჩაის, თვითონვე დადიოდა მაღაზიაში, მაგრამ მაინც ცდილობდა ზედმეტად არ გასულიყო გარეთ. მისი დაქორწინება სოფლისთვის ისეთივე მისწრება იყო, როგორც ჭიანჭველების ბუდისთვის თაფლის ფიჭა: მას ათასნაირად ასამართლებდნენ და ამკობდნენ, მისი ქორწინება იქცა ომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან, უკანასკნელ წლებში მომხდარ ნებისმიერ სიკეთეზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენადაც კი. ქალებს უცებ მარილი შემოელიათ, სარეცხი ფიცრები და უთოები სადღაც გაუქრათ და ყველაფრისთვის ვასილისასთან მიდიოდნენ, და ვითომ სხვათაშორის, ახალგაზრდებზე უწყებდნენ ლაპარაკს — რასაკვირველია, იგულისხმებოდა, რომ ისინი პეტრესა და ტანიაზე ეკითხებოდნენ. არ ეშმაკობდა მხოლოდ დედაბერი ავდოტია, რომელსაც მაშინაც უკვე აკლდა ყურს.

— ვასილისა, შენზე ამბობენ, დაია გაიჩინაო, მართალია? — ყვიროდა სკამზე მოკალათებული დედაბერი.

— შენა, დედაბერო ავდოტია, საქმე არაფერი გაქვს, ჰოდა, დაბორიალობ და გუდას ჭორებით ავსებ, — გაუბრაზდა ვასილისა.

— შენ ეგ ამბავი გულს გიხეთქავს?

— მე ეგენი ფეხზე მკიდია, საცვლებს კი არ ვურეცხავ.

დედაბერმა ავდოტიამ ქოხს გამომცდელი თვალი მოავლო და ისევ აყვირდა:

— აქ არ შემოდის?

— ფეხს შემოდგამს და ეგრევე ამოვჩიჩქნი თვალებს.

— ამოჩიჩქნე, ამოჩიჩქნე, — კვერი დაუკრა დედაბერმა ავდოტიამ. იმას რომ ნება მისცე, შენც გაგაგდებს ამ ქოხიდან. შენა, ვასილისა, იმას თვალი არ მოაცილო, იცოდე.

ისინი მალე შეხვდნენ ერთმანეთს — ერთ ეზოში ცხოვრება და შეუხვედრელობა შეუძლებელია. ალექსანდრა ნალიიდან გამოვიდა, უცებ, ზედ მის პირდაპირ ვასილისა დაინახა და გაუბედავად შეჩერდა, არ იცოდა, რა ექნა, ვასილისა ინტერესით ათვალიერებდა და ელოდა.

— გამარჯობათ, — მთლად დაბნეულად, ოდნავ გასაგონი ხმით მიესალმა ალექსანდრა.

— ერთი ამას დამიხედეთ, გამარჯობაო, მაშასადამე, — განცვიფრდა ვასილისა და გაჯავრდა. — ჩაი ხომ არ გნებავთ? იკოჭლავე, კოჭლო, როგორც აქამდე გიკოჭლავია, აწიც ისე იკოჭლავე, მე შაქრისა არა ვარ, შენი „გამარჯობათ“ ვერ დამადნობს. არა, თუ გესმით, „გამარჯობათო“, აბა! ღმერთო, რა ზრდილობიანი ვინმე ყოფილა!

დიდხანს ვერ დამშვიდდა, პეტრეზე ბუზღუნებდა, კედელს იქით ნასტიას გაჰყვიროდა, ჭურჭლის ჩხარუნ-ჟღარუნით მთელ სახლს აყრუებდა. ეჩვენებოდა, რომ შეურაცხყვეს, მან კი საკადრისი პასუხი ვერ გასცა შეურაცხმყოფელს, ნაირნაირ კილოზე იმეორებდა ალექსანდრას მიერ თქმულ „გამარჯობათს“, თითქოს იგი მას ახლაც გესლავსო.

ნასტია დაუმეგობრდა ალექსანდრას და უკვე ერთი თვის შემდეგ შურას ეძახდა. მერე კი ნასტიასთან არაკრაკდა მანქანა — ალექსანდრა მის შვილებს პერანგებს, შარვლებს უკერავდა და ბენტერა ბალღებიც ახალი სამოსით თავს იწონებდნენ ვასილისასთან. მანქანის რაკარუკის გაგონებაზე ერთხელ ნასტიას ქოხში ტანიამაც შეიხედა და მერე იქ ყოფნას უხშირა და უხშირა — თვითონაც რაღაცრაღაცეების ზომებს

იღებდა, იკერავდა, შემდეგ კი ახალი ხალათით, ახალი ქვედატანით გამოდიოდა იქიდან. ვასილისა იღუშებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. კედლის იქიდან ისმოდა, ქოხის იმ მხარეს როგორ მუსაიფობდნენ, იცინოდნენ. ვასილისას ეჩვენებოდა, მე უკვე აღარავინ შამჩნევს, არავინ არაფრად მაგდებს, მაგრამ მიტანენო, — აქაოდა, ცოცხლობ და იცოცხლე შენთვისო.

— იმას ჯერ დედას არ ეძახი? — წყენით ჰკითხა ნასტიას.

— შენა, დედი, რაც არ გეხება, იმას მოეშვი, — გაჯავრდა ნასტია.

— მე რა, თუ გინდა დაუძახე. მე მალე მოვკვდები, ეგა კიდევ ფაშატივით დანავარდობს — ჯერეთ ახალგაზრდაა.

— შენა, დედი, ამხელა სიცოცხლე გალიე და ჭკუა კი ვერ მოინაგრე, — პეტრე ალექსანდრას ექომაგებოდა. — დაბორიალობ, ბრაზობ, თვითონაც არ იცი კი, რადა და რისთვის. მაინც შენ რა დაგიშავა ასეთი, რა?

ვასილისა ჩუმდებოდა, გულში იგუბებდა დარდსა და ნაღველს.

ერთხელ, ნაახალწლევს, როცა ვასილისა სტუმრად იყო წასული, ალექსანდრამ როგორღაც გაბედა ქოხში შესვლა — თვითონ ის არაფრის დიდებით არ გადააბიჯებდა ამ ზღურბლს, მაგრამ ტანიამ დაუძახა, — რაღაც თარგში ვერ გარკვეულიყო და დახმარებას სთხოვდა. ლაპარაკი გააბეს, გაერთვნენ, შემდეგ კი ალექსანდრამ ფანჯარაში გაიხედა და პირი დააღო: ვასილისა ზურგს უკან ჭიშკარს იხურავდა. ალექსანდრა კარში გავარდა, მაგრამ გვიანღა იყო — ვასილისამ დაინახა.

— ეს რეები ხდება აქ?! — იყვირა ვასილისამ. — ოხ, შე ჩემო მოცილევ, შენა! ჩემს ქოხში მოგინდა შემოსვლა, არა! მე შენ ახლავე გიჩვენებ შენს გზაბილიკას, მე შენ ახლავე...

— ტანიამ დამიძახა, — თავის მართლება სცადა ალექსანდრამ.

— ამას ნალია არა ჰყოფნის, ხედავთ! შვეყანას აქცევდა ვასილისა და თვალით ჭამდა ეზოს კუთხე-კუნჭულებს, ალბათ, ჯოხს თუ ეძებდა. — ნასტენკას ნახევარი არ ეყოფა, ახლა აქითაც არ მომინდომა მობრძანება! მე შენ გიჩვენებ შენსას!

— არ გაბედო! — თავის დაცვა სცადა ალექსანდრამ.

— არ გაბედოს გიჩვენებ მე შენა! მეორე ფეხსაც მოგამტვრევ, თუ ქალი ვარ, მეორე ფეხსაც!

— ბრაზობ, არა? — უცებ შეტევაზე გადმოვიდა და იყვირა ალექსანდრამ. — ჩემი გაგდება გინდა, არა! არ გამოგივა! ეგ შენთან მაინც არ იცხოვრებს, მან ცალი ფეხი წინ გააბიჯგა და ვასილისასკენ წავიდა. — ის ჩემია! შენ მას არ სჭირდები, არ სჭირდები, არ სჭირდები!

— რაო, რაო! გაოგნდა ვასილისა და იღმუვლა, — გეგონოს, გეგონოს, გეგონოს! — შეტრიალდა და სახლში შევიდა.

— იცოდე, ეს კოჭლი ფეხი ამის მეტად არ გადმოვიდეს ჩემს ზღურბლზე! — მკაცრად უთხრა ტანიას. — ჯერჯერობით მე ვარ აქ დიასახლისი, და არა ეგა. მე ისედაც გამწარებული ვარ, ტკბილი ხვედრი არა მრგებია, არა. აი, რომ მოვკვდები, მაშინ მოშიგონებთ, მაშინ.

მოიხსნა თავსაფარი, რომელსაც იშვიათად იხსნიდა და თავისი ჭაღარა თმების ვარცხნას შეუდგა. შეშინებული ტანია საწოლზე მიიკუნჭა და ხმას არ იღებდა.

— ახლა ბურახს კი დავლევდი, — მოულოდნელად უთხრა ვასილისამ ტანიას.

— საბურახე მასალა თუ გაქვს? — გაეხარდა ტანიას. — დავდგამდი.

— არა გვაქვს, — ამოიოხრა ვასილისამ.

დროთა განმავლობაში ვასილისა, ეტყობა, ეჩვეოდა ალექსანდრას, იგი უკვე აღარ ჯაჯღანებდა, აღარ ბრაზობდა, მას რომ ხვდებოდა. თვალს არიდებდა და უსიტყვოდ ჩაუვლიდა. რაც მოხდა, იმას ვასილისა არ იხსენებდა — შესაძლოა, თავს დამნაშავედ გრძნობდა, ან,

შესაძლოა, უბრალოდ დარდის აშლა არ უნდოდა. უენო გახდა, ფიქრებში დაიძირა ერთიანად, სალამოობით, როცა საქმეებს მორჩებოდა და სახლს მოალაგებდა დედაბრებთან გადავიდოდა ჩაის დასალევად და შინ მხოლოდ ძილის დროს ბრუნდებოდა.

— რაო, დედი, ავად ხომ არ გაგვიხდი? — ეკითხებოდა პეტრე.

— ავად გახდომისთვის სადა მცალია, — მკვახედ პასუხობდა დედა და ეცლებოდა.

შემდეგ გაირკვა, რომ ვასილისა წერილებს სწერდა თავის შუათანა ვაჟს, რომელიც სოფლიდან ოცდაათ კილომეტრზე, ხე-ტყის დამზადების მეურნეობაში ცხოვრობდა — შენთან წამიყვანეო. შვილი სიხარულით დათანხმდა და მის წასაყვანად ჩამოსვლასაც კი აპირებდა, მაგრამ ვასილისამ ვიღაცეებს დააბარა მასთან, ნუ იჩქარებო. ახალ ადგილზე გადასახლება ქალს მაინც ვერ გაებედნა.

— ყველგან კარგია, — სადაც ჩვენ არა ვართ, — ოხვრით ეუბნებოდა ტანიას. — სად უნდა გადავბარგდე, უკვე მელოდებიან მოუსავლეთში.

ბოლო ხანს ვასილისა ტანიას შეეთვისა, ეცოდებოდა ის, ცდილობდა ჭურჭელი არ ეხმაურებინა, მძიმე საქმეზე ხელს არ აკიდებინებდა. ტანია ხშირად ავადმყოფობდა, როცა ავად ხდებოდა, ნაღვლიანად და დამნაშავესავით იღიმებოდა.

— იავადმყოფე, არაფერია, — ანუგეშებდა ვასილისა. — შემდეგ, ბავშვებს რომ დააჩენ, ავადმყოფობისთვის ველარ მოიცლი. სიცოცხლე კიდე დიდხანს გრძელდება. შენი ცხოვრება ამაო ხომ არ იქნება, მაინცდამაინც დიდი ოქრო კაცი არ შეგხვედრია.

შემდეგ ნასტიასთან გადადიოდა და ეუბნებოდა:

— შენა, ნასტია, ნალიაში შეგევლო, იმათთან. იმათ, იქნებ, ყოლო ჰქონდეთ. ტანიამ ჟოლოიანი ჩაი დალიოს. ალექსანდრას უთხარი, ტანიასთვის მინდათქო.

ზამთარი გავიდა, მარტში თოვლის წყლები შესვა მიწამ, ეზოებში მამლები ამღერდნენ. ნასტიას ბავშვებს იმ დროს შინ ქამრით ან თაფლ-კვერით თუ შერეკავდი. გარეთ გავარდებიან და კარსაც არ მიიხურავენ, ვისაც არ დაეზარება, ყველა გადი-გამოდის, აქ ქუჩდება. დედა სამუშაოზეა, ვასილისას, როგორც შეეძლო, თვალი ეჭირა ბალღებზე, მაგრამ ყველაფერს, აბა, როგორ გასწვდებოდა?

ერთხელ ვასილისა როგორღაც გადავიდა ნასტიასთან, ვინმე თუ არისო შინ, უნდოდა გაეგო, დაუკეტავი კარი გამოაღო და უცებ სუნთქვა შეეკრა. ოთახში ვიღაც ტიროდა. ვასილისამ ფრთხილად, ფეხისწვერებზე შეაბიჯა და უჩუმრად, მალულად შეიხედა — საწოლზე, ბალიშში თავჩარგული იწვა ალექსანდრა და ზლუქუნებდა.

— აი, თურმე როგორაა საქმე, — განცვიფრდა ვასილისა. — ტირის.

ის იცდიდა, მაგრამ ალექსანდრა ვერ მშვიდდებოდა. ვასილისამ იფიქრა, იფიქრა და საწოლს ზედ წაადგა.

— ცრემლით დარდს ვერ გაიქარვებ, — ჩუმად, მხოლოდ იმისთვის, რომ აქ თავისი ყოფნა გაეგებინებინა, უთხრა ვასილისამ.

ალექსანდრა შეშინებული წამოხტა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— იქნებ, სავარამო არც არაფერი გაქვს, — განაგრძობდა ვასილისა. — დედაკაცს, ქათმისა არ იყოს, თვალები სველ ალაგას უზის.

ალექსანდრა, სლუკუნის შეუწყვეტლად ,ისევ ისე შეშინებული თვალებით უყურებდა.

— წამო, ქალო, ჩემთან, — უცებ მიიწვია ვასილისამ. — სამოვარს დავადგამ, ჩაი დავლიოთ.

ალექსანდრამ უარის ნიშნად თავი გადაიქნია.

— წამო, წამო, ნუ ჯიუტობ, — გადაჭრით უთხრა ვასილისამ. — მე შენზე არა ვბრაზობ და ნურც შენ მიბრაზდები. მე და შენ გასაყოფი არაფერი გვაქვს.

ვასილისამ ის შინ მიიყვანა და მაგიდასთან დასვა. ალექსანდრა ხან სლუკუნებდა, ხან ასლოკინებდა.

— არ შემიძლია ქალების ტირილის ყურება, — მიუტრიალდა ლოგინზე წამოწოლილ შემკრთალ ტანიას ვასილისა. ეს ჩემთვის გულში დანის ჩაცემასავითაა. ცხოვრება შაურიანივითაა — პირის მხარეზე ოღბლიანია, ზურგის მხარეზე — უიღბლო. არადა ყველას პირის მხარეზე უნდა მოიხვედროს, ის კი არ იციან რომ აქედანაც და იქიდანაც ხუთი კაპიკია შაურიანის ფასი. ეჰ, ქალებო, ქალებო! — ამოიხვნეშა. — ბევრს ნუ ვიტირებთ, თორემ ჩვენს საბოგინოს დავანესტიანებთ. ნესტმა დამპალდუმპალის მომრავლება იცის. ანდა, ვინ გითხრათ, ცუდად თუ ხართ იტირეთო, ჰა?

სამზარეულოში გავიდა და იქ ჭურჭლის რახარუხი დააყენა.

— აბა, რა მოხდა, მითხარი, — ჰკითხა სამზარეულოდან გამოსულმა ვასილისამ და თითი ნალიისკენ გაიშვირა. — იმან გაწყენინა?

— არა, — თავი გადააქნია ალექსანდრამ. — ბიჭის გამო ვარ ამ დღეში, ჩემი შვილის გამო.

ვასილისას შემოხედა და გაჩუმდა.

— ილაპარაკე, ილაპარაკე, — თხოვა ვასილისამ, — შვებას იგრძნობ.

— შვებას ვერ ვიგრძნობ. ჩაის დაველოდები, დავლევ. ისე არ შემიძლია ლაპარაკი.

ალექსანდრა გაჩუმდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და თითქმის მაშინვე დაიწყო:

— ოთხი წლისა იყო, მთლად პატარა. მე მუშაარმიაში წამიყვანეს, ეგ კიდევ დედაჩემთან დარჩა. იმათ უჩემოდ მოუწიათ ევაკუირებამ, მე დიდხანს ვერ ჩავაღწიე ჩემს ქალაქში, ჩავაღწიე და ისინი არ დამხვდნენ.

ისევ ასლუკუნდა.

— ჩაი მალე იქნება, — შეახსენა ვასილისამ.

— გზაში დედაჩემი დაიჭრა და მატარებლიდან ჩამოსვეს, ეგა კიდე თან წაიყვანეს. ამბობდნენ, თქვენს ალქშიაო.

— ჩაი მალე იქნება, — ისევ შეახსენა ვასილისამ.

— ახლა სულ ის მესიზმრება. ათი წელი რომ შეუსრულდა, ათი წლისა მესიზმრებოდა, თხუთმეტისა რომ შესრულდა, სიზმარშიც ამდენივე წლისას ვხედავდი. ახლა კი მთლად დიდია. დღეს ღამით მოდის და მეუბნება: „დედი, შენი მშობლიური ლოცვა-კურთხევა მინდა, ნება მომეცი ქალი შევირთოო“.

— შენ რა უთხარი? — ჰკითხა მთელი სხეულით წინწახრილმა ვასილისამ.

— მე კიდე ვეუბნები: „დაიცადე, შვილო, აგე, მოგნახავ და მაშინ დაქორწინდი“-მეთქი. — „ჩქარა მომნახავ?“ — მეკითხება.

—უიმე! — პირი დააღო ვასილისამ.

„მალე მოგნახავ, მალე, შვილო, ძალიან მალე“-მეთქი. ადგა და წავიდა.

— ადგა და წავიდა?

— ადგა და წავიდა.

— არ უთქვამს, აქა და აქ მეძებეო?

— არა.

— უნდა გეკითხნა, გეთქმევინებინა.

ალექსანდრამ უმწეოდ აიჩეჩა მხრები.

ისინი ჩაის სვამდნენ და მუსაიფობდნენ, ბაასი ჩაის სმის მერეც განაგრძეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი, სისხამ დილით, ალექსანდრა ვასილისასთან დასამშვიდობებლად შევიდა.

— წავედი, — ნაღვლიანად თქვა მან. — გავუყვები ჩემს გზას.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, — დალოცა ვასილისამ. — წადი, ალექსანდრა, წადი. ჩვენ ყველას ერთი დედამიწა გვაქვს, ჰოდა, დაუყევი, იარე. მე კიდევ შენთვის ვილოცებ.

ვასილისა გამოჰყვა, ჭიშკარს გადააცილა და დიდხანს, დიდხანს, როგორც ოდესღაც ომში მიმავალ ბიჭებს, ზუსტად ისე გასცქეროდა.

იმ დილით ვასილი პირველად მივიდა სამოვართან. ვასილისამ ჩაი დაუსხა და მაგიდის შუაში დაუდგა.

* * *

ბოლოხანს ვასილი სულ უფრო და უფრო ხშირად უჩივის წელს. საწოლზე ზის ღა ცოდვილობს, ცდილობს ზურგის დაზელას. ამ დროს იჭმუხნება, იღმიჭება, ხვნეშის და მის გაწამებულ ქღალ ჯაგარზე ოფლის წვეთები ბრწყინავს.

— ვაი, — კვნესის, — მომინელა ამ შეჩვენებულმა, ამ უწმინდურმა ძალამ! წუთით მაინც შემეშვებოდეს ეს ოხერი.

ქანცგამოცლილი ვასილი წვება და თვალს ხუჭავს. მშვიდად წოლაც არ შეუძლია და ისევ წამოიწევა.

— ვასკა! — გასძახის ღია კარებში.

არავინ პასუხობს.

— ვასკა!

ვასკა არაა.

მუშაობის შემდეგ ვასილთან პეტრე შემოდის.

— ვასკას უთხარი, შემოიხედოს ხოლმე ჩემთან, — ეუბნება ვასილი, — თორემ მთელი დღე მარტო ვარ. მოვკვდები და თვალის დამხუჭველი არავინ მეყოლება.

— როგორა ხარ? — ეკითხება პეტრე.

— რაღა როგორა ვარ? თვითონაც ხედავ, როგორცა ვარ. მთელი ზურგი მიწისკენ მეზიდება. იყვირე, რამდენიც გინდა.

— ექიმი უნდა მოვიყვანოთ.

— ექიმი, არა! — ბრაზობს ვასილი. — გუშინ იყო ერთი ფერშალი ქალი, მაგრამ რა გამიკეთა? ვეუბნები, წელი მტკივა-მეთქი, ეგა კიდე თვალებს ყვლეფს. იმას ჩემამდე გაგონებითაც კი არ გაუგონია, კაცს თუ წელი აქვს.

— იმათ ენაზე წელს სხვა სახელი ჰქვია.

— ისინი ფალარათსაც სხვანაირად ეძახიან, მაგრამ მორჩენა კი ევალებათ, ამისთვის ისწავლეს.

— რა გითხრა იმან?

— რა და არაფერი. მომიკაკუნა ზურგზე და წავიდა, თითქო საექსკურსიოდ შემოიარაო იმ დალოცვილმა. „ხვალაო, მეუბნება, — მოვალ-ო“ და სულ მოდის, აქამდე გზაშია.

იგი კედლისკენ იჩოჩებს და კვნესის. წუთიც და ისევ სწორდება წელში.

— მაღაზიაში ჩაირბინე, ა,—სთხოვს ვასილი. — ის ცოტას მშველის. ცოტა ხნით, მაგრამ მაინც მეშვება ტკივილი. ფული კარის თავზეა, არც შენ გაწყენს ამ დაღლილზე დალევა.

პეტრე დგება, უსიტყვოდ ეძებს ფულს და გადის.

მეორე დღეს არაყზე ვასკა გარბის.

— ხურდისა კამფეტი ვიყიდე, — ეტრაბახება ის ვასილისას.

— მაგარი წამალი მოიგონეს, — კმაყოფილებით ქილიკობს ვასილისა, — ჭიქას დალევ, დაიკაკანებ და ყველა ტკივილი წუთში მოგეხსნება, აბა!

არყის შემდეგ ვასილი მართლა შვებას გრძნობს და იძინებს, მაგრამ შემდეგ ტკივილი უძლიერდება, ის თითქოს შურს იძიებსო იმის გამო, რომ იძულებით დაახევინეს უკან და ახალი ძალით მძვინვარებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ისევ მოვიდა ექიმი ქალი და თქვა, ვასილი რაიონულ ცენტრში, რენტგენზე უნდა წავიყვანოთო. ვასილი კრინტისდაუძრავად დათანხმდა, ის დაიღალა. უნდა ჩქარა დალიოს და დაიძინოს, მერე კი თუნდაც მოსკოვში წაიყვანონ, ყველაფერს მოითმენს და როგორც ეტყვიან, სულ ისე მოიქცევა. ცოტა არ უცხოვრია, ეტყობა, ვიდრე ის სააქაოსაა, ვიღაც ვერ იბადება, ან, უბრალოდ, მისი გაცლის რიგი დადგა და იგი ახლა მოძრაობას აფერხებს.

ექიმი მიდის და ვასილი სწრაფად ივსებს ჭიქას, პეტრეს კი ნახევარს უსხამს. სვამენ და ვასილი ერთ წუთში ხალისდება.

— მითხარი, — ეუბნება შვილს, — რატომაა, რომ ადამიანები უფრო მეტად ღამე იბადებიან და კვდებიან?

— არ ვიცი, — მხრებს იჩეჩავს პეტრე.

— საქმეც ეგაა, რომ არავინ იცის.

ადამიანი ქვეყნიერებას რატომ ღამით ევლინება და ღამევე ეთხოვება? უსამართლობაა ეს. მე დღისით მინდა მოვკვდე. დღისით ადამიანები მუსაიფობენ, ქათმები ფრთებს აფართქუნებენ, ძაღლები ყეფენ. ღამე საშინელია, ყველას და ყველაფერს სძინავს. ღამე აგერ ბავშვი ყვირის, დედის საშოდან სამზეოზე გამოდის. სხვაგან მოხუცი ყვირის — მისი სხეული სიცოცხლისგან იცლება. ადამიანებს კი, მათ შუაში ვინცაა, ძინავთ. ადამიანს დამშვიდება სჭირია და, დამშვიდებულს, უკვე სასახლეში ჩაწოლაც არ შეეშინდება.

— რეებს ლაპარაკობ, მამაჩემო? — შეშინებით ეკითხება პეტრე. — თუ გესმის, რეებს ბოდავ?

— ბოდავო, მეუბნები? მე კიდე შეშინია. აი, შენ ადგები და წახვალ, შე კი მარტო ვრჩები. მარტო ყოფნას, ერთი სიტყვით, მარტო ცხოვრებას შეჩვეული ვარ. საშინელება მარტოობაში სიკვდილია. არა ვარ შეჩვეული.

ბოთლისკენ იწვდის ხელს.

— მოდი, ჩამოვასხათ და ჩავწვები.

პეტრე შინ შედის და ვასილისას ეუბნება:

— მამა ცუდადაა.

ვასილისა ხმას არ იღებს.

ისევ დღეა. ნალიის კარი ისევ ღიაა.

— ვასკა! — ყვირის ვასილი.

ვასკა არაა.

ხელებით თავსაფრის ბოლოს ჩაჭიდებული ვასილისა ფრთხილად იხედება ნალიაში.

— ვასკა არაა, ნუ ყვირი მანდ ტყუილუბრალოდ, — შესძახებს კარიდან.

ვასილი წამოიწევა და უყურებს.

— შენა ხარ, ვასილისა? — მოსუსტებული ხმით ეკითხება. — სადაა ვასკა?

— გაიქცა.

— შემოდი. ვასილისა, შემოდი, ახლა მაინც რაღა დროს ძველი ამბებია.

ვასილისამ ზღურბლს გადააბიჯა და გაჩერდა.

— მოდი, ვასილისა.

— ავად გახდი თუ რა გჭირს? — ეკითხება ვასილისა ზღურბლიდანვე.

— ვგრძნობ, რომ სიკვდილი ახლოა. მოიწი, დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

ქალი ფრთხილად მიდის და საწოლის კიდეზე ჯდება.

— ცუდად ვიცხოვრეთ მე და შენ, ვასილისა, — ჩურჩულებს ვასილი. — ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, ყველაფერში.

— ცუდად სულაც არ გვიცხოვრია, — თავს აქნევს ვასილისა. — ბავშვები დაიზარდნენ, მუშაობენ.

— ცუდად ვიცხოვრეთ, ვასილისა, ჰოდა, მრცხვენია სიკვდილის წინ.

ვასილისას თავსაფრის ბოლო პირთან მიაქვს და ვასილისკენ იხრება.

— ეგ რეები მოიგონე, ვასილი? — ჩურჩულებს ქალი. — ეგ რეები მოიგონე, კაცო?

— შენი ცრემლები მეწვეთება, — სიხარულით ჩიფჩიფებს ვასილი. — აგე, კიდე.

თვალებს ხუჭავს და იღიმება.

— ე რეები მოიგონე, ვასილი? ღმერთო ჩემო, ცოდვაა ამის გაფიქრება, ცოდვა!

ვასილისა ვასილის მხრებში ანჯღრევს, ისიც თვალს ახელს და ეუბნება:

— მოდი, დავემშვიდობოთ ერთმანეთს, ვასილისა.

ხელს უწვდის, ქალი ართმევს და, ასლუკუნებული, დგება.

— ახლა წადი, — ეუბნება ვასილი. — ახლა შვება ვიგრძენი.

ვასილისა ადგამს ჯერ ერთ ნაბიჯს, მერე მეორეს, შემდეგ ვასილისკენ ტრიალდება. ვასილი იღიმება. ქალი სლუკუნ-სლუკუნით გადის.

კაცი იღიმება, წევს და იღიმება.

მშვიდი დღე დგას, ისეთი მშვიდი, თითქოს სადაცაა უნდა მოწვიმოსო. ასეთ დღეს ჩუმა-მაწვნის — არც ძალიან ცივის და არც ძალიან თბილის — დალევაა კარგი და ქუჩაში რაც ხდება, იმისი ყურება ფანჯრიდან.

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან კალაძე

• • •

აი, ბავშვობისდროინდელი ნაიარევი...
ნაიარევი დარჩა,
ხოლო ის დღე და წამი,
ის შემთხვევა და
მიზეზი იარისა
სრულად განქარდა...
ვინ მოთვლის
რამდენი რამეა დანთქმული
დავიწყების მორევში!...
და არა მარტო ტკივილები!

სამკუთხედი

ყველაფერი, რაც იყო ჩემამდე!...
ყველაფერი, რაც იქნება ჩემს შემდეგ!..
ყველაფერი, რაც არის ჩემთან ერთად!...

აი, სამკუთხედი მარადმოკაშკაშე,
აი, სამკუთხედი,
რომლის იდუმალი ელვარების წინაშეც
ჩემი ფიქრები,
ჩემი მცდელობა,
მიდგომ-მოდგომა
და მისთანანი
იქნებ მეოთხე კუთხესავით იყოს ზედმეტი!

• • •

ორმოცი წლის ვარ,
ეტყობა დროა
ცასა და მიწას
ვუთხრა მადლობა...

უკვე საბუხრედ
ჭრიან იმ ხეებს,
ახსოვთ რომელთაც
ჩემი ბავშვობა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გადაიქუხა ორმოცმა წელმა,
თითქოს დასცალეს
მთებში თოფები...
თავს არ ვუტყდები,
თორემ ყოველდღე
უკვე რაღაცას
ვემშვიდობები.

მონოლოგი საკუთარი თავის წინააღმდეგ

რაც უფრო მეტად
გულისთქმას ჩემსას,
ფიქრსა და სურვილს
მივუგდე ყური,
მით უფრო მეტად,
მით უფრო მეტად
საკუთარ თავზე
გამიტყდა გული!

ვეფიცხები მოგონების წამებს,
საღამოა მშვიდზე უმშვიდესი...
გულუბრყვილოდ აფახულებს თვალებს
ოცი წლის წინ დაწერილი ლექსი...

ჰოი, გულო რა დროს ამიკვნესდი!
აჭრიალდა ბედის კარუსელი...
მე რამდენი ნატვრა აგისრულე,
შენ ერთ ტკივილს ვეღარ გაუძელი!

უკვე სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრში
გაირინდა მოწყენილი ქნარი...
აწი გინდაც სიყრმე გინატრია,
გინდ წყვდიადში მოგიხუჭავს თვალი.

ვეფიცხები მოგონების წამებს,
საღამოა მშვიდზე უმშვიდესი...
გულუბრყვილოდ აფახულებს თვალებს
ოცი წლის წინ დაწერილი ლექსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გიორგობიანი

ერთი დღის რამდენიმე გააზრება

წვიმის მოსვლა და გადაღება
დროზე მოსვლას და დროზე წასვლას გულისხმობს,
რადგან ბუნება იმდენს დაღვრის, რაც საჭიროა...
და ახლობელსაც რომ გავენდობით,
ჩვენს ნააზრევს თავს ნუ მოვახვევთ
და მოვექცეთ ბუნებასავით.

ოთხი წლის ბავშვი
მონგრეულ ველოსიპედზე რომ შემოჯდება
და დაღმართზე დაქანდება დიდი სიჩქარით,
შიში შემიპყრობს,
ხოლო ხიფათგამოვლილი როცა ბრუნდება,
კაცი მიზანს რომ მიაღწევს ისეთი სახით,
იმ სიხარულს, ისეთნაირ ნეტარებას ვეღარ განვიცდი.

ნაძვნარში ეძებენ
დედოფალივით ლამაზ ნაძვის ხეს,
ისიც იმდენად გულუბრყვილოა,
გაბრწყინდება, გაიბადრება,
მაგრამ არ იცის: უნდა მორთონ ერთი ღამისთვის
და ციმციმიც სიზმარივით უმალ გაივლის...

„სიკვდილის დღე — თავისუფლების დღე“...
ეს არ არის ურწმუნოდ თქმული,
გულში იმდენს იმარხავს კაცი,
რომ ნეკროპოლს ემსგავსება მისი აზრიც და მისი სხეულიც.

ჭურჭლის არსი დიადი არის,
მეტად არ ივსება,
ხოლო კუთვნილს თუ არ მივუზღავთ,
ბრჭყალებს გამოაჩენს —
ყოველივეს დააძმარებს და გააცუდებს,
რაც ნაკლულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის რჩევა

ამ სამყაროს შესაფერი
ვარ გამოვლენა:
შემკული, საღი და აღნაგი,
მფეთქავი და ვნებიანი,
ლაღი და ღია.
შევიქენი ზნემაღალი
და მაქვს სინდისი,
რადგან ვიცი, არ შევტოპავ
არავის სულში და ლორთქო ბალახივით
ვარ დამფარავი.

როგორ მინდა შევეგებო
მზისებრ გულებს, რადგან ბუნებრივად
მხოლოდ მზეს ვხვდები,
და თითქოს ისიც მეუბნება,
მთაზე შემდგარმა უნდა ვიმზირო.
მთელ ქვეყანას დავპატიჟებდი
ერთი რამისთვის —
რიდი არის უპირველესი
და დავიწმინდოთ!

წამი საოცარი

სათაყვანებელს როცა ელოდები
და მას უგვიანდება,
მხიარულ სიბოროტესავით
ბნელიც ალიცლიცდება,

და სწორედ,
იმ საოცარ წამს,
როს წარმოსახვა საერთოდ ქრება,
შემოკრთება სისავსით — იგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ სამადაშვილი

პროზა

იყო ნაცნობი ქუჩა,
მოწყენილობა დაღლის,
ქუჩაზე იდგა სახლი,
სახლს დარაჯობდა ძაღლი,

ძაღლს არ მოსწონდა ჩემი
სიარული და დგომა,
იყო ნაცნობი ქუჩა
და წყნარი შემოდგომა.

* * *

მე დაღლილი ვარ...
ვწევარ და მძინავს...
და მესიზმრება თეთრი ყორანი, —

თურმე ყოფილა ჩემში ჩემს გარდა
ვიღაცა უფრო
მნიშვნელოვანი...

ია

ჩემო ლურჯთვალა იაო,
მეც ის სახელი მქვიაო,
შენ რომ მიწაზე დაგხატა
და ფერი დაგაჩნიაო.
ფრთების გაშლა რომ გიშველა,
სხივებზე მოგცა ბინაო,
უცხო სურნელით აგავსო
და წვიმად დაგედინაო.
ხან ფანტელებად მოვიდა,
ხან გაერია სევდაო:
ნეტა არ მოვსულიყავი,
ნეტა არ დამესეტყვაო.
ჩემო საბრალო იაო,
ერთი სახელი გვქვიაო,
ყველა იმ მიწად ვიქცევით
ფესვით რომ გაგითბიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ეზოში დადის დინჯად
ბოქაულივით მაზრის,
ათ დედალს მწყემსავს ერთად
და დეზები აქვს
ბასრი.

ტოლი არა ჰყავს მართლაც
ამპარტავანთა შორის,
მაგრამ შორს,
შიშველ ცაზე
ავად კივკივებს ქორი:

შევარდენს უთვლის სალამს
და სალამს უთვლის არწივს,
ქორი მტაცებლის სახელს
ტალახში როგორ
გასვრის, —

წილს ის არ მოსთხოვს მეფეს,
არც ლუკმა უნდა მონის,
მარტოკაცივით ცხოვრობს,
ერთი მამალიც
ყოფნის.

* * *

ვერაფრით რომ ვერ დავწერე სონეტი,
გადაღლილმა გადავხედე ქუჩას
და ღრუბელმა გახსნა სველი მუჭა
და წვალება შემიფასა მონეტით.
მოწყენილმა ჩავიქნიე ხელი, —
წვიმით ისევ ძველებურად წვიმს,
თქმითაც თურმე ყველაფერი უთქვამთ
მთის და ბარის, ღამისა და დღის...

ცა ლოთივით მიუყვება ქუჩას,
ღრუბელი კი ნაცრისფერი მხრით
ჩემსკენ იწვდის მუჭას
და წვეთებსა ყრის
ტოლებს ვერცხლის მონეტის,
დასასრულზე სონეტის.

* * *

მაინც
ვერ გავიგე
რა არის მთავარი, —

სიცოცხლე ერთია
სიკვდილი —
მრავალი.

* * *

ყველაფერი ისე ხდება,
როგორც უნდა მოხდეს:
ვინც არსებობს — იარსებოს,
ვინცა კვდება — მოკვდეს.

ყველამ უნდა აღასრულოს
ბედისწერის ნება,
მაგრამ ზოგჯერ
ბედისწერაც
ცდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა ოთარაშვილი

* * *

(ხალხურ მოტივზე)

იმაზე ცოტა მეტი ვარ,
შენ რომ გგონია, მტერო...
შენთვის რომ დედა მეტირა,
დღეს იქნებოდი მტვერი...
იმაზე ცოტა თბილი ვარ,
შენ რომ გგონია, ძმაო...
რა მწარე გაკვეთილია,
არტანუჯი და ტაო...
იმაზე კარგად ვმღერი,
შენ რომ გგონია ქალავ,
ლერწამის ორი ღერი ვართ,
გვწვავს სიყვარულის ძალა...
ქარი ვარ შარახვეტია,
გზები რომ აგიმტვერო...
იმაზე ცოტა მეტი ვარ,
შენ რომ გგონია, მტერო...

* * *

მდინარეს მიაქვს შარშანდელი ფოთლის ხალიჩა,
მიატივტივებს დაშრეტილი სიცოცხლის ფერებს...
მზემ შუბის ტარზე რა უჩუმრად გადააბიჯა,
ბევრი ვეცადე და გარდასულს ვერ მოვეფერე...
მთელი ცხოვრება ამ მდინარის პირას დავდივარ,
ხიდი არა ჩანს, არც ფონი აქვს თურმე მდინარეს,
ვიცი, ზურგსუკან დედაჩემის თბილი ლანდია,
ოდნავ ამაყი, ვერცხლისფერი და მომღიმარე...
სანაპიროზე ჩუმი ოხვრა აღმოხდათ ხეებს,
(ღრუბლის ფთილებში მოთარეშე ავი ქარი ჩანს...)
მიატივტივებს დაშრეტილი სიცოცხლის ფერებს,
მდინარეს მიაქვს შარშანდელი ფოთლის ხალიჩა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩა

ქუჩა მიიქნევს ფერად თეძოებს
და მანეკენთა მკვრივი კერტებით
პენსიონერთა მყუდრო ეზოებს,
ეხახუნება თავგამეტებით...
ქუჩა სარკეა მეხსიერების,
ბევრი არეკლა ცრუ და მართალი...
(ქალაქის იქით მწვანე სერები
ყაყაჩოების ქორწილს მართავენ...)
ქუჩა კი მიდის ხელისცეცებით
და ახალ სახლებს მიითვლის წყებად...
ზოგჯერ რიჟრაჟზე მოიკეცება
და მეეზოვის ფეხებთან წვება...

* * *

მოულოდნელი იყო შეხვედრა,
(ელოდებოდა ქალაქი წვიმას).
მბოლავი ნამწვი თვლემდა ფეხებთან,
გადაგდებული ცოტახნის წინათ...
შენ გამიღიმე. მე როგორც ადრე,
სავსე ვიყავი ისევ ეჭვებით...
ქუჩაში ახლად აკაფულ ჭადრებს,
ექავებოდათ ხმელი ბეჭები...
როგორც ყინვაში ძველმა ჭრილობამ,
დაიწყო გულმა ძალუმად ფეთქვა...
უჩუმრად გვერდის ავლას ვცდილობდით,
შერიგებულნი საკუთარ ბედთან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

რამეთუ ეწოდა ზარზმა

რომანი

ნაწილი მეოთხე

თავი მეოთხე

სერაპიონი გრძნობდა, ყოველდღიურად რომ მძიმდებოდა, უხეშდებოდა, და ბიწიერდებოდა ის გარსი, რომელშიც მისი სიცოცხლე იყო მოქცეული, გრძნობდა იმასაც, ყველაფერი, რაც ამ ხნის მანძილზე მის შეგნებაში აღიბეჭდა, მასავით დაიღვლარჭნა და მიიკ-მოიკიბა, მაგრამ მას უკვე აღარ შეეძლო მშვიდად, უშფოთველად ცხოვრება, არ შეეძლო არ ემოქმედა, ჭაპანი არ ეზიდა, დღეში ათჯერ მაინც არ შემოევლო ტაძრისათვის ირგვლივ. მისთვის სიცხადე და გამჭრიახობა ისევე აუცილებელი იყო, როგორც მოუკლებლად ლოცვა. საკუთარ თავთან თანაარსებობაზე მეტად სხვების მორჯულება და გარედან მომდინარე ძალადობისა და ვერაგობის ალაგმვა სჭირდებოდა, ყოველ წამს უნდა სცოდნოდა რა ეთქვა, რა როგორ გამოეხატა, თავი როგორ დაეჭირა და როცა მისი ნააზრევი და ნაფიქრალი არ შეესაბამებოდა იმას, რასაც ამბობდა ან აკეთებდა, როცა არა მარტო ღვთის საუფლოსაკენ გაკვალული ბილიკი ბუნდოვანდებოდა, არამედ ყოველი ვარაუდი ცოტათი მიჩხრიკ-მოჩხრეკისთანავე რაღაც უწმინდურსაც შეიცავდა, როცა ქვეყანა დაწყობისა და დაშოშმინების ნაცვლად იშლებოდა და სისხლად იღვრებოდა, მას ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ყოფიერების დინება მოვარდნილ ტალღასავით უკან იხევდა და მასაც თან ითრევდა. ეს უკან დახევა არც წარსულის მონატრებით იყო გამოწვეული და არც უსიამო წინათგრძნობით, უბრალოდ იგი უთვალისჩინოდ, ბუნდოვნად ხედავდა იმას, რაც სულ ცოტა ხნის წინათ ცხადი და გასაგები ეჩვენებოდა.

ტაძრის კედლები უკვე გუმბათის ყელამდე იყო აყვანილი, მაგრამ ყველაზე რთული, მძიმე და საპასუხისმგებლო სამუშაოები სწორედ აწი იწყებოდა. აწი უნდა გამოეჩინათ მას და შუარტყელელს მხნეობა, სიქველე და შეუპოვრობა, აწი უნდა შესხმოდა ხორცი იმ ოცნებას, პარეხის მონასტრიდან რომ გამოჰყვა, აწი უნდა აშენებულიყო და დამშვენებულიყო

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 3, 4, 5.

პირველი ყელიანი გუმბათი საქართველოში, აწი უნდა დადასტურებულიყო — სწორი იყო თუ არა მისი არჩევანი და გადაწყვეტილება, ყველაზე მეტად აწი სჭირდებოდა ფული, ქვის მასალა და დახელოვნებული ოსტატები, მაგრამ ფული თვალსა და ხელს შუა ილეოდა, შუარტყელელს თვალისჩინი აკლდებოდა, სიბერე ეძალებოდა, თვით სერაპიონი კი ადვილად ცივდებოდა, სულ უფრო მეტად აწუხებდა სახსრებისა და თავის ტკივილი. გაციებულს ყოველთვის დიდ სიცხეს აძლევდა და ზოგჯერ ისე იყო სიცხისაგან გათანგული, რომ ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდა. ახლაც სიცხიანი იწვა, სარკმლიდან შემოჭრილი სხივის ცოცვას თვალს ადევნებდა და გრძნობდა, რომ გონება ეწმინდებოდა, თავისუფლდებოდა იმ ზმანებებისაგან, სადღაც მის ნასიცხარ გონებაში რომ იბადებოდნენ და გამოფხიზლების შემდეგ პასუხისმგებლობას მათი წარმოშობისათვის მასვე აკისრებდნენ. ზმანებებს უცხო სამყაროში კი არ გადაჰყავდათ, არამედ ისევე აკავშირებდნენ იმას, რასთანაც შეჭიდებული იყო, როგორც სიცხადე და სინამდვილე. მხოლოდ ეს იყო, რომ სიცხადე ფიქრს, ქმედებას, ყოველდღიურ მსხვერპლს მოითხოვდა, სანუგეშო კი არსაიდან არაფერი ჩანდა. სამთავრო აირია და აიშალა, გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეები ერთმანეთს სასიკვდილოდ დაერივნენ. სისხლი იღვრებოდა არა იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა იმის მშვიდობიანად გაყოფა, რაც გასაყოფი ჰქონდათ, არამედ თანდაყოლილი გულმხეცობისა და უგუნურობის გამო.

გუშინ აწყურის ეპისკოპოსი გიორგი ეწვია, ჯერ მოიკითხა, დალოცა, ანუგეშა, შემდეგ კი სამთავროს ამბები უამბო გამოწვლილვით. შუღლი და შინაშლილობა კაცობრიობას პირველი ცოდვის ჩადენიდანვე დაჰყვა თან, კაენი და აბელი, ორად-ორი ძმა, მშვიდობიანად ვერ დაეტიენ დედამიწაზე. ამიტომ არც ის იყო გასაკვირი, რომ გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეები, სამი ძმა და ერთი და, სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდებოდნენ ერთმანეთს, სისხლიც დაეღვარათ და სამთავროც აეშალათ, მაგრამ ეს აშლილობა არა მარტო ბოროტებას ამრავლებდა და მამულებს აწიოკებით ემუქრებოდა, არამედ მონასტრებისა და ეკლესიების მშენებლობასაც უშლიდა ხელს. სწორედ ეს აღშფოთებდა და ამწუხრებდა გიორგი მაწყვერელს. მისი ქადაგება, მისი შეგონებები არც ძმებმა შეისმინეს და არც მათმა დამ თამსამ, რომლის სიხარბეს და სიანჩხლეს პირველი მსხვერპლი მოჰყვა. გიორგი ჩორჩანელის დისწულნი, მირიანისძენი სულა, ბეშქენ და ლაკლაკი ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ, ომი და სისხლისღვრა არა მარტო უყვარდათ, სიქველედაც კი მიაჩნდათ, განსაკუთრებით ავი და გულფიცხი იყო ლაკლაკი, მაგრამ სიავეში მას არც მისი უფროსი და თამსა ჩამორჩებოდა. სწორედ თამსა შეუჩნდა ქმარს, სუმბათ ხურცისძეს და შვილს, სამგიას, მეც დედაჩემის შვილი ვარ, ბიძაჩემის ქონების წილი მამულების ჩათვლით მეც მეკუთვნის და რატომ უნდა დავუთმოთ ასე გლახაკურად ჩემს განუსჯელ და უმადურ ძმებსო. სიხარბემ სიხარბე გააათკეცა, შუღლმა შუღლი, უგუნურებამ უგუნურება, გამხეცებული ლაკლაკი შეიარაღებული რაზმით მიუხტა დას, სიძეს და დისწულს ციხე-დარბაზში და გამომწვევად შემამალყინწებულ დისწულს ისე გაუყარა სატევარი მუცელში, რომ წვერმა ზურგში გაატანა. ასე დაიწყო ომი, მიხტომ-მოხტომა და ძარცვა-გლეჯა მირიანისძეთა და ხურცისძეთა შორის.

თუმცა თანხმობა და ერთსულოვნება არც ძმებს შორის სუფევდა. თითოეული ცდილობდა მეტოქეთა გზიდან ჩამოცილებას, აღზევებას, მთელი სამთავროს ხელში ჩაგდებას. სხვა მიზანი, სხვა ზრახვა არც ერთ მათგანს

არ ამოძრავებდა. ერთმანეთისაგან ყველაფერს მოელოდნენ — მოწამლვასაც, ზურგში დანის ჩაცემასაც და თუ შემთხვევა მიეცემოდათ, კბოდიდან გადაგდებასაც. ამიტომ ადგილსამყოფელს ისე იცვლიდნენ, როგორც კვართს. ზოგჯერ ღამეს სანადირო სახლებში და ტყეშიც კი ათევდნენ. თითოეულს თავის დამქაშები და შეიარაღებული რაზმები ჰყავდა, თითოეული უცდიდა იმ ხელსაყრელ დროს როცა მოქიშპეს ან გზიდან ჩამოიცილებდა, ანდა მოაშთობდა. ახლა მარტო ავაზაკთა ბრბოები კი არ დათარეშობდნენ სამცხეში, არამედ ისინიც ავაზაკობდნენ და მეკობრეობდნენ, ვისაც სამთავროში წესრიგი უნდა დაემყარებინა. რაც უფრო მეტ ზიანს აყენებდნენ ერთმანეთს, მით უფრო ავდებოდნენ და ბოროტდებოდნენ. ერთადერთი, ვისაც ძმები ინდობდნენ და თავს არ ესხმოდნენ, ეს მათი დედა ლატავრი იყო და გიორგი მაწყვერელსაც მისი იმედი ჰქონდა, ფიქრობდა. იქნებ ამ ღვთისკენ მოქცეული ქალის მეშვეობით მაინც ავლაგშოო ძმების უგუნური თარეში. ლატავრას დედათა მონასტრის აშენება ეჩქარებოდა, ცხოვრებაზე ისე ჰქონდა გული აცრუებული, მონაზვნად აღკვეცას და დედათა მონასტრის იღუმენობას აპირებდა და ამიტომ მისი ზრუნვა და ყურადღება ზანავის დედათა მონასტრის აშენებისაკენ იყო მიპყრობილი. ძმები და მათი მოსისხარი მტრები არც ეკლესიებსა და მონასტრებს უშავებდნენ რამეს, რადგან გიორგი მაწყვერელის რისხვისა, დაწყევლისა და ეკლესიიდან განკვეთისა ეშინოდათ, მაგრამ არც იმის დათმობას ლამობდნენ, რაც თავიანთ კანონიერ საკუთრებად მიაჩნდათ და ამის გამო ცხოვრებაში სწორედ ისეთი უმსგავსობანი შემოჰქონდათ რასაც თვით ცხოვრება ეწინააღმდეგობა. გიორგი მაწყვერელმა ისიც უამბო გუშინ, თუ როგორ ამოწყვიტა რომელიღაც ხურციისძემ სულა მირიანისძის ოჯახი დედაბუდიანად, თუმცა ბალში არც სულა დარჩენილა, ხურციისძის ციხე-დარბაზი ცეცხლს მისცა და ერთიანად გადაბუგა.

როცა სენაკში სინათლემ იმატა, სერაპიონს ქუთუთოები შეუტოკდა და პირაღმა მწოლარემ თვალები დახუჭა. მისი ფიქრები ისევ ტაძარს მისწვდა. ბოლო დროს ორი რამ აწუხებდა, ერთი — შუარტყელელი რომ ბერდებოდა და მეორე — ის განძი, ქავთარ ქუაბელმა რომ მონასტერს შემოსწირა, სწრაფად ილეოდა. შუარტყელელი მთლად გამელოტდა, ბეჭებში მოიხარა, მუხლის მოხრა და გაშლა უჭირდა, მაგრამ ხარაჩოებზე მაინც დაბობღავდა, თვითონ ზომავდა და ამოწმებდა ყველაფერს, რაც კედლებში ჩასადგმელი და მოსარგები იყო. სიბერემ კიდევ უფრო უხეში და სიტყვაძუნწი გახადა, განკარგულებისა და ბრძანების გარდა მისი პირიდან იშვიათად ამოვიდოდა რამე. სერაპიონს მხოლოდ ერთი რამ ანუგეშებდა. შუარტყელელმა შეგირდად აიყვანა ერთი ახალგაზრდა, ბეჯითი ნიჭიერი, სამცხელი ჭაბუკი, ბექია ცალმოგვისძე, რომელიც ქვის თლაშიც დაოსტატებული იყო, კალატოზობაშიც და მოქანდაკეობაშიც, რაც კი მისი ხელიდან გამოვიდოდა, წუნი არ დაედებოდა. შუარტყელელი ხედავდა, იმდენი ძალ-ღონე რომ არ ჰქონდა, მარტო გასძღოლოდა საქმეს, შეგირდი და თანაშემწე სჭირდებოდა და რადგან ზედმიწევნით კარგად იცოდა, ოსტატთაგან ვინ რას წარმოადგენდა, უყოყმანოდ გადაწყვიტა შეგირდად და თანაშემწედ ბუქია ცალმოგვისძე აეყვანა. ჭაბუკი მუდამ თან ახლდა ხუროთმოძღვარს, მის გამოცდილებას ითვისებდა, მისი იარაღებისა და ხელსაწყოების გამოყენებას სწავლობდა და ისე მალე შეითვისა ხუროთმოძღვრების ძირითადი ცნებანი, რომ როცა შუარტყელელი შეუძლოდ იყო, როცა წელკავი გაუდგებოდა და საწოლიდან ვერ დგებოდა,

ბექია ცალმოგვისძე მარტო უძღვებოდა საქმეს. არ ყოფილა შემთხვევა შუარტყელელი მას გაწყრომოდა ან უკმეხად დაეწუნებინა რამე. სერაპიონისათვის ისიც სანუგეშო იყო, რომ ცალმოგვისძე იცნობდა ტაძრის გეგმას, იცოდა რა როგორ იყო თავიდანვე გათვალისწინებული, როგორ გუმბათს უნდა დაეგვირგვინებინა ტაძარი და თუ მშენებლობის დამთავრებამდე შუარტყელელს რამე მოუვიდოდა, თუ ვერ დაასრულებდა დიდი ჯახირით დაწყებულ საქმეს, ამას ბექია ცალმოგვისძე შეძლებდა. უფრო ძნელი იყო ამ არეულ დროში ტაძრის დასამთავრებლად ახალახალი სახსრების გამონახვა, შინააშლილობას ისეთი პირი უჩანდა, რომ ერთსა და ორ წელიწადში არ დამთავრდებოდა, მაგრამ მანამდე შეიძლება თვით მონასტრის შემოსავალი გაზრდილიყო და თუ დიდ თანხას ვერ მოუყრიდნენ თავს, იმდენს მაინც ივაგლახებდნენ, მშენებლობა არ შეჩერებულიყო.

სენაკში ჩამობნელდა. სერაპიონი ცას ვერ ხედავდა, მაგრამ სახსრები ისე სტკიოდა, რომ იცოდა — მოიღრუბლებოდა. და არა მარტო მოიღრუბლა, გაწვიმდა კიდეც მოულოდნელად, ყოველგვარი ჰექა-ქუხილის გარეშე. წვიმის წვრილი დაგრძელებული წვეთები ძაფებივით ეკიდებოდნენ სარკმელის წინ და შემდეგ თითქმის უხმაუროდ ეშვებოდნენ მიწაზე. ასეთ ამინდში სერაპიონი ხშირად ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ მოეხატა ტაძარი — ბიბლიის თემებისათვის მიეცა უპირატესობა, თუ ქართული ეკლესიის წმინდანთა და მარტვილთა ცხოვრებისათვის, სად განელაგებინა ნახატები გრძლივად და სად განივად, მარტო გამოესახა ისინი კედელზე თუ მათი ცხოვრების ესა თუ ის ამბავიც წარმოეჩინა, მხატვრისათვის დაენებებინა მათი გამომეტყველებისა და მოძრაობის შერჩევა თუ ეკარნახა მისთვის, ვინ სად მდგარიყო, როგორ მდგომარეობაში და რამხელა ადგილი დაეჭირა სივრცეში. ყოველივე ამაზე სერაპიონი მაშინ ფიქრობდა, როცა ეცალა ან ავად იყო, მაგრამ წინასწარ მოფიქრებულის მთლიანად აღდგენას მაინც ვერ ახერხებდა, უამრავი წვრილმანი და ზოგჯერ არაწვრილმანიც რჩებოდა მხედველობიდან, ანდა ისეთი უმნიშვნელო ან მნიშვნელოვანი რამ ემატებოდა წინასწარ ნაფიქრალს და ნავარაუდევს, რომ ყველაფრის გადაკეთება ან მოფიქრებულის ხელახლა მოფიქრება ხდებოდა საჭირო.

სენაკში მეტრაპეზე ბერი შემოვიდა და ხონჩით საუზმე და სამკურნალო ნახარში შემოიტანა. ნასიცხარს არა თუ ჭამის, ლაპარაკის თავიც კი არ ჰქონდა, მაგრამ ბერს მაინც მადლობა გადაუხადა და დალოცა. ბერმა ძალით შეახვრეპინა მცირედი წვნიანი, შემდეგ ბალახების ნახარში დაალევინა, ჯამ-ჭურჭელი აკრიფა და სენაკიდან გავიდა. სერაპიონი ისევ მარტო დარჩა. მარტო დარჩენა სრულიად არ ნიშნავს მარტოობას იმ კაცისათვის, ვისაც ღმერთი სწამს და მისი თანადგომის იმედი აქვს მაგრამ წოლას, მოგონებებში ქექვას და იმის ბუნდოვნად ჭვრეტას რასაც ზოგჯერ წარმოდგენა თავისთავად ქმნის, მას ისევ ის ერჩია, რომ ხარაჩოებზე აბობღებულიყო და იმ იდუმალებაში, ყოველი დიდებული ქმნილება რომ ინახავს. თავის სულის იდუმალებაც ჩაექსოვა. გუშინ გიორგი მაწყვერელმა ტაძრის მშენებლობაზეც ჩამოუგდო სიტყვა, შეფარვით უსაყვედურა, ეს ყელიანი გუმბათი რომ არ აგეკვიატებინა და ტაძრის კედლები ამ სიმაღლეზე რომ არ აგეზიდა, მონასტრის მშენებლობა ახლა უკვე დამთავრებული იქნებოდა და უამრავ უსიამოვნებას აიცდენდი თავიდანო. ეპისკოპოსი აუღელვებლად, მსჯელობას მიჩვეული კაცის თავაზიანობით ლაპარაკობდა, მაგრამ მისი აზრით, არც სამცხე და არც საქართველო ჯერ არ იყო მზად იმისათვის. რისი შედეგიც თვით

ტაძრის მშენებლობის წამოწყებითაც არ ჰქონდათ ცხადად გათვალისწინებული. სერაპიონმა იცოდა, რომ მარტო გიორგი მაწყვერელის აზრი არ იყო, ასე ფიქრობდა მღვდელთმთავართა უმრავლესობა, ზოგი ალბათ ამგვარ წამოწყებას პატივმოყვარეობად და მეტიჩრობადაც კი უთვლიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მაღალგუმბათიანი ტაძრის აშენების აზრი დაებადა, შეპყრობილივით ცხოვრობდა, სხვა არაფერი ახსოვდა, არც აღზევებაზე ფიქრობდა და არც სახელის მოხვეჭაზე და ამიტომ ცოტათი უსამართლო მოეჩვენა გიორგი მაწყვერელის თავაზიანი საყვედური. იგი სიცოცხლეს სწირავდა იმას, რასაც სხვები გარედან უყურებდნენ და არა მარტო საკუთარ სიცოცხლეს, არამედ ახლობელი ადამიანებისასაც. ახლა კი ის ეპისკოპოსი, ვის ეპარქიაშიც ტაძარი შენდებოდა, საყვედურს ეუბნებოდა იმისათვის, რაც უპირველეს ყოვლისა, დროისა და სულის მოთხოვნილების შესაბამისი იყო, მერე კი მისი სიშლეგის შედეგი. ამიტომაც უთხრა გიორგი მაწყვერელს გუშინ საკმაოდ ცივად:

— ტაძარი თითქმის აშენებულია, მღვდელთმოძღვარო, აწი მისი აღარც დარღვევა შეიძლება და აღარც გადაკეთება.

— ტაძრის დარღვევას არავინ აპირებს, მამაო სერაპიონ, მაგრამ ისე დაემონე ერთ აკვიატებულ აზრს, ისე გადაყევი ტაძრის მშენებლობას, რომ ამ გავერანებულ მხარეს სხვა ვერაფერში გამოადექი. შენი სიქველე და ღვაწლი მხოლოდ ტაძრის მშენებლობას შეეწირა.

— განა ეს ცოტაა, მღვდელთმოძღვარო?

— სახარბიელო არაფერია იმაში, მამაო სერაპიონ, როცა აკვიატებულ აზრს ისეთ მნიშვნელობას ანიჭებენ, რასაც იგი არ იმსახურებს.

— ჯერ ვინ შეიძლება იცოდეს, იმსახურებს თუ არა, მღვდელთმოძღვარო?

— რასაც ჩვენ ვერ მოვასწრებით, იმას ვერც შევაფასებთ, მამაო სერაპიონ.

— განა ჩვენ მარტო ჩვენთვის ვიღწვით, მღვდელთმოძღვარო?

— იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა, მამაო სერაპიონ, უკეთ ეცოდინებათ, რა როგორ ააშენონ და ამისათვის არც თავს გაიტანჯავენ და არც სხვებს გატანჯავენ.

— მოვა კი ასეთი დრო?

— რაკი ადამიანმა ქვა გათალა და მისგან რაღაც ააშენა, აწი ქვის თლას აღარ მოეშვება.

სერაპიონი ისე დაღალა ორიოდე სიტყვის თქმამ, ისე დაუმძიმდა თავი, რომ ერთი წუთით თვალებიც კი დახუჭა. ის, რაც სხვებისათვის ჩვეულებრივი შენობა, მონასტრის მთავარი ტაძარი იყო, მისთვის რწმენით აგებულ, არამიწიერ სავანეს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ტაძარი იმისათვის იყო მოწოდებული, რომ თავის სიზუსტით, სიცხადით და სინატიფით ზარზმა და მისი შემოგარენი გაენათებინა, მოემაგრებინა, გაეძლიერებინა. ტაძარი მარტო მონასტერს კი არ უნდა მომსახურებოდა, არამედ მის სიმაღლესა და უჩვეულო გუმბათს სხვებისთვისაც უნდა შეეხსენებინა, რომ ახალაშენებული ტაძარი დავითის განახლებული სახლია, სადაც მუხლი უნდა მოიყარონ და ღმერთმა მათ ძალა შემატოს, ფსალმუნები იგალობონ: „რამეთუ განმაძლიერებელი ჩემი და შემავედრებელი ჩემი შენ ხარ, და სახელისა შენისათვის მიძღვე მე და გამომზარდო მე“. რაც უფრო დიდი და ნატიფია ტაძარი, მით უფრო დიდი აღმზრდელია იგი, მით უფრო მეტ ადამიანს იზიდავს და იფარავს, მაგრამ მაღალყელიანი გუმბათის აშენებას სიშლეგედ, ახირებად უთვლიდა მღვდელთმთავართაგან ბევრი და ეს ასე გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ ტაძა-

რი ბოლომდე არ აშენდებოდა, სანამ მისი სიცხადე სხვებისათვისაც არ გახდებოდა თვალსაჩინო და სარწმუნო. ამიტომ არა თუ ლოგინად ჩავარდნის, წამოწოლის უფლებაც კი არ ჰქონდა. ავადმყოფობა რომ არა, შეიძლება ვერც გიორგი მაწყვერელს გაებედა მისთვის იმის თქმა, რასაც ფიქრობდა.

როცა გიორგი მაწყვერელი სენაკიდან გავიდა, სერაპიონმა წამოდგომა სცადა, მაგრამ თავი გაუბრუვდა და ისევ საწოლზე გადაიქცა. სინათლე, სენაკის იატაკზე რომ იყო გაწოლილი, თანდათან ფითრდებოდა და უკან იხევდა. მალე ოსტატები და ხუროები ხარაჩოებიდან ჩამოვიდოდნენ, ხელსაპირს დაიბანდნენ და დაბისაკენ გაუყვებოდნენ გზას. ხვალამდე მათი იარაღის ხმაური და ერთობლივი შეძახილები მიწყნარდებოდა. სერაპიონს კი არაფერი არ ენატრებოდა ისე, როგორც იარაღის ხმაურისა და ერთობლივი შეძახილების გაგონება. სწორედ ეს ხმაური დაუამებდა სმენას და დაარწმუნებდა იმაში, რომ მის მიერ დაწყებული საქმე გრძელდება, ტაძრის ცალკეული ნაკვთები იკვრება მზადდება საფუძველი იმ გუმბათის სატვირთავად, რომლის უჩვეულობამაც ამდენი ეჭვი, შური და უნდობლობა გამოიწვია. ამ ეჭვებისა და უნდობლობის გაქარწყლება კი მხოლოდ იმათ ხელებს შეეძლო, ვინც ახლა მათ წყაროსთან იბანდა და სერაპიონს სწორედ ამ ხელების გამო მოუნდა ლოცვა.

როგორც კი დილის წირვა დამთავრდა, სერაპიონი ეგვტერიდან გამოვიდა და მაშინვე ტაძარს მიაშურა. ნიავი დედამიწას ვერ უწევდა, მხოლოდ მაღლა, ლურჯ სივრცეებში დანავარდობდა. ამ სივრცეებისაკენ მიიწევდა სერაპიონიც და ამიტომ ეჩქარებოდა ხარაჩოებზე ასვლა, თვალსაწიერის გაფართოება, იმის დანახვა, რასაც მხოლოდ მისი თვალი ხედავდა და ისაკუთრებდა. სანამ ლოგინში იწვა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფეხებზე ბორკილები ედო, უჩინარი ბორკილები, რომელთაც ვერასოდეს მოიშორებდა, ახლა კი ისე მსუბუქად და ლაღად მიაბიჯებდა ტაძრისაკენ, როგორც დილეგიდან გამოშვებული პატიმარი. აღარც გიორგი მაწყვერელის საყვედური ახსოვდა და აღარც მღვდელთმთავართა უნდობლობა. ხარაჩოებით გარშემორტყმული ტაძარი მზის სხივებში ცურავდა, ამჟამად მისი კედლები სიმაღლეშიც კი არ იზრდებოდა, არამედ ჯვრის მკლავების გადახურვის შემდეგ, იმ ყელისაკენ მიიწევდა, რომელზედაც შემდეგ გუმბათი უნდა დაშენებულიყო. ქვევიდან არ ჩანდა, რას აკეთებდნენ ოსტატები, დურგლები და ხუროები სახურავზე, მაგრამ თავიდან ბოლომდე ჩალისფერი ქვით მოპირკეთებული კედლები სხვაგვარად სუნთქავდნენ, სხვაგვარად ირეკლავდნენ მზის სხივებს, ტაძრის ახალთახალი, გაუხუნარი პერანგი მარტო ტაძარს კი არ იცავდა ქარისა და წვიმისაგან, არამედ მთელი მონასტრის ეზოს ათბობდა და ახალისებდა.

როცა სერაპიონი ხარაჩოებს მიადგა, კვლავ იგრძნო ის სასიამოვნო სუნი, ფიჭვის მორები რომ გამოსცემენ. პირველად ეგონა ხარაჩოებზე ასვლა გაუჭირდებოდა, დასუსტებული მუხლი ვერ ზიდავდა მის სხეულს, მაგრამ რაც უფრო ხშირად უხვევდა კიბე, მით უფრო ნაკლებად გრძნობდა თავბრუსხვევას და მუხლის სისუსტეს, მით უფრო ემატებოდა ძალონე და სიხალისე. ახლა მასა და მის რწმენას შორის აღარავინ იდგა, არაფერი აბრკოლებდა, არაფერი აცდუნებდა, მიჰყვებოდა კიბეს, მიიწევდა მაღლა და ზეასვლა მარადისობისაკენ ლტოლვად უფრო ეჩვენებოდა, ვიდრე ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ტაძრის ხარაჩოებზე აბობღება.

სერაპიონმა მცირე ხანს შეისვენა, სული მოითქვა, მონასტრის ეზოს გადახედა და ისევ აჰყვა ხარაჩოებს. ის,

რასაც იგი ფიქრით ელოლიავებოდა და რაზედაც ოცნებობდა, ფიქრი და ოცნება აღარ იყო, ტაძარი უკვე დამოუკიდებლად არსებობდა, თავისი სივრცე, თავისი ადგილი, თავის უფლებამოვალეობა ჰქონდა დასაკუთრებული და იმ ეპვებს, ჯერ კიდევ რომ გამოთქვამდნენ ზოგიერთები, თავისივე არსებობით აცამტვერებდა. რა მხრიდანაც არ უნდა შეეხედათ მისთვის, როგორც არ უნდა დაეწუნებინათ და აეთვალისწუნებინათ, მისი არ დანახვა, მისი არ ცნობა არაფრით არ შეიძლებოდა. ხარაჩოებში ჩასმულიც კი არა მარტო ადამიანებზე ახდენდა ზემოქმედებას, არამედ გარემოზეც. მისგან იწყებოდა მინიშნება, მისგან იწყებოდა სიმაღლისა და სიდიდის აღრიცხვა, მისგან იწყებოდა რაღაც ისეთის დაზუსტება, რისი გაქარწყლებაც შეუძლებელია. ამიტომაც იდებდა წვლილს ცხოვრებაში ტაძარი. ამიტომაც ამკვიდრებდა ტანჯვისა და სიყვარულის ერთობლიობას, ამიტომაც ეკუთვნოდა ყველას და არავის. იგი ამ უდაბურ მხარეში უკვე უსასრულო სარბიელს იხვეჭდა და მიწას ცასთან აკავშირებდა, ცას კი მიწასთან.

როცა სერაპიონმა ხარაჩოები აათავა და სახურავზე ავიდა, მთელი სახე ოფლით ჰქონდა დაცვარული, მაგრამ ოფლის მოწმენდა არც კი უცდია, მისი ყურადღება მიიქცია ნაცრისფერი ქვის თხელმა ფილებმა, რომლებითაც სახურავის ერთი ნაწილი უკვე გადაეხურათ. ამ ქვებს მთელი წელიწადი ათლევინებდა ქვითხუროებს შუარტყელელი და ფარდულებში ერთმანეთზე აწყობინებდა, ახლა კი ბაწრებზე ჩამოკიდებული კალათებით ზემოთ ეზიდებოდნენ და ერთმანეთს ისე არგებდნენ, როგორც დუგმებს. ჯვრის ოთხივე მკლავი იმ ხვრელისაკენ მიიწევდა, რომელშიც გუმბათი უნდა ჩამჯდარიყო და ნახევრად უკვე ფარავდნენ საჭექეებით გაჭექილ თაღებს. სამუშაო სივრცე თანდათან ვიწროვდებოდა, ხოლო როცა სახურავზე აფრებსაც ამოზიდავდნენ და თავიანთ ბუდეებში ჩასვამდნენ, სივრცე კიდევ უფრო შევიწროვდებოდა და მხოლოდ გადასახურავი სადგომის ოთხკუთხა ხვრელით შემოიფარგლებოდა. სწორედ ამ ხვრელში უნდა ჩამჯდარიყო ის ყელიანი გუმბათი, რომლის უჩვეულობამ ამდენი ეპვი, მითქმა-მოთქმა და ორჭოფობა გამოიწვია. გუმბათი ჯერჯერობით ბუნებაში არ არსებობდა, სერაპიონს მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მის მოხაზულობაზე, მაგრამ ის დღე, როცა გუმბათის მშენებლობას დაიწყებდნენ, სერაპიონისათვის თითქმის მეორე ტაძრის მშენებლობის დასაწყისიც იქნებოდა. ისევ უნდა აღმართულიყო ხარაჩოები, ისევ უნდა შესდგომოდნენ ქვის წყობას, დუღაბის ზელას, სვეტების გათლას, საპირეების მოჩუქურთმებას და ოთხკუთხედ ტაძარს უნდა ეტვირთა მომრგვალებული, მრავალკუთხოვანი გუმბათის სიმძიმე. მანამდე კი ეს სიმძიმე სერაპიონის მხრებს აწვა და სულის სიმშვიდეს მხოლოდ მაშინ მოიპოვებდა, როცა ამ მძიმე ტვირთს აფრებს გადაულოცავდა.

ხმაური, სერაპიონს რომ ხარაჩოებზე ამოსვლამდე ბუნდოვნად ესმოდა, აქ უკვე ცხადად და მკვეთრად იგრძნობოდა, მოწმენდილი ცა მზის მხურვალებისაგან თანდათან ფითრდებოდა, ნიავს სიგრილესთან ერთად ტყის სურნელებაც მოჰქონდა თან. სერაპიონს უყვარდა იმის ყურება, თუ როგორ მუშაობდნენ ოსტატები და ხუროები, როგორ მოძრაობდნენ მათი მზისაგან გარუჯული, შრომისაგან გაუხეშებული, გამრჯე და მარჯვე ხელები, როგორ არგებდნენ ქვას ქვას ან ფილას ფილას. ყოველი მათი მოძრაობა წინასწარ გაანგარიშებული, ძალდაუტანებელი და ლამაზი იყო, ამ საერთო შრომაში შეუხედავი კაციც კი მოხდენილი ჩანდა. მისი მზერა ერთსა და იმავე დროს დამკვირვე-

ბელიც იყო და შემფასებელიც, მისი სინდისი გარდაუვალი არჩევანის წინ მდგომიც და არჩევანისათვის პასუხისმგებელიც. მათი შრომა თვალნათლივ იძლეოდა შედეგს და ყოველივე ეს სერაპიონს ამშვიდებდა, ავსებდა, სხვა სახეებს, სხვა საზრუნავს ავიწყებდა. აღარც ჭამა ახსოვდა, აღარც სმა და მისდა სამწუხაროდ აღარც ლოცვა. რომ შესძლებოდა, საღამომდე არ ჩამოვიდოდა ხარაჩოებიდან, მაგრამ იგი მონასტრის წინამძღვარი იყო, გარდა ღვთის სამსახურისა, უამრავი წვრილმანი საქმეები და ურთიერთობანი ჰქონდა მოსაგვარებელი, უამრავი განკარგულება გასაცემი, გარდა ამისა, იგი ამ სახურავზე არავის არაფერში სჭირდებოდა, მისთვის არავის ეცალა და ამიტომ იძულებული ხდებოდა დაღმა დაჰყოლოდა ხარაჩოებს, თავის ყოველდღიურ საქმიანობასა და საზრუნავს დაბრუნებოდა.

ოსტატებმა და ხუროებმა სერაპიონი მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როცა ადგილი მოინაცვლა და მისი ჩრდილი ნაცრისფერ ფილებზე გაწვა. მუშაობა ერთი წუთით შეფერხდა და ამ შეფერხებამ მაშინვე მიიქცია შუარტყელელის ყურადღება, რომელიც ამ დროს შვერილით რაღაცას ზომავდა. შუარტყელელს სერაპიონის დანახვა ისე გაუკვირდა, თითქოს იგი იმქვეყნიდან მობრუნდა. შუარტყელელის გვერდით მისი შეგირდი, ახალგაზრდა სამცხელი ჭაბუკი ბექია ცალმოგვისძე იყო დაჩოქილი. მის სახეზე უკვე იკვეთებოდა ის ხასიათის დამამძიმებელი ნიშანი, ოსტატებს რომ უჩნდებათ ხოლმე. რაც უფრო სწრაფად შენდებოდა ტაძარი, მით უფრო შესამჩნევად ხუცდებოდა შუარტყელელი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ხუროთმოძღვარს ვიღაცასთან ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, ტაძრის ზრდა მისი სიცოცხლის ხარჯზე მომხდარიყო. სერაპიონი უყურებდა შუარტყელელის გამხდარ, მზით გარუჯულ სახეს, და მარტო ის კი არ უკვირდა, ეს გამომშრალი ბერიკაცი ყოველდღე რომ დაბობღავდა ხარაჩოებზე, არამედ ისიც, არც თვალს და ყურს რომ არ აკლდებოდა. როგორც კი სახურავზე მუშაობა ერთი წუთით შეყოვნდა, შუარტყელელმა იმწამსვე იგრძნო, რომ მშენებლობაზე ვიღაც ისეთი გამოჩნდა, ვისაც ოსტატები რიდით ეექცეოდნენ.

შუარტყელელი მძიმედ წამოდგა და ისე მიუახლოვდა სერაპიონს, როგორც იმ ამხანაგს, რომელმაც საქმე მარტო შეატოვა ხელში.

— მადლობა ღმერთს, ფეხზე რომ გხედავთ, მამაო. თქვენი გამობრუნების იმედი აღარავის ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ალბათ მანამდე არ მოვკვდებით, სანამ ტაძარს არ დავამთავრებთ, — უთხრა შუარტყელელმა სერაპიონს და სერაპიონმა იგრძნო, რომ მისი დანახვა ხუროთმოძღვარს მართლაც გაეხარდა. ეს სიხარული არც თანაგრძნობით იყო გამოწვეული და არც სიყვარულით, შუარტყელელს არ უნდოდა უბრალოდ ის კაცი გამოსცლოდა ხელიდან ურომლისოდაც ტაძარს დამთავრება არ ეღირსებოდა.

— ჩვენი შემწე და მფარველი ღმერთია, შვილო, და ჩვენ მისი ნების ამარა ვართ ამქვეყნად.

— ეგ თქვენ ჩემზე უკეთ იცით, მამაო, მაგრამ მხოლოდ ამის სათქმელად არ ამოხვიდოდით აქ.

— სერაპიონს არ უნდოდა შუარტყელელისათვის ეთქვა, რომ მოენატრა ხარაჩოებზე ბობღვა, იმის დანახვა, რაც ამ ხნის მანძილზე შეემატა და შეეზარდა ტაძარს, ზარზმის სანახებისათვის თვალის შევლება, იმათი ყურება, ვინც მშენებლობას მთელ ძალ-ღონეს ალევდა. შუარტყელელი ამას თუ ბალღობად არა სიცუნდრუკედ მაინც ჩაუთვლიდა და ამიტომ გულწრფელი პასუხის გაცემის ნაცვლად სულ სხვა რამ ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, შვილო, მო-

ესწრება ჯვრის მკლავების გადახურვა დაზამთრებამდე?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, მამაო, ქვას როგორ მოგვაწვდიან და როდის დაზამთრდება.

— არა მგონია, წელსაც რომ ადრე დაზამთრდეს.

— ხშირად ყველაფერი სწორედ ისე ხდება, როგორც არ გგონია.

— განა ქვის მოზიდვას რამე აბრკოლებს, შვილო ჩემო?

— ჯერ არა, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ჯვრის მკლავების გადასახურავი ქვა დაზამთრებამდე უნდა ამოვზიდოთ, მამაო.

— მერედა, არ ესწრება?

— რომ მოესწროს, მეტი ურემია საჭირო.

— მაინც რამდენი?

— თითქმის ერთი იმდენი, რამდენიც ახლა ეზიდება ქვას.

— სხვა ნურაფერი დაგვაბრკოლებს, შვილო, და ამ საქმეს მოევლება.

— გარდა ამისა, ქვა სამრეკლოს მოსაპირკეთებლადაც გვჭირდება, მამაო, მხოლოდ იმ ფერის, რა ფერისაც ტაძრის პერანგია.

როცა ტაძრისაკენ მოდიოდა, სერაპიონი მცირე ხანს სამრეკლოსთან შეჩერდა. საძირკველი უკვე ჩაყრილი იყო, კედლების წყობაც დაეწყოთ და სამრეკლოს მალე მართლაც დასჭირდებოდა მოსაპირკეთებელი ქვა. ამიტომ გაბრიელ გარბანელის ნახვა და ყველა ამ საქმის მოგვარება იყო საჭირო. მაგრამ გარბანელთან ყოველი შეხვედრა სერაპიონს აშინებდა, იცოდა, ფული რომ სწრაფად ილეოდა და მალე დადგებოდა ის დრო, როცა გარბანელის სალაროში ერთი ოქროც აღარ დარჩებოდა. არაფერი არ ითხოვდა იმდენ ხარჯებს, რამდენსაც ქვის მომტვრევა, მოზიდვა და გათლა. თუმცა არც კირისა და ღორღის მოზიდვა ჯდებოდა იაფი, მაგრამ ეს მისი და გარბანელის საქმე იყო და შუარტყელელს ამის შესახებ არაფერი არ უნდა სცოდნოდა. ჯერჯერობით ყველას ჰქონდა საქმე, დღე ნათელი იყო და არაფერ ბნელსა და უწმინდურს არ შეიცავდა. ამიტომ მკრეხელობა იქნებოდა ნაადრევად იმაზე წუხილი, რაც დროს მოაქვს და დაპირისპირებისას სულის სიმხნევეს მოითხოვს.

— ერთი რამ მითხარი, შვილო, — მიუბრუნდა სერაპიონი შუარტყელელს,— როცა ჯვრის მკლავები გადაიხურება, კედლების შებათქაშება თუ შეიძლება?

— შეიძლება, მამაო.

— ზამთარშიც?

— მართალია, ზამთარში ბათქაში ნელა შრება, მაგრამ მაინც შეიძლება.

— შეგოზვა?

— შეგოზვა მე არ მეხება, მამაო, ეს უკვე მხატვრის საქმეა.

— სანამ ტაძარი დამთავრებული არაა, მხატვრისათვის სახიფათო ხომ არ იქნება კედლების შეგოზვა?

— არა, მამაო.

სერაპიონს არ უნდოდა ისე მომკვდარიყო, ერთი კედელი მაინც რომ არ ენახა მოხატული და ერთხელ არ გაეგონა ზარების რეკვა. ფერები სიცივესა და სითალხეს განდევნიდნენ ტაძრიდან, ზარები კი ქვეყანას ამცნობდნენ, რომ ღვთის ნება აღსრულდა, ცამდე ამაღლდა ტაძრის გუმბათი და „გამოჩნდა ბრწყინვალებაი მისი და იქოს მუშაკი და მშვენებაი მისი“. ამას სერაპიონი იმიტომ ნატრობდა, რომ იგი ისევე სწრაფად ხუცდებოდა, როგორც შუარტყელელი. ტაძრის დამთავრებამდე, მოხატვამდე და სამრეკლოში ზარების ჩამოკიდებამდე კი ჯერ კიდევ შორს იყო და ეს სიშორე თავისთავად ბადებდა ეჭვსა და იმგვარ აზრებს, ადამიანი რომ არავის უმხელს. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, იგი სულ უფრო მეტად და მეტად გრძნობდა საკუთარი ხორცის დაშრეტასა და სიდუხჭირეს, სულ უფრო მრავლდებოდა და მძიმდებოდა ის ცოდვები, მონასტრის მშენებლობამ რომ

მოითხოვა და კვლავაც ითხოვდა და ამიტომ ტაძრის დამთავრებამდე მისი სული არაფერს არ უნდა გაეხლიჩა და გაეორებინა.

— სამრეკლოს თუ დასჭირდება აკანთები და საცვარე? — ჰკითხა სერაპიონმა შუარტყელელს და შეეცადა უსიამო ფიქრები თავიდან მოეცილებინა.

— უთუოდ, მამაო.

— აკანთებს ვინ გამოაქანდაკებს?

— ბექია ცალმოგვისძე.

— როგორი ხუროთმოძღვარი დადგება ეგ ჭაბუკი?

— ჩინებული, მამაო.

— ღმერთი არც ამ ღვაწლს დაგვივიწყებს, შვილო ჩემო, მე აქ ცოტას მივიხედ-მოვიხედავ და გაგეცლებით, — უთხრა სერაპიონმა შუარტყელელს და რადგან მათი საუბრის დროს შრომის სიფიცხემ იკლო, სერაპიონი ხარაჩოებს აღმოსავლეთისაკენ გაჰყვა და ზარზმის ნაცნობ სანახებს გადახედა. შორს, იქ, სადაც მტვერი არ აღწევდა, ჰაერი იმდენად სუფთა და გამჭვირვალე იყო, რომ ნაძვებს რომ ფესვები ღრმად არ ჰქონოდათ მიწაში გადგმული, ალბათ ჰაერში აფრინდებოდნენ. მდინარე, წყალსაცავები, გუბეები დამაბრმავებლად ელავდნენ მზეზე და. მათი ანარეკლი უფრო კაშკაშა იყო, ვიდრე ცის თაღი, მხოლოდ ახალამომშრალი გუბის ფსკერი ცხადყოფდა, რომ მიწის გული ისევე შავი იყო, როგორც ცეცხლზე შემჭვარტლული ქვაბის ძირი.

სერაპიონმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ზარზმის სანახებს, შემდეგ გამობრუნდა, ხარაჩოებს დაუყვა და როცა მიწაზე ფეხი დადგა, იგრძნო, რომ ჩაქრა ის სხივები, რომელთაც ტაძარი იკრებდა და შარავანდედად იყენებდა.

როცა ჯორზე ამხედრებული გიორგი მაწყვერელი ორი ხუცესის თანხლებით მონასტრის ეზოში შემოვიდა, სერაპიონს დილის წირვა მოთავებული ჰქონდა და მონასტრის მამულის შემოვლას აპირებდა. ბერები უკვე გავიდნენ მონასტრიდან, ბაღ-ვენახებს მიაშურეს, მონასტერში მხოლოდ მწე, მბოლარე, მეტრაპეზენი, მორიგენი და მოხუცები დარჩნენ. ტაძრის სახურავიდან ჩაქუჩების კაკუნი და ერთობლივი შეძახილები ისმოდა. სერაპიონს არ გაკვირვებია გიორგი მაწყვერელის დანახვა, რადგან, სანამ სამთავროში შინაამლილობა მძვინვარებდა, სამთავროს მოვლა-პატრონობა ძალაუნებურად ეპისკოპოსს დააწვა მხრებზე. ეკლესია შინაამლილობაში მონაწილეობას არ ღებულობდა, ერთიანი, განუყოფელი იყო და ამ ერთიანობას გიორგი მაწყვერელი გონივრულად იყენებდა. სანამ ძმები და მათი მოსისხარი მტრები ერთმანეთს ებრძოდნენ და ექიშპებოდნენ, გიორგი მაწყვერელმა ყველა ეკლესია, კარის ეკლესიებიც კი საეპარქიოს დაუქვემდებარა და რადგან საერო ხელისუფლებას სამთავროს მართვისათვის არ ეცალა, სასულიერო ხელისუფლება, ისე გაძლიერდა, რომ გადაუდებელ საკითხებს მღვდლები და ეკლესიის მსახურნი წყვეტდნენ. რამდენიმე სამართლიანმა გადაწყვეტილებამ მათ ხალხის ნდობა მოუპოვა. საეკლესიო ხელისუფლების გაძლიერებამ კი ის გამოიწვია, რომ საყდრებს, ეკლესიებს და მონასტრებს მსახურნი და ბერები მოემატა, რადგან ამ გზით თავის გატანა ან აღზევება უფრო საიმედო და ნაკლებად გამაწვალებელი ეჩვენებოდათ, ვიდრე ლუკმა პურისათვის და ხელისუფლებისათვის დაუნდობელი ბრძოლა. ამგვარი ბრძოლის სიმკაცრე კი ბევრ მათგანს საკუთარ ტყავზე ჰქონდა გამოცდილი. გიორგი მაწყვერელის ღვაწლის დაფასებასა და მისი სახელის განდიდებას ისიც უწყობდა ხელს, რომ გიორგი ჩორჩანელის და, ლატავრი, მონაზვნად აღკვეცას აპირებდა, ამაში მას ეპისკოპოსი უნდა დახმარებოდა, პირადად მას უნდა აღეკვეცა იგი მონაზვნად და ამიტომ, რაც უფრო ახლოვდებოდა აღკვეცის დღე, მით უფრო მეტად ექცეოდა გიორგი მაწყვერელის გავლენის ქვეშ .ეპისკოპოსი ძმების შერიგებას და საერო ხელისუფლების განმტკიცებასაც

ცდილობდა, რადგან იმათი ალაგმვა, ვინც სამართლიანობას არ ცნობდა, მხოლოდ ძალით შეიძლებოდა, რაც მას არ გააჩნდა. მაგრამ სანამ ამას მოახერხებდა, საეკლესიო ხელისუფლების მეშვეობით სამთავროს ერთპიროვნულად განაგებდა. უფრო ძლიერი და გავლენიანი კაცი იმჟამად სამცხეში არ ცხოვრობდა. ერთადერთი, რაც მათ ურთიერთობას ჩრდილს აყენებდა, ის იყო, რომ მაღალყელიანი გუმბათის აშენება მაწყვერელს სერაპიონის ახირებად და სიშლეგედ მიაჩნდა. სხვა მხრივ კი გიორგი მაწყვერელის გაძლიერება და აღზევება მას ხელსაც კი აძლევდა. რა ამრეზილიც არ უნდა ყოფილიყო ეპისკოპოსი მასზე, გაჭირვების ჟამს ცოტათი მაინც დაეხმარებოდა. სერაპიონს მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა, უმიზეზოდ გიორგი მაწყვერელი მონასტერში არ ამოვიდოდა, არც ამ ორ ხუცესს ამოიყვანდა თან და ახლა იმას ვარაუდობდა, რა საქმე შეიძლებოდა ჰქონოდა ეპისკოპოსს მასთან და რამდენად იყო ეს საქმე დაკავშირებული მონასტერთან.

— იმედია, კარგად ბრძანდებით, მღვდელთმოძღვარო, დაღლილი იქნებით, ჩამობრძანდით, მოისვენეთ, — მიეგება სერაპიონი გიორგი მაწყვერელს და ჯორიდან ჩამოხტომაში შეეშველა.

— გმადლობთ, მამაო სერაპიონ, ღმერთმა ნურც შენ მოგაკლოს ჯანი და ღონე, მოსასვენებლად არ მცალია, აგერ მორზე ჩამოვჯდეთ, სათქმელი აქაც ითქმება, — უპასუხა ეპისკოპოსმა და მორისაკენ ისე წავიდა, როგორც მხედრები დადიან მიწაზე ჩამოხტომის შემდეგ.

— იმედია, ცუდი ამბის მაუწყებლად არ მობრძანებულხართ, მღვდელთმოძღვარო, — უთხრა სერაპიონმა გიორგი მაწყვერელს და მის გვერდით ჩამოჯდა მორზე.

— ცუდი ღმერთმა გვაშოროს, მამაო სერაპიონ, დღეს მე აქ იმიტომ ამოვედი, რომ მინდა ზედმეტი ტვირთისა და საზრუნავისაგან გაგანთავისუფლო.

— თუ ამ სიკეთეს იზამთ, ამას მეც დაგიმადლებთ და ღმერთიც, მაგრამ რომელ ტვირთსა და საზრუნავს გულისხმობთ, მღვდელთმოძღვარო?

— მონაზვნები უნდა გადავიყვანოთ აქედან დედათა მონასტერში, რაც შენდა დაუკითხავად და შენი დახმარების გარეშე არაფრით არ მოხერხდება.

— ნუთუ ასე მალე დამთავრდა დედათა მონასტრის მშენებლობა?

— არა, მამაო სერაპიონ, მშენებლობის დამთავრებამდე ჯერ კიდევ შორსაა, ეკლესიას მხოლოდ ახლა ეყრება საძირკველი, მაგრამ კელიონების მშენებლობა უკვე დამთავრდა და მონაზვნების აქ გაჩერებას ისევ ის სჯობია, რომ თავიანთ მონასტერს მიხედონ და მოუარონ. ამით ჩვენს შეცდომასაც გამოვასწორებთ და ისინიც უკეთესად იგრძნობენ თავს თავიანთ სავანეში, გარდა ამისა, მათ იქ ისინიც შეუერთდებიან, მონაზვნად აღკვეცას რომ ესწრაფვიან სულითა და გულით.

— აღათია უწიგნური, ბეჩაობაში გაზრდილი დედაკაცია, მღვდელთმოძღვარო, და ვეჭვობ მონასტრის ცხოვრებას დამოუკიდებლად გაართვას თავი.

— მალე მონასტერს ისეთი იღუმენი ეყოლება, რომელიც მბრძანებლობასაც მიჩვეულია, წიგნიც იცის და არც საქმის გაძღოლა ეუცხოება.

— მირიანისძის ქვრივი ხომ არა, მღვდელმთავარო?

— სწორედ რომ ლატავრი, მამაო სერაპიონ.

— უკვე გადაწყვეტილია?

— საბოლოოდ.

შეიძლება გიორგი მაწყვერელს იმიტომ ეჩქარებოდა მონაზვნების დედათა მონასტერში გადაყვანა, რომ ამით ლატავრის აღკვეცას დააჩქარებდა და ეკლესიას კიდევ ერთ შეძლებულ და გავლენიან მსახურს შესძენდა. შეიძლება იმის იმედიც ჰქონდა, მონაზვნად აღკვეცის შემდეგ დედა მეტ ზეგავლენას იქონიებდა შვილებზე, უფრო გულმოდგინედ ეცდებოდა მათ დაშო-

მინებას, მაგრამ სერაპიონმა ისიც იცოდა, საერო ხელისუფლების წარმომადგენელნი ძალას რომ უფრო მეტ ანგარიშს უწევდნენ, ვიდრე შეგონებას და სამართლიანობას და ამიტომ არ სჯეროდა მირიანისძეთა მორჯულება. ტყეში გავარდნილი, თითქმის გამეკობრებული ძმების მიზნები ეკლესიის მიზნებს არ ემთხვეოდა, დავის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად მათ იარაღი და ძალადობა მიაჩნდათ, ბალღობიდან ჰქონდათ შეთვისებული, რომ სისხლის დაუღვრელად, გაუმარჯვებლად ვერც მოწინააღმდეგეს ჩამოიშორებ გზიდან და ვერც მთელ სამთავროს დაეპატრონები განუყრელად. ამიტომ არც უწევდნენ ანგარიშს იმას, რასაც მათგან ეკლესია მოითხოვდა—სათნოებას, სამართლიანობას და მოყვასის სიყვარულს. მათი სიმართლე მათი ძალა იყო და სამთავროს მხოლოდ ის ჩაიგდებდა ხელში, ვინც მეტ გამჭრიახობას, სისასტიკესა და სიმდაბლეს გამოიჩენდა. გამარჯვებულს კი არავინ ასამართლებს, იგი თვითონ ხდება მსაჯულიც და მოსამართლეც და მის სამართალს არა მარტო ხალხი აღიარებს, არამედ ხშირ შემთხვევაში ეკლესიაც. საეკლესიო ხელისუფლების გამგებელი სამცხეში გიორგი მაწყვერელი იყო და იგი იმიტომ ერეოდა ძმების მეტოქეობასა და დავაში, რომ სამცხეს მართლაც სჭირდებოდა საერო ხელისუფლების მპყრობელი, კაცი, რომელიც სამთავროს არეულ-დარეულობისაგან იხსნიდა, ადამიანთა უმეცრებას, სიბეცესა და სიმხეცეს მტკიცე ხელით აღკვეთდა, მაგრამ ამ მტკიცე ხელს ხელისუფლება და ძალაუფლება ბოროტად არ უნდა გამოეყენებინა, ზნეობასა და ეკლესიას არ უნდა დაპირისპირებოდა. სწორედ ამ ძნელად მოსაგვარებელი წინააღმდეგობის მოგვარებას ცდილობდა გიორგი მაწყვერელი და ამ ბრძოლაში სერაპიონი მისი თანამდგომი და თანამოაზრე იყო.

— როდის აპირებთ მონაზვნების დედათა მონასტერში გადაყვანას, მღვდელთმოძღვარო? — ჰკითხა სერაპიონმა და ეპისკოპოსის ფეხზე გაჩერებულ ძმლებს შეავლო თვალი. ერთ-ერთ მათგანს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს წუხელის მაჯლაჯუნა ეწვია და სასტიკად გვემა.

— დღესვე, მამაო სერაპიონ.

— მე რით დაგეხმაროთ, მღვდელთმოძღვარო?

—ეს ამბავი შენ უნდა აუწყო მონაზვნებს და იმ ცოტაოდენი ბარგის გადასაზიდავად მათ რომ გააჩნიათ, ჯორები უნდა გვათხოვო.

— ისინი ახლო-მახლო დაბებიდან არიან, მღვდელთმოძღვარო და შეიძლება ზოგიერთმა მათგანმა შინაურებთან გამოთხოვება მოისურვოს.

— რადგან ამ გზას დაადგნენ, მამაო სერაპიონ, მათ აღარ უნდა უყვარდეთ არც დედა, არც მამა, არც და-ძმა და არც შვილები თვინიერ ღმერთისა.

სერაპიონისათვის იმდენად მოულოდნელი იყო მონაზვნების ერთ დღეში აყრა და სხვა მხარეში გადასახლება, რომ იმაზე მეტად დაწყდა გული, ვიდრე ეგონა. წლების მანძილზე მისდაუნებურად შეეჩვია მათ დამწუხრებულ სახეებს, ლოცვა-ვედრებასა და ღვთისადმი უსიტყვო მორჩილებას, მათ დაუღალავ შრომას ბოსტნებში და ბახჩებში, მათ ჭირთათმენას, ხელსაქმიანობას, ქალურ სიფაქიზეს, იმ უსიამოვნებებსა და საყვედურებსაც კი, მათ გამო რომ იწვნია და ახლა, როცა მონაზვნებს მათდა დაუკითხავად ერეკებოდნენ უცხო მხარეში, სადაც არც სისხლითნათესავები ჰყავდათ და არც თანშეზრდილი თანადაბელები, სადაც მეხსიერებით უნდა აღედგინათ ის გარემო, რომლის დანახვაც ყოველდღე შეეძლო საკუთარი თვალით, სადაც კიდევ უფრო ჩაიკეტებოდნენ და ჩამუქდებოდნენ, სერაპიონი მათ წინაშე დამნაშავეთაც კი გრძნობდა თავს. შეიძლება მათი გახიზვნა მონასტერს გარეგნულად არ დასტყობოდა, მაგრამ შინაგანად ცოტათი მაინც დაცარიელდებოდა. გარდა

ამისა, მონაზვნები ესნა ციენარისძის სახებასაც წაიღებდნენ თან და სერაპიონისათვის ესეც გულდასაწყვეტი იყო. არა და მას არ შეეძლო წინ აღსდგომოდა ეპისკოპოსის ნებას, მონაზვნების შეხიზვნას ისედაც მკრეხელობად და დანაშაულად უთვლიდნენ და ახლა რომ ხმა ამოეღო, რას არ იფიქრებდნენ, რა კუდს არ გამოაბამდნენ ამ ამბავს.

— არ წაიხემსებთ, მღვდელთმოძღვარო? — ჰკითხა სერაპიონმა გიორგი მაწყვერელს და ფეხზე წამოდგა.

— აღარც წახემსებისათვის გვცალია, მამაო სერაპიონ.

— თან გამომყვებით, თუ აქ დამელოდებით?

— გამოგყვებით, მამაო.

სერაპიონმა მორიგე ბერი იხმო, საჯინიბოში წარგზავნა და დააბარა, მეჯინიბემ ჯორები შეკაზმოს და დედათა კელიონთან ამოიყვანოსო. მხოლოდ ამის შემდეგ დაადგა ქვემო კელიონისაკენ მიმავალ გზას. გიორგი მაწყვერელმა ჯორის სადავე ერთ-ერთ ხუცესს მიუგდო და სერაპიონს გვერდით გაჰყვა. მიდიოდნენ უხმოდ, თითოეულს თავისი საფიქრებელი და საზრუნვი ჰქონდა.

გიორგი მაწყვერელს უნდოდა ყველაფერი ისე მოეგვარებინა, რომ საჭოჭმანო, სადაო და საკინკლაო არაფერი ყოფილიყო, არაფერი გადაღობებოდა წინ ისეთი, რაც მის მიზნებს ქვეყნის სულიერად განწმენდისა და განახლებისაგან უთავბოლოდ დააბრკოლებდა, სერაპიონი კი იმაზე ფიქრობდა, როგორ ეთქვა აღათიასათვის ის, რომ მათ აქედან მიერეკებოდნენ და რაც შეიძლება მალე გამოესკვნათ თავიანთი ფუთები. სერაპიონმა წინასწარ არ იცოდა, ეწყინებოდათ თუ არა ეს ამბავი აღათიასა და მონაზვნებს, დაწყდებოდათ თუ არა გული იმის გამო, რომ აქაურობას სამუდამოდ ტოვებდნენ. შეიძლება არც სწყენოდათ და არც გული დასწყვეტოდათ, მაგრამ მოულოდნელი აყრა და სადღაც უცხო მხარეში გადახვეწა მაინც უმძიმს ადამიანს, კიდევ ერთხელ აგონებს იმ ამბავს, რომ ამქვეყნად ღვთის ანაბარია და თუმცა უჭირს მშობლიური მხარის მიტოვება, თუმცა გული დამძიმებული აქვს და ფეხები უკან ექაჩება, მაგრამ ღმერთი მასთან იქაც იქნება, სადაც ტანჯვა და გვემა მოელის და ამიტომ უმჯობესია იმას მიენდოს, ვინც მარადიულ სასუფეველს დაუმკვიდრებს, ვიდრე მიწიერი ცხოვრების უკულმართობას და წარმავლობას. ასე ფიქრობდა სერაპიონი, ასე იმშვიდებდა საკუთარ თავსაც და ასე უპირებდა დამშვიდებას იმათაც, ვისაც სასწრაფოდ აყრა და გადასახლება ელოდა. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა მაინც ბევრი რამ რჩებოდა ბნელში ისეთი, რის გაშუქებაც ადამიანს ან არ სურს, ანდა არ ძალუძს.

ვიწრო, დაკლაკნილი გზა თავდაღმართში ეშვებოდა და ციისკიდურიც ისევე ვიწროვდებოდა, როგორც ხეობა, რომელსაც ზემოდან ნაძვებითა და ფიჭვებით შემოსილი ფერდობები დაჰყურებდნენ, მაგრამ დღის სინათლეს ვერც ხეობა ჩრდილავდა და ვერც ფერდობები სტაცებდნენ სიკაშკაშეს. ჩრდილები ისე ეყარნენ მიწაზე, როგორც მზით მოთენთილი, დაოსებული უარსო არსებანი, რომელთაც თავიანთი სითალხე ღრმად ჩაიტანეს და ჩაიკრიფეს უხრწნელ გვამში. ფეხი მსუბუქად ეხებოდა მიწას, ჩიტების გაბმული ჭიკჭიკი და სუფთა, უჩვეულოდ გამჭვირვალე ჰაერი კაცსაც ახალისებდა და ბუნებასაც, მაგრამ ეს სიმსუბუქე ვერაფრით ვერ ამსუბუქებდა იმ სათქმელს, რისი არ თქმაც არაფრით არ შეიძლებოდა. ეპისკოპოსი გვერდით მოჰყვებოდა და მისი სახის გამომეტყველება ისევე მტკიცე იყო, როგორც მაშინ, როცა აქ ამოსვლის მიზეზი მოახსენა. მონაზვნების აყრა და გადასახლება დიდხანს ალბათ არც სერაპიონს დასწყვეტდა გულს, მისი ჯანი და ნება იმ საქმეს სჭირდებოდა, რითაც შეპყრობილი იყო, მაგრამ დრო ითმენდა და

ასე აჩქარება არავითარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ეპისკოპოსს რომ თავისი გადაწყვეტილება ერთი კვირით ადრე შემოეთვალა მისთვის, მონაზვნებს წინასწარ შეამზადებდა, რაც შესაკრავი და შესაფუთი იყო, აუჩქარებლად შეაკვრევინებდა, აკურთხებდა. საგზალს მოუმზადებდა და გზას დაულოცავდა. ახლა კი მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ მის სულში ერთგვარი აღრევა შემოიტანა და მონასტრის ცხოვრების ჩვეულებრივი დინება უკითხავად დაარღვია. განსაკუთრებით ეს მაშინ იგრძნო სერაპიონმა, როცა მოსახვევი მოათავეს და კელიონის პირისპირ აღმოჩნდნენ. კელიონის ეზოში არავინ ჩანდა, არც ხმა ისმოდა არსაიდან არავისი, მონაზვნები, ეტყობა, ბაღჩებისა და ბოსტნების მოსავლელად იყვნენ გასულნი, მაგრამ მას შემდეგ, რაც კელიონში მონაზონთა რიცხვმა იმატა, აღათიას უამრავი საქმე გაუჩნდა და უმიზეზოდ კელიონის ეზოდან არ გადიოდა. ამიტომაც სერაპიონს, როცა კელიონის იმ ფრთიდან, სადაც დედათა სატრაპეზო იყო მოთავსებული. უკვე ასაკში შესული, ნამდვილ ილუმენივით მორთული აღათია გამოვიდა. მის სახეს სიმკაცრეც მომატებოდა და სალმობიერებაც, ქცევას კი ღირსება და თავშეკავება.

— მობრძანდი, ნეტარო მამანო, — მოეგება მათ აღათია იმ ადამიანის გამომეტყველებით, რომელმაც წინასწარ იგრძნო, მის თავს რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი ხდება, მაგრამ ვერაფრით ვერ მიმხვდარა, რა. აღათიამ, ეტყობა, ისინი სატრაპეზოს სარკმლიდან დაინახა და ეს გრძნობა მაშინ გაუჩნდა.

— რასა იქმთ, დედაო აღათია, — ჰკითხა სერაპიონმა და მის მიმართ მადლიერების გრძნობა გაუჩნდა იმის გამო, რომ კელიონში შესვლა არ დასჭირდა. მას შემდეგ, რაც ესნა ციონარისძეს ყელი გამოჭრეს, კელიონის კარი არ შეუღია.

— ვარ ღვთის შემწეობით, მამაო სერაპიონ, — მიუგო აღათიამ და ჯერ ეპისკოპოსს ემთხვია ხელზე, შემდეგ კი სერაპიონს.

— მონაზვნები სად არიან, დედაო აღათია?

— ბაღჩებში და ბოსტნებში.

— ამიერიდან, დედაო აღათია, თქვენი საკუთარი ბაღები, ბაღჩები და ბოსტნები გექნებათ და ყოველდღე იმას იქმთ, რაც სულისთვისაც სასარგებლო იქნება და ხორცისთვისაც.

— ვერ გავიგე, რას ბრძანებთ, მამაო სერაპიონ.

— მე და ჩვენი მღვდელთმოძღვარი, ეპისკოპოსი გიორგი მაწყვერელი სასიხარულო ამბის საუწყებლად გეწვიეთ, დედაო აღათია.

აღათია ოდნავ შესამჩნევად შეკრთა, ისედაც ფერმკრთალი სახე კიდევ უფრო გაუფერმკრთალდა, მაგრამ არც ღირსება დაუკარგავს და არც თავშეკავება. იდგა ისე, როგორც ეს მონასტრის ილუმენს შეჰფერის. ხმაც კი მშვიდი და გაუბზარავი ჰქონდა.

— გვაუწყეთ საუწყებელი, მამაო სერაპიონ.

სერაპიონი ერთი წუთით შეყოვნდა, არ უნდოდა პირში მიეხალა აღათიასათვის ის, რაც მთელ კელიონს ააფორიაქებდა, მაგრამ როცა გიორგი მაწყვერელს შეავლო თვალი, მიხვდა, რომ ეპისკოპოსს ეჩქარებოდა, მონაზვნები ამაღამვე უნდა დაებინავებინა და სერაპიონმა გადაწყვიტა მოსაკვეთი ერთბაშად მოეკვეთა.

— დედაო აღათია, თქვენს ხიზნობას ბოლო მოეღო, დამთავრდა დედათა მონასტრის კელიონის მშენებლობა და სამცხის ეპისკოპოსი, მღვდელთმოძღვარი გიორგი დღეს იმიტომ გვეწვია ზარზმაში, რომ თქვენ დედათა მონასტერში გადაგიყვანოთ, სადაც დიდ და ჭეშმარიტ მონაზვნურ ცხოვრებას შეუდგებით.

— სად არის დედათა ახალი მონასტერი, მამაო სერაპიონ? — ჰკითხა აღ-

ათიამ მშვიდად და ამჯერად ძარღვიც კი არ შეტოკებია სახეზე.

— არსიანის მთის გადაღმა, ყველისხევში.

— როდის უნდა გავემგზავროთ?

— დღესვე დედაო აღათია. თქვენ ბარგი შეჰკარით, მალე აქ ჯორებს მოასხამენ, ბარგს აჰკიდებთ და გზას გაუდგებით. თქვენი თანამგზავრი და მეგზური თვით ეპისკოპოსი იქნება.

—მერედა, მოესწრება, მამაო?

— ეს უკვე თქვენს სიმარჯვეზეა დამოკიდებული.

— კეთილი, მამაო სერაპიონ, მონაზვნებს ახლავე ვიხმობ და თუ არაფერი დაგვაბრკოლებს, შუადღისათვის მზად ვიქნებით.

— დედაო აღათია, ჩვენ ცოტათი გავივლით, მონასტრის მამულს შევავლებთ თვალს და შუადღისათვის ჩვენც აქ გავჩნდებით.

სერაპიონს არ უნდოდა მთელი იმ აურზაურის მოწმე ყოფილიყო, რაც მაშინვე დაიწყებოდა, როგორც კი აღათია მონაზვნებს დედათა მონასტერში გადასახლების ამბავს აუწყებდა, არც ის სურდა, წაუხემსებელი გაეშვა ზარზმიდან ეპისკოპოსი, შუაღამემდე ჯერ კიდევ იყო დრო, თუ სატრაპეზოში ვერ მიიწვევდა, მარანში მაინც შეიტყუებდა, სადაც ცოტაოდენ ღვინოს დალევდნენ, სახელდახელოდ წაიხემსებდნენ და ისევ უკან გამობრუნდებოდნენ. დიდად არც ეპისკოპოსს სიამოვნებდა აქ ყურყუტი და იმის ყურება, თუ როგორ დაიწყებდნენ ვიშვიშს და ფუსფუსს აღელვებული მონაზვნები და ამიტომ სერაპიონი გიორგი მაწყვერელს და მის თანმხლებ ხუცესებს მარანისაკენ წარუძღვა. შეიძლება სხვებისათვის მონასტერი და მისი მამული ჩვეულებრივი მიწა-წყალი იყო, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა, არაფრით იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, სერაპიონისათვის კი ტვირთი, ბედისწერა, ყოველდღიური ზრუნვისა და ტანჯვის პირველწყარო.

სერაპიონმა მარნის მძიმე, ცხოველხატული კარი დაუკითხავად შეაღო, ეპისკოპოსი და ხუცები შეიპატიჟა და დაბალ, სამფეხა სკამზე ჩამომჯდარ მარუყა ვაშანისძეს მოჰკრა თვალი. მარუყას თიხის იატაკზე წნელები გაეწყო და გოდორს წნავდა. ეს კაცი იმიტომ ამოაყვანინა სერაპიონმა გაბრიელ გარბანელს ქვემო დაბიდან, რომ ღვინის შესანიშნავი დაყენება იცოდა. მუყაითი, მევენახეობაში გაწაფული კაცი იყო და მარანს საკუთარ კარ-მიდამოსავით უვლიდა. ახლაც საქმით იყო გართული, მაგრამ როგორც კი სერაპიონი და ეპისკოპოსი დაინახა, მაშინვე ფეხზე წამოიჭრა, მათ მიესალმა და ორივეს ხელზე ემთხვია.

— დაგვაჭაშნიკებინე, მარუყა შვილო ჩემო, შარშანდელი ღვინო და ცოტა წაგვახემსე, — უთხრა სერაპიონმა ვაშანისძეს. და სტუმრები გრძელ, უხეშ მაგიდასთან მიიწვია. მარუყამ ჯერ ღვინით სავსე დოქი და თიხის ჯამები ჩამოდგა სუფრაზე, შემდეგ კი ყველი, პური, მწვანილი და მოხარშული თევზი მოარბენინა. ღვინო მართლაც ჩინებული იყო, სტუმრებსაც და მასპინძელსაც მადა გაუხსნა და წუხილმა უკან დაიხია. სერაპიონი თვითონ უსხამდა ღვინოს სტუმრებს და ცდილობდა იმაზე უფრო დამნაშავედ არ ეგრძნო თავი, ვიდრე იყო. სულ ერთია წინააღმდეგობა მასსა და იმ სამყაროს შორის, ირგვლივ რომ ერტყა, არასოდეს მოიშლებოდა, არასოდეს გამოელეოდა შეუსაბამობა სურვილსა და სინამდვილეს შორის და ყოველივე ეს მას ისეთივე ბუნებრივ ამბად უნდა ეცნო, როგორც მზის ამოსვლა და ჩასვლაა. ღვინო იმიტომ კი არ გაუტკბა, რომ საზრუნავი, საფიქრებელი და მოსანანიებელი მოაკლდა, პური იმიტომ კი არ ეგემრიელა, რომ დაუამატკივილი, მოუდუნდა აზრი, დაუჩლუნგდა გრძნობა, არამედ იმიტომ, რომ ღვინო, რომელსაც ახლა სვამდნენ, უდაბნოში იყო მოწეული, იმ ად-

გილას, სადაც უღრანი ტყის მეტი არაფერი არსებობდა, სადაც მონადირე თუ შემოეხეტებოდა შემთხვევით და ამ ღვინოს ახლა ისეთი გემო და სუნი ჰქონდა, როგორიც ნაყოფიერ ბაღ-ვენახებს და ახალმოწეულ ჭირნახულს აქვს, არა მარტო ჭირნახულის, არამედ მუშა კაცის ოფლითა და სისხლით გაპოხიერებულ მიწასაც, იმ მიწას, ღმერთმა რომ ადამიანებს სამოქმედოდ, გარდასაქმნელად და განსაკაცებლად მისცა. მაღალ-ყელიან ტაძარსაც იმიტომ აშენებდნენ, რომ მასში ადამიანს უფრო ლაღად, უფრო თავისუფლად, უფრო წმინდად ეგრძნო თავი, უფრო დაახლოვებოდა ღმერთსაც და საკუთარ თავსაც და ახალ დროს, არსებობის ახალ ტკივილებს ზიარებოდა.

— მამაო სერაპიონ, დრო კელიონში მივბრუნდეთ, — მოესმა ამ დროს სერაპიონს გიორგი მაწყვერელის ხმა და როგორც კი ფიქრებიდან გამოერკვა, მაშინვე ფეხზე წამოდგა.

როცა ისინი კელიონს მიუახლოვდნენ, თალხ ტანსაცმელში გახვეულ მონაზვნებს უკვე ეზოში მოეყარათ თავი. დასაპალნებული ჯორებიც იქვე იდგნენ და ბალახს წიწკნიდნენ. თითოეულ მონაზონს ხელში გამოკრული ფუთა ეჭირა. მათ სახეზე მწუხარება უფრო იკითხებოდა, ვიდრე სიხარული. მართალია, მონაზონთა უმეტესობა ბედგამწარებული, დაქვრივებული, დამარტოხელებული, პირუტყვული ცხოვრებით გათელილი დედაკაცები იყვნენ, რომელთაც მიწიერ ცხოვრებას ზურგი აქციეს და ღმერთს შეუდგნენ, მაგრამ მათ იმდენი ხანი დაჰყვეს ზარზმის მონასტერში, იმდენი ცრემლი დაღვარეს თავიანთ ცივსა და ნახევრადბნელ სენაკებში, ისე შეეჩვივნენ აქაურ ჰაერს, წყალსა და გარემოს, რომ არაფრით არ შეიძლებოდა აქედან აყრას მათთვის გული არ დაეწყვიტა.

სერაპიონმა არ იცოდა, რა ეთქვა ერთად თავშეყრილი, დამწუხრებული მონაზვნებისათვის, ეს არც გიორგი მაწყვერელმა იცოდა, მაგრამ ამ დროს მათკენ აღათია გამოემართა და მშვიდად თქვა:

— ჩვენ მზად გახლავართ, მამაო სერაპიონ.

— ღმერთმა მშვიდობით გატაროთ და შემწეობა არ მოგაკლოთ, დედაო აღათია, — დალოცა სერაპიონმა მონაზვნები და შემდეგ გიორგი მაწყვერელს მიუბრუნდა.

— რაკი იჩქარით, წინ აღარაფერი გეღობებათ, მღვდელთმოძღვარო.

— გმადლობთ, მამაო სერაპიონ, ღვთის სასურველი საქმის აღსრულება ჩვენვე გვამკვიდრებს მუდამ, — უთხრა გიორგი მაწყვერელმა სერაპიონს და ხუცესს ანიშნა, ჯორი მომგვარეო. ხუცესმა ჯორი მოართვა. ეპისკოპოსი მისივე დახმარებით შეჯდა ჯორზე და ისე დაწინაურდა, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს. ხუცესებს, რომელთაც საპალნეაკიდებული ჯორები სადავით მიჰყავდათ, მონაზვნები ფეხით მიჰყვნენ უკან. მიდიოდნენ მდუმარე შაოსნები და თან მიჰქონდათ სევდა, მწუხარება და იმედი იმისა, რომ მათი უსიხარულო ყოფა სიხარულით შეიცვლება, გამარადისდება, შეერწყმება იმ სამყაროს, სადაც არ არის შური, მტრობა, ჩაგვრა, დამცირება და გვემა, სადაც სულში მდუმარება და სიმშვიდე ისადგურებს, სადაც ჰქრება ყოველგვარი შიში, გარდა შიშისა ღვთის წინაშე, სადაც სხეულებრივისაგან განწმენდა გამდიდრებას ნიშნავს და არა გაღატაკებას, სადაც მარტო მყოფიც კი მარტო არ არის და როცა გულით გრძნობ, რა არის ამქვეყნად ღვთიური და რა მიწიერი, ვინ აღიარო და ვინ დაგმო, რა ჩამოიძარცვო და რით შეიმოსო, მაშინ შავი ფერი აღარ იქნება სამგლოვიარო, სევდა აღარ ემსგავსება სევდას, წყვდიადი წყვდიადს და თავისთავად განათდება უცნობი სამყაროსაკენ მიმავალი ჭეშმარიტი გზები.

უეცრად სერაპიონი ქალის კივილმა

შეაკრთო. მან ბუნდოვნად დაინახა, როგორ გამოვარდა შაოსანთა რიგებიდან გარეგნულად ახალგაზრდა მონაზონი, შემზარავად იკივლა, არა, არ შემიძლიაო, — შემდეგ თავდალმართში დაეშვა სირბილით და ტყეში გაუჩინარდა. ამ კივილმა სერაპიონი გონს მოიყვანა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ზოგჯერ მომავლით დაიმედებულიც კი ვერ წყდება მიწიერ ცხოვრებას.

თავი მესამე

მას შემდეგ, რაც გიორგი მაწყვერელმა მირიანისძის ქვრივი ლატავრი მონაზვნად აღკვეცა და თეკლა უწოდა, მთელი წელიწადი გავიდა, მაგრამ შუღლი და მტრობა არც ძმებს შორის დამცხრალა და არც ხურცისძეებს აუღიათ ხელი შურისძიებაზე. ამიტომ მესხეთს კვლავ გიორგი მაწყვერელი განაგებდა და მის გამგებლობას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი სულ უფრო მეტად ეტანებოდნენ საყდრებსა და მონასტრებს. გაძარცულნი, აწიოკებულნი და უსამართლოდ დევნილნი ეკლესიაში ეძებდნენ სამართლიანობას, ლოცა-ვედრებით ითხებდნენ გულს. სანთლების შუქი და საკმეველის სუნი მათ უფრო ამშვიდებდა, ვიდრე ახალი დღის გათენება. ახალ დღეს მძიმე შრომისა, ფათერაკისა და უიმედობის მეტი არაფერი მოჰქონდა. ეკლესია კი მათ ტკივილს უამებდა, ათბობდა, აიმედებდა. გიორგი მაწყვერელი მთელ სამცხეში დადიოდა და როცა ქადაგებდა, ეკლესიაში ტევა არ იყო. რამდენჯერმე სერაპიონსაც მოუხდა მონასტრის მიტოვება და ახლო-მახლო დაბებში, იქ, სადაც ამის საშუალება იყო, ქადაგების წაკითხვა, მაგრამ მთელი მისი გულისყური მაინც ტაძრის მშენებლობისაკენ იყო მიქცეული. ახლა, როცა მეორე სართულის გადახურვა დამთავრდა და გუმბათქვეშა ოთხკუთხედის აფრები შეიკრა, თვით გუმბათის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო. სერაპიონი თვითონ იყო მოწმე იმისა, თუ როგორ შეკრეს და გაამაგრეს გუმბათის ყელის საძირკველი, მაგრამ ამის შემდეგ მშენებლობა შეწყდა და სხვაგვარი მოყვანილობის ხარაჩოების აგება დაიწყო. ამასობაში ზამთარიც მოახლოვდა, ტაძრის შიდა კედლები ისევ დანესტიანდა და გაზაფხულამდე მათი არც შებათქაშება შეიძლებოდა და არც შეგოზვა. ქვისმთლელები და ქვაზემკვეთლები ძირითადად ფარდულებში მუშაობდნენ, კირითხუროებს სამრეკლოს კედლები ამოჰყავდათ, მომპირკეთებლები უკვე შეუდგნენ მათ ისეთივე ქვით მოპირკეთებას, როგორი პერანგიც ტაძარს ეცვა. გუმბათთან მხოლოდ ხითხუროები მუშაობდნენ, ხარაჩოებს აგებდნენ და მათი ცულებისა და ჩაქუჩების კაკუნი მთელი დღე ისმოდა მონასტრის ეზოში. შეიძლება ეს გაუთავებელი კაკუნი სხვებს აწუხებდა, აღიზიანებდა, მაგრამ სერაპიონს გალობასავით ჩაესმოდა ყურში. ამ ყრუ ბგერებს მისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ბუნებისათვის გაზაფხულის ჭექა-ქუხილს. მათში სიცოცხლის შემოქმედებითი ძალა და უკვდავების სულისთქმა იგრძნობოდა, ამიტომაც არ აქცევდა ყურადღებას სახსრების ტკივილს და უძილო თვალების სიმშრალეს. არც იმას განიცდიდა მტკივნეულად, სხეული რომ უსუსტდებოდა და უუძლურდებოდა. ეს უკვე წლების ბრალი იყო და არა თეთრად გათენებული ღამის. შეიძლება იმ ნისლისაც, რომელშიაც მისი სხეული ისე იყო ჩაძირული, როგორც ტაძარი. იმ ადგილიდან, სადაც სერაპიონი იდგა, ტაძარი ჩვენებასავით მოჩანდა და უფრო მეტ იდუმალებას შეიცავდა. ვიდრე მაშინ, როცა ყოველი

მისი სწორი თუ მრუდე ხაზი ნათლად ერწყმოდა ერთმანეთს და მტკიცედ იკვრებოდა. თუმცა იდუმალებასაც მარტო ბუნდოვანება როდი ქმნიდა, იდუმალი იყო ისიც, რაც ბუნებას გამოეყო და სხვა საზრისი შეიძინა.

სერაპიონი ისე იდგა ტაძარსა და კელიონს შორის, თითქოს ნისლი წინ ეღობებოდა და რაღაცის გარკვევას, გათვითცნობიერებას სთხოვდა. ხარაჩოები, თვალმა რომ მოიტაცა, ისევ გაუჩინარდა, გაუჩინარდა ნაძვების შეტოკებული კენწეროებიც, არ გაუჩინარდა მხოლოდ ის აზრი, ლაქასავით რომ იდღაბნებოდა. ეს ლაქა სწორედ ამ დილით დაეწვეთა მისი გონების ზედაპირს და მას შემდეგ, რაც სენაკიდან გამოვიდა, თანდათან იზრდებოდა. თმა რომ შეუთხელდა, წვერი მთლიანად გაუთეთრდა. ნაოჭები მოემატა და ცხვირი დაუგრძელდა, ეს მხოლოდ გარეგნული ნიშნები იყო იმისა, რომ ხანში შედიოდა, რასაც ყველა ხედავდა, მაგრამ ამ ნიშნებს მიღმა იყო რაღაც ისეთი, რასაც მხოლოდ მისთვის მოჰქონდა ბინდი და მჭმუნვარება. სწორედ ეს ბინდი ეფარებოდა ზოგჯერ თვალებზე. ტაძარმა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო აშენებული იგი დააბერა, მუხლი დაუსუსტა, თმა გაუთეთრა, მაგრამ ვერც იმ გრძნობისაგან განკურნა, მისდამი რომ ჰქონდა და ვერც იმ განზრახვაზე ააღებინა ხელი, ყველა რომ ახირებად და სიშლეგედ უთვლიდა. პირიქით, დროთა განმავლობაში ამ სიშლეგემ იმატა და ახლა, როცა მას აღარც შემართება ჰქონდა ახალგაზრდული და აღარც გული უცემდა ძველებურად, მისი შეუპოვრობა, სიფიცხე და ქცევა არა მარტო სხვებს ეჩვენებოდა უცნაურად, შეუფერებლად, არამედ თვით მასაც და ეს შეუფერებლობა სირცხვილის გრძნობაზე მეტად მჭმუნვარებას იწვევდა. მართალია, ტაძარი შენდებოდა, თვითონ კი ბერდებოდა და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ ბერდებოდა ის გრძნობა, ტაძრის მიმართ რომ ჰქონდა, არ ჭკნებოდა ის სიყვარული, მის სულში რომ იყო ჩასახლებული, არ ქრებოდა იმედი, ტაძრის დამთავრებასა და მოხატვას რომ მოესწრებოდა, გაიგონებდა მისი ზარების გუგუნს, დაესწრებოდა მის კურთხევას და ასეთ წუთებში ზოგჯერ ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სიგიჟის ზღვარამდე იყო მისული, თითქოს ის, რასაც აკეთებდა და რისთვისაც ირჯებოდა, აღარც ღმერთს სიამოვნებდა და აღარც კაცს. არადა, თავს ვერ ერეოდა, ცდუნებას ვერ უძლებდა და ამით კიდევ უფრო ამძიმებდა საკუთარ ცოდვებს.

ოდნავ შეთხელებული ნისლი ნელა, შეუმჩნევლად იფანტებოდა და სერაპიონმა აღარ იცოდა ტაძრისაკენ აეღო გეზი თუ ავადმყოფი გაბრიელ გარბანელი მოენახულებინა. მას შემდეგ, რაც გარბანელმა ქვასთან ჭიდილსა და შენებას თავი დაანება, სერაპიონმა იგი სკეოფილაქსად, ანუ მონასტრის სალაროს გამგებლად დანიშნა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გაბრიელმა ფულის ყადრი იცოდა და უაზროდ, უგუნურად ერთ დანგსაც არ დახარჯავდა, მეორეც სერაპიონისა და გარბანელის მეტს არავის შეეძლო სცოდნოდა, რა თანხა იდო სალაროში, რა შემოსავალი და გასავალი ჰქონდა მონასტერს. ეს კი იმისათვის იყო საჭირო, რომ ტაძრის მშენებლობას მეტი თანხა მოხმარებოდა, ვიდრე მონასტრის შენახვასა და მოვლა-პატრონობას. ბერები მოითმენდნენ, ჭამადის ნაკლებობასაც აიტანდნენ და სიცივესაც, ტაძარი კი არ ითმენდა, გუმბათით გადახურვასა და დაგვირგვინებას მოითხოვდა. შეიძლება მშენებლობის გაჭიანურებით, სურსათის ნაკლებობით და ჩაუცმელ-დაუხურაობით ზოგიერთი ბერი უკმაყოფილოც კი იყო, მაგრამ მონასტერს ჯერ არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ხსნილობის დროსაც კი ბერები მაძღარი ჰყოლოდა, თითოეულისათვის ორი კაბა, ორი ანაფორა, საბეჭურები, კუნ-

კულები და ზამთრის და ზაფხულის ფეხსაცმელები დაერიგებინა. ჯერჯერობით ისინი თითო წყვილით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, ხოლო საკუთარი ქვეშაგებელი ყოველ მათგანს თვითონ უნდა მოეწყო. ასე იყვნენ შეთანხმებული სერაპიონი და გაბრიელ გარბანელი, რომელიც ახლა ავად იყო და მისი ავადმყოფობა სერაპიონს არა ნაკლებ აწუხებდა, ვიდრე საკუთარი. გარბანელი მისი მესაიდუმლეც იყო, თანამდგომიც და თანამოაზრეც, ტაძრის მშენებლობა მასაც ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა. ამიტომაც არ უფრთხილდებოდა თავს. ეს ხანდაზმული კაცი დარში თუ ავდარში გარე-გარე დადიოდა და მხატვრებს, ქვაზემკვეთლებს და ზარების ჩამომსხმელ ოსტატებს დაეძებდა, თანაც ისეთებს, კარგი ოსტატებიც ყოფილიყვნენ და გასამრჯელოც ნაკლები მოეთხოვათ. ზარების ჩამომსხმელ ოსტატებს დღე-დღეზე მოელოდნენ, ბრინჯაოსა და სპილენძის მადანი უკვე შესყიდული ჰქონდათ, თიხას თვითონ ოსტატები შეარჩევდნენ და ბრძმედს ააშენებდნენ. სანამ ისინი ზარებს ჩამოასხამდნენ, ალბათ სამრეკლოს მშენებლობაც მოთავდებოდა და ცოტათი კიდევ გაფართოვდებოდა იმ ვიწრო და ბნელი სამყაროს კედლები, მონასტერს რომ ირგვლივ ერტყა, ცოტათი მაინც შემცირდებოდა ლოდინი, მოუთმენლობა, ჭმუნვა და მანძილი იმ ზღვრებს შორის, იმედსა და უიმედობას შორის რომ დევს, შემცირდებოდა ის ჭორებიც და მითქმა-მოთქმაც, მონასტრის მშენებლობასა და მისი წინამძღვრის ირგვლივ რომ ტრიალებდა. სამცხეში ჯერ კიდევ იყვნენ ისეთები, რომელთაც მონასტრისათვის არც მიწა-წყალი ემეტებოდათ და არც შავანაფორიანი ბერები ეხატათ გულზე. ეკლესიაში სიარულს და ლოცვას მათ ნადირობა, ავაზაკობა და თარეში ერჩიათ. ამგვარი ცოდვების ჩადენის გამო მათ ძველი, ადგილობრივი კერპები არც გმობდნენ და არც საუკუნო სასჯელით ემუქრებოდნენ. ისინი მათი წარმოსახვის მიხედვით იყვნენ შექმნილნი, იმ თვისებებს ატარებდნენ, მათ რომ აწყობდათ და სამაგიეროს არაფერს თხოულობდნენ, წერა-კითხვის ცოდნასაც კი. ზოგიერთი წმინდანის სახელი ამ მოურჯულებლებსაც კი ჰქონდათ გაგონილი, მათ ღვაწლს იცნობდნენ და აღიარებდნენ, მაგრამ არც ის იცოდნენ, რისთვის აღიარა ისინი ეკლესიამ წმინდანებად და არც ის, თანამემამულენი იყვნენ ისინი მათი თუ უცხოელები. და ეს ასე გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ მთელი საქართველოს ეკლესია არ გაერთიანდებოდა და ამ ეკლესიას უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება არ ჩაუდგებოდა სათავეში. მაშინ ვეღარავინ შეძლებდა ეკლესიის გარეთ დარჩენას, ეკლესიის მსახურთა დაცინვას და აბუჩად აგდებას, მაშინ არც უხამსი ხმები და ჭორები გავრცელდებოდა ასე ადვილად და დაუფიქრებლად. ამას წინათ ერთმა ბერმა, აწოწილმა და მოწუნკალო მამა ალფეზიმ თითქოსდა სხვათა შორის, ყურში ჩააწვეთა, — ამბობენ მონასტერს უკანონო გზებით მოპოვებული ფულით აშენებენო, მაგრამ სერაპიონს ჭორებისა და უხამსი ხმების გავრცელების ისე არ ეშინოდა, როგორც იმისა, რა იწერებოდა იმ დაფაზე, რომელზედაც ყოველი კაცის ცოდვა-მადლს აღნუსხავენ და შემდეგ მისხლობით წონიან.

სერაპიონმა გადაწყვიტა ჯერ ხარაჩოებზე აბობღებულიყო, საკუთარი თვალით ენახა, რა ხდებოდა გუმბათის ყელის იმ საძირკველთან, აქედან რომ არ ჩანდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოენახულებინა გაბრიელ გარბანელი. სველ ხარაჩოებზე ასვლა უჭირდა, ფეხი უცურდებოდა, კიბის სახელურებს ეჭიდებოდა, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა, მაინც მიილტვოდა ტაძრის იმ ნაკვთისაკენ ნელ-ნელა რომ სახეს იძენდა და როცა დამთავრდებოდა, როცა ხარაჩოებს ჩამოხსნიდნენ, სასწაულად

მოევლინებოდა ქვეყანას. ახლა კი მის საძირკველს არა მარტო ხარაჩოები ფარავდა, არამედ ნისლიც და ამიტომ ახლოს მისვლას, თვალის შევლებას, დახედვას მოითხოვდა. იმ სიმაღლეზე, ახლა რომ ხითხუროები მუშაობდნენ, არც ერთ ქართველ ხითხუროს არ უმუშავია, იმ სიმაღლეზე, სადაც ახლა შუარტყელელი იდგა, არც ერთი ხუროთმოძღვარი არ მდგარა. ეს მან აიძულა ისინი ამაღლებულიყვნენ, აღზევებულიყვნენ, გაერღვიათ სივრცე, აქამდე რომ მიუწვდომელი იყო და მათთან ერთად თვითონაც ამაღლდა, შეაღწია ბურუსითა და იდუმალებით მოცულ სამყაროში, გაუძლო როგორც ბუნებას, ასევე ადამიანებისა და ეშმაკეულთა მძვინვარებას, უსახსრობას, ბედის უკუღმართობას და ახლა, როცა კიდევ ერთი ისეთი ციხესიმაგრის აგება იყო საჭირო, როგორიც აქამდე საქართველოში არავის აუგია, უკან დახევა სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმა იქნებოდა.

როცა სერაპიონმა გუმბათის ყელის საძირკვლამდე მიაღწია, მძიმედ სუნთქავდა და გული ამოვარდნაზე ქონდა. მიუხედავად ამისა, სახეზე მაინც ნათელი ეფინა. მართალია, ნისლიანი ამინდი შორს ყურების საშუალებას არ იძლეოდა, არ ჩანდა მთები და ხეობები, ტბები და მდინარეები, მაგრამ ნისლი მაინც ვერ ჩრდილავდა ტაძრის სიდიადესა და სიწმინდეს, ვერ აუქმებდა იმ სივრცეს, მონასტერს რომ ჰქონდა დასაკუთრებული. მისთვის ახლა ყველა გზა მონასტრიდან იწყებოდა და ყველა მონასტრისაკენ მოეშურებოდა. პირველად გრძელი და დამქანცველი მოეჩვენა კლარჯეთიდან სამცხემდე გამოვლილი გზა, ალბათ იმიტომ, რომ უცნობი იყო და მას სამცხეში არავინ ელოდებოდა, თავისად არაფერი ეგულებოდა, ახლა კი, როცა ეს გზა უკვე გაკვალული და გაზომილ-გაცნობიერებული იყო, გაფართოებასა და განშტოებას მოითხოვდა, უგზოდ არც მონასტრების გამრავლება შეიძლებოდა და არც ტაძრების მშენებლობა. ამ გზით უნდა გავრცელებულიყო მთელ სამცხეში ის, რაც სერაპიონმა ამჟამად იცოდა და რასაც თავის ახირებითა და დაჟინებით მიაღწია.

უეცრად სერაპიონს ორი ხითხუროს ხმამაღალი ლანძღვა-გინება და ყვირილი მოესმა. იგი შემობრუნდა, შეეცადა გაერკვია ვინ ჩხუბობდა და სად, მაგრამ სანამ მზერა ხარაჩოების ქსელში ვაატანდა, დაინახა, რომ შუარტყელელმა შვერილი ბექია ცალმოგვისძეს გადასცა და მოჩხუბრების გასაშველებლად ხარაჩოებს აჰყვა. ლანძღვა-გინება კიდევ უფრო გაძლიერდა, მოჩხუბართა ხმაში უსაზღვრო სიანჩხლე და გაბოროტება იგრძნობოდა. გუმბათის ირგვლივ მუშაობა შეწყდა. მხოლოდ შუარტყელელი მიიწევდა ზევით მძიმე ნაბიჯით და სწორედ მაშინ, როცა შუარტყელელმა მოჩხუბრებამდე მიაღწია, იმან, რომელსაც გაბურძგვნილი წვერი ჰქონდა და ცხვრის ტყავის უსახელო კურტაკი ეცვა, ამხანაგს ცული მთელი ძალ-ღონით მოუქნია და თავი გაუპო. სერაპიონმა საკუთარი თვალით დაინახა, როგორ ჩამოეღვარა თავგაპობილს სახეზე სისხლი, როგორ შეტორტმანდა, ჯერ წინ გადაიხარა, შუარტყელელს ორივე ხელით ჩაეჭიდა, შემდეგ უკან გადაქანდა, მოაჯირი გაამტვრია და ხარაჩოებიდან გადავარდნილმა შუარტყელელიც თან გადაიყოლა. სერაპიონს თვალთ დაუბნელდა, მაგრამ ის კი გაიგონა, როგორ დაეცნენ გადაჩეხილები ჯერ პირველი სართულის სახურავზე და შემდეგ როგორ დაენარცხნენ მიწას. ამ სიმაღლიდან გადავარდნილი კაცი რომ ცოცხალი ვერ დარჩებოდა, ეს სათუო არ იყო. სერაპიონს ისევ მოეშალა სიცოცხლე, ისევ გაუმწარდა დღე. უგნურმა და უაზრო ჩხუბმა იმსხვერპლა ის კაცი, რომელმაც გაბედა და ტაძრისათვის ყელიანი გუმბათის აშენებას მოჰკიდა ხელი, იმსხვერპლა ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვა-

რი, რომელიც აწი თუ ვერაფერს შეჰქმნიდა ახალს, თავის ცოდნასა და გამოცდილებას სხვებს მაინც გადასცემდა, იმსხვერპლა მისი დიდი ხნის თანამებრძოლი, თანამზრახველი და იმ ოცნების ხორცის შემსხმელი, კლარჯეთიდან რომ გამოჰყვა, კაცი, რომელსაც არაფერი ენატრებოდა ამქვეყნად ისე, როგორც ტაძრის დამთავრება და თავის ნახელავისათვის თვალის შევლება. ახლა კი ის, რაც შუარტყელელი იყო, ძვლებდამსხვრეული გვამია და ამ გვამს მისი, სერაპიონის გარდა პატრონი არავინ ჰყავს, წესიც მან უნდა აუგოს და მიწასაც მან უნდა მიაბაროს.

როგორც კი სერაპიონი გონს მოეგო, მაშინვე ჩოხის კალთები აიკეცა, თითქმის სირბილით დაეშვა ხარაჩოებიდან და როცა მიწაზე ფეხი დადგა თვითონაც იგრძნო, რომ სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო. ერთ წუთს შეყოყმანდა, არ უნდოდა შუარტყელელის დასახიჩრებული სხეული ენახა, მაგრამ ყოყმანი უმალ დასძლია და იქითკენ გაემართა, სადაც ვარაუდით ხარაჩოებიდან გადმოჩეხილთა გვამები ეყარა. თავგაპობილი ხითხურო პირღია იწვა, მთელი სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილი და თავიდან სისხლთან ერთად ტვინიც მოყონავდა. შუარტყელელი კი პირქვე ეგდო გაუნძრევლად, თავი შესამჩნევად მოღრეცოდა და სახე სისხლის გუბეში ჰქონდა ჩაყოფილი. სისხლი ყურებიდანაც სდიოდა. როცა იგი სერაპიონმა პირაღმა გადმოაბრუნა , დაინახა, რომ შუარტყელელს შუბლი ქვის ნატეხისათვის დაერტყა და თანაც ისე, რომ ქვის ჩამომტვრეულ ნატეხს შუბლი შეენგრია. სერაპიონმა ცხედრის წინ ჩაიჩოქა, თვალები დაუხუჭა, საკუთარი კვართის მონახევით პირი აუკრა, შემდეგ პირჯვარი გადასწერა და მისი სული ღმერთს შეავედრა. ამასობაში მის ირგვლივ ბერები, ფარდულებიდან გამოცვენილი ოსტატები და ხარაჩოებიდან ჩამოსული ხითხუროები მოგროვდნენ. სერაპიონი ფეხზე წამოდგა, ბრძანა საკაცეები მოეტანათ და ცხედრები ეგვტერში დაესვენებინათ. იგი მხოლოდ მას შემდეგ გასცილდა იქაურობას, როცა დახოცილები საკაცეებზე დადეს და ეგვტერისაკენ წაიღეს. მიდიოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ცალი მხარი მოტყდა, მარტო თანამებრძოლი და თანამზრახველი კი არ დაკარგა, არამედ ისეთი კაცი, რომლის ბედიც მის ბედთან იყო გადაწნული, ვინც ტაძრის მშენებლობას სიცოცხლე შესწირა და სანაცვლოდ თითქმის არაფერი მიიღო.

შუარტყელელი მესამე დღეს დამარხეს. მანამდე სერაპიონმა მას წესი აუგო, მისი სულის ხსნისათვის ილოცა, დიდი კელაპტრები დაუნთო და რადგან ტაძრის მშენებლობას შეეწირა, მისი საფლავიც მონასტრის ეზოში გაათხრევინა. ამჯერად წინამძღვრის სურვილს წინ არავინ აღსდგომია, ყველამ იცოდა, რა ღვაწლიც მიუძღოდა შუარტყელელს ტაძრის მშენებლობაში. შუარტყელელი იმარხებოდა ზამთრის პირას, მაგრამ ახლა უკვე მისთვის აღარ არსებობდა წელიწადის დრონი, ტაძარი, ყელიანი გუმბათი, სამრეკლო, ხელისშემწყობი და ხელშემშლელი პირობები. ახლა იგი იმ სამყაროში იყო გადასახლებული, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო, საიდანაც ალბათ მის მიერ აშენებული ტაძარი პატარა კენჭივით ჩანს და არაფერს წარმოადგენს, არაფერზე ეტყობა იმდენი შრომისა და გარჯის ნაყოფი რომაა. როცა კუბო მიწაში ჩაუშვეს და საფლავზე ჯვარი აღმართეს, სერაპიონმა გადაწყვიტა, რომელიმე ქვაზემკვეთელისათვის წარწერა გაეკეთებინა, სადაც შუარტყელელის ამაგი და ღვაწლი იქნებოდა აღწერილი და ეს ქვა გუმბათის ყელში ჩაესვა.

სერაპიონს აღარც კი ახსოვდა, ეს მერამდენე გაზაფხული იწყებოდა, რაც იგი სამცხეში ამოვიდა და მონასტრის მშენებლობას შეუდგა. ჰაერში ისეთი სუნი იდგა, თითქოს ყველა ხე, ბუჩქი, ყვავილი და ბალახი ერთდროულად აყ-

ვავდა და თავიანთი ყვავილების სურნელებაც ერთდროულად გადმოანთხიეს. გაზაფხული რომ იდგა და ჰაერი დამათრობელი სურნელებით იყო გაჟღენთილი, ამას ჩიტების ხალისიანი ჭიკჭიკიც ცხადყოფდა. იმ დილით სერაპიონი გათენებამდე ადგა. ხელპირი წყაროს წყლით დაიბანა, ახლა კი მღვიმესთან იჯდა მორზე და მზის ამოსვლას ელოდებოდა. მისი ბინდმოკიდებული, მჭმუნვარე თვალები სადღაც შორს, ცისკიდურ მიღმა იყურებოდნენ, იმ ცარიელ სივრცისაკენ, რომელიც მიწას არ ეფუძნებოდა და სადაც არაფრის დამალვა და არავის მიწაში დამარხვა არ შეიძლებოდა. ის მიწა, რომელზედაც ფეხი ედგა, ისე ამძიმებდა მის ფიქრებს, როგორც სხეული სულს, და არა მარტო სხეული, არამედ გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ცოდვებიც. ის, რაც ადრე ურყევი და საბოლოოდ ხორცშესხმული ეგონა, ბოლოს მაინც ირღვეოდა და ქარწყლდებოდა, თითქოს ნისლისაგან იყო ხორცშესხმული. ამიტომ ზოგჯერ ვერც საკუთარ თავს თანაუგრძნობდა და ვერც იმათ, მისგან რომ შეწყალებასა და სიყვარულს მოითხოვდნენ. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, რაც უფრო მეტად ხუცდებოდა და უძლურდებოდა, მით უფრო მეტად დევნიდა მისი სულიდან ტაძარი თმენის უნარსა და სხვებთან თანაარსებობის მოთხოვნილებას, მით უფრო ხშირად ეფარებოდა თვალებზე ნისლი. მან არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ უარესად რომ ხედავდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, ჯერ არც ისე ხნიერი იყო, რომ ასე ძლიერ დაკლებოდა თვალს.

შუარტყელელის დაღუპვის შემდეგ მისი იმედი, ნიჭი და იარაღი ბექია ცალმოგვისძე იყო. ეს ახალგაზრდა, ნაადრევად დადინჯებული და გამრჯე მესხი უკვე ადგა იმ გზას, რომელსაც კაცი შემოქმედების სამყაროში შეჰყავს და უკან დასაბრუნებელ გზას უხშობს. ასეთები წარმატების შემთხვევაში დიდი, გამრჯე და ბრძენი ოსტატები ხდებიან, წარუმატებლობის შემთხვევაში კი ხელმოცარული ნაკაცარები. ცალმოგვისძეს უკვე შეგნებული ჰქონდა, რას აშენებდა, რით იყო ეს მშენებლობა გამორჩეული და რას მისცემდა პირადად მას. თუ იგი ტაძარს იმგვარ ყელიან გუმბათს დაადგამდა, როგორიც სერაპიონსა და შუარტყელელს ჰქონდათ ჩაფიქრებული, თუ ყველა იმ ძაფს ერთად მოუყრიდა თავს და მტკიცედ შეკრავდა, გუმბათის მშენებლობა რომ მოითხოვდა, იგი ყელიანი გუმბათის პირველი ამშენებელი იქნებოდა და მისი სახელი შორს გასცდებოდა მესხეთის საზღვრებს. ცალმოგვისძის დოსტატებისა და დახელოვნების საქმე ახლა წყდებოდა და მარცხი საბოლოოდ დაუხშობდა გზას ხუროთმოძღვრებისაკენ, გამარჯვება კი რწმენასა და ძალისხმევას შემატებდა, ერთხელ შექმნილის განმეორებისა და გაუმჯობესების სურვილს გაუთკეცებდა. ამიტომ დილიდან დაღამებამდე ან ხარაჩოებზე იყო ან ფარდულებში, ყველაფერს წინასწარ სინჯავდა და ამოწმებდა, გუმბათს ისე შესციცინებდა და ელოლიავებოდა, როგორც საკუთარ პირმშოს. ყურადღებას არც სამრეკლოს მშენებლობას აკლებდა. დაღამების შემდეგ კი სენაკში იკეტებოდა და ნახაზებს ჩაკირკიტებდა. იგი იმავე სენაკში ჩასახლდა, სადაც შუარტყელელი ცხოვრობდა. აქ ინახებოდა ტაძრის გეგმა და ქვისაგან გამოთლილი ასლი. ცალმოგვისძეს სენაკში არაფერი შეუცვლია, არაფერი გადაუადგილებ-გადმოუადგილებია. მხოლოდ საკუთარი ხელით ნაჭედი და ნაწერი ხატი დაკიდა კედელზე და ეს ხატი, ღვთისმშობლის ჩვილედი, მართლაც დიდი ოსტატობით იყო შეჭედილი და ნაწერი. თუ ტაძრის დამთავრებას მოესწრებოდა, სერაპიონი იმ ხატს მის დამწერს სთხოვდა და ტაძარში გადაასვენებდა.

გაბრიელ გარბანელი კი გამოჯანსაღდა, მაგრამ ამით სერაპიონს სადარდებელი არ მოჰკლებია. ფული სწრაფად ილეოდა, სამთავროში კი შინაარსილობა არ ცხრებოდა. არა და სამუ-

შაო თუ მატულობდა, თორემ არ კლებულობდა. გუმბათი ჯერ ნახევრამდეც არ იყო ამოყვანილი, სამრეკლოს დამთავრება და მოპირკეთება სჭირდებოდა. შოლიანად ასაშენებელი იყო სამთაღოვანი კარიბჭე, ჩამოსასხმელი ზარები, შესაბათქაშებელი ტაძრის შიდა კედლები და კიდევ სხვა მრავალი წვრილმანი, რაც გაუთვალისწინებელ ხარჯებს ითხოვდა. გარბანელმა შარშანდელი ღვინისა და ზედმეტი სანთლის გაყიდვა კი მოახერხა ისე, რომ მათ გარდა არავის არაფერი გაუგია, მაგრამ იმ ხარჯებთან შედარებით, რასაც ტაძრის მშენებლობა ითხოვდა, ეს ზღვაში წვეთი იყო. არც ეპარქიის მიერ შემოწირული თანხა აღემატებოდა წვეთს, ეპარქიასთან უჭირდა, ბაზილიკებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ეკლესიების მშენებლობასაც ფული სჭირდებოდა. არა და როგორც კი ფული გათავდებოდა, მშენებლობაც შეჩერდებოდა და მეორე სასწაული აღარ განმეორდებოდა, ქველმოქმედების მიზნით არავინ გაიღებდა იმდენ თანხას, რამდენიც ქავთარ ქუაბელმა შემოსწირა მონასტერს. ისევ აირ-დაირეოდა ყველაფერი, დაიფანტებოდნენ ოსტატები, ხისა და ქვითხუროები, ქვაზემკვეთებლები, მეურმეები, ხოლო ვინც დაბაში დარჩებოდა, ისევ მიჰყოფდნენ ხელს ღვინის სმას, ჩხუბს, მრუშობას. შეიძლება ამასობაში შინააშლილობა დამცხრალიყო და სამცხის მთავარს — ჯერჯერობით ღმერთის გარდა არავინ იცოდა, ვინ გახდებოდა მთავარი — ტაძრის მშენებლობის დასამთავრებლად გაეღო კიდეც საჭირო თანხა, მაგრამ სერაპიონს წარმოდგენაც კი უჭირდა იმისა, რომ ყველაფრის თავიდან დაწყება და მოგვარება მოუხდებოდა. ამისათვის მას აღარც ძალ-ღონე ეყოფოდა და აღარც ხანი დააცლიდა ამდენს. მისი ჯანმრთელობა უარესდებოდა, სახსრებისა და თავის ტკივილს ახლა ისიც დაემატა, რომ ხანდახან თვალებზე ბინდი ეფარებოდა და საგნებს ბუნდოვნად ხედავდა.

თუმცა ამ ცოტა ხნის წინათ ერთი რამ მაინც მოხდა ისეთი, რამაც სერაპიონს იმედი გაუღვივა. ერთ მშვენიერ დღეს მონასტერს სულა მირიანისძე მოადგა და ბერად აღკვეცა ითხოვა. სერაპიონს იგი მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი, მაშინ, როცა გიორგი ჩორჩანელს წესს უგებდა. სამივე ძმა ერთმანეთის გვერდით იყო ჩამწკრივებული და ოქროთი ნაქარგი შავი კაბები ეცვათ. მაშინ ისინი ახალგაზრდები იყვნენ, თმა და წვერი მოხდენილად ჰქონდათ შეკრეჭილი და დავარცხნილი, თავი ისე ეჭირათ, იგრძნობოდა, სამთავროს ბატონ-პატრონები რომ არიან. ამიტომაც ვერ იცნო სერაპიონმა ახლა სულა მირიანისძე, რომელსაც ბერის გრძელი ჩოხა ეცვა, თმა და წვერი მოშვებული და აბურძგვნილი ჰქონდა, ფეხებზე მდაბიური ქალამნები ეცვა, მკერდზე კი ბრინჯაოს დიდი ჯვარი ეკიდა და სერაპიონს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს სულა მირიანისძეს ამ ჯვრის სიმძიმე ბეჭებში ხრიდა. სერაპიონი მხოლოდ მაშინ განცვიფრდა, როცა მწირმა უთხრა, ვინ იყო და რა უნდოდა. სულა ოდნავ ჩამოჰგავდა გიორგი ჩორჩანელს, მაგრამ მასზე უფრო დაბალი და მოუქნელი იყო, ხორციც უფრო მეტი ესხა, აზრის ჩამოყალიბება და გამოთქმაც ბიძაზე უფრო უჭირდა. ამიტომაც ვერ მიხვდა სერაპიონი თავიდან, რატომ უნდოდა ამ დიდგვაროვან კაცს ბერად შედგომა, ვის უტოვებდა თავის წილ მამულსა და ქონებას. ხურციისძეებმა რომ ოჯახი ამოუწყვიტეს, ეს სერაპიონმა იცოდა, მაგრამ სულა მირიანისძე ჯერ კიდევ არ იყო იმ ხნის კაცი, რომ ხელახლა ვერ მოკიდებოდა ოჯახს. შეიძლება სამთავროსათვის ბრძოლამ დაღალა, შეიძლება მობეზრდა ამდენი სისხლისღვრა და ქიშპი, შეიძლება მიწიერ ცხოვრებაზე აუცრუვდა გული და გადაწყვიტა ღმერთს შესდგომოდა, ფიქრობდა სერაპიონი და სტუმარს ეგვტერისაკენ მიუძღოდა. პირდაპირი და გულღია საუბარი კი მათ შორის მხო-

ლოდ მას შემდეგ გაიმართა, როცა ეგვტერში შევიდნენ და მერხზე ჩამოსხდნენ.

— თუ იცი, შვილო, რა მძიმეა იმ ფიცის აღსრულება, ყოველმა ბერად აღკვეცილმა რომ უნდა დადოს? — ჰკითხა სერაპიონმა და კრიალოსანის ჩამომარცვლა დაიწყო.

— ვიცი, მამაო.

— და მაინც გინდა ბერად აღკვეცა?

— მინდა, მამაო.

— რამ გაიძულა, შვილო, ციხე-დარბაზი ბერის სენაკზე გაცვალო?

— სამთავროსათვის ბრძოლა ისე გამწვავდა, მამაო, რომ ჩვენ სამში ორი აუცილებლად უნდა დაიღუპოს, ერთმა ძმამ დანარჩენ ორს ან საკუთარი ხელით უნდა მოუღოს ბოლო ან ჯალათს მოაკვლევინოს. ორი ძმის მოკვლას და ამხელა ცოდვის თავზე აღებას მე ისევ უსამთავროდ დარჩენა მირჩევნია. მაგრამ ეს მუხთალი წუთისოფელი ისეა მოწყობილი, რომ თუ მე არ მოვკალი ისინი, ან გზიდან არ ჩამოვეცალე, ბოლოს ისევ მე მომკლავენ და ამიტომ გადავწყვიტე მონასტერს შევაფარო თავი. ბერად აღკვეცილი კაცი მათთვის საშიში აღარ იქნება. ბერზე და ღვთით შემოსილ ძმაზე ადვილად ვერ აღმართავენ ხელს, გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც ცოლ-შვილი ამომიწყვიტეს, რა ოხრობად მინდა მამული და ქონება.

— თქვენ კიდევ შეგიძლიათ ოჯახს მოეკიდოთ და გამრავლდეთ.

— არა, მამაო, იმის გადატანა, რაც ერთხელ უკვე გადავიტანე, მეორედ აღარ მინდა. ისეთი რამ კი, რაც მე გადამხდა თავს, მეორედაც შეიძლება განმეორდეს და მესამედაც.

— მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია, შვილო.

— მე აღარც მგლობა მინდა, მამაო, და აღარც ცხვრის მწყემსვა, ჩემთვის ახლა მთავარია მყუდროებისა და სულის სიმშვიდის მოპოვება.

— ბერად შედგომისათვის მარტო სურვილი არ კმარა, შვილო, ამისათვის რწმენაცაა საჭირო. იცოდეთ, ნახევრად მორწმუნეობას ურწმუნოება ჯობია.

— ვიცი, მამაო, რომ არ მწამდეს, აქ არ ამოვიდოდი.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

სინანულით მოსაგონარი

ძალზე რთულ დროს გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე ორმოციანი წლების ახალგაზრდა მწერლები, ეგრეთ წოდებული „ჩვენითაობელები". ასე ვუწოდოთ უფროსთა და უმცროსთა შორის გამოსარჩევად ამ თაობას, რადგან მათი მწერლური ნათლობა და, შეიძლება ითქვას, დავაუკაცებაც იმდროის ახალგაზრდულ ჟურნალ „ჩვენი თაობა"-ს ფურცლებზე მოხდა. არ მინდა დავარქვა მათ „ორმოციანი წლების თაობა", მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელთა შემდეგ უხერხულია ათწლეულებად დავყოთ დღევანდელი მწერლობა. დღეს ეს მოდაშია და ისე მოურიდებლად გავიძახით, სამოციანელებიო, თითქოს გასული საუკუნის სამოციანელთა მსგავსი რეფორმები მომხდარიყოს ლიტერატურაში. ისე დიდია იმ სამოციანელთა ღვაწლი, ჩვენი დროის მცირე სტილური სიახლეების გამო ნუ დავიყოფით ორმოცდაათიანელებად, სამოციანელებად, სამოცდაათიანელებად, ოთხმოციანელებად და ასე შემდეგ, შევუნარჩუნოთ იმ ბუმბერაზ სამოციანელებს კარგა ხანია უკვე საყოველთაოდ ცნობილი და ლიტერატურათმცოდნეობაში მყარად დამკვიდრებული სახელწოდება.

რაკი დღეს ალექსანდრე საჯაიას ვიგონებთ, ორიოდე სიტყვით მინდა მოვიგონო მისი და მისი თანატოლების საყვარელი ჟურნალი „ჩვენი თაობა". მათ პირველად ამ ჟურნალის რედაქციის კარი შეაღეს თავიანთი უმაწვილური ლექსებით, აქვე დახვდათ უფროსი თაობის გულკეთილი და გულისხმიერი მწერლები, რომელთა რჩევა-დარიგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ ჟურნალით იგრძნეს ლექსის დაბეჭდვის პირველი სიხარულიც.

პირველი მნიშვნელოვანი სიხარული.

შეედრება ამ სიხარულს პირველი სიყვარული?!

ახაკობრივად ერთსა და იმავე დროს შეიპყრობს ისინი უმაწვილს, ერთნაირი ძალით გათანგავს მათ გულს, მაგრამ ამ ორ ფენომენს შორის მაინც არის დიდი განსხვავება — გამიჯნურების უეცარ ელდას, პირველ სიყვარულს ჭაბუკი უფრთხის, ცდილობს, დამალოს, არავინ შემამჩნიოსო, განსაკუთრებით იმის ეშინია, მიჯნურმა არ გაუგოს, დიდხანს შეუმჩნევლად უნდა ატაროს ეს გრძნობა.

ლექსის დაბეჭდვის პირველი სიხარული კი სხვაა, სხვანაირია, მაშინვე ააფრიალებ გაზეთს თუ ჟურნალს, მთელ ქვეყანას შესძახებ, აი, ჩემი ლექსიო. ამას ვერ დამალავ.

ასეთი სიხარული მიანიჭა ამ ჟურნალმა ბევრ ახალგაზრდა მწერალს და მათ შორის ალექსანდრე საჯაიასაც, რომელსაც ახლა სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო. ძალიან ადრე წავიდა ის ჩვენგან, ძალიან ადრე გამოაკლდა არაჩვეულებრივ თანატოლებს. ომის დროს ახლო მეგობარს, რევაზ მარგიანს, ესტუმრა სვანეთში, — მესტიაში, მოულოდნელად ავად გახდა და ვეღარ გადაარჩინეს მეგობრებმა, რა არ იღონეს, რა წამლები არ ჩაუტანეს თბილისიდან, საუკეთესო ექიმებიც ჩაიყვანეს, მაგრამ სიკვდილს ვერ გამოსტაცეს ხელიდან. ეს დღეები გულისტკივილით აღწერა თავის მოგონებაში მისმა უახლოესმა მეგობარმა ვახტანგ ჭელიძემ. ომის წლებმა იმსხვერპლეს აგრეთვე ალ. საჯაიას ღვიძლი მეგობრები ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი.

უკვე მოგახსენეთ, რომ მათი ლიტერატურული დებიუტი რთულ დროს დაემთხვა. ლიტერატურისათვისაც რთული დრო იყო, ღონიერდებოდა ახალი იდეოლოგიის მწერლობა, იყო შეხლა-შემოხლა, კლასიკოსებსაც კი უარყოფდნენ, — იწერებოდა ამდაგვარი წერილებიც, — ახლა კონკრეტული ფაქტების გახსენება მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, გადაფასდა მაშინდელი ბევრი შეხედულება, მადლო-

ბა ღმერთს, რომ ეს ასე მოხდა, უშეცდომოდ არ მკვიდრდება ახალი, მაგრამ შეცდომა ჩაქუჩივით გამუდმებით არ უნდა ვურტყათ შუბლზე ადამიანს, ისე კი, საერთოდ უნდა გვახსოვდეს ამგვარი მოვლენები. იმიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ნათლად გავერკვეთ დროის მაჯისცემაში, იმ სიძნელეებში, რაც წინ ეღობებოდათ ახალ და ახალ თაობებს.

ამ ბარიერებს წაწყდნენ „ჩვენი თაობელებიც". მათ სკოლის მერხიდანვე ჩასჩიჩინებდნენ, რომ გალაკტიონ ტაბიძე „თანამგზავრიაო". თუმცა ჩვენი დროის ამ უდიდეს პოეტს „ეპოქა" და „რევოლუციური საქართველო" დაწერილი ჰქონდა, მაინც ასე ეძახდნენ. საბჭოთა ქართული პოეზიის სული და გული, ფუძემდებელი, განმავითარებელი, პოეტური სიტყვის ახალი საოცრებებით გამამდიდრებელი კი არა, — თუმცა არც ამას უარყოფდნენ, — „თანამგზავრიო". ჩაგვჩიჩინებდნენ ასე, ჩაგვძახოდნენ, გვასწავლიდნენ, ასე რომ არ გვეპასუხნა მასწავლებლებისათვის, გალაკტიონის უცოდინარობაში ჩამოგვართმევდნენ, ორიანებს დაგვიწერდნენ, მაშინ, როცა ზეპირად ვიცოდით მისი ლექსები, გათანგული ვიყავით ამ მომაჯადოებელი პოეზიით, განსაკუთრებით ყმაწვილი ლიტერატორები, ვბაძავდით მას, ვსწავლობდით მისი ლექსის საიდუმლოებას, ვწერდით ლექსებს მასზე, მისგან ვიწყებდით პოეტურ სვლას მომავლის გზაზე. რა თქმა უნდა იყვნენ სხვა მასწავლებლებიც, რომლებიც სწორად წარმართავდნენ ჩვენს არჩევანს.

ვინც გულისყურით დააკვირდება ალექსანდრე საჯაიას და მისი მეგობრების ჭაბუკურ ლექსებს, შეამჩნევს გალაკტიონისა და იმ დროის სხვა გამორჩეული პოეტების პოეზიის ამ ხიმპატიებს. ეს არ იყო ბრმა მიმბაძველობა, ეს იყო მხატვრული ფორმების იმ გზების ძიება, რომლებითაც უნდა გაგრძელებულიყო თანამედროვე ლირიკის განვითარება.

ამ მხრივ „ჩვენმათაობელებმა", მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ ყმაწვილები იყვნენ და ნაკლებად გრძნობდნენ საკუთარი გამოცდილებების იმპულსებს, მაინც შეძლეს საყურადღებო ახალი პოეტური სიტყვა ეთქვათ.

პანეგირიკული, ოდური და სახოტბო ლირიკის მოძალებასაც „ჩვენითაობელების" გამორჩეულმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა შეძლეს თავის შეკავება, ამ მოძალებულმა ტალღამ ვერ აიყოლია ისინი. ეს ის დროა, როცა ლექსების ციკლებსა და განსაკუთრებით წიგნებს წინ უნდა წამძღვარებოდა სახოტბო ლირიკის ნიმუშები, თორემ გაჭირდებოდა მათი გამოქვეყნება. ერთგვარი ხარკი „ჩვენმათაობელებმაც" გაიღეს, მაგრამ ძირითადად მაინც თავისი პოეტური მრწამსი შეინარჩუნეს.

რა თქმა უნდა, ჟურნალ „ჩვენი თაობის" ფურცლებიც აივსო ამგვარი ნაწარმოებებით. ასეთ ვითარებაში ალექსანდრე საჯაიამ და მისმა რჩეულმა თანატოლებმა ჟურნალის ფურცლებზე მკითხველ საზოგადოებას შესთავაზეს თემატურად მრავალფეროვანი, თავთავიანთ ხმაზე აწყობილი პოეტური სიტყვა, ადამიანური ფიქრი და ტკივილი, ბუნებისა და მშობლიური კუთხეების მომნუსხავი ფერები და, რაც მთავარია, ნამდვილი, გულში ჩამწვდომი, ამაღელვებელი, იმ ხანებში ქართულ პოეზიაში ოდნავ მიწყნარებული პატრიოტული მოტივები. ეს რომ დღევანდელი მკითხველისათვის უფრო ნათელი გახდეს, მოდით და ერთხელ კიდევ თვალი გადავავლოთ აწ უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ჟურნალ „ჩვენი თაობის" ზოგიერთ ნომერს. სწორედ ამ ნომრებშია დაბეჭდილი ის ლექსები და პოემები, რომლებიც დღეს საყოველთაოდ ცნობილია და რომელთა დიდი ნაწილი ჩვენს ანთოლოგიებშია შეტანილი. თუ მკითხველს არ გადავლილი, რამდენიმე მათგანს აქვე შევახსენებ, ამით ჟურნალის პროფილიც უფრო ცხადად გამოიკვეთება:

ალექსანდრე საჯაია:

ლექსები სომხეთზე, „მე ახალგაზრდა ხეც მიყვარს, როცა", „ნიავს ვუსმენდი, ჩუმი და ტკბილი", „ქუხილი", „ორი და", „ავდარი", „თოვლის ქალი", „ჩიტები", პოემა „უტუ მიქავა", თარგმანები: შექსპირის ორი სონეტი, ედგარ პოს „ანაბელ ლი".

ლადო ასათიანი:

„ძველი მოლოცვის მოსაგონარი", „სამი უსათაურო", „დასვენების დღე", „ლეჩხუმური შემოდგომის სურათები", „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა", „ფიროსმანის მეგობრებთან", „ვაჟაფშაველას ნაამბობი", „ანდერძი", „ცაგერის ბაზრობა", „კრწანისის ყაყაჩოები", პოემა „კოლხიდა".

რევაზ მარგიანი:

„დევეთგერის ნასახლარი", „ბარათაშვილის გახსენება", „ბაქოს გასაღები", „სვანები ძველ იმერეთში", „მეწყერი", „ძიძისადმი", „შენ და ტყემლის ხე", „ნაია", „ჯიბვის სიკვდილი", „თოვდა, ფიფქიან წამწამებს შენსას", „გზაში".

მირზა გელოვანი:

„აონი", „საუბარი ოორთან", „ფანდური", „ცხრაკარა", „ხევსურული ნანა", „განშორება", „ლადო გუდიაშვილს", „შემოღამება საბადურზე", „ბეჭედი", „გალაკტიონს", „ბალადა შავლეგოზე", „იქნებ ძვირფასო, მარტო ხარ ისევ", „დამშვიდება", „შენს შემდეგ", პოემა „შავნაბადა".

გაბრიელ ჯაბუშანური:

„არხოტული სიმღერები", „ხმალი", „არხვატელი შევარდენი", „თავთავების საუბარი", „თეთრმა ნისლმა", „დაბრუნება", „ქილილა და დამანა", „მშვიდობით", „თისმარიანი", „ჯიბვები", „იალაღი", „ვაჟასთან სათქმელი", „ამინ-

დის კალენდარი", „გაზაფხულის თოვლი", „სხივი ჭალაში".

ალეკო შენგელია:

„ყავალი", „ამორძალი", „შველი", „ამბავი ჭალარა ფიქვისა", „კოლხური შემოდგომა", „სამშობლო ჩემი", „თქმული საიალალოდ", „ნიყარაზე ამოკითხული", „როგორც კოლხეთის უმთვარო ღამე", „მე მივდიოდი და გიგონებდი", „ცაზე ჰკიდია ერთი ღრუბელი", „ცივი გათენება", „სარეცელში ჩაირინდა", „სიზმარი", „ხის ჭრილობა", „დედა".

იოსებ ნონეშვილი:

„მოგონება ნაცნობ ხეივანში", „მოდინახე", „ღამე მეთევზესთან", „ღამე ქუთაისში", „დაბრუნებული არწივი".

ვლადიმერ უბილავა:

პოემა „ტობა ვარჩხილი" და სხვა ლექსები.

ეს და სხვა ამგვარი ლექსები „ჩვენი თაობის" ფურცლებზე დაბეჭდა და დიდი მოვლენა იყო ერთი მეტად მცირე მოცულობის ჟურნალის რამდენიმე წლის არსებობის მანძილზე. სხვა ბევრი ლექსიც არის დაბეჭდილი, მაგრამ ამ ლექსებმა განსაზღვრეს ჟურნალის სახე. ეს ნაწარმოებები მაშინ გამოჩნდნენ ლიტერატურულ ასპარეზზე, როცა საკმაოდ გახმოვანებული იყო ქართული ლექსის ოსტატის ალექსანდრე აბაშელის სტრიქონები: „ახლა ქუხილი არ ისტამბება, ხარი არ ყვირის მაღალ მთებიდან, ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან".

ოღონ არ იყო, რა თქმა უნდა, ძნელი იყო ამგვარი თემატური და ტონალური ლირიკის შექმნა და დამკვიდრება იმ დროს, როცა აქტიურად მოქმედებდნენ ლიტერატურულ ცხოვრებაში გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, სიმონ ჩიქოვანი და სხვანი. ამ გამოჩენილი პოეტების მხატვრული ინერცია ისეთი ძლიერი იყო, გამორჩეული პოეტური სახის გამოკვეთა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

იყო სხვა ბარიერიც. ახალი პოეტური ძიებები ძნელიც არის და სასიამოვნოც. მაგრამ ამავე დროს არასასიამოვნო და დამაბრკოლებელი იყო სხვა წინაღობათა გადალახვა. ამ წინაღობებს მაშინ ძლიერად ფეხმოკიდებული კრიტიკული აზროვნება ქმნიდა. აქეზებდა რა პანეგირიკულ ლირიკას, ისეთებსაც, რომლებიც მხატვრულად სუსტად გამოიყურებოდა, სიმკაცრის ქარ-ცეცხლით ხვდებოდა იმგვარ ლექსებს, რომლებიც ზემოთ აღვნიშნე.

ეს სუსხი ალექსანდრე საჯაიას ზურგმაც მტკივნეულად იგრძნო. ახალგაზრდა პოეტს სულ რამდენიმე ლექსი ჰქონდა გამოქვეყნებული „ჩვენ თაობაში", როცა ამავე ჟურნალში დაიბეჭდა ერთი ცნობილი ქართველი პოეტის წერილი „ლიტერატურის ახალი კადრები". ავტორი ახალგაზრდა მწერლების გულისხმიერი და მოუვარული იყო, მრავალი პროფესიული რჩევა მიუცია მათთვის, ისინიც გულისყურით უსმენდნენ მის რჩევა-დარიგებას, ამ წერილშიაც ზოგ საყურადღებო შენიშვნას გამოთქვამს ალ. საჯაიას ერთი ლექსის გამო, მაგრამ იმ დროს ისე იყო გაბატონებული პანეგირიკული ლირიკის აპოლოგია, ფსიქოლოგიურად ისე იყო მომართული ლიტერატორებიც, რომ ხსენებულ წერილშიც აირეკლა იგი. არ გამოვთქვამ საყვედურს, ამ წერილის მოხმობით აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ახალგაზრდა „ჩვენითაობელები" არ შეაკრთო ამგვარმა კრიტიკამ, ვერ შეუცვალა მათ მხატვრული პოზიციები. მოსალოდნელი კი იყო გულისგატეხვა. დრომ გაამართლა მათ მიერ არჩეული გზა, თურმე არც ისე ყოფილა საქმე, როგორაც მაშინდელი ზოგიერთი კრიტიკოსი ასახავდა მხატვრულ მოვლენებს, თურმე ჯანსაღი, თანამედროვეობის უდრეკი სულისკვეთებით ყოფილა გამსჭვალული ამგვარი კრიტიკის მიერ უარყოფილი ნაწარმოებები.

აი, რა წერია ზემოთ ხსენებულ წერილში:

„ხმის ერთგვარი სირბილე, სითბო ეტყობა ამხ. ალექსანდრე საჯაიას პოეტურ თქმას, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება ახასიათებს: მიუხედავად გაკვრით ჩართულ დღევანდელობის შეგრძნებით გამოწვეულ სახეებისა — მისი ლექსი ნეიტრალურ წმინდა ლირიკის პოზიციებზე დგას, უფრო მეტი — ცრემლების ერთგვარი მუსიკაც ისმის, ჩვენთვის უცხო განწყობილებათა გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. ეს არის დაცემულობის რაღაც შოთენთილობის, დაღლილობის განწყობილება". შემდეგ ავტორი განიხილავს ახალგაზრდა ალ. საჯაიას გულში ჩამწვდომ ლექსს „წერილი" და აღნიშნავს: „პოეტმა მიიღო დედის წერილი, უნდა ვიფიქროთ, ახალი სოფლიდან გამოგზავნილი, სტალინურ წესდებაზე აგებულ კოლმეურნეობიდან თუ არა, — მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობიდან. რას მოელის მკითხველი ასეთი სოფლიდან გამოგზავნილ წერილში? რა თქმა უნდა, ხალისის ნიაღვარს, რა თქმა უნდა, ახალი ბედნიერი ცხოვრებით გამოწვეულ საამურ განწყობილებათა გაზიარებას.

ის, — ჩიტისგულა
ცრემლით მიგონებს,
ვერ მალავს დარდებს, მშობლიურ
სურვილს.

რა დარდები შეიძლება აწუხებდეს დღეს მოსწავლე ახალგაზრდობის დედებს, სოფლად რომ მუშაობენ კოლმეურნეობაში? ალბათ პოეტს მხედველობაში აქვს შვილის ნახვის სურვილით გამოწვეული დარდი! ნუთუ ეს დარდი ასეთი ღრმაა, სოციალურ უკუღმართობითაა გამოწვეული..."

არ შეეცდები ამ გრძელი ამონაწერის ანალიზს, ვფიქრობ ისე ნათელია ყველაფერი, მკითხველს არ დასჭირდება ამის შესამჩნევად ჩემი დახმარება. შეიძლება არც იყოს საჭირო ახლა მსგავსი ნაწერების გახსენება, მაგრამ მაინც თუ ამოვიწერე, მხოლოდ იმისთვის, რომ ხაზი გამესვა. როგორი დიდი სიფრთხილეა საჭირო ახალგაზრდა, ოცდაერთი-ოცდაორი წლის მწერლის ნაწარმოებთა კრიტიკული ანალიზისას. კრიტიკოსი ბევრ საინტერესო შენიშვნასაც აძლევს ამ წერილში ალექსანდრე საჯაიას, მაგრამ ჭაბუკი პოეტი შეიძლებოდა დაეფრთხო მის ძირითად კრიტიკულ პათოსს.

ხომ გაიფიქრებდა ახალგაზრდა მწერალი, რა არის იმაში ცუდი, როცა ქალაქში მყოფი დიდი ხნის უნახავი შვილის გახსენებისა და მონატრებისას დედას თვალზე ცრემლი მოადგეს?

ამას კი ის პოეტი ამბობს, რომელიც გამოჩენისთანავე დაგვპირდა:

> დავხუჭავ თვალებს: ტრფობით დამთვრალი
> მე ჩემს სამშობლოს მივიკრავ გულთან...
> ძმებო, გული მაქვს ცამდე მართალი
> და მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა.

და რომელმაც ასე განგვიცხადა თავისი მისია პოეზიაში შემოსვლისას:

> წინ იყო მარტო სიბნელის ფარდა,
> ტყე-ველი, მუქად გადანაფერი!
> სხვა არაფერი, სიმღერის გარდა,
> მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი.

მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა გული მაქვსო, მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერიო, — ამ აზრითა და ტონით შეუდგა საკუთარი ფანდურის აწყობას და ზემოთ გაკრიტიკებული ლექსიც ბუნებრივი შედეგი იყო ამისა:

> ის ჩიტისგული, ცრემლით მიგონებს,
> ვერ მალავს დედა საოცარ სურვილს,
> და მოხუც მამის ნაწერ სტროფონებს
> მოჰყვა გამარგლილ სიმინდის სუნი.
> ვიცი, იქ ახლა ნისლი ირღვევა,
> ფითრდება ღამე თმაგიშრიანი,
> წაიკიდება ცეცხლი სიმღერას
> და ჯეჯილებში წავა შრიალით.
> ტყე მოხარული ატეხავს ხივილს,
> რომ მის გულშიაც სიმღერა ცოცხლობს,
> და ვნებიანი პირველი სხივი
> ფორთოხლის მკერდში დაანთებს კოცონს.
> ვუსმენ, წერილი მოჰყვება ამბავს
> ია ტრუანტელი ძარღვებში მივლის.
> გულგული ისევ მეძახის ალბათ,
> ყოველ საღამოს და ყოველ დილით.
> მე აქ ალიონს რუსთველით გავშლი,
> მსუბუქ ოცნებით შუბლდაღარული,
> ჩქეფს, იფერფლება წიგნების ყდაში
> ღამე, ფიქრები და სიყვარული.

ქალაქში მოსწავლე ყმაწვილი ჩასცქერის მამის ნაწერ წერილს და ფიქრით — მშობლიურ კარმიდამოს მისწვდება, ახლა იქ „ნისლი ირღვევა", „სიმღერას ცეცხლი წაეკიდება" და „ვნებიანი პირველი სხივი ფორთოხლის მკერდში დაანთებს კოცონს". ჩიტისგულა დედა კი ცრემლით იგონებს კარგა ხნის უნახავ შვილს.

ამგვარი მშვიდი, წყნარი, მაგრამ გამოკვეთილი მეტაფორებით აშენებს ახალგაზრდა ალექსანდრე საჯაია თავის ლექსს, ცდილობს, ლექსებში ხმის არ აუწიოს, ყურისმომჭრელი ბგერები არ გამოსცეს სტროფონებმა, ასეთ დროს ხომ შეიძლება პოეტურ აზრს სიყალბე შეეპაროს, სიყალბე კი არ უყვარს ჭაბუკ პოეტს, მოჩვენებითი მანერები უცხოა მისთვის, როგორც პიროვნებისთვის, ის მუდამ შიშობს, ქუხილი არ ალმოხდეს, რომელმაც შესაძლოა პატარა ქალს გული შეუკრთოს.

> თოვლი თოვს, თეთრი ქარია,
> თეთრ სამოსელით ვირთვები.
> ჩიტებო რა გიხარიათ,
> რისთვის მღერიხართ ჩიტები.
> დიდი ზამთარი იქნება?
> ნეტამაც ასე ინებოს!
> თქვენ მაინც რა გეფიქრებათ,
> რა გენანებათ, ჩიტებო?
> გადივლის, დაიფარება
> ფიფქებით, თოვლის ქულებით...
> თქვენ მაინც ვინ გეყვარებათ
> ამ პაწაწინა გულებით?
> თოვლი თოვს, უფრო თოვდება,
> თეთრ სამოსელით ვირთვები.
> მივდივარ, ალარ მშორდება
> მკერდგაღეღილი ჩიტები.

წმინდა და ანკარა თრთოლვა გვედება ლექსის კითხვისას, საამოდ შემოდის ჩვენში თოვლის სითეთრე, არ გვსუსხავს დიდთოვლობა და „თეთრი ქარი", თანაგრძნობით ვიმსჭვალებით „მკერდგაღეღილი ჩიტების" მიმართ, ვგრძნობთ მათი პაწაწინა გულების ცახცახსაც. არ ვიცი, შემდეგ, ასაკობრივად ზრდასთან ერთად როგორ წარიმართებოდა მისი პოეტური გზა მომავალში, — რაც დაგვიტოვა, მხოლოდ ამ გზის დასაწყისი იყო, — მაგრამ როგორი ფერისცვალებაც არ უნდა განეცადა მისი ლექსის ფორმას, შინაგანი პულსი მაინც იგივე დარჩებოდა, რაც სიჭაბუკიდანვე შეეტყო.

პოემა „უტუ მიქავა" ახალგაზრდა პოეტის თითქმის ბოლო ნაწარმოებია და მასში ჩანს, რომ პოეტს აინტერესებს ცხოვრების უფრო აქტიური, მჩქეფარე, საზოგადო მოვლენები, რომელსაც უნდა მიესადაგოს თავისებური მხატვრული ქსოვილიც. მიმართა რა სახალხო გმირს, უტუ მიქავას, ალექსანდრე საჯაიამ უფრო მარჯვედ მოიხელთა მეგრული ფოლკლორისათვის ნიშანდობლივი ფერები და ტონა-

ლობა, თავისებურად მოიმარჯვა და ამის გამო პოემის გარეგანი სახე ერთგვარად განსხვავებულია წინანდელ ლექსებთან შედარებით.

ეს ნისლია ლაკადური, კოლხიდური კი არა,
მოიარა მელისჭური, ურთა გადაიარა,
და სოფელი შერისხული შავად
გადაინისლა...
რა ხანია შეიცხადა ჩიტმა მოსვლა დილისა.
რა ხანია შოშია და მოლაღური ხმიანებს.
მზე კი არ ჩანს, არ მოსულა, მზე კი
დაიგვიანებს.

„უტუ მიქავა" ლირიკულ-ეპიკური პოემაა. ახალგაზრდა პოეტის ინტერესთა წრე გაფართოვდა. იგი დაინტერესა ხალხისა და მისი საყვარელი გმირის ურთიერთობამ, ფოლკლორული წყარო ალ. საჯაიამ თავისი ხელით გამოძერწილი თასით მიაწოდა მკითხველს, რომელიც მანამდე მისი ლექსის სხვა ხმას, სხვა მელოდიით ყღერადობას იყო მიჩვეული. აქამდე პოეტის სხვადასხვა მხატვრული ფერი ერთმანეთში ისე იყო შეზავებული, ცალ-ცალკე ვერ ვარჩევდით, არ ეტყობოდა რომელიმე მათგანზე განსაკუთრებული ყურადღება, ვთქვათ, მაგალითად, რითმაზე. პოემაში უკვე შესამჩნევად ისმის რითმის ყღერადობა და ეს ახალი თვისება გამოჩნდა ალ. საჯაიას ლექსში.

მთვარეე გარს რომ გახვევია მეწამული
ვარდებიო,
გვარქვი: მთიდან ამოსული ზღვაში რატომ
ვარდებიო.
ჩვენც იმ ზღვიდან მოსული ვართ,
სამშობლოში ვართ დებიო.
გაზაფხულის მერცხლები ვართ, ცაზე
მონავარდებიო.

ახალი სათქმელისა და თემების მიერ ბაიწყო, თითქოს თავისი ჩვეულებრივი ხალხური ლირიკული სამყაროდან გამოსვლა სცადა. გმირული სულის გამოხატვის ყინი მოერია. ამას გვიდასტურებს მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ლექსიც „სიმღერა მურზაყანზე". სვანური ფოლკლორის გმირის შეურყეველი სულის ბიმნია ეს ბალადა. მტერი მთებს მოადგა, მთებს, საცა „გზა ფრიალოს ფეხებს ებლანდება ბაწრად".

სვანის ფართო მხრები მთებს გალავნად ეყოფა,
ციხე-კოშკად სვანის მოუხრელი ქედი.
კლდესთან ვერაგ ურდოს მკერდით
გადაეღობა
და კლდე იყო მაშინ მურზაყანის მკერდი.

სიცოცხლის ბოლო წლებში ფერისცვალება დაეტყო ალ. საჯაიას ჭაბუკურ ლექსებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ის განუწყვეტლივ ეძებდა ახალ ხმას, სათქმელს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდას უნივერსიტეტის კედლებშივე უკვე შეძენილი ჰქონდა მრავალმხრივი, პროფესიული ცოდნა, თარგმნიდა კიდეც ინგლისურიდან შექსპირს, ედგარ პოს, შელის, უყვარდა შრომა და, რაც მთავარია, ჰქონდა ხალასი პოეტური ნიჭი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომავალ სამწერლო გზაზე იგი მრავალ ახალ და უფრო ხრულყოფილ მხატვრულ აღმოჩენებს შემოგვთავაზებდა.

ამიტომ ვიგონებთ სინანულით, ამიტომ ვწუხვართ, რომ ძალზე ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან და დღეს პირადად ვერ ვულოცავთ დაბადების სამოცდაათი წლისთავს. ეჭვი არ გვეპარება, მომავალი თაობები ასეთივე სინანულით გაიხსენებენ მრავალი ათეული წლის შემდეგაც ალექსანდრე საჯაიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან რობაქიძე

არამუსიკალური „მეოთხე სიმფონია“

რეზო ჭეიშვილის მოთხრობა „მეოთხე სიმფონია“ მკითხველს მისი შინაარსისათვის ერთობ უჩვეულო და პრეტენზიული სახელწოდებით მოევლინა. წაიკითხავ ამ ვრცელ მოთხრობას და არ შეიძლება, მაშინვე არ აგეკვიატოს ფიქრი, რატომ უწოდა მწერალმა მას „მეოთხე სიმფონია“.

ლიტერატურის ისტორია იცნობს პროზაულ ნაწარმოებებს, რომელთაც „სიმფონიები“ ჰქვია. ასეთია, მაგალითად, ცნობილი რუსი სიმბოლისტი მწერლის, ანდრეი ბელის მოთხრობების ციკლი „სიმფონიები“, რომელთაგან უკანასკნელია „მეოთხე სიმფონია“. „მეოთხე სიმფონიაც“, ისევე როგორც პირველი სამი, სიმბოლისტური პროზის ტიპიური ნიმუშია, სადაც წამყვანი სწორედ მუსიკალური მომენტია და ამიტომ, სათაური ჩვენში არ იწვევს სიუცხოვის განცდას. სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე რ. ჭეიშვილის აღნიშნულ მოთხრობასთან დაკავშირებით. იგი არ წარმოადგენს რიტმულ-მუსიკალურ პრინციპზე აგებულ თხზულებას და, ამდენად, მის „სიმფონიურობაზე“ ლაპარაკიც ზედმეტია. მოკლედ, იმის თქმა გვსურს რომ ქართველი პროზაიკოსის მოთხრობის სათაური ა. ბელის ამავე სახელწოდების ქმნილების სათაურთან პარალელის გასავლებად არ გამოდგება.

იქნებ რომელიმე ცნობილი კომპოზიტორის მიერ შექმნილ მეოთხე სიმფონიაში არის გატარებული რაიმე ისეთი აზრი, რომელიც რაიმე მსგავსებას პოულობს რ. ჭეიშვილის ამ ნაწარმოებში ასახულ მხატვრულ სამყაროსთან? მაგრამ რომელი კომპოზიტორის ქმნილება შეიძლება მივიჩნიოთ ამოსავალ წერტილად?

დასავლეთ ევროპის მუსიკალური კულტურის ცნობილი მკვლევარის, ვ. ფერმანის, აზრით, ბეთჰოვენის მეოთხე სიმფონია, „თითქოს იდილიური შესვენებაა განვლილი დრამატული ქარიშხლის შემდეგ“.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სიმფონიების ყველაზე აღიარებულ ოსტატად ბეთჰოვენია მიჩნეული, მაშინ, ისღა დაგვრჩენია, სპეციალისტის მიერ გამოთქმულ ზემოთ მოყვანილ შეხედულებას „ჩავეჭიდოთ“ და დავასკვნათ: რადგან ბეთჰოვენის მეოთხე სიმფონიაში, იდილიური განწყობილება დომინირებს, შეიძლება რ. ჭეიშვილმაც თავის მოთხრობას იმიტომ უწოდა „მეოთხე სიმფონია“, რომ მასში აღწერილი მხატვრული სინამდვილე სწორედ იდილიურის საწინააღმდეგო ვითარებაზე მეტყველებს. თუ ეს ასეა, მაშინ რეზო ჭეიშვილის ნაწარმოების სათაური ალეგორიული მნიშვნელობით არის გამოყენებული და აშკარაა მისი ირონიულ-პაროდიული ხასიათი. თუ მოთხრობის სახელწოდების ამგვარი გაგება მწერლისეული ჩანაფიქრის იდენტური არ აღმოჩნდა, ის კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ნაწარმოების სათაურში სიტყვა „სიმფონია“ მოწესრიგებულობისა და ჰარმონიულობის საპირისპირო ალეგორიული მნიშვნელობით არის ნახმარი.

ახლა მოთხრობის სათაურის, ცხადია, სუბიექტური გააზრების შემდეგ საჭიროა პასუხი გაეცეს მთავარ საკითხს: რას წარმოადგენს ეს პროზაული თხზულება, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი.

„მეოთხე სიმფონია“, ისე როგორც რეზო ჭეიშვილის არაერთი ნაწარმოები, ძირითადად იუმორზე დამყარებული მხატვრული ხედვის პრინციპზეა აგებული. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იუმორი აქ ყოვლისმომცველია. იგი აღწევს ყველგან, სადაც კი ავტორს „ხელი მიუწვდება“ და აღწევს იქაც, სადაც მისი არსებობის აუცილებლობა ნაკლებად იგრძნობა. მხატვრული გამოსახვის ამგვარი მანერა მწერალს ისეთნაირად აქვს მომარჯვებული, რომ ზოგჯერ ჭირს გარჩევა, სად მთავრდება იუმორი და სად იწყება გროტესკი. სიცილის გამომწვევი მიზე-

ზები და სტიმულები მეტწილად ირონიულ სამოსელშია გახვეული, რის გამოც ხშირად ითრგუნება მკითხველში მხიარული განწყობილების განცდა. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ფაქტორი თანამედროვე გროტესკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია: „ესაა გროტესკი ძირშივე ჩაკლული სიცილით, ანუ რადიკალური ტრაგიკომიზმის გამომხატველი ნაწარმოები, სადაც ტრაგიზმი სიცილს ახშობს, მაგრამ ამასთან თითქოს თვითონ იწამლება ამ სიცილით და თავის აუცილებელ ელემენტს, ამაღლებულის პათოსს კარგავს“ (ზ. კაკაბაძე).

„მეოთხე სიმფონიაში“ უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, ქართველი თარჯიმანი ქალი ეუბნება, რომ საქართველოში ორჯერ მეტი სტუდენტია, ვიდრე საფრანგეთში და სამჯერ მეტი, ვიდრე იტალიაშიო. ამგვარი საუბრის პროცესში ერთ-ერთ უცხოელს ტუალეტში შესვლა მოუნდება, მაგრამ იქ მოხვდერა შეუძლებელია აუტანელი სიბინძურის გამო. თარჯიმნის გვერდით მყოფნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა სტუმარს როგორმე გადააფიქრებინონ თავისი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი. არ შეიძლება ამგვარი ადგილის წაკითხვის შემდეგ მკითხველს სიცილი არ მოერიოს, მაგრამ ეს სიცილი უკვე აღარ იქნება ჯანსაღი, რადგან იგი მკაცრ ირონიასთან არის წილნაყარი.

ჩვენი რესპუბლიკა სტუდენტთა რაოდენობის მხრივ რომ ბევრად უსწრებს ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვან ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, მწერლის აზრით, რასაკვირველია, საამაყოა, მაგრამ საამაყო არ არის ის, თუ როგორ და რა საშუალებებით მიიღწევა ხოლმე ზოგიერთი ახალგაზრდის სტუდენტად მოვლინება. ამ მოთხრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ „ციებ-ცხელების“ აღწერას, „ციებ-ცხელებისას“, რომელიც არც თუ იშვიათად ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მანკიერი თვისებების გამომჟღავნების სტიმულად იქცევა ხოლმე. „მეოთხე სიმფონიაში“ ამ მხრივ ყველაფერი ისეთი მხატვრული დამაჯერებლობითა და დეტალური სიზუსტითაა გადმოცემული, თითქოს მკითხველი სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლის მაყურებელი ხდება. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს, როდესაც ავტორი ნაწარმოების ერთ მონაკვეთში დავით კლდიაშვილის ცნობილი პიესის „დარისპანის გასაჭირის“ მსგავს პასაჟებს გვთავაზობს. ჩვენ ვხედავთ, რომ დარისპანს (მოთხრობაში მის ორეულს დათიკო ჰქვია) უკვე სხვაგვარი გასაჭირი დახდგომია. მას სურს თავისი ქალიშვილი შოაწონოს „სახიძოებს“, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე მიწვეული გამომცდელები ბგონია.

ნაწარმოების მიხედვით ირკვევა, რომ მძიმე ავადმყოფობისაგან დაუძლურებულა და სასიკვდილოდაა განწირული ქუთაისელი შოფერი ეორია. როგორი ტიპია იგი, მოთხრობაში მისი პირველი გამოჩენისთანავე ვხვდებით: „რა ეოფილა ეს ისტორიაო, უთხრა ეორიამ ბესოს იმ დღეს. მონათმფლობელობა ავიღოთ თუ გინდა, ისიც საინტერესოა. სკოლაში არ ვსწავლობდი და არ ვსწავლობდი, მერე იყო და არ ვსწავლობდი, მერე კიდევ რაღას ვისწავლიდი და ახლა ნარგიზას მეცადინეობას ვუგდებ ყურს, რაღაცრაღაცეებს ვიმახსოვრებ, აღარა ვსვამ და ვკითხულობ კიდეც ხანდახან. რა ეოფილა ეს ისტორია, მონამფლობელობა იყოს თუ გინდა!“ ამგვარი მონოლოგის შემდეგ მკითხველი თითქოს საკუთარი წარმოსახვით ხატავს ამ პერსონაჟს, რომელიც თურმე გარეგნობის მიხედვით, „მაღალი ბეჭდაწვრილებული მუცელგაბერილი კაცი“ ყოფილა. მისი გულუბრყვილო საუბარი ისტორიით დაინტერესების შესახებ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გვიმხელს ქუთაისელი შოფრის შინაგან რაობას. „მეოთხე სიმფონიაშიც“ დიალოგების მეშვეობით პერსონაჟების, ტიპებისა და ხასიათების გამოძერწვარ. ჭეიშვილის, როგორც პროზაიკოსის, ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა.

მძიმე ავადმყოფი ეორია (პერსონაჟისადმი ჰუმორული დამოკიდებულება იგრძნობა კნინობითი ფორმით ნახმარ სახელშიც) განწირულია დასაღუპავად. აქ, რასაკვირველია, სასაცილო არფერია, მაგრამ მასთან მიმართებაში მყოფი ექიმები ქმნიან სასაცილო სიტუაციას. უფრო სწორად, მწერალი აყენებს მათ ამგვარ მდგომარეობაში. ექიმებმა იციან, რომ ავადმყოფს აღარაფერი ეშველება, მაგრამ ისეთ შეკითხვებს აძლევენ მას, რომლებიც დადებითი პასუხის გაცემას გულისხმობენ. მაგალითად: „ახლა როგორა ხარ?! — ეკითხებოდა პროფესორი, ჩაკვერცხლის ულალთმიანი თავი რომ ჰქონოდა. ხომ ხარ უკეთესად?

სხვა პასუხს ეს შეკითხვა არ ითხოვდა დავარო, უნდა გეპასუხა. გინდოდა თუ არ გინდოდა“, — წერს მწერალი. მომაკვდავსა და ექიმს შორის ამგვარი მიმართება, რომლის ფსიქოლოგიურ სიზუსტეში მკითხველს ეჭვი არ ეპარება, მასში ჩუმი სიცილის განცდას აღძრავს და ამიტომ სიბრალულის გრძნობის ადგილს ინდიფერენტული გულგრილობა იკავებს. ავტორი შეუფარავად გადმოგვცემს მისი პერსონაჟის გონებაში წამიერად გაელვებულ, ზოგჯერ არცთუ მთლად სასიამოვნო განცდებსა და წარმოდგენებს. გავიხსენოთ გარდაცვლილი ეორიას მეუღლის, ნათელას, აეროდრომზე გაცილების მომენტი.

ზაფხულის ცხელი დღეა. ნათელამ ვერ გაუძლო თაკარა მზის მცხუნვარებას და შავი მოსასხამი მოიძრო. მისი შიშველი, ჭორფლიანი

მკლავების გამოჩენამ, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, ბესო იაძის, ცნობიერებაში ამგვარი ფიქრი ამოატივტივა: „რაღა ეშველება აწი ამას... ქმარი აღარა ჰყავს, მეორედ არ გათხოვდება, სხვას არ მიიკარებს და რას უზამს ამდენ ბორცს და ბორმონებს...?“

„მეოთხე სიმფონიაში“ ხშირად ირონიული მიმართების ობიექტად იქცევიან ისინიც კი, ვინც მიწაში განისვენებს. მაგალითად: მომკვდარა ვინმე ბიჭიკო (იგივე ხუხუნა) ხუხუნეიშვილი, რომელიც სიცოცხლეში ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ყოფილა. ბესო იაძეს აგონდება ეს კაცი, რომელსაც თურმე ახლოს იცნობდა, მაგრამ მისი ფიქრებიდან სიბრალულის გამომხატველი განცდის ნაცვლად აი, რა ჩნდება: „რა აჩერებდა ამ გაქანებული ფეხბურთის სეზონის დროს მიწაში“. ნაწარმოების ბოლო მონაკვეთში, გარდაცვლილი ფეხბურთის გულშემატკივრების გვერდით, მწერალი კიდევ ერთ პიროვნებას ახსენებს, რომელიც, ოღონ არ იყოს უხერხულად გამოიყურება ქვემოთ დასახელებულ ანსამბლში: „ჩატარდებოდა მხოფლიო ჩემპიონატები მიხო ბ-ძის, ბიჭიკო ხუხუნეიშვილის, ბართლომე ბიბილეიშვილის, ლავრენტი არდაზიანის გარეშე“. მაგრამ, ამ ნაწარმოებში, როგორც იტყვიან ხოლმე, ყველა ერთ ტაფაში იწვის. ეს იმიტომ, რომ როგორც მწერალი წერს, პერსონაჟებისათვის სიცოცხლის ხანმოკლეობის გამო უაზრობად ქცეულა ადამიანის ამქვეყნად მოვლენა. ბესო იაძის აზრით, „როგორ შეიძლება გონიერი არსება სამუდამოდ გამოეთხოვოს სინამდვილეს, ასცდეს მოძრაობას, გაეთიშოს დროს, რომელიც მის გარეშე არ არსებობს. თუ ჩვენთან ერთად ქრება სინათლე, სამარადუამოდ ესვენება მზე და ბნელდება ვარსკვლავიანი ცა, რად მინდა გონება, რატომ დამსაჯე, დასასრულის შეგრძნების უნარი რატომ არ წამართვი!“ და ა. შ. მაგრამ ადამიანები მაინც გავჩნდით ამ ქვეყნად და ჩვენი გაჩენა ამართლებს კიდეც ჩვენივე არსებობის აზრს. რაში მდგომარეობს მაინც ადამიანის არსებობის აზრი? ნაწარმოებში ამ საკითხზეც ძალზედ თავისებური პასუხია გაცემული, რომელიც ისევ და ისევ ბესო იაძეს ეკუთვნის: „თავს ვიქცევთ ყველანი, ვინც თამაშობს, ისიც თავს იქცევს და ვინც შრომობს ისიც თავს ვიქცევთ დიდი და პატარა, საჩინო და უჩინარი, ფიზიკოსი და მემწვანილე, ატომის დამშლელი და აფერისტი... ყველას დრო გაყავს... თუ ამას იქეთ არაფერია, გონიერ არსებას რა დარჩენია თავის შეყოლების მეტი“. ადამიანის არსებობის აზრის ამგვარი გაგება სოლიდარობას უცხადებს ცხოვრების აბსურდულობის ეგზისტენციალურ ხედვას და თითქოს სიკვდილის შიშის დათრგუნვასაც გვპირდება. თუკი იმიტომ გავჩნდით ამქვეყნად, რომ თავი შევიქციოთ ხანმარადუამო სასუფეველში გადასვლის წინ, მაშინ არც სიკვდილისა უნდა გვეშინოდეს. ეს იმიტომ, რომ, როგორც მოთხრობაშია ნათქვამი: „რაც იყო ჩემამდე, ის იქნება ჩემს შემდეგაც, რაც ვიყავ ჩემს არყოფნამდე, იქ აღმოვჩნდები ჩემი არყოფნის შემდეგ. თუ კი ვარსებობდი არყოფნაში, არ შეიძლება არ ვიარსებო ხელახლა არყოფნაში“ და ა. შ.

„მეოთხე სიმფონიაში“ გონიერი არსების საერთო უძლურებაზე დაფიქრებული მწერლის ფანტაზია უკიდურეს საზღვრებამდე იჭრება, როდესაც ადამიანისა და მკილის ურთიერთმსგავსებაზეა საუბარი: „მკილი ვარ, მომე ძალი მკილისა, მომე მოთმინება მკილისა, მომე ხვრის უნარი მკილისა, მაინც ხომ მკილი ვარ — შემოქმედი ჩემნაირი მკილისა!“

ასეთი საკითხებისადმი მწერლის ინტერესი, გარკვეული თვალსაზრისით, აფერმკრთალებს ამ მოთხრობაში აღწერილი სოციალური სინამდვილის კრიტიკულ პათოსს. ამიტომაა, რომ აქ გამოვლენილი ირონიულ-პაროდიული ნაკადი, მიუხედავად მისი სიმწვავისა, ყოველთვის ვერ გადადის სატირაში. ეს იმიტომ, რომ „ნამდვილ მხატვრულ სატირაში საჭიროა, რომ მკითხველის წინაშე წარმოდგეს არა საზოგადოდ ადამიანის ბიწიერება და უძლურება, არამედ თვით კონკრეტული ადამიანები თავისი ნაკლოვანებებით“ (გ. კიკნაძე). „მეოთხე სიმფონიის“ პერსონაჟები ისე წარმოდგებიან ჩვენს წინაშე, თითქოს ისინი გარკვეულ ცხოვრებისეულ კომედიაში ილებენ მონაწილეობას. შეძლებისდაგვარად თამაშობენ თავიანთ როლებს და რა ქნან, თუ ზოგიერთი მათგანის საქციელი მორალური წესრიგის მოყვარული ადამიანის სიმპატიას ვერ დაიმსახურებს. ადამიანური ყოფის კომედიურობაზე მინიშნებას რ. ჭეიშვილის სხვა თხზულებებშიც ვხვდებით. გავიხსენოთ, ერთი ადგილი ნაწარმოებიდან „მუსიკა ქარში“.

მაღალტანიან კაცს თურმე თავისი ჩონჩხი სიცოცხლეშივე ჰქონია გაუიდული. სიკვდილის შემდეგ ჩონჩხი ერთ-ერთ სკოლას შეუძენია. მწერალი წერს: „ჩონჩხი ხანდახან კაბინეტიდან საკლასო ოთახში გადაჰქონდათ... სად დაატარებდნენ, სად მიყავდათ, სად მოყავდათ... მის პატრონს ერთი როლი შესრულებული ჰქონდა ამქვეყნიურ კომედიაში და კიდევ რას თხოვდნენ, კიდევ რას მოელოდნენ მისგან?“

მიუხედავად იმისა, რომ რ. ჭეიშვილის „მეოთხე სიმფონიაში“ ბევრი ისეთი მოვლენაა აღწერილი და ნაჩვენები, რაც ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის მანკიერ თვისებებს გვიჩვენებს, შესაძლოა მწერალს არც მიაჩნდეს იგი ყოფითი სინამდვილის კრიტიკად. ეს იმიტომ, რომ აღნიშნულ მოვლენებს მწერალი, ჩვენი აზრით, ადამიანის საერთო ბიწიერებისა და უძლურების სამოსელში ხვევს. ალბათ ამის გამოა, რომ მიუხედავად აღწერილი

მანკიერი მოვლენებისადმი ირონიული მიმართებისა, არც ერთი პერსონაჟი არ იბრძვის ამ მანკიერებათა დასაძლევად. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ ნაწარმოებს ნაკლებად ეტყობა სატირიკოსის ხელი, რადგან „სატირიკოსი უნდა გამოვიდეს ისეთი ხელოვანის როლში, რომელიც მკაცრი მსაჯულია და დარიგებას აძლევს ადამიანებს. ასეთი მოვალეობა შეიძლება იკისროს მხოლოდ ისეთმა მწერალმა, რომელიც ერკვევა არსებულ ვითარებაში, რომელიც ხედავს მოვლენათა წარმოშობის მიზეზებს და მათი განვითარების გზას“. ამ შემთხვევაში, რ. ჭეიშვილის მოთხრობა უფრო ლერმონტოვის მიერ გამოხატულ იმ პოზიციას აკმაყოფილებს, რომელიც მან „ჩვენი დროის გმირის“ წინასიტყვაობაში წარმოგვიდგინა: „ისიც კმარა, რომ ხენი ნაჩვენებია, ხოლო თუ როგორ უნდა განვიკურნოთ მისგან — ეს ღმერთმა იცის!“

ჩვენს მიერ განხილული მოთხრობის საერთო პათოსიდან გამომდინარე, რ. ჭეიშვილი ალბათ გაიზიარებს ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, ოთარ იოსელიანის, შემდეგ მოსაზრებას.

„თუ ნაწარმოებს, რომელიც სინამდვილეს ასახავს, სინამდვილის კრიტიკად მივიჩნევთ, დიდად შევცდებით. განა მოპასანი საზოგადოების კრიტიკას ისახავდა მიზნად? მე იმის ახსნას ვცდილობ, თუ რატომ შედგება საზოგადოება ბავშვებისაგან, რომლებმაც ვერ შეძლეს გაზრდილიყვნენ“.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას რ. ჭეიშვილის „მეოთხე სიმფონიაზეც“, რომელშიც მწერალმა მხატვრული ასახვის საგნად აქცია ჩვენს სოციალურ ყოფაში ჯერ კიდევ მიმდინარე ზოგიერთი მტკივნეული და დამაფიქრებელი პროცესი. გვიჩვენა იგი დაუფარავი სიმართლითა და დამაჯერებლობით. ამიტომაა, რომ მკითხველს ეჭვი არ ეპარება რ. ჭეიშვილის მიერ აღწერილი მხატვრული სინამდვილის და რეალური, ყოფითი სინამდვილის იდენტურობაში. ხოლო ხელოვნების ყოველი ქმნილება კი, როგორც სტეფან ცვაიგი ამბობს, „მხოლოდ მაშინ აღწევს უმაღლეს საფეხურს, როდესაც გვავიწყდება, რომ მხატვრული შემოქმედების შედეგია და მის არსებობას, როგორც უტყუარ რეალობას, ისე აღვიქვამთ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ტაბიძე

ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ცდები XIX საუკუნის 70-90-იან წლებში

XIX საუკუნის ქართულ ჟურნალისტიკას არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვათა ტვირთის აზიდვაც მოუხდა. თვითმმართველობას მოკლებული ერისათვის, რომელიც მძიმე კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდა, პრესა წარმოადგენდა უმაღლეს სამრეკლოსა და საზოგადოებრივი აზრის მთავარ მესაჭეს, ეროვნულ საკრებულოსა და თავისებურ სასამართლო ინსტანციასაც... აქ ძალუმად ფეთქავდა სრულიად საქართველოს ძარღვი. ამიტომაც პერიოდული ორგანოების დაარსებისაკენ სწრაფვა შეფასებული უნდა იქნეს როგორც ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის გულწრფელი სურვილი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკა არ წარმოადგენდა გამდიდრების წყაროს. პირუკუ, იგი რედაქტორ-გამომცემლებს, უმეტეს შემთხვევაში, გაღარიბებასა და ეკონომიურ შევიწროებას უქადდა. ი. კერესელიძემ მთელი თავისი ქონება „ცისკარს" შესწირა. ს. მესხმა „დროების" გასაუმჯობესებლად აღებული ვალები საფლავში ჩაიტანა. ი. ჭავჭავაძე წელიწადში „...რამდენსამე ასს თუმანს ადებდა „ივერიას" თავის ჯიბიდან" (ი. გოგებაშვილი). ასე რომ, საქართველოში გაზეთისა და ჟურნალის ხელმძღვანელობას ძირითადად ისინი კიდებდნენ ხელს, რომელთაც საზოგადოებრივი ინტერესები ამოძრავებდათ, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ, რომ პრესა არა მხოლოდ საფიქრალ-სათქმელის გამოხატვა-პოპულარიზაციის ეფექტური საშუალებაა, არამედ სინამდვილეზე ზემოქმედების მძლავრი იარაღიც. მათ სურვილს არცთუ მცირე დაბრკოლება ეღობებოდა, უმეტესად ხელისუფლების მხრიდ, რაზეც მეტყველებს არქივებში გაბნეული მასალები. ამ დოკუმენტების შესწავლა აუცილებელია ქართული საზოგადოებრივი აზრის უკეთ შეცნობისა და სამამულო ჟურნალისტიკის ისტორიის დასაწერად.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ როგორც ცნობილ, ასევე უცნობ ფაქტებზე, რათა სინამდვილის შედარებით სრული სურათი შევქმნათ.

1879 წლის 14 თებერვალს მასწავლებელმა გიორგი უთურგაულმა და თბილისელმა მოქალაქემ არშაკ საფაროვმა განცხადებით მიმართეს საცენზურო კომიტეტს. მათ სურდათ ჟურნალ „იმედის" დაარსება. „იმედი" ჩაფიქრებული იყო როგორც ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ორგანო.

საცენზურო კომიტეტი შესაძლებლად თვლის „იმედის" გამოცემას, მხოლოდ გარკვეული შესწორებით. მას არ მოსწონს პროგრამის II, III, IV მუხლები და შემდეგნაირად აყალიბებს მათ:

II. კრიტიკა ანუ განხილვა ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებებისა, რომლებშიაც უპირატესად საუბარია ჩვენს მხარეზე.

III. ისტორიული განყოფილება, რომელიც შეიცავს ეპიზოდებს სხვადასხვა, ძირითადად კავკასიის სამეფისნაცვლოში დასახლებულ ხალხთა ცხოვრებიდან.

IV. ადგილობრივი ქრონიკა ანუ ამიერ და იმიერკავკასიის მხარეთა თანამედროვე ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენების განხილვა.

სამწუხაროდ, არქივმა არ შემოგვინახა არც მთლიანი პროგრამა და არც ხელნაწერული მუხლების პირველი ვარიანტი. ამიტომაც ჭირს ბევრი რამის გარკვევა.

ჩასწორებულ ტექსტში არ ფიგურირებს საქართველო. ლაპარაკია კავკასიაზე, სამეფისნაცვლოზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე. გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს ხელისუფლების ცნობილ ტენდენციასთან — საქართველოს ხსენებისათვის გვერდის ავლასთან.

საცენზურო კომიტეტმა თავისი დასკვნა და შუამდგომლობა გადაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს. პასუხი ლაკონიური აღმოჩნდა: მისი უმაღლესობის თბილისში არყოფნის გამო მეფისნაცვლის თანაშემწემ შეუძლებლად მიიჩნია ნებართვის გაცემა.

სხვა შემთხვევაში თვეობით ჭიანურდებოდა პასუხი, ამჯერად კი საჭიროდ არ ჩათვალეს დალოდებოდნენ „მის უმაღლესობას". პასუხის ოპერატიულობაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხელისუფლება არასასიკეთოდ იყო განწყობილი „იმედისადმი".

1879 წლითვე თარიღდება დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძის თხოვნა. ცნობილმა პუბლიცისტმა გადაწყვიტა ქუთაისში გამოეცა ყოველკვირეული გაზეთი „რიონი".

რედაქტორ-გამომცემელი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ქუთაისში არ არსებობდა საცენზურო კომიტეტი და არც მისი ფილიალი. ამიტომაც ითხოვდა ზედამხედველად გამოეყოთ ადგილობრივი მოხელე, რომელიც გააკონტროლებდა ოპერატიულ საგაზეთო შენიშვნებსა და პატარ-პატარა მასალებს. რაც შეეხება ვრცელ და ძირითად წერილებს, მათ ადრევე გადაუგზავნიდა განსახილველად თბილისის საცენზურო კომიტეტს.

„რიონის" პროგრამა სრული და ტევადია. რედაქტორ-გამომცემელს განზრახული ჰქონდა გაეშუქებინა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური, ლიტერატურული, ისტორიული და სხვა საკითხები. იგი მიზნად ისახავდა, მკითხველისათვის ნათელი წარმოდგენა შეექმნა მიმდინარე პროცესებზე...

საცენზურო კომიტეტმა ხაზი გადაუსვა პროგრამის მეათე მუხლს. დებულების მიხედვით, სასამართლო ანგარიშისა და ცნობების გამოქვეყნების უფლება არ ჰქონდა იმ გაზეთს, რომელიც შვიდ მანეთზე ნაკლები ღირდა. ეს განუცხადეს კიდეც რედაქტორ-გამომცემელს. ამასთანავე, მას მეცნიერებათა კურსის დასრულების მოწმობა მოსთხოვეს. პასუხად დ. მიქელაძე სწერდა: „უფრო უპრიანი იქნება, გაზეთის ფასი გავადიდო, ვიდრე პროგრამიდან სასამართლო ქრონიკა ამოვიღო. რაც შეეხება მეცნიერებათა კურსის დასრულების დამადასტურებელ მოწმობას, მისი წარმოდგენა არ შეშიძლია, რადგან განათლება შინ მივიღე. შემდეგ რამდენიმე წელი ვსწავლობდი პეტერბურგში. დაბოლოს პარიზში ვისმენდი ლექციებს ისტორიის, ლიტერატურისა და ზოგიერთი პოლიტიკური დისციპლინის საკითხებზე. როგორც თქვენთვის ცნობილია, ორ წელიწადზე მეტ ხანს (1872-1874) ვიყავი გაზეთ „დროების" ჯერ კორესპონდენტი, შემდეგ კი მთავარი თანამშრომელი".

რადგანაც დ. მიქელაძემ საცენზურო კომიტეტის მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა, აღძრული საქმეც შეწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა ვინც ჟურნალ-გაზეთებს ხელმძღვანელობდა, ყველას ჰქონდა ასეთი განათლება? საცენზურო კომიტეტმა გაართულა საქმე, რათა გზა მოეჭრა რადიკალურად მოაზროვნე და „არასაიმედო" ჟურნალისტისათვის.

ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ როგორი იქნებოდა „რიონი", შეუძლებელია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ დასავლეთ საქართველოში პირველი ქართული გაზეთის გამოცემას თვალსაჩინო შედეგი უნდა მოჰყოლოდა. „რიონს" ხელი უნდა შეეწყო საზოგადოებრივი ცნობიერების გამოცოცხლებისათვის, ეროვნულ-დემოკრატიული ტენდენციების გაღრმავებისათვის. ამის თქმის უფლებას, უპირველეს ყოვლისა, ის იძლევა, რომ საქმის სათავეში იდგა პროგრესულად მოაზროვნე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ვისაც უკვე განვლილი ჰქონდა ჟურნალისტური სკოლა.

დ. მიქელაძის ცდას გარკვეული შედეგი მაინც მოჰყვა. ამ წამოწყებამ დასავლეთ საქართველოს ინტელიგენციაში გააცხოველა საკუთარი პერიოდული ორგანოს გამოცემის სურვილი. საცენზურო კომიტეტშიაც ნიადაგი შემზადდა ქუთაისში ქართული გაზეთის დასაარსებლად.

1880 წლის 17 მარტს ნინო გაბაშვილი კავკასიის მთავარმართებლის მთავარი სამმართველოს უფროსს „მიმოხილვის" გამოცემის ნებართვას სთხოვდა. ახალი ჟურნალი ლიტერატურულ-პოლიტიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. გამოვიდოდა თვიურად 8-12 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით.

ნ. გაბაშვილმა ოთხ თვეში მიიღო ჟურნალის გამოცემის ნებართვა. სამწუხაროდ, „მიმოხილვას" დღის სინათლე მაინც არ უხილავს.

საქმე ის არის, რომ ნ. გაბაშვილს არც ლიტერატურული გამოცდილება ჰქონდა და არც სარედაქციო მუშაობის პრაქტიკა გააჩნდა. იგი ეყრდნობოდა სხვებს, მათ შორის გ. უთურგაულსა და ა. ფურცელაძეს. ამ უკანასკნელმა კი ოფიციალურად განაცხადა, რომ „...ჟურნალში აღარ მივიღებ არავითარ მონაწილეობასო".

„დროებამ" (1880, № 258) მტკივნეულად აღიქვა „მიმოხილვის" კრახი. მას არა მხოლოდ ხსენებული ჟურნალის გამოუცემლობა აწუხებდა, არამედ ისიც, რომ ამგვარი ფაქტების შემყურე საზოგადოებას გული უცრუდებოდა პრესაზე. სამართლიანად შენიშნავს რედაქცია: „...სასურველია, რომ შემდეგში აჩქარებითა და მოუმზადებლად არავის დაეწყოს ჩვენში ამგვარი მძიმე საქმე, როგორც გაზეთის ან ჟურნალის გამოცემაა. სასურველია, რომ ვისაც ახალი ჟურნალისა და გაზეთის გამოცემა მოუვა თავში, ჯერ ათჯერ გაზომოს, ათჯერ მოიასაზროს ყველა დაბრკოლება, რომელიც იმას ამ

გზაზე მოელის და მერე, მხოლოდ მერე შეუდგეს თავის მძიმე განზრახვის შესრულებას. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ გვარს საქმეში იმის წინდაუხედაობა და აჩქარება მთელი ჟურნალისტიკისა და საზოგადოებისათვის იქნება მავნებელი".

ძალზე საგულისხმოა ნიკო ნიკოლაძის განზრახვა ჟურნალ „კანდელის" დაარსების შესახებ. მან გ. წერეთელს სთხოვა, გაეგო, თუ როგორ უფრო მოსახერხებელი იყო ჟურნალის გამოცემა. გ. წერეთელი ამის თაობაზე ლ. ისარლოვს ეთათბირა და სათანადო ცნობები მიაწვდინა მეგობარს. ამასთანავე დასძინა: „...ისარლოვმა მირჩია სახელი „კანდელი" („Маяк") ლიბერალურია და იქნებ საქმე გაგიჭირვონო. მაგრამ რადგანაც შენი ამორჩეულია ეს სახელი და მეც მომწონს, ველარ გამოვცვალე".

1880 წლის 8 ივლისს ნიკოლაძემ ოფიციალურად ითხოვა „კანდელის" გამოცემა. „კანდელი" უნდა ყოფილიყო ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალი, რომელიც გამოვიდოდა კვირაობით 8-24 გვერდის მოცულობით. რედაქცია გააშუქებდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, დასტამბავდა გამოჩენილ მწერალთა, მეცნიერთა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიებს, გამოაქვეყნებდა როგორც ორიგინალურ, ასევე ნათარგმნ მოთხრობებს, ლექსებს, სცენებს, მემუარებს, სათანადო ჩანახატ-სურათებით. დიდი ადგილი დაეთმობოდა ფერწერულ ტილოთა რეპროდუქციებს, ქანდაკებათა და შენობათა სურათებს, ძველი ფრესკების ასლებს და ა. შ.

შემთხვევითი არ იყო, რომ ნ. ნიკოლაძემ ილუსტრირებული პერიოდული ორგანოს გამოცემა განიზრახა. ამ სახის ჟურნალი უფრო მიიზიდავდა მკითხველებს და არა მარტო იდეურად გამოაწრთობდა, არამედ ესთეტიკურადაც დაატკბობდა. ისიც გასაგებია, თუ რატომ შეჩერდა რედაქტორ-გამომცემელი ყოველ კვირეულ გამოცემაზე. ნ. ნიკოლაძის ღრმა რწმენით, ჩვენი საზოგადოებისათვის იმ პერიოდში გაზეთი თუ გაზეთის ტიპის გამოცემა უფრო საჭირო იყო, ვიდრე სქელტანიანი ჟურნალი.

„კანდელი" უნდა გამოსულიყო 1881 წლის იანვარში. ნ. ნიკოლაძე საცენზურო კომიტეტს სწერდა, გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად განიხილოთ ჩემი განცხადებაო. მისი თხოვნა, მართლაც, ოპერატიულად დაკმაყოფილეს. საცენზურო კომიტეტმა თავისი მოსაზრება მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს გააცნო. პროგრამა შეესატყვისება საცენზურო წესდებას და ამ მხრივ უარის თქმის შესაძლებლობა გამორიცხულიაო, რაც შეეხება ნ. ნიკოლაძეს, როგორც პიროვნებას, იგი საკმაოდ ცნობილია კომიტეტისთვის. ნიკოლაძე-რედაქტორი არ ემორჩილებოდა ცენზურის მოთხოვნებს, უნებართვოდ ბეჭდავდა მთელ სტატიებსა და ცალკეულ ადგილებს. უფრო მეტიც, ჩვენს მიერ აკრძალულ მასალებსაც კი უშვებდაო.

გასაგებია, თუ როგორი შედეგი ექნებოდა ამგვარ დახასიათებას. ამას დაემატა ისიც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. ნიკოლაძემ ძალზე მკვეთრად გაილაშქრა ადგილობრივი ადმინისტრაციისა და განსაკუთრებით თბილისის პოლიციმეისტერის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა მისი სტავროპოლში გადასახლება.

სტავროპოლიდან დაბრუნების შემდეგ ნ. ნიკოლაძე კვლავ აგრძელებს ბრძოლას „კანდელის" გამოსაცემად, მაგრამ უშედეგოდ.

ნ. ნიკოლაძის განზრახვის განხორციელების შემთხვევაში ქართული ჟურნალისტიკა გამდიდრდებოდა ახალი ტიპის გამოცემით, რომელიც, საფიქრებელია, დიდ გავლენას მოახდენდა საზოგადოებაზე.

80-იან წლებში ქართველი საზოგადოების ინტერესი პრესისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამაზე მეტყველებს ილია მირიანის ძე ჭყონიას განზრახვაც. მას სურდა ქუთაისში დაეარსებინა ყოველკვირეული ილუსტრირებული, კარიკატურებიანი სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა" და 1881 წლის 23 დეკემბერს სათანადო თხოვნით მიმართა საცენზურო კომიტეტს. ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო. ანალოგიურ გამოცემას ქართული პრესა არ იცნობდა.

საცენზურო კომიტეტის უფროსი უარყოფითად შეხვდა ი. ჭყონიას წამოწყებას. მისი აზრით, „ხუმარას" გამოცემა გაუმართლებელი იყო შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო: ჟურნალის პროგრამა ძალზე ფართოა, ხელმწერის ფასი კი მცირე, რედაქტორიც გამოუცდელიაო. ცხადია, ეს არ იყო მყარი არგუმენტები. პროგრამის დაზუსტება-დაკონკრეტება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ფასის გადიდებაც შეიძლებოდა. რაც შეეხება მესამე საბუთს, იგი მოკლებულია საფუძველს. ი. ჭყონია ამ დროისათვის კარგად ცნობილი პუბლიცისტია, ის 1874 წლიდან თანამშრომლობდა ქართულ პრესაში. განსაკუთრებით ბევრს ბეჭდავდა „ივერიასა" და „დროებაში". მისი კორესპონდენციები, სტატიები, რეცენზიები, ნარკვევები თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებები გამოირჩევიან როგორც პრობლემატიკით, ასევე საკითხის პროგრესული გადაწყვეტითა და ფორმის მიმზიდველობით.

საცენზურო კომიტეტის ხელმძღვანელის აზრი იმდენად არადამაჯერებელი იყო, რომ მის წინააღმდეგ თავად ცენზორმა მელრიბოვმაც კი გაილაშქრა. იშვიათი შემთხვევაა, როცა ცენზორი საცენზურო კომიტეტს ეურჩება. ეს ინციდენტი თვალნათლივ ავლენს იმ პედანტიზმსა და არაობიექტურობას, რითაც ხელისუფ-

ლება ქართულ პროგრესულ აზრს ებრძოდა.

საცენზურო კომიტეტი ფხიზლად ადევნებდა თვალს პრესას და არა მხოლოდ ცალკეულ სტატიებსა და კორესპონდენციებს აყადაღებდა, არამედ საგანგებო მეთვალყურეობასაც აწესებდა მათ ავტორებზე. იგი ითვალისწინებდა პროგრესულ ლიტერატორთა საქმიანობას და შეგნებულად ამუხრუჭებდა მათ დამტკიცებას რედაქტორებად თუ გამომცემლებად. ამის საუკეთესო დადასტურებაა შემდეგი ფაქტი: ა. წერეთელმა გადაწყვიტა, 1888 წლიდან გამოეცა ყოველკვირეული გაზეთი „გზა".

პროგრამაში გათვალისწინებულია ფართო საზოგადოების ინტერესები. მას წითელ ზოლად გასდევს განმანათლებლური ტენდენციები. რედაქტორ-გამომცემელი მკითხველებს პირდება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთისა და ევროპის ცხოვრების გაცნობას, თანაც არა მარტო ფაქტთა ფიქსაციით, არამედ ღრმა და საფუძვლიანი ანალიზით.

ასეთი სრული და მრავალმხრივი პროგრამა თითქმის არცერთ წინამორბედ ქართულ გაზეთს არ ჰქონია. აკაკის პუბლიცისტური ნიჭი, სწრაფად წერის უნარი და ჟურნალისტური გამოცდილება იმის საწინდარი იყო, რომ „გზა" ერთ-ერთი საუკეთესო გაზეთი იქნებოდა.

საცენზურო კომიტეტმა დაიწუნა აკაკის მიერ წარდგენილი პროგრამის II, III, VI, VIII, IX მუხლები და, საერთოდ, შეუძლებლად ცნო „გზის" გამოცემა, რადგან აკაკის მოღვაწეობა ხელისუფლებისთვის მიუღებელია და მისი გაზეთი ანტიცარისტული ორგანო იქნებოდა.

ასე ჩაიშალა ქართული ჟურნალისტიკის გაძლიერების კიდევ ერთი ცდა.

როგორც ზემოთ ითქვა, ნიკო ნიკოლაძის იდეას ილუსტრირებული ჟურნალის დაარსების შესახებ, ყოველმხრივ უპერდა მხარს გიორგი წერეთელი, და მას შემდეგ, რაც ნ. ნიკოლაძემ მიზანს ვერ მიაღწია, თავად სცადა ბედი. საგულისხმოა, რომ მის ჟურნალსაც „კანდელი" უნდა რქმეოდა. გ. წერეთლის პროგრამის თითქმის ყველა მუხლი ადრე ფიქსირებული იყო ნ. ნიკოლაძის მიერ წარდგენილ პროგრამაში. სხვაობა ძირითადად ცალკეულ მუხლთა ფორმულირებაშია. გ. წერეთელიც დიდ ადგილს უთმობდა მხატვრულ ნაწარმოებებს, კრიტიკას, მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხებს, გასართობ მასალებს, ილუსტრაციებს და ა. შ.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი დემოკრატი მოღვაწეები ერთიანი მიზნის განხორციელებაში არცთუ იშვიათად ენაცვლებოდნენ ურთიერთს.

ზემდგომმა ორგანოებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს გ. წერეთლის თხოვნა და ჟურნალის პროგრამა, საცენზურო კომიტეტი წერდა:

«...Комитет со своей стороны не встречает препятствий и разрешений дворянину Георгию Церетели издавать в г. Тифлисе с дозволения предварительной цензуры под его редакторством еженедельный иллюстрированный журнал на грузинском языке под названием «Кандели» (Маяк).

При этом, Комитет считает нужным присовокупить, что в делах Комитета никаких сведений о Г. Церетели как о литературном деятеле и его направлении, о положении его в обществе, не имеется, а лишь на деле Комитета видно, что в 1865 году ему, Церетели, было разрешено издавать в г. Тифлисе газету на грузинском языке под названием «Дроэба» («Время»), но вскоре издание этой газеты по его же просьбе передано другому лицу».

ეს დოკუმენტი კარგად გამოხატავს ფაქტების ყალიბების იმ მეთოდს, რომელსაც ასე ხშირად მიმართავდა საცენზურო კომიტეტი. ამ მსჯელობის მიხედვით შეუძლებელია გ. წერეთელზე სწორი შთაბეჭდილების შექმნა. ქართული პრესის ერთ-ერთი დედაბოძი ჟურნალისტიკაში თითქმის შემთხვევით პიროვნებად არის გამოცხადებული (გნორირებულია ის დიდი ღვაწლი, რომელიც მან „დროებას", „სასოფლო გაზეთს", და „კრებულს" დასდო. ეს რომ აღენიშნა საცენზურო კომიტეტს, მაშინ, ცხადია, ვერ დაასკვნიდა: გ. წერეთელზე, როგორც ლიტერატურულ მოღვაწეზე, ცნობები არ მოგვეპოვებოდა.

ყურადღებას იპყრობს მიმართვის ბოლო ფრაზაც. გ. წერეთელს ნება დართეს გამოეცა „დროება", მაგრამ ეს გაზეთი მალე სხვას გადასცა. ეს „მალე" სამ წელიწადს მოიცავს, მაგრამ ამას განგებ ჩქმალავს საცენზურო კომიტეტი, რათა ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას ზემდგომ ორგანოებს, თითქოს გ. წერეთელი უნიათო მოღვაწეა, მას არ ძალუძს მყარ ნიადაგზე დააფუძნოს გამოცემა და ამიტომაც მის თხოვნას ანგარიში არ უნდა გაეწიოს.

მიმართვა ისეთი ქვეტექსტებითაა აღსავსე, რომელთა ამოცნობა ძნელი არ არის და რომლებზე დაყრდნობითაც ადრესატი გ. წერეთლისადმი უარყოფითად უნდა განწყობილიყო. ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარ სამმართველოს უარის სათქმელად ფორმალური საბუთი სჭირდებოდა და ასეთ საბუთს მას ოსტატურად აწვდიან. შედეგიც საცნაურია.

ირკვევა, რომ ილუსტრირებულ ჟურნალზე საგრძნობი მოთხოვნა ყოფილა. ამითაც უნდა აიხსნას ცნობილი პუბლიცისტის ილია ბახტაძის (ხონელის) ბრძოლა, თბილისში გამოეცა ყოველკვირეული ილუსტრირებული პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი „თარი", რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელშიაც დაიბეჭდებოდა რომანები, მოთხრობები, ლექსები, ნარკვევები, საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიები, პოლიტიკურ მოვლენათა მოკლე კვირეული მიმოხილვები და სხვ. პროგრამა თუმცა მოკლედ არის შედგენილი, მაგრამ საკმაოდ ტევადია და რედაქციას მანევრირების ფართო შესაძლებლობას აძლევს.

1886 წლის სექტემბერში დაწყებული საქმე თითქმის მთელი წელიწადი გაჭიანურდა. საცენზურო კომიტეტი არ მალავს, რომ ი. ბახტაძეს, როგორც ნიჭიერ კალმოსანს, ძალუძს პერიოდული ორგანოს გაძღოლა. მან, როგორც „კავკაზის“ თანამშრომელმა, საკმაოდ გამოიჩინა თავი, მაგრამ მაინც უარყოფით დასკვნას იძლევა:

«...Цензурный Комитет полагая бы с своей стороны ходатайство Г. Бахтадзе об издании журнала «Тари» отклонить».

კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვიც პეტერბურგს გაგზავნილ ერთ დოკუმენტში იმეორებს, რომ ბახტაძის პიროვნების კომპრომეტირებისათვის არავითარი საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ მაინც სასურველად მიგვაჩნია „თარის“ გამოცემისაგან თავის შეკავება, რადგან კავკასიაში ისედაც ბევრი პერიოდული ორგანო არსებობს. ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარი სამმართველო ითვალისწინებს ამ მოსაზრებას და უარს ეუბნება მთხოვნელს.

როგორც ვხედავთ, ილუსტრირებული პერიოდული ორგანოს დაარსება რამდენიმე პირმა სცადა სხვადასხვა დროს. ცენზურა, რამდენადაც შეეძლო, ამუხრუჭებდა ქართველ ჟურნალისტებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც უძლური აღმოჩნდა, შეეკავებინა აზვირთებული მდინარე. 1898 წლიდან გამოდის პირველი ნახევრადილუსტრირებული გაზეთი „კვალი“. ამაში ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლისა და ი. ბახტაძის ღვაწლიც შესამჩნევია. ცენზურასთან მათმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო.

1886 წელი იმითაც არის საინტერესო, რომ პეტრე მირიანაშვილმა გადაწყვიტა თბილისში დაეარსებინა პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი „ახალი ამბები“. საცენზურო კომიტეტმა პ. მირიანაშვილის თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად ცნო, რადგან რედაქტორ-გამომცემელი „ამ სერიოზული საქმისთვის მოუმზადებელია“. არა და, ამ დროისთვის პ. მირიანაშვილს არაერთი მნიშვნელოვანი მასალა ჰქონდა გამოქვეყნებული ქართულ პრესაში. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა ლექციებს დაწაფებული ახალგაზრდა განსწავლულ პიროვნებად ითვლებოდა და ავტორიტეტით სარგებლობდა. თუმცა ხელისუფლების დასკვნაში მოულოდნელი არაფერია. პ. მირიანაშვილზე უფრო გავლენიან და სახელმოხვეჭილ ლიტერატორებსაც კი მსგავს დახასიათებას აძლევდა საცენზურო კომიტეტი („სამწერლო ასპარეზზე უცნობია“), რათა მათი ჟურნალისტური საქმიანობისთვის ფრთები შეეკვეცა.

ასევე უარი უთხრეს ვასილ რცხილაძესა და მიხეილ ქართველიშვილს საბავშვო ჟურნალის „ნერგის“, ეკატერინე გაბაშვილს ჟურნალ „ხომლის“, ვლადიმერ აღნიაშვილს ჟურნალ „ციხერის“ გამოცემაზე.

ცენზურა სხვადასხვა გზასა და საშუალებას მიმართავდა ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დასამუხრუჭებლად. მისი ზოგიერთი მოსაზრება იმგვარად იყო შეფარული და „დასაბუთებული“, რომ შეიძლება საქმეში ჩაუხედავ კაცს დამაჯერებლადაც მოჩვენებოდა. ეს გამიზნული იყო ობიექტურობის ნიღბის შესაქმნელად. თუმცა ცენზურა ყოველთვის ვერ ინარჩუნებდა ამგვარ პოზას. მაგრამ რაც 1894 წელს მოხდა, კურიოზად უნდა ჩაითვალოს.

კარის მრჩეველმა კანდელაკმა გადაწყვიტა ქუთაისში გამოეცა სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „სიტყვა“, რომელსაც ზედამხედველობას გაუწევდა თბილისის საცენზურო კომიტეტი. ანალოგიური პერიოდული ორგანოები აქრეც გამოდიოდა საქართველოში („გუთნის დედა“, „სასოფლო გაზეთი“, „ცისკარი“) და აგრარული ქვეყნის მოსახლეობას დიდ სამსახურსაც უწევდა. ახალი გაზეთის პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესო ჩანს.

საცენზურო კომიტეტმა შეუძლებლად ცნო ამ გაზეთის გამოცემა. კომიტეტის თავმჯდომარე მ. გაკელი წერდა:

«Г. Канделаки намерен издавать свою газету на местном языке; выражение это не совсем ясно: местный язык в Кутаисе мингрельский, принадлежащий вместе с грузинским, лазским и сванским к группе так называемых иберийских языков...»

რა ვუწოდოთ ამგვარ კომენტარს? საქმის აბუჩად აგდება, უვიცობა, პოლიტიკური შანტაჟი, თუ...

ცენზურამ სხვა საბუთებიც მოიშველია. გაზეთს მკითხველი არ ეყოლებაო. ამასთან ქუთაისში სათავადაზნაურო ბანკთან დაკავშირებით მძაფრი ბრძოლა წარმოებს და „სიტყვა“ ერთ-ერთი დასის ქომაგად გამოვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საცენზურო კომიტეტს არ შეუძლია 200 ვერსით მოშორებულ ქალაქში გამომავალ გაზეთს ფხიზლად ადევნოს თვალი.

ზემდგომმა ორგანოებმა ყურად იღეს მ. გაკელის მოსაზრება და კანდელაკს უარი უთხრეს „სიტყვის“ გამოცემაზე.

1895 წელს ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს თხოვნით მიმართა ცნობილმა მესტამბემ ექვთიმე ხელაძემ, რათა ნება დაერთოთ მისთვის თბილისში კონსტანტინე დოდაშვილის

რედაქტორობით გამოეცა ყოველდღიური საზოგადოებრივ-ლიტერატურული გაზეთი „რიონი“.

ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ კონფიდენციალურად სთხოვა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ეცნობებია, რამდენად შესაძლებელი იყო ხელაძის სურვილის დაკმაყოფილება. პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა:

1. ქართული ენის ცენზორი ძლიერ დატვირთულია და „რიონი“ კიდევ უფრო გაურთულებს მუშაობას. 2. ახალი გაზეთის დაარსება არაფრით არ არის გამართლებული. ქართულ ენაზე გამომავალი პერიოდული ორგანოები თავისუფლად აკმაყოფილებენ ისედაც მცირერიცხოვან აუდიტორიას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყველაზე პოპულარული ქართული გაზეთის ტირაჟიც კი ძალზე შეზღუდულია. ვ. კ. დოდაშვილი უმთავრესად ცნობილია ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური ძიებებით და იგი ვერ გაუძღვება ფართო პროგრამის გაზეთს. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რედაქტორი დაეყრდნობა იმ ლიტერატორებს, რომლებიც მავნე ხასიათის მასალებს აქვეყნებენ და ჩივიან, რომ სახალხო სკოლიდან და ეკლესიიდან იდევნება ქართული ენა...

საცენზურო კომიტეტის საბუთები მოკლებულია სიმტკიცეს. გამოდის, მთავარი ყოფილა ცენზორი და არა ის, რისთვისაც იგი არსებობს. დაუსაბუთებელია, თუ რატომ ვერ გაუძღვებოდა ნიჭიერი და განათლებული კ. დოდაშვილი გაზეთს. ყველაზე მეტად კი გაოცებას იწვევს ქართველი ხალხის სამართლიანი მოთხოვნის მავნებლობად მიჩნევა. რუსიფიკატორთა გაგებით, მშობლიური ენის დაცვისთვის ბრძოლა დაუშვებელია.

ხსენებული საბუთები სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა ე. ხელაძისათვის „რიონის“ გამოცემაზე უარი ეთქვათ. მაგრამ ე. ხელაძე იოლად როდი ყრის ფარ-ხმალს. დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ კვლავ მიმართავს ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარ სამართველოს და ყოველდღიური „წყაროს“ გამოცემის ნებართვას ითხოვს. რედაქტორადაც სხვა პიროვნება შეურჩევია, გადამდგარი გენერალ-მაიორი დიმიტრი მუსხელიშვილი. „წყარო“ ფაქტობრივად სახელწოდებაშეცვლილი „რიონია“.

ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა, კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოსაზრებას ეცნობოდა. კომიტეტი კი წერდა: დღეს, როცა რვა თვით შეჩერებულია „ივერიის“ გამოცემა, ძალზე სასურველი იქნებოდა ხელი შეგვეწყო ახალი გაზეთის დაარსებისათვის, მაგრამ რედაქტორად წამოყენებულია ისეთი პიროვნება, რომლის დამტკიცება გაუმართლებელია. დ. მუსხელიშვილი ცუდად ფლობს ქართულ ენას. ამასთანავე იგი თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გარშემო გაჩაღებული ბრძოლის აქტიური მონაწილეა, ემხრობა ი. მაჩაბლის პარტიას. მუსხელიშვილის რედაქტორად დამტკიცების შემთხვევაში, „წყარო“ საბანკო ოპოზიციის ორგანო გახდება და „ივერიის“ აღდგენის შემდეგ ამ ორ გაზეთს შორის ცხარე ბრძოლა გაიმართება. კომიტეტი ყოველმხრივ ეცდება ნორმალურ კალაპოტში მოაქციოს დაპირისპირებული გაზეთების ურთიერთობა, მაგრამ მას უკიდურესად გაუჭირდება ფიქტიურ რედაქტორთან თანამშრომლობა. ამიტომ „წყაროს“ გამოცემა იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ხელაძე რედაქტორად ქართული ენის კარგ მცოდნესა და საიმედო პიროვნებას შეარჩევს.

ე. ხელაძემ ასეთ კანდიდატად მიიჩნია სახელმწიფო მრჩეველი სავანელი, მაგრამ ამ უკანასკნელმა, როგორც საცენზურო კომიტეტის კონფიდენციალურ წერილშია აღნიშნული, უარი თქვა შეთავაზებულ თანამდებობაზე, როცა კარგად შეიცნო, თუ რაოდენ მძიმე იყო რედაქტორის ტვირთი. ამის შემდეგ ე. ხელაძემ როსტომაშვილზე შეაჩერა არჩევანი, მაგრამ ზემდგომმა ორგანოებმა ეს კანდიდატურაც დაიწუნეს. დაბოლოს ე. ხელაძემ „წყაროს“ რედაქტორად ცნობილი ჟურნალისტის გრიგოლ ყიფშიძის დამტკიცება ითხოვა. ეს უკანასკნელი გაბრძოლებაც მარცხით დამთავრდა.

ხელისუფლება ფორმალურად ახალი გაზეთის დაარსების მოსურნეა. იგი თითქოს იმაზეც ზრუნავს, რომ რედაქტორად საუკეთესო, საქმის მცოდნე და მოყვარული პიროვნება შეერჩიათ. მაგრამ სინამდვილეში ეს ცდა მოჩვენებითია, მთავრობა განგებ ხლართავს, ართულებს მდგომარეობას, იწუნებს ისეთ პიროვნებას, რომლის ობიექტურად დაწუნება შეუძლებელია (თუნდაც გ. ყიფშიძის) და ამ გზით, მოხერხებული მანევრირებით სათავეშივე აშრობს „წყაროს“.

1896 წლით თარიღდება აგრეთვე ჟურნალ „მოამბის“ გამომცემლის ალექსანდრე ჯაბადარის თხოვნა. ცნობილ მოღვაწეს განუზრახავს ვასილ რცხილაძის რედაქტორობით გამოეცა ყოველდღიური გაზეთი „ხმა“.

საცენზურო კომიტეტი შენიშნავს, რომ ა. ჯაბადარის თხოვნა შესაწყნარებელია.

მაგრამ დადებითი დასკვნა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საქმის დაგვირგვინებას. როგორც ირკვევა, სხვა შემფერხებელი გარემოებანი აღმოცენებულა და „ხმის“ გამოცემა ვერ მოხერხდა.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ივანე მაჩაბლის ცდა, დაეარსებინა ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „სიმი“.

„სიმის“ პროგრამა უმთავრეს პუნქტებში ემთხვევა „წყაროსა“ და „ხმის“ პროგრამებს. მა-

ჩაბლის თხოვნას შედეგი არ მოყოლია. მიზეზი გასაგები გახდება, თუ გადავიკითხავთ ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარი სამმართველოს წერილს კავკასიის მთავარმართებლისადმი.

«...Проситель ранее состоял редактором газеты «Дроэба» прекращенной в 1885 г. ввиду крайне вредного ее направления; затрудняюсь высказаться за или против ходатайства Мачабели, так как со времени прекращения издания «Дроэба» прошло 12 лет, в течение которых проситель не занимался публицистикой, почему и не представляется возможным сказать что-либо определенное о его теперешнем образе мыслей».

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, როგორი მოსაზრებები განავითარა ადრე საცენზურო კომიტეტმა დ. მუსხელიშვილისა და ი. მაჩაბლის მიმართ, უველაფერი კიდევ უფრო ცხადლივ წარმოგვიდგება.

1897 წელს მოწინავე საზოგადოების ერთმა ნაწილმა კვლავ სცადა ქუთაისში ყოველკვირეული გაზეთის „შრომის" დაარსება. ამ საქმის ინიციატორი იყო პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი, რომელიც არა მხოლოდ გამომცემლის, არამედ რედაქტორის მოვალეობასაც კისრულობდა.

პ. თუმანიშვილის თხოვნა ფრიად გამორჩეულია. სხვები თუ არსებითად ფაქტთა კონსტატაციას ახდენდნენ, უფრო ზუსტად, თავიანთი სურვილის მოკლე და მშრალი გადმოცემით კმაყოფილდებოდნენ, პ. თუმანიშვილი ვრცელ განმარტებას გვაწვდის და ახალი გაზეთის გამოცემის აუცილებლობას ასაბუთებს. მისი აზრით, თბილისურ გაზეთებს ყოველთვის არ ძალუძთ საკმაო ადგილი დაუთმონ დასავლეთ საქართველოს, ქუთაისში გამომავალი პერიოდული ორგანო კი — სრულად და მრავალმხრივ გააშუქებს ადგილობრივ ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, იგი უფრო გასაგები და მახლობელი იქნება ლიხსიქეთა მცხოვრებლებისათვის.

რედაქტორ-გამომცემელს სათანადო განსჯის შემდეგ შეურჩევია გაზეთის სახელწოდება, რათა ამ გზითაც გამოეხატა პერიოდული ორგანოს მიმართულება. ჩვენ, — წერდა პ. თუმანიშვილი, — სამ ძირითად მიზანს ვისახავთო:

1. გვსურს ადგილობრივი საზოგადოების თვალში ავამაღლოთ შრომის მნიშვნელობა და მიმზიდველობა. ეს განსაკუთრებით საჭიროა, რადგან ჩვენი ხალხი რეფორმამდელმა, ბატონყმურმა ყოფამ რამდენადმე გადააჩვია სწორ და რეგულარულ შრომას.

2. იმისთვის, რომ ქართველებმა გაიგონ ხელისუფლების ამოცანები და მოქმედება, აუცილებელია მათი ახსნა-განმარტება საზოგადოებისათვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე. ეს კი ნამდვილად ხელეწიფება ქართულ გაზეთს.

3 ქართველი და რუსი ხალხის დაახლოება მეტად საჭირო საქმეა. ამ მიზნის განხორციელებისათვის არ არსებობს სხვა უფრო ქმედითი საშუალება, ვიდრე რუსული კულტურისა და ცივილიზაციის გაცნობა.

ცენზურის აზრით, ქუთაისში ჯერ კიდევ არ მომწიფებულა ნიადაგი გაზეთის გამოსაცემად. პ. თუმანიშვილის პუბლიცისტური შესაძლებლობანიც უცნობიაო. ისიც მოიმიზეზეს, რომ თბილისელი ცენზორი ადგილობრივ საქმეთა კურსში ვერ იქნება და, ამდენად, გაუმართლებელია მას მიენდოს „შრომის" კონტროლი, ხოლო ქუთაისელი მოხელისათვის უცხოა საცენზურო პრაქტიკა, რის გამოც ზედამხედველად მისი გამოყოფა „ძალზე არასასურველი იქნებოდაო".

„საკმაო" მიზეზი მონახეს იმისათვის, რათა 1900 წელს უარი ეთქვათ გაბრიელ ბარნაბიშვილისათვის, საბავშვო ჟურნალ „უსუსურის" დაარსებაზე. საცენზურო კომიტეტი იმასაც აღნიშნავდა, რომ უკვე გამოდის „ჯეჯილი" და მეორე საბავშვო ჟურნალი ზედმეტიაო.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ თბილისისა და ლენინგრადის არქივებში დაცულ იმ საქმეებზე, რომლებიც ქართული ჟურნალ-გაზეთების დაარსების განზრახვებზე მოგვითხრობენ. გამორიცხული არ არის, რომ ძიებამ სხვა ფაქტებიც წარმოაჩინოს, მაგრამ მოპოვებული მასალებიც სრულიად საკმარისია ძირითადი ტენდენციების გასარკვევად და საერთო სურათის შესაქმნელად.

70-90-იან წლებში თვალსაჩინოდ იგრძნობოდა ქართული ჟურნალისტიკის აღმავლობისათვის ბრძოლა. ოფიციალური მონაცემებით ამ ხანებში ოცამდე პერიოდული ორგანო უნდა დაარსებულიყო (არაოფიციალური ცნობებით გაცილებით მეტი). ეს ტენდენცია ობიექტური მიზეზებით აიხსნება. კაპიტალიზმის რელსებზე მდგარ ქვეყანაში თვალსაჩინო ცვლილებები ხდება. მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას თან სდევს ქვეყნის მხარეთა დაახლოება და ეროვნული კონსოლიდაციისაკენ ლტოლვა, კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებას — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამაღლება. მეორე მხრივ, განათლებისა და კულტურის ზრდამ მკითხველი საზოგადოების რიგების გაფართოება გამოიწვია. საქართველო მსოფლიო ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული და გულმხურვალედ ეწაფება ცივილიზაციის მონაპოვართ.

არსებითი მაინც ის არის, რომ ჟურნალ-გაზეთების დაარსების ცდები უკავშირდება პროგრესულ-დემოკრატიულ მოძრაობას. ვინ არიან წამოწყებათა სულისჩამდგმელები? ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. მაჩა-

ბელი, დ. მიქელაძე, ი. ბახტაძე, ი. ჭყონია, ე. გაბაშვილი, ა. ჯაბადარი, პ. მირიანაშვილი, ვ. აღნიაშვილი, ვ. რცხილაძე და სხვ., რომლებმაც ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას დიდი ამაგი დასდეს და მთელი თავიანთი მოღვაწეობა მშობლიური ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლას შესწირეს. ამიტომაც შეიძლება ითქვას: მათ წამოწყებებს ფრთები რომ არ შეკვეცოდა, ქართული მწერლობა გაცილებით სიხსლსავსე და ქმედითი იქნებოდა. ამაში გვარწმუნებს გამოსაცემი ჟურნალ-გაზეთების პროგრამებიც. ისინი განმსჭვალულია დემოკრატიულ-განმანათლებლური ტენდენციებით, მიზნად ისახავენ საზოგადოების აღზრდა-გათვითცნობიერებასა და პოლიტიკურ გამოწრთობას, მიმდინარე პროცესებზე სასიკეთო ზეგავლენის მოხდენას.

ფაქტთა ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთების დაარსებისთვის ბრძოლა ხასიათდება არა სტიქიურობით, არამედ გარკვეული კანონზომიერებით. არსებითად ყველაფერი ღრმად გააზრებული და მოფიქრებულია. თითოეული წამოწყების უკან დგას ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფი. გათვალისწინებულია კონკრეტული სიტუაცია, მოგვარებულია სტამბის საკითხი, მიღწეულია შეთანხმება მომავალ თანამშრომელთა ბირთვთან, პრესის მეშვეობით ინფორმირებულია ფართო საზოგადოება და ა. შ.

საგულისხმოა, რომ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა განზრახული იყო მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში. ჩანს, პერიფერიებში ჯერ კიდევ არ შეინიშნება მძლავრი კულტურული აღმავლობა.

სტატისტიკა იმაზეც მეტყველებს, რომ ამ პერიოდში თითქმის ერთნაირი მოთხოვნილება ყოფილა ჟურნალსა და გაზეთზე.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ თვალსაჩინოა დარგობრივი გამოცემებისაკენ ლტოლვა. საერთო-პოლიტიკური ორგანოების გარდა, განზრახული იყო ლიტერატურული, საბავშვო-პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, ილუსტრირებული, სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთების დაარსება. ეს ადასტურებს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალწახნაგოვნებასა და მისი სიღრმისეული ასახვის სურვილს.

როგორც ვნახეთ, ჟურნალ-გაზეთების დაარსებაზე უარის სათქმელად ხელისუფლების წარმომადგენლები მრავალ ხერხსა და საშუალებას მიმართავდნენ. ზოგჯერ პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მთხოვნელი პოლიტიკურად არასაიმედოაო (მაგ., ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი და სხვ.). ამ შემთხვევაში ცენზურას მართლაც ვერ დასწამებ არაობიექტურობას. ხსენებული პირები მთელი თავიანთი არსებით ცარიზმისადმი მტრობით იყვნენ გამსჭვალულნი და აშკარადაც ავლენდნენ თავიანთ განწყობილებას. ამიტომ ბუნებრივია ცენზურის, როგორც ხელისუფლების დამცველი ორგანოს, უარყოფითი დამოკიდებულება მათდამი.

უფრო ხშირად ზემდგომი ორგანოები ფაქტების გაყალბებას მიმართავდნენ. ცენზურამ მთხოვნელთა უმეტესობა ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის მოუმზადებლად ჩათვალა. ამგვარი მოტივით უთხრეს უარი გ. წერეთელს, ი. ჭყონიას, ე. გაბაშვილს და სხვებს, რომლებიც თავიანთი ლიტერატურულ-პუბლიცისტური საქმიანობით უთუოდ გამოირჩეოდნენ.

ზოგჯერ იმასაც იმიზეზებდნენ, რომ გაზეთის ფასი მცირეა, პროგრამა კი ვრცელია. უცნაურად ეღერს ისიც, რომ ქართული ენის ცენზორი გადატვირთულია და ამიტომ ახალი პერიოდული ორგანოს დაარსება გაუმართლებელიაო. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სოლოვიოვის სიტყვები: ვოლგისპირეთის ზოგიერთ ქალაქში 2-3 ყოველდღიური გაზეთი გამოდის, რომლებიც მოცულობით არ ჩამოუვარდებიან სატახტო ქალაქის დიდ პერიოდულ გამოცემებს. ამასთანავე, იბეჭდება ყოველკვირეული და ყოველთვიური ჟურნალებიც და მათ ერთი კაცი, ვიცეგუბერნატორი აკონტროლებს, რომელიც ისედაც დატვირთულია სხვა პირდაპირი საქმეებით. მაშ რატომ უნდა იყოს კავკასიის საცენზურო კომიტეტის შტატიანი თანამშრომლისათვის დაახლოებით იმდენივე პერიოდული გამოცემის კონტროლი შეუძლებელი? ჰობოლა ჩინოვნიკსაც კი წამოცდა, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტი განგებ ამუქებს საღებავებსო.

არცთუ იშვიათად საცენზურო კომიტეტი წინააღმდეგობაში ვარდება. მაგალითად, ვ. რცხილაძე ერთ შემთხვევაში დახასიათებულია როგორც ჟურნალისტიკისთვის მოუმზადებელი და პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება, მეორე შემთხვევაში კი — განათლებული და სანდო მოღვაწე, რომლისთვისაც უცხოა ვიწრო ნაციონალური ტენდენციები.

აქ იმ დიპლომატიურ მანევრებზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელთაც არცთუ იშვიათად მიმართავდა ადგილობრივი ხელისუფლება. მისი წარმომადგენლები პეტერბურგში სწერდნენ: წინააღმდეგი არ ვართ, ამა და ამ პირმა ჟურნალი თუ გაზეთი გამოსცეს. მაგრამ... და ამ თითქოს ობიექტურ მოსაზრებას ისეთ ფაქტებს მოაყოლებდნენ, რომლებიც ხელს უხსნიდა ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარ სამმართველოს უარის სათქმელად.

ვერც იმას მივჩქმალავთ, რომ ხანდახან თვით საცენზურო კომიტეტისა და ზემდგომი ორგანოების ცალკეული წარმომადგენლებიც კი აშკარად გრძნობდნენ უხერხულობას გამოტანი-

ლი დასკვნის გამო და ხმას იმაღლებდნენ, მაგრამ ამგვარი პროტესტები საქმის არსს ვერ ცვლიდა.

საცენზურო კომიტეტის, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის, ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარი სამმართველოს მოქმედება სრულიადაც არ არის მოულოდნელი. ისინი არსებული წეს-წყობილების სადარაჯოზე იდგნენ და სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. ქვეყნის მესაჭენი კარგად გრძნობდნენ, რომ მოწინავე ქართველი საზოგადოების სწრაფვა ჟურნალ-გაზეთების დასაარსებლად ფაქტობრივად თვითმპყრობელობისათვის საფუძვლების შერყევას გულისხმობდა.

დაპირისპირებულ მხარეთა ბრძოლა, მართლაც, მძაფრი და დაუნდობელი იყო. იგი ხან აშკარა შეტევის ფორმით ხორციელდებოდა, ხან კიდევ წყალქვეშა დინების სახით მიმდინარეობდა.

ქართველი საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არასოდეს დაუყრია ფარხმალი. დაჟინებითა და სისტემატურად უტევდა თვითმპყრობელობის ბასტიონს, რასაც სასიკეთო შედეგი მოჰქონდა. საზოგადოებრივი აზრის გაძლიერებისა და შეუპოვარი მოთხოვნის გამო ხელისუფლება ზოგჯერ იძულებული ხდებოდა დათმობაზე წასულიყო. ამის შედეგადაც უნდა მივიჩნიოთ, რომ 1879-1900 წლებში ხუთმეტზე მეტი ქართული პერიოდული ორგანო დაარსდა.

განხილული მასალები მოწმობს, რომ XIX საუკუნის 70-90-იან წლებში ქართული ჟურნალისტიკის აღმავლობისათვის მნიშვნელოვანი ბრძოლა წარმოებდა, რაც საზოგადოების ინტელექტუალური ზრდისა და ეროვნული სულისკვეთების გაღრმავების მაჩვენებელია. მართალია, მრავალმა ჟურნალმა და გაზეთმა ვერ იხილა დღის სინათლე, მაგრამ მათი დაარსების ცდებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. გაძლიერდა საზოგადოების ლიტერატურული მიდრეკილებები და გზა გაეწალდა სხვა პერიოდულ გამოცემებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

ეპითეტი აკაკის პოეზიაში

„გული არის ადამიანის სულიერი და გონითი სიცოცხლის შუა წერტილი.

გულში ისახება და იბადება ადამიანის გადაწყვეტილება ამა თუ იმ საქციელის ჩასადენად, მასში წარმოიშობა მრავალგვარი წინასწარგანზრახულობანი და სურვილები; იგია ნებისა და მის ნდომათა საყრდენი" (პ. ფლორენსკი, იქვე, გვ. 585).

„გული არის მრავალნაირ სულიერ გრძნობათა, ღელვათა და ვნებათა თავმოყრის ადგილი" (იქვე, გვ. 587).

„... გული არის ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების ცენტრი" (იქვე, გვ. 587).

„ადამიანის სიტყვებში, ფიქრებსა და ქცევებში გული არის ამოსავალი ყოველივე სიკეთისა და ბოროტებისა, იგია ადამიანის კეთილი ან ბოროტი განძი" (იქვე, 588).

„როგორც ადამიანის მთელი სხეულებრივი და სულიერი ცხოვრების ცენტრს, გულს ეძახიან ყოველივე ცოცხალის ამოსავალს ანუ სიცოცხლის წყაროს... იგია წრე ანდა ბორბალი, რომლის მოძრაობაშიც მოქცეულია მთელი ჩვენი ცხოვრება". (იქვე, გვ.588).

ეს ამონაწერები იმითაც არის საგულისხმო, რომ ხაზგასმულია, თუ გულთან რა უმჯიდროეს კავშირშია ადამიანის გონება, ფიქრი.

უჩვეულო და მოულოდნელი სულაც არ არის, ყოველგვარი ბოროტებისა და ბიწიერებისაგან თავისუფალი გული პოეტს სარკის მაგივრობას უწევდეს. ასეთ გულში, როგორც სარკეში, პირუთვნელად ირეკლება ცხოვრების ბნელი და ნათელი მხარეები.

მსოფლიო ლიტერატურას რომ თავი დავანებოთ, სარკის სიმბოლიკას თვით ჩვენშიაც დიდი ხნის ისტორია აქვს.

სარკე, როგორც უტყუარი მხატვრული ასახვის მეტაფორა ქართულ მწერლობაში ძველთაგანვე დასტურდება. კერძოდ, ერთ საგალობელში („შესხმა იოვანე ქართველისა") მას თავისებურად იყენებს XI საუკუნის ჰიმნოგრაფი ეზრა მთაწმინდელი, როცა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერლის, გიორგი მცირის ღვაწლის აღსანიშნავად ამბობს:

სარკედ ბრწყინვალედ აღწერით დაგვიტევა „ცხორება" თქვენი მუშაკმან მან სიბრძნისამან და შთამხედველ გვყვნა ელვარებასა თქვენსა...

(ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1978, გვ.504).

გიორგი მცირის აგიოგრაფიული თხზულება მიჩნეულია სარკედ, სად ჩახედვაც (წაკითხვა) წმინდა მოღვაწეთა ნათელი სახეების ელვარებას დაგვანახებს.

გულის მსგავსად, აკაკის ენაც იმის გამომხატველად მიაჩნია, რაც ყურს მოუსმენია ან თვალს უხილავს, მაგრამ ყოველივეს გონება ზომავს და წონის. ცხადია, ჩვეულებრივად ყურმოკრული რამის გადმოცემა არ შეიძლება იყოს პოეტის ფიქრის საგანი; საბოლოო ფორმას, აზრსა და მიმართულებას მის სათქმელს გონება აძლევს. ავტორმა თავისი პიროვნული ნება რომ მიჩქმალოს, ლექსში ენა, ყური, თვალი და გონება ერთგვარად პერსონიფიცირებულია; თვითეულ მათგანს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება აქვს მინიჭებული, მაგრამ აშკარაა — ეს მოქმედებანი ურთიერთშეთანხმებულია და ერთი შეხედვით განზე მდგარი და იმავე დროს მიუკერძოებელი შემოქმედის უმაღლეს სურვილს მორჩილებს:

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია.

ლექსის ბოლო სტროფი თითქოს გამოცანას სთავაზობს მკითხველს, თამაშის კილო დაჰკრავს, ეშმაკური ღიმილი იგრძნობა და ჩვენ გვიჭირს ერთი, საბოლოო და ურყევი შეხედულება ვიქონიოთ პოეტის არსებასა და დანიშნულებაზე:

დასასრული. იხ. „მნათობი", № 4, 5.

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა,
შუაკაცი ვარ უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

მართალია, ამაღლებული ფიქრი და ცისკენ ლტოლვა აკაკის არსებაში პოეტის თანდაყოლილ თვისებად ჩანს, მაგრამ მას არასოდეს მოჩლუნგებია რეალობის გრძნობა, არ დაუკარგავს საყრდენი, ნიადაგი. გავიხსენოთ თუნდაც მისი ცნობილი, მაჯამურ რითმაზე გაწყობილი ლექსის („აღმართ-აღმართ") ერთი სტრიქონი: „ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე".

მოგვიანებით დაწერილ საყურადღებო ლექსში („მოხუცის აღსარება", III, 197) აკაკი ცასა და მიწასთან დამოკიდებულებას საპირისპირო იერს აძლევს, მაგრამ ეს არ არის ნათქვამის უარყოფა, უბრალოდ, პოეტი სხვა მდგომარეობაში გვიჩვენებს თავისთ თავს; ახლოვდება უამი წუთისოფელთან განშორებისა, როცა კაცის ცხოვრება სიზმარივით უნდა გაქრეს და აღსარების მთქმელს დარდად მიჰყვება სიკვილ-სიცოცხლის აუხსნელი საიდუმლო:

მივალ, სად მივალ, არ ვიცი!
საიდან მოვალ, — არც ისა!...
მიწისაცა ვარ, ცისაცა;
არც მიწისა ვარ, არც ცისა!

ადამიანის არსებობის ეს მარადიული პასუხგაუცემელი და თავსატეხი კითხვა მოსვენებას უკარგავდა ყველა დროის უდიდეს თეოლოგს, ჰიპონის ეპისკოპოსს ნეტარ ავგუსტინეს და ამიტომაც იგი გაოგნებული მიმართავდა უზენაესს:

„რა უნდა გითხრა მე, უფალო, ღმერთო ჩემო? — მხოლოდ ის, რომ არ ვიცი, საიდან მოვედი აქ, ამ — როგორ ვთქვა—მკვდარ სიცოცხლეში თუ ცოცხალ სიკვდილში"? (აღსარება, 1,6).

აკაკი წერეთლის სულთან, აზროვნების წყობასთან, როგორც არაერთხელ დავრწმუნებულვართ, ზედმიწევნით ახლოა ამგვარი უკიდურესი კონტრასტების მომარჯვება.

ისევ მივუბრუნდეთ „მოხუცის აღსარების" ზემოთ მოტანილ სტროფს. ბოლო ორ სტრიქონში, ვფიქრობთ, წინააღმდეგობა უფრო მოჩვენებითია — პოეტი ამბობს, რომ იგი მიწასაც ეკუთვნის და ცასაც, მაგრამ, ამავე დროს, არც მარტო მიწის არის და არც მარტო ცისა; ამ ორ საპირისპირო და ერთმანეთთან სასიცოცხლოდ დაკავშირებულ სტიქიას შორის არის განაწილებული. ამავე თავში ჩვენ უკვე დავაკვირდით ერთ ანალოგიურ ლექსს („მგოსანი", III,14), სადაც იმაზეა ლაპარაკი, თუ პოეტის ორმაგი ბუნება როგორ თანაბრად გაინაწილეს ავმა და კარგმა და ისიც, გარემოებისდა მიხედვით, ხან ავს და ხან კიდევ კარგ თვისებას ავლენს.

მოხმობილი სტროფის წინა ორი სტრიქონიც ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აკაკიმ არ იცოდა საკუთარი ცხოვრების ასავალ-დასავალი; სამოღვაწეო გზა და საბოლოო მიზანი მას იმთავითვე გარკვეულად ესახებოდა. ამ სტრიქონების ავტორს, ცხადია, შეესისხლხორცებული ჰქონდა დელფოსის ტაძარზე წარწერილი უძველესი სიბრძნე — „შეიცან თავი შენი". მას არც დავით გურამიშვილის შეგონება გაუხდია საცილოდ, მოზარდის სრულყოფილ ადამიანად ჩამოყალიბებას რომ გულისხმობს:

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად
თავისადაო:
ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა
სადაო?

აკაკის ხაწუხარი და სატკივარი სხვაა, ახალგაზრდობის საუკეთესო წლებმა გაიარა, ხაწადელს ვერ მოესწრო, მრავალი იმედი გაუცრუვდა და ახლა, სულთამხუთავის მომლოდინე მოხუცს, გული გასტეხია, „მატყუარა" და „გაუგებარ" სოფელს ემშვიდობება.

და მაინც, „პირადი მწუხარება" ნაკლებად ანაღვლებს ამ ღმერთკაცს. მისი უმთავრესი ზრუნვის საგანი სამშობლოს ბედი და მომავალია ერთ ასეთსავე მოგვიანებით დაწერილ ლექსში („ის მიაჩნია...", III, 100) მისი საყვარელი ფორმულა შეუვალი ტონით გამოირჩევა და თანაც სხვათა გასაკიცხავად არის მიმართული. აქ ჩანს თუ როგორ უწამლავს მას სიცოცხლის მიწურულს თანამემამულეთა უგერგილობა, ის, რომ ერს თავისი ნამდვილი მოწოდება ვერ უპოვია და სამომავლო საქმის კეთების ნაცვლად ლაყბობასაა გადაყოლილი. სწორედ ამ წუხილმა ათქმევინა პოეტს მკაცრი სიმართლე:

მაღლა ვერ ვწვდებით, არც ძირს ვართ,
არც მიწისა ვართ, არც ცისა!

იგივე მოტივი — პოეტის მიმართება მიწასა და ცასთან — სულ სხვაგვარად ეღერს ერთ გვიანდელ ლექსში „ჩემი სიმღერა" (III,459). ლექსის ავტორს დაკარგვია ტრფობის საგანი, მძიმე ნაღველი მოსძალებია და თავისი თავი უსარგებლო ლეშად, უსულოდ დარჩენილ ხორცად წარმოუდგენია. ეს იმედგაცრუება, უსაზღვრობა და ულონობა ათქმევინებს:

არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი,
აღარც მიწის ვარ, არც ცისა!

ჩვენ ვიცით — ეს უიმედობა არ არის საბოლოო; აკაკი აგრძელებს თავის ღვთაებრივ სიმღერას, კვლავ ცისა და მიწის დამაკავშირებლად, „შუაკაცად" გვევლინება და თავადაც კარგად მოეხსენება — ამგვარი „შუაკაცობა" უბრალო რამ არ გახლავთ. პოეტის შუაკაცად, შუამავლად წარმოსახვას უძველესი დროიდანვე ეძლევა დასაბამი. ამ აზრს თვითონ პოეტები სხვადასხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარად გამოხატავდნენ აკაკიმდე და აკაკის შემდეგაც. მეოცე საუკუნის გამოჩენილ ესპანელ პოეტს ფედერიკო გარსია ლორკას სწორედ ასე ესახებოდა შემოქმედის უმაღლესი დანიშნულება:

პოეტი შუამავალია სიდუმლო
ჩვენსა და ბუნებას შორის.
ამოხსნილს სიტყვათა შემწეობით,
ჩვენ მისგან შევიცნობთ ბუნებას.

ცნობილია, რომ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა შემთხვევებში პუშკინს სხვადასხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი პოეტის ხატი; იგი ხან წინასწარმეტყველად, ხალხის გზის გამკვალავად მიაჩნდა, ხანაც ხალხისგან განაპირებას, განდეგილად ყოფნას მოუწოდებდა. „მოცარტსა და სალიერში" კი ჭეშმარიტი ხელოვანი, პოეტი მდაბიო ხალხშია გათქვეფილი, „უქმი მოხეტიალეა", თვით ბრბოს წარმომადგენელი.

ასეთ დროს მკვლევარის წინაშე სავსებით ბუნებრივად იბადება კითხვა:

„როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან ეს სამი სახე? რომელ მათგანს თვლიდა პუშკინი ჭეშმარიტად?

ვფიქრობ, პუშკინი, როგორც პოეტი, სამივე ამ სახეს ერთდროულად ფლობდა. შესაძლოა სულაც ეს იყო სამი ეანრი — ქადაგება, ლოცვა, ლიტერატურული ხუმრობა". (ე. ვინოკეროვი).

ჩვენთვის მთავარია პოეტის პიროვნების, შემოქმედის როლის ნაირგვარობა, გარემოსადმი მისი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება.

პუშკინის მსგავსად, აკაკის პოეზიაში ძალზე უხვად არის ჩაწნული ცხოვრებისეული თუ სტილისტური ანტინომიები და ბუნებრივია, პოეტის დანიშნულება, მისი პიროვნება სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვა მდგომარეობაშია დანახული და ყოველივე ამას გარემოება, ნაირგვარი მიზეზები განსაზღვრავს. ამიტომაც არის იგი „ხან უგნური", „ხან ბრძენი", ხანაც არც ერთ ამათგანს არა ჰგავს.

ერთ ადამიანში (პოეტში) გამოვლენილ ურთიერთსაპირისპირო თვისებებს როცა აღნიშნავს, აკაკის არასოდეს არ ავიწყდება, რომ ეს კონტრასტული თვისებები ერთ ფოკუსში, ერთ პიროვნებაში, მისი არსების დაურღვეველ მთლიანობაშია მოქცეული.

„გარემოების საყვირი" ჩვენს მიერ განხილულ ლექსსა და საერთოდ აკაკის პოეზიაში ეპითეტის შეშვეობით შექმნილი ერთ-ერთი მთავარი, სიმბოლოდ ჩაფიქრებული ხატია. ამის დამადასტურებელი მეტყველი მაგალითი გვაქვს აკაკის მოზრდილ ლექსში „ირაკლის საფლავზე" (II,890), სადაც პოეტის სახესიმბოლოები უცვლელად მეორდება, სიმყარეს იძენს; აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ მისი ენა ზეცის ნაკარნახევს, დანაბარებს გამოთქვამს, ღვთაების საყვირია:

გული სარკედ მაქვს ჭცეული,
ენა საყვირად ზეცისა,
უნდა, რაც ჩამესახება,
გავიმეორო მეც ისა.

იქვე ამბობს, რომ იგი არაფრით განსხვავდება მატლისა ანდა ცხოველისგან, უბრალო თიხის ჭურჭელივით შეიძლება დაიმსხვრეს, მაგრამ ჩვეულებრივი მოკვდავისგან განსხვავებით, ღმერთისაგან არის შთაგონებული, მის ნებას გამოხატავს („შეუპოვარი სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა...").

თავისთავად „ზეცის საყვირი" არ არის ორიგინალური მეტაფორა, მისი გამოყენება რომელიმე შემოქმედის უპირატესობად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ქართულ პოეზიაში ეს ბიბლიური ხატი დავით გურამიშვილმა დაამკვიდრა და, ვფიქრობთ, აკაკი წერეთელი ამ მხრივ, რამდენადმე „დავითიანის" ავტორისგან არის დავალებული.

ტყვეობიდან გაქცეული დავით გურამიშვილის ერთ-ერთ ვედრებაში, ღვთის-მშობლისადმი რომ არის აღვლენილი, გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ხატი:

„ზეცით ღვთის სიტყვით საყვირო, ქვეყნად კაცთ მოსათხრობელო..."

აქ აშკარად მეტაფორულად არის ნათქვამი უბიწო ქალწულ მარიამზე, ვინც ქვეყანას ამცნო „ღვთის სიტყვა", უთესლოდ შობა ძე, იგივე ქრისტე-ღმერთი, ლოგოსი.

ამავე „ვედრებაში" ორიოდე სტროფის შემდეგ ნათქვამია:

„ტყვეობისაგან დამიხსენ, მშობელო ღვთის სიტყვისაო"....

ამდენად, „ღვთის სიტყვის საყვირი" და „მშობელო ღვთის სიტყვისაო" ერთი აზრის შემცველი გამოთქმებია, ორივე მიემართება მარიამს, ვინც „ღვთის სიტყვა" ადამიანებს განუცხადა, მიწაზე შვა ძეხორციელი.

რა თქმა უნდა, აკაკი სრულიად სხვა დანიშნულებით იყენებს ამ ხატს, მასში სხვა აზრს დებს, მაგრამ ეპითეტებზე დამყარებული ორივე მეტაფორის („ღვთის სიტყვის საყვირის" და ზეცის ანუ „გარემოების საყვირის") გარეგნული ფორმა, სიტყვიერი სამოსელი მსგავსია.

„გარემოების საყვირი" ჭეშმარიტების მაცნეს, ზეცით შთაგონებული სიტყვის დაუბრკოლებლად თქმას გულისხმობს. ეს არის სტილისტურ ფიგურებზე, სამკაულებზე მეტაფორულად გამოხატული უარის თქმა, როცა წინა პლანზეა წამოწეული პოეტური გზნება, სათქმელის შეულამაზებლად, პირდაპირ მოწოდება, რამაც თავისთავად ძლიერი და უშუალო ემოციური ზემოქმედება უნდა მოახდინოს.

აკაკისეულ პრინციპს მეტისმეტად უახლოვდება გვიანდელი ტოლსტოის განწყობილება და თვალსაზრისი, მოძალებული სათქმელის გამოსახატავად საგანგებო ხერხების ძიებას პირწმინდად რომ უარყოფს.

ლევ ტოლსტოი ძალზე ბევრს ფიქრობდა მხატვრული ნაწარმოების ფორმაზე, მუდამ ეძებდა გამოსათქმელის გამარტივების გზებს. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა მისი დღიურის (1909 წლის 12 იანვარი) ერთი ადგილი:

„მე ხელთა მაქვს საყვირი და ვალდებული ვარ დაუფლებული ვიყო, ვიცოდე მისი გამოყენება. რაღაც მეძალება, არ ვიცი, შევძლებ ჯი გეძალება სურვილი, წერო ყოველგვარი ფორმის გარეშე: არა როგორც წერილები, განსჯანი და არც მხატვრული რამ, არამედ, როგორც ძალგიძს, გამოთქვა, გადმოღვარო ის, რასაც ძლიერად გრძნობ“.

სწორედ ასეთ პროგენებად წარმოგვიდგება აკაკი. მისგან ნათქვამი „შეუპოვარი სიმართლე“ მაღლით შთაგონებული სიმართლეა; ამიტომაც ჭირდებოდა „ენა საყვირად ზეციესა“, ამიტომ იყო იგი ღვთიური მადლით ცხებული შუაკაცი.

პოემა „ნათელაში“ დაუვიწყარია ქორწილის ეპიზოდი, როცა დანაღვლიანებული დედოფალი — ულამაზესი, გონებანათელი წერეთლის ასული — გაამხელს ჭმუნვის მიზეზს და მეუღლესა და ქორწილზე მოწვეულ დიდებულებს მოუწოდებს, მონღოლთა უღლისგან იხსნან ლიხს იქითა საქართველო, სალაშქროდ დაიძრან და ეკვეთონ საერთო მტერს, თუნდაც ყველა მათგანი ბრძოლის ველზე დაეცეს. პირველი თვითონ აცხადებს თავს „მამულის მსხვერპლად“.

ცოლის გამბედაობით და კეთილშობილებით მონუსხული უებრო რაინდი ცოტნე დადიანი მთელი საკრებულოს წინაშე აღტაცებული მიმართავს თავისი იდუმალი გადაწყვეტილების ამომცნობს, თანამზრახველს და აქ ერთი უაღრესად თამამი, იშვიათი სილამაზის შედგენილი ეპითეტი ნათელას შეუდარებელ მომხიბლაობას გვიხატავს და იმასაც მიგვანიშნებს, რომ სათაყვანო ქალის ამაყი და სათნო, განუმეორებელი ბუნება მხოლოდ მშობელ ნიადაგზე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო:

სწორუპოვარო მშვენებით,
სიბრძნითაც ამაღლებულო,
ოჯახიშვილო ნაზარდო,
ქართველად აყვავებულო...

„ქართველად აყვავებულო...“ — რამდენის დამტევია ერთმანეთზე გადაწნული, ერთ სხეულად შეკრული ეს ორი სიტყვა. ჩვენს თვალწინ თითქოს ზღაპრულ ფერებით აელვარებული, ტოტებგაშლილი კეთილი ნერგი შრიალებს, ერის უტკბობი იმედი, მარადჟამს მოყვავილე, ქართველთა სიცოცხლის უბერებელი ხე.

ნათელა რომ საქართველოს უღრმესი სიმბოლური ხატია, ამის აღნიშვნა შემდგომ საგანგებოდ მოგვიწევს.

აკაკის ლირიკაში მრავალი შემთხვევაა იმისა, როცა პოეტი საგანგებოდ შექმნილ რთულ ეპითეტებს იყენებს. ეს მარჯვე, მოხდენილი ეპითეტები, ჩვეულებრივ, აკაკისეული თვალთახედვით არის აღბეჭდილი, ავტორის ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა.

ასეთ ეპითეტთა რიგს შეგვიძლია მივაკუთვნოთ „სულმნათი“, რომელიც აკაკიმ რუსთაველის სიმაღლესა და სიდიადეს მიუსადაგა. ეს სიტყვა ვეფხისტყაოსნის შემქმნელს წარმოგვიდგენს ერის უპირველეს წმინდანად, ვისი სულიც მარადიულ ნათელს ასხივებს და გარშემო ღვთაებრივ შუქს აფენს.

აკაკის შემოქმედებაში აღნიშნული ეპითეტი სამუდამოდ უკავშირდება რუსთაველის სახელს. იგი პოეტის, მგოსნის სინონიმად გვევლინება. ეს უფრო მკაფიოდ ჩანს მოგვიანებით დაწერილ ჩვენს მიერ უკვე განხილულ ლექსში „სიზმარი“ (II,881), სადაც კვლავ რუსთაველის პორტრეტია დახატული („ის სულმნათი და მგოსანი“).

იმ, შედარებით ადრინდელ ლექსში („რუსთველის სურათზე“, II, 101), სადაც მუხლმოდრეკილი აკაკი მადლს სწირავს რუსთაველის მშობელ ერს, დიდ წინაპარს მხურვალედ ევედრება — პოეზიის გრძნეული ძალა გაანდოს.

სულმნათო! ჩვენცა გვასწავე
ეგ საიდუმლო ეღერისა,
რომ აგვისრულდეს წადილი,
მგოსანი ვიქმნე ერისა;

„საიდუმლო ეღერისა“, ცხადია, ლექსის თქმის ხელოვნებას გულისხმობს. აკაკიმ მშვენივრად იცის — ამ „საიდუმლოს“ სწავლა არავისგან არ შეიძლება, იგი შენშივე უნდა იყოს დამარხული და ოსტატობის შეძენის კვალდაკვალ უნდა გამოავლინო. ამ დროისათვის აკაკი წერეთელი უკვე არაერთი შედევრის ავტორია, მაგრამ იგი, როგორც ცოცხლისგან, რუსთაველისგან მოელის კურთხევას, უფრო დიდ მწვერვალებს ესწრაფვის და უძნელეს გზებზე სავალად რუსთაველის სახელს ამიტომაც იშველიებს. ერის მგოსნობა, უპირველეს ყოვლისა იმისათვის უნდა, რომ მისი ჩანგის ხმიერებაზ ხალხის უკვდავ სულში ბუდოს გამოძახილი — მისმა სიმღერამ ბრძოლის ენით აღანთოს გმირი და ნესტანის (ტყვექმნილი სამშობლოს) დასახსნელად ბნელ ძალებს შეაჭიდოს.

დავაკვირდეთ ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო წვრილმანს. მოტანილი სტროფის პირველ სტრიქონში გვაქვს ზმნის ძველი ფორმა — „გვასწავე“, რაც სტრიქონს უფრო ამაღლებულს ხდის, მეტ სილაღეს, სიმსუბუქეს, ჰაეროვნებას ანიჭებს. გრამატიკულად უფრო სწორი და თანამედროვე „გვასწავლე“ რომ ყოფილიყო, მე-

ტყველებას სიტლანქე შეეპარებოდა, დამძიმდებოდა, პროზაული იერი მიეცემოდა. ეხეც ცხადყოფს, რამდენად გაფაქიზებული აქვს აკაკის სმენა, რაოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევს ყოველ სიტყვას, თვითეულ ბგერას.

თუ სადმე მთელი სიხრულითა და მომხიბლაობით გამოავლინა აკაკიმ თავისი განუმეორებელი ნიჭი, რუსთველისეული შთაგონებით აღბეჭდილი „საიდუმლო ყღერისა", ეს ყველაზე მეტად მისი ლირიკის გვირგვინზე „განთიადზე" ითქმის.

ვიდრე უშუალოდ „განთიადის" კითხვით აღძრულ შთაბეჭდილებებს გადმოვცემდეთ, გვინდა გავიხსენოთ ანდრეი ბელის ერთი გამონათქვამი, სადაც აღნიშნულია, თუ რა დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მკვლევარს მხატვრული ქმნილების შესწავლა:

„რას ნიშნავს სიტყვიერების ნაწარმოების აღწერა? აღწერა კომენტარების მოცემას ნიშნავს; ყოველი ლირიკული ქმნილება საფუძვლიან კომენტარებს საჭიროებს. კომენტირებისას ლექსს ერთგვარად შემადგენელ ნაწილებად ვშლით, შინაარსი რომ დავახასიათოთ, გულმოდგინედ ვაკვირდებით გამოსახვის საშუალებებს, ეპითეტების, შედარებების, მეტაფორების შერჩევას, ვსინჯავთ სიტყვებს, ვიკვლევთ მათ რიტმულ და ბგერით კავშირს; დანაწევრებულ მასალას როცა ისევ ერთ მთლიანობად ვკრავთ, ხშირად ველარ ვცნობთ ნაცნობ ლექსს. იგი ფენიქსის მსგავსად, კიდევ უფრო გამშვენიერებული ამოფრინდება თავისივე თავიდან ანდა პირიქით — გაუფერულდება". (ანდრეი ბელი, სიმბოლიზმი, გვ.241).

ცხადია, ამჟამად ასეთ ყოველმხრივ ანალიზს ვერ ვიტვირთებთ, მხოლოდ ზოგიერთ, ჩვენთვის საჭირო დაკვირვებას დავჯერდებით. აქვე ერთი რამაც უნდა ითქვას წინასწარ — „განთიადის" შეუნელებელი მომხიბლაობა და დიდი მხატვრული ღირსება, ძირითადად, ეპითეტთა შეუმცდარ შერჩევასა და მათ უჩვეულოდ ძლიერ ზემოქმედებას ემყარება.

ყველას ახსოვს ღამის იდუმალი სურათი, კამკამა, ვარსკვლავებით გაჭედილი ცისკენ მზერააპყრობილი, დადუმებული მთაწმინდა, მკერდზე რომ ჭრილობასავით ატყვია ქვეყნისთვის თავშეწირული გმირის სხივმოსილი საფლავი. ლექსში თავიდანვე ეს სურათი იკვეთება:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დემეტრიუსი ადრევე დამოწმებულ ტრაქტატში („სტილის შესახებ") მეტაფორათა ნაირსახეობას როცა ეხება, საგანგებოდ ჩერდება ერთ ჯგუფზე, არისტოტელე უპირატესობას რომ ანიჭებს:

„არისტოტელე საუკეთესო მეტაფორად მიიჩნევს ე. წ. მოქმედების მეტაფორას, როცა უსულო საგნები გასულიერებულად გვევლინებიან".

სწორედ ასეა გასულიერებული ღამეული მთაწმინდა, მომდევნო სტროფში სულჩადგმულია ძირს გაწოლილი მდინარე, რომლის მარადიული ჩქრიალი ტკბილ ნანად მიუდის სამარადისო ძილით გასუდრულ მტრის ურჩ რაინდს. ცხადია, მთავარია პოეტის ოსტატობა, მისი სიტყვის ძალა, თორემ მხოლოდ პერსონიფიცირების ხერხი საქმეს დიდად ვერ უშველის.

„ცისკრის ვარსკვლავი", როგორც განთიადის წინამორბედი, აკაკის იმედის, წყვდიადის დაძლევის სიმბოლოდ აქვს ჩაფიქრებული. შენიშნულია, რომ ამ ხატს იგი ხშირად იყენებს. აღნიშნულ სახეს ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით.

„თავდადებულის საფლავი", როგორც ვიცით, მეფის ჯალათების ხელით მუხანათურად მოკლული უკეთილშობილესი ქართველი მამულიშვილის დიმიტრი უფიანის სამუდამო განსასვენებელია. თვით ეპითეტი „თავდადებული" მეცამეტე საუკუნეში მონღოლთა წამებული საქართველოს მეფე დიმიტრის ზედწოდებაა და სახელის თანაზიარობის გამო ბუნებრივად გადმოდის აგრეთვე ნაწამებ დიმიტრი უფიანზე; ამასთანავე აშკარა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს.

„ჩემი თავგადასავალის" ბოლოს დართულ ერთ-ერთ ბიოგრაფიულ ესკიზში აკაკი დიდი მღელვარებითა და თანაგრძნობით მოგვითხრობს დიმიტრი უფიანის ტრაგიკულ ბედზე. თავის დროზე მეფის მთავრობისგან ძალზე დაფასებული და დაწინაურებული გავლენიანი მოხელე პირად კეთილდღეობას არად აგდებს და თავისი დაჩაგრული ერის მომავალზე იწყებს დაუცხრომელ ზრუნვას. თანამემამულეთაგან არავინ არ აუბა მას მხარი, ყველამ ზურგი შეაქცია და „დარჩა მარტოდმარტო ბრძოლის ველზე". მარტოდ დარჩენილს მტარვალები იოლად გაუმკლავდნენ; მალე მიეცათ დიმიტრი უფიანის დაპატიმრების შემთხვევა.

„იქ, სტავროპოლში, პატიმრობის დროს მოჰკლეს!.. ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს. და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს". (VII,185).

აი, ამ კაცის ნეშტს ავედრებს მთაწმინდა მამადავითს; მოსავლელად, საპატრონოდ აბარებს წმინდა სავანეს. ასეთი რამ მხოლოდ უსაყვარლეს ცოცხალ არსებაზე შეიძლება ითქვას:

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს...

„საშვილიშვილო სამარე" ზედმიწევნით ზუსტი და ამავე დროს ღრმად პოეტური შეფასებაა მარად დაუვიწყარი, ჭეშმარიტად საშვილი-

შვილო ამაგისა, დიმიტრი ყიფიანმა მშობელ ერს რომ დასდო.

ხსენებულ ბიოგრაფიულ ესკიზში აკაკიმ ყველასგან მიტოვებული დიმიტრი ყიფიანი შეადარა იმ მარტო კაცს, რომელიც ყანას თესავს, თუმცა დარწმუნებულია, ნათესის დამწიფებას და მოსავლის აღებას თავად ვერ მოესწრება.

ასეთი კაცის კუბო სიკვდილს, სამუდამო დასამარებას არ ნიშნავს, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კეთილი სამომავლო თესლია და იმიტომაც გულში იკრავს მას მთაწმინდა. დიდ, საერო საქმეს შეწირული პიროვნებები აკაკის დალუპულად არ მიაჩნია და ერთ ლექსში, კრწანისის ტრაგედიას რომ ეხება, საოცარი, მხოლოდ მისთვის ჩვეული მოქნილობით აქვს გამოხატული ეს აზრი:

მამების კუბო სამარადისოდ
შვილების აკვნად აქ ნათესია.

„განთიადის" ექსპოზიციური ნაწილის ბოლოს, მეოთხე სტროფში, როცა თავდადებული რაინდის სამარეს ვეთხოვებით, წინ დგება მგოსნის, თვით ლირიკული გმირის ფიგურა და ამის მერე ჩვენ ვისმენთ ათრთოლებული ღმერთ-კაცის ლოცვა-ვედრებას.

საგულისხმოა, რომ ექსპოზიციური ნაწილის ოთხივე სტროფი, თავის დროზე ცენზურამ მთლიანად ამოიღო, რასაც თვით ლექსის ბოლო ორი სტროფიც მიაყოლა. (II, 510-501).

ნიშანდობლივია ისიც, რომ ადრეულ ვარიანტში სამშობლოს მიმართ პოეტის „გულისპასუხის" ამოთქმა ასე იყო წარმოდგენილი: „გულს უხსნის საალსარებოდ".

ლექსის ძირითადი ნაწილის შვიდივე სტროფი, პოეტის აღსარება-მონოლოგი, ერთ სამმარცვლიან რითმაზეა გაწყობილი (არეო); კლაუზულაში მოქცეული ერთადერთი თანხმოვანი რაე, უძლიერესი ბგერა, საპირო სიმტკიცეს, გამოკვეთილ ყღერადობას აძლევს რითმას. კლაუზულის ბოლო ორი მარცვალი ხმოვანებისგან შედგება, სასიამოვნოდ არბილებს ძლიერად მყღერ თანხმოვანს და მთლიანობაში სარითმო სიტყვა ერთგვარი წამღერებით გამოითქმის, რაც „განთიადს" ამგვარადვე გარითმულ ხალხურ ლექსებს ამსგავსებს, მკვეთრად გამოხატულ ხალხურ იერს აძლევს. გავიხსენოთ, როგორ ხიბლავდა აკაკის დაახლოებით ამავე წყობის ხალხური ლექსი „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო..." განსაკუთრებით კი ერთი დაუვიწყარი ხატი მკერდზე ჩვილმიხუტებული ქალისა, რაფაელის მადონას რომ ამსგავსებს. ხალხურის გარდა, ამგვარად აგებული რითმა და ინტონაციური წყობა, რა თქმა უნდა უპირველეს ყოვლისა, ძალზე ხშირია ვეფხისტყაოსანში.

მრავალ ფიქრს აღძრავს, ბევრი რამით არის გამორჩეული „განთიადის" ეს ნაწილი, აქ განსხეულებულია მონატრების ნაოცარი გრძნობა. მანამდე თითქოს პოეტი, დედამიწას მოწყვეტილი, სადღაც უშორეს სივრცეებში იმყოფებოდა, სამყაროს გარეთ იყო გასული და წლების მერე ისევ ბედავს მშობელ მიწას, მის თავზე გადაჭიმულ ოქროსფრად დაჟორფლილ ცას; ან კიდევ, ეს-ეს არის შორი და მომქანცველი მგზავრობიდან ბრუნდება ჯანგატეხილი, დაუძლურებული კაცი და სასწაულებრივად სხვაფერდება ჩვენს თვალწინ, თითქოს ახალი სული ჩადგმია, ყველაფერს პირველყოფილი აღტაცებით აკვირდება. სტრიქონებს შორის იგრძნობა გაუმხელელი ტკივილი, რომ ეს ენით აუწერელი მშვენიერება უნდა დათმოს, სამუდამოდ გამოეთხოვოს.

პოეტის სიტყვა, თვით სიტყვათა კავშირი მომაჯადოებელ, მაგიურ ძალას იძენს. თითქოს არაფერია არაჩვეულებრივი, ისეთი, მანამდე რომ არ გვსმენია და მაინც განსაკუთრებულის, დიადის, გაუხუნარი სილამაზის განცდა გვეუფლება. ჩვენს თვალწინ იშლება ცად და ხმელეთად განაწილებული და მაინც ერთ დაუნაწევრებელ მთლიანობად შეკრული ძვირფასი სამკვიდრო ადამიანისა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

პირველი სტრიქონის ეპითეტები თითქმის ზუსტად ასე, უცვლელად აქვს აკაკის გამოყენებული პოემა „მედეაში"; „ცაო ფირუზო და ზურმუხტ მიწავ" (VI,160), მაგრამ იქ ეფექტი განუზომლად სუსტია, სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს.

იგივე სიტყვიერი სამკაული „განთიადში" შეუდარებლად მოქნილი და შთამბეჭდავია. პოეტურმა სახემ მეტი სიმკვრივე და მოქნილობა შეიძინა, შეიძლება ითქვას, ფოკუსში ჩაჯდა. ეს უპირველეს ყოვლისა, საზომის ზუსტად შერჩევამ განაპირობა. სწორად შენიშნავს ანდრეი ბელი: „ყველა პოეტს აქვს თავისი საყვარელი საზომი, რომელშიც მისი რიტმული სიმდიდრე ვლინდება".

აკაკის ასეთ საზომად რვამარცვლიანი დაბალი შაირი ეგულება, ყველაზე ხშირად ხალხური წარმომავლობის ამ საზომს მიმართავს (მაღალ შაირსაც მარჯვედ ფლობს) და პოეტის ბევრ ლექსს კიდევაც საგანგებოდ აწერია „მესტვიერული", რაც ხალხურ კილოსთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს.

ამავე დროს, ათმარცვლიან ლექსში (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) აკაკი ვერ ავლენს მისი დიდი ნიჭის შესაფერის ოსტატობას, სტრიქონი რამდენადმე მოშვებულია, ნაკლოდობა აკ-

ლია. თუმცა ეს მარტოოდენ აკაკის ნაკლი არ არის და ალბათ ეპოქის საერთო ხასიათითაც უნდა აიხსნას. (ილიასთან და ვაჟასთანაც, დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა).

„განთიადის" სტრიქონები მიჯრით, სულმოუთქმელად არის წარმოსათქმელი, სამშობლოს დანატრებული კაცის ლოცვაა („წამძლია სულმა და გულმა, შენს ნახვას დავეჩქარეო") და იქ სიტყვათა შორის სიხალვათე, გარკვეულ აზრობრივ და რიტმულ ფუნქციას მოკლებული მარცვალი არ შეიძლება დარჩეს. ი. ტინიანოვის ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ლექსის რიგის სიმჭიდროვე" ასეთ შემთხვევებში უფრო მტკიცე და მდგრადია.

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს სამშობლოსადმი მიმართული ეპითეტები „ცა-ფირუზი" და „ხმელეთ-ზურმუხტი", სადაც საგანი და ფერი თითქოს ერთმანეთთან არის შესისხლხორცებული, გაუთიშველ მთლიანობად აღიქმება. აკაკიმ თავისებური კომპოზიტები შექმნა, ძალზე ტევადი და მოქნილი, წარმოსათქმელად მარჯვე.

ამგვარ რთულ ეპითეტებს თამამად შეგვიძლია მივუსადაგოთ დემეტრიუსის ერთი დაკვირვება: „რთული სიტყვა სწორედ იმიტომ, რომ რთულია, უფრო მდიდრული და დიდი და ამასთანავე შეკუმშული მოჩანს."

იგივე ავტორი, ლაკონიური სტილის უპირატესობა რომ ცხადყოს, ამბობს: „უპირველესი, რაც მეტყველებას დახვეწილს ხდის — ეს სიმოკლეა".

„განთიადის" მოტანილი სტროფი ამ ჭეშმარიტების საუცხოო მაგალითად გამოდგება. რუსთაველის პოეტიკა გამორჩეულ ადგილს უთმობს ამ წარუვალ სიბრძნეს („გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი!..") და ცხადია, აკაკისაც პოეტის უპირველეს თვისებად მიაჩნდა იგი.

აკაკიმდე და აკაკის შემდეგაც ცა ბევრჯერ დაუკავშირებიათ ფირუზთან და მიწაც ბევრჯერ შეუდარებიათ ზურმუხტისათვის, მაგრამ ეს სახეები უმალ აკაკის სახელს ამოზიდავენ ხოლმე ცნობიერებაში, მის ლექსს გვახსენებენ.

თეიმურაზ I მცირე პოემაში „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა" აღორძინების სიმბოლოს, წელიწადის ულამაზეს დროს, გაზაფხულს, ათქმევინებს: „ჩემს დროში მიწა-მდელონი ზ ურ მ უ ხ ტ ა დ გარდიქცეულიან".

გიორგი ლეონიძეს ერთ თავის ლირიკულ ლექსში „ქილილა და დამანა" ძვირფასი თვალივით აქვს ჩასმული შესანიშნავი სურათი: „ცაა ფირუზის თლილი ფიცარი.."

მიუხედავად დროში ორმხრივი დაშორებისა (თეიმურაზი ორი საუკუნითა და მეტით უსწრებს აკაკის, ხოლო გიორგი ლეონიძე უშუალოდ აკაკის სტრიქონითაა შთაგონებული) ორივე ამ პოეტურ სახეს „განთიადის" ეპიტეტად შეიადგას.

ადრე მოხმობილი სტროფის ბოლო ორი სტრიქონი, სადაც სნეულებაზეა ნათქვამი, პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. დავაკვირდეთ, რა გულთამხილაობით არის შერჩეული ზმნის ფორმა — „დავბრუნებულვარ". იგი თითქოს თურმეობითია და შეეწყობა კითხვა — „რა მიქნია?", თუმცა შინაარსობრივად სხვა ნიუანსი, ოდნავ სხვა გაგება აქვს — „დავბრუნდი" ან უფრო სწორად „დაგიბრუნდი"; პოეტი თავისებურად ეუბნება მშობელ ქვეყანას — ხომ ხედავ, როგორი გასაცოდავებული დაგიბრუნდი და შენ დამიხვდი მხსნელად, წყლულზე მალამო შენ უნდა დამადოო.

ეს არ არის ჩვეულებრივი სნეულება, ფიზიკურად დაავადება და არავითარი წამლებით არ შეიძლება ასეთი ავადმყოფის შველა. ამ სიტყვების მთქმელი სამშობლოზე განუწყვეტელმა ფიქრმა დააუძლურა და იმავე სამშობლოს ხილვა თუ ჩაუდგამს მუხლებში ძალას, საამქვეყნოდ შემოაბრუნებს. მან ხომ ერთხელ თვით საქართველოც მძიმარე ავადმყოფს შეადარა. აკაკი საქართველოს განუყოფელი ნაწილი, მისი სისხლი სისხლთაგანი იყო და, ბუნებრივია, იგივე სატკივარი შეაწუხებდა, რაც მის მშობელ ერს ტანჯავდა.

ეს ტრაგიკული განცდა იქვე დაუფარავად, დიდი მღელვარებით არის გამოხატული:

„ვერ ავიტანე ‖ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

ჩვენ ვიცით, რომ პირად განსაცდელსა და სატკივარზე აკაკის არასოდეს დაუჩივლია და „ობლობაც" სხვა აზრის მატარებელია, უფრო ბარათაშვილისეულ სულიერ ობლობას, სიმარტოვეს, მშობელი ქვეყნის გასაჭირით გამოწვეულ მძიმე საწუხარს გულისხმობს. თუ როგორ და რა მასშტაბის ობლობაზეა ლაპარაკი, ამას უფრო გარკვევით შემდგომ, ერთი სხვა ლექსის სტრიქონებიდან გავიგებთ.

აკაკის სიცოცხლის ბოლომდე ღრღნიდა ცხოვრების უკულმართობით მოგვრილი სულიერი ტანჯვა, რითაც ბარათაშვილი იყო გულგასენილი და აკი ბარათაშვილისავე ეპითეტები მიუყენა საკუთარ თავს:

„მეც ამა ქვეყნად სულით ობოლი
ჭკუით ურწმუნო და გულით
უნდო.."

„სისხლის ცრემლები" ამჟამად ჩვეულებრივი ფიგურალური გამოთქმაა, რუსთაველის პოემაშიც დასტურდება, მაგრამ აკაკის ამ ლექსში ? ადგილას იგი შეუცვლელია, აორკეცებს

ტანჯვის განცდას, აღადგენს და მთელი სიცოცხლეთ ავლენს თავდაპირველი ზემოქმედების ძალას.

სიმშობლოს მალე ხილვას მოწყურებული კაცის სწრაფვა ოსტატურად არის დატანებული უტყუარი ალღოთი შერჩეულ ზმნის ფორმაში „დავეჩქარეო“.

ამ გაუნელებელ სურვილს მოსდევს გრანდიოზული, ეშმარიტად კოსმიური სურათი სივრცეში გაბნეული მნათობებისა, თითქოს პოეტის მსრბოლავმა, ნათლით მოსილმა სხეულმა დედამიწის გარსში ახლახან შემოაღწიაო:

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

აქ ერთ სიბრტყეზეა წარმოჩენილი ცის უსასრულობაში განფენილი მნათობები — მზე, მთვარე, ვარსკვლავები. ეს თითქოს არც დღეა და არც ღამე — ყველაფერი ღვთაებრივ ნათელშია გახვეული. ჩნდება ემპირიულ სინამდვილეზე, ჩვეულებრივ რეალობაზე მაღლა დგომის, ზედროულობის განცდა. შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ სტრიქონებში მოქცეულია მონაკვეთებად დაუნაწევრებელი, განუყოფელი, მთლიანი, აბსოლუტური დრო, იგივე მარადისობა. აქ შეიძლება უნებურად გაგვახსენდეს რუსთაველის გასაოცარი სტრიქონი, ტყვეობაში მყოფი ნესტანის მაღლა, მნათობთა საუფლოში აჭრის და მარადიულ ნათელში მოხვედრის სურვილს რომ გვიხატავს: „დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.

მზის, მთვარის და ვარსკვლავების ერთდროულად ხსენებამ „განთიადში“ არ უნდა გაგვაკვირვოს. აკაკი მიმართავს ხოლმე ასეთ პიროვნებითობას. „ბაგრატ დიდში“ ღამეულ ცას პოეტი „ლაჟვარდ ცას“ უწოდებს (V,7), თუმცა ასეთი ეპითეტი, ჩვეულებრივ, დღის ნათელზე ითქმის.

გასაოცარი სილაღე, სულიერი მხნეობა შემოაქვს ლექსში ღიმილით მოგებებული მნათობების გამოჩენას. შეუდარებელია პირველივე გაორმაგებული ეპითეტი — „გუნდი და გუნდი ვარსკვლავი“. ვარსკვლავთა სიხშირის აღსანიშნად ეს თითქოსდა სავსებით ჩვეულებრივი ეპითეტი — განსაზღვრება ერთ ადრეულ მოთხრობაში („სამგვარი სიყვარული“) თავად აკაკის აქვს გამოყენებული: „მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები გუნდ-გუნდად იჩენდნენ თავს და ძლიერად კაშკაშობდნენ...“ (VII,880) ლექსის ეპითეტი („გუნდი და გუნდი“), რომელიც ამ სახით მხოლოდ „განთიადში“ დასტურდება, სხვა, აშკარად გამძაფრებულ ეფექტს ახდენს — „და“ კავშირით გადაბმული, სახელობით ბრუნვაში. შეუკვეცავად განმეორებული ეს ძლიერი ყღერადობის სიტყვა უჩვეულო დინამიურობას ანიჭებს სურათს, გულის ძგერასავით გამოკვეთილია მარცვალთა სკანდირება — ვხედავთ, როგორ ფეთქავს თვალებზე მომსკდარი, უწყვეტ ნაკადად დაძრული ცეცხლოვანი მნათობების მდინარე. ვარსკვლავებთან ახლო ყოფნის ილუზიას ბუნებრივად ქმნის მეორე რთული ეპითეტი „მოკაშკაშ-მოელვარეო“. სინონიმთა ეს ბუნებრივი შეწყვილება გვაგრძნობინებს ციურ სხეულთა ტალღებად გადავლილ, ბნელი წიაღის ფონზე ამოფრქვეულ ნათებას.

ჩვენ ადრევე ვნახეთ შემთხვევები, როცა აკაკი ოსტატურად იყენებს ამ ტიპის გაორმაგებულ ეპითეტებს, მაგრამ „განთიადის“ ეს ადგილი მაინც ყველაზე შთამბეჭდავია.

პოეტის ჩვეული კონტრასტის ხერხი ამ ლექსში შეფარულია, საგანთა სიღრმეშია გადატანილი — ერთმანეთის პირისპირ დგანან მარადიული- ვარსკვლავიანი ცა და ხანმოკლე, წარმავალი არსებობა ადამიანისა, აღტაცებული, გაოგნებული რომ შეჰყურებს ბუნების საოცრებას.

ამ სილამაზის მხილველს სიცოცხლის ყინი უბრუნდება, სახეზე შუქი ეფინება, ნაღვლიან ფიქრებს იშორებს:

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!

ერთი შეხედვით ყოვლად ჩვეულებრივი ხატოვანი გამოთქმებია, მაგრამ ლექსის მდინარებას ყოველი მათგანი ჰაერივით ესაჭიროება. საგულისხმოა, ერთ-ერთი გამოთქმა დავით გურამიშვილის ვედრების კილოთი დაწერილ ლექსში სიმღერა: „რჭვა, დიდება, ღმერთო, შენდა...“ გვხვდება: „მხსნელო კაცთმოყვარეო, სევდა უკუ ვყარეო...“

„განთიადის“ მოხმობილი სტროფი მეტაფორულად ადამიანის გარდაქმნას, მის აღორძინებას, სიცოცხლის შემობრუნებას გვიხატავს („ია და ვარდი დამჭკნარი ხელახლად გამიხარეო!..“) თვით ზურმუხტად მიჩნეული ხმელეთი, მწვანით მოსილი მიწა, ბუნებრივია, მარადიული სიცოცხლის სახეა. ასევე სამჯერ განმეორებულ „ცა-ფირუზსაც“ მსგავსი დატვირთვა გააჩნია. ცნობილია, რომ სხვა სიმბოლურ მნიშვნელობებთან ერთად ცის სილურჯე, „ლაჟვარდი ადამიანის აღორძინებას ან სულიერ ჩამოყალიბებას განასახიერებს“... „ლაჟვარდი — უკვდავების სიმბოლოა“... „ლურჯი ფერი — დასვენებაა...“ და სხვა. (პ. ფლორენსკი, დასახელებული წიგნი).

ლექსის დრამატიზმი თანდათან მატულობს; პოეტმა იცის — სამშობლოს იქით გზა არ გააჩნია. იგია მისი არსებობის მიზანი და მწუხარების მიზეზი; ამ ქვეყნისათვის ცო-

ცხლობს და ამისთვისვე უნდა მოკვდეს:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..“

„სულის ჩამდგმელო მხარეო“... ეს ბევრად მეტია, ვიდრე ეპითეტი. უფრო დიდ სიტყვას ძნელად თუ ეტყვის სამშობლოს ადამიანი. მადლიერების ამაზე ღრმად და სასოებით გამოხატვა ძნელი წარმოსადგენია.

სამჯერადი განმეორება, ერთი და იმავე სიტყვის სამჯერ დატრიალება აკაკის მრავალგზის ნაცადი, უსაყვარლესი ხერხია და მისი გამოყენების ეფექტი აქაც საუცხოოა — მთავარი აზრის ამომწურავი სისავსით გამოხატვას ემსახურება: „შ ე ნ ი ვარ, შ ე ნ თ ვ ი ს მოკვდები, შ ე ნ ზ ე დ ვ ე მგლოვიარეო...“ ეს არ არის უბრალო სიტყვის თამაში — პოეტის სისხლით დაწერილი ერთგულების ფიცია. კიდევ უფრო ღრმა აზრს, მეტ ტრაგიკულობას იძენს ეპითეტი „მგლოვიარე“, როცა იგი სამშობლოს ბედუკულმართობით გულგასენილი კაცის განუწყვეტელ ტანჯვას გვამცნობს. აკაკიმდე და აკაკის შემდგომაც ასე ახლო ძნელად თუ მისულა ვინმე საქართველოს გულთან, იშვიათად თუ გამოსვლია ასეთი მოფერება.

აკაკიმ იცის, გარდუვალის აცილება არა სულიერს არ ძალუძს, მოახლოებულია მისი სამზეოსთან განშორების ჟამი, მაგრამ ისიც სწამს — გარდაცვალების შემდეგაც უნდა გაგრძელოს არსებობა, მკვდარიც ვერ გაეთიშება ქვეყანას, სიცოცხლის ფერხულს (ერთ ლექსში იგი ხომ გამოთქვამს ულამაზეს სურვილს, რომ მის საფლავზე ბავშვებმა ითამაშონ).

ბოლო ორ სტროფში აშკარად მოისმის ვედრების კილო; სამშობლოსადმი, როგორც უზენაესისადმი, ლოცვაა აღვლენილი, მფარველი კალთის გადაფარებას ეხვეწება და თავის უკანასკნელ, უწმინდეს სურვილს ანდერძის სახეს აძლევს; თხოვნასთან ერთად მშობელს დედაშვილობის ულევ მადლს შეახსენებს და ხმაში ისეთი მღელვარება დაეტყობა, ამ სტრიქონთა კითხვისას აღარ გაგვიჭირდება ჭაღარა პოეტის თვალებზე აკიაფებული ცრემლი დავინახოთ:

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც
ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო
და რომ მოკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!..“

„ნუ გამწირავ“ — ჩვეულებრივი გამოთქმაა, მაგრამ როცა სამშობლოს მიმართავ: „ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო“ — ეს უკვე მარადისობაში ფეხის შებიჯებაა და ამის მთქმელი ერის მუდმივი სულიერი თანამგზავრი, მისი უკვდავების თანაზიარი ხდება.

რა უბრალო და რამდენის დამტევია ფრაზა: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“... მართლაც რა მცირე და, ამავე დროს, რაოდენ მნიშვნელოვანია თვით თხოვნა, ანდერძი: „შენს მიწას მიმაბარეო!...“ — სამუდამო ბინა მშობელი ერის გულში, მის ცაზე ჩაუქრობელ ვარსკვლავად ბრწყინვა.

ჩვენ დავინახეთ, თანდათან როგორ შეერწყა აკაკი ზვარაკად შეწირული დიმიტრი ყიფიანის პიროვნებას, როგორ შეხედა თავის თავს ამ ქვეყნიდან წასულს და დამბადებელ მიწაზე საკუთარი სამარეც დაიგულა.

შემთხვევითი როდია, რომ „განთიადის“ პირველსავე სტროფში „ცისკრის ვარსკვლავი“ კაშკაშებს. ამ მნათობის გამორჩეული ელვარება, მოახლოებული განთიადის, მზის მოსვლის მაუწყებელია.

ჯერ კიდევ დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილი, „თავგანწირული მხედარი“, რომლის ცხოვრების უმთავრესი აზრი მოძმეთათვის გზის გაკაფვა და სავალის გაადვილება იყო, გასაოცარი სილაღით ამბობდა: „მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი“...

მშობელ ერს აღორძინების დღე, განთიადი რომ დადგომოდა, თავისი წვლილი გაიღო წამებულმა მამულიშვილმა დიმიტრი ყიფიანმა. ამ სანატრელი ჟამის დადგომას შეალია აკაკი წერეთელმა თავისი სანთელივით წმინდა, მოწამებრივი ცხოვრება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავიიმედებთ თავს, რომ „განთიადის“ სიღრმეებს ბოლომდე ჩავწვდით, ანდა ჯეროვნად ავხსენით სულისშემძრავი უშუალობისა და მომხიბლავობის მიზეზები, რამაც ეს ლექსი აკაკი წერეთლის უპირველეს შედევრად აქცია.

პოეტურ ქმნილებაზე მსჯელობისას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მაინც უნდა გვახსოვდეს ლორკას აზრი, რომ „პოეტური შემოქმედება — განუმეორებელი საიდუმლოა ისევე, როგორც ადამიანის დაბადება“.

„განთიადი“ ერთი იმ ლექსთაგანია, რომლის მიმართ სავსებით გამართლებულია მ. ბახტინის მეტად საგულისხმო გამონათქვამი:

„ენა მხოლოდ პოეზიაში ავლენს მთელ თავის შესაძლებლობებს, ვინაიდან ენისადმი წაყენებული მოთხოვნები აქ მაქსიმალურია: მისი ყოველი მხარე უკიდურესობამდეა დაჭიმული, უკანასკნელ საზღვრებამდეა მისული,

პოეზია თითქოს პირწმინდად გამოწურავს ენას და ენა ამ დროს თავისსავე თავს აღემატება".

აკაკი უაღრესად მწვავედ განიცდიდა მოხუცებულობას, სასიცოცხლო ძალთა დაშრეტას. ხანში შესულმა პოეტმა დაინახა საბედისწერო ზღვარი, რომლის მიღმა გარდაუვალის შესახვედრად გულისშემძვრელი ლოდინი იწყებოდა. სულ უფრო ხშირად გრძნობდა ბოროტის ცივ, სისხლისგამყინველ სუნთქვას. გაფაციცებული აყურადებდა ფეხაკრეფით მომავალ სიკვდილის ანგელოზს, რომლის გამოჩენა სამუდამო უკუნში დანთქმას მოასწავებდა. სიკვდილის განცდის ეს სიმძაფრე დიდი შინაგანი მღელვარებით არის გადმოცემული მის ლექსში „მოხუცის აღსარება" (III, 197).

სიკვდილი აქ პირდაპირ არ არის ნახსენები. მის აღსანიშნავად ორი ხატია გამოყენებული; პირველი მათგანი — „სტუმარი" — იდუმალების ნისლში, პოეტურ საბურველში ხვევს ამ მოვლენას, ხოლო მეორე, რთული ეპითეტი — „სულთამხუთავი" — უმალვე ნიღაბს ხდის „სტუმრის" შემზარავ სახეს, იგი სიკვდილის საყოველთაოდ ცნობილი სინონიმია. გადაჭრით, მოკვეთილად, მძიმე ხვედრთან შერიგებული კაცის სინანულნარევი მორჩილებით არის ნათქვამი:

დღეიდან ჩემი სტუმარი
სულთამხუთავი იქნება.
უნდა ვუკმიო საკმელი,
სანთელიც მისთვის იქნება.

რა ჯადოქრული ოსტატობით არის გამოყენებული ომონიმური რითმა (იქნება — იქნება). საკმევის კმევის კვალდაკვალ როგორი სიცხადით ჩანს სულეთის გზაზე შემდგარი კაცისათვის სანთლის ჩამოქნის უძველესი რიტუალი; თაფლის სანთელმა გარს შემოჯარული ბინდი, უკანასკნელი გზა უნდა გაუნათოს გარდაცვლილს.

კარს მომდგარ მოხუცებულობას პოეტი „მძიმე სენს" უწოდებს და იქვე ამბობს, რასაც უქადის მოახლოებული სიბერე:

სიბნელით მინაზღაურებს,
აქ რაც ნათელი მფენია.

მცხოვანი პოეტი გვიანღა, მაგრამ საბოლოოდ რწმუნდება, რომ „სოფელი მატყუარია", და მისი ფერადოვნება მოჩვენებითია, თვალის ასახვევად მოგონილი.

ფინალურ სტროფში დაუძლურებული და შემკრთალი კაცის ხმა ისმის, მაგრამ პოეტი თავის ბუნებას არ ღალატობს, წუწუნითა და ყვედრებით არ აპირებს წუთისოფლის დატოვებას:

და ვუცდი სულთამხუთავსა
შიშით და გულისძგერითა
და ჩემგან გაუგებარსა,
სოფელს ვათავებ მღერითა.

აკაკი თვით ცრუ და გაუტენელი სოფლის შეფასებაშიც ერთგვარ მორიდებას იჩენს; „ჩემგან გაუგებარსო", ამბობს, სავალდებულოდ არ ხდის, რომ ეს ქვეყანა სხვებისთვისაც ასევე „გაუგებარი" უნდა იყოს. მართალია ,იგი წუთისოფლისადმი პირად დამოკიდებულებას ავლენს, მაგრამ ეს შეფასება, საბოლოოდ, მაინც ზოგადდება. აკაკის პიროვნების უპირველესი ნიშანთვისება, მისი მეტყველების ბუნებრივი ფორმა სიმღერაა და სხვა არაფერი დარჩენია — მიწიერი სიცოცხლე სიმღერითვე უნდა გაასრულოს.

ამავე სტუმრის სახეს, ოღონდ ბევრად საანდომიანად გამომზირალს და გაკეთილშობილებულს ჩვენ ვხვდებით პოეტის ერთ-ერთ ბოლო ლექსში „ზეციური სტუმარო" (III,400). „სტუმარს", სიკვდილის ხატს, რომელიც ადრინდელ ძრწოლას სრულებითაც არ იწვევს, დართული აქვს ამამაღლებელი, ჰაეროვნებისა და კდემამოსილების მიმნიშვნელი ეპითეტი — „ზეციური". აქ კიდევ უფრო დაუძლურებული, ღონემიხდილია პოეტი, სულიერად დაღლილა, სხეულის ზიდვა უჭირს, ციდან მოსასვლელ, ძილად სახელდებულ სიკვდილს იგი სამუდამო განსვენებას ეუფლება, მხოლოდ მისგან მოელის ხსნას:

ზეციურო სტუმარო,
ქვეყნის გამოცანაო,
ძილო! მოხუც მამასაც
მოუვლინე ნანაო...

არაამქვეყნიური სიმშვიდეა დაბუდებული ამ სტრიქონებში, მიწაზე მყოფთათვის მიუწვდომელია ყოფნა-არყოფნის განუკვრეტელი საიდუმლო. თვით სტუმარმა კი იცის და ამიტომაც უწოდებს მას პოეტი „ქვეყნის გამოცანას". თავისთვის, ერის „მოხუცი მამისათვის" ერთადერთ წამალს, თვალთა დასახუჭველ „ნანას" ითხოვს.

ეს არ არის „იმერული ნანინა", რითაც დედა აკვანში ჩაკრულ ჩვილს ზრდის. ეს იგივე ნანაა, მდინარე რომ ამბობს მთაწმინდის კალთას მიბარებული დიმიტრი ყიფიანის სულის მოსაოხებლად.

მომდევნო სტროფში დაუფარავად არის გაცხადებული მიზეზი, რის გამოც მოხუცი ასე ესწრაფვის წასვლას, სამარადუამო ძილს:

ქვეყნის ტანჯვა, ფხიზლობა
ვეღარ აიტანაო!
სიზმრით მაინც დაატკბე!
ნანა-ნანა-ნანაო!

სწორედ მოტანილი სტროფის პირველი ორი სტრიქონი წარმოადგენს ერთგვარ გადაძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილს „განთიადის“ ადრე მითითებულ ადგილთან („ვერ ავიტანე ობლობა, სისხლის ცრემლები ვღვარეო“...), აქ უკვე ცხადი ხდება, რომ „განთიადში“ ნახსენები ობლობა ქვეყნის ტანჯული მდგომარეობით შეძრული პოეტის სულიერ მღელვარებას უფრო გამოხატავს. განსხვავება მაინც აშკარაა და ეს, ძირითადად, ტონში ვლინდება. „განთიადში“ მაინც იგრძნობა პროტესტი, მებრძოლი განწყობილება („ვერ ავიტანე ობლობა...“), აქ კი ძალაგამოცლილი, ნიადაგ ფხიზლად მყოფი ადამიანი ძილს ეშურება, რომ ეგებ სიზმარმა მაინც დაუამოს აფორიაქებული გონება, იმქვეყნად მაინც ელირსოს მოსვენება. თავის თავზე, ვითომ გარეშეა, მესამე პირში ლაპარაკობს („ქვეყნის ტანჯვა, ფხიზლობა ველარ აიტანაო...“), რაც კიდევ უფრო აღრმავებს ისედაც მინორულ განწყობილებას. ბოლო სტრიქონი („ნანა-ნანა-ნანაო...“) რეფრენადაა გამოყენებული, ოთხი სტროფის მანძილზე სამჯერ უცვლელად მეორდება და მუსიკალური ეფექტისათვის არის გამიზნული, რასაც კიდევ მეტად აძლიერებს ერთგვაროვანი რითმა, ჩვენ თითქოს ჩაგვესმის შორეული, გაბმული ზარის მოგუდული ხმა და ეს მონოტონური, თანაზომიერ მონაკვეთებში დარწეული ერთი და იგივე ბგერები მთელ ლექსს გლოვის ელფერს აძლევს, გეგონება მართლა ბურანში გადაჰყავსო „ზეციური სტუმრის“ მომლოდინე მოხუცი.

პოეტი დაყინებით მიმართავს სამუდამო ძილს, ამავე სიკვდილს, რომ თავისი წყალობა გაიმეტოს, მალე ეწვიოს, რადგან მის გარდა ვერავინ განკურნავს, ვერავინ ეწამლება მის წყლულს; ძილი ქვეყნიერების მალამოა, ყველა სულდგმულის ნუგეში, გამომაბრუნებელი და გაწამებულ „მოხუც მამასაც“ იგი თუ უშველის:

სხვა ვერ არგებს მკურნალი,
თუ არ შენისთანაო!
ანგელოზის ფარი ხარ,
ნანა-ნანა-ნანაო!
ძილო! შენით სულს იდგამს
ზეცა და ქვეყანაო!
მოუსვენე მამასაც,
ნანა-ნანა-ნანაო!

ფორმისა და შინაარსის ასეთი ყოველმხრივი, სრულყოფილი შერწყმა მართლაც რჩეულთა ხვედრია. ეს არის ხაკუთარ თავზე ჩურჩულით ნათქვამი სულთათანა, სიტყვიერ სამოსელში გაცხადებული; სრულქმნილება, სამარის კართან მდგარი პოეტის გედის სიმღერა, მისივე ყელიდან ამოყივლებულ ჰანგებში გადნობა, რაზედაც იგი ერთ, შედარებით, ადრინდელ ლექსში ოცნებობდა.

პოეზიის მომნუსხველ ძალაზე, მის რთულ, მრავლისმომცველ სიღრმისეულ ტევადობაზე როცა ლაპარაკობს და აღნიშნავს იმ სიამოვნებას, რასაც ამგვარი პოეზია ანიჭებს სმენასა და გულს, პოლ კლოდელს მაგალითად მოაქვს ვერგილიუსის ცნობილი სტრიქონი: „...საფარველქვეშ მდუმარე მთვარისა“... („ენეიდა“, 2,255) და იქვე დასძენს:

„ერთდროულად გვეუფლება სინათლის, სმენითი და სივრცობრივი შეგრძნება, აგრეთვე, ამათზე უმალ, სულიერი შეგრძნება: სიმშვიდე, რომელსაც ღმერთები უწყალობებენ მიწას“.

დაახლოებით, ასეთი განცდა შეიძლება დაეუფლოს აკაკის ამ ლექსის წამკითხველსაც.

დასასრულ შეგვიძლია აღვნიშნოთ — ეპითეტთა შერჩევასა და გამოყენებაში აკაკი წერეთელი დიდ მრავალფეროვნებასა და უმაღლეს ოსტატობას ამჟღავნებს. აკაკის პოეზიაში უხვად არის წარმოდგენილი და თავის დანიშნულებას მუდამ საუცხოოდ ასრულებს, როგორც ჩვეულებრივი, ტრადიციული, ასევე იშვიათი, მეტწილად რთული შედგენილობის ეპითეტები, თვით პოეტის მიერ შექმნილი კომპოზიტები და ყველა შემთხვევაში ამ ეპითეტთა არსებობა მხატვრული აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

აკაკის საუკეთესო ლექსების დიდი უმრავლესობის ღირსებას ბევრწილად სწორედ ეპითეტთა ხარისხი, მათი მოკნილობა და ხატოვნება განსაზღვრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ სირაძე

„მშვენიერება ნათელია, ზეციით მოსული"

(ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი)

მშვენიერების არსის შეუცნობლობას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. რომანტიზმმა მშვენიერების შეუცნობლობა პრინციპად აქცია. აქ მთავარია არა ის — თუ რა არის მშვენიერება, არამედ ის — თუ რაოდენ შეუცნობელია მშვენიერება. ყოფიერების უმთავრესი გამართლება მშვენიერებაა. მშვენიერება სულის სიკეთეა.

ქართული რომანტიზმიც მიჰყვება ამ პრინციპს. სიკეთისა და მშვენიერების, უკეთ, ზესთასიკეთისა და ზესთამშვენიერის ზოგადი სახელდებაა „ნ ა თ ე ლ ი". ეს არაა უბრალოდ მშვენიერების განცდის გამომხატველი. „ნათელი" არსზე მიმთითებელია და მიღმური სამყაროში ზესთამშვენიერების ობიექტურად არსებობის აღმნიშვნელია.

ასეთია ნ. ბარათაშვილის ესთეტიკური მრწამსი.

„მშვენიერება ნათელია, ზეციით მოსული".

„ზეცაც" იდეალური ყოფიერებაა. თვალი ხედავს „ზესთაცის" („ზეცის") ხატებას; ხილულ ცას, რომელიც აღებეჭდება პოეტის გულს. ცის „ლაჟვარდი" მიღმური სამყაროს მანიშნებელია, არსის გამოკრთომაა. როცა კაცის თვალი ამ ლაჟვარდს ხედავს, ფიქრები მიისწრაფვიან მის მიღმა, მიუღწეველი უსასრულობისაკენ, რადგან არსი უსასრულოა. ზეციური სიკეთე ქვეყანას მოეფინება მუდმივად, როგორც „ციური ცვარი" (ამ წარმოდგენითაა გამსჭვალული ნ. ბარათაშვილის მთელი პოეზია). მართალია, აქ ჩანს რემინისცენცია ბიბლიურ სახეებთან, მაგრამ სხვაობა ჭარბობს. ნ. ბარათაშვილისეული წარმოდგენები გულისხმობს ზეცისა და მიწის მუდმივ კავშირს და არა ზეციდან მოფენილ სასწაულებრივ ერთჯერად მადლს. მშვენიერება ნათელია, ხოლო ყოვლისმომცველი ვიტალური ძალების სიმბოლოა „ცვარნი ციურნი". მათი წერწყმა სიცოცხლეს ჰარმონიას ანიჭებს („მხოლოდ მზისა და ცაგი მას დილის ნამსა იშრობდეს და ერთად შესხივებულნი შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს", „არ უკიჟინო").

ეს ესთეტიკური იდეალიზმია. ნ. ბარათაშვილის იდეალიზმს განსაზღვრავდა მისი ეპოქა, რომანტიკული თვალთახედვა, მისი სულიერი მისწრაფებების განუხორციელებლობა და, რაც მთავარია, მისი პიროვნული ხასიათი. მისთვის კონკრეტულ მშვენიერებაზე უფრო მნიშვნელოვანია არსი მშვენიერებისა. ხილულ მშვენიერებას სწვდება გრძნობა და ფიქრი, ხოლო არსს — „ხილვა". ხილვა და ჭვრეტა ნ. ბარათაშვილისათვის პოეტური აზროვნებაა. არსის პოეტური წარმოდგენა არაა მხოლოდ მხატვრული ფაქტი, ანუ ტროპული ენით არსიდან დაშორება. პირიქით, არსი ყველაზე მეტად პოეტურ წარმოსახვებში განამდვილდება (ასეთი გაგება ხომ XX საუკუნეშიაც გვხვდება: ჰაიდეგერის ფილოსოფიაში ეგზისტენციის წვდომის უნარი პოეტურ ენას მიეწერებოდა). პოეტური წარმოდგენები ნ. ბარათაშვილისათვის უფრო ნამდვილი რეალობაა, ვიდრე ხილული სინამდვილე. „ფილოსოფიის პოეზიად ქცევა და პოეზიისა ფილოსოფიად — ასეთი იყო რომანტიკოსთა უმაღლესი მიზანი", — წერდა კასირერი („რა არის ადამიანი", 245) და ეურდნობოდა ფ. შლეგელის ნააზრევს.

ნ. ბარათაშვილის ესთეტიკა ესაა პოეტურ სამყაროზე ფილოსოფოსობა, ამ გზით შემუშავებული წარმოდგენების გადატანა იდეალურ სამყაროში და მათი ობიექტურად არსებობის

რწმენა. პოეტური აზროვნებით მოდელირებული სინამდვილის რეალურად არსებობის შესაძლებლობის რწმენა ნ. ბარათაშვილის მსოფლმხედველობის არსებითი ნიშანია. აქვეა ჩამარხული შიში ესთეტიკის დიდი შინაგანი წინააღმდეგობანიც.

ამქვეყნიურობას მშვენიერებას ანიჭებს „ზეცა“. მშვენიერება მოდის „ნათლის“ სახით. ეს ჩვეულებრივი ნათელი როდია. ეს ის ნათელია, „რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“. ანუ ეს ის ძალაა, რომელსაც ყველაფერში შეაქვს მშვენიერება. ეს იგივე წმინდა სულია (წმინდა სულის სინათლე). იგი ადამიანშიცაა, და გარესინამდვილეშიც და ალბათ, თვით აზრშიაც.

მშვენიერება, ახსნილი ამ „ნათლით“, კვლავ იდუმალებით მოცული რჩება. მაგრამ ამგვარ იდუმალებას რომანტიკული ესთეტიკა არ გაურბის. „ნათლის“ ამგვარმა გაგებამ მაინც ბევრი რამ სასარგებლო მოიტანა. მან ბევრი მიმართება გაარკვია. ცხადი გახადა ყოვლისმომცველობა მშვენიერებისა, მისი მაღალი ფასეულობანი, ამ ფასეულობათა ადამიანური საზომები, კავშირი ზეცისა და მიწის.

ასე რომ, „ნათელი“ გაცილებით მეტის მთქმელია, ვიდრე აბსტრაქტული „რაღაც“.

იგი, როგორც ვთქვით, არსის შინაგანი გამონათებაა (დაახლოებით, რენესანსული „კლარიტას“). ესაა არაღამეული ნათელი („ნათელი ნათელსა შორის“) და არა „ნათელი ბნელსა შინა“. შეიძლება ითქვას, რომ იგი სამყაროს გამამთლიანებელი მუდმივმოქმედი ძალაა (მისი „თანამარადიულია“). ამ გაგებით, ქვეყანა მიჩნეულია როგორც გარკვეული მოცემულობა, რომლის საწყისები სწორედ მის მოცემულ რეალობაშივე ჩანს. ერთი თავისებურებაცაა აღსანიშნავი: ამ დროს სიკეთის შეგრძნებას ახლდა ბოროტებაზე ფიქრი, მაგრამ მშვენიერება არ ახსენებდათ სიმახინჯეს. ამიტომ ჩანს მშვენიერების მომფენი „მნათი“ (და არა „შემაძრწუნებელი შავი მზე, რომელიც ასხივებს ღამეს“, ჰიუგო).

ნ. ბარათაშვილისთვის ქვეყნიერების ცენტრში დგას სულიერებით აღვსილი „მზეებრი“ მნათობი. იგია შეუცნობელი დიდი იდუმალება, მშვენიერების პირველსათავე, მომტანი პოეტური შთაგონებისა და არსაიდან ჩანს, რომ „მზე“ მხოლოდ ტრადიციული ეპითეტი იყოს ღვთაებისა. ამიტომ უშუალოდ მას მიემართება ხოლმე პოეტის სიტყვები: „ვფუცავ ძლიერსა შენსა სხივსა, ჰოი, მნათო ჩემო“ („აღმოხდა მნათი“).

ყოფიერების არსი არის ის, რაც პოეტურ სულს ესადაგება. „მარტივია“ ნათელი, „მარტივია“ პოეტის სულიც და ამ „სიმარტივეშია“ მათი უნივერსალობაც (სუბსტანცია მარტივია). ამიტომაც სწვდება არსს პოეტური სული.

ასეთი მნიშვნელობა აქვს მშვენიერების ნ. ბარათაშვილისეულ განმარტებას ნათლის ესთეტიკის საფუძველზე — „მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული, რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“.

ასეთი იყო ქართულ რომანტიზმში მშვენიერების გაგება. და თუ წარმოდგება კითხვა — რამდენად სწორიაო მშვენიერების ზემორე განმარტება, ამას ისეთივე პასუხი უნდა გაეცეს, როგორც ამგვარ კითხვას — რამდენად სწორად ხსნის სამყაროს პლატონის იდეები ან კანტის „საგანი თავისთავად“ და ა. შ.

მშვენიერების ნ. ბარათაშვილისეული განმარტება არ ამთავრებს აზრს, არამედ იწყებს აზრობრივ ძიებას: რა არის „ნათელი“? რაა „ზეცა“, „სული“, „მარადიულობა“, „იდუმალება?“ და სხვ.

ესთეტიკურ პრინციპთა გამოვლენის თვალსაზრისით, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში მთავარ ადგილს იკერს ცნობილი ლექსი — „რად ჰყვედრი კაცსა“. იგი დაწერილია 1842 წელს, ე. ი. როცა არსებითად უკვე გამოკვეთილია ნ. ბარათაშვილის შემოქმედებითი სახე. უკვე შექმნილია „შემოღამება“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“, „ჩემი ლოცვა“, „არ უკიჟინო“, „ვპოვე ტაძარი“, და თვით — „მერანიც“. ამ დროს მას უკვე კარგად შეეძლო საკუთარ შემოქმედებით ძიებათა გაცნობიერება-განზოგადება (რომანტიკოსებისათვის კი მნიშვნელოვანია სწორედ თვითგაცნობიერება).

ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილი ადრე გამოვლინდა (16 წლისამ დაწერა „შემოღამება“). იგი ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მისი პოეტური სამყარო სრულიად დასრულებული ჩანს. არსებობს ერთი ნიშანდობლივი გარემოება: მისი მემკვიდრეობის გაცნობისას შესაძლებელი ხდება გამოიკვეთოს მისი საზროვნო პრობლემატიკა, მისი „ცნებადი სინამდვილე“, საერთოდ, მისი საზროვნო სამყარო. ეტყობა, ეს ახალგაზრდობიდანვე გამოიკვეთა თვით ნ. ბარათაშვილისთვის, ადრიდანვე აღებეჭდა მის სულს მისთვის უარსებითესი კითხვები, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა დროს პოვებდნენ პოეტურ გამოხატულებას (მაგალითად, ჯერ კიდევ 1837 წ. გრ. ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ჩანს განსჯა „ბედის სამძღვრისა“, რომელმაც „მერანში“ პოვა ასახვა, 1842 წ.). ამიტომაც მეორდება მის ლექსებსა და წერილებში არა მხოლოდ სახეები, არამედ ესთეტიკური იდეებიცა და პრინციპებიც, რითაც ისახება გარკვეული, მდგრადი საზროვნო სფერო.

ესთეტიკური მრწამსის მიხედვით, „რად ჰყვედრის“ ირგვლივ ჯგუფდება ნ. ბარათაშვილის თითქმის ყველა ნაწარმოები, მაგრამ მასთან განსაკუთრებით ახლოა „არ უკიჟინო, სატრფოო“. აქ ერთი საერთო, პრობლემის ორ-

გვარი უკუფენია — მეორეში ემოცია სჭარბობს, პირველში მედიტაცია და განსჯა.

პოეზიაში გამოვლენილი ესთეტიკური პრინციპები თეორიულ ფაქტად ვერ ჩაითვლება. საერთოდაც ქართულ რომანტიზმს მწყობრი თეორია არ შეუქმნია (ი. ევგენიძე). მაგრამ რომანტიკოსებთან, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის ლირიკაში ერთგვარად მაინც თავისებური ვითარება გვაქვს. აქ მძლავრობს აზრზე, განსჯაზე დამყარებული ლირიკა (რომლის საფუძველია „აზრის სილამაზე", „აზრის ესთეტიკა"). ცხადია, მასში არაა ჩვეულებრივი თეორიული განსჯა. ესაა პოეზიისა და ფილოსოფიის გადაკვეთის სფეროებთან მიახლოება (რაზედაც შემდეგ პ. ვალერი მიუთითებდა). ლირიკაში მკვიდრდებოდა ჰეშმარიტების უშუალო ჰვრეტა: ფილოსოფიასთან მიახლოებული აზროვნებით (ნიშანდობლივია, რომ ამ ეპოქაში ხელოვნება საერთოდ ასე განიმარტებოდა: „ხელოვნებაა ჰეშმარიტების უშუალო ჰვრეტა").

ელიტური არისტოკრატიის დაკარგულ ფუნქციას ქართველი რომანტიკოსები სულიერი ელიტურობით ცვლიან. ლექსი, რომელიც ეძღვნება მშვენიერების არსის ძიებას, იწყება ბანოვანისადმი მიმართვით. ესაა მოაზროვნე არისტოკრატის „რეფერანსი" იმ ქალთა წინაშე, რომლებიც იმსახურებენ ინტელექტუალურ ემანსიპაციას (ინტელექტუალურს და არა-ეთიკურს). აქ ისიც ჩანს, რომ მშვენიერების რაობა განხილულ უნდა იქნას სიყვარულთან მიმართებაში. ბანოვანისადმი მიმართვა დიალოგიზებულ მონოლოგსა ჰგავს, რადგან მეორე ხმა არ ისმის, მაგრამ ჩანს პიროვნება, რომლის წინაშეც აღიძვრის უარსებითესი კითხვები (ასევეა მეორე ლექსშიაც: „არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის თქმა, მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა").

ნ. ბარათაშვილის თითქმის ყველა ლექსი მიმართვაზეა აგებული. ამას თავისი პოეტიკური ფუნქცია აქვს, მაგრამ აქვს გარკვეული პოეტიკური მიზანდასახულობაც. მიმართვაზე აგებული განსჯა ნიშნავს, რომ აზროვნება არაა გამოთიშული ადამიანური ურთიერთობებისაგან. აზრი არ გაცნობიერდება მხოლოდ „თავის თავში ყოფიერებით" და იგი ჩაირთვება სულიერ ურთიერთობებში. ეს, მართლაცდა, კლასიკური მსოფლგანცდისკენ სწრაფვაა, ანუ სწრაფვა იმისკენ, რომ თვით მაღალი მედიტაციები შეჰგუებოდა ცხოვრებისეულ სილაღეს, უშუალობით აღბეჭდილ „ნადიმთა" („სიმპოზიონთა") ატმოსფეროს. მაგრამ ეს სურვილი სურვილად დარჩა და დარჩა გადაულახავი წინააღმდეგობა მაღალ სულიერ სწრაფვათა და სინამდვილეს შორის. თვით ეს წინააღმდეგობა ნ. ბარათაშვილისათვის ესთეტიკურ პრობლემად იქცა.

ღრმა და შორსმიმავალი ესთეტიკური განსჯა იწყება სიყვარულზე მსჯელობით — ვინ ჰკარგავს მარადიულ სიყვარულს? მხოლოდ ის, ვისაც არ გააჩნია სულის მშვენიერება, მარადიული სიყვარულისკენ სწრაფვა სულის მშვენიერების ნიშანია („დაიმარხე, მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი, ჰეშმარიტი ბედნიერება" — წერდა ნ. ბარათაშვილი ერთ-ერთ წერილში. VII).

აქ მეღავნდება რომანტიკული მაქსიმალიზმი. შეიძლება ითქვას, რომ სიყვარულის რომანტიკულ გაგებაში ქრისტიანული ეთიკური მაქსიმალიზმი ცალმხრივი ხდება (რაც ჯერ კიდევ რენესანსულ უნივერსალიზმიდან იღებს სათავეს, რომელიც, ასევე აღბეჭდილია ცალმხრივობითა და ილუზიებით, თ. ელიოტი). იგი ცალმხრივი იყო მარადისობისა და წარმავლობის დაშორიშორების გამო. ნ. ბარათაშვილის ესთეტიკური იდეალიზმი ისაა, რომ სურს იდეალური და საოცნებო იპოვოს რეალობაში. აქეთკენ იგი მშვენიერების საკუთარ კონცეფციას მიჰყავს: წარმავალი არ შეიძლება იყოსო მშვენიერი. წარმავალი „სილამაზე ნიჭია მხოლოდ ხორციელების და ვით ყვავილი თავის დროზე მსწრაფლად დაჭნების".

რომანტიზმმა ერთგვარად უგულვებელჰყო ვიტალურ ძალთა ცხოველმყოფელობა და სიყვარული მხოლოდ სულიერებაზე დაიყვანა. რომანტიზმმა მაქსიმალური სულიერებით აღადგინა რაინდობა და უმაღლესი რაინდული სიყვარული შესთავაზა ქალს, შესთავაზა თავდაჭიყება, გაალმერთა იგი, სამაგიეროდ, მისგან მოითხოვა ბეატრიჩესა და ღვთისმშობლის სიწმინდე.

ნ. ბარათაშვილის ესთეტიკურ კონცეფციაში ერთმანეთს უკავშირდება მშვენიერება, სიყვარული და მარადიულობა. რომანტიკული ესთეტიკისათვის ერთგვარად მიუღებელიც კი იყო წარმავლობა-მარადიულობის დიალექტიკა. მარადიულობა იყო ესთეტიკის უმთავრესი და უმაღლესი საზომი. ამიტომ არსებითად აღარც კი დგება პრობლემა, თუ რატომ არ შეიძლება, რომ წარმავალი იყოს მშვენიერი, რატომ არ შეიძლება, რომ წარმავლობაშიაც იყოს დიდი სიკეთე. ამქვეყნად მხოლოდ ისაა საუკეთესო, რაც მარადიულობას შემორჩება. ესთეტიკურისათვის უმთავრეს ნიშნად მარადიულობის მიჩნევას ქართველ რომანტიკოსებს კარნახობდა ენის თავისებურებანი, ენის „ზედროულობა". ენა ესთეტიკური ფენომენი ხდება ერის ისტორიასთან „თანამარადიულობით" („რა ენა წარხდეს, ერი დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას"). არქაიზმი რომ ენის ესთეტიზაციის საფუძველი იყო, ესეც მხოლოდ კონსერვატულობითა და რეტროსპექციით ვერ აიხსნება. ესაა ენის მარადიულობის და მისი წარსულის ცხოველმყოფელობის გამოვლინება. ენის ესთეტიკას რომანტიზმი მის ამაღლებულობაში ხედავს და არა ენის გარეგნულ მშვენიერებაში.

დასაზუსტებელია ერთი არსებითი გარემოება: არც მანამდე და არც ნ. ბარათაშვილთან არა ჩანს ტერმინი „ამაღლებული“, მაგრამ უცნობი როდი იყო მისი ცნებითი შინაარსი. ნ. ბარათაშვილთან „ამაღლებულს“ აღნიშნავს „მშვენიერი“, ხოლო მშვენიერებას (ჯერ კიდევ კანტიდან მომდინარე მათი შეპირისპირებით), — „სილამაზე“. ნ. ბარათაშვილთან „სილამაზე“ და „მშვენიერება“ (ანუ „ამაღლებულობა“) ერთმანეთისაგან ცხადადაა გამიჯნული. „სილამაზე“ წარმავალია, „და გულიც მხოლოდ მისდა შენამსჭვალები, ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები“. ნ. ბარათაშვილის პოეზიაში არც მოსალოდნელი იყო და თითქმის არცაა ბუნების სილამაზე, თავისთავადი ესთეტიკური ღირებულების აღიარებით. ბუნების ესთეტიკა მის სულიერებაშია დანახული.

სულ სხვაგვარი იყო გრ. ორბელიანის მიმართება ბუნების ხილული სილამაზისადმი. მასთან რომანტიკული ესთეტიკა ხშირად სხვაგვარად მეღავნდება. აქ ფიზიკური სილამაზის ამაღლებულობაა („ხაღამო გამოსალმებისა“, „განთიადი“ „ხადღეგრძელოდან“). ამით ის ანტიკურ ესთეტიკას უფრო უახლოვდება. და, საერთოდ, გრ. ორბელიანის ესთეტიკას არ ახასიათებს ნ. ბარათაშვილისდაგვარი კატეგორიულობა. მის პოეზიაში ერთმანეთს უთანხმდება „კილო მუხამბაზისა“ (რომელსაც უკიდურესად ამდაბლებდა ვახტანგ ორბელიანი) და ჭეშმარიტი რომანტიკული ამაღლებულობით აღბეჭდილი ხილვები („თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“).

ქართული რომანტიზმის წყალობით მოხდა ესთეტიკურ აზროვნებაში აღმოსავლურობის დაძლევა, რაც არაერთხელ გამოვლენილა ქართული ესთეტიკის განვითარების საკვანძო ეტაპებზე. აღმოსავლურ ლირიკას ინარჩუნებდა თბილისის ქალაქური ესთეტიკური ატმოსფერო. ქართულ რომანტიზმს უბრალოდ კი არ უარუყვია აღმოსავლური მოტივები, არამედ არსებითად დაძლია იგი. ეს აძლიერებდა ევროპეიზმს ჩვენს მწერლობაში. დასავლურ-აღმოსავლურ თვალთახედვათა თანაარსებობა ესთეტიკური უნივერსალიზმის ერთგვარი გამოვლენა იყო (მსგავსად ცნობილი გააზრებისა: „ვისაც ბაფეზი არ ესმის, კალდერონსაც ვერ გაიგებსო“).

გრ. ორბელიანის პოეზიაში სიყვარულის ესთეტიკას არისტოკრატიული სილაღე მოაქვს („სიყვარულმა მათქმევინა, თორემ მე ვინ, ლექსი ვინა“. „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“). მისი ფილოსოფოსობა არისტოკრატიული ეესტია და არასდროს არ მიდის ინტელექტუალურ ტრაგიზმამდე („ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მის ფერ-უთვალავს მშვენებას“; „კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული“; „უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა“). ამაზე მეტად მისი ფილოსოფიური ხედვა აღარ ღრმავდება.

არის ზოგიერთი ფრაგმენტი თითქოსდა, გამონაკლისი, მაგრამ ისინიც მხოლოდ გარეგნულად ემსგავსებიან ბარათაშვილისეული ფილოსოფიის სიღრმეს: „როს მშვენიერთა ბაგეთა ვარდთა განაღებ მღერად თვალთ ზეახილვით, მაშინ ნათელი, ცით მოფენილი, გვირგვინოსანს გუოფს თავს გარდმოფენით“. ესეც ფრესკის წმინდანთა სახის რემინისცენციაა („მაშინ მეც მესმის ხმა ანგელოზის, სულის, გონების ცადა აღმტაცი“).

თუ ამ გააზრებებს გერმანული რომანტიზმის თეორეტიკოსის გ. ფორსტერის თვალთახედვით შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რასაც ვერც ფილოსოფია ვერა სწვდება, სწვდება პოეზია, ხოლო რასაც პოეზია ვერ სწვდება, სწვდება სიყვარული. ამ იერარქიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ყველა რომანტიკოსისათვის. აქ ჩანს ესთეტიკური არსის მიუწვდომლობა ცნებადი აზროვნებისათვის. ნ. ბარათაშვილთან ამ ტრიადის სინთეზია მოცემული. მშვენიერების შემეცნებისას ერთმანეთში გადადის ფილოსოფია, პოეზია და რწმენა, ანუ სიყვარული (გრ. ორბელიანთან კი ყოველივე განფენილია „პოეტურ სიყვარულში“. აქ ფილოსოფია დაძლეული კი არაა, არამედ გვერდავლილია, და, თუ შეიძლება ითქვას, შორიდანაა ნაგულისხმევი).

ნ. ბარათაშვილისათვის სატრფო მშვენიერების ქალღმერთია („სიტურფის ღმერთია“). ისაა სიკეთით სავსეობა („ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა“). აქ უკვე ერთიანდება მშვენიერება, სიკეთე და სიყვარული. და ყოველივე ეს, ვითარცა პერსონიფიცირებული ძალა, ბადებს პოეტს („სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად“).

რაც ყველაზე მეტად აახლოვებს ნ. ბარათაშვილს ესთეტიკურ ნააზრევთან, ესაა „რომანტიკული ფილოსოფია“, რომელიც მის პოეზიაში გამოვლენილია არა მხოლოდ სახეობრივად, არამედ განსჯასთან მიახლოვებული ფორმითაც, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია პოეზიაში. თვით დასავლეთევროპული რომანტიზმის თეორეტიკოსთა საკუთრივ ფილოსოფიური თხზულებანი არცთუ იშვიათად პოეტურობით იყო აღბეჭდილი.

ფ. შლეგელი წერდა: „რანაირი ფილოსოფია წილხვდება ხოლმე პოეტს? ესაა შემოქმედებითი ფილოსოფია, ფილოსოფიაში თავისუფლებისა და რწმენის იდეიდან გამომდინარე და მაჩვენებელი, რომ ადამიანის სული კარნახობს თავის კანონებს ყოველივე არსებულს და რომ სამყარო არის მისი შემოქმედებითი ქმნილება“ („ფრაგმენტები“).

ასეთი ფილოსოფიის ანარეკლს ვხედავთ

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. გალაკტიონ ტაბიძე ნ. ბარათაშვილზე წერდა: „რაც შეეხება მის ფილოსოფიურსა და ლიტერატურულ შეხედულებებს, მას ძლიერ ბევრი საერთო ჰქონდა ედგარ პოსთან“ (XII, 64). ვფიქრობთ, რომ ეს შეფასება ცალმხრივია. მაგრამ ეს ეხება იმ საერთო მომენტებს, რაც რომანტიკოსებთან ანათესავებდა სიმბოლისტებს.

ქართული ესთეტიკური აზროვნებისათვის ნ. ბარათაშვილის მიერ მოტანილი სიახლე ასეთია: მანამდელ სააზროვნო მემკვიდრეობაში სინამდვილის გამართლების უმთავრესი მოდუსი იყო სიკეთე და მასთან ერთად ჰეშმარიტება. მშვენიერების წყაროც და მიზანიც სიკეთე და ჰეშმარიტება უნდა ყოფილიყო. ნ. ბარათაშვილისათვის სამყაროსა და ადამიანის გამართლების უმთავრესი ფაქტორია მშვენიერება. მასშია განხორციელებული სიკეთეც და ჰეშმარიტებაც. მერანის ქროლვის უმთავრესი გამართლებაც მისი მშვენიერებაა. ესაა ვაუკაცური თავდავიწყებისა და აღტაცების მშვენიერება („და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიეურსა ლტოლვას“). მშვენიერება ლტოლვისა („безумство храбрых“) ნ. ბარათაშვილის ესთეტიკური ოპტიმიზმის საფუძველია (შევადაროთ მარადიული იდეა — „Красота спасет мир“.

გასაგებია, რომ ამგვარი ოპტიმიზმი დონკიხოტურ ეთიკურ იდეალიზმს ეფუძნება. რაოდენ საეჭვოც არ უნდა იყოს ამგვარი ოპტიმიზმი, სხვა გზა ხსნისა რომანტიზმში არა ჩანს. არადა, თავისუფლების იდეა კაცობრიობას სწორედ რომანტიკულმა აზროვნებამ უნდა მოუტანოს. დაახლოებით იმავე დროს ს. კირკეგორი წერდა: „მშვენიერება, რომელსაც მე ვიმეცნებ გონებრივი ხედვით, ხალისიანია, დაუმარცხებელია და ძლიერი და იგი მთელ ქვეყანას დაიპყრობს“.

როგორც ვთქვით, ესთეტიკურის უმთავრესი ნაზომი იყო მარადიულობა, წარუვალობა (ე. ი. უცვლელობა და არა მარადი ცვალებადობა). საერთოდ, ნ. ბარათაშვილის დროს გააქტუალურებული იყო პრობლემა ყამიერისა და ზედროულისა, მოკვდავობა-უკვდავებისა, წარმავლობა-წარუვალობისა, და ეს გასაგებია. ამას ხელს უწყობდა არა მხოლოდ პოლიტიკური და ეროვნული, არამედ ესთეტიკური ატმოსფეროც.

ეს იყო ესთეტიკურ ღირებულებათა დიდი გადაფასების ხანა. წავიდა ძველი და დამკვიდრდა ახალი. რა დარჩა ძველთაგან რომანტიზმისთვის? საერთოდ, ყველა ესთეტიკურ ეპოქას თავისი წარსული აქვს. რომანტიზმის წარსულია შუა საუკუნეები (მ. კაკაბაძე). ქართულმა რომანტიზმმა ფრათოდ იმემკვიდრა ძველქართული ფსალმუნურ-ჰიმნოგრაფიული ლირიკა, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო, რაინდობის ესთეტიკა, ნათლის ესთეტიკა და, რაც მთავარია, ენის ძველი კულტურა, რომლითაც შემონახული იყო მრავალი ეპოქის კულტურულ-ესთეტიკური ნაკადი და, კიდევ ერთი: ეთიკურისა და ესთეტიკურის გაუთიშველობის ქრისტიანული ტრადიცია. ამიტომ ძველქართული მემკვიდრეობის ათვისება ბევრ შემთხვევაში მსოფლიო ქრისტიანულ კულტურასთან ზიარებას მოასწავებდა. ამასთანავე, წარსულიდან ბევრი რამ გაფერმკრთალდა და გაქრა. ნ. ბარათაშვილის სმენას კვლავ ესმოდა „ტანო ტატანოს“ რიტმი, მაგრამ ამ რიტმსაც კი იგი სულ სხვაგვარ ინტონაციას ანიჭებდა და სულ სხვაგვარ სათქმელს უკავშირებდა (ასეა „მერანში“).

ნ. ბარათაშვილისთვის ესთეტიკურობა უცვლელობაშია და თან მარადიულ განახლებაშიც. ნ. ბარათაშვილთან მუდმივგანახლებისა და უცვლელობის მეტად რთული ურთიერთმიმართება ჩანს. უმაღლესი მშვენიერება მაინც — ესაა მშვენიერი სულიერი სწრაფვა („სულთა ქროლვა“). ეს ისეთი მოძრაობაა, რომელიც ყოველგვარ სხვაგვარ ცვალებადობაზე მაღლამდგომია, რომლის წყალობით, სულის მაღალი შინაგანი ბუნება უცვლელი ხდება და მარადიულობას უახლოვდება (ასეთი გააზრება აშკარად ემსგავსება სულიერი მოძრაობის დანტესეულ გაგებას — მოძრაობა უცვლელობას იწვევს).

ასეთი ესთეტიკური შინაარსი აქვს ნ. ბარათაშვილის სიტყვებს: „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეს“.

ურთიერთგანმსაზღვრელი და განმაპირობებელია უკვდავება და მარადიულობა, წარუვალობა და ამაღლებულობა. ერთი მეორეს გულისხმობს. ამიტომ: თუ სად შეიძლება იყოს მაღალი ესთეტიკურის სფერო, ამას ის კი არ განსაზღვრავს, თუ სად არის სილამაზე, არამედ ის, თუ სად არის მარადიულობა. სადაც მარადიულობაა, იქ ამაღლებულობაცაა.

უკვდავებაა მშვენიერ სულში და „მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა“. ამგვარი კავშირი ანარეკლია ზიარებისა ზეციურ სიკეთესთან, „ზეგარდმო მადლით საუკუნოდ დამტკიცებულია“. ეს გულისხმობს მშვენიერების ზიარებას მარადიულ სიკეთესთან. და უკვე ჩანს ასეთი გამჭოლი კავშირი: მშვენიერება — სიყვარული — სიკეთე. ბოლოს კი თქმულია, რომ მას (ასეთ სიყვარულს) „უკვდავებით აგვირგვინებს ჰეშმარიტებაო“.

ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ასეთი კატეგორიულობით უკავშირდებიან ერთმანეთს ეს ოთხი რამ: მშვენიერება, სიყვარული, სიკეთე და ჰეშმარიტება. თანაც პლატონურ-ნეოპლატონისტური სააზროვნო ნაკადით მოტანილი ეს ოთხი იდეა („ტომი გვართა ზენათა“) მჭიდროდაა დაკავშირებული „სულ-

თან“. ასე შემოდის „სული“ ნ. ბარათაშვილის ესთეტიკაში.

ნ. ბარათაშვილის თითქმის ყოველ ლექსშია „გული“ (მხოლოდ სამ ლექსში არა ჩანს: „ჩვილი“, „ცისა ფერს“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“). მაგრამ „ს ულ ი“ მაინც არსებითია.

ნ. ბარათაშვილის პოეზიასა და წერილებში, მთელს იმდროინდელ მწერლობასა და ფილოსოფიურ თხზულებებში ძალზე გავრცელებულია „სულზე“ ფიქრი. ნიშანდობლივია, რომ ქართულ აზროვნებაში სწორედ ამ დროს გააქტუალურდა ეს ცნება, თუმცაღა რაიმე განსაკუთრებული უშუალო კონტაქტები გერმანულ ფილოსოფიასთან არა ჩანს. საერთოდ, ქართული რომანტიზმის ესთეტიკა გერმანულ რომანტიზმთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს მიუხედავად იმისა, რომ, თითქოს, ფრანგულ მწერლობასთან მაშინ უფრო მეტი სიახლოვე უნდა ჰქონოდათ. ისიც აღსანიშნავია, რომ დასავლური რომანტიზმის ესთეტიკასთან ქართულს ბევრი ისეთი საერთო ნიშანიც აქვს, რაც რაიმე კონტაქტით ვერ აიხსნება.

საკმაოდ დიდია ამ ეპოქაში საერთო ფილოსოფიური ინტერესები და, კერძოდ, ინტერესი სულის პრობლემისადმი. რომ აღარაფერი ვთქვათ, ძველ საფილოსოფოსო ტრადიციებზე, რომლებიც საკმაოდ მძლავრობდნენ მაშინ იმ წრეებში, ხაიდანაც განათლებას იღებდა ნ. ბარათაშვილის თაობა, სიახლეებიც აღსანიშნავია.

ლაიბნიცის მოწაფის ვოლფისა და მისი მოწაფის ქ. ბაუმაისტერის ნააზრევი შევიდა იონა ხელაშვილის შრომებსა და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“. „კალმასობის“ ფილოსოფიურ ნაწილში ჩანს (მაგალითად, „მოქმედებისათვის სულისა“) ლოკის მიმდევრის ფრანგი ფილოსოფოსის კონდილაკის სენსუალიზმი. ითარგმნა ადამ ფერგიუსონის (1723-1816) „ზნეობითი ფილოსოფია“, რომელიც შეიცავს „პნევმატიკას“ ანუ მოძღვრებას სულზე. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ალბათ ჟან-პიერ ფრედერიკ ანსილიონის (1767-1837) „ესთეტიკებრნი განსჯანის“ დავით ბატონიშვილისეული თარგმანი იყო (1815 წ.), სადაც ესთეტიკური განხილულია უშუალო კავშირში სულის ცნებასთან და ამისი ფილოსოფიური საყრდენია უსასრულობისა და სასრულის ურთიერთმიმართების პრობლემა.

ყოველივე ეს „კალმასობის“ ფილოსოფიურ ნაწილში ასე შეჯამდა: „ყოველსა სხეულსა ზედა უაღრეს არს სული და ყოველსა სულსა ზედა საცნაური სული და ყოველსა საცნაურსა სულსა — მოქმედებითი სული და ყოველსა მოქმედებითსა საცნაურსა ზედა — ერთი“ (გ. დედაბრიშვილის გამოცემა, გვ. 83).

სული ყველგანაა. ყოვლისმთლიანობის საფუძველია სული. ესაა ესთეტიკური ყოვლისმთლიანობა. რომანტიზმის ესთეტიკაში შეუძლებელია მხატვრული სახის შინაარსად „სული“ არ იყოს მიჩნეული. ამიტომ ბარათაშვილისეული ის ნათელი, რომელიც მშვენიერებად მოეფინება ყოველივეს, ფაქტობრივად, „სულია“. „სულია“ ბედის ვარსკვლავიც („მშვენიერო, ცის მთენო, ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა“). იგი სულის ნათელია, სულის ნათელი კი მხოლოდ სული შეიძლება იყოს, რომელიც ვარსკვლავადაც წარმოიდგინება და მშვენიერ ქალადაც („ნაპერწკალნი ეშხისა მომაყარე“).

„კალმასობის“ ფილოსოფიურ ნაწილში, რომელიც 1813-1828 წწ. იწერებოდა და შეიძლებოდა გათვალისწინებული ჰქონოდა ნ. ბარათაშვილს, ვკითხულობთ: „სხეული სულისგან განათდების და საცნაური ძალი მოქმედებისა საცნაურისაგან განათდების და მოქმედებითი საცნაური მის ერთისაგან“ (გვ. 83).

ი. ბატონიშვილის თხზულების ეს თავი ასე იწოდება — „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი პროკლეს დიადოხოსის მიერ ქმნილნი“. სულის ნათების იდეა პროკლე-პეტრიწის იდეებთანაც შეეძლოთ დაეკავშირებინათ და, საერთოდ, ნეოპლატონისტურ ნათლის ესთეტიკასთან (როგორც ეს გერმანულ ფილოსოფიაში იყო, Lichtmetaphisie). გალაკტიონი რომ ჰეგელს იმოწმებს: „წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი“ და ა. შ. თვით ჰეგელს ეს აზრები ნეოპლატონიზმიდან აქვს აღებული).

მაგრამ ნ. ბარათაშვილის წარმოდგენები სულზე ან ნათელზე არ დაიყვანება არც ტრადიციულ ნეოპლატონისტურ გაგებაზე, არც რომელიმე ესთეტიკურ პანთეიზმზე და არც გვიანდელი განმანათლებლობის ფილოსოფიურ შეხედულებებზე. ნეოპლატონისტური გაგება სულისა იერარქიულ საფეხურებს გულისხმობს (მცენარეული, ცხოველური, ადამიანური „სული“). ნ. ბარათაშვილისთვის კი სული ერთიანია და ეს ერთიანი სული უსულოთა შორისაც არის. ეს საერთო და ზოგადი რამ, როცა ადამიანშია გამოვლენილი, პოეტური სულია. ამიტომ პოეტური სული გრძნობს ბუნების სულს და მხოლოდ პოეტურ სულს შეიძლება სწამდეს, რომ „არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთა და უსულთ შორის“.

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში „სული“ ორგვარად ვლინდება: სხვაგვარია მისი მნიშვნელობა ლექსში „სულო ბოროტო“ და სხვაგვარი ლექსში — „სული ობოლი“. პირველშია საყოველთაო ანუ მსოფლიო სული (იგივე გერმანული ფილოსოფიის „გაისტ“ ანდა «дух» ან მისი ნაწილი. ხოლო მეორეა ინდივიდუალური სული, ოღონდ ეს „სული“ („სული ობოლი“) მხოლოდ მაცოცხლებელი ძალა კი არაა, ანდა ზოგადად — ადამიანური სული, არამედ პიროვნული სულია. ესაა თვითშემეცნების უპირველესი მიზანი (რომელიც ასე შეი-

ძლება გამოვლინდეს: „მე გვამში სული ველარ ბოძთავსებია“). მისი გაცნობიერებით ადამიანი ეზიარება მსოფლიო სულს ან მის სიმბოლოებს (რომლებსაც მიემართება პოეტის სიტყვები: „მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი სძღვენით მას შვება“).

ნ. ბარათაშვილთან ერთი სიტყვით აღინიშნება ორი სხვადასხვაგვარი „სული“: **дух** — სული და **душа** — სული. ეს კი იწვევდა მათ მთლიანობაში გააზრებას. ძველად მეორე ცნებას **душа** სამშვინელი აღნიშნავდა, შემდეგ ეს მივიწყებულ იქნა, რისი დასტურია ნ. ბარათაშვილის სიტყვახმარება, პოეტურიც და არაპოეტურიც. სულთა გაერთმნიშვნელოვნებას ხელს უწყობდა მათი საერთო საფუძველი — ძალი (იხ. საბა: „სული“).

ზაქარია ორბელიანისადმი რუსულად მიწერილ წერილში განსხვავებულია „სულის“ ორი მნიშვნელობა:

«Глубоко отозвалась в душе моей»... «Дух человеческий»...

ორივე ითარგმნება „სულად“. მაგრამ სხვა ადგილის თარგმანი ასეთ სახეს იღებს: „სული შენი ეძებს ახალ საზრდოს, შენი არსება უფრო დიდ სამოღვაწეო ასპარეზისკენ მიისწრაფვის“. აქ „არსებაც“ „სულს“ შეესაბამება

«Душа твоя ищет пищи новой, дух твой стремится к большой деятельности».

ნ. ბარათაშვილს ქვეყნის შემოქმედებით ძალთა მამოძრავებლად მიაჩნია „საზოგადო სული“ (წერილი გრიგოლ ორბელიანს). და ეხაა „სული“ „ბუნებითის ენის ტრფიალებისა“ (სწორედ ეს „საზოგადო სული“ ცხადყოფს, რომ „ქართველთ არა სძინავთ გონებითო“, წერს ნ. ბარათაშვილი). ჰეგელის მიხედვით თუ ვიტყვით, ნ. ბარათაშვილთან ჩანს სუბიექტური და ობიექტური სული, მაგრამ ობიექტური და აბსოლუტური სული, ფაქტიურად, გაერთმნიშვნელოვანებულია. ყველგან არის ერთი რამ დიდი საიდუმლო ძალა და ამ იდუმალებაშია მიმზიდველობა ყოველივესი.

„სულის“ გამოვლინების მრავალსახოვნება სამყაროს ესთეტიზაციის საფუძველია. ხშირად ზღვარი იშლება პერსონალურ და ზეპერსონალურ სულთა შორის. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, რომ რაც სულს შეუდარდება ხოლმე, თავადაა სულიერების მატარებელი. ასეთია მთვარე („შემოღამება“), ვარსკვლავი („ჩემს ვარსკვლავს“). მაგრამ სული, ნ. ბარათაშვილის წარმოდგენით, როდია მხოლოდ ის, რაც მთვარის ქალურ სახეში შეიძლება შეიცნოს რომანტიკოსმა. სულია მერანიც. ისაა პიროვნული სულის ყველაზე მაღალი გამოვლინება — „მშვენიერი, აღტაცებული, გიჟური ლტოლვა“ („სულის ქროლვა“, ილია). „გიჟური ლტოლვის“ მშვენიერების განცდა თავად იქცევა სულიერ ძალად. ესაა ძალა ქმნადობისა, „მამაცთა გახელება“ (**«безумство храбрых»**). ამ დროს ეგზისტენცია, მართლაცდა, განიცდება უდიდეს დაძაბულობად. ასეთი შემოქმედი სული არღვევს მიჯნებს ყოველგვარი „წესიერი გონივრულობისა“.

ნ. ბარათაშვილის ესთეტიკური მსოფლმხედველობის საფუძველია **რწმენა**. ეს არაა ტრადიციული მორწმუნეობა და არც ახალი სარწმუნოების შექმნის სურვილი, რაც, მაგალითად, გერმანულ რომანტიზმში გამოვლინდა (ნოვალისი). ესაა რომანტიკული რწმენა, კერძოდ, რწმენა იმისა, რომ ესთეტიკური ფენომენები ობიექტურად არსებობს. ასეთი რწმენა თვითონ ქმნის რომანტიკული მსოფლაღქმის საფუძველს. ხდება სინამდვილის ახლებურად გადაფასება. ასეთი რწმენა აღმოცენდა იმის გამო, რომ დაიმსხვრა ესთეტიკის ძველი ტაძარი. ქართულ რომანტიზმს პირდაპირ არ განუცდია, რომ „მიიცვალა ღმერთი“, მაგრამ გაჩნდა შეგრძნება, რომ იგი ძლიერ დაშორდა ადამიანს, რომ ადამიანი დარჩა „მწირი და მიუსაფარი“.

ქართულ რომანტიზმში აღინიშნება რელიგიური რწმენის ესთეტიზაცია, ანდა, უკეთ, აღინიშნება მშვენიერება რწმენისა. მშვენიერების განცდა რელიგიური რწმენის ძალას იძენს. სწორედ ინდივიდის რომანტიკულ აღზევებას თუ შეეძლო ამ გრძნობათა შორის ზღვარის წაშლა, ესთეტიკური ტკბობის გადაქცევა „ამაღლებულის რწმენად“. რელიგიურ რწმენას თავისი სფერო ჰქონდა (რომელსაც განსაზღვრავდა „სიმბოლო სარწმუნოებისა“). ამის იქით აღარ იყო რწმენის სფერო, ამის მიღმა ისეთი სფერო იწყებოდა, რომელიც არ უნდა ირწმუნოს კაცმა. ესაა „სოფელი“ და ბუნება. რომანტიკოსებმა კი გააფართოვეს რწმენის სფერო. მათთვის რწმენის სფეროა ყველგან, სადაც კი მშვენიერება — ამაღლებულობაა (ესაა „ესთეტიკური ფიდეიზმი“).

ნ. ბარათაშვილის უღრმეს რწმენას თან სდევს ასეთივე ღრმა დაეჭვებანი („ფიქრი მღელვარი“), ისევე როგორც მერანზე ამხედრებულ მხედარს — „შავი ყორანი“. ერთ მსოფლგანცდაშია პოლარიზებული დიდი რწმენა და დიდი დაეჭვებანი. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან და ებრძვიან, მაგრამ ერთმანეთს გულისხმობენ და ერთმანეთს განაპირობებენ. ნ. ბარათაშვილის მსოფლაღქმის ძალაა დიდი რწმენაც და დიდი ეჭვიც (ფლობერი ლუკრეციუსზე წერდა: „ის სუსტი იყო, რადგანაც სუსტი იყო მისი დაეჭვებანიო“).

სამყაროს ესთეტიკურ შინაარსს რომ ქმნის „სული“, რომ სული ყველგანაა, ამიტომ პოეტურ სამყაროში ყოველივე მნიშვნელობს მხოლოდ სიმბოლურად: სუმბულიც და მწირიც, მთაწმინდაც და ყაბახიც, უდაბნოს ტაძარი და ჩინარი, მერანი, ყორანი, ხმა იდუმალი, ჩვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლონდ არა სული ბოროტი ან ზეციური ნათელი, ესენი ასევე უშუალოდ არსებობენ თავისავე სულიერი რაობით. ბოროტი სული და ნათელი თავად შეადგენენ სიმბოლოთა შინაარსს. (ვთქვათ, ყორანისას — „სული ბოროტი“, მშვენიერი ქალისას — ზეციური ნათელი). „ხამყარო სულის უნივერსალური ტროპია, მისი სიმბოლური სახეთა“, — ამბობდა ნოვალისი.

ნ. ბარათაშვილისათვის თვით თბილისია სიმბოლო მაკროსამყაროსი. იგი სამ სიმბოლოშია განსახოვნებული, ესენია — ყაბახი, მტკვარი და მთაწმინდა. ყაბახი — სიცოცხლით ტკბობის სიმბოლოა. ამ ლექსში სული არ გვხვდება და ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. აქ „ქვეყნისა მთვარეთ შეტრფოდნენ“. ასეთ გარემოში პოეტის განწყობა ამქვეყნიურია („ამყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა, ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა ალსა“. — „ჩემთ მეგობართ“). ყაბახი ამქვეყნიური „ელისეს მინდვრებია“. აქ „ყელი ყელყელობს, ალმგზნებელი გულთა ჭირისა“; „ხან ნელად მტკვარი მოოხრავს შორით, ვით მიჯნური“. ამიტომაც სხვა ლექსში გრ. ორბელიანის ყაბახიდან გაშორება ბედნიერების დაკარგვის სიმბოლოდაა წარმოდგენილი. მტკვარი — სიმბოლოა ცხოვრების წარმავლობისა, შეიძლება ითქვას, ადამიანთა ყოფის ისტორიული მდინარებისა (მტკვარი „მრავალ დროების მოწმეა“). სწორედ მტკვრის პირას ჩნდება კითხვა — „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“. წარმავლობის გამოა, რომ მის ირგვლივ არემარე მოწყენილია და ოცნებას ესწრაფვის. ფიქრები მიესწრაფვის „ცის დასავალსა“. ეს უკვე იგივე მთაწმინდისკენ მიმართული თვალსაწიერია.

მთაწმინდა — სიმბოლოა სულიერი ამაღლებულობისა (თ. ვასაძე). ამ არემარეს ავსებს დიდი სიდუმალება, აქაურობას შვენის „ცვარნი ცვარნი“ და „ციაგნი ნელნი“. მთაწმინდა გულდახურულთა მეგობარია. მისმიერ სიამეს მხოლოდ სული გრძნობს. იქაურობის მჭვრეტელს ავიწყდება საწუთროება და გულისთქმა მის მიღმა ესწრაფვის, რომ ამაოება დატოვოს და ზენა სამყაროს შეუერთდეს. ასე რომ, მთაწმინდა სულიერებად ადგას თავს თბილისს.

ნ. ბარათაშვილისეული სიმბოლოს რაობის გასაგებად ძალზე საყურადღებოა, რომ არაერთი მისი მყარი სიმბოლო, გარეგნულად კონკრეტული სახისაა (მაგალითად, მერანი ან — ბედის ვარსკვლავი), სინამდვილეში კი მთლიანად სულიერი რაობანი არიან, ე. ი. მათში სულის ფორმაც სულია. ისინი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც დემონები ან ანგელოსი („უხორცო“). მათი სხეული ეთეროვანი სხეულია, ანუ „სულიერი სხეული“. ისინი არსებობენ როგორც ირაციონალური რამ. ისინი არსებობა-არარსებობის ზღვარზე დგანან. მაგრამ რაობაც სწორედ ესაა: არარსებულის არსებობა.

ის კი მათ შინაარსს დიდ მხატვრულ ტევადობას ანიჭებს. „ანგელოსი“ ნ. ბარათაშვილისთვის ესთეტიკური რაობაა („სახე შენი ნალვლიანი არა მგავდა ხორციელსა“; „ჰაეროვანო, სულს ელხინები“; „მშვენიერება გაქვს, ციცინერო, უხრწნელი“; „ანგელოზი ხარ ჩემი მფარველი“, „გულს ესხივმფენარე“). „პოეტი მათში თავის განცდებს იმდენად უკვე დაწმუნებული სახით იძლევა, რომ ეს სახეები, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტური განყენების ფაქტზე მიუთითებენ, რადგანაც ძნელია ყოველი მათგანის ხელშესახებსა და თვალსაჩინო ხასიათზე ვილაპარაკოთ“. (გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 312).

ნ. ბარათაშვილის არაერთი სახე-სიმბოლო პარადიგმატული მნიშვნელობისაა, ისინი ეროვნული სახისმეტყველების ნიმუშებად იქცნენ, როგორც, მაგალითად, მერანი, ყორანი, სული ბოროტი და მრავალი სხვა. ძალზე ხშირად მათში კონდენსირებულია გარკვეული ესთეტიკური იდეები. ისინი ამ მხრივაც ახდენენ გავლენას და ერთგვარად იძენენ ეროვნული კულტურის კატეგორიათა მნიშვნელობას. უკვე ნათელყოფილია დღეისთვის, რომ ფაუსტური იდეების ფორმირება ქართულ აზროვნებაში ნ. ბარათაშვილის პარადიგმატულ სახეებს დაუკავშირდა (მ. კვესელავა). საერთოდ კი, შებრუნებული ვითარება გვაქვს: სადღეისოდ რიგიანადაა ნაჩვენები ნ. ბარათაშვილის კავშირი წარსულთან (ქართული სასულიერო მწერლობა იქნება ეს, ბიბლია, რუსთაველი თუ დასავლური რომანტიზმი — კ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. კიკნაძე, ა. ბარამიძე, გ. ჯიბლაძე, გ. ნადირაძე, ა. გაწერელია, გ. ასათიანი, ა. მახარაძე, ლ. მენაბდე, დ. ლაშქარაძე, გ. კალანდარიშვილი, მ. კაკაბაძე, ი. ევგენიძე, თ. ნუცუბიძე, გ. გაჩეჩილაძე, ი. კენჭოშვილი). უფრო ნაკლებადაა წარმოჩენილი ნ. ბარათაშვილის მიმართება მისი შემდგომი ხანის მწერლობასთან. არადა, გარკვეული აზრით, სწორედ სამერმისო პერსპექტივებით უნდა განისაზღვროს ნ. ბარათაშვილის ადგილი და მნიშვნელობა მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეხვედრები გალაკტიონთან. შეიძლება ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილის თითქმის ყოველი პოეტური სახე თავისებურ რემინისცენციას პოვებს გალაკტიონის პოეზიაში. ეს უშუალო შეხვედრების გარეშეც იგრძნობა („სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“; „ვაგნერი წმინდა, ვით ზეცა და ბნელი, როგორც ქვესკნელი“; გალაკტიონის სახეები აშკარად ბარათაშვილისებურია. „ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მო-

ედ შენ", ეს ბარათაშვილისებური სახე ილიას „მგზავრის წერილებიდანაა", V).

ნათლის ესთეტიკას, რომელიც გალაკტიონის პოეზიაშიც ვლინდება, შეიძლება მრავალი ძირი დაეძებნოს (ბიბლიური, პლატონურ-ნეოპლატონური, ქართული მითოსისა და ა. შ.), მაგრამ ყველაზე მეტად იგი ნ. ბარათაშვილის წარმოდგენებს უკავშირდება (თუნდაც, ასეთი ხილვები: „ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად, ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად, რად მიჰყვებით ასე მკაცრად ჩამავალ მზეს, ჩამავალს").

გ. ქიქოძე მშვენიერებისა და სიყვარულის ნ. ბარათაშვილისეული მეტაფიზიკის გამოძახილს ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ხედავს.

უმთავრესი მაინც ის არის, რომ ნ. ბარათაშვილმა ქართულ პოეზიას უმემკვიდრა განსჯითი აზრის რწმენამდე აყვანა.

განმარტებას ითხოვს „მეს" გამოხატვა ქართულ რომანტიზმში, თუნდაც იმ ზოგადი კანონზომიერების გამო, რომ „რომანტიკულის ნამდვილ შინაარსს შეადგენს აბსოლუტური შინაგანი ცხოვრება, ხოლო მის შესატყვის ფორმას — სულიერი სუბიექტურობა, რომელმაც მოიპოვა საკუთარი თვითმყოფობა და თავისუფლება" (ჰეგელი).

ქართული რომანტიზმის მიერ მოტანილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიახლე იყო პოეტური „მეს" განსაკუთრებული გაძლიერება. ეს მრავალმხრივ იგრძნობა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. „მე გვამში სული ველარ მომთავსებია", ამის თქმის სურვილმა დააწერინა მას ლექსი „ნაპოლეონ". ეს სიტყვები თვით ბარათაშვილის საკუთარ გულისთქმასაც გამოხატავს (ასევეა გასააზრებელი ნაპოლეონზე თქმული: „დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგენებს მისს ცეცხლსა, სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს"!).

რომანტიკოსთა ინტერესს გენიისადმი სულის სულთან შეპასუხების წადილი განსაზღვრავდა. შემოქმედება ნ. ბარათაშვილისთვის „მეს" თვითგამოვლენა იყო. აქაც ეხმიანება იგი ნაპოლეონისთანა დიდ პიროვნებათა ფიქრებს: „ეამი ჩემია და ეამისა მე ვარ იმედი"; ანდა: „ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი". ამ სიტყვასაც ახლავს მათთან საკუთარი „მეს" მიაზრების სურვილი, რათა ნაპოლეონის ნებელობას პოეტის ნებელობა ჩაენაცვლოს. ნაპოლეონს სურდა სამყაროს სურათი მისი ნებისა და მისწრაფების შესაბამისი ყოფილიყო. ამასთან შორეულ მსგავსებაშია პოეტური მისწრაფება სამყაროზე „შემოქმედებითი ბატონობისა", რადგან სამყარო მას სურს არა ისეთი როგორიც არის, არამედ თავისი ნებისა და წარმოდგენის შესატყვისად: „ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას"... „იგი თითქოს ამაღლებულია ყველაფერზე, მაღლიდან დაჰყურებს ყველას და ყველაფერს" (ბ. ბარდაველიძე). „ახლა თვის დიდების მხსნელი თვის წინაშე ახლა ქვეყანა მოწესრიგებული თავისივე ნებით. მსგავსია შემოქმედის მისიაც; ამ აზრით წერდა ნ. ბარათაშვილი:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ
დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა
უფრო ვაცხოვლო.
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი
განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა
ფრინველნი და ვარდი".

ასე გარდაქმნის სინამდვილეს შემოქმედი (მაღლდება, რასაც კი ვეხებიო, ამბობდა უ. უიტმენი). ამასთანავე, მისი შემოქმედებითი ძალა გარდაქმნის და სრულყოფს მისსავე პოეტურ „მეს", ამქვეყნად „სამოთხეს" აზიარებს. და თუ მაინც რჩება მას სევდა, ეს საერთო გარდუვალი რამაა. ასეთი სევდა ადამიანის სულიერი ღირსების მაჩვენებელია. ეს საერთო საკაცობრიო უკმარისობაა. სულ სხვაა სევდა ნაპოლეონისა. ნაპოლეონი სიმბოლოა არაშემოქმედებითი ნებელობისა. უმაღლესია პოეტური ანუ შემოქმედებითი ნებელობა. მსგავსი შინაარსისაა გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „ნეტარ, ვინც ჩანგით გააცხოველებს ეამთა ცხოვრების მსწრაფლ წარმავალთა".

ასეა გააზრებული შემოქმედის „მეს" ნებელობა ადამიანის განდიდების ვნებასთან მიმართებაში.

ნ. ბარათაშვილის აზრთა წყობის საფუძველია თვითშემეცნება. „მეს" გარეშე თითქმის არსად არა ჩანს „ჩვენ", არც ეროვნული და არც ზოგადსაკაცობრიო შინაარსით. „მთელი მისი ლიტერატურული შემოქმედება მხოლოდ „ოდისეაა" მისი თვითგამორკვევისაკენ მიმსწრაფი სულისა", წერდა დ. უზნაძე.

ნ. ბარათაშვილმა იცხოვრა როგორც უბრალო მოხელემ და იაზროვნა როგორც გენიოსმა.

თავისთავთან საუბარი ნ. ბარათაშვილისა უმეტესწილად დიალოგიზებულია. ამ თვალსაზრისით, მტკვარი, მთაწმინდა, ბედის ვარსკვლავი, მერანი თუ ჩვილი მისივე სულის წახნაგებია, სულის მოძრაობის ფორმებია, ოღონდ „გასაგნებული" სულისა. მათი საშუალებით შინაგანი მონოლოგები დიალოგებსა ჰგავს. ასეთი ფორმით აქვს მას თავისი თავი მოაზრებული ჩვილის გულუბრყვილობაში, რომელსაც მოაქვს სამოთხისებრი თავისუფლების ილუზია. შემდეგ ჩნდება „ეამწვილის ბრმა სარწმუნოება", მერე მოდის ურწმუნო და უნდო გონება და მოაქვს „ფიქრი შავად მღელვარი". ღრმა რეფლექსიებს იწვევს ის, რომ „ეამწვილობიდანვე რაიმეზე შეჩვეული სული ძნელია ივიწყებს

ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“.

იმ დროს ფილოსოფოსობის გაგება „რომანტიკული“ იყო. იგი ითხოვდა თავის თავისკენ მიბრუნებას. ასეთი მოსაზრებანი გვხვდება ს. დოდაშვილის ცალკეულ თხზულებებში. მართალია, საერთოდ, ს. დოდაშვილი განმანათლებლობის გვიანდელი წარმომადგენელია, მაგრამ მას მაინც მოეპოვება რომანტიზმისათვის ზოგიერთი ახლობელი მოსაზრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა კანტის ან ფიხტეს შეხედულებებს უახლოვდება („ფილოსოფოსობა ნიშნავს ყურადღებით მოვეპყრათ თავის თავს, ჩავწვდეთ თავის თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი და ამ გზით დავადგინოთ სამყარო ჩვენში და ჩვენთან. ყურადღება მივაპყრათ თავის თავს — ნიშნავს განვაყენოთ იგი ყოველივე იმისაგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის. ეს ხდება, როცა გონებით ვტოვებთ ყოველივე გარეგნულს და თვით ჩვენს თავს წარვმართავთ მარტოოდენ შინაგანისაკენ, — ვკითხულობთ ს. დოდაშვილის ლოგიკაში (1827 წ.). — თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 43).

თვითშემეცნების ფილოსოფიური რეფლექსიის ნაყოფია ნ. ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“. ეს ხმა შინაგანი ხმაა („ხმა რამ „თან სდევს ყოველთა ჩემთა ზრახვათა და საწადელთა“). ეს ხმა ითხოვს პოეტმა იპოვოს თავისი ხვედრი ანუ „ოფლად მისი წილობა“. და რადგან ვერ პოვებს ამას, ეწვევა დიდი ნაღველი. ეს ნაღველი ფილოსოფიური სინანულია. იგი ითხოვს სიკეთე-ბოროტების თვალთახედვით შეხედოს თავის თავს. ამიტომ „ხმა ესე არს ხმა დევნისა შეუწყალისა სინიდისისა“ (აი, აქ არის კანტიანური მოტივი „სინიდისის ხმისა“).

„მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა, მისს საშფოთველოს და საქეჯნავსა“, ასეთია რომანტიკული აღსარება თვითშემეცნებელი სულისა.

სულით ობლობაც „მეს“ მაქსიმალურად გამძაფრებული შეგნების ნაყოფია. სულით ობლობის დაძლევა გამოვლენილია ლექსში „ვპოვე ტაძარი“. უდაბნოში მდგარი ტაძარი თვით პოეტის სახეა. მარტოსულობის განცდა თვითკმარი არაა. იგი დასაძლევია. ის კარგავს სილამაზეს და ქრება სული როგორც ტაძარში — სულიერი ლამპარი.

რომანტიკული ირონია ნ. ბარათაშვილის პოეზიაში არა ჩანს. არც, საერთოდ, ღიმილი ჩანს. ყველაფერი აღბეჭდილია რომანტიკული სევდით. სევდა ანელებს სასოწარკვეთილებას: სევდა ყოველთვის როდია ტრაგედია, იგი ფილოსოფიური სიმშვიდის მომტანიცაა და ამიტომაც რომანტიკოსი ესწრაფვის კიდევაც ასეთ სევდას. ის თვითშემეცნების ფონია, ცხოვრებაზე ფილოსოფოსობის პიროვნულ-ფსიქოლოგიური წანამძღვარია და ამდენად იგი „მოვალეობაა“. „სასოწარკვეთა მოვალეობაა, არის ხოლმე მომენტი, როცა სასოწარკვეთაში არ ჩავარდნა უხამსობაა“, — წერდა გოეთე ბაირონს).

ასეთი იყო ნ. ბარათაშვილის სევდა. მის ლექსებში სევდა ნისლოვანებად აკრავს ყოველგვარ ფიქრსა და ვითარებას, თვით მხიარულებასაც კი. ნ. ბარათაშვილი ცხოვრებაში ამის კომპენსაციას ახდენდა გართობა-მხიარულებით. გადმოგვცემენ, რომ „ტატო იყოო ცქვიტი, მხიარული, ჭკვიანი და კეთილის გულის ამხანაგი, ამასთან კარგი მოქეიფე და მოსწრებული სიტყვის პატრონი, ცოტა დამცინავის კილოთი“. იგი მწარე ანალოგიებით ხუმრობდა პლ. იოსელიანის „ღვთისმეტყველებაზე“ („ბოგასლოვიო“). „არა ქორწილი, არა ღამისთევა, არა ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველ საზოგადოებაში, საცა არ ყოფილიყო თავ მომლხენად და შემაქცევრად“ (ი. მეუნარგია).

ასეთი იყო ქართველ რომანტიკოსთა ცხოვრების წესი. გრ. ორბელიანი არისტოკრატთა დარბაისლური სილაღით ებრძოდა სევდას, ალ. ჭავჭავაძე ანაკრეონტული მხიარულებით. ამათ მხიარულებას მაინც ახლდა ერთგვარი არტისტიზმი, თუნდაც თავისი თავის სხვა რამ სახურველ ამპლუაში წარმოდგენის აზრით.

ნ. ბარათაშვილის მხიარულება უფრო ორგანული ჩანს, მაგრამ მაინც ეტყობა დიდი სულიერი დაძაბულობის ფარვა. ასე ითხოვს ერთმანეთს და ერთმანეთს ავსებს დიდი მხიარულება და დიდი სევდა. ეს გაორება არაა. ესაა ფსიქოლოგიურად შინაგანად გამართლებული მონაცვლეობა განწყობილებებისა. მთლიანპიროვნული განწყობა (პიროვნული „მზაობა“, დ. უზნაძის მიხედვით) აქ ისაა, რომ სინამდვილის პირისპირ დგება ყველაფრის დიდი დაძაბულობით აღმქმელი პიროვნება. ამიტომ ასეთი პიროვნება მთელი სიმძაფრით განიცდის სევდა-სიხარულის პოლარიზაციას. მათი დაშორიშორებით უფრო მძაფრად აღიქმება თითოეული მათგანი (შემოქმედის ფსიქოლოგიის გასაგებად, მიზანშეწონილი იქნება გავიხსენოთ თანამედროვეთა მოგონებანი ვ. სოლოვიოვზე და მის პიროვნებაში დიდი სევდისა და დიდი მხიარულების თანაარსებობა. აქაც განსაკუთრებული განწყობა განსაზღვრავდა ერთსა და იმავე პიროვნებაში ამგვარი პოლარული თვისებების მაქსიმალობით არსებობას).

ასეთ პიროვნულ ხასიათს ჩვენ ამგზობის საგანგებოდ მივაქცევთ ყურადღებას. საქმე ისაა, რომ ნ. ბარათაშვილს აქვს ცალკეული ლექსები, რომლებიც წუთიერი ცხოვრებით აღტაცებას გამოხატავს. ასეთია „ვლოცავ დღეს“ ან „ჩემთ მეგობართ“ („აბყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა“... „მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა, რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა“). აქ მა-

რადიული მშვენიერების ნაცვლად ქვეყნის წარმავალი სიტკბოებით გატაცებაა. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს არაა ესთეტიკურ-მსოფლმხედველობითი კომპრომისი, არც გაორება ნ. ბარათაშვილის შემოქმედი პიროვნებისა. ესაა სხვა რამ, აქ ხასიათის ცვალებადობათა რომანტიკული ფიქსირებაა, სწორედ, რომ რომანტიკულივე სილაღით.

არც იქაა გაორება, როცა სევდა სიხარულს შეერწყმის: „თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენს ძლიერს ბასრობას, თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას" („მიუვარს თვალები"), „მისი ღიმია შვების მომცემი, ჩემი წარწყმედი, მაცხოვრებელი". ა. საგინაშვილისადმი მიწერილ იუმორისტულ წერილს ასე ამთავრებს: „ტუუილად ვხუმრობ, **и скучно и грустно»**.

ამგვარ განწყობას მხოლოდ შორეული მსგავსება აქვს „გალობანი სინანულისანის" პოეტურ „მესთან". აქ შეწყალების სინანულია. ამგვარი სინანული ჰიმნოგრაფიაში ითვლებოდა ყველაზე სრულყოფილ სულიერ მდგომარეობად. ამიტომ მას სიხარულიც თან ახლდა, სიხარული იმის გამო, რომ პიროვნება სრულყოფილმა განწყობილებამ მოიცვა. ყოველივე ამას დიდი სახეცვლილება სჭირდებოდა რომანტიკულ განწყობილებად გადაქცევამდე.

თვითშემეცნების გზით ეძლევა პასუხი ისეთ კითხვასაც კი, როგორიცაა: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი?" ეს იგივე კითხვაა, — თუ რა არის ადამიანი? — როგორია ადამიანის სულიერ სწრაფვათა საზღვრები?

ქართულ რომანტიზმში ამგვარ კითხვათა გააზრება ესთეტიკური გზით ხდება.

იმ გააზრებებს, რომლებიც მოცემულია ლექსში — „ფიქრნი მტკვრის პირას", აგრძელებს „მერანი". რომ წუთისოფელია „ოდენ საწყაული აღუვსებელი", რომ არავინაა, „ვის თვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს". ამ აზრებს უკავშირდება „მერანის" სიტყვები, რომ ადამიანის სულის ჭროლვას „არ აქვს სამზღვარი".

„ჩვენის დანიშნულების მიზნის მიუღწეველობა, ადამიანთა სურვილების უსაზღვროება და მთელი ცისქვეშეთის ამაოება ჩემს სულს საშინელის სიცარიელით ავსებსო", — სწერდა გრ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილი.

ამგვარი ფიქრები არაა მხოლოდ კონკრეტული რაიმე მიზეზით ასახსნელი. ესაა საერთოდ ადამიანური არსებობის თანმხლები ტრაგიზმი, რომელიც ყოველთვის არსებობდა და იარსებებს. სწორედ ასე განმარტავდა ნ. ბარათაშვილის სევდას ილია. **რომანტიზმმა მხოლოდ უალრესად გაამძაფრა ადამიანური არსებობის ტრაგიზმის შეგრძნება.** ზოგადად იგივე პრობლემა ქრისტიანობაშიც ჩანს, კერძოდ, სულისა და ხორცის დაპირისპირებაში, ანდა ფაუსტურ სწრაფვაში, შემდეგ — ვაჟა-ფშაველასთან და „ლურჯა ცხენებში".

მაგრამ ამ პრობლემის ფორმირება „მერანში" განსაკუთრებული სახით მოხდა.

„მერანი" იმის პასუხია, რომ პასიური ფილოსოფიური განსჯით რეალურად ვერ დაიძლევა ცხოვრებისეული შეზღუდულობა, „ბედის სამზღვარი". უნდა მოხდეს მისი სულიერი დაძლევა. მერანის ჭროლვა შემოქმედებითი ცნობიერების სიმბოლოა. **სწორედ შემოქმედებითი ცნობიერების კარნახით ცხოვრება თავად წარმოადგენს „ბედის სამზღვრის" დაძლევას.** ამგვარი ცნობიერება სინამდვილის მონა კი არა, არამედ მისი გარდამქმნელია. ნ. ბარათაშვილისთვის ესაა პოეტური შემეცნება, ანუ ესთეტიკური ცნობიერება. თვით ამგვარ ცნობიერებასაც თან სდევს სკეპსისი, მათი დაპირისპირება მუდმივია. „სკეპტიციზმი არაერთხელ წარმოგვიდგება მებრძოლი ჰუმანიზმის ამსახველად" (კასირერი, 24). ასეა აქაც.

მერანის ფერი არა ჩანს, მაგრამ იგულისხმება მისი სითეთრე (ძველქართულად „სპეტაკი" ანუ სულის ფერი). აპოკალიპსის ერთ-ერთი მერანიც თეთრია. „ცხენი სპეტაკი სახეი არს ხარებისაი", განმარტავს „თარგმანება" „იოანეს „გამოცხადებისა". აპოკალიპტურმა მხედარმა სამყაროს უმაღლესი სიბრძნის შემცველ წიგნს საიდუმლოების ბეჭედი ახსნა. დიდ საიდუმლოებათა შეცნობა ამოძრავებს ნ. ბარათაშვილის თავგანწირულ მხედარსაც.

როცა ირგვლივ ყველაფერი დახშულია, გადაკეტილია ყველა გზა და ასპარეზი, გახსნილია მხოლოდ ერთი გზა — გზა შინაგანი სულიერი ცხოვრებისა. ესაა მერანის ჭროლვის დიდი და თავისუფალი ასპარეზი. მთლიანად სულიერი ცხოვრებით ცხოვრების უნარი დიდი თავისუფლების მომნიჭებელია. მისთვის უმთავრესი სულიერი თავშესაფარი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ პოეზია. მხოლოდ პოეზიას ქმნიდა საშუალებას სულიერად გადალახულიყო „ბედის სამზღვარი". ასეთ პასუხს იძლევა „მერანი" მისი ავტორის უარსებითეს კითხვაზე — „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?"

სული უმაღლეს შვებას პოვებს თავდავიწყებულ ლტოლვაში. ნ. ბარათაშვილისათვის არ არსებობს ამაზე უფრო დიდი მშვენიერება, ვიდრე მარადწინმსწრაფი სულის მშვენიერებაა. არ არსებობს უფრო დიდი მიზანი, ვიდრე მიზნისთვის მარადიული ლტოლვაა. სულის „მშვენიერ, აღტაცებულ, გიჟურსა ლტოლვას" ახლავს დიდი სიკეთე, რომ თანამოძმეებს „სიძნელე გზისა გაუადვილდეს". ესაა მოწამებრივი სიკეთე, ოდითგანვე ამირანისა და ავთანდილის სახეებში გამოვლენილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა კიკნაძე

უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ

საქართველოს შესახებ უამრავ უცხოელს დაუტოვებია თავისი შთაბეჭდილებანი, მაგრამ მოგზაურთა ცნობები რამდენადმე სუბიექტურია. ამას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: წინასწარი განწყობა, განვითარების დონე, ინტერესები და ა. შ. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რა გარემოში მოხდა ამა თუ იმ მოვლენის აღქმა. მაგალითად, ფრანგ მოგზაურს ა. დე კიუსტინს, რომელიც რუსეთს 1837 წელს ეწვია, სასაცილოდ მოეჩვენა რუსეთის იმპერატორის კარზე მყოფი ქართველი დედოფლის ჩაცმულობა (ლეჩაქი, მოქარგული ქვედა კაბა, და ა. შ.), მიუხედავად იმისა, რომ პირადად დედოფლის მიმართ იგი სიმპათიით იყო განწყობილი. როგორც ჩანს, ასეთი რეაქცია გამოიწვია ქართველი დედოფლის ჩაცმულობამ, სხვა სეფექალთა ევროპული ტანსაცმლის ფონზე. იგივე ჩაცმულობა, აღქმული საქართველოში, სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენდა).

მიუხედავად იმისა, როგორი სახის მოგონებებთან გვაქვს საქმე, ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად ძვირფას წყაროს წარმოადგენს ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის აღდგენის საქმეში. ამჟამად, გვინდა შევეხოთ ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობ იმ მოგზაურთა ცნობებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ XIII ს. მიწურულსა და XIV ს. დასაწყისში. ზოგიერთი მათგანი თვითონ სწვევია საქართველოს, სხვებს კი მის მეზობელ ქვეყნებში უმოგზაურიათ და გადმოცემით აღწერენ ამა თუ იმ მოვლენას. იმის გამო, რომ ამ საუკუნეების საქართველოს შესახებ ქართული თუ უცხოური წყარო ძალიან ცოტაა შემორჩენილი, ყოველი ახალი, თუნდაც უმცირესი პირველწყარო და ცნობა დიდ მნიშვნელობას იძენს.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვენეციელი ისტორიკოსი მარინო სანუტო უფროსი (დაახლ. 1260-1334), რომლის პირად წერილებსა და არქივზე უკვე გვქონდა ლაპარაკი.[1] ამჯერად, ცნობები საქართველოს შესახებ ამოკრეფილია მისი დიდტანიანი შრომიდან — „ჯვარის სარწმუნოების საიდუმლოთა შესახებ". ეს ლათინურენოვანი შრომა, რომელიც დაწერილი იყო დაახლოვებით XIV ს. 10-20-იან წლებში, გამოცემულია მხოლოდ ერთხელ — 1611 წელს, ჰანოვერში.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო წიგნის რამდენიმე ადგილმა, სადაც საქართველოა მოხსენებული. მაგალითად, ერთგან მარინო სანუტო წერს, რომ ტოღრულ-ბეგი[2] შეცვალა მისმა ძემ — ალფ-არსლანმა.[3] ეს უკანასკნელი კი მელიქშაჰმა.[4] სანუტო აღნიშნავს, რომ მელიქშაჰის სულთნობისას ჯვაროსნებმა ანტიოქიას ალყა შემოარტყეს და ამ დროს ბევრი ქრისტიანი პილიგრიმი დაიღუპა. მაგრამ შემდეგ, წერს იგი, „აღარ იყო თანხმობა (თურქთა შორის, ვ. კ.) ერთმმართველი მეთაურის (ე. ი. სულთნის) თაობაზე. მაშინ ქართველები და სომხები დიდი სომხეთიდან,[5] რომლებიც ხედავდნენ თურქთა დანაწევრებას, თვით დაესხნენ (მათ) თავს და მთელი სპარსეთიდან განდევნეს. ამის შემდეგ, დარტყმები უშუალოდ თურქების სამეფოზე (მცირე აზიაზე, ვ. კ.) იქნა მიტანილი").[6]

ტექსტიდან ჩანს, რომ მარინო სანუტო მოკლედ იხილავს თურქ-სელჩუკების ძლიერების ზენიტსა და შემდგომი დაცემის პერიოდს, როდესაც მათი უზარმაზარი იმპერია — გადაჭიმული პალესტინიდან შუა აზიამდე, მრავალ მცირე ერთეულად დანაწევრდა. სელჩუკთა ძლიერების პერიოდი ძირითადად მოიცავს ალფ-არსლანისა და მელიქშაჰის სულთნობის ხანას. როგორც ცნობილია, მათ ამ დროს საქართველოც არა ერთხელ დალაშქრეს და დაარბიეს. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ შრომის

ციტირებულ მონაკვეთში, ვხვდებით დავით აღმაშენებლის (1089-1125) ძლევამოსილი ომების ევროპულ გამოძახილს. სანუტოს მიერ აღწერილი ქართველების შეტევა და სპარსეთიდან თურქ-სელჩუკების განდევნა გულისხმობს სწორედ დავით IV მიერ წარმატებით განხორციელებულ ანტითურქულ ღონისძიებებს.

სანუტოს შრომის შემდეგი ადგილი, სადაც საქართველო იხსენიება, ჯვაროსნულ ლაშქრობას შეეხება. ადრე აღნიშნული გვქონდა ჯვაროსნული ლაშქრობების ის პროექტები, რომლებიც XIII ს. მიწურულიდან ხშირად იხსენიება ევროპულ წყაროებში („მნათობი", 1982, № 9 და „მნათობი", 1983, № 4). ამ საკითხზე სანუტოსთან შემდეგია აღნიშნული: „ქართველები, რომლებიც ჩამოშორდნენ მაჰმადიანებს, წინადადებასაც კი იძლევიან, წმინდა მიწების გასათავისუფლებლად გამოვიდნენ. ამ მიზნით, მათ უნდათ ყველა თავის მეზობელთან სამშვიდობო ხელშეკრულება დასდონ".[7] აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ბოლო წინადადება იქცევს. სანუტოს ცნობიდან ვიგებთ, რომ საქართველოში, პალესტინაში გალაშქრების იმდენად დიდი სურვილი ყოფილა, რომ ქართველები მზად იყვნენ თავისი ზურგის უზრუნველსაყოფად ყველა თავის მეზობელ სახელმწიფოსთან სამშვიდობო მოლაპარაკება ეწარმოებინათ.

მარინო სანუტო საქართველოში მონღოლთა პირველ შემოჭრასაც ახსენებს. იგი წერს: „დამარბეველი და მეტად უაზრო შევიწროების გამო, ხმა თათართა ველურობის შესახებ ქართველთა მიმართ, ძალიან ფართოდ არის გავრცელებული. ამგვარად, მათმა მეფემ იუანემ, მოაგროვა ჯარი და წაიყვანა თათრებთან შესახვედრად ერთ ველზე, რომელსაც მონგანი (მუღანი, ვ. კ.) ეწოდება, თუმცა აქ ისინი ბრძოლაში შემართებით (მწვავედ) ჩაებნენ, საბოლოოდ, ბრძოლის ბოლოს, ქართველები დამარცხებული დანებდნენ (თათრებს). გარშემორტყმული თათრები იმდენ ხანს მისდევდნენ (მათ), ვიდრე არ მიაღწიეს არზორონს (არზრუმს, ვ. კ.), თურქეთის სულთნის ქალაქს".[8] აქ სანუტო ეხება მონღოლთა პირველ შემოჭრას საქართველოში, დაახლოებით 1220 წლის ზამთარში, როდესაც ქართველთა ლაშქარი მუღანის ველზე შეებრძოლა მონღოლებს, სადაც ისინი გამოზამთრებას აპირებდნენ. ამ ბრძოლაში ქართველებმა მართლაც მარცხი განიცადეს, მაგრამ სანუტოსთან არა სწორადაა დასახელებული საქართველოს იმდროინდელი მეფის ლაშა გიორგის (1212-1223) სახელი. როგორც ჩანს, მ. სანუტოს ლაშას სახელი ერევა დავით აღმაშენებლის ევროპაში გავრცელებულ სახელ ‹ოვანეში (ოვანე პრესბიტერი).

მარინო სანუტოს ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი ცნობები აინტერესებს. ეს ცნობები კი, შერჩეულია „ურწმუნოებთან" აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობის მედგარი ბრძოლის პრინციპით. მეორე მხრივ, დავით აღმაშენებლის ძლევამოსილების ამბავი ფართოდ იყო გავრცელებული, მისი სახელი ლეგენდებით შეიმოსა და სულ სხვადასხვა ნიუანსი შეიძინა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა შუა საუკუნეების განთქმული მოგზაურის მარკო პოლოს წიგნის ერთი ადგილი, სადაც იგი წერს: „საქართველოს მეფეს ჩვეულებრივ ეწოდება დავით-მელიქი, რაც ჩვენებურად მეფე დავითს ნიშნავს"-[9] (ხაზი ჩვენია ვ. კ.). ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული შეცდომა დავით IV პოპულარობით აიხსნება.

მ. სანუტოს შრომის გარდა, სხვა წყაროებში არ გვხვდება ცნობა იმის შესახებ, რომ მონღოლები ქართველებთან მუღანის ველზე ბრძოლის შემდეგ არზრუმამდე მისულიყვნენ. ყურადღებას იპყრობს ამ ქალაქის (კარნუ-ქალაქი, თეოდოსიოპოლი), უკვე ასეთი ფორმით — „არზრუმი", მოხსენიებაც.

სანუტოს შრომის საყურადღებო ადგილს წარმოადგენს აგრეთვე, ის მონაკვეთი, სადაც იგი აღწერს კავკასიონზე გადასასვლელ გზებს. ერთ-ერთ გზად, მას დასახელებული აქვს დარიალის ულელტეხილი. შემდეგ იგი წერს: „მეორე გზას ეწოდება ლე-დერბენკი (დერბენდი, დარუბანდი, ვ. კ.). იგი მდებარეობს სარას (კასპიის, ვ. კ.) ზღვის მახლობლად, სადაც არის რკინის კარი.[10] ამ გზით შესაძლოა სათათრეთში (საილხანოში, ვ. კ.) გადასვლა. ცუდი ამინდი (იქ) წელიწადის ექვს თვეს გრძელდება. აბალამ[11] იქ, შუა ადგილას გაიყვანა არხი და ააგო სიმაგრე. ამ ადგილს ეწოდება სიბა (Cyba). მსგავსად გამაგრებული ადგილები უფრო მეტად ზამთრის სადგომებად გამოიყენება... აქ, გზიდან მოშორებით, დიდი რაოდენობით ხობისნაირნი არიან, რომელთა ბუმბული თეთრია, მაგრამ ზევიდან შავად დაწინწკლული. მათ სეისერახებს (ციცარი, სისარი, ვ. კ.) უწოდებენ. აქ, ველზე, რომელსაც მონგანი (მუღანი) ეწოდება, მუდმივად არის საზამთრო სადგომები. აქედან მოძრაობა შესაძლებელია ორივე მიმართულებით (ჩრდილოეთ კავკასიისკენ და ირანისკენ, ვ. კ.). მრავალი აქაური გადასასვლელი შემკულია არხითა და სიმაგრით, რის გამოც, მოწინააღმდეგის გადმოსვლა გაძნელებულია.

მესამე გზა დიდ ზღვასთანაა (შავი ზღვა, ვ. კ.), რომელსაც აფხაზეთის ზღვას უწოდებენ, იგი საქართველოშია. არავინ ცდუნდება ამ გზას დაესახას თავს, რადგან ამ სამეფოს მიწები და ხალხი, კარგად არის გამაგრებული".[12]

როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, სანუ-

ტოსთვის ცნობილი ყოფილა კავკასიონის ძირითადი გადასასვლელები. უურადღებას იქცევს ისიც, რომ იგი იხსენიებს ილხანების მიერ მუღანის ველზე აგებულ სიმაგრეს, რომელსაც მონღოლები „სიბას“ უწოდებდნენ. ამ ადგილზე გამაგრებულ და წყლით შემოზღუდულ სიმაგრეს აღწერენ რაშიდ ად დინი, კირაკოზ განძაკეცი და ყამთაალმწერელი. რაშიდ ად დინის სიტყვით: „664 (1265/66) წელს, აბაღა-ყაენმა ბრძანება გასცა, რომ მდინარე მტკვრის იქითა მხარეს (ე. ი. ჩრდილოეთით) დალან-ნაურიდან ქურდამანის ვაკემდე,13 რომელიც მდ. მტკვარს ემიჯნება, აეგოთ მიწაყრილი და გაეთხარათ ღრმა თხრილები. მათ დასაცავად დაინიშნა მონღოლთა და მუსულმანთა რაზმი. ქარავნებმა (ამ ადგილიდან, ვ. კ.) ორივე მხარეს დაიწყეს სიარული“.14 კირაკოზ განძაკეცი მოკლედ იგივეს აღწერს, ყამთაალმწერელი კი შემდეგს გვამცნობს: „შეკრეს ღობითა (მონღოლებმა, ვ. კ.) წყლის პირი, რომელსა სიბად უწოდეს. ამათ ყამთაგან იწყეს სიბასა ზედა დგომად თათართა და ქართველთა სთულითგან — გაზაფხულამდე“15 (ხაზი ჩვენია, ვ. კ.). როგორც ყამთაალმწერლის ცნობიდან ჩანს, მონღოლები სიბაზე სწორედ ზამთრობით მდგარან (შემოდგომიდან — გაზაფხულამდე), რასაც მ. სანუტოც გვამცნობს. ქართველთა მეფეებს დაკისრებული ჰქონდათ თავიანთი ჯარის ნაწილებთან ერთად რეგულარულად ევლოთ ამ სიმაგრეთა დასაცავად. ის, რომ ეს ადგილები განთქმული ყოფილა ნადირ-ფრინველითა და ხეხილით, კ. განძაკეციც იუწყება.16

მ. სანუტოს ისტორიულ-გეოგრაფიული შრომა შეიცავს საქართველოს ზოგად აღწერილობასაც. ეს აღწერილობა მოთავსებულია მისი წიგნის ბოლო ნაწილში, ასეთი სათაურის ქვეშ: „აქ მოტანილია ის განმარტებანი, რომლებიც მთელი დედამიწის ადრეულ გეოგრაფიულ აღწერილობებში შერყვნილი იყო“, შემდეგ იქ ნათქვამია: „საქართველოს სამეფო, აღმოსავლეთით მოიცავს მთას, რომელსაც ეწოდება ალბზორი, (იალბუზი, ვ. კ.), რომლის მახლობლადაც მრავალი ხალხი ცხოვრობს. იქ არის მთაგრეხილი და მდებარეობს ალანეთი. სამხრეთით ეს სამეფო მოიცავს სომხეთს. დასავლეთით, სამხრეთი17 მიმართულებით, ვრცელდება თურქთა სამეფოს მრავალრიცხოვან პროვინციებამდე. სიგრძეში იგი ვრცელდება დიდ ზღვამდე (შავ ზღვამდე, ვ. კ.), ემიჯნება რა მის სამხრეთ ნაწილს. იგი იყოფა ორ სამეფოდ, რომელთაგან ერთს უწოდებენ საქართველოს. ეს უკანასკნელი დღემდე, ძველებურად აზიის იმპერატორს (მონღოლთა დიდ ყაენს, ვ. კ.) ექვემდებარება. მეორე (სამეფოს) ეწოდება აფხაზეთი, რომელიც თათრებს არ ემორჩილება“.18 სანამ ამ ადგილის კომენტირებაზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მივაკვლიეთ მარინო სანუტო უფროსის იმ წყაროს, საიდანაც ძირითადად მომდინარეობს მისი ცნობები საქართველოს შესახებ და კონკრეტულად ზევით მოყვანილი საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა. ეს გახლავთ კილიკიელი სომეხი თვითმხილველის ჰეთუმის (ევროპულ წყაროებში — ჰაიტონის) „ისტორია“. ამ წყაროს 1735 წ. ბენეერონისეულ გამოცემაში ვკითხულობთ: „ეს არის აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, შედგენილი პატივცემული მამა ჰაიტონის.,, სომხეთის მეფის ნათესავის მიერ და მე, ნიკოლოზ დე სალკონმა, ჩვენი უფლის პაპი კლიმენტ V (1305-1314, ვ. კ.) მითითებით, ჯერ ეს დავწერე პუატიეში, ფრანგულად, ჰაიტონის კარნახით, რაიმე დაკვირვების და ორიგინალის გარეშე, შემდეგ კი ვთარგმნე (იგივე), ლათინურად 1307 წ. აგვისტოში“.19 შემდეგ განმარტებულია, რომ ეს ისტორია აღწერს აღმოსავლეთის ქვეყნებს. დაახლოებით 1800 წლისთვის. მ. ბრეტშნაიდერის „შუა საუკუნეების გამოკვლევებში“ კი, განმარტებულია, რომ ეს ჰაიტონი (ჰეთუმი) არ უნდა აგვერიოს კირაკოზ განძაკეცთან ნახსენებ კილიკიის მეფე ჰეთუმში (1201-1272), რომელიც მისი ნათესავი იყო.20 ამ შრომის ავტორი ჰეთუმი სიცოცხლის ბოლო წლებში მონაზვნად აღიკვეცა საფრანგეთში და იქვე, კარნახით მისგან მოთხრობილი „ისტორია“ ჩაიწერა ვინმე ნ. სალკონმა, როგორც ამას თვითონვე გვაუწყებს. ამ შრომაში, რამდენიმე ადგილი საქართველოს და ქართველებსაც ეხება, ერთი თავი (X) კი, მთლიანად მას ეძღვნება. სწორედ ამ თავის დასაწყისი ნაწილი შეიცავს ცნობებს, რომლებიც მარინო სანუტოს მოყავს თავის წიგნში. მოვიტანთ ჰეთუმის ისტორიის ამ თავის თარგმანს: „საქართველოს სამეფო. ეს სამეფო იწყება აღმოსავლეთის მხრიდან იმ დიდი მთიდან, რომელსაც ალბორისი (ელბრუსი, იალბუზი, ვ. კ.) ეწოდება. ამ პროვინციაში სხვადასხვა ეროვნებანი სახლობენ. აქედან პროვინცია იღებს ალანეთის სახელწოდებას. ამ მთიდან, ეს სამეფო სამხრეთისაკენ21 მიემართება და თურქეთის სამეფოს ერთერთ ნაწილს ესაზღვრება. სიგრძივი მიმართულებით იგი (საქართველო) დიდ ზღვამდე მიდის, სამხრეთში კი დიდ სომხეთამდე აღწევს. ეს სამეფო ორად იყოფა, ერთს ეწოდება საქართველო (გეორგია), მეორე ნაწილს კი აფხაზეთი (დას. საქართველო, ვ. კ.). თითოეულს თავისი მეფე ჰყავს. საქართველოს მეფე, აზიის იმპერატორის ქვეშევრდომია. აფხაზეთის მეფე ძლიერია მოსახლეობის სიმრავლით და თავისი ციხე-სიმაგრეებით. იგი არასდროს ემორჩილებოდა არც თათრებს (ირანის ილხანებს, ვ. კ.) და არც აზიის იმპერატორს (დიდ ყაენს ყარაყორუმში, ვ .კ.).

საქართველოს სამეფოში, ჩვენ ვხვდებით ისეთ რამეს, რაც გაოცებას იწვევს და რის

შესახებაც მე არას ვიტყოდი და არც დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ მეხილა. მაგრამ მე თვითონ ვიყავი იქ და, რაც ვნახე, არ გამიჭირდება იმის გადმოცემა (საქართველოს) ერთ პროვინციას ჰამსენი ჰქვია, მისი ფართობი სამი დღის სავალია და იქ ისეთი წყვდიადია, რომ არაფრის დანახვა არ შეიძლება, ამიტომაც იქ ვერავინ ბედავს შესვლას, რადგან ეშინიათ, თავს ველარ დააღწევენ იქაურობას (ახლო-მახლო) მცხოვრებნი გვარწმუნებდნენ, რომ მათ ხშირად ესმით (იქიდან) ადამიანების გმინვა, მამლების ყივილი და ცხენების ჭიხვინი. ერთი მდინარის დინების მიხედვით, რომელიც ამ ადგილიდან გამოედინება, უეჭველია, რომ იქ გარკვეული ხალხი ცხოვრობს.

როდესაც სომხეთისა და საქართველოს (ძველ) ისტორიას ვკითხულობთ, ვიგებთ იმ ამბავს, რომ ოდესღაც ცხოვრობდა სპარსთა ბოროტი იმპერატორი საპორე (შაბური, ვ. კ.), იგი კერპთთაყვანისმცემელი იყო და ქრისტიანებს სასტიკად სდევნიდა. მან აზიის ყველა მცხოვრებს უბრძანა თაყვანი ეცათ კერპებისათვის, თუ არა და სიკვდილით დაისჯებოდნენ. ბევრმა ქრისტიანმა მარტვილობა არჩია, მაგრამ ზოგიერთი (სიკვდილისა) და ჯონების დაკარგვით შეშინებული, მას დაემორჩილა. დანარჩენებმა თავს უშველეს მთებში გაქცევით და თავი შეაფარეს აკლდამებს. ზოგიერთმა კეთილშობილმა ქრისტიანმა, რომლებიც მაგონის (მუღანის, ვ. კ.) ველზე ცხოვრობდნენ, არჩიეს გაქცევა და ჯონების დატოვება. იმპერატორმა (შაბურმა, ვ. კ.) ბრძანა, რომ ყველა ქრისტიანისათვის თავი მოეკვეთათ, მათ კი (დახმარებისათვის) უფალს მიმართეს. როგორც ამბობენ, ამ დროს ცა გაშავდა და ერთგვარი ბინდი ჩამოწვა, რამაც (ქრისტიანებს) გაქცევის საშუალება მისცა. მაგრამ ბოროტნი ამ სიბნელეში დარჩნენ და ამბობენ, ისინი იქ ქვეყნის დასასრულამდე იქნებიანო".22

ასეთია ჰეთუმის შრომის ის თავი, რომელიც საქართველოს ეხება. როგორც ვხედავთ, მისი თხრობის საწყისი ნაწილი თითქმის სიტყვასიტყვით თანხვდება მარინო სანუტოს ცნობას. ამასთან, უეჭველია სანუტომ ისარგებლა ჰეთუმის ისტორიით და არა პირიქით, რადგანაც სხვას რომ თავი დავანებოთ, ჰეთუმის შრომა სანუტოს წიგნზე ადრე, 1305-1307 წელს დაიწერა.

როგორც შენიშვნაში აღვნიშნეთ, ორივეგან ნათქვამია, თითქოს საქართველოს თურქეთი ჩრდილოეთიდან ესაზღვრება. ეს შეუსაბამობა. შესაძლოა, მხოლოდ ლაფსუსს არ წარმოადგენს; იგი აიხსნება კილიკიელი ავტორის გეოგრაფიული წარმოდგენებით. კილიკია მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა და იქაური მცხოვრებისათვის საქართველო თურქეთის ჩრდილო მეზობელი იყო. ვფიქრობთ, აქედან მომდინარეობს ჰეთუმის შეცდომა. მ. სანუტომ კი, უკრიტიკოდ ისარგებლა მისი ცნობით. რაც შეეხება ჰეთუმის თხრობის მეორე ნაწილს, იქ გადმოცემული პასაჟი, რამდენადაც ვიცით, პირველად გვხვდება.

მითიური და ლეგენდარული საწყისების გათვალისწინებით, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების ავტორებისათვის, შესაძლოა ჰეთუმის თხრობაში ერთგვარი პარალელები მოვიძიოთ ვეფხისტყაოსნის ქაჯეთთან და საქართველოს მოქცევის დროს ჩამოწოლილ ბინდთან (ლეგენდა მირიან მეფის ნადირობის შესახებ). რაც შეეხება, ამ პასაჟში მოხსენიებულ პროვინცია „ჰამსემ"-ს, იგი თითქოს სამცხეს მოგვაგონებს, მაგრამ ავტორის შემდეგი თხრობიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქმე ეხება მუღანის ველის მიდამოებს. ამიტომ, გადაჭრით რაიმეს მტკიცება ჭირს. თვითონ ჰეთუმი ცდილობს თავის თხრობის ამ ნაწილს ისტორიული საფუძველი მოუძებნოს და ბინდის ჩამოწოლას უკავშირებს ირანის სასანიანი შაჰის შაბურ II (310-379) სახელს. ცნობილია, რომ მან მართლაც ძლიერი შეტევა აწარმოვა ამიერკავკასიის ქრისტიანებზე, ზოროასტრიზმზე მათ მოსაქცევად. ქრისტიანთა პირველი დიდი დევნა, შაბურმა დაახლოებით 339 წელს დაიწყო და ამის შემდეგ სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

მეათე თავის გარდა, რომელიც საკუთრივ საქართველოს ეძღვნება, ჰეთუმის „ისტორიაში", კიდევ რამდენიმე ადგილას ვხვდებით ცნობებს საქართველოსა და ქართველებზე. ერთგან იგი რომის პაპს, ჩანს, კლიმენტ V-ს, მიმართავდა შემდეგი სიტყვებით: „თქვენის უწმინდესობის ნებართვით, მე დავუმატებ კიდევ რამდენიმე სიტყვას. ხომ არ ინებებდა ის, რომ ქართველთა მეფისათვის მიეწერა (მონაწილეობა მიეღო პალესტინაში ლაშქრობაში, ვ. კ.). ისინი ქრისტიანები არიან და სხვა ერებთან შედარებით უფრო მოწადინებულნი არიან დაბრუნონ წმინდა მიწები. ხომ არ სთხოვდით მათ, დახმარება აღმოუჩინონ ჯვაროსნებს"-ო.23 როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, ჯვაროსნებთან ერთად ქართველების ლაშქრობა სირია-პალესტინაში ამ პერიოდის ევროპული წყაროების „მოარულ" თემას წარმოადგენდა. ეს ციტატა, ისევე, როგორც შემდეგი ადგილი ჰეთუმის თხზულებიდან, რომელსაც ქვევით მოვიტანთ, აშკარად მარინო სანუტოს წყაროს წარმოადგენს. ჰეთუმი მოგვითხრობს თურქსელჩუკთა ძლევამოსილებაზე, შემდეგ დასძენს, რომ გარკვეულ პერიოდში „მათ (თურქებმა), ვერ შესძლეს მიეღწიათ იმ მიზნისათვის, რომ აერჩიათ იმპერატორი (სულთანი, ვ. კ.) ან მთავარი. ამიტომ მათ შორის გაუთავებელი ომი გაჩაღდა. ასე რომ, ქართველებმა და სომ-

ხებმა დიდი სომხეთიდან24 ისარგებლეს მათი უგუნურებით, თავს დაესხნენ ხსენებულ თურქებს და განდევნეს ისინი სპარსეთის იმპერიიდან. ამან აიძულა ისინი ცოლებთან და შვილებიან ერთად დასახლებულიყვნენ თურქეთის სამეფოში".25 როგორც ვხედავთ, სანუტოსა და ჰეთუმის ტექსტი თითქმის მთლიანად თანხვდება.

ჰეთუმის ისტორიაში, მოიპოვება, აგრეთვე, ყაზან ყაენის (1295-1304) ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ სირიაში ლაშქრობის აღწერილობა. ამ ლაშქრობას 1303 წელს ჰქონდა ადგილი და მასში ქართველები და კილიკიელი სომხებიც მონაწილეობდნენ. საინტერესოა, რომ ამ ბრძოლას ჰეთუმის გარდა, თავისი ინტერესების შესაბამისად აღწერენ სპარსელი მემატიანე რაშიდ ად დინი და ქართველი ეამთააღმწერელი. ამგვარად, ჰეთუმის ისტორიის შესაბამისი ნაწილის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანის შემდეგ, შეგვიძლია ამ ბრძოლის დეტალები შევავსოთ სამი თვითმხილველის მონათხრობიდან. ჰეთუმი გადმოგვცემს, რომ მონღოლთა ლაშქარი დამასკოს მიდამოებს მიადგა და იქ შეება ეგვიპტის სულთნის ჯარებს. შემდეგ, მის „ისტორიაში" ნათქვამია: „მიუხედავად თათრების მიერ გამოყენებული ყველა ხერხისა, ბრძოლა გაგრძელდა ადრე დილიდან — 9 საათამდე. დაღლილებმა და დატანჯულმა (თათრებმა) ბოლოს სულთანს დაუთმეს (უპირატესობა). წესრიგის დაცვით, (მათმა) ნაწილებმა დაიხიეს დამასკომდე... აქ მათ შეისვენეს და წყურვილი მოიკლეს. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ (მეორე დღეს) კვლავ შებმოდნენ სულთანს, მაგრამ დამასკოს მცხოვრებლებმა წყლის ნაკადი მიუშვეს ველის იმ ნაწილს, სადაც თათრები იყვნენ დაბანაკებულნი. ღამის განმავლობაში წყალი იმდენი დაგროვდა, რომ 8 საათისათვის თათრები იძულებულნი იყვნენ დაუყოვნებლივ წასულიყვნენ (ამ ადგილიდან). მათი უკან დახევის დროს, უკუნი ღამე იდგა, ისინი კი მიდიოდნენ არა მყარ ადგილას, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო გზასთან. აქ არეულობა დაიწყო. უამრავი ცხენი, იარაღი და აღჭურვილობა წყალმა შთანთქა. დაიღუპა მრავალი ადამიანიც. ამ არეულობის დროს, ყველაზე მეტი საუკეთესო თანამებრძოლი, სომხეთის (კილიკიის, ვ. კ.) მეფემ დაკარგა. გათენებისას ამ საშიშროებასაც დააღწიეს თავი, მაგრამ მათი მშვილდ-ისრები, რომლებითაც (მეომრები) ჩვეულებრივი იარაღის გარდა იყვნენ აღჭურვილნი, დასველდა. ამის გამო, მათ თავის დაცვა აღარ შეეძლოთ. მტერმა ამ საცოდავი რაზმის დევნა იწყო. (თათრების) განდევნა შეშინებული ბელურების გაქცევას დაემსგავსა. ამის შემდეგ, თათრები დაბრუნდნენ ევფრატის ნაპირებზე, მოწინააღმდეგემ კი ველარ გაბედა მათზე თავდასხმა. მდინარე, რომელიც მათ ცურვით, ან ცხენებით უნდა გადაელახათ, წვიმების გამო ადიდებულიყო. ასე, რომ (აქაც) ბევრი სომეხი დაიღუპა, ისევე, როგორც თათარი და ქართველი; ცხენებიც ბევრი დაიკარგა. (თათართა ლაშქარი) უკან გაბრუნდა არა მტრის სიძლიერის გამო, არამედ უბედური შემთხვევისა და ცუდი რჩევის გამო. ამბობენ, რომ ეს ყველაფერი მოხდა, რადგანაც (თათართა მხედართმთავარმა, ვ. კ.) კოტლოსამ (ყუთლუღ-შაჰმა, ვ. კ.) არ მოინდომა არავის ყურის გდება... ამას მე, მამა ჰაიტონი (ჰეთუმი, ვ. კ.) იმიტომ ვწერ, რომ ყველა ამ მომხდარი ამბის მოწმე ვიყავი. (ამგვარად) ამის შემდეგ, სომხეთის მეფემ ევფრატი გადალახა, რამაც ბევრი მისი თანმხლები მებრძოლი იმსხვერპლა. სანამ თავის სამეფოში დაბრუნდებოდა, ის ყაზან-ყაენთან მივიდა ქ. ნინევიაში (მოსულში, ვ. კ.), სადაც ამ დროს ყაენი იმყოფებოდა. მან (ყაენმა) ის (სომხეთის მეფე) პატივისცემით მიიღო და გამოხატა თანაგრძნობა მისი დანაკარგის გამო. (ყაენმა) დიდსულოვნება გამოიჩინა და მისცა მას (სომხეთის მეფეს) 1000 თათარი (მეომარი), რომლებიც მის (ყაენის) პირად ხარჯზე იქნებოდნენ და სომხეთის სამეფოს დაიცავდნენ. ამის შემდეგ, სომხეთის მეფე თავის სამფლობელოში დაბრუნდა. (ყაენმა) კი ურჩია მას (შემდეგშიც) მზად ყოფილიყო წმინდა მიწებზე გასალაშქრებლად".26 ასეთია ჰეთუმის მონათხრობი ამ ბრძოლის შესახებ, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობდნენ. ჰეთუმი გვამცნობს აგრეთვე, რომ თვითონ, პირადად ამ ამბების უშუალო მომსწრე და მოწმე ყოფილა. მისი თხრობის ზოგიერთი დეტალი მართლაც თანხვდება ან ავსებს რაშიდ ად დინის და ეამთააღმწერლის ცნობებს. რაშიდ ად დინი ამ ბრძოლას მოკლედ აღწერს, მაგრამ ქართველთა და სომეხთა მონაწილეობას, საერთოდ არ ახსენებს, სამაგიეროდ რაშიდ ად დინთან აღნიშნულია, რომ ყაზან ყაენი, ამ დროს მართლაც „მავსილის" (მოსულის) მიდამოებში იდგა, ბრძოლა კი 1303 წ. 19-20 აპრილს გაიმართა. რაშიდ ად დინი ყუთლუღ-შაჰ ნოინის ბრძოლას ფრთხილად ეხება, და გადაჭრით არას ამბობს, თუმცა მაინც ჩანს, რომ ბრძოლა მონღოლებისათვის წარუმატებლად დამთავრდა. ბრძოლის პირველი ღამე ყუთლუღ-შაჰს და სხვა ნოინებს ერთ გორაკზე გაუტარებიათ, მეორე დღეს კი „შუადღის ნამაზამდე (მუსულმანური ლოცვა, ვ. კ.) გაძლო (მონღოლთა ლაშქარმა), შემდეგ კი (მათ) უკან დაიხიეს და წავიდნენ. გზაზე ძალიან ბევრი წყალი და ჭაობიანი ადგილები იყო. ბევრი ცხენი ლაშში გაიჩხირა, მეომრები კი გაიფანტნენ"-ო,27 წერს სპარსული მემატიანე. ამ ბრძოლაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ, საინტერესო ცნობები დაუცავს ეამთააღმწერელს. მისი თხრობიდან ვი-

გებთ, რომ ბრძოლაში საქართველოს მეფე ვახტანგ III (1299-1308) და ბექას (სამცხის მთავრის) ლაშქარი მონაწილეობდა. უამთააღმწერელი წერს: „ყაზან გაგზავნა... ხუტლუბუღა (უუთლუღ-შაჰი, ვ. კ.) და ვახტანგ სპითა საქართველოსათა და ვითარ ცნა სულტანმან (ეგვიპტის სულთანმა, ვ. კ.) მისლვა მათი, მიეგება სულტანი ომად... და მას დღესა სწორი ძლევა არა იქმნა და ღამემან განყარნა. და ვითარ უკუდგეს, პოვეს ქედი დიდი თათართა და მას ზედა შემოდგეს ხუტლუბუღა ერითურთ". აქ ლაპარაკია, ჩანს, იმ გორაკზე, რომელსაც რაშიდ ად დინიც ახსენებს. შემდეგ ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: „მოიკელოვნა სულტანმან, რამეთუ ჩამოუშვა წყალი უკანა კერძო თათართა და მას ღამესა ესეთი ლამი შეიქმნა, ცხენი და კაცი ორნივე უჩინო იქმნიან ლამსა შიგან. და განთენა რა, იხილეს თათართა უკანა კერძო ლამი და წინათ ლაშქრის სიმრავლე, ულონო იქმნეს, პოვეს უგანო ადგილი ლამისა, და მაშიგანცა დაიკოცნეს სიმრავლე კაცისა და ცხენისა; და რაუამს აღივსო კაცითა და ცხენითა, მეოტმან ლაშქარმან ზედა — განსვლა დაიწყო. დაღათუ მოსწყდეს ურიცხვ თათარი და ქართველნი, ვახტანგ და ნოინნი მშვიდობით დარჩეს და მოვიდეს ყაზანს წინაშე".[28]

სამივე მოთხრობაში, განსხვავებებთან ერთად, თანხვედრის მომენტებიც ბევრია. სამივეგან ვხვდებით იმის აღწერილობას, რაოდენ დიდ მსხვერპლს ჰქონდა ადგილი, როდესაც ეგვიპტის სულთანმა და დამასკოს მცხოვრებლებმა წყალი მიუშვეს მონღოლთა ლაშქრის სადგომს. ბრძოლის ამ მონაკვეთთან დაკავშირებით, უამთააღმწერელს ისეთი დეტალიც კი აქვს აღნიშნული, რომ წყლით სავსე არხები ადამიანთა და ცხოველთა გვამებით გაივსო და „მეოტი" (გაქცეული) მონღოლთა ლაშქარი ზედ ხიდივით გადადიოდა. ემთხვევა უამთააღმწერლისა და ჰეთუმის ის ცნობებიც, რომ ყაზანი ამის შემდეგ კვლავ აპირებდა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ გალაშქრებას. კერძოდ, ჰეთუმი წერდა, რომ ყაზანმა ურჩია კილიკიის სომხეთის მეფეს, რომელიც მისი ვასალი იყო, მზად ყოფილიყო „წმინდა მიწებზე" (ე. ი. სირია-პალესტინაში) კიდევ ერთხელ გასალაშქრებლად. უამთააღმწერელი კი აღნიშნავს, რომ ყაზანი „ეკაზმოდა კუალად (ეგვიპტის, ვ. კ.) სულტანსა ზედა, გარნა დასნეულდა სენითა მუცლისათა და მოკუდა"-ო (გვ. 318). მართლაც, რაშიდ ად დინის ცნობით, ყაზან-ყაენი გარდაიცვალა ამ ომიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1304 წლის 17 მაისს.[29] ჰეთუმის თხრობაში საყურადღებოა ის მომენტი, რომელიც არც ერთ სხვა წყაროში დასახელებული არ არის. ჰეთუმი წერს, რომ მონღოლთა მარცხის ძირითადი მიზეზი, ყაზან ყაენის ცნობილი მხედართმთავრის უუთლუღ-შაჰის უგუნური მოქმედება იყო. რაც შეეხება ყაზანის კარის ისტორიკოსს, რაშიდ ად დინს, როგორც აღინიშნა, იგი არა თუ ომში მონღოლთა დამარცხების მიზეზებს არ ასახელებს, ფაქტობრივად ბრძოლას ძალიან მშრალად და ბუნდოვნად აღწერს და მხოლოდ მიგვანიშნებს ოპერაციის წარუმატებელ ხასიათზე. ამგვარად, „ჰეთუმის ისტორია" ავსებს და აღრმავებს ჩვენს ცოდნას დამასკოს ამ ბრძოლის შესახებ.

დასასრულ, მოვიყვანთ XIII ს. ჩინელი ანონიმი ისტორიკოსის თხზულების ფრაგმენტს. საქმე ეხება ჩინგიზ ყაენის (1206-1227) განთქმული მხედართმთავრების ჯებესა და სუბუდაის („უამთააღმწერელთან: ჯებო და სუბაი) კავკასიაში ლაშქრობის აღწერილობას. ჩინურ წყაროში, რომელსაც „იუან ში" ეწოდება, დაცულია ამ მონღოლ ნოინთა და მათ თანამებრძოლთა ბიოგრაფიები. წყარომ ყურადღება მიიქცია იმით, რომ ჯებეს ერთერთი სარდლის, ვინმე ჰოსმაილის ბიოგრაფიაში საქართველოც იხსენიება. ფრაგმენტი მოგვყავს მ. ბრეიტშნაიდერის „შუა საუკუნეების გამოკვლევების" ინგლისური თარგმანის მიხედვით: „ჰოსმაილის (Hosgmaili) ბიოგრაფიაში, წერს ბრეტშნაიდერი, მონღოლთა ლაშქრობა დასავლეთ სპარსეთში და კავკასიონის მახლობელ ქვეყნებში მოკლედ არის აღწერილი. მოჰამედ შაჰის[30] მაზანდარანში განდევნის შემდეგ, იქ (ამ წყაროში, ვ. კ.) ვკითხულობთ, რომ იმპერატორმა (ჩინგიზ ყაენმა, ვ. კ.) ჯებო (ჯებე, ვ. კ.) გაგზავნა „კინჩას" (ყივჩაღთა)[31] ქვეყანაზე იერიშის მისატანად; (თავის მხრივ) ჰოსმაილიმ ჯებოს-გან მიიღო ბრძანება გალაშქრა „კურთ"-თა (ქურთთა) და „შირვან-შა"-ს (შირვან შაჰის) წინააღმდეგ. და ერჩია ყველა იმ ქალაქებისათვის, რომლებზედაც გაივლიდა, დანებებოდნენ (მონღოლებს). შემდეგ, ჰოსმაილიმ გზა განაგრძო „გურჯ"-ების (ქართველების) ქვეყნისკენ და გალაშქრა კიდევ სხვა ხალხზე, რომელსაც „ასუ"-ს (ასებს, ალანებს) უწოდებენ. მან (აქ) დაიპყრო ქალაქი „ჰეი-ლინი" („შავი ტყე").[32] შემდგომ, „ვალოს"-ები (რუსები) დამარცხებულ იქნენ „ტიკ-რპ-შან"-თან („რკინის მთასთან) და მათი მეფე „მიჯისლა" (მსტისლავი) ტყვედ-ქმნილ იქნა. ჯებომ უბრძანა ჰოსმაილის წაეყვანა (ტყვე) იმპერატორის უფროსი ვაჟის ჯუჩისთვის, სადაც იგი სიკვდილით დასაჯეს".[33]

ჩინურ წყაროში ნახსენებ ქურთებთან დაკავშირებით, ბრეტშნაიდერი აღნიშნავს, რომ მუსულმანი ავტორების ცნობით, თურქული მოდგმის ტომები და ქურთები, ადრევე შევიდნენ მონღოლთა სამსახურში და შემდეგ, როცა მათ საქართველო დალაშქრეს, თურქებმა და ქურთებმა მონღოლთა ლაშქრის ავანგარდი შეადგინეს.[34] მართალია, ზევით მოყვანილი წყარო ამ ლაშქრობას ფრაგმენტულად აღწერს,

მაგრამ თავისთავად საყურადღებოა, რადგან ჩინელ ავტორს ეკუთვნის და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში არ ყოფილა. მონღოლთა პირველი შემოსევის მარშრუტი, ბრძოლათა რაოდენობა და თარიღები კი დღემდე დავას იწვევს, წყაროთა განსხვავებული ჩვენებების გამო. ამდენად, არსებულ წყაროებთან ჩინური წყაროს შეჯერება-შედარება გარკვეულ ინტერესს იწვევს.

აღნიშნულ ცნობებში ბევრია დეტალი, რომელთა გამოყენება და ანალიზი კარგ სამსახურს გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს.

შენიშვნები:

1 „მნათობი" 1982 № 9 და 1983 № 4. გვ. 158-163, აგრეთვე, თსუ შრომები, ისტორიის სერია, ტ. 243 V, თბ. 1983, გვ. 96-97.

2 ტოღრულ-ბეგის (1038-1063) სახელი ტექსტში იკითხება, როგორც „დეგრისატორილსა". ეს სახელი შეიძლება გაიშიფროს ამგვარად: „ტოღრულ-სელ-ჯუკ-შაჰ".

3 ალფ-არსლანი (1063-1072) ტექსტში წარმოდგენილია „ალპასალემ"-ის ფორმით.

4 მელიქ-შაჰის (1072-1092) სახელი ლათინურ ტექსტში გადმოცემულია „მელეში"-ს სახით.

5 ამ დროს დიდი სომხეთი (ე. ი. საკუთრივ სომხეთი, კილიკიის მცირე სომხეთისგან განსხვავებით) საქართველოს შემადგენლობაშია. ამდენად, მისი აქ მოხსენიება ზედმეტია. იხ. შენიშვნა 24.

6 მარინო სანუტო ტორსელო, „ჯვრის სარწმუნოების საიდუმლოთა შესახებ", წიგნში: «Gesta Dei per Francos» ნაწ. II, ჯ. ბონგარსის გამოცემა, ჰანოვერი, 1611 წ. გვ. 237 (ლათინურ ენაზე).

7 იქვე. გვ. 239.

8 იქვე, თავი III, ნაწ. XIII, გვ. 235.

9. Путешествия Венецианца Марко Поло. Чтения в обществе истории и Древностей Российских, кн. 4 (IX—X), М., 1861, гл. 5, с. 55.

10 დარუბანდის გასასვლელსა და ციხე-სიმაგრეს, სხვადასხვა ხალხები სხვადასხვაგვარ სახელებს უწოდებენ. არაბები, თურქები, რუსები ამ გასასვლელს „რკინის კარს" (ბაბ ალ ჰადიდი, თემირ-კაპი და ა. შ.) ეძახდნენ. საინტერესოა, რომ მ. სანუტოს შრომას დართული აქვს XIV ს. მსოფლიოს გეოგრაფიული რუკა, (მასზე სქემატურად საქართველოცაა აღნიშნული), სადაც დარუბანდის ადგილას, ავტორს მართლაც რკინის კარი გამოუსახავს. ამგვარად, სანუტოსთან ასახვა ჰპოვა უძველესმა ლეგენდამ იმის შესახებ, თითქოს დარუბანდის ვიწრო გასასვლელი რკინის კარით ალექსანდრე მაკედონელმა ჩარაზა.

11 აბაღა, ჰულაგუს ძე, მეორე ილხანი ყაენი სპარსეთში (1265-1282).

12 მ. სანუტოს დასახელებული შრომა, გვ. 282.

13 ამ გეოგრაფიული პუნქტების ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია. ამგვარად, დაუდგენელია ზუსტად სად აიგო სიბა.

14 რაშიდ ად დინი, „მატიანეთა კრებული", ბაქო 1956, გვ. 69 (სპარსული ტექსტი რუსული თარგმანითურთ).

15 ყამთაალმწერელი, ქართლის ცხ., ტ. II, თბ. 1959, გვ. 251.

16. Киракос Гандзакеци, История Армении, перевод с армянского, М., 1976, с. 154.

17 ამ ადგილას „სამხრეთის" ნაცვლად, ტექსტში შეცდომით წერია „ჩრდილო მიმართულებით". შეცდომის შესახებ იხ. ქვემოთ, ძირითად ტექსტში.

18 მ. სანუტო, დასახელებული შრომა, გვ. 285. საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა, რაც მონღოლთა გაბატონების შედეგი იყო, ევროპულ წყაროებში მყარად აისახა (მაგალითად, მარკო პოლოს ზევით დასახელებული გამოცემა, გვ. 55). წარმოდგენა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფის დავით ნარინის (რუსუდანის ძე, 1247-1293) სიძლიერის შესახებ, წარმოშვა იმ ფაქტმა, რომ მონღოლები ლიხს იქით აღარ გადასულან და დავითმა ფორმალური დამოუკიდებლობა შეინარჩუნა (იხ. დიდა გადასახადს, მაგრამ თავისი ლაშქრით არ მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობებში). ამ „დამოუკიდებლობის" პირობითობა თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ცნობილ სპარსელ ისტორიკოსსა და ფეოდალს რაშიდ ად დინს, ამ პერიოდში, „აფხაზეთში" მოზრდილი ზაფრანის პლანტაციები ჰქონდა (კ. ტაბატაძე, რაშიდ ად დინის ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ. (1968).

19 ჰაიტონის ისტორია გადმოცემული ნ. სალკონის მიერ, წიგნში: მოგზაურობანი, რომელთაც ძირითადად ადგილი ჰქონდა აზიაში XII-დან XV საუკუნემდე, პიერ ბერეერონის გამოცემა, ჰააგა, 1735, გვ. 1 (ფრანგულ ენაზე).

20 მ. დ. ბრეტშნაიდერი, შუა საუკუნეების გამოკვლევები, ტ. I, ლონდონი, 1888, გვ. 450 (ინგლისურ ენაზე).

21 იხ.შენიშვნა 17.

22 ჰაიტონის ისტორია, დასახელებული გამოცემა, გვ. 13-14.

23 იქვე, გვ. 90.

24 იხ. შენიშვნა 5. ჰეთუმის შრომის ამ

ადგილიდან ირკვევა საიდან მომდინარეობს სანუტოს შესაბამისი ცნობა.

25 ჰაიტონის ისტორიის დასახელებული გამოცემა, გვ. 24.

26 იქვე, გვ. 65-66.

27 რაშიდ ად დინი, დასახელებული შრომა, გვ. 200.

28 ეამთააღმწერელი, გვ. 317.

29 რაშიდ ად დინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

30 იგულისხმება ხორეზმის შაჰი ალა ადინ მუჰამედ II (1200-1220). მან მონღოლთა შეტევას ვერ გაუძლო და ქვეყნიდან გაიქცა. მუჰამედი ვარდაიცვალა კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე.

31 ბრეკყალებში ჩასმულ, ჩინურ ენაზე გადმოცემულ ეთნიკურ, საკუთარ და ტოპონიმთა სახელების განმარტებანი ეკუთვნის მ. ბრეტშნაიდერს.

32 მ. ბრეტშნაიდერი აღნიშნავს, რომ „ჰეილინი" ჩინურად „შავ ტყეს" ნიშნავს, მაგრამ შესაძლოა, აქ უცხო ქალაქის სახელის ეღერადობაა გადმოცემული ამ ორი იეროგლიფით.

33 მ. ბრეტშნაიდერი, დასახელებული წიგნი, გვ. 298-299.

34 იქვე, გვ. 298, შენიშვნა 728.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბილა გელაძე

ალბერ კამიუს „კალიგულა“

პარიზი... 1945 წელი... ებერტოს თეატრი... სცენაზე — ალბერ კამიუს პიესა „კალიგულა“: კალიგულა — ჟერარ ფილიპი, დამდგმელი — პოლ ეთლი... სენსაცია... ეს ის პერიოდია, როცა ომისგან მორალურად განადგურებული პარიზელი მაყურებელი სულიერ საზრდოს თეატრში უფრო ეძებს. ხოლო, ალბერ კამიუ სწორედ ის დრამატურგია, რომელიც „ჰირის“ შედეგად დაძაბუნებულ ხალხს ხელს უწვდის წელში გასამართავად.

ალბერ კამიუს მოსვლა დრამატურგიაში შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დააარსა თანამოაზრეთა თეატრალური დასები: „თეატრ დიუ ტრავაი“, „ტეატრ დე ლეკიპ“, სადაც ალბერ კამიუ მსახიობობდა, რეჟისორობდა და ამ დასებისთვის პიესებსაც წერდა. დამწყები დრამატურგი თავის პირველ ნაწარმოებს — „ასტურიის აჯანყება“ ოვილეოს მეშახტეთა ამბოხებას უძღვნის. იგი ახორციელებს ესქილეს „პრომეთეოსისა“ და ჟიდის „ძღები შვილის დაბრუნების“ ინსცენირებებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამავე პერიოდში კამიუ ფ. დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებსაც“ უძღვნის სცენურ ვარიანტს და თავად ანსახიერებს ივან კარამაზოვს. თანამედროვეთა ცნობით, მას ძალიან ჰყვარებია ეს პერსონაჟი, რაც აგრეთვე არ არის შემთხვევითი. ამ დროისათვის მას უკვე მზადა აქვს „კალიგულას“ პირველი ვერსია და რეპეტიციების დაწყებასაც აპირებს, მაგრამ...

რომის იმპერატორის, გაიუს ცეზარ ავგუსტუს გერმანიკუს კალიგულას წინააღმდეგობებით აღსავსე პერსონაჟმა კამიუმდეც დაინტერესა ზოგიერთი მწერალი: რომენ როლანის „დაღუპვის ტრილოგიის“ მეორე პიესა „კალიგულაა“, ანრი დე მონტერლანის ესეი — „სურვილის წყაროსთან“ — აგრეთვე რომის ბობოქარ და მძვინვარე იმპერატორის შესახებაა დაწერილი; და ბოლოს, კამიუს საყვარელმა მასწავლებელმა, ფილოსოფოსმა ჟან გრენიემაც ვერ გაუძლო კალიგულას რთული პიროვნების ცდუნებას და მას „აღდგომის კუნძულები“ მიუძღვნა. სწორედ ჟან გრენიეს წყალობით გაეცნო ახალგაზრდა სტუდენტი კამიუ სვეტონიუსის კალიგულას, რომელიც საყვარელმა მასწავლებელმა რომანტიკულ პიროვნებად დაანახვა. როგორც ჩანს, ისტორიაში „ნახევრად გიჟად“ ცნობილი რომის იმპერატორის სახე კამიუს ცნობისმოყვარეობაში უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე დამკვიდრდა. „კალიგულას“ პირველი ვარიანტი მან 1939 წელს დაწერა, რომელიც შემდეგ ორჯერ გადააკეთა. საბოლოო ვარიანტში რელიეფურად გამოიკვეთა უდაოდ ძლიერი პიროვნების დრამატურგიული პორტრეტი, კამიუს ფილოსოფიური მრწამსით ნასაზრდოები.

ა. კამიუს „კალიგულა“ თანამედროვე ეპოქითაა შთაგონებული. კალიგულას ისედაც მრავალპლანოვან პიროვნებას კამიუსეული კონტაციაც მიემატა, რომელიც ფრიად აქტუალური აღმოჩნდა XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებისათვის და თავის მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს. როგორც უკვე ითქვა, ზემოხსენებულ პიესაში, კამიუმ ხორცი შეასხა თავის ფილოსოფიურ ნააზრევს, რომელიც დიდად განაპირობა თავად მწერლის ბიოგრაფიამ და იმდროინდელმა ვითარებამ.

ალბერ კამიუ დაიბადა და გაიზარდა ალჟირში. გაჭირვება მის ოჯახს განუყრელად თან სდევდა. ისიც და სხვა ევროპელებიც გარკვეულად „უცხონი“ იყვნენ ალჟირის მუსულმანი მოსახლეობისათვის და თავისებურად ჰერმეტულ ატმოსფეროში ცხოვრობდნენ. გასაგებია, რომ ვერც თავისი სოციალური მდგომარეობა და ვერც თანდაყოლილი „უცხოობა“ მას სულიერ ბედნიერებას ვერ მოუტანდა. ამიტომაც

მთელი არსებით ბედნიერების მაძიებელი ახალგაზრდა ალეირის ზღვასა და მზეს ეწაფებოდა, რაც შემდგომ ლამაზ აქსესუარად, ზოგჯერ კი, აუცილებელ მოტივად წარმოჩნდა მის ნაწარმოებებში. ზღვისკენ მიტრიალებული, „მზისმიერი“ პიროვნება იყო კამიუ, რომლის მწერლური სათქმელი სწორედ გაუცხოების პრობლემებიდან ამოიზარდა და ადამიანის ყოფის აბსურდულობას შეეხო. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ადამიანის მდგომარეობის აბსურდულობაზე დაფიქრება მაშინდელმა ეპოქამაც განაპირობა. იმდროინდელ ევროპაში ჰაერი ნიცშეანური იდეებით იყო გაჟღენთილი: „ღმერთი მოკვდა“, დროა „ფასეულობათა გადაფასებისა“... ცხადია, ამ მოსაზრებებს, შოპენჰაუერის, კირკეგორის, ჰუსერლისა და შესტოვის მოძღვრებებთან ერთად უკვალოდ არ ჩაუვლია ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტ კამიუსათვის. მან მთელი თავისი შემოქმედება რწმენადაკარგული, აბსურდულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ადამიანის ზნეობრივ და სულიერ ღირებულებათა გამოღვიძებას მიუძღვნა.

შექმნილმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის აღზევებას საფრანგეთში, რაშიც, ზოგიერთი საბჭოთა ლიტერატურისმცოდნის აზრით, (ს. ველიკოვსკი, ე. კუშკინი), თავისი წვლილი აქვს კამიუსაც, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავად კამიუ ეგზისტენციალისტებს კატეგორიულად ემიჯნებოდა.

როგორც, ვთქვით, გაუცხოების ნიშნით აღბეჭდილი ბიოგრაფიის წყალობით, ა. კამიუს ბავშვობიდანვე ჰქონდა გამძაფრებული ბედნიერების ძიების ინსტინქტი. მისი დაუცხრომელი სწრაფვა ბედნიერებისაკენ თავისებურად განსხვეულდა კალიგულას პერსონაჟის მისეულ ინტერპრეტაციაში.

მივყვეთ ალბერ კამიუსეულ „კალიგულას“:

„მოქმედება ხდება კალიგულას სასახლეში. პირველ და მომდევნო მოქმედებათა შორის სამი წლის ინტერვალია“.

პირველი მოქმედების პირველ სცენაში კალიგულას სასახლიდან გაქრობით შეშფოთებული პატრიციუსები ბჭობენ, ცდილობენ მიხვდნენ ცეზარის გადაკარგვის მიზეზს. ისინი ერთობ ბანალურად ხსნიან იმპერატორის სასახლიდან გაქცევას, მათ ჰგონიათ, რომ კალიგულა შესძრა საყვარელი ქალის, დრუზილას, გარდაცვალებამ. ერთერთი მათგანი ამბობს — „მე მირჩევნია სიყვარულს დაბრალდეს კალიგულას ასეთი გადასხვაფერება. ხალხსაც უფრო აუჩუყდება გული“ (I მოქმ. სცენა I). ზოგი უფრო ბრიყვული არგუმენტით ხსნის კალიგულას საქციელს: „კალიგულას ძალიან უყვარდა ლიტერატურა... ეს ხომ დაუშვებელია მისი წოდებისათვის. ვის გაუგია ხელოვანი იმპერატორი?“ (I მოქმ. სცენა II). პატრიციუსები ადვილად პოულობენ გამოსავალს იმ შემოხვევისათვის, თუ კალიგულა აღარ დაბრუნდება: „მოვიცადოთ. არ დაბრუნდება და სხვა დავაყენოთ მის ადგილზე. ჩვენში იმპერატორებს რა გამოლევს“ (მოქმ. I, სცენა II).

სამი დღის შემდეგ ბრუნდება სასახლეში იმპერატორი, ტალახში ამოსვრილი და განადგურებული. იგი გაუმხელს ერთგულ მსახურს, ჰელიკონს, რომ სამი დღე მთვარის ძებნას მოანდომა. მთვარე! — შეუძლებლის სიმბოლო იქნება მთელი პიესის მანძილზე! მზისა და ზღვის რანგში აყვანილი კამიუსეული მთვარე, რომელიც სვეტონიუსის ცნობით, თურმე მართლა უყვარდა კალიგულას. ხოლო კამიუს მიხედვით, ახალგაზრდა იმპერატორის მთვარისადმი ლტოლვა მარტო სიყვარულით არ არის გამოწვეული! მისი მოპოვება კალიგულას ამბოხის უცილობელი მოტივია!

მთვარის მოპოვების სურვილი კალიგულას სიკვდილთან შეხვედრის მერე გაუჩნდა. „...უცებ შეუძლებლის სურვილი გამიჩნდა... ეს სამყარო ჩვეული სახით, ჩემთვის აუტანელია. ამიტომაც მჭირდება მთვარე, ბედნიერება, ან თუნდაც უკვდავება, ანდა შეიძლება რალაც გიჟური, მაგრამ არაამქვეყნიური“, — გაუმხელს კალიგულა ჰელიკონს. (მოქმ. I, სცენა IV). კალიგულა გადასხვაფერდა. დრუზილას სიკვდილმა იგი ადამიანის ყოფაზე დააფიქრა და აღმოაჩინა, რომ „ადამიანი კვდება, მაგრამ ბედნიერი არ არის“. (მოქმ. I, სც. III).

კალიგულა თავადაც აცნობიერებს თავის გადასხვაფერებას და ცდილობს ცეზონიას აუხსნას ამის მიზეზი. — „მე ვგრძნობ, როგორ ირევიან ჩემში უსახელო არსებები. რა ვუყო ამ არსებებს?... ვიცოდი, რომ არსებობდა სასოწარკვეთა, მაგრამ არ მესმოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. მეც სხვებივით ვფიქრობ, რომ ეს სულის ტკივილი იყო. მაგრამ, არა, შევცდი, თურმე სხეულის ტკივილი ყოფილა. ყველაფერი მტკივა: კანი, ხელები, ფეხები, გულ-მკერდი. თავი დამიცარიელდა, გული მერევა. პირში საზიზღარი გემო მაქვს. მარტო სისხლისღვრა, სიკვდილი, ან ციებ-ცხელება კი არა, ყველაფერი ეს, ერთად ახლავს ჩემს სასოწარკვეთას. როგორც კი ხმის ამოღებას დავაპირებ, მაშინვე ყველაფერი შავბნელი ხდება და ადამიანები მზიზღდება: რა მძიმეა და რა ძნელი კაცად გახდომა“. (მოქმ. I, სცენა IX).

სულით-ხორცამდე შეძრული კალიგულა მიზნად ისახავს უსაზღვროდ გამოიყენოს თავისი ძალაუფლება: „რას მიშველის ძლიერი ხელი, ან ეს საკვირველი ძალაუფლება, თუ საგანთა რიგს ვერ შევცვლი, თუ ვერ შევძლებ, რომ მზე აღმოსავლეთით ჩავიყვანო...“ (მოქ. I, სცენა IX). როცა მას ცეზონია შეეკამათება და ეტყვის, რომ ასეთი მიზნის დასახვა ღმერთთან გატოლებას გულისხმობს, აღშფოთებული კა-

ლიგულა ასე უპასუხებს: „მერედა რა არის ღმერთი, რომ არ მოვინდომო მასთან გატოლება? ის, რაც მე დღეს მსურს მთელი ჩემი არსებით, ღმერთებსაც აღემატება. მე მძიმე ტვირთად ვიკიდებ ისეთ სამეფოს, სადაც იმეფებს შეუძლებელი... და როცა ყველაფერი გასწორდება და შეუძლებელი დამკვიდრდება დედამიწაზე, ალბათ მეც შევიცვლები და ჩემთან ერთად სამყაროც. მაშინ აღარ მოკვდება ადამიანი, მაშინ ყველა იქნება ბედნიერი“. — საბოლოო მიზანი ცეზარისა კეთილშობილურია, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, როგორ სადისტურ და სულმდაბლურ მეთოდებს გამოიყენებს თავისი იდეის ტყვე კალიგულა პროგრამის განსახორციელებლად. იგი გადაწყვეტს, ყველას თვალი აუხვიოს და სიმართლე დაანახოს. ის მთელი არსებით მოინდომებს არსებული ჩვეულების აღმოფხვრას, რადგან აღარაფერი აკმაყოფილებს. იგი მეამბოხედ იქცევა. მართლდება ჰელიკონის წინასწარმეტყველური სიტყვები: „თუ კაიუსმა აზრზე მოსვლა დაიწყო, მისი გულის ამბავი რომ ვიცი, ალბათ, ყველას და ყველაფერს მიაწვდენს ხელს. ეს კი რა ფასად დაგვიჯდება, მარტო ღმერთმა შეიძლება იცოდეს“. (მოქმ. I, სცენა IV). კალიგულას ამბოხი პიკს აღწევს, რის შედეგადაც დაიღვრება სისხლი, დაისჯება მტკიცანიც და მართალიც, თვითონ კალიგულაც. მეტამორფოზამდე კი, კალიგულა, სციპიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, თურმე სულ სხვანაირი იყო. მას მიაჩნდა, რომ „ცხოვრება რთულია, მაგრამ მასთან გამკლავება შეიძლება რელიგიით, ხელოვნების დახმარებით და სიყვარულის წყალობით... რომ სხვისი ტანჯვით, მხოლოდ თავს იტყუებს ადამიანი...“ (I მოქმ. სცენა VI).

ასეთი შეხედულებები ჰქონდა კამიუს კალიგულას გარდატეხამდე. „შეცვლილი“ კი, გადაწყვეტს ყველას და ყველაფერს მიხედოს. იგი იწყებს მლიქვნელი პატრიციუსებით, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ გარანტირებული ჰქონდეთ სიცოცხლე! საცოდავი, პროზაული სიცოცხლე! მათ უღიმღამო არსებობას სიცრუე და სულიერი მონობა ახლავს თან. ერთ პატრიციუსს კალიგულა ეტყვის: „მე თქვენ მეზიზღებით, იმიტომ, რომ მონური სული გამოძრავებთ... როგორც იქნა გეღირსათ იმპერატორი, რომელიც თავისუფლებას შეგასწავლით...“ (მოქმ. I, სცენა X).

II მოქმედებაში კამიუ პატრიციუსებს კალიგულას წინააღმდეგ განაწყობს, რაც ლოგიკური გაგრძელებაა მაქსიმალისტი იმპერატორის ავი ქმედებისა. კალიგულას ზურგს უკან, განაწყენებული პატრიციუსები დიდ გულზე არიან და გადაწყვეტენ, შეთქმულება მოაწყონ. ისინი არ იშურებენ სალანძღავ ეპითეტებს ტირანი იმპერატორის „შესამკობად“. „ლაჩარი“, „უტიფარი“, „პამპულა“, „დამპალი“, — ისმის აღშფოთებულ დიდგვაროვანთაგან. მათ შორის მხოლოდ ხერეა, რომელიც შედარებით ლოგიკურად ასაბუთებს თავის უკმაყოფილებას: მისებურ ცხოვრებას კალიგულას გამგებლობის ქვეშ აზრი ეკარგება. ის აპირებს შეთქმულთა წინამძღოლობას. მაგრამ, კალიგულას გამოჩენისთანავე ლაჩარი პატრიციუსები უმალ ფარხმალს ყრიან. ერთერთი მათგანი იქამდეც კი მიდის, რომ როცა კალიგულა ეკითხება „ცუდ გუნებაზე იმიტომ ხომ არ ხარ, რომ შენი შვილი მოვაკვლევინე“, პასუხობს—„არა, კაიუს, პირიქით“-ო. მათ ფარისევლობას არა აქვს საზღვარი: კალიგულას საყვარელს, ცეზონიას, ეუბნებიან: „კალიგულა დიდ საქმეს გააკეთებს, თუ ყველა თავის იდეას წიგნად მოუყრის თავსო“.

პიესის ქარგას კალიგულას თავაშვებული საქციელი ქმნის, რომლის ფონზეც ორგანულადაა გაშლილი აბსურდის იდეით შეპყრობილი და შეწუხებული მწერლის ნააზრევი. კამიუ სციპიონთან დიალოგში კალიგულას ათქმევინებს „...არ გცოდნია, რომ სიმარტოვე არ არსებობს! არ გცოდნია, რომ ადამიანს ყოველთვის თან ახლავს წარსულისა და მომავლის სიმძიმე!... ჩემი სიმარტოვე სავსეა კბილების ღრჭიალით, გამაყრუებელი ხმაურით...“ (მოქმ. II, სცენა XIV).

„კალიგულა“ დრამაა, თანაც ძლიერ დამუხტული, თუმც მას არ აკლია შემამსუბუქებელი კომიკური ელემენტები. იუმორითაა აღსავსე III მოქმედების პირველი სცენა, რომელშიც კალიგულა ქალღმერთ ვენერას განახორციელებს. მონებადქცეული პატრიციუსები იჩოქებენ კალიგულა-ვენერას წინაშე, თაყვანს სცემენ მას და ფულსაც უხდიან „შესაწირავის“ სახით. მათი შემყურე კალიგულა, ცინიკურად დასძენს: „...ღმერთებს მოკვდავთა სიყვარულის გარდა სხვა სიმდიდრეც რომ არ ჰქონდეთ, ხომ ისეთივე ღარიბები იქნებოდნენ, როგორც საწყალი კალიგულა...“. ამ სცენის მიღმა ნათლად იკითხება მწერლის პოზიცია, „ღმერთი მოკვდა“, რწმენა აღარ არსებობს. რას მოეჭიდოს უმწეო ადამიანი?

„მე დავუმტკიცე ამ შეთხზულ ღმერთებს, რომ თუ ადამიანი მოინდომებს, უწვალებლად შეძლებს მათი სასაცილო ხელობის დაუფლებას“, — აცხადებს ურწმუნო კალიგულა. მერე კი, ხუმრობით, იქვე განმარტავს — „ხალხის შეცდომა ის არის, რომ არ სჯერა თეატრის. ეს რომ არა, ხალხს ეცოდინებოდა, რომ ადამიანს უფლება აქვს ზეციური ტრაგედიები ითამაშოს და ღმერთადაც იქცეს“. (მოქმ. III, სცენა II).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი პიესის მანძილზე პატრიციუსები ჰგვანან ცოცხალ, გროტესკულ ნიღბებს, რომელთაც კალიგულა თითქოს უხილავი ძაფებით ამოძრავებს.

არანაკლებ კომიკურია პოეტთა გაჯიბრების სცენა IV მოქმედებაში. უნიჭო პოეტებს კალიგულა ფირფიტებს აალოკინებს მათივე მოჩმახულ ლექსებიანად. მაგრამ კომიკური საბურველის მიღმა სიკვდილის ტრაგიკული იდეა იმალება. პოეტები ერთმანეთს უნდა გაჯიბრებოდნენ სიკვდილის თემაზე შექმნილი ლექსებით! ვერცერთი პოეტი ვერ მოერია ამ თემას. ხოლო როცა კალიგულას ჰკითხეს, რატომ არ მიიღო შეჯიბრში მონაწილეობა, მან განაცხადა: „აზრი არა აქვს. მე უკვე კარგა ხანია შევთხზე ჩემი ლექსი ამ თემაზე... ყოველდღე ჩემებურად გიკითხავთ ლექსს სიკვდილზე".

„სიკვდილზე თავისი ლექსის კითხვით" გართული კალიგულა ნებით იახლოვებს საკუთარ აღსასრულს. მას არაერთხელ აფრთხილებენ შეთქმულების შესახებ, მაგრამ არანაირად არ აღუდგება წინ მოახლოებულ სიკვდილს; ამ დროს ის უკვე უფიქრდება განვლილ, სიხსნლიან გზას, მაგრამ ხვდება, რომ უკან ველარ დაიხევს და მთვარეც კი ველარ შეაცვლევინებს „ახლებური" ცხოვრების წესს: „...ლოგიკა მოინდომე, იდიოტო? ნეტავ სადამდე მიხვალ (ირონიით). მთვარე რომ მოეტანათ, შენთვის ყველაფერი შეიცვლებოდა, არა?... თანდათან ამალა შემომცირდა, საინტერესოა (ყრუ ხმით მიმართავს სარკეს). რაღაც, მეტისმეტად ბევრი ცხედარია ირგვლივ, მეტისმეტად ბევრი, სიცოცხლე მატულობს. მთვარეც რომ მოეტანათ ჩემთვის, უკან მაინც ვერ დავიხევდი. მზის ალერსმა დახოცილები რომც გააცოცხლოს, მკვლელობა მაინც ვერ დაიმალება მიწაში (გაბრაზებული). ლოგიკას მიჰყევი კალიგულა, ლოგიკას. ბოლომდე გეპყრას ძალაუფლება, ბოლომდე ეძლიე თავდავიწყებას! უკან ნუ მობრუნდები, საჭიროა დასასრულამდე მისვლა". (მოქმ. III, სცენა V). აქ, გვახსენდება ა. კამიუს ნათქვამი „კალიგულაზე", რომელიც „თვითმკვლელობად" ჰქონია ჩაფიქრებული მწერალს. შეთქმულთა წინამძღოლს, ხერეას, კალიგულა პირდაპირ ეტყვის, რომ მან იცის, რას უმზადებენ, მაგრამ ხელს არ ახლებს, თითქოს კმაყოფილიც კია, რომ უნდა მოჰკლან. მაგრამ აღსასრულის მოახლოებასთან ერთად, კალიგულას ნერვიულობა ეტყობა, იგი ხვდება, რომ მთელი მისი „მოღვაწეობა" ფუჭი აღმოჩნდა, აბსურდულ არსებობას ვერაფერი მოუხერხა. "...თუ ადამიანი გიყვარს, მასთან ერთად დაბერება უნდა გინდოდეს. მე ამგვარი სიყვარული არ შემიძლია. ჩემთვის ბებერი დრუნჩილა უფრო საზარელი სანახავი იქნებოდა, ვიდრე მკვდარი დრუნჩილა... კაცის ნამდვილი სატანჯველი ისა ყოფილა, რომ თურმე არც დარდი მარადიული. ტკივილსაც კი არა ჰქონია აზრი..."

კალიგულას ტკივილი მხოლოდ სამი პერსონაჟისთვისაა გასაგები. ახალგაზრდა სციპიონი, მას შემდეგ რაც კალიგულამ მამამისი მოაკვლევინა, თავად ეზიარა წუთისოფლის აბსურდულობას და მტრად კი არ ექცა ცეზარს, პირიქით, მისი ტკივილი გაითავისა. კალიგულას საყვარელი, ხნიერი ცეზონია, ბოლომდე ბრმად ემორჩილებოდა საყვარელს, ხოლო ჰელიკონი, ერთგული მსახური გაიუხისა, ხვდება კალიგულას განცდას და თავისებურად ეხმარება მთვარის მოპოვებაში! სამი ადამიანის თანადგომა ვერ შველის მეამბოხე პრინცს, მის წინააღმდეგ მთელი რომია! კალიგულა მარცხდება: იგი ვერ მისწვდა იდეალს, ვერ მოიპოვა მთვარე, რადგან მის მიერ არჩეულმა გზამ გვამებით მოჰფინა რომი. გაიულიტა ხალხი, უარესად აიწეწა ქვეყანა. კალიგულა თავადვე დარწმუნდა თავის შეცდომაში და ამიტომაც აღარ შეუშალა ხელი შეთქმულებას.

IV მოქმედების ფინალურ, XIV სცენაში, სარკესთან მონოლოგში იგი აღიარებს თავის დანაშაულს: „შენც დამნაშავე ხარ, კალიგულა. რა მნიშვნელობა აქვს, ცოტად თუ ბევრად!... შეუძლებელი! სად აღარ ვეძებე, საკუთარ თავსაც კი გადავაჭარბე ძებნაში... სწორი გზით არ მივდივარ, ჩემს გზას არა აქვს ბოლო! ჩემი თავისუფლებაც არაფრის მაქნისია...". ამ დროს მას თავს ესხმიან პატრიციუსები, რომლებიც სიცოცხლეს გამოასალმებენ. კალიგულას განწმენდა სწორედ ამ გზით ხდება.

პიესაში იდეალისტ კალიგულას კამიუ უპირისპირებს მეტისმეტად მიწიერ ხერეას, რომლის მთავარი მიზანია ყველას დაცვა და რომლისთვისაც მიუღებელია ისეთ პირობებში ცხოვრება, სადაც „უცნაურზე უცნაური აზრი წამში სინამდვილედ იქცევა". იგი პირდაპირ ეუბნება კალიგულას — „შემაწუხებელი ხარ და უნდა გაქრეო". აი, როგორი ცხოვრება აინტერესებს მისი ყაიდის კაცს: „მინდა ვიცხოვრო და ბედნიერი ვიყო... იმისთვის, რომ თავისუფლად ვიგრძნო თავი, ზოგჯერ სწორედ იმათ სიკვდილს ვნატრობ, ვინც მიყვარს, ისეთი ქალების მიმართ აღმეძრება ხოლმე სურვილი, რაც ოჯახისა და მეგობრების მხრივ მეკრძალება..." ერთობ მარტივია ხერეა კალიგულას გვერდით! ს. ველიკოვსკის თქმით, ხერეას ლაპარაკი „ბავშვის ლუღლუღს ჰგავს". მაგრამ სწორედ ხერეა და მისთანანი მოუსწრაფებენ კალიგულას სიცოცხლეს! ეს გარეგნულად, სინამდვილეში ხომ ეს კაიუსის მიერ ხელშეწყობილი საკუთარი თვითმკვლელობა გახლავთ! კალიგულამ ხომ თავად უთხრა ხერეას, „მიდი შენი საქმე ბოლომდე მიიყვანეო". კალიგულა მიდის ცხოვრებიდან და სამართლიანადაც... მაგრამ ვის რჩება ასპარეზი მის შემდეგ? ხერეას და მის მსგავს ნაცრისფერ ხალხს... ასეთი

ხალხი ვერ იხსნის ადამიანს აბსურდისაგან. ხსნა არც თვითმკვლელობაშია. მაშ, რანაირად უნდა შეებრძოლოს აბსურდულობას? კამიუს გამოკვეთილ პასუხს ამ კითხვაზე მისი შემოქმედების მეორე პერიოდის ნაწარმოებებიდან ვგებულობთ, რომელთა შორის წამყვანი ადგილი „მეამბოხეს“ და „ჰირს“ ეკუთვნის. პასუხი ერთია, ადამიანმა საკუთარი თავი მხოლოდ ინტენსიური და ნაყოფიერი მოღვაწეობით უნდა უკვდავყოს, რამეთუ არ არსებობს სხვანაირი მარადისობა, რისი მოთხოვნილებაც ადამიანს დაბადებიდანვე გააჩნია. „კალიგულა“ თავიდან ბოლომდე ამ კითხვას შეიცავს: რანაირად უნდა გასცდეს ადამიანი საკუთარ აბსურდულობას? მართალია, პასუხს ამ რთულ კითხვაზე აქ ვერ ვნახულობთ, მაგრამ პიესას მაინც დიდი ფუნქცია აქვს. დაკისრებული: კამიუ-მორალისტი აფხიზლებს მკითხველს და მძაფრად შეაგნებინებს თავის ადამიანურ მოვალეობას, რომ არასოდეს მიიძინოს მასში ზნეობრივმა ღირებულებებმა.

„კალიგულაში“, ისევე როგორც სხვა ნაწარმოებებში, ალბერ კამიუმ შეუნიღბავად წარმოაჩინა თავისი ფილოსოფიური მრწამსი. დასკვნა ერთია, ადამიანი არ უნდა შეეგუოს თავის აბსურდულ ყოფას, იგი უნდა აჯანყდეს მის წინააღმდეგ. ადამიანი მეამბოხე უნდა იყოს, არ უნდა ეგუებოდეს არტახებს. კალიგულა, მართალია, ბედს არ შეეგუა, მაგრამ მისთვის მიუღებელი ცხოვრების შესაცვლელად არჩეული გზა არასწორი აღმოჩნდა. ვის აუჯანყდა კალიგულა? არამარტო პატრიციუსებს, არამედ ბუნებასაც, მზეს, რომელიც აღმოსავლეთიდან ამოდის, ყველაფერს, რაც ცხოვრების წესად ქცეულა და დამკვიდრებულა. პიროვნების ამბოხს სისხლი არ უნდა მოჰყვეს, გვაფრთხილებს თავის შემდგომ ნაწარმოებებში კამიუ-მორალისტი, რაგინდა კეთილშობილური უნდა იყოს მისი ამბოხების მოტივი. პიროვნება აუცილებლად მარცხდება, თუ ადამიანს უარყოფს. ამიტომაც კალიგულას მცდელობა „ფასეულობათა გადაფასებისა“ კრახით დამთავრდა. ბუნება ის ზღვარი აღმოჩნდა, რომლის გადალახვაც მან ვერ შეძლო.

ორმოცდაათიანი წლების მაყურებელმა ჟერარ ფილიპის მიერ განხორციელებული კალიგულა ჰიტლერის პროტოტიპად მიიღო, ალბათ იმიტომ, რომ ხალხის ცნობიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ჰიტლერის ჯოჯოხეთური პიროვნება. ფილოსოფოს ზ. კაკაბაძის თქმისა არ იყოს, კალიგულა არ შეიძლება ჰიტლერის მსგავს პერსონაჟად ჩაითვალოს, რადგან ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, კალიგულას ამბოხი კეთილშობილური მიზნით იყო ნასაზრდოები, ის შეაწუხა ადამიანის ყოფის აბსურდულობამ.

ალბერ კამიუს „კალიგულა“ არა მარტო ფილოსოფიური სიღრმით, არამედ დრამატული დახვეწილობითაც გამოირჩევა. აზრი არ ამძიმებს მოქმედებას, მოქმედებები დიალოგების სახით კონცენტრირებულია მთავარი პერსონაჟის — კალიგულას ირგვლივ.

ალბერ კამიუ ამ ქვეყნიდან 46 წლისა წავიდა. აბსურდული იყო მისი სიკვდილი. მაგრამ აბსურდი ვერ შეეხო მის ნამოღვაწარს. „კალიგულა“ ერთ-ერთი ის ნაწარმოებია, რომელმაც კამიუს მარადისობაში მიუჩინა ადგილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეხსიერების საგანძური

გარდასული დღეები ყოველ ჩვენთაგანში ტოვებს თავის ნიშანს. ზოგჯერ ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტმა შესაძლოა სამუდამო კვალი აღბეჭდოს და გაგუვეს კიდეც ცხოვრების მანძილზე. აქ მთავარია განცდის რომელ სიმებს შეეხო იგი ან ემოციური დამოკიდებულების რა სფერო მოიცვა.

ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ზოგი ყველაფერს განიცდის, ზოგი კი არაფერს. რასაკვირველია, ასეთ დროს მაინც გადამწყვეტია პიროვნული აქტივობა, ხოლო ცხოვრებისეულ მოვლენებთან საკუთარი დამოკიდებულების ფიქსირება ყოველთვის აღძრავს განსაკუთრებულ ინტერესს.

თხრობის კულტურა, ფაქტების განლაგებისას კომპოზიციის შინაგანი გრძნობა იშვიათი ნიჭია. მწერლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, იგი ასევე აუცილებელია სულიერი მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში. როგორც სასიამოვნო ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ პირველ რიგში სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევა მოგონებათა კრებული, რომლის ავტორია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ბიოლოგი, აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მკითხველი, ჩემის აზრით, სიამოვნებით ეცნობოდა ალბათ სერგი დურმიშიძის ასეთი ხასიათის წერილებსა და ნარკვევებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ მათი დიდი ნაწილი იბეჭდებოდა სალიტერატურო პრესაში, კერძოდ კი, ჟურნალ „მნათობში". თვით ამ ნარკვევების აშკარად გამოხატული „მხატვრული თხრობის" ელემენტი, როგორც ჩანს, განსაზღვრავდა ამგვარი არჩევანის მართებულობას. ერთ წიგნად ასხმული ცალკეული მოგონებები და ასეთივე ტიპის ნარკვევები კი უფრო მეტად განამტკიცებს ზემოთაღნიშნულ შთაბეჭდილებას.

წიგნის ავტორი, როგორც ითქვა, თავისი პროფესიით ბიოლოგია, ჩვენში ბიოქიმიური მეცნიერების ერთი მეთაურთაგანი. ცნობილია მისი პრაქტიკული ღვაწლიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. მის ბიოგრაფიას ამშვენებს ნახევარსაუკუნოვანი აქტიური მოღვაწეობა.

მოვლენები, ადამიანები, მრავალზე მრავალი შთაბეჭდილება სხვადასხვა შრეებად ლაგდება და ეძიებს ლოგიკურ დასასრულს, კანონზომიერებათა რაღაც შინაგან ჯაჭვს. დღევანდელი თვალთახედვით წარსულში წამიერი გადასახლება მაძიებელი გონებისათვის ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც წარსულში მოგზაურობით აღძრული გრძნობების სხვათათვის გაზიარების სურვილი.

მაგრამ სერგი დურმიშიძის წიგნი, ამის თქმა კი ამთავითვე მიმაჩნია საჭიროდ, შორს სცილდება მისივე ავტორის პროფესიულ მიზნებს. მას სიამოვნებით წაიკითხავს ყველა, ვისაც აინტერესებს ჩვენი მეცნიერების, ჩვენი კულტურის ახლო წარსული, ის ადამიანები, რომლებმაც აღბეჭდეს თავისი კვალი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცხადი ხდება ისიც, რომ მოგონებათა ავტორს არ უცხოვრია რომელიმე ერთი განზომილებით, რომელიმე ერთი სექტორიდან არ უპვრეტდა იგი ცხოვრების ასპარეზს, მაგალითად, მოგონებათა მიღმა თვალნათლივ ჩანს, თუ როგორი ლტოლვა და მეგობრობა აკავშირებდა წიგნის ავტორს ჩვენი მწერლობისა და საერთოდ სულიერი კულტურის მარადსახსოვარ ადამიანებთან. ან როგორი დაკვირვებით ადევნებდა იგი თვალს ქართული კულტურის ყოველ ახალ მნიშვნელოვან ნაბიჯს.

წიგნი, მართლაც, მრავალფეროვანია როგორც აღნაგობით, ისე შინაარსით. მოგონებების ფორმით შესრულებულ ნარკვევებს აქ ესეისტური ჩანახატები ენაცვლება. ცალკეულ პორტრეტებთან ერთად წიგნში მოთავსებულია მოგზაურობათაგან მიღებული შთაბეჭდილებები, ხოლო ზოგ ნარკვევში პრობლემური ხასიათის საკითხებია გაშუქებული.

ყველა მათგანს აერთიანებს ავტორის თვალსაზრისი: სწრაფვა გარდასულ მოვლენათა ობიექტური შეფასებისა. წიგნის ფურცლებზე თანდათან იკვეთება პიროვნება, რომელსაც ცხოვრების დიდი გზა აქვს გავლილი, მრავლის მომსწრეა და, როგორც ჩანს, ბევრიც უფიქრია მის ავ-კარგზე. მეხსიერების საგანძური კი, ვინ იცის, რამდენ რამეს ინახავს ხელშეუხებლად...

ისიც სათქმელია, რომ წიგნის ავტორი აშკარად ემიჯნება ე. წ. „ტკბილ მოგონებათა" სტილს, როცა წარსულის გახსენება ოდენ სევდის მომგვრელ სიმებზეა აწყობილი. გარდა-

---

„ზოგი რამ წარსულიდან", გამომცემლობა „მეცნიერება", 1985 წ.).

სულ მოვლენათა ანალიზისა და შეფასების გარეშე სრულიად უსაგნოა მეხსიერებაზე ყოველგვარი ძალდატანება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეხმაურება იგი აქტიურად ჩვენს დღევანდელობას, აღძრავს ფიქრებს ხვალინდელი დღის მართებულ არჩევანზე.

ნარკვევების დიდი უმრავლესობა ავლენს მათი ავტორის მიდრეკილებას განსჯისადმი და არც ჩვენი წარსულის შუქ-ჩრდილების დაფარვას ერიდება. წიგნი დიდძალ ინფორმაციას აწვდის მკითხველს ქართული მეცნიერების გზაზე პირველი ნაბიჯებიდან უკანასკნელ წლებამდე. როგორც ცნობილია, იგი ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი, ხოლო ჭეშმარიტება ბრძოლითა და მეცნიერული ლოგიკით ეძიებდა ოპტიმალურ გზებს.

წლები დასჭირდა, მაგალითად, ბიოლოგიურ მეცნიერებაში ცალკეულ პირთა უზურპაციის შედეგად გამოწვეულ შეცდომათა აღმოფხვრას. მოთხრობილია აგრეთვე რამდენიმე ეპიზოდი, როცა მეცნიერებას მიტმასნილი პირები როგორი ხერხებით ცდილობდნენ, გზიდან ჩამოეშორებინათ მეცნიერებისათვის თავდადებული ადამიანები. სწორ შეფასებასთან ერთად, აღნიშნულ მოვლენებთან ავტორის ემოციური დამოკიდებულება დიდ დამაჯერებლობას მატებს მონათხრობს, ზუსტად მიგვანიშნებს წარსულის გაკვეთილებზე.

ასეთი ხარისხის დატვირთვითაა წარმოჩენილი ახალი ქართული მეცნიერების კორიფეები ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, სხვები და სხვები, ვისაც კი ახლო იცნობდა ავტორი, რომელიც თავად იყო და არის ქართული აკადემიის, ახალი ქართული მეცნიერების ორგანიზაციული მშენებლობის აქტიური მონაწილე.

ნარკვევების მეტი წილი მხატვრული დოკუმენტური პროზის ყველა ძირითად ნიშანს შეიცავს, ფაქტიურად ეს არის ოსტატურად შესრულებული მოთხრობები, ჩვენს ახლო წარსულზე. წიგნის კითხვისას გვხიბლავს ავტორის დაკვირვებული ხედვა, ზუსტი დეტალით მთავარი სათქმელის მინიშნება, რაც მოსალოდნელი სქემატურობისაგან იცავს მონათხრობს. ხაზგასმულია ხასიათის ძირითადი შტრიხები, გაცოცხლებულია მოგონების ობიექტად ქცეული პიროვნება.

სანიმუშოა ამ თვალსაზრისით წერილების სერია, რომელიც მთლიანად ეძღვნება აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს („პირველი პრეზიდენტი"). როგორც სხვა ნარკვევებში, აქაც აქცენტი გადატანილია პიროვნულ თვისებებზე და ძალზე მეტყველი დეტალებით წარმოჩენილია იშვიათი ინტელიგენტის, ფართო თვალსაწიერისა და სწორი ეროვნული პოზიციის მქონე მამულიშვილის სახე. ამ უკანასკნელის დასტურად მხოლოდ ორიოდე მაგალითის გახსენება იქნება საკმარისი. ნიკო მუსხელიშვილი ივანე ჯავახიშვილს დიდად უმადლიდა არა მხოლოდ იმას, რომ მან იგი მიიწვია ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში, არამედ კატეგორიული მოთხოვნის გამო, რათა იგი ჩადგომოდა სათავეში ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის დამუშავებას. ისტორიულ ვითარებათა გამო ნიკო მუსხელიშვილს რუსული განათლება ჰქონდა მიღებული და ნათელი იყო ბატონი ივანეს ჩანაფიქრი. საშვილიშვილო საქმესთან ერთად ამით ნიკო მუსხელიშვილი უფრო ღრმად ეზიარებოდა ქართული ენის ყველა სიკეთეს. დიდ მეცნიერს კარგად მოეხსენებოდა, ეროვნული კულტურის შენობა უწინარეს მშობლიური ენის მყარ საძირკველს უნდა დაყრდნობოდა.

წიგნში გადმოცემულია მეორე საგულისხმო ფაქტიც. ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელს, ნიკო მუსხელიშვილს, ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე, მიაჩნდა, რომ აკადემიის ფარგლებში ჯერ ეროვნული დარგების შემსწავლელ ინსტიტუტებისათვის უნდა შექმნილიყო ნორმალური სამუშაო პირობები, აშენებულიყო შესაფერისი შენობები. აქ იქნებ საჭიროც იყოს იმის აღნიშვნაც, რომ პრეზიდენტის მიერ ანდერძად დაგდებული სიტყვების რეალური განხორციელებისათვის პირველი ნაბიჯები, სამწუხაროდ, მხოლოდ ახლახან გადაიდგა.

ნიკო მუსხელიშვილი იუმორით აღსავსე, ძალზე კოლორიტული პიროვნება იყო და ყოველივე ეს ძალზე მომხიბვლელ ატმოსფეროს ქმნიდა მის გარშემო. წიგნის ავტორის მართებული დასკვნით, ბიუროკრატიზმი და „ცივი აკადემიზმი" ისევე უცხო იყო მისთვის, როგორც ყალბი თავმოწონება წარსულ დამსახურებათა გამო.

მოვლენათა გადმოცემისას ავტორი ასევე მკაცრად ემიჯნება მოძალებული ემპირიზმის ცთუნებას, რაც, დასამალი არაა, ხშირი ბინადარია ამ ტიპის მოგონებათა კრებულებში. ფაქტების განსჯასთან ერთად აქ არაერთი პრობლემური საკითხია დასმული. უწინარეს ყურადღებას იქცევს დღეისათვის ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიცაა მეცნიერული ორგანიზაციისა და მართვის საკითხები.

სწორედ ამ პრობლემის შუქზეა წარმოჩენილი აკადემიკოსი ილია ვეკუა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აქტივობითა და სიახლის გამორჩეული გრძნობით დაჯილდოებული პიროვნება. იგი, მართლაც, შესაშური ხელოვნებით ფლობდა ადამიანურ ურთიერთობათა დიდ საიდუმლოს, რაც შინაგან სიძლიერეს ანიჭებდა მის იშვიათ ორგანიზატორულ უნარს.

ქართული მეცნიერების განვითარების მაგალითზე ახალი პრეზიდენტი აშკარად უარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფდა დეცენტრალიზაციის პრინციპებს და მართვის სიახლეებისაკენ ილტვოდა. თავის დროზე ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა პერსპექტიული აღმოჩნდა. მართლაც, ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, ეს საკითხები დღეს ახალ ასპექტებს ავლენს და სინთეზირებისაკენაა გამიზნული. ცენტრალიზაციასთან ერთად ცალკეული რგოლებისა თუ ინსტიტუტების ინიციატივა კანონის ძალას იძენს, რადგან დამთრგუნველი ცენტრალიზაცია ისეთსავე შეუქცევად პროცესებს იწვევს, როგორც ყოველგვარი ლოკალური წამოწყება, რომლის შედეგები ზუსტად არაა გათვლილი ძირითად ამოცანებთან მიმართებაში.

წიგნში ერთი საუკეთესო ნარკვევი ეძღვნება ნიკო კეცხოველს. ნიშანდობლივია ნარკვევის სათაურიც „ბერმუხა". მეტყველი ეპიზოდებითაა გაცოცხლებული შესანიშნავი მეცნიერის, მწერლისა და მამულიშვილის დაუვიწყარი სახე. როგორი შეუპოვრობით იბრძოდა „მკერდში დაჭრილი ბუნების" ავტორი საქართველოს უნიკალური მცენარეული საფარის გადასარჩენად. წარმოჩენილია მისი იმპულსური ხასიათი, მკაცრიცა და შემწყნარებელიც ერთდროულად. როგორ შეეძლო ამაღლებულიყო პირად ურთიერთობაზე. მრავალთა შორის ბევრის მთქმელია ერთი ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ დაიცვა მან უსინდისო ბრალდებისაგან მასთან უბრად მყოფი პიროვნება, რომელსაც ახლობლებმაც კი შიშით ზურგი აქციეს. ან კი კაცთა უმადურობით გაოგნებული ნიკო კეცხოველი, რომელსაც საკუთარი ძალისხმევით ჰქონდა შეგროვებული უნიკალური მასალა წიგნისათვის „საქართველოს ბუნება" და დასაბეჭდ ქაღალდსაც კი ამადლიდნენ... ნიკო კეცხოველზე ბოლო ხანებში ბევრი დაიწერა. ბევრი მათგანის ავტორები ქართველი მწერლები არიან და ბუნებრივიცაა. ბატონი ნიკო თვითონაც ქართული სიტყვის ტრფიალი იყო და ამასთან ახალგაზრდა ქართველი მწერლების დიდი მოამაგე. მაგრამ მაინც სერგი დურმიშიძის ეს ნარკვევი გამოირჩევა უხვი მასალით, ბატონი ნიკოს მეცნიერული ღვაწლის ზუსტი შეფასებით.

აქ პატარა წიაღსვლა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს თვით წიგნის ავტორთან და ზემოთაღნიშნული მოგონების ადრესატთან. ბატონი ნიკო დაუღლელი მოგზაური იყო და მისი ძიებანი არ იფარგლებოდა მხოლოდ უშუალო პროფესიული ინტერესებით, იგი აზუსტებდა მცენარეთა ქართულ სახელწოდებებს, ეცნობოდა ფოლკლორულ ნიმუშებს, ძველ ქართულ ტოპონიმებსა თუ გვართა წარმომავლობას. წიგნში მხოლოდ ორიოდე სიტყვითაა გადმოცემული ისიც, თუ როგორ დაინტერესდა ბატონი ნიკო დურმიშიძეთა გვარის ისტორიით, რაც მან შემდეგ მშვენიერი ნარკვევის სახით მოათავსა თავის კარგადცნობილ წიგნში „მეცხრე მთაც გადავიარე".

დურმიშიძეები წარმოშობით ლაზები ყოფილან, განთქმული ქვის ოსტატები. თავად აბაშიძეს სამი ძმა იმერეთში გამოუწვევია და მათ ერთ ხანს უმუშავნიათ კიდეც კაცხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის აღსადგენად. შემდეგ კი მოთხრობილია რომანტიული ხასიათის ისტორია. სამიჯნურო პერიპეტიების შემდეგ ძმათაგან ერთი აქვე დარჩენილა და აქაური ქალიც შეურთავს ცოლად. ლაზური ფორმით მისი გვარი დურმიში ყოფილა (შდრ. ლაზური გვარები მიმეშიში, ვანილიში, ხალვაში, ჯაში და ა. შ.), ლაზურ გვარსახელის ბოლოსართს ქართული „ძე" დამატებია, ხოლო ასეთი გორმაგების შედეგად დურმიში დურმიშიძედ ქცეულა, ისევე როგორც ტაბა-ში-ძე, დათეშიძე, ნაკა-ში-ძე, ღამბა-ში-ძე და ა. შ.. (სხვათაშორის შესაძლოა ასევე იყო წარმოქმნილი გვარი აბაშიძეც). ეს ერთი ამბავიც, რომელიც დურმიშიძეთა წინაპრების ამბავს მოგვითხრობს, საგულისხმო მაგალითია ქართველ მონათესავე ტომთა მიგრაციისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასეთი მაგალითების გამრავლებით კი, რაც ფაქტიურ ვითარებას ასახავს, კიდევ ერთი ფურცელი ემატება ერთობლივი საქართველოს ისტორიული ცხოვრების შესწავლას.

შემეცნებითი თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა რამდენიმე ნარკვევი რომლებშიც თხრობა სხვადასხვა ხერხითაა შესრულებული (მეცნიერული ნარკვევი, მოგონებები, დღიურები და ა. შ.). იგი ეძღვნება საბჭოთა ბიოლოგიის ერთ-ერთ აღიარებულ ავტორიტეტს, აკადემიკოს ალექსანდრე ოპარინს. მისდამი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ წიგნის ავტორი მას თავის უპირველეს მოძღვრად თვლის, არამედ იმითაც, რომ დიდი მეცნიერი რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით იყო დაკავშირებული ქართველ ხალხთან, დიდად აფასებდა მის ძველსა და უნიკალურ კულტურას. უეჭველია ამან განაპირობა ისიც, რომ უშუალო წვლილი შეიტანა მან საქართველოში ბიოქიმიური მეცნიერების განვითარებისა და ბიოქიმიკოსთა აღზრდის საქმეში. ეს ნარკვევებიც გამსჭვალულია დიდი მადლიერების ნიშნით.

ირკვევა ისიც, რომ სიცოცხლის წარმოშობის საქვეყნოდ ცნობილი თეორიის ავტორი, ალექსანდრე ოპარინი პოეზიის დიდი მცოდნე და თაყვანისმცემელი ყოფილა. მრავალ ფაქტთა შორის განსაკუთრებულია წიგნში გადმოცემული ერთი ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია მაშინ ახალგაზრდა ალექსანდრე ოპარინის პირველი შეხვედრა ვალერი ბრიუსოვთან. ძალზე შთამბეჭდავადაა მოთხრობილი ამ შეხვედრის ამბავი. ორი დიდი გატაცება აქ რიგრიგობით

ენაცვლებოდა ერთმანეთს. საფუძველი კი ის დიდი საიდუმლო იყო, რომელთა გარეშე სულიერი მოღვაწეობის არცერთ დარგს არ უწერია აღმასვლა. შემონახულია კიდეც ამ დაუვიწყარი შეხვედრის მეტყველი დოკუმენტი. რუსული სიმბოლიზმის აღიარებულ ბელადს ახალგაზრდა მეცნიერისათვის სათანადო წარწერით გადაუცია მისი ახალი ლექსების წიგნი „შორეთი". „დიდად პატივცემულ ალექსანდრე ივანეს ძე ოპარინს. იმ დაუვიწყარი საუბრის გამო, რომელიც ეხებოდა სიცოცხლის წარმოშობას და მადლობის ნიშნად ამავე საკითხზე ძალზე საინტერესო მოსაზრებათა გაზიარებისათვის". ვალერი ბრიუსოვი, 1922 წელი, 4 აგვისტო, მოსკოვი.

დიდი მეცნიერის პოეტური გატაცება არაერთი ასეთი მოგონებითაა გადმოცემული. მასვე უყვარდა თურმე თქმა, რომ სიცოცხლე შეუძლებელია ლექსის გარეშე და ამ აზრს ხშირად აგონებდა იმათ, ვინც ოდენ მშრალი ლოგიკის ანაბარა იყო ამქვეყნად გარჩენილი.

იშვიათი ოსტატობით მოთხრობილ ნარკვევთა შორის, ჩემის აზრით, ერთი საუკეთესოა მოგონება „ქართველი მეცნიერი ჰალეს უნივერსიტეტში", რომელიც დიდი გულისტკივილით მოგვითხრობს ახალგაზრდა, მაგრამ მსოფლიო სამეცნიერო წრეებში უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერის სევერიან ბუაძის უიღბლო ისტორიას, რომელმაც ველარ მოასწრო სანუკვარი იმედის აღსრულება: დაბრუნებულიყო სამშობლოში და თავის წვლილი შეეტანა ქართული მეცნიერების დიდ აღმავლობაში.

მოგონებათა კრებულს სხვაგვარ ელვარებას ანიჭებს ის თავები, რომლებიც ჩვენს ქართველ მწერლებს, მხატვრებსა და ხელოვნების მოღვაწეებს ეძღვნება. ზოგი მათგანი უფრო ვრცელია, ზოგი კი მხოლოდ მცირე ჩანახატს წარმოადგენს, მაგრამ ყოველი ასეთი ჩანახატი განათებულია განსაკუთრებული სიყვარულით, სიტყვისა და ფერის ხელოვნებისადმი უდიდესი პატივისცემით. ზოგჯერ მხოლოდ მიგნებული დეტალი და ჩვენს თვალწინ ცოცხლდება გალაკტიონის უკვდავი სახე, ხან ბავშვივით მიამიტი, ხან კი აღშურვილი სარკასტული ნიღბით. პატარა ნარკვევში გადმოცემულია გიორგი ლეონიძის დიდი დარდი, დაულეველი სადღეგრძელოსავით რაიმე მნიშვნელოვანი არ დარჩენოდა უთქმელი. ან როგორ წუდებოდა გული, რომ ულმობელი კანონის ძალით, უნდა დაეტოვებინა „ღმერთი დაუსაწყისი, ცა, მზე, დედამიწა ულეველი, უშრეტელი, ყანის მუხლი, ვაზის დედა, მებაღის ნობათი, ხარის ქედი, აკვნის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, სიმინდის ფრჩხილი, ახალი ნერგი, რქადახვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქარფეხა ცხენი, ფუძნარი, გუთანი და ხმალი!"

„ლექსის ბედში" გადმოცემულია ერთი შეხედვით უცნაური ამბავი. ეს მოხდა 1942 წელს. მატარებელში მყოფი ჯარისკაცები ვერაფრით გადაარწმუნეს, რომ „კაპიტანი ბუხაიძე" პოეტმა ირაკლი აბაშიძემ შექმნა და არა მათმავე ფრონტელმა ამხანაგმა, რომელსაც სიმღერის ჰანგიც თურმე მიუსადაგებია ტექსტისათვის. ლექსის ამაზე დიდი გამარჯვება მართლაც იშვიათი რამ არის.

მწერალთა პორტრეტებიდან ემოციური დაძაბულობით განსაკუთრებით გამოირჩევა მონათხრობი გურამ რჩეულიშვილზე, რომელიც ფატალური წინათგრძნობის განცდითაა დამუხტული. ავტორს რჩეულიშვილების ოჯახთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა და დაკვირვებული თვალი აშკარად ამჩნევდა დაუოკებელი სულის შინაგან ტრაგიზმს.

ქართული თეატრისადმი დიდი თაყვანისცემითაა აღბეჭდილი წერილები ვერიკო ანჯაფარიძეზე, ეროსი მანჯგალაძეზე. დამახასიათებელ შტრიხებთან ერთად თეატრის იშვიათი ცოდნითაა წარმოჩენილი ეროსის ფერადოვნებით აღსავსე გარდასახვის ნიჭიერება.

დასასრულ კი, სრულიად განსაკუთრებულ შეგრძნებას იწვევს წიგნის ის თავები, რომლებიც მოგონებათა ავტორის ახალგაზრდობის წლებს დასტრიალებს თავს. ზემო იმერეთი, საჩხერე, ჭიათურა, აკაკის საუფლო... რამდენი ინტიმი, სითბო, სინათლე, რომლებიც სამუდამო საგზლად გამოჰყვა ცხოვრების დიდ გზაზე.

სიბრძნისა და გამოცდილების გაზიარებასთან ერთად წიგნის პათოსი გაცისკროვნებულია პიროვნების შემოქმედებითი ძალმოსილებისადმი ურყევი რწმენით.

სარგის ცაიშვილი

მწერლის ახალი რომანი

გურამ ფანჯიკიძე თავის შემოქმედებაში დღევანდელობის აქტუალური სოციალური პრობლემებითაა დაინტერესებული. მის რომანებში აღწერილი მოქმედება ჩვენს თვალწინ ხდება, პერსონაჟებიც ჩვენს გვერდით, ჩვენს გარშემო ცხოვრობენ, გეოგრაფიული გარემოც საერთო გვაქვს — თბილისი, რუსთავი, მცხეთა, ფასანაური... მაგრამ მთავარი მაინც ის გა-

---

გ. ფანჯიკიძე, ხპირალი. „მერანი", 1986.

ხლავთ, რომ მწერალი სიუჟეტისა და ხასიათების ისეთი დიდოსტატი და მოქანდაკეა, საჭრეთელი რომ არ გაუცუდდება არასოდეს.

გ. ფანჯიკიძის ახალი რომანი ავტორის სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავდება თავისი სოციალურ-ფანტასტიკური ხასიათით (გავიხსენოთ ჰ. უელსის „კაცი-უჩინმაჩინი", ა. ბელიაევის „ადამიანი-ამფიბია"). შეიძლება ვინმემ თქვას, ნაწარმოებში არანაკლები ადგილი დეტექტივსაც უჭირავსო, და მართალიც იქნება, უჭირავს, მაგრამ არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მთელი რომანი დეტექტივად გამოვაცხადოთ.

ჰერბერტ უელსი წერდა: „გამონაგონი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება საინტერესო იყოს, თუ ყოველდღიურ გამოცდილებას შეუხამებ... როცა მწერალ-ფანტასტიკოსს მაგიური საწყისი გამოუვა მას ერთი საზრუნავი რჩება: ყველაფერი დანარჩენი ადამიანური და რეალური უნდა იყოს".

გ. ფანჯიკიძის ამ ახალ რომანში მოქმედება უელსისეული „მაგიური საწყისის" — ტვინის გადანერგვის გარშემო იშლება, ტვინის გადანერგვის ოპერაცია კი, ჯერჯერობით, თუნდაც არცთუ შორეულის, მაგრამ მაინც მომავლის საქმეა და ამდენად ოცნების, ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნება. ამ მთავარი, „მაგიური საწყისის" გარდა, რაზედაც მთელი სიუჟეტია დაშენებული, რომანში სხვა ფანტასტიკური ელემენტებიც გვხვდება (მეორეხარისხოვანი) — რამაზ კორინთელის ნათელმხილველობა, კორესპონდენტის ტელეპათიური შეკითხვა, რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი (ჰიპოთეზური), კორინთელთან გიორგაძის შეხვედრის ეპიზოდი პროლოგში... ყველაფერი დანარჩენი კი ნაწარმოებში, უელსისა არ იყოს, „ადამიანური და რეალურია". აი, ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ „სპირალი" არის სწორედ სოციალურ-ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოები (თუნდაც — „დეტექტიური ელემენტებით").

რომანის მოქმედება ორ სხვადასხვა სიბრტყეზე, ორ სხვადასხვა გარემოში მიმდინარეობს. ერთია — ინტელექტუალური, მეორე — დანაშაულებრივი, კრიმინალური. იმ იდეის ხორცშესხმისათვის, რომელიც ავტორმა ჩაიფიქრა, უკეთესის გამონახვა, ალბათ, შეუძლებელიც იყო. სახელგანთქმული ასტროფიზიკოსის თითქმის გენიოსური ტვინი და რეციდივისტის, სადისტის, მკვლელის სხეული — აი, ორი ურთიერთსაპირისპირო ძალა, რომელთა ჰიდილსაც უნდა გაერკვია, რა არის ადამიანში მთავარი: გონი თუ გენი.

როგორ გადაჭრა ეს პრობლემა ავტორმა? რომელ მხარეს დგას იგი, გონის თუ გენის მხარეს?

პირველად, სარკეში ჩახედვამდე, ოპერაციაგადატანილი აკადემიკოსის ტვინს ეკვი არ ეპარება, რომ იგი დავით გიორგაძეს დაეხმა. ხოლო როცა სარკეში ჩაიხედა, სხეულის სხვადასხვა მოძრაობას დაუკვირდა, უკვე დაეჭვდა: „მაგრამ სხეული წარმართავს ჩემს ტვინს თუ ტვინი სხეულს?" თუმცა, მიუხედავად ეჭვისა, ჯერჯერობით მაინც დავით გიორგაძედ მიაჩნია თავი, თვით ის მღელვარებაც, რომელიც მას ინგას შეხებამ განაცდევინა, დავით გიორგაძის მღელვარებაა და არა რამაზ კორინთელის სხეულისა (ამ მომენტში რომ გენი დომინირებდეს, დის შეხება ძმას ვერ ააფორიაქებდა). მაგრამ აი, გადის დრო და ამ ახალი, სინთეზური პიროვნების არსებაში თანდათან იჩენს თავს გენური წარმოშობის თვისებები — სიფიცხე, ბოროტი მზერა, თითქმის ავადმყოფური სექსუალური ლტოლვა, დაუნდობლობა (შეიძლება საკამათო იყოს პირველი სიგარეტის ეპიზოდი: „დავით გიორგაძე თამბაქოს არ ეწეოდა, რამაზ კორინთელის სხეულს კი ნიკოტინის ცხოველმყოფელი ზემოქმედების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია". თამბაქოს წევა შეძენილი ჩვევაა და გენოტიპში იგი ვერ იქნებოდა კოდირებული)... და აი, ერთხელაც დგება მომენტი, როცა იგი უკმეხად მიახლის პირში ექიმ ზურაბ თორაძეს: „გაოცებული ნუ მომჩერებიხართ. თქვენ ახლა გელაპარაკებათ არა აკადემიკოს დავით გიორგაძის გონება, არამედ რამაზ კორინთელის გენი!"

ამ მომენტიდან გენის გავლენა ახალშეძენილ ტვინზე თანდათან ძლიერდება, მაგრამ საბოლოოდ მას არასოდეს გაუმარჯვნია. ეს სინთეზური (ან „დამყნილი" — ასე უწოდებს ერთგან მას მწერალი) პიროვნება, — როგორც რამაზ კორინთელი — სვამს შამპანურს, დროს ატარებს ქალებთან, იღებს აზარტულ თამაშში მოგებულ თუ სოსო შადურთან ერთად გატაცებულ ფულს, მონაწილეობს ბანდიტურ ოპერაციებში („მაგნიტოფონი", „ტრაფალგარი")... ხოლო როგორც დავით გიორგაძე, — გულში „ნაძირალას" უწოდებს ოთარ კახიშვილს ანა გიორგაძესთან საუბრისას, „განსვენებულ აკადემიკოსთან" ურთიერთობის დეტალების ცოდნით ჩიხში აყენებს რექტორსა და ინსტიტუტის ახალ დირექტორს, აფიორად თვლის კორინთელის გამოსვლას დიპლომის დაცვაზე, მაკას ოჯახში სტუმრობისას იხსენებს, თუ როგორ შეხვდა 1959 წელს(!) კიევში ჰაიზენბერგს... აი, ასეთნაირად ხდება, ხან ტვინი სძალავს, ხან — გენი, ხან თითქოს შეწონასწორებულია გონი და გენი. მაგრამ ფინალში ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო. ექიმი ზურაბ თორაძე ცუდ ამბავს ატყობინებს თავის პაციენტს: „— იმედი მაქვს, მამაკაცურად შეეგებებით გასაჭირს. ამ ოთხი დღის წინ თქვენი შვილი იპოვეს, თქვენი დათო". „— მკვდარი?! — ამოიხრიალა რამაზ კორინთელმა და მუხლმოკეცილი ჩაე-

შვა სავარძელში". ირკვევა საშინელი რაშ: ოპერაციამდელ, სტუდენტ-ხულიგან რამაზ კორინთელს სამი ტყვია დაუხლია აკადემიკოსის შვილის, დათო გიორგაძისათვის, ცხედრისთვის რკინის ნაჯერი მიუბამს და მტკვარში გადაუსვრია. და აი, შეიტყობს თუ არა ამ საზარელ ამბავს, აკადემიკოს დავით გიორგაძის ტვინი კიდევ ერთხელ — და ამჯერად საბოლოოდ — იმარჯვებს რეციდივისტი რამაზ კორინთელის სხეულზე.

უკანასკნელი ეპიზოდი (რომელიც კულმინაციაა. და კვანძის გახსნაც) საოცრად შთამბეჭდავი და, ამავე დროს, შემაძრწუნებელია. მწერალი დეტალურად გვიხატავს ზურაბ თორაძისათვის ყელის გამოჭრის სურათს. ნიშანდობლივია, რომ ამ მომენტამდე რომანის მთავარ პერსონაჟს ავტორი ჯერ კიდევ რამაზ კორინთელს უწოდებს, აქედან მოკიდებული კი, ერთხანს, მის სახელს საერთოდ არ ახსენებს, თუმცა მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ სინთეზურ სხეულში ამიერიდან ისევ აკადემიკოს დავით გიორგაძის ტვინი დომინირებს. დიახ, ეს მან — ასტროფიზიკოსის ტვინმა უბრძანა ხელებს, გამოეფატრათ მუცელი რამაზ კორინთელის საზიზღარი სხეულისათვის, ხოლო მერე შუაზე გაეპოთ მისივე დაუნდობელი გული. და დავით გიორგაძის ტვინს უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს ეს შურისძიება. ბოლოს დგება მომენტი, როცა ავტორი ნამდვილი სახელით იხსენიებს თავის მთავარ პერსონაჟს: „დავით გიორგაძე მიხვდა, გულში გარჭობილი დანა უშლიდა ხელს, რამაზ კორინთელის მომაკვდავი სხეულიდან რომ თავი დაეღწია". და აჰა, როგორც იქნა, გამოეყო სული სხეულს: „— მოვდივარ, შვილო, მოვდივარ. სულ მალე შენთან ვიქნები!—შეჰყვირა ცას. მილიონობით ეჭომ უზარმაზარ სივრცეს მოჰფინა დავით გიორგაძის ხმა".

ამრიგად, საბოლოოდ მწერალმა მაინც ტვინს მიანიჭა უპირატესობა. ალბათ, სხვანაირად არც შეიძლებოდა, პირიქით რომ მომხდარიყო, ვინ იცის, დაუჯერებდა თუ არა მკითხველი მწერალს.

გურამ ფანჯიკიძეს უყვარს და კარგადაც ეხერხება ძლიერი ადამიანების, მტკიცე ხასიათების ხატვა და ძერწვა. ასეთია აკადემიკოსი დავით გიორგაძე, რომელიც საკუთარ თავში ნახულობს ძალას, დათანხმდეს გაუგონარ ოპერაციაზე, დათანხმდეს, როგორც თვით ეუბნება ექიმ ზურაბ თორაძეს, „პირველივე წუთიდან"; ასეთია ახლად მოვლენილი („დამყნილი") რამაზ კორინთელი, რომლის ნებისყოფა და კონცენტრირებული ენერგია თანაბარი წარმატებით უკაფავს მას გზას მეცნიერებაშიც და დანაშაულებრივ სამყაროშიც; ასეთია ზურაბ თორაძე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ერთ მიზანს — ტვინის გადანერგვის ოპერაციისათვის მზადებას და მის განხორციელებას შეალია: ასეთია მაკა ლანდია (ყველაზე ნათელი პიროვნება რომანში), რომელმაც ნებაყოფლობით (თუმცა რამაზის არაპირდაპირი შეგონებით) თქვა უარი მზამზარეულ კარიერაზე; ასეთია „შუბლშეჯავშნული" სოსო შადურიც, სხვათა შორის...

გურამ ფანჯიკიძე არ არის მაქსიმალისტი, როგორც ეს შეიძლება ზოგჯერ ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. მისთვის არ არსებობს „პიროვნება — პლიუსი" და „პიროვნება — მინუსი". ყოველ ადამიანში ზის კეთილი „მე" და ბოროტი „მე", ზოგჯერ ისინი გაწონასწორებულია, ზოგჯერ კი პირველი დომინირებს მეორეზე, ან პირიქით. თუნდაც იგივე დავით გიორგაძე ავიღოთ, ბრწყინვალე ასტროფიზიკოსი, აკადემიკოსი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი და უცებ — ანგარიშიანი, ანგარებიანი პიროვნება: ამ კაცმა ოპერაციის წინ საგანგებოდ შეადგინა ორი წერილი (ანდერძთან ერთად), რომლებიც, მისი წინასწარგანჭვრეტით, გამოადგებოდა (და გამოადგა კიდეც!) სინთეზურ გიორგაძე-კორინთელს სანუკვარი მიზნის განხორციელებისათვის (სხვათა შორის, სავსებით სწორად ჩათვალა დავით გიორგაძის ეს ნაბიჯი აკადემიკოსის არაცნობიერი ფსიქიკის ე. წ. „მინუს-ნაწილის" გამოვლენად კრიტიკოსმა სოსო სიგუამ — იხ. „ლიტერატურული საქართველო", 7 მარტი, 1986 წ.). თვით ბანდიტსა და რეციდივისტ სოსო შადურსაც აქვს დადებითი თვისებები — ლოგიკური მსჯელობის უნარი, სამართლიანობა (ცხადია, თავის წრეში)...

მახსოვს, გურამ ფანჯიკიძეს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ნაკლად უთვლიდნენ სტილის, მხატვრული სიტყვის გადაჭარბებულ „უბრალოებასა" და „ტექნიციზმს". წინა რომანებზე აღარას ვიტყვი, მაგრამ „სპირალშიაც" ხომ მოქმედება ქალაქში ხდება, სადაც ლაქვარდოვანი ცა თვეობით სანატრელია და ბალახის სიმწვანეს აქა-იქ სკვერში თუ დაინახავს კაცი. გარშემო ასფალტის ზღვა და რკინა-ბეტონის კუნძულებია, სადაც დაბიჯებენ ასტროფიზიკოსები, ნეიროქირურგები, ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტის სტუდენტები, ინსტრუმენტული ქარხნის მუშები და ოპერატორები, ტელევიზიის კომენტატორები... ისინი ფიქრობენ და საუბრობენ ტვინის გადანერგვაზე, გენეტიკურ კოდზე, მეცნიერულ ექსპერიმენტებზე, ელემენტის ოთხი სახის დაშლაზე (ალფა-დაშლა, ბეტა-დაშლა, სპონტანური დაყოფა, პროტონული რადიოაქტიურობა), რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე, ჰიპოთეზურ ტიპზე, ჰერკულესის თანავარსკვლავედის რენტგენულ გამოსხივებაზე, ტვინისა და გენოტიპის ურთიერთობაზე... რა უფლება გვაქვს დავძრახოთ მწერალი, როცა

იგი ამგვარ გარემოში ასეთ მხატვრულ სახეებს მიმართავს: „დინამიტის პატრუქივით... აინთო ორი დიდი თვალი“; „ისევ დატრიალდა აკადემიკოსის ტვინში კბილანა ბორბლების ურთულესი სისტემა. სადღაც ისევ იფეთქა ვულკანმა, ლავასავით ისევ ამოიფრქვა უთვალავი შავი კითხვის ნიშანი. ისინი ჯერ გიშალნენ, საზეიმო სალუტის დროს ცაში ერთ კონად ატყორცნილი მაშხალები რომ იშლებიან ხოლმე. შემდეგ კი დამსხვილებულები და დამძიმებულები ბომბებივით დაეშვნენ დაბლა“; „თითქოს ელექტროქსელიდან გამოთიშესო, ღრმად ჩაეძინა“; „გადახურებისაგან რკინის სიმებივით დაწითლებულ ძარღვებზე აშიშინდა და აორთქლდა წყლის ჭავლი. მერე შიშინმა თანდათან იკლო, ლითონის სიმმა ჯერ სიწითლე დაკარგა, შემდეგ სიმხურვალე და რამაზ კორინთელიც თანდათანობით ჩაცხრა“; „კორინთელის ზურგი ისევ გახვრიტა... ლინზებივით გაშეშებული თვალებიდან გამოსულმა ორმა წვრილი ლაზერის სხივმა“; „მხრები, მკლავები და თავი ისე უძაგძაგებდა, თითქოს მის სხეულში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა“; „ბეტონის ბრტყელ მკერდზე ძუძუები პივნებივით ჰქონდა მიდგმული“; „მხურვალე ასფალტში ამოჭრილი ხეები ცისკენ მიისწრაფოდნენ, რომ იქნებ როგორმე ასცილებოდნენ ბეტონის კედლებს. მათი უპროპორციო, სიმაღლისკენ მსწრაფი წვრილი და სუსტი ტანი მაინც ვერ გაუძლებდა ადუღებული ასფალტიდან ამოვარდნილ სიმხურვალეს და ამდენი მანქანის გამონაბოლქვ აირებს“; „სლაიდივით დაინახა სიონის კლდის ფონზე გამოკვეთილი ქალიშვილი“ და ა. შ.

წინამდებარე წერილი მიზნად არ ისახავს „სპირალის“ ავ-კარგის საფუძვლიან შესწავლას, იგი უფრო პირველი წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებათა მკითხველისთვის გაზიარების ცდაა. ამიტომ კიდევ ერთ საკითხსაც შევეხები და ამით დავამთავრებ.

ნაწარმოებში რამდენჯერმეა ნახსენები ღმერთი, მკრეხელობა, განგება, ბედისწერა, სული, ცოდვა. „ღმერთი გწამთ?“ — ეკითხება აკადემიკოსს კორესპონდენტი. „აი, აქ ხომ არ ვცოდავთ ღმერთს?“ — ეჭვობს ოპერაციამდელი დავით გიორგაძე. „თქვენ მართალი იქნებით ღმერთის, ერისა და საკუთარი თავის წინაშე!“ — პასუხობს ნეიროქირურგი თორაძე. „იქნებ მართლაც ბედისწერა იყო, ამ ნაშრომის გამოქვეყნება რომ არ ვიჩქარე?.. გამოდის, რომ ღმერთმა ნება დართო ადამიანს, შეჭრილიყო ღვთიური ნებით შექმნილ სამყაროში და დაერღვია მის მიერ დადგენილ საუკუნოვან ხლის კანონები!“ — ფიქრობს გიორგაძე-კორინთელი. „პირველ რიგში შენ უნდა დაისაჯო, ბატონო ექიმო, რადგან შენ გაილაშქრე განგების წინააღმდეგ!“ — მიახლის რამაზ კორინთელი ექიმს.

რაღა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რომანის ავტორს სწამს ღმერთის — ბიბლიური მოხუცის, სამყაროს თეთრწვერა შემოქმედის არსებობა. იგი ხომ თვით პერსონაჟებსაც არა სწამთ (რა თქმა უნდა, თუკი გულწრფელნი არიან), ამიტომაც აცხადებენ: „მე მწამს ადამიანის აზროვნება. ყველა სხვა სასწაულთან ერთად ადამიანის აზროვნებამ შექმნა თვით ღმერთი“ (აკად. დავით გიორგაძე). „მე მხოლოდ ღმერთთან ვარ გულახდილი, ისიც იმიტომ, რომ ღმერთი არ არსებობს“ (სინთეზური რამაზ კორინთელი). მაგრამ როგორც პერსონაჟებს, ასევე რომანის ავტორსაც (გავბედავ და, მეც მათ შევუერთდები) სწამთ ერთი რამ: მთელ ამ ვეებერთელა, უკიდეგანო სამყაროში არსებობს მკაცრად განსაზღვრული, საბოლოოდ ჩამოყალიბებული კანონზომიერებანი, რომლებიც, ასე ვთქვათ, სავალდებულოა ჩვენი დედამიწისათვის, კაცობრიობისთვისაც. არ შეიძლება ყველგან და ყოველთვის იმოქმედო ფორმულით: „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან; ჩვენ მას წავართმევთ ამ წყალობას“. „სპირალის“ ავტორის აზრით, არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვაც დაუშვებელია, მკრეხელობაა, უპირველეს ყოვლისა — ზნეობრივი თვალსაზრისით. „კითხვა რომ დასვა, — წერს ინგლისელი ფანტასტიკოსი რობერტ შეკლი, — პასუხის უმეტესი ნაწილი უნდა იცოდე“. ზურაბ თორაძემ და დავით გიორგაძემ კი არ იცოდნენ, ვერ განსაზღვრეს, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ ექსპერიმენტს, გზაჯვარედინი „წითელ შუქზე“ გაიარეს და ამიტომ მკაცრადაც დაისაჯნენ.

ჩვენი ღრმა რწმენით, „სპირალი“ იმდენად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია, რომ მის გარშემო გამართული მსჯელობა თითო-ოროლა წერილით ვერ ამოიწურება. მისი ყოვლისმომცველი და ამომწურავი შეფასება მომავლის საქმეა.

ნუგზარ აფხაზავა

ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სპარსეთს ოდითგანვე პოეზიის ქვეყანად იცნობს ცივილიზებული მსოფლიო. საუკუნეთა მანძილზე ირანში წყობილსიტყვამ დათრგუნა პროზაული მეტყველება. მხოლოდ ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან ხდება ირანში პოეზიისა და პროზის გაწონასწორება. შეიძლება ითქვას, უმოკლეს ხანში ერთგვარი უპირატესობაც კი მოიპოვა ამ უკანასკნელმა, რაც ირანული სამყაროს ევროპულ კულტურასთან ზიარებამ გამოიწვია. წამოვიდა მთელი პლეადა ბელეტრისტთა, რომლებმაც მთელი თავისი სიცხადით გადაგვიშალა თვალწინ თანამედროვე ირანის ცხოვრების ვრცელი და მრავალფეროვანი პანორამა. ამ პლეადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია სადეყ ჰედაიათი, რომელიც ამავე დროს სამართლიანად ითვლება თანამედროვე სპარსული პროზის მამამთავრად.

სადეყ ჰედაიათის შემოქმედებას აქამდეც იცნობდა ქართველი მკითხველი. ჯერ კიდევ 1970 წელს ცალკე წიგნად დაისტამბა მისი ნოველებისა და მოთხრობების კრებული — „ლალე“, რომელიც თარგმნა თენგიზ კეშელავამ. და, აი, წელს „ლალეს“ მთარგმნელმა ახალი საჩუქარი მოუმზადა ქართველ მკითხველს, შემოგვთავაზა საკმაოდ მოზრდილი კრებული სადეყ ჰედაიათის ნაწარმოებებისა — „ცეცხლთაყვანისმცემელი“. ვისაც „ლალე“ წაუკითხავს, ის გულცივად ვერ ჩაუვლის გვერდს სადეყ ჰედაიათის სახელსა და გვარს, რადგან ძნელად თუ მიეცემიან დავიწყებას მისი გმირები. უკვე ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა უფრო ღრმად ჩაიხედოს თანამედროვე ირანის ცხოვრების სარკეში, რადგან სადეყ ჰედაიათი ის მწერალია, რომლის კალამი ირანის ცხოვრების თითქმის ყველა შრეს ეხება. საზოგადოების ყველა წრის წარმომადგენელი ჰყავს დახატული მწერალს, თუმცა უპირველესად იგი უბრალო ირანელი ხალხის ჭირ-ვარამის გამზიარებელია.

მაღალი არისტოკრატიული წრიდან გამოსულმა მწერალმა ზურგი აქცია უზრუნველ ცხოვრებას. სამსახურში მუდამ უბრალო თანამდებობა ეკავა. მძიმე ეკონომიურ პირობებსა თუ გარკვეულ პერიოდში რეპრესიებს, როგორც მწერლისა და მეცნიერისთვის, მისთვის ხელი არ შეუშლია. გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა მას ხომ მრავალი გამოკვლევა ეკუთვნის სპარსელ კლასიკოსთა შემოქმედებაზე. ის იყო აგრეთვე ცნობილი ფოლკლორისტი.

სადეყ ჰედაიათი, ცეცხლთაყვანისმცემელი. „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ.

სადეყ ჰედაიათის სიცოცხლეში ლიტერატურის კრიტიკის მიერ მასზე კრინტიც არ დაძრულა. ამის მიზეზი კი მისი თავმდაბლობა და უჩინრად ყოფნის თვისება იყო.

უპირველესად სადეყ ჰედაიათი ნოველისტია. მან ფსიქოლოგიური ნოველებით გაამდიდრა სპარსული ლიტერატურა. იგი ყოველთვის დამაჯერებლად გადმოგვცემს ადამიანის სულიერ განცდებს. წაიკითხავთ მის ნოველებს და იგრძნობთ, რომ ყველა ადამის შვილები ვართ, რომ ყველასა აქვს ადამიანური ცხოვრების უფლება, სიყვარულის უფლება... სწორედ ამ უფლებების დამკვიდრებისათვის იბრძოდა მწერალი.

მკითხველისათვის დაუვიწყარია მწერლის მიერ დახატულ ქალთა სახეები. სადეყ ჰედაიათი ხატავს ირანელი ქალის ჯოჯოხეთური ცხოვრების სურათს, ქალისა, რომელსაც წართმეული აქვს ყოველგვარი ადამიანური უფლება და ვერც წარმოუდგენია, რომ შეიძლება არსებობდეს უკეთესი ცხოვრება.

ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები არიან მისი ნაწარმოებების გმირები. ხალხის ენაზე წერდა მწერალი. ამიტომ მისი ენა მდიდარია ძარღვიანი, სხარტი გამოთქმებით, ანდაზებით... ყოველივე ეს შენარჩუნებულია და იგრძნობა თარგმანში:

— მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო... — ჩაილაპარაკა როსტომმა, — ენახოთ, თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდება...

კუდამოძუებულ ქაქა როსტომს სხვა გზა არ ჰქონდა — უნდა მოეთმინა, მაგრამ გაბოროტებულმა ბოღმა გულში ჩაიხვია და შესაფერის დროს ელოდა მისთვის სამაგიერო მიეზღო („ძმაკაცი აქოლი“).

გამართული თხრობის სისადავე და ბუნებრიობა ნდობით განაწყობს მკითხველს ორიგინალისადმი. და თუ დედანს შეუდარებს თარგმანს, უთუოდ დარწმუნდება მთარგმნელის კეთილსინდისიერებაში.

მთარგმნელი წინასიტყვაობაში წერს: — მხატვრული პროზის დიდოსტატმა სადეყ ჰედაიათმა თავისთავადი, ცინცხალი ფერები შემატა ირანის ლიტერატურას, მისმა საუკეთესო ქმნილებებმა ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა სპარსული ენის მადლი და ბარაქა, ყანდივით ტკბილი სპარსულის ამოუწურავი შესაძლებლობანი და საბოლოოდ დაასამარა ის მცდარი შეხედულება, თითქოს ირანის ლიტერატურა გარდასულ საუკუნეთა მიღმა დარჩა, წარსულის კუთვნილებაა და მას დახშული აქვს შემდგომი განვითარების გზა...

სასიამოვნოა, რომ დეკლარაციად არ დარჩა

მთარგმნელის მიერ მწერლის შემოქმედების შეფასება, არამედ ყოველივეს უშუალოდ გრძნობს და განიცდის ქართველი მკითხველი, როცა მიჰყვება ქართული ენის ლაღ დინებას.

წიგნს დართული აქვს ვრცელი კომენტარები, რაც მკითხველს უადვილებს ირანულ სამყაროში ჩაწვდომას, რადგან ბევრი აღმოსავლური რეალია არასპეციალისტისათვის აუცილებელ განმატრებას მოითხოვს.

სადეყ ჰედაიათის კრებული „ცეცხლთაყვანისმცემელი", რომელიც „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის გრიფით, ეხმაურება სადეყ ჰედაიათის 80 წლისთავს, რომელიც ფართოდ აღინიშნა, როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სასიამოვნოა, რომ ქართველმა მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღო ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით.

ნოდარ ბართაია

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-13; განყოფილებების— 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 18.04.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 06. 86 წ. ანაწყობის ზომა 7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 04671, ტირაჟი 32.000, შეკ. 988, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,

351 30

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ